

მირის ერესკი

ანაპაპრწანა

პირველი რეპაკთასიანი

„ნაკადული, თბილისი, 1974

7А6.3
7 96.5
ე 829

ჰიმალაის მთები ჩვენი პლანეტის უმაღლესი მთებია. აქ თოთხმეტი მწვერვალია, რომელთა სიმაღლე 8 000 მეტრს აღემატება. აქვეა მსოფლიოს მესამე პოლუსი — მწვერვალი ჯომოლუნგმა, რომლის სიმაღლე 8888 მეტრია.

ოცდაორმა ექსპედიციამ სცადა დაეპყრო თუნდაც ერთი ამ უმაღლეს მწვერვალთაგანი და მხოლოდ 1950 წელს შეძლო პირველად ადამიანმა 8000-იანი მწვერვალის ანაპურნას დაძლევა.

ამ წიგნის ავტორია ცნობილი ფრანგი ალპინისტი... იგი მოგვითხრობს არაჩვეულებრივ სიძნელეებსა და თავგადასავალზე, რომელიც წილად ხვდათ ამ ასვლის მონაწილეებს. მეტად საინტერესოა ავტორის პირადი დაკვირვებანი „განდეგილთა სამეფოს“ ამ ნაკლებად ცნობილი რაიონის, ნეპალის მკვიდრთა ყოფა-ცხოვრებაზე. ერცოგი გულმართლად აღწერს მწვერვალზე გადამწყვეტ იერიშსა და ასვლის დრამატულ დასასრულს.

ბუნებაზე ადამიანის ბრწყინვალე გამარჯვების დამადასტურებელი დრამატიზმით აღსავსე ფურცლები გვაბარებს და გვტანჯავს ამ განსაცვიფრებელი მოთხრობის გმირებთან ერთად.

თარგმნა ალექსანდრა ჯაფარიძემ

7—6—5
174—73 М—603

წინასიტყვაობა

ანაპურნაზე ასვლამ მთელ მსოფლიოზე წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა, რაც დროთა მსვლელობაში კიდევ უფრო გაძლიერდა. ეს გამარჯვება უეჭველად ჩვენი დროის ერთ-ერთი ყველაზე დიდი და ამაღელვებელი ამბავია.

მრავალი ცდის, დიდ და მცირე წარმატებათა თანდათანობით მოპოვების შემდეგ მორის ერცოგმა და მისმა ამხანაგებმა დაიპყრეს არა მარტო ადამიანის მიერ მანამდე აღებულ ყველა მწვერვალზე უმაღლესი, არამედ პირველი მწვერვალიც, რომლის სიმაღლე 8000 მეტრს აღემატება, ერთ-ერთი უმაღლესთაგანი მსოფლიოში.

სრულიად გამოუკვლეველ მხარეში პირველი ცდისთანავე წარმატების მოპოვებით, ფრანგმა მთამსვლელებმა ისეთი გმირობა ჩაიდინეს, რასაც მანამდე ჰიმალაის საუკეთესო მცოდნეები შეუძლებლად თვლიდნენ. ჰიმალაის ხუთი ექსპედიციის მონაწილე, სახელგანთქმული ინგლისელი მთამსვლელი, აწ განსვენებული ფრენკ სმიტი, რომელიც კამეტზე ავიდა და ევერესტის კალთებზე 8500 მეტრ სიმაღლეს მიაღწია, წერდა: „ჰიმალაიში ასვლები ისეთ სიძნელეებთანაა დაკავშირებული, რომ ალბათ ვერც ერთი ექსპედიცია ვერ შეძლებს პირველი ცდისთანავე დაიპყროს რომელიმე, მსოფლიოს თორმეტ[1] უმაღლეს მწვერვალთაგან“. მიუხედავად ამისა, 1950 წლის ექსპედიციამ ანაპურნაზე შეძლო შეუძლებელი.

ჰიმალაის პირობებში წარმატებით ასვლა მთელი გუნდის გამარჯვებაა. ექსპედიციის ყველა მონაწილემ, თავ-თავიანთ პოსტებზე, მეტად თუ ნაკლებად ძნელ პირობებში, ცხადყო, რომ ღირსია იმ ნდობისა, რომლითაც აღჭურვეს. ისინი პატიოსნად ასრულებდნენ თავის მოვალეობას და ყველაფერი იღონეს, რაც კი შეეძლოთ ორი დამავებული ამხანაგის გადასარჩენად. მაგრამ ჯეროვნად ვაფასებთ რა ექსპედიციის ყველა მონაწილის დამსახურებას,

---

1 ნამდვილად დედამიწის ზურგზე 14 „რვაათასიანია“, ე. ი. მწვერვალები, რომელთა სიმაღლე ზღვის დონიდან 8000 მეტრს აღემატება.

დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ გუნდის გამარჯვება, უწინარეს ყოვლისა, მისი ხელმძღვანელის გამარჯვება იყო.

ჩვენი დასკვნის სისწორეს პირველ რიგში ადასტურებს ის სიყვარული და მოწიწება, რომელსაც გრძნობენ ერეოგისადმი მისი ამხანაგები.

პიმალაის არ აღმოუჩენია ჩვენთვის რაიმე ახალი მორის ერეოგის პიროვნებაში — მთელი მისი წარსული თავდები იყო იმისა, რომ ექსპედიციის ხელმძღვანელობა მიენდო ჰემმარიტად ყველაზე ღირსეულს. მაგრამ ამ ექსპედიციამ მისცა მას შესაძლებლობა, ბრწყინვალედ გამოეჩინა თავი ყველაზე უმძიმეს პირობებში, ეჩვენებინა, რომ ის ნამდვილად სული და გულია ამ დიდი საქმისა და საუკეთესო ადამიანური თვისებები გააჩნია.

თავისი ხასიათისა და გამჭრიახობის გამო იგი შინაური კაცი იყო ცხოვრების მრავალ სფეროში. პრაქტიკული გონების ადამიანს შეეძლო დამტკბარიყო მალარმეს პოეზიით ან პასკალის „ფიქრებით". იგი ისევე თავისუფლად გრძნობდა თავს რომელიმე ფირმის კანტორაში, როგორც მონბლანის იტალიურ თხემზე.

განსაკუთრებულმა გულითადობამ და გულკეთილობამ საყოველთაო სიმპათია მოუპოვა. ამასთანავე მას შეეძლო სწორად შეეფასებინა ადამიანები და აუცილებელ შემთხვევაში მტკიცე გადაწყვეტილება მიეღო. ჯანსაღი გონება აკავებდა მისი განსაცვიფრებელი ენერგიის სწრაფვას.

ფაქტები თავისთავად ღაღადებენ.

ექსპედიციის მთელ მანძილზე იგი განსაკუთრებულ სპორტულ ფორმაში იყო და თავისი ჯან-ღონითა და გამძლეობით უბადლო ოსტატებს ლიონელ ტერაისა და ლუი ლაშენალსაც კი ჯობნიდა. ერეოგი შეუდრეკლად მიისწრაფოდა გამარჯვებისაკენ და მტკიცედ სწამდა წარმატებისა. ეს რწმენა მან გადასდო არა მარტო ექსპედიციის ყველა მონაწილეს, არამედ ჩვენც, ათასეული კილომეტრების მოშორებით მყოფთ.

თავს არ იზოგავდა, ირჩევდა ყველაზე ძნელ სამუშაოს, პირადი მაგალითით იმტკიცებდა ავტორიტეტს, მუდამ წინ უძღოდა გუნდს და კიდევაც უზრუნველყო გამარჯვება.

ასვლის დამაგვირგვინებელი ხანგრძლივი ეტაპის განმავლობაში მთელი სისრულით გამოვლინდა ერეოგის საღი აზროვნება და სიმტკიცე. ჩვეულებრივ პირობებში, კიდევ ერთი, მეექვსე ბანაკი უნდა გამართულიყო, მაგრამ მორისს შეგნებული ჰქონდა, რომ ერთი დღით დაყოვნება შესაძლოა მწვერვალის ფასად დამჯდარიყო და უყოყმანოდ გადავიდა იერიშზე.

ცნობილია, თუ რა ძვირად დაუჯდათ გამარჯვება. აქ მორისმა კიდევ უფრო მეტი სიმტკიცე და ვაჟკაცობა გამოამჟღავნა, ვიდრე იერიშის დროს. ერთი წუთიც არ უფიქრია თავის თავზე. აი, ერთი დამახასიათებელი მომენტი: როდესაც ჯგუფმა ამოაღწია ნაპრალიდან, სადაც ღამე გაათიეს, პირველი აზრი ერეოგისა იყო ზრუნვა ამხანაგების გადარჩენაზე. მან სთხოვა აქ დეტოვებინათ, რათა სხვების გადარჩენა გაადვილებულიყო.

უკან დარჩა დაუსრულებელი გზა, დაშვებისას — მუსონური, კოკისპირული წვიმები, მრავალრიცხოვანი ოპერაციები, გრძელი თვეები ტანჯვისა, როდესაც საწოლზე მიჯაჭვული ერეოგი ჰოსპიტალში იწვა, და, აი, ახლა იგი

გვაღელვებს თავისი სისადავითა და გასაოცარი შინაგანი გულისხმიერებით, აღფრთოვანებით თვალს ვადევნებთ, როგორ უბრუნდება ცხოვრებას, რომელშიაც იგი ახლა უფრო მეტ კარგს ხედავს. რადგან თვითონაც უკეთესი გახდა.

და, აი, ხელთა გვაქვს წიგნი, რომლის შეუდარებელი წარმატება გულისა და შემოქმედებითი გონების გამარჯვებაა.

ის არა ჰგავს არც ერთ სხვა წიგნს. იგი რომანად ჩაფიქრებული სიმართლეა. ის სიმართლე, რომლის ასახვა და სიტყვებით გადმოცემა მეტად ძნელია ხოლმე. უბრალო, მეგობრული თხრობის კილო, ამბის გულწრფელი, ობიექტური ასახვა და მოქმედ პირთა დახასიათება ამ ნაწარმოებს ამაღელვებლად სარწმუნოს ხდის.

ჩვენს სიცოცხლეში პირველად ყველანი ვმონაწილეობთ ჰიმალაის ექსპედიციაში, ხელმძღვანელისა და მისი ამხანაგების მხარდამხარ. წინ შენ მიგვიძღვი, ძვირფასო მორის, სულ ბოლომდე მკაცრი გამოცდილებისა და აუწერლად მძიმე განსაცდელის დასასრულამდე.

შეუძლებელია აუღელვებლად წაიკითხოთ ეს ფურცლები, სულს შეგიძრწუნებთ მთრთოლვარე ჰუმანიზმით აღსავსე გულისხმიერება, რომელიც შეხამებულია განსაცვიფრებელ ვაჟკაცობასა და უდრეკ ნებისყოფასთან.

მადლობას გიხდით იმისათვის, რომ გაიგე, თუ როგორ შეიძლება იყო გულახდილი და არც უღალატო თავმდაბლობას! ამ გულწრფელობის გარეშე გონების ყოველგვარი ცდა ამაო იქნებოდა. საჭირო იყო გამბედაობა, რათა გულმართლად გადმოგეცა ის მღელვარე წუთები, როდესაც პირადული ერწყმის საერთოს.

კლდეებითა და ყინულით მოელვარე მწვერვალთა მომჯადოებელი სამყარო თავისებური კატალიზატორია: თუმც უსასრულო არ არის, მაგრამ გვაგრძნობინებს უსასრულობას. მწვერვალები გვაძლევენ მხოლოდ იმას, რასაც ჩვენ თავად შთავბერავთ მათ.

ალპინიზმი — ეს არის ადამიანის გრძნობათა გამოვლენის საშუალება. ის პოულობს გამართლებას თავის გმირებში — იმ ადამიანებში, რომელთაც თვითონვე აქანდაკებს.

სწორედ ეს ძირითადი შეიგრძნო ჩვენთან ერთად მთელმა ხალხმა, ვინც დიდებითა და აღფრთოვანებით შემოსა ანაპურნას დამპყრობნი.

მწვერვალთან ბრძოლაში, უსაზღვროებისაკენ სწრაფვაში ადამიანი იმარჯვებს, ჰპოვებს და განამტკიცებს, უპირველეს ყოვლისა, თავის თავს.

ბრძოლის უკიდურესი დაძაბულობისას, სიკვდილ-სიცოცხლის მიჯნაზე, სამყარო ქრება, თავდება ჩვენს გვერდით. სივრცე, დრო, შიში, ტანჯვა უკვე აღარ არსებობს. და მაშინ შესაძლოა ყველაფერი მისაწვდომი აღმოჩნდეს. როგორც ტალღის თხემზე, მძვინვარე ქარიშხლის დროს, უეცრად უჩვეულო სიმშვიდე გვეუფლება. ეს არ არის სულიერი გამოფიტვა, პირიქით, ეს არის სულის სიცხოველე, მისი აღზევება და სწრაფვა და მაშინ ღრმად ვირწმუნებთ, რომ ჩვენში არის რაღაც ურყევი ძალა, რომელსაც წინ ვერაფერი აღუდგება.

ამგვარად ანთებული ცეცხლი არასოდეს არ ჩაქრება. აუწერელ ტანჯვაში წარმოჩინდებიან ფასდაუდებელი საუნჯენი.

უკეთესი მერმისის მტკიცე რწმენა ხომ არ ამხნევებდა ერცოგს, მშვიდად დაეძლია თავისი გოლგოთა?!

და აი, მწვერვალი ჩვენს ფერხთაა. ოქროცურვილ ღრუბელთა ზღვაში ჩაძირულ მთებს მწვერვალები ცის ლაჟვარდში აუტყორცნიათ. ჰორიზონტს თვალს ვერ გაუწვდენ.

დაპყრობილი მწვერვალი უკვე კარგავს თავის ხიდიადეს. მართლაც ჩაითვლება თუ არა დასასრულად, ჩაითვლება თუ არა საბოლოო პასუხად დასახული მიზნის მიღწევა?

ლუსიენ დევი

ჰიმალაის კომიტეტისა და საფრანგეთის
ალპინიზმის ფედერაციის თავმჯდომარე.

ლუსიენ დეპიზ,
რომელიც ერთი ჩვენიანთაგანი იყო.

შესავალი

წიგნის დაწერა პირველად მომიხდა ჩემს ცხოვრებაში. წარმოდგენაც არ მქონდა, თუ ეს ასე ძნელი იქნებოდა.

ზოგჯერ სამუშაო დაუძლეველად მეჩვენებოდა, მაგრამ იმიტომ უფრო შევეჯიდე ამ საქმეს, რომ ამხანაგების სახელით მომეთხრო ჩვენს ტრაგიკულ ეპოპეაზე, იმაზე, რომ მხოლოდ სასწაულების წყალობით, რომლებიც ახლა დაუჯერებლად მეჩვენება, შევძელით სიცოცხლის შენარჩუნება.

ამ წიგნის ფურცლები მოგითხრობენ ადამიანთა გმირობაზე ულმობელ ბუნებასთან ბრძოლაში, მათს მღელვარებაზე, იმედსა და სიხარულზე. მე შეგნებულად მკაცრად ვიცავდი სინამდვილეს, ვცდილობდი გადმომეცა გარემომცველი ვითარების უჩვეულო ხასიათი და გამომესახა მომხდარი ამბები ადამიანის მიერ მისი აღქმის თვალსაზრისით.

* * *

მთელი ეს წიგნი ჩემი კარნახითაა ჩაწერილი ნეიის ამერიკულ ჰოსპიტალში, სადაც ამჟამადაც უსიხარულო დღეებს ვატარებ.

რა თქმა უნდა, თხრობას საფუძვლად უდევს ჩემი პირადი მოგონებანი. თუ ეს თხრობა საკმაოდ ზუსტი და სრულია, ეს პირველ რიგში მარსელ იშაკის დამსახურებაა, რომელიც ისეთი გულმოდგინებით აწარმოებდა ექსპედიციის დღიურს, ამ მნიშვნელოვან დოკუმენტს, რომ ზოგჯერ სწორედ მოვლენათა მიმდინარეობის ქარცეცხლში ახერხებდა წერას. დიდი სარგებლობა მომიტანა ლუი ლაშენალის პირადმა დღიურმა.

გარდა ამისა, თითქმის ყველა ამხანაგი დამეხმარა ცნობების დაზუსტებაში. ამგვარად, ეს წიგნი კოლექტიური ნაშრომია.

მისი ენა, რომელიც ხშირად სასაუბროში გადადიოდა, გაასწორა და დახვეწა ჩემმა ძმამ ჟერარ ერცოგმა. ჟერარს ვუზიარებდი როგორც მთამსვლელობაში განცდილ პირველ სიხარულს, ისე ჩემი ცხოვრების პირველ მძიმე განცდებს.

მისადმი რწმენა და მისი ყოველდღიური მხარდაჭერა რომ არა, მეეჭვება, ოდესმე ეს სამუშაო დამემთავრებინა.

ამ წიგნში მკითხველი ვერ იპოვის რობერტ ბუაიეს სახელს. მან კი ესოდენ ბევრი გააკეთა ჩვენი ექსპედიციისათვის. მისი მეგობრობა, მისი გულისხმიერება ჩემთვის ფასდაუდებელი დახმარება იყო უმძიმესი განსაცდელის დღეებში.

* * *

ჩვენთვის, ექსპედიციის ცხრა წევრისათვის, ეს წიგნი, მრავალ გარემოებათა გამო, მუდამ ძვირფასი იქნება.

თანასწორად ვიყოფდით შრომას, სიხარულსა და მწუხარებას. და ჩემი მხურვალე სურვილია, ძმებად დავრჩეთ მთელი სიცოცხლის განმავლობაში, თვით სამარის კარამდე.

საკუთარი ძალების მიჯნას რომ გავცდით და შევიცანით ადამიანის სამყაროს საზღვრები, სწორედ მაშინ ჩავწვდით ადამიანის ჭეშმარიტ სიდიადეს.

აგონიის ყველაზე საშინელ წამებში მომეჩვენა, რომ მე შევიცანი ცხოვრების ღრმა აზრი, ჩემთვის მანამდე იდუმალი. გავიგე, რომ სიმართლეს ვერავითარი ძალა ვერ შეედრება. უმძიმეს განსაცდელთა კვალი აჩნია ჩემს სხეულს, მაგრამ გადავრჩი და მოვიპოვე თავისუფლება. თავისუფლება, რომლის შეგრძნება აქამდე თან მდევს და მანიჭებს ვალმოხდილი ადამიანის რწმენასა და სიმშვიდეს. ის ავსებს ჩემს არსებას უსაზღვრო სიხარულით, მინერგავს იმის სიყვარულს, რაც ადრე მეზიზღებოდა. ახალ მშვენიერ ცხოვრებას ვიწყებ.

ეს წიგნი რაღაც მეტია, ვიდრე მოთხრობა, ეს დოკუმენტია. ზოგჯერ ის, რაც უაზრობად გვეჩვენება, ღრმა მნიშვნელობის შემცველია. ასეთია ერთი შეხედვით უმიზნო მოქმედების ერთადერთი გამართლება.



I

რევოლუცია სასახლეში

ვამგზავრების დრო მოახლოვდა. მოვრჩებით კი ოდესმე ამ სამზადისს? საფრანგეთის ალპინისტური კლუბის მთელი პერსონალი ფუსფუსებს.

ერთი თავისუფალი წუთიც არ რჩება, რომ რაიმე მოაწესრიგო. კორესპონდენციებით ავივსეთ. მაგიდებზე უამრავი ქაღალდია დახვავებული.

გამაყრუებელი რახარუხით იღებენ მანქანებიდან მძიმე ყუთებს, ისინი სავსეა მაღალ მთებში საჭირო ტანსაცმლითა და ფეხსაცმლით, ჟანგბადის ბალონებით, ნამცხვრით, ყველა ზომის ლურსმნით, კონსერვის გასახსნელი დანებით, კარვის შალითებითა და სხვა აღჭურვილობით.

ლა ბოეტის ქუჩაზე, № 7 სახლში, ყოველდღე ნაშუაღამე-

ვამდე ანთია სინათლე. ყველა ღელავს. ჰიმალაის კომიტეტი თითქმის ყოველ საღამოს თათბირობს. სრულ 9 საათზე ერთიმეორის მიყოლებით შემოდიან წარჩინებული პირები, მათზეა დამოკიდებული ექსპედიციის ბედი გამგზავრების პერიოდში. ამ საიდუმლო თათბირებზე სერიოზული გადაწყვეტილებანი გამოაქვთ. კომიტეტი ამტკიცებს ხარჯთაღრიცხვას, იხილავს მოსალოდნელ შემთხვევებს, წინასწარ ითვალისწინებს სარისკო სიტუაციებს და ბოლოს ნიშნავს მონაწილეებს.

უკვე რამდენიმე დღეა ექსპედიციის შემადგენლობა ვიცით. კარგი კოლექტივი გვეყოლება!

27 წლის მაღალ-მაღალი, სანდომიანი სახის ჟან კუზი ჩვენ შორის ყველაზე ახალგაზრდაა, იგი ბრწყინვალე ინჟინერია, ავიაციის სპეციალისტი. მიუხედავად იმისა, რომ ჟანი ახლადდაქორწინებულია, უყოყმანოდ ტოვებს ცოლს ლიზის, რათა მონაწილეობა მიიღოს ამ ამაღელვებელ ექსპედიციაში. ხანდახან თვალი გაუშტერდება ხოლმე, გეგონება, ელექტრონიკის თანამედროვე რთულ პრობლემებზე ფიქრი გონებიდან არ შორდებაო. როგორღაც ერთხელ, სწორედ გახურებული მზადებისა და საერთო ციებ-ცხელების დროს, ჟანი მოვიდა ჩემთან და სამხრეთული ტემპერამენტით (იგი წარმოშობით ნერაკიდანაა), ხელების მოშველიებით გამიბა ლაპარაკი იმაზე, თუ როგორ უნდა გაკეთდეს მარშრუტის სირთულის კლასიფიკაცია ასვლის დროს.

— დახედე ამ გრაფიკს, — მეუბნება იგი.

— მშვენიერი კიბეა!

— ეს დრიუს ჩრდილოეთი კედელია, — დიდის ამბით აცხადებს იგი, — ყველაფერი ნათელია!

— კი მაგრამ, შუა გზაზე რომ ქარიშხალი წამოგვეწიოს?

— შესაძლოა, მაგრამ... მერე რა, მაშინ გრაფიკს შევცვლით!

კუზის მუდმივი პარტნიორი მარსელ შაკი წამოვა ჩვენთან. ესენი შესანიშნავ ჩაბმას ქმნიან. შაკი ორი წლით უფროსია თავის მეგობარზე და უფრო ჩასკვნილი. მაგრამ ყოველთვის ელეგანტურია. არცაა გასაკვირი, რადგან იგი მამამისის მზა ტანსაცმლის ერთ-ერთი დიდი მაღაზიის მმართველია. მარსელს კარგი ორგანიზაცია, ყველაფერში წესრიგი და მეთო-

დურობა უყვარს. ასვლების დროს ხალისით კისრულობს ხოლმე ბანაკის მოწყობის საქმეს.

მარსელ შაცი ძალზე გატაცებულია ალპინიზმით და, რადგან უცოლშვილოა, არაფერი უშლის ხელს, შვებულება მთებში გაატაროს. თუმცა პარიზელია და, მაშასადამე, თავისი აღთქმული ქვეყნიდან მოშორებით ცხოვრობს, მაგრამ შაბათობით ქალაქში იშვიათად ნახავთ.

რაც შეეხება ლუი ლაშენალს, ის ჯერ კიდევ რამდენიმე წლის წინათ მხოლოდ მოყვარული იყო, ე. ი. ასვლებს საკუთარი სიამოვნებისთვის აწყობდა. ამჟამად იგი ალპინიზმისა და სათხილამურო სპორტის ეროვნული სკოლის მასწავლებელია. ლაშენალი „ხეობის“ მკვიდრი არ არის, ანესიდანაა, ამიტომ შამონის მკვიდრთათვის ის „უცხოელია“. თავისი მთების პატრიოტ ადგილობრივ მცხოვრებთა აზრით ასეთი წარმოშობა „არაწმინდად“ ითვლება. მიუხედავად ამისა, ლუიმ ლიონელ ტერაისა და გასტონ რებიუფასთან ერთად მოახერხა შესულიყო შამონის გიდების სახელგანთქმულ კომპანიაში, რომელსაც წევრთა რაოდენობისა და მათი დაოსტატების მხრივ ტოლი არა ჰყავს მსოფლიოში.

ლუი საშუალო ტანისაა, სწრაფი და გამჭოლი მზერა აქვს. შეუძლია ლაპარაკის დროს ზოგჯერ რაღაც დაუჯერებელი რამ წამოისროლოს. უსაზღვროდ უყვარს ყველაფრის გაზვიადება, ზოგჯერ განსაცვიფრებლად მსჯელობს, მაგრამ პირდაპირია და გულწრფელი, უყოყმანოდ აღიარებს ხოლმე თავის შეცდომებს. ის და ლიონელ ტერაი შემთხვევას არ უშვებენ, რათა, როგორც „მოყვარულებმა“, ალპების ყველაზე უფრო რთული მარშრუტები დალაშქრონ.

ლიონელ ტერაი თუმცა გრენობლის მკვიდრია, მაგრამ ისიც მეგზურად მუშაობს შამონში. ტერაი და ლაშენალი ერთად უძლეველ ჩაბმას ქმნიან. მათთვის დაბრკოლებები არ არსებობს. ტერაის უყვარს კატეგორიული და გადაჭარბებული მტკიცება. ისინი სულ ერთთავად ეჯიბრებიან ერთმანეთს — ვინ უფრო გააზვიადებს რამეს. უკანასკნელი სიტყვა ყოველთვის ტერაის ეკუთვნის. ლიონელი ინტელიგენტია, ექიმის შვილი. მიუხედავად ამისა, მოსწონს თავის მოჩვენება „ველურად“, რომლის იდეალი მხოლოდ მუსკულატურაა. გატა-

ცებულია თავისი პროფესიით. ომის დროს ლიონელს უშში ფერმა ჰქონდა და სამუშაოდ მხოლოდ იმას იღებდა, ვისაც მთები უყვარდა და შრომისა არ ეშინოდა. ეს პირობა არც თუ ისე ადვილი იყო, რადგან იგი ადამიანებზე თავისი თავის მიხედვით მსჯელობდა. ამჟამად ლიონელი კანადაშია. უკვე გასულ წელს ასწავლიდა იქ სათხილამურო სპორტის უახლეს ტექნიკას.

„ამჟამად, — მწერდა იგი, — თხილამურებით დავსრიალებ სამოთხეში". გამგზავრებამდე რვა დღით ადრე ლიონელი აქ გაჩნდება. ახლა მასთან მხოლოდ მიმოწერა გვაკავშირებს. ეს კი არც ისე ადვილია.

გასტონ რებიუფას ალპინისტისათვის და, მით უმეტეს, მეგზურისათვის „სამარცხვინო" წარმოშობა აქვს. ის დაიბადა ზღვის პირას. გიდების კომპანია კარგა ხანს ვერ ჩამოირეცხავს ამ „ლაქას". მაგრამ სწორედ კალანკის სანაპიროს ციცაბოებზე, მარსელსა და კასის შუა ეზიარა გასტონი კლდეზე ცოცვის ხელოვნებას. ექსპედიციის წევრთა შორის ის ყველაზე „სიმაღლოვანია" — ერთი თავით მაღლა დგას ყველა ჩვენგანზე. ალპების ყველაზე რთული კედლები აქვს გავლილი, თანაც ხშირად ერთიმეორის მიყოლებით. ახალგაზრდა ცოლი ფრანსუაზა და ქალიშვილი იშვიათად ხედავენ მას ალპინისტური სეზონის პერიოდში: ხან შამონშია, ხან კორტინა დამპეცოსა და ცერმატში... ამჟამად ლექციებს კითხულობს იტალიაში, მაგრამ მივწერ, რომ დაუყოვნებლივ დაბრუნდეს.

ეს ადამიანები შეადგენენ საიერიშო ჯგუფს. საფრანგეთში უკეთესებს ვერც იპოვიდით. სხვათა შორის, არავითარი, თუნდაც ჩუმი პროტესტი, ექსპედიციის ამ შემადგენლობას არ გამოუწვევია. ალპინისტთა შორის რომ პლებისციტი ჩატარებულიყო, ალბათ ამავე პირებს დაასახელებდნენ.

რაც შეეხება კინო-გადაღებას, აქაც არაფერია საყოყმანო. ჩვენთან მარსელ იშაკი მოემგზავრება და ეს მნიშვნელოვანი კოზირია ჩვენს თამაშში.

1936 წელს მარსელმა უკვე მოიარა ჰიმალაის მთები, მონაწილეობდა მრავალ ექსპედიციაში. მოუთმენლად ველით მის ჩამოსვლას, რადგან მისი რჩევები ჩვენთვის ფასდაუდებელი იქნება. ამჟამად იშაკი ისევ გრენლანდიაშია, პოლ ემილ ვიქ-

ტორთან[1] ერთად. შემდეგ ამერიკის შეერთებულ შტატებში გაეშურება, რომ ასპენაში მსოფლიო პირველობა გადაიღოს სათხილამურო სპორტში, აქ კი დაბრუნდება მხოლოდ რამდენიმე დღით ადრე, ინდოეთში გამგზავრებამდე. ათასნაირი საქმე ექნება მას ჩვენთან. ჯერ ერთი, უნდა გადაიღოს ფილმი ექსპედიციის შესახებ, მეორეც — პასუხისმგებელი იქნება ყველაფერზე, რასაც კი რაიმე კავშირი აქვს ფოტოსთან. ყველას მოგვაქვს ჩვენ-ჩვენი ფოტოაპარატი, მაგრამ ზრუნვა ფოტოაპარატურაზე, ფოტო-მასალებზე, გადაღებული ფოტოფირების გამომჟღავნებაზე, მას დაეკისრება. ინიციატივიანი და ცნობისმოყვარე მარსელი ჭკუითაც გამოირჩევა. და ამიტომ მასვე აქვს მინდობილი მთელი მეცნიერული დოკუმენტაციის წარმოება.

ალპინისტისათვის მთავარი საფრთხე ქალია. ეს უდავო ჭეშმარიტება ყველა ჩვენგანმა კარგად იცის. რაც შეეხება რშაკს, მან წარმატებით მოაგვარა ეს საკითხი... შეირთო მთამსვლელი ქალი.

ჩვენი ექიმი პირველხარისხოვანი ქირურგი ჟაკ უდო იქნება. ასე რომ თითოეულ ჩვენგანს უფლება აქვს, „რაც უნდა ის მოიტეხოს". ჟაკი ძალიან მოუცლელია და აგვიკრძალა შეგვეწუხებინა იგი სალპეტრიერის ჰოსპიტალში, სადაც თავისი შეფის მონდორას ხელმძღვანელობით სისხლძარღვების ქირურგიაზე მუშაობს. მისი გაბედული ოპერაციები დაუჯერებლად მეჩვენება ხოლმე და ნიადაგ ვეკითხები: „როგორაა საქმე?.. არ მომკვდარა?" უვიცის გულუბრყვილობა! ჩემი შეკითხვები ქირურგიაზე ყოველთვის მხიარულ გუნებაზე აყენებს უდოს. ქირურგი— ალპინისტები იშვიათად გვხვდებიან. უდოს კარგად ვიცნობ და ვიცი, რისი უნარიც შესწევს. ჰიმალაიში მისი წამოსვლა პირდაპირ მისწრებაა ჩვენთვის.

— აბა, რას იტყვი, უდო, გადაწყვიტე?

— რა თქმა უნდა, მომხიბვლელი წინადადებაა, მაგრამ იცი... ხვალ გეტყვი პასუხს, — მპირდება იგი.

ეს ჯანჯლობა უკვე მთელი კვირაა გრძელდება. მე და დევი, თითქოს ეკლებზე ვსხედვართ. ბოლოს, გამგზავრებამდე

---

[1] არქტიკის ცნობილი ფრანგი მკვლევარი.

ორი დღით ადრე, როგორც იქნა გამოვგლიჯეთ მას დიდი ხნის ნანატრი თანხმობა.

ჟაკმა თვალყური უნდა ადევნოს ექსპედიციის მონაწილეთა ჯანმრთელობას, საჭირო შემთხვევაში უმკურნალოს მათ, გამუდმებით მაცნობოს ამხანაგების სპორტული ფორმისა და აკლიმატიზაციის მდგომარეობა... მეორე მხრივ, ის შეძლებისდაგვარად უმკურნალებს კიდეც ადგილობრივ მოსახლეობას.

ყველაზე ძნელია მეკავშირე ოფიცრის შერჩევა. სჯობდა ფრანგი აგვეყვანა, უფრო იოლად გავუგებდით ერთმანეთს. გვირჩიეს კიდეც ნიუ-დელის ჩვენი საელჩოს ვიღაც ახალგაზრდა დიპლომატის აყვანა. მეკავშირე ოფიცრის მოვალეობანი მეტად რთულია: გარდა ინგლისურისა, იგი უნდა ლაპარაკობდეს ძირითად ადგილობრივ კილოებზეც — გურკალზე, ტიბეტურზე... მანვე უნდა მოაგვაროს ტრანსპორტის საკითხები და დაამყაროს დიპლომატიური ურთიერთობა ნეპალის ხელისუფლებასთან, როგორც დედაქალაქ კატმანდუში, ისე იმ რაიონებშიც, სადაც ექსპედიცია გაივლის. ამ თვალსაზრისით ფრანსის დე ნუაელი იდეალს წარმოადგენს. თვითონაც თავგამოდებული მთამსვლელია და კარგად იცნობს მთებს, ამას კი ჩვენი გუნდისთვის, რა თქმა უნდა, არსებითი მნიშვნელობა აქვს.

იგი ექსპედიციის ერთადერთი მონაწილეა, რომელსაც პირადად არ ვიცნობ, თუმცა მისმა მშობლებმა და დებმა ისე მიქეს, ასე მგონია, მთელი სიცოცხლე ვმეგობრობდით. ჯანღონით სავსე თვალებციმციმა ჭაბუკი უცებ პოულობს ხოლმე გამოსავალს ყოველგვარი მდგომარეობიდან, ენაზეც ჭალი არ მოედება. სულ ახლახან ფრანსისი კატმანდუში იყო, თან ახლდა ინდოეთსა და ნეპალში მოგზაურობისას ჩვენს დიპლომატიურ წარმომადგენელს დანიელ ლევის, რომელიც ამ ქვეყნებში დიდი ავტორიტეტით სარგებლობს. ფრანსისი მონაწილეობდა მოლაპარაკებაში, რომლის შედეგად ექსპედიციას ნეპალის შიდა რაიონებში შეღწევის ნება დართეს, ხოლო ინდოეთში, ჰიმალაის რამდენიმე ექსპედიციის მონაწილე, პროფესორი რაოლი დაეხმარება ფრანსისს, დაიყაბულოს დარჯი-

ლინგელი შერპები[1], რომელთა უმრავლესობას იგი პირადად იცნობს. ასეთია ჩვენი გუნდი.

მისი ყველა წევრი გამოცდილი მთამსვლელია. თითოეულ მათგანს მკაფიოდ გამოსახული ინდივიდუალობა და თავისებური ხასიათი აქვს. ყველას სწყურია, მოხვდეს „კუნძულებზე“[2], რომელზედაც წლობით ვოცნებობთ, სანუკვარი ოცნებისა განხორციელებისათვის არაფერს იშურებენ. მშვენივრად გამოთქვა ეს აზრი ლაშენალმა:

— მზად ვარ იქამდე მუხლებზე ფორთხვით ვიარო!

— სიხარულით! — უმატებს რებიუფა.

მართლაც, უნდა გამოვტყდე, რომ ისინი ამ იდეამ სრულიად უანგაროდ გაიტაცა. გამგზავრებამდეც იციან, რომ მათი აქ არაფერია და დაბრუნების შემდეგაც არაფერს ფიილებენ[3].

უანგაროა ამ ადამიანთა მიზანსწრაფვა და ეს უზრუნველყოფს სხვადასხვა წარმოშობისა და თითქმის საწინააღმდეგო ხასიათების მქონე ალპინისტთა ერთსულოვნებას.

გამგზავრებამდე თითზე ჩამოსათვლელი დღეებიღა დარჩა. მე და შაცი მომწოდებლებთან სირბილს ვუნდებით. დიდი ბრძოლის ფასად ვღებულობთ, რაც გვჭირდება. ყოველ საღამოს მოდის, იტვირთება და ლაგდება სრულიად წარმოუდგენელი ნივთები, რომელთა წონა რამდენიმე გრამიდან ასეულ კილოგრამამდე აღწევს.

მკლავები გვტკივა უამრავი აცრისაგან: ყვითელი ციებცხელებაო, ქოლერაო, ყვავილიო... მაგრამ ვინ უყურებს

---

1 შერპები ნეპალის აღმოსავლეთ ნაწილის ერთ-ერთი მთიანი რაიონის მცხოვრები ეროვნებაა, რომელიც ბუდისტურ სარწმუნოებას აღიარებს. ეს მთიელები „სანახევროდ პროფესიონალები“ არიან ჰიმალაის ექსპედიციებში. მათ დაიქირავებენ ხოლმე ხელშეკრულებით.

2 არც თუ ისე მოხერხებული სიტყვების თამაშია. ფრანგმა მთამსვლელებმა ალპინისტურ ჟარგონზე ლაპარაკისას „J' Hymalaya“ შეამოკლეს „iles-ად“, რაც ნიშნავს „კუნძულებს“. ამით ხაზს უსვამენ, რომ ალპინისტებისათვის ჰიმალაის მთები დანარჩენი სამყაროდან ბუნებრივად გამოყოფილი, რაღაც სამოთხის მსგავსი მხარეა.

3 მთელი შემოსავალი უკლებლივ შემდგომი ექსპედიციების დაფინანსებისათვის განკუთვნილ ფონდში უნდა შევიტანოთ.

ამას! ძალ-ღონეს არავინ იშურებს, რომ ყველაფერი დროულად მომზადდეს.

28 მარტს, საღამოს, ჰიმალაის კომიტეტის უკანასკნელი სხდომაა, რომელსაც ექსპედიციის ყველა მონაწილე ესწრება.

კომიტეტის თავმჯდომარე და ექსპედიციის ინიციატორი ლუსიენ დევი, ჰიმალაის ეპოპეის მოკლე ისტორიული მიმოხილვის შემდეგ, ჩვენს ამოცანებს აზუსტებს.

— თავისი სიდიადის გამო[1] სრულიად სამართლიანად შეარქვეს ჰიმალაის მსოფლიოს მესამე პოლუსი. სხვადასხვა ქვეყნის ოცდაორმა ექსპედიციამ სცადა რვაათასიანის დაპყრობა, მაგრამ ვერცერთმა ვერ მიაღწია ამას.

შემდეგ მან განსაზღვრა ჩვენი ექსპედიციის მიზანი:

— დჰაულაგირი (8167 მეტრი), ან ანაპურნა (8075 მეტრი) შუაგულ ნეპალში. თუ მათი დაპყრობა არ მოხერხდა, რაშიც სამარცხვინო არაფერი იქნება, ასვლა „მანუგეშებელ“ მწვერვალებზე უნდა მოეწყოს.

ექვსი ტონა სანოვაგითა და საჭურვლით დატვირთულმა ექსპედიციამ უნდა გადაკვეთოს ინდოეთის საზღვარი და შეაღწიოს ნეპალის ტერიტორიაზე, რომელიც აქამდე აკრძალულ ზონად ითვლებოდა. მაღალმთიანი ხეობების მიმართულებით სამი კვირის მგზავრობის შემდეგ, ექსპედიცია მიაღწევს ტუკუჩას — ნეპალის ამ „შამონს“, რომელსაც შესანიშნავი გეოგრაფიული მდებარეობა აქვს. მართლაც ეს სოფელი დჰაულაგირსა და ანაპურნას შორისაა გაშენებული.

ჰიმალაის წინანდელი ექსპედიციები ასვლის ობიექტებს ცნობილ და უკვე გამოკვლეულ რაიონებში ირჩევდნენ. ჩვენ კი არავითარი მონაცემები არა გვაქვს ჩვენი ორი „რვაათასიანის“ შესახებ. მისასვლელი გზები სრულიად უცნობია. რუკები, რომლებიც ექსპედიციას გააჩნია, არაზუსტია და მაღალმთიანეთში პრაქტიკულად გამოუყენებელი. ამგვარად, ჩვენს ამხანაგებს ძირითად ბაზაში — ტუკუჩაში მისვლისას, პირველ რიგში, ორივე მასივის დაზვერვა მოუხდებათ. როდესაც ისინი გაეცნობიან ადგილს და იერიშის გეგმას დასახა-

---

[1] ჰიმალაის მთაგრეხილი ვრცელდება დაახლოებით 3000 კილომეტრზე. მასში შედის 200 მწვერვალი, რომელთა სიმაღლე 7000 მეტრს აღემატება, ხოლო 14 მწვერვალი 8000 მეტრზე უმაღლესია.

ფენ, მხოლოდ ამის შემდეგ გახდება შესაძლებელი, რომ ახსნა სცადონ.

ჩვენი მეგობარი ლუსიენ დეკი განაგრძობს:

— აუცილებელი იქნება სამედიცინო, გეოლოგიური, ეთნოგრაფიული, მეტეოროლოგიური და გეოგრაფიული გამოკვლევების ჩატარება...[1] ვეებერთელა ამოცანაა!

მე სავსებით მჯერა ამხანაგებისა. უკეთესი გუნდის შეკრება ამჟამად შეუძლებელია. ყველამ იცის ერთიმეორის ღირსება. ჩვენი საჭურველი და სხვა აღჭურვილობა აგრეთვე წარმატების რწმენას გვინერგავს. საფრანგეთის მრეწველობამ დაუფასებელი დახმარება გაგვიწია. რამდენიმე თვის განმავლობაში დააპროექტა და დაამზადა უაღრესად მსუბუქი, გამძლე და მოხერხებული საჭურველი.

რის დამატება შეიძლება? არის რამე გაურკვეველი?

ბნელი, პირქუში ოთახი, სადაც ჩვენ შევიკრიბეთ, დღეს დიდებული და საზეიმო მეჩვენება.

ყველაფერი ითქვა! ამ პაუზის შემდეგ ჩვენთვის იწყება ჟამი ჩვეულებრივი თავგადასავლებისა, რომელთა წარმოდგენა ჯერ არ შეგვიძლია, მაგრამ როგორც მთამსვლელები, უკვე ვითვალისწინებთ.

წყდება კავშირი ამ წარჩინებულ, გონებადამჯდარ პიროვნებებსა და მზემოკიდებულ, სიცოცხლით სავსე ექსპედიციის წევრთა შორის.

შემდეგ დგება ლუსიენ დეკი. მცირე პაუზის შემდეგ მკაფიოდ ამბობს — ბატონებო, აი ფიცი, რომელიც თქვენ ისევე უნდა დასდოთ, როგორც თქვენმა წინამორბედებმა 1936 წელს: „ვფიცავ პატიოსნებას, რომ დავემორჩილები უფროსს ყველაფერში, რასაც კი იგი ექსპედიციის წარმატებისათვის საჭიროდ მიიჩნევს!“

მთამსვლელებს არ უყვართ ცერემონიები. ჩემი ამხანაგები დგანან დარცხვენილნი და აღელვებულნი. რა უნდა გააკეთონ?

---

[1] 1951 წლის 23 აპრილს საფრანგეთის მეცნიერებათა აკადემიის სხდომაზე შედგა მოხსენება ექსპედიციის მიერ ჩატარებული გეოლოგიური გამოკვლევების შესახებ. ამ დაკვირვებებმა შესაძლებელი გახადეს ცენტრალური ჰიმალაის ძირითადი გეოლოგიური სტრუქტურის დაზუსტება.

— მაშ ასე, ბატონებო! დაიწყე, მატა![1] შენ ხომ ვეტერანი ხარ!

ანრი დე სეგონი — ჰიმალაის 1936 წლის ექსპედიციის უფროსი — თავის სიმაღლეზე აღმოჩნდა, მისი დახმარებისა და რჩევა-დარიგების წყალობით ჩვენმა ექსპედიციამ მოიგო პირველი ბრძოლა — გამგზავრება. ახლა იგი კვლავ იჩენს ინიციატივას:

— აბა, მატა!

იშაკის ფიცთან თითქმის ერთდროულად გაისმის ტერაის გაუბედავი ხმა. რიგრიგობით ყველა ფიცს დებს, რომ დაემორჩილება ექსპედიციის უფროსს ყოველგვარ ვითარებაში და განსაკუთრებით გადამწყვეტ მომენტებში.

იქნება მათ სიცოცხლეზეა ლაპარაკი.

მათ ეს იციან და სავსებით მენდობიან.

მინდა ორიოდე სიტყვა ვთქვა, მაგრამ არ შემიძლია. ვერავითარი გრძნობა ვერ შეედრება ამ უსაზღვრო ნდობას ადამიანისა ადამიანისადმი, ვინაიდან ის ყველა სხვა გრძნობას მოიცავს.

ამ წუთში დაიბადა ჩვენი ამხანაგობა. მე მოვალე ვარ გავუფრთხილდე მას.

კომიტეტი ფართოდ წყვეტს საკითხებს, მე მაკისრებს მთელ პასუხისმგებლობას ექსპედიციაზე და ამავე დროს მანიჭებს მოქმედების სრულ თავისუფლებას.

კრება თავდება, მაგრამ ეს საღამო უკვე ჩამშხამდა: საფრანგეთის ალპინიზმის წარმომადგენელი პიერ ალენი, რომელმაც ესოდენ ბევრი გააკეთა ყველა ჩვენგანისათვის, ვერ მოემგზავრება ჩვენთან, ომის წლებით შერყეული ჯანმრთელობა საშუალებას არ აძლევს მონაწილეობა მიიღოს ხანგრძლივ ექსპედიციებში. ყველაზე უკეთ მე ვიცი, რას ნიშნავს მისთვის ჰიმალაი, დღეს — ეს დაკარგული სამოთხეა. ალენი არ იმჩნევს შინაგან განცდებს, იღიმება კიდევაც, უხარია ჩვენი გამგზავრება. იქ, შორს, აზიაში, არაერთხელ მოვიგონებთ ახლო მეგობარს, რომელსაც ბედმა დაგვაშორა.

დღეს 29 მარტია. ყველანი, ვინც კი ეხმარებოდა ექსპედიციას, შეიკრიბნენ აქ, ამ დარბაზში, ბოეტის ქუჩაზე, რათა გა-

---

[1] მარსელ იშაკი.

გვამხნეონ გამგზავრების წინ. ანრი დე სეგონი რაღაცას გვიხსნის. მე ხან ერთთან ვარ და ხან მეორესთან.

ლუბრი, ავიაკომპანიის შეფ-პილოტი ტელეფონთან მიხმობს.

— ალო! ლუბრი ვარ, ბურეედან[1] გელაპარაკები! იცით, რამდენს იწონის თქვენი ბარგი?

— სამტონანახევარზე ცოტა მეტს!

— ოთხნახევარს!

— . . . !

—როგორც გინდათ, ისე მოეწყვეთ, მე მხოლოდ სამნახევარი მიმაქვს. დანარჩენი ტვირთი სასწრაფო მედიკამენტებია ინდოჩინეთისათვის.

სასოწარკვეთილება მიპყრობს. თითოეულს მიცემული ჰქონდა წონის გარკვეული ლიმიტი. ყველა ბარდანა, ყუთი, ტომარა — გადათვლილი, აღწერილია... მაგრამ ფაქტი ფაქტად რჩება — ზედმეტი ტონა თვითმფრინავ DC-4-სათვის, რა თქმა უნდა, ბევრია.

მაგონდება შემფუთველი რომ მეუბნებოდა: „მუსიე, ყველაფერი საიმედოდ უნდა იყოს!“ როგორი ვაივაგლახით დავარწმუნე იგი, რომ ყუთები თუნუქით არ შეეკეედა! რაც შეეხება უდოს, მე ის არაერთხელ გავაფრთხილე, რომ არავითარ შემთხვევაში არ გადაეჭარბებინა 80 კილოგრამისათვის.

— შესაძლოა რამდენიმე კილოგრამით მეტი დამიგროვდესო, მითხრა. დღეს დილით კი გამომიტყდა:

— იცით, რამდენი მიმაქვს თან?

— ალბათ ას კილოზე არანაკლები...

— ორას ორმოცდაათი!

ამ განცხადებას არც თუ ისე აღფრთოვანებით შევხვდი. განა შემეძლო მეფიქრა იმ დროს, რომ მე ვიქნებოდი მისი ფარმაცევტული მარაგის მთავარი მომხმარებელი?

— დაიცადეთ, მაიორ... იქნებ რაიმე ვიღონოთ! — სული მეხუთება მღელვარებისაგან, ავიაკომპანიის მმართველი აქაა! დაიცადეთ, მაიორ, არ დადოთ ყურმილი!

როგორც იქნა, ვიპოვეთ გამოსავალი. მედიკამენტები გაი-

---

[1] აეროპორტი პარიზის ახლოს.

გზავნება მეორე სარეისო თვითმფრინავით და მივა თავის დროზე.

ძლიერი მღელვარების შემდეგ ჯერ კიდევ სულმოუთქმელი დარბაზში დავბრუნდი. მოწვეულებმა წარმატება გვისურვეს და უმრავლესობა წავიდ-წამოვიდა. გამგზავრების წინადღე ძალიან გამიგრძელდა.

გავწამდი. ნერვები უკიდურესობამდე მაქვს დაძაბული. ამაოდ ვცდილობ დავიძინო. დიდხანს ვსინჯავ გუნებაში მთელ საჭურველს, რომელიც თან მიგვაქვს. ხომ არ დაგვავიწყდა რაიმე მნიშვნელოვანი? საკმარისია დაიკარგოს წრიაპებიანი ყუთი და ექსპედიცია ჩაიშლება.

ვცდილობ წარმოვიდგინო ჩვენი ცხოვრება ამ გამოუკვლეველ მხარეში, სადაც ბევრი აუცილებელი რამ არ გვექნება.

ძილი ცხრა მთას იქით დაიკარგა.

მეხსიერებაში ამოტივტივდა საფრანგეთის ალპური კლუბის ვესტიბიულში მედიკამენტებთან მოფუსფუსე, ოფლში გაწურული უდოს სასაცილო ფიგურა. ნეტავი მოაქვს თუ არა ყველაფერი? ხომ არ დაავიწყდა მისთვის რაიმეს თქმა დოქტორ კარლოს, რომელსაც მდიდარი გამოცდილება აქვს მიღებული 1936 წლის ექსპედიციაში? ექნება თუ არა ჟაკს ადგილობრივ მკვიდრთა სამკურნალოდ საჭირო წამლები და ყველაფერი, რაც აუცილებელია „დოქტორი საჰიბის“ პრესტიჟის დასაცავად?

ძილი კი კვლავინდებურად არ მეკარება.

კარგად აუცრეს თუ არა ლუი ლაშენალს, გასტონ რებიუფასა და ლიონელ ტერაის? წესრიგში აქვთ საბუთები? უამისოდ ყარაჩზე გავლის დროს შეუძლიათ დაგვაკავონ, ვიშოვით თუ არა კოღოებისაგან დასაცავ ისეთ საიმედო ბადეებს, რომ მალარიას გადავურჩეთ?

ისევ და ისევ ამაოდ ვცდილობ დავიძინო.

ეს მთებიც... ნეტავი როგორები არიან ისინი?

ტუკუჩა მდებარეობს 2500 მეტრზე ზღვის დონიდან, მწვეტვალები 8000 მეტრს აღწევენ. ვარდნილობა ხუთნახევარი კილომეტრია და ამ მანძილზე ბუნებას უთვალავი დაბრკოლებანი და საშიშროებანი დაუგროვებია.

გვეყოფა კია ფიზიკური და მორალური გამძლეობა, ამხანაგური ერთსულოვნება, რომ სიმაღლის გავლენა და მისგან გამოწვეული ყველა შედეგი დავძლიოთ? ნაადრევად ხომ არ დადგება მუსონი?

არ მეძინება, მართლაცდა რა დამაძინებს!

განთიადი წყვეტს ჩემს მოუსვენრობას. უკანასკნელი ღამე ევროპის კონტინენტზე დამთავრდა — დროა ავდგეთ და ლე ბურჟეს აეროდრომისაკენ გავემგზავროთ.

II

ჯუნჯულები

საშინლად დაღლილ უდოს აფრენისთანავე ჩაეძინა. ასე იძინებს იგი დელიმდე. დროგამოშვებით ჩვენი ექიმი ცალ თვალს ოდნავ ახელს და ბუზღუნებს — ჯანდაბას ეს დაფრენები! ხანდახან იშაკს ეკითხება: როგორაა ჩემი წრუწუნა? ყური უგდე, არ გაიპაროს!

ამ წრუწუნას ინდოელი ექიმებისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს. მას აუცრეს ბაქტერიების კულტურა, რომლის წმინდა ნიმუშები, მალარიის ზოგიერთი ნაირსახეობის გამოსაკვლევად აუცილებელი, ინდოეთში უკვე მოისპო.

ინდოეთი! თვითმფრინავის ფანჯრიდან ჩემ თვალწინ გადაშლილი ხედი ძველ ქალაქს მოხენჯო დაროს მაგონებს, არიელთა თავდასხმას, ვედის ტაძარს — კაცობრიობის ამ პირველ ძეგლს.

ჩვენი ელჩი დანიელ ლევი და საელჩოს მთელი შემადგენლობა პალამის აეროდრომზე გვხვდებიან და გვეხმარებიან ადმინისტრაციული საქმეების მოგვარებაში. ინდოეთის საბაჟოს მოხელეები პირველად ხედავენ ციდან[1] ჩამოფრენილ ექსპედიციას, რომელსაც მთელი ბარგი და იარაღი თან მოაქვს.

— გთხოვთ მოგვცეთ თქვენი ბარგის სია ინგლისურ ენაზე, სადაც ნაჩვენები იქნება წონა, ღირებულება, ზომები...

— მომითმინეთ, აქ ხომ ორმოცდათი ათასზე მეტი დასახელების ნივთია.

---

[1] თვითმფრინავით.

მოხელე წარბშეუხრელად განაგრძობს:

— თქვენ ნებადართული გაქვთ გაიაროთ მხოლოდ ტრანზიტით. უკანდაბრუნებისას იგივე ბარგი თან უნდა იქონიოთ.

— მაგრამ ნეპალში ხომ რაღაც უნდა ვჭამოთ და თუ რაიმე გავასაჩუქრეთ ან დავკარგეთ, ვთქვათ, თოფი ან კარავი?

ჩანს, ამოცანა არც ისე იოლია. საბაჟოს უფროსი კეთილი ღიმილით გვეუბნება.

— ბარგს, თუ გნებავთ, საწყობში შეგინახავთ ექსპედიციის მთელი დროის განმავლობაში. ნუ ჰწუხხართ, ხელს არავინ ახლებს.

— მაგრამ ჩვენ უბარგოდ რა ვქნათ?

— შეგიძლიათ გაემგზავროთ ნეპალში. როცა დაბრუნდებით, ბარგს უკანვე წაიღებთ.

მდგომარეობა იძაბება.

„რა დაგრჩენიათ ამ ჰიმალაიზე? — ვკითხულობ მებაჟის თვალებში, — დაე, იქ ღვთისმოსავებმა იარონ...“

„ჩვენც ღვთისმოსავნი ვართ, — ვუპასუხებ გუნებაში, — თაყვანს ვცემთ მთებს...“, მაგრამ ვერ ვბედავ, ჩემი მოსაუბრე ღრმა ფიქრებიდან გამოვარკვიო.

— რა გაეწყობა!.. (მგონი გვეშველოს რაღაც), მაშინ თვითმფრინავსაც დავაყოვნებ!

უკან ვიხედები: ნეტავ ლუბრის გული ხომ არ შეუღონდა? რა თქმა უნდა, ეს საქმეც მოგვარდება, როგორც ყოველთვის ხდება ხოლმე, როცა არ გეჩქარება.

იშაკი კუთხეში მიმდგარა და ძლივს იოკებს თავის მშფოთვარე ტემპერამენტს. გაბრაზებული, მებაჟის თავის ქალას ხატავს და ამაში აქსოვს მთელ გულისწყრომას.

— იდეალური გეომეტრიული ფიგურაა, მაგრამ განტოლებით ვერ გამოხატავ! — ჩასჩურჩულებს კუზი.

ორდღიანი მოლაპარაკების შემდეგ საბაჟოს სიძნელეები მოგვარდა და ოლდ-დელის[1] ვაგზალზე გადმოვბარგდით. ეს ადვილი როდია. მით უმეტეს, რომ ღამე გვიხდება მუშაობა. ძლივს მოჩანს პატარა სავაჭრო ფარდულების ბნელი ფასადები;

---

[1] ოლდ-დელი — ძველი ქალაქი, ნიუ-დელი ახალი ადმინისტრაციული დედაქალაქი.

იქით აცეტილენის ფარნის კაშკაშა, თვალისმომჭრელი შუქი, აქეთ მოლიცლიცე ჭრაქები ანათებენ გამვლელთ და ფანტასტიკურ ჩრდილებს აფენენ. საძაგელი სუნი გულს მირევს. ირგვლივ ჯოჯოხეთური ხმაურია. ძლივს აღწევ თავს უამრავ „ტონგას“[1].

ვაგზალზე, წარმოუდგენელ ქაოსში ოფლით გახვითქულ შაცს ვპოულობ. იგი ყუთების გროვაზე..მოკალათებულა და ორმოციოდე მზიდავის გასაგონად გაჰყვირის. ზოგიერთ მათგანს, ბეტელის ხანგრძლივი ღეჭვის შედეგად, სისხლივით ჩასწითლებია კბილები. წითელ დოლბანდებსა და ტყავის დამსკდარ ღვედებზე დაკიდებულ ბალთებზე ეტყობათ თავისი ხელობა.

— ცხრა, ათი ანა![2] ო, კეი! ეს შენ!.. დაიცადე... შენ ხომ უკვე იყავი! აბა, ჩქარა, შემდეგი!..

ირგვლივ უკუნეთია. შაცი სულ ოფლად იღვრება: „როგორ, გეცოტავება?“ მზიდავები ყვირიან, ხელებს იქნევენ. ჩანს, დათმობაზე უნდა წავიდეთ.

— სამი ანა! — ყვირის შაცი და ჰინდის ენის მთელ ცოდნას იყენებს. ის იყო, ყველა გაისტუმრა, რომ ხმაურიანი „კონცერტი“ თავიდან დაიწყო.

— ისინი ბაკშიშს (დამატებითი საჩუქარი) მოითხოვენ, — მიხსნის სრულიად თავგზააბნეული შაცი, — ჩქარა მოვუსვათ აქედან!

რებიუფა, ტერაი და შაცი უნდა გამოყვნენ იმ ბარგს, რომელსაც ამას იქით ჰაერით ვეღარ გადავიტანთ.

შემდეგ თვითმფრინავით ლაკჰნაუში მივემგზავრებით. ვერ მოვასწარით „ბაჰარატ ერუეიზის[3] მანქანაში მოვკალათებულიყავით, რომ სამი შესანიშნავი სიკჰი[4] — კეთილშობილი გარეგნობისა და საუცხოო წვერიანი სამი გოლიათი გამოგვეცხადა.

---

1 ვეღორიქშა.

2 რუპიაში 16 ანაა. 1950 წელს რუპია უღრიდა 74 ფრანკს.

3 ინდოეთის ავიაკომპანია.

4 რელიგიური ზნე-ჩვეულების თანახმად სიკჰებს უფლება არა აქვთ თუნდაც ერთი ღერი თმა მოიჭრან.

მუქკანიანი, დიდებული დოლბანდებით თავშემკული დიდრონ-თვალება სიკჰები წარუშლელ შთაბეჭდილებას ტოვებენ ჩვენ-ზე. მათთან შედარებით მოკლეშარვლიან ბიჭუნებს ვგავართ.

— შეხედე, — ამბობს კუზი, — ისინი სადაცაა ტანსაც-მელში გაიხლართებიან.

— დიდებული ტიპაჟია! — აღტაცებით შენიშნავს იშაკი.

— ღმერთო მომკალი! ესენი ხომ პილოტები არიან! — წა-მოიძახა უდომ.

დელიდან ლაკჰნაუმდე ხანმოკლე ფრენისას განცვიფრე-ბულნი ვრჩებით უჩვეულო პილოტების მაღალი ოსტატობითა და ფრენის სინარნარით.

აქ, ლაკჰნაუში, პირველად ვხვდები ჩვენი შერპებიდან ყვე-ლაზე ახალგაზრდა ანგავას და მათ სირდარს.[1] ვიწროლიანდა-გიანი რკინიგზის ბოლო სადგურში და ნეპალის საზღვარზე ვე-ცნობით დანარჩენ შერპებს.

ცნობისმოყვარეობითა და მღელვარებით შევცქერი, პირ-დაპირ თვალებით ვჭამ ამ ტანმორჩილ, კუნთმაგარ ადამიანებს, სწორედ ამ თვისებებით განსხვავდებიან ისინი მეტწილად გამხ-დარი ინდოელებისაგან.

შერპების ერთგულება და თავგანწირვა საყოველთაოდ ცნობილია. ისინი ჩვენი სრულუფლებიანი ამხანაგები იქნებიან ასვლის დროს. გზადაგზა თვალყური უნდა ვადევნო, რომ ისი-ნი არავინ დაჩაგროს.

ჩვენი საჭურველი ერთნაირი იქნება. ცხოვრებითაც ჩვენს ხვედრს გაიზიარებენ, მათ უსაფრთხოებაზეც ისევე ვიზრუნებ, როგორც ჩემი ამხანაგების ბედზე.

შერპების სირდარი ანგ-თარკე ყოჩაღი კაცია. ის უცილო-ბელი ავტორიტეტით სარგებლობს ამხანაგებსა და მზიდავებში, მტკიცე და თავგამოდებული ბუდისტი დიდ მორალურ გავლე-ნას ახდენს მათზე.

სხვა შერპებიც, პანზი, დავატონდუპი, სარკე, ფუთარკე, აილა, ანგავა და აჯიბა საკმაოდ გამოცდილები არიან; ექსპე-დიციაში ყოფნისას არაერთხელ გამოჩნდება მათი სიყოჩაღე და უნარიანობა.

---

[1] სირდარი — უფროსი, შეფი.

ჩვენი ახალი ამხანაგების, შერპების დახმარებით პაპანაქება სიცხეში ნაუტანვაში გადმოვბარგდით; ოთხნახევარი ტონა საჭურველი დაემატა ტონანახევარ სურსათს, რომელიც დე ნუაელის წინდახედულობის წყალობით უკვე გველოდება ბაქანზე.

როგორც იქნა, 5 აპრილს, ნეპალის სამეფო გვიღებს თავის კარს.

ტიბეტივით ნეპალიც, მსოფლიოს სხვა ქვეყნებთან შედარებით, უფრო მაღლა მდებარეობს. დედამიწის სფეროს თოთხმეტ უმაღლეს მწვერვალთაგან რვა ნეპალშია. დაუმკვიდრებია რა დიდი ჰიმალაის კედელი, ეს შვიდმილიონიანი სახელმწიფო სიგრძით ექვსას, ხოლო სიგანით ორას კილომეტრზეა გადაჭიმული. ტერაი[1], — რაიონი, რომელიც ეკვრის ინდოეთს. დაფარულია ჯანმრთელობისათვის მავნე, უხვი ტროპიკული მცენარეულობით.

ხან მწველი, გავარვარებული მზით გადახრუკული, ხან კი, მუსონის დროს, ნიაღვრებით წალეკილი ეს ადგილი, გასაოცარ სანახაობას წარმოადგენს.

ამ მრისხანე ბუნებრივ სიმაგრეს შეფარებია გურკების ტომი. ჩრდილოეთის გურკები ბუდისტები არიან, სამხრეთისა — ინდუსები, მაგრამ ერთნიცა და მეორენიც ეჭვის თვალით უყურებენ უცხოელებს, გულმოდგინედ მისდევენ ტრადიციებს და ხელშეუხებლად ინახავენ თავისი წინაპრების სულიერ მემკვიდრეობას. ამ მთიელებს მტკიცე ნებისყოფა და თანდაყოლილი კეთილშობილება ახასიათებთ.

ჩვენი „ჯიპი“ მტვრიან ოღროჩოღრო გზას მიჰყვება. აქედან ათი კილომეტრის დაშორებით, კიპლინგისათვის ესოდენ ძვირფას სივალიკის მთების ძირას, მდებარეობს სოფელი კაპილავასტუ (ამჟამად რუმინდეი). აქაური ბუნება თავისი სიდიადით ვერ გაგაკვირვებთ. ამ სოფელში ათასი წლის წინათ დაიბადა ადამიანი, რომლის სიჭაბუკე პოეზიით იყო მოსილი, ხოლო ცხოვრება — სიბრძნით აღსავსე. გაუტამა ბუდამ თავისი ახალგაზრდობა სწორედ აქ გაატარა, ქვეყანაში, რომელიც ახლა ჩემ თვალწინაა გადაშლილი. შესაძლოა ერთ-ერთი ყველაზე ბრძნული და მშვენიერი სარწმუნოების ფუძემდებელი ოდეს-

---

[1] არაჯანსაღი ადგილი, რომელიც გაშლილია ჰიმალაის პირველი ქედების ძირას და „ჰიმალაის ტროტუარად“ იწოდება.

ღაც ამავე ბილიკებზე დადიოდა, რომელზეც ახლა ჩვენ მივა-ბიჯებთ.

ნეპალის პირველი სოფელი ბუტვალი განგის ვრცელი ვა-კისა და მთების მიჯნაზეა გაშენებული. აქ ვცვლით ფულს, რადგან მთებში, და განსაკუთრებით შორეულ რაიონებში, ად-გილობრივი მკვიდრნი არ სცნობენ ბანკნოტებს და მოითხოვენ ვერცხლს, რომელიც აზიური ქვეყნების უმრავლესობისათვის კატალონური ლითონია.

ლაშენალი და ტერაი, რომლებიც წინდაწინ უნდა გაემგზავ-რონ, უნდობლად ათვალიერებენ მათთვის მოყვანილ საბრალო ჯაგლაგ ცხენებს. გამდნარ ტყვიად ქცეულ მზის სხივების ქვეშ, ქარავნის ძირითადი ნაწილის მზადებას ბოლო არ უჩანს. რო-გორც იქნა, მთელი ბარგი თითო მაუნდიან[1] თანაბარ ნაწილე-ბად დავყავით და ორ ასეულ მზიდავს ჩამოვურიგეთ.

— Bara Sahib, umbrella please?[2]

მოხდენილი ტანადობის ნეპალელი თავაზიანად მაწვდის თავის ქოლგას. ასე, თითქმის შემთხვევით, ვეცნობი ჟ. ბ. რა-ნას. რამდენიმე დღის შემდეგ ჟ. ბ. (ასე დავუძახებთ მერე მას შინაურულად) ძლიერ დაგვიმეგობრდა. მრავალი წლის მან-ძილზე ოფიცრად უმსახურია გურკების პოლკში, ამჟამად კი ნეპალის მაჰარაჯამ მას ჩვენი ექსპედიციის გამყოლობა და-ავალა.

უეცრად პაპანაქება სიცხისაგან დამსკდარ-დაშაშრულ მი-წაზე ცხენების თქარა-თქურმა მოაღწია. ლაშენალისა და ტე-რაის გაოფლიანებული უბელო ცხენები ტინაუ-კჰოლას[3] ხეო-ბიდან შორბიან და თავის შშობლიური თავლებისაკენ მიეშურე-ბიან.

— გესმის, — ღირსეულად მიხსნის შემდეგ ტერაი, — მო-გზაურობის ასეთი ხელოვნური ხერხი ზიზღსა ჰგვრის ნამდვილ მთამსვლელებს...

საღამოს, პირველი გადასასვლელის შემდეგ, ჟ. ბ.-ს მივყა-ვართ სოფლის რესტ-ჰაუზში[4].

---

[1] დაახლოებით 40 კგ.

[2] ბარა-საჰიბ, გნებავთ ქოლგა? ამ ქვეყანაში ქოლგას წვიმაშიც ხმაროობენ და მზეშიც.

[3] განგის პატარა შენაკადი (კჰოლა ნიშნავს მდინარეს ან ნაკადს).

[4] ბუნგალო.

— Of His Highness,[1] — ზეიმით აცხადებს იგი.

— ფრიად მოხიბლული ვარ!

შემდეგ გავიგე, რომ ნეპალში ყველაფერი პირადად მაჰარაჯას ეკუთვნის!

ათ აპრილს ქარავანი სამი დღით პროვინციის ცენტრში — თანსინგში ჩერდება. აქ უნდა გადავჯგუფოთ ჩვენი ძალები, გადავარჩიოთ ბარგი და დავიქირაოთ ახალი მზიდავები.

დავბანაკდით და ცნობისმოყვარე უქნარათა ბრბოსაგან დასაცავად ბანაკის ირგვლივ თოკის მოაჯირი შემოვავლეთ. დიზენტერიით ავადმყოფ იშაკს შერპებს ვუტოვებთ და ავდივართ გორაკზე, რომელიც ქალაქს დასცქერის თავს. აქედან შორეული მთები მოჩანს. რა შეედრება იმ მღელვარებას, რომელიც დაგვეუფლება ხოლმე, როცა საოცნებო საგანს ვუყურებთ!

ჩვენ ბევრი წაგვიკითხავს ჰიმალაიზე, დიდხანს ვსაუბრობდით ხოლმე ამხანაგებთან, ვინც უკვე მოინახულა ყარაყორუმი 1936 წელს. მარსელ იშაკს, ჰიმალაის ერთადერთ ვეტერანს ჩვენ შორის ზოგჯერ სრულიად უაზრო შეკითხვებს ვაძლევდით. თითოეულს საკუთარი წარმოდგენა შეგვექმნა ამ მთებზე. იმედგაცრუება ხომ არ მოგველის?

სინამდვილეში კი სანახაობა, რომელიც გორაკიდან თვალწინ გადაგვეშალა, ყოველგვარ მოლოდინს აჭარბებს. ერთი შეხედვით მსუბუქი ბურუსი ჩანს, მაგრამ, თუ ყურადღებით დავაკვირდებით, შორს მძლავრი ყინულოვანი კედლების გარჩევა შეიძლება; ისინი ნისლიდან ვეებერთელა სიმაღლეზე აზიდულან და ჩრდილოეთით ასეული კილომეტრის მანძილზე ფარავენ ჰორიზონტს. ეს ელვარე კედელი უზარმაზარი გვეჩვენება, არც ერთი დადაბლება არა აქვს, რვაათასიანებს შვიდიათასიანები მისდევს. პირდაპირ დატყვევებულნი ვართ ამ სანახაობის სიდიადით.

— ჰიმალაი! ჩვენი „კუნძულები!“

ამიერიდან ზღაპრული მოჩვენება აღარ დაგვტოვებს. ახლა ამოცანა მარტივი ჩანს: რაც შეიძლება ჩქარა მივაღწიოთ ამ მწვერვალებამდე და შევებრძოლოთ მათ.

---

[1] ეკუთვნის მის უმაღლესობას (მაჰარაჯას).

საღამოს ყველა საკუთარმა ფიქრებმა წაიღო. ვწევართ კარვებში და ხმას არ ვიღებთ.

ექსპედიცია ტოვებს თანსინგს. მოწინავე ჯგუფი ერთი დღით ადრე მიემგზავრება.

დაახლოებით შუადღისას უეცრად ვხედავ, ვიღაც უცხო ვეება ნაბიჯებით მოაბოტებს ჩვენსკენ. რომ მოგვიახლოვდა, მაშინღა ვიცანით — ჩვენი მეგობარი ტერაი იყო. მეტად მსუბუქად ეცვა და თავმოსვლეპილი მთლად ოფლში გაცურებულიყო. თვალებში სიბრაზე გამოკრთოდა.

იგი ისე ენერგიულად იქნევდა წერაყინს, რომ აქეთ-იქით ყველა გზას უთმობდა.

გულმა რეჩხი მიყო. რაშია საქმე? უბედურება ხომ არაფერი მოხდა? უეცრად ლაშენალისკენ გამექცა გული და ტერაის მივაძახე:

— ბისკანტი[1] სადღაა?

— ბისკანტი? — გაკვირვებით იმეორებს იგი კითხვას.

— ჰო, ჰო! რა მოხდა?

ამასობაში ტერაი უკვე მოგვიახლოვდა.

— რა, ბისკანტი? ის იქაა...

— ოჰ, რა გული გამიხეთქე!

— რა გაცინებს, ცუდადაა საქმე!

— მაინც რა ხდება ასეთი?

— მათ გაფიცვა გამოაცხადეს...

— ვინ, მზიდავებმა?

— აბა, ჩვენ ხომ არ გავიფიცებოდით! ამ დილას ყოველგვარი გაფრთხილების გარეშე გაიფიცნენ.

— ბარგი მთელია?

— ბისკანტი დარჩა მის სადარაჯოდ. სხვათა შორის, არა მგონია, რაიმე ცუდი ედოთ გულში. უბრალოდ, უნდათ, რომ ცოტა მეტი მივცეთ. უნდათ... არ ვიცი, რა უნდათ, მათი არაფერი მესმის... ასეა, თუ ისე, ისინი გაჩერდნენ გზის პირას, ვაიგის ახლოს, უარს ამბობენ წინ წასვლაზე, დაყარეს ბარგი და ადგილიდან არ იძვრიან.

---

[1] ბისკანტი — ლაშენალის მეტსახელი. ადგილობრივ კილოზე — საკვი, რაც სიდრს ნიშნავს.

ლიონელი ბრაზიანად იგინება. საგონებელში ვვარდებით. ტერაი დასძენს:

— ეს წმინდა შანტაჟია! ესღა გვაკლდა!

— ყველაფერი ეს ჟ. ბ.-ს უფლებამოსილებაში შედის, — ვამბობ მე.

— ვერ წარმომიდგენია, როგორ გაართმევს თავს ამ ამბავს!

— რა გაეწყობა, ახლა გამოჩნდება, რამდენად პატივს სცემენ მას ეს ბიჭები. ხელშეკრულებები ყველა წესის დაცვითაა გაფორმებული და ხელმოწერილი — მზიდავებმა იგი უნდა შეასრულონ.

— კი, ვალდებულნი არიან, შეასრულონ!.. ერთი სიტყვით, სასწრაფოდ უნდა გავეშუროთ!

დაუყოვნებლივ გავდივართ.

საღამოსთვის, როგორც იქნა, მივაღწიეთ „გაფიცულებამდე". ჩვეულებრივ მხიარულ ლაშენალს ახლა ცხვირ-პირი ჩამოსტირის. ჟ. ბ.-ს დანახვაზე მზიდავები უფრო შემჭიდროვდნენ. ხმამაღლა ყაყანებენ, ჩანს, რაღაცას მოითხოვენ მისგან. ჩვენ კი უშფოთველად ვსხდებით დასასვენებლად, აუჩქარებლად შევექცევით საჭმელ-სასმელს. სიმშვიდე მხოლოდ გაზრდის ჩვენს პრესტიჟს. შესაშური გულგრილობით ვიხდით ფერხთ, რათა დაღლილ ფეხებს ქარმა გაუაროს. ჩვენი ყოველი მოძრაობა განზრახ აუჩქარებელია.

ჟ. ბ. შეტევაზე გადადის. კაციშვილი ვერ გაიგებს, რას ეუბნება იგი მათ. ნახევარი საათის განმავლობაში ჟ. ბ. მჭევრმეტყველების სასწაულებს გვიჩვენებს. დასაწყისში მშვიდად და ძალდაუტანებლად ლაპარაკობს, მერე თანდათან იმაღლებს ხმას, შემდეგ მისი ყოველი სიტყვა ქარიშხლად იქცევა და ამ ვიწრო კანიონში ისე ქუხს, როგორც ტაძარში. თითქოს ჯადო უყვესო, მზიდავების უკმეხი მოთხოვნილებები მოკრძალებულ ახსნა-განმარტებად იქცევა. ჟ. ბ. ენერგიულად და მტკიცედ პასუხობს. მისი ავტორიტეტი აშკარად ჩანს. უეცრად ერთმა უკმაყოფილოთაგანმა რაღაც წარმოსთქვა, რამაც მწარედ გაკენწლა ჟ. ბ. თვალებდაჭყეტილები ვუყურებთ, როგორ მივარდა ჩვენი ოფიცერი მზიდავს და სეტყვასავით დააყარა მუშტები, ვიდრე „მეამბოხემ" არ მოკურცხლა. ახლა კი მუშები ერ-

თი მეორის მიყოლებით იკიდებენ ზურგზე ტვირთს და გზას განაგრძობენ.

მეორე დღეს, მდინარე სედი-კჰოლას რომ მივუახლოვდით, წინ სადღესასწაულო ტანსაცმელში გამოწყობილი ეშხიანი და მოხდენილი ნეპალელი ქალები შემოგვხვდნენ. ფეხშიშველა მოდიოდნენ და სწრაფად ჩაგვიარეს. რაც უფრო წინ მივდივართ, უფრო და უფრო გახშირდნენ. თითქმის ყველა ახლო-მახლო ბილიკზე მოფრიალებს ხასხასა ფერებით მოელვარე უამრავი „სარი"[1]. ქალები ერთი ადგილისაკენ მიეშურებიან. ანგ-თარკე გვიხსნის, რომ დღეს აქ დიდი რელიგიური დღესასწაული „კუმბჰ-მელაა" რომელსაც თორმეტ წელიწადში ერთხელ იხდიან.

ბედი გვწყალობს! ვუახლოვდებით და მალე დიდის ვაი-ვაგლახით ვახერხებთ ამ აჭრელებულ მღელვარე და ხმაურიან ბრბოში გაღწევას. ფრიალო კლდის ძირში სადხუ[2] ხმამაღლა ქადაგებს. ყურადღებიანი მსმენელებით გარშემორტყმული მღვდლები ხმამაღლა კითხულობენ ვედურ ტექსტებს. ბევრი მორწმუნე მიემართება ნაკურთხ მდინარე კალი-განდაკისაკენ. მამაკაცები და ქალები ტანთ იხდიან, რიგრიგობით შედიან მდინარეში, ასველებენ წყალში ლოტოსის ფოთლებს, შემდეგ კი რამდენჯერმე შუბლზე ირტყამენ მათ.

ზოგიერთები ფოთლებისაგან აკეთებენ პატარა ნავებს, მათ შუაგულში ანთებულ სანთლებს ამაგრებენ, ამ მცურავ ლამპრებს ფრთხილად უშვებენ წყალში და მდინარეს მიაქვს ისინი შორს, განგის მიმართულებით.

სამწუხაროდ, ექსპედიციამ გზა ჯერ განაგრძოს.

მეორე დღეს იშაკის შეძახილი მოისმის: „პოლიცია!" რა სისულელეა, მაგრამ შიშისაგან გული გადამიტრიალდა.

ეს უკვე ხუმრობა აღარაა! მოსახვევში თორმეტიოდე შეიარაღებული კაცი მწყობრად, სამხედრო ნაბიჯით მოემართება ჩვენკენ.

— ზედ დანაშაულის ადგილზე წაგვასწრეს, — ამბობს იშაკი. — ეს ბაგლუნგის მილიციამ დაგვდო სამხედრო პატივი!

---

[1] ინდიელი ქალების ტანსაცმელი.
[2] ღვთისმსახური.

ბაგლუნგში ხვალ, კვირას, 16 აპრილს ვიქნებით; ეს არის უკანასკნელი დიდი სოფელი მაღალმთიანი ხეობების წინ.

ტუკუჩამდე სამი თუ ოთხი გადასასვლელია დარჩენილი, მაგრამ ეს ყველაზე მძიმე გზაა, ვინაიდან ასელა გვიხდება დაახლოებით 700 მეტრის სიმაღლიდან 2500 მეტრამდე ზღვის დონიდან.

დღეს ადრე უნდა ავდგეთ, ანგარიში გავუსწოროთ მზიდავებს, დავიქირაოთ ახლები და გადავსინჯოთ მთელი ჩვენი ბარგი.

— კჰანა! კჰანა! კჰანა![1]

ნუაელი ყველაზე ადრე დგება ხოლმე. ახლაც ველური მეომარივით დასჭყივის და აღვიძებს მძინარე ბანაკს.

მის ყვირილს აქეთ-იქიდან ეხმაურებიან:

— ეშმაკმა წაგიღოს! — ბუზღუნებს კუზი და იშველიებს თავის სტუდენტურ ლექსიკონს.

— მხეცო! — ყვირის რებიუფა.

— დამეკარგე აქედან! ისე მტკივა მუცელი, რომ სადაცაა ფეხებს გავჭიმავ, — ღრინავს ტერაი.

— მეტი მოგსვლია, — მთქნარებით შენიშნავს უდო.

— უდო მკვლელია! ყველაფერი ამ ქლორის[2] ბრალია, — მუცელზე ხელებს იჭერს ლაშენალი.

— რა ამბავია გარეთ, ისევ ბნელა?

— მზიდავები მოვიდნენ?

— ბიჭებო, დჰაულაგირი! დჰაულაგირი! — ყვირის ნუაელი და სიხარულისაგან ცმუკავს.

— რა? შეუძლებელია! თვალისდახამხამებაში ყველანი გარეთ გამორბიან და, რითაც შეუძლიათ, იფარავენ სიშიშვლეს. ზოგიერთები საძილე ტომრებშივე ხტუნავენ, სხვები ლეღვის ფოთლის მაგიერ ცხვირსახოცს იფარებენ. ლაშენალმა ამ მიზნით თავისი კეპი გამოიყენა.

ჩვენ ზემოთ 7000 მეტრზე უფრო მაღლა აზიდულა გრანდიოზული ყინულოვანი პირამიდა. იგი მზეზე კრისტალივით ბრწყინავს. დილის ნისლში გახვეული მტრედისფრად მოელვარე მისი სამხრეთი კედელი ზღაპრული სანახავია.

---

[1] მაგიდასთან... (სიტყვასიტყვით — ჭამა)

[2] უდო დეზინფექციას უკეთებდა წყალს ჰიპოქლორიტის აბებით.

მოჯადოებულები შევცქერით ამ ბუმბერაზ მწვერვალს. ათასჯერ გამეორებული მისი სახელწოდება ესოდენ ნაცნობია ჩვენთვის, მაგრამ თვალით ნანახი იმდენად ძლიერ შთაბეჭდილებას ახდენს, რომ კარგახანს დამუნჯებულები ვდგავართ.

მერე ნელ-ნელა გვაგონდება ექსპედიციის მიზანი, გრძნობისა და ესთეტიკის საკითხები მეორე რიგში გადადის და გიგანტურ მოჩვენებას ახლა უკვე პრაქტიკული თვალსაზრისით ვათვალიერებთ.

— გინახავს აღმოსავლეთი თხემი მარჯვნიდან?

— მინახავს. იქით წასვლაზე ფიქრიც არ ღირს!

— ცივი შხაპია!

დამატყვევებელი სურათია, მაგრამ საეჭვოა, რომ სამხრეთის კალთაზე ჩვენთვის გამოსადეგი გზის პოვნა შეიძლებოდეს.

— თუ ჭკუით იქნებით, ორი დღის შემდეგ ანაპურნას დაგანახვებთ, — გვეუბნება იშაკი. იმან და კუზიმ ეს-ესაა რაღაც გაიანგარიშეს.

ვზივარ უზარმაზარი ბანანების ქვეშ და მთელი დღე მზიდავების შრომის ანაზღაურებას ვხელმძღვანელობ. ცნობისმოყვარეობითა და უნდობლობით შესცქერიან სასწორს. თითოეული ღებულობს ავანსად 6 რუპიას და ერთ კოლოფ სიგარა „რედ-ლემპს“, შემდეგ, ინდური ჩვეულების თანახმად, ხელისგულებს ერთიმეორეზე ადებს, რითაც მადლობას გვიხდის და ხელს აწერს[1] უწყისზე ე. ბ. რანასთან. სია იზრდება. ქაღალდი რომ გათავდება ხოლმე, დამატებით ფურცლებს აწებებენ და აგრძელებენ. ოპერაციის დამთავრების შემდეგ ამ დოკუმენტის სიგრძე 4 მეტრს აღემატება.

სანამ მზიდავებს შეამოწმებდეს, ტერაი ანაწილებს ტვირთს. ის უსინჯავს მათ წვივებს, კუნთებს, უზომავს გულმკერდის მოცულობას, როგორც ალბათ თავის ფერმაში — უშში აკეთებდა. „ღონიერი კაცი“, როგორც მას შერპებმა შეარქვეს, უმძიმეს ტვირთსაც კი ბუმბულივით აიტაცებს ხოლმე. მზიდავები დაუფარავი პატივისცემით შესცქერიან მას.

რიგრიგობით მოდიან, ერთი თვალისშევლებით აფასებენ ტვირთს და ვარაუდობენ მის წონას. თითოეული მალულად,

---

1. თითოეული მზიდავი ნაჩვენებ ადგილზე ბაბუს (მწერალის) მიერ დაწერილი სახელის პირდაპირ, ადებს წინასწარ მელანწასმულ ცერს.

ეჭვიანად უთვალთვალებს მეორის ბარგს. ისინი სწრაფად და მარჯვედ წნავენ ბამბუკისა და ლიანებისაგან ლასტს, რათა ტვირთი უფრო მოხერხებულად ატარონ.

მზიდავები ერთიმეორის მიყოლებით იღებენ ბარდანებს და იკიდებენ შუბლზე შემორტყმული ღვედის დახმარებით. ამგვარად, ჩვენი მზიდავები მთის ბილიკებით 250 კილომეტრს გაივლიან და ჩვენს ექვს ტონა ტვირთს თავებით აიტანენ დანიშნულ ადგილას.

— წინ, ტუკუჩისაკენ!

ჩვენ წინ თვალსაწიერზე მზიდავები გამწკრივებულან კალიგანდაკის ნაპირზე. მალე დიდ შენაკადს მივადექით. ეს მაიანგდი-კჰოლაა. მარსელ იშაკი საგონებელშია ჩავარდნილი:

— ეს მდინარე არაფრით არ ჩამოუვარდება განდაკს. რუკის მიხედვით მას დჰაულაგირის მხოლოდ სამხრეთის კალთა კვებავს. მაგრამ მაშინ ის ჩვეულებრივ მთის ნაკადზე უფრო დიდი არ უნდა იყოს![1]

მართლაც, რუკას თუ დავუჯერებთ, დჰაულაგირის მარშრუტი ჩვენი ბაზიდან, ტუკუჩიდან იწყება და დაუბრკოლებლად ასდევს ჩრდილოეთ კალთიდან ჩამომავალ ხეობას. იმ მდინარის სიდიდის მიხედვით, რომელიც ხეობიდან გამოდის და მაიანგდი-კჰოლას ერთვის, ეს ხეობა ალბათ დასავლეთით ეშვება და არა ტუკუჩის მიმართულებით. თუ ეს ასეა, მაშინ ტუკუჩასა და დჰაულაგირის ჩრდილოეთ კალთას შორის უნდა არსებობდეს თხემი, რომელიც რუკაზე არ არის აღნიშნული, ამას კი შეუძლია სერიოზულად შეუშალოს ხელი ჩვენს გეგმებს.

— დიახ!.. იძულებული ვარ ვაღიარო, — მუსონისწინა პერიოდში მაიანგდი-კჰოლა მართლაც ბევრად უფრო ნაკლებწყალუხვი უნდა ყოფილიყო.

— მე ვხვდები, — გასაოცარი ინტუიციით შენიშნავს იშაკი, — ყველა წყალი ჩრდილოეთიდან და დასავლეთიდან აქეთ შოელდინება.

— კი, მაგრამ რუკა?

— რუკა ტყუის! ეჭვი არ არის!

მსჯელობა ლოგიკურია.

---

[1] იხ. რუკები 52 და 53 გვ.

მაგრამ, სანამ რუკას უარვყოფდეთ, უფრო საფუძვლიან დამამტკიცებელ საბუთებს დავუცდი.

წინასწარ გეტყვით, რომ ეს დამამტკიცებელი საბუთები მართლაც მივიღეთ და ერთი თვის შემდეგ საიდუმლოებას ფარდა აეხადა...

მეორე დღეს, 20 აპრილს, დანაზე გავლისას, ანაპურნას თხემებსა და მწვერვალებს შევათვალიერებთ.

— პირობაზე როგორია ხარ, ანაპურნას გვაჩვენებ? — მოვაგონე იშაკს.

ანაპურნას ვერ ვხედავთ, მაგრამ ჩვენ წინ ღრმა და დაკლაკნილი მირისტი-კჰოლას ხეობა იშლება. მასზე გადის რუკაზე მკაფიოდ ნაჩვენები ბილიკი, რომელსაც ტილიჩოს გადასასვლელისაკენ მივყავართ, საიდანაც, მოკლე თხემით ანაპურნის მწვერვალზე გასვლა შეიძლება.

— არცთუ ძალიან სიმპათიური ხეობაა ეს ტილიჩო, — მეუბნება შაკი.

— რუკის მიხედვით აქ ბილიკია...

შიკარებთან[1] მოლაპარაკების შემდეგ ნუაელი დაღვრემილი ბრუნდება.

— ტილიჩოს უღელტეხილი? აქ მისი სახელიც კი არ გაუგონიათ.

— ეს უკვე მეტისმეტია! „რუკის" კიდევ ერთი ფოკუსია!

— ეს ძალზე ზორბა რამე იქნებოდა, — აცხადებს რებიუფა, — 6000 მეტრზე უმაღლესი გადასავალი მშვენიერი მისასვლელი ბილიკით. იქიდან კი თითქოს ცხვირწინაა რვაათასიანი!

შემდგომში რაიონის გამოკვლევამ ცხადჰყო, რომ მირისტის ხეობა გაუვალია, ხოლო ყბადაღებული ტილიჩოს უღელტეხილი სულ სხვა ადგილასაა.

ბილიკი უფსკრულის კიდეს გასდევს. წიწვიან ხეებს შორის ძლივს მოჩანს კრიშნა-განდაკის მშფოთვარე, მგრგვინავი წყლები, დროდადრო გვერდს ვუვლით კირქვიანი კედლებიდან გადმომჩქეფარე ხმაურიან ჩანჩქერებს. აღმართი თვალით შეუმჩნეველია, მაგრამ მას შეიგრძნობთ-არაპირდაპირ, სხვადა-

---

[1] მონადირე—მეგზურები.

სხვა ნიშნების მიხედვით: სიარული ჭირს, მოძრაობის ტემპი ნელდება.

გასაში ლაშენალი და ტერაი განცვიფრდნენ, როცა ფეხსაცმლის „ფაბრიკას“ წააწყდნენ. რამდენიმე შინამრეწველი კარიკარგამავალ ქოხებში სულმოუთქმელად კერავდა შარდით მოთრიმლულ ტყავებს.

— უწებოოდ მუშაობენ, — ასკვნის ლაშენალი.

— შეამჩნიე, ბასკანტ, ეს ნამდვილი ნაკერავები არაა. ისინი გასანთლული ძაფის მაგიერ ტყავის წვრილ თასმებს ხმარობენ.

— მერე სად მიაქვთ ეს ფეხსაცმელები?

სიმართლე რომ ვთქვათ, აქ მხოლოდ წარჩინებული მოქალაქეები ატარებენ ფეხსაცმელს. განსაკუთრებით მოდაშია ყელიანი ფეხსაცმლის ზონარშეუკრავად ტარება. სხვათა შორის წყვილმა სამთო ფეხსაცმელმა, რომელიც ჟ. ბ.-ს ვაჩუქეთ, არაჩვეულებრივად აამაღლა მისი პრესტიჟი.

შესამჩნევად აგრილდა. ჩვენ უკვე 2000 მეტრის სიმაღლეზე ვართ. ტუკუჩამდე კიდევ ხუთასმეტრიანი აღმართი გვაქვს ასავლელი. აქ უკვე აღარც ბანანებია და აღარც ბრინჯი, მხოლოდ უღიმღამო მარცვლეულია, ძირითადად ქერი. შორს მოჩანს მტრედისფერი ყინულის ზოლებით აჭრელებული დჰაულაგირის ზემო კალთები. სამხრეთ-აღმოსავლეთი თხემი, რომელზედაც, ასე თუ ისე, იმედს ვამყარებდით, ძალზე გრძელია, დანისპირივით მახვილი, უთვალავი ყინულის „ჟანდარმებითა“[1] და თოვლის ლავგარდანებითაა სავსე. აქედან იგი დაუძლეველი ჩანს.

კისრის ღრძობამდე ვცდილობთ გულდასმით დავათვალიეროთ ეს გიგანტური კედლები, რომლებიც, სადღაც, ექვსიოდე კილომეტრზე მაღლა, ცის ლაჟვარდში იკარგებიან. მუქი ყავისფერი კლდის შვერილები მკაფიოდ გამოირჩევიან მოელვარე თოვლის-ფონზე. სიკაშკაშე იმდენად დამაბრმავებელია, რომ თვალებს გვახუჭინებს.

გამბედაობა არ გვყოფნის, აქ ასვლის გეზი დავსახოთ და მაინც ვერ ვფარავთ აღტაცებას. გვიხარია, რომ ჯერ მთებში ვართ, რომ შეგვიძლია მთელი ჩვენი ძალ-ღონე ექსპედიციის ძირითადი მიზნის განხორციელებას მოვანდომოთ.

---

[1] „ჟანდარმი“ — თხემზე ცალკე მდგომი კლდე. (ავტ.)



ცენტრალური ნეპალის რუკა.

მეც, ბოლოს და ბოლოს, დავაღწევ თავს ტრანსპორტის უფროსისა თუ რეჟისორის როლს და ალპინისტური ექსპედიციის ხელმძღვანელად გარდავიქმნები.

სოფელ ლეტეს მახლობლად გაკვირვებითა და ერთგვარი მღელვარებითაც გადავჭერით ფიჭენარი, რომელიც გასაოცრად ჰგავს ჩვენს ალპურ ტყეებს. იგივე ხეები, იგივე კლდეები და იგივე ცოცხალი ხავსი. განა შემეძლო წარმომედგინა, რომ სულ რაღაც ორ თვეში ეს მომხიბლავი, პოეზიით აღსავსე კუთხე ჩემი სულთმობრძაობის მოწმე გახდებოდა?

მალე ჩვენი რაზმი ვრცელ, ქვიან ვაკეზე გავიდა, რომელიც საუკუნეების მანძილზე განიცდიდა ჭირვეულ და მშფოთვარე განდაკის ზემოქმედებას. მდინარემ შეძლო ჰიმალაის უზარმაზარი ქედის სისქეში ვეებერთელა დერეფანი ჩაეჭრა. მასში მთელი ძალით ეშვება მძლავრი, ვეება გრიგალი, რომელიც ლამის მიწაზე გვაკრავს. აქ მთელი წლის განმავლობაში მძვინვარებს ქარი და ყოველგვარ მცენარეულობას ანადგურებს. მტვრის ბოლქვები ცამდის აღწევს. ირგვლივ პირქუში, ქვიანი ჯოჯოხეთია. იშაკი ცდილობს როგორმე დაიფაროს თავი საზარლად მოზუზუნე ქარისაგან და ყურში ჩამყვირის:

— შეიძლება ითქვას, რომ უკვე ყარაყორუმში ვართ!

ფეხშიშველა, წელში მოხრილი მზიდავები პატარ-პატარა შემჭიდროებულ ჯგუფებად მიიწევენ წინ და ცდილობენ ერთიმეორეს უკან ამოეფარონ. ყველას ერთი სული აქვს, სანამ ტუკუჩას მიაღწევენ.

თავგამოდებული ბუდისტი ანგ-თარკე თავს ისე გრძნობს, თითქოს შინ იყოს. მან უკვე დაინახა ლარჯუნგის სახლის თავებზე მოფრიალე წმინდა ალმები. ისინი ისე შრიალებენ ქარის ქროლვაზე, თითქოს ღვთისადმი უსასრულო ლოცვებს აღავლენენო.

შორს, ქვიანი უდაბნოს კიდეზე, მოჩანს სოფელი, რომელიც ასეულობით სამლოცველო ალმებშია ჩაფლული და, როგორც ჩანს, სიმაგრეებითაა გარემოცული.

— ტუკუჩაა, საჰიბ!

ყველამ ნაბიჯს აუჩქარა.

ფონით გავედით ბობოქარ ნაკად დამბუშ-ჭოლაზე, რომელთანაც კიდევ მოგვიხდება მობრუნება, და ტუკუჩაში შევედით.

საერთოდ, უნდა ითქვას, რომ აქ არც ისე ბევრი ხალხია, როგორც გეგონა. დაუყოვნებლივ გარს შემოგვერტყნენ ბავშ-

ვები, ცნობისმოყვარეობით ადევნებენ თვალს ყოველ ჩვენს ნაბიჯს, ჰყუმპალაობენ შუა ქუჩაში გამავალ არხში, სადაც ქალები ჰურჭელსაც რეცხავენ და ჩაისთვის წყალსაც იღებენ. პარმაღებზე მოხუცები სხედან. ისინი უნდობლად და ეჭვიანად შესცქერიან ამ თეთრ ადამიანებს, რომლებიც არავინ უწყის, რისთვის ჩამოსულან აქ. რამდენიმე წუთში გავიარეთ სოფელი. ჩვენ წინ ფართო მოედანი გადაიშალა. ბუდისტური ტაძრის ვარდისფერი კედლების თავზე ალმები ფრიალებენ. არც ისე ძალიან მოგვწონს აქაურობა, მაგრამ ბანაკისათვის ამაზე უკეთეს ადგილს ახლომახლო ვერ ვიშოვით. ჩვენს ზემოთ ალმართული ფრიალო კლდეების პირქუში შიშველი კედელი, სევდიან იერს ჰფენს მთელ მიდამოს.

მისადგომები გათავდა. დღეს 21 აპრილია; ამგვარად, ჩვენ დაგვჭირდა 15 დღეზე ცოტა მეტი, რომ მთლიანად გადაგვეჭრა ნეპალი.

საღამოს მხოლოდ რამდენიმე კარავს ვდგამთ და გემრიელ სადილს ვამზადებთ ამბოხებული კუჭების დასამშვიდებლად. ცივა. პირველად ვიცვამთ ბუმბულის ქურთუკებს. დაღლილი, გუნებაწამხდარი საჰიბები და შერპები ერთად შევიკრიბეთ: ქარმა ყველა გამოგვფიტა.

ხვალ ალბათ მზის მთელი ბრწყინვალება დაგვჭირდება, რომ გუნება გამოგვიკეთდეს.

III

უცნობი ხეობა

ეემდგომი მოქმედების გეგმა მარტივია. უწინარეს ყოვლისა, უნდა გაიმართოს ბანაკი, გაიხსნას, აღირიცხოს, შემოწმდეს და დალაგდეს პროდუქტები და აღჭურვილობა. უახლოესი 48 საათისათვის ყოველგვარი სამუშაო განაწილებულია. ყველანი ჭუჭყიანები ვართ, მაგრამ ერთი ქოთქოთითა და ხმაურით ვაწესრიგებთ ყველაფერს. ერთობ თავშესაქცევი სანახაობაა! იშაკი ფირებითა და კინოაპარატურით სავსე თავის ძვირფას ყუთებს დასტრიალებს, უდო ბანდებსა და მედიკამენტებში იქექება. შერპები კარვებს დგამენ, ეხმარებიან საჰიბებს პროდუქტების გადარჩევაში, აწესრიგებენ სამზარეულოს...

საუცხოო ამინდია, მწვერვალიც შელამაზებულა ამ პირველი დღის პატივსაცემად, რომელსაც „გენერალურ შტაბში" ვატარებთ. რა სიხარულით ვათვალიერებთ გარსშემოჯარულ წვეტიან პიკებს! განდაკის გრძელი ხეობა ორ უზარმაზარ მასივს ჰკვეთს: დასავლეთით დჰაულაგირს, რომლის სიმაღლე 8167 მეტრია, ხოლო აღმოსავლეთით 8075 მეტრიან ანაპურნას. ხშირად ხეობის სიღრმეში ნისლი იხვევა, რაც კიდევ უფრო ზვიადს ხდის გარემომცველ მიუვალ კედელთა სიდიადეს. 4500

[1]. ციისფერი მთები — ეს გაუვალი მთაგრეხილი უზარმაზარ საფარს ქმნის ტუკუჩასა და ანაპურნას შორის. ანაპურნამდე რომ მიაღწიო, საჭიროა მოუარო ნილგირს სამხრეთიდან, მირისტი-კჰოლას გაყოლებით.

მეტრზე ჩვენს ზემოთ ნილგირის[1] კოხტა მწვერვალები ბრწყინავენ. ჩრდილოეთისაკენ ცა გაცილებით ნათელია, მცენარეულობა უფრო გაიშვიათებული: იქ ტიბეტია.

ტუკუჩა შესახვევების ლაბირინთია. ძალიან ძნელია ქალაქის ჭეშმარიტი ცხოვრების დანახვა. თითოეული სახლი ნამდვილი ციხესიმაგრეა. უფრო ხშირად ესენი ქარვასლებია, სადაც შემთხვევითი მგზავრი ღამისგასათევს იპოვის. ქალაქის 500 მცხოვრებიდან უმრავლესობა ბუდისტია. თითქმის ორმოცდაათ მეტრზე გაჭიმული სამლოცველო წისქვილების მწკრივი ადასტურებს მათ ღვთისმოსაობას. მათ ახლოს რომ ჩაივლიან, ჩვენი შერპები შემთხვევას არ უშვებენ, რომ მხიარულად არ შემოატრიალონ ლითონის ცილინდრი, რომელზედაც ამოკვეთილია საღმრთო ტექსტები. ეს ბევრად უფრო პრაქტიკულია, ვიდრე გრძელი ლოცვების კითხვა.

ბნელ ეზოებში, ან დაბალ ქოხმახებში მიჭუჭკულია კუსტარული სახელოსნოები. აქ იაკის ან ცხვრის მატყლისაგან შესანიშნავ გამძლე ქსოვილებს ამზადებენ. ჩვენთვის უჩვეულო საანახაობაა: მამაკაცები ართავენ.

„კუკუ საჰიბს“[1] და იშაკ-საჰიბს ანტენა გაუშლიათ და, რაც ძალი და ღონე აქვთ, მიკროფონ „ტელკის-უელკისში“[2] ჩაჰყვირიან. მუხლებზე დაჩოქილი მრთველები კი დაღამებამდე მოთშინებით აბზრიალებენ თავის ადამისდროინდელ თითისტრებს.

კომიკური კონტრასტია...

განთიადისას ტუკუჩა უკაცრიელია და მხოლოდ მახლობელი ტაძრის ზარის ხმა არღვევს მყუდროებას. უცნაური, დაბალი ჰარმონიული ხმები იმქრევა ჰაერში.

რაღაც გაბმული საგალობლის მსგავსი ხმა მოდის მეზობელი კარვიდან. მონოტონურ ფსალმუნს შიგადაშიგ ფშვინვა ახლავს, შორიდან გეგონება ვიღაც ჩივისო. სხვა ხმები იმავე ტონით უპასუხებენ. ანგ-თარკე და მისი ამხანაგები ლოცულობენ.

---

1. ასე შეარქვეს კუზის მისი სიგამხდრისა და სახის ნატიფი ნაკვთების გამო.

2 მიმღებ-გადამცემი პორტატული უმტ-რაციები. მათი მოქმედების რადიუსი დაახლოებით ორი კილომეტრია.

Good morning, Sir!

Good morning, Panzi, — ვეუბნები თავის აწევისას.

Tcha for, Bara Sahib?[1]

კარვის შემოსასვლელში ვიღაც გულკეთილად იღიმება.

— Jes, thank you.

მოედანზე ბავშვებით გარშემორტყმული უცხო მოქარავანი გაცხოველებით მსჯელობენ: ალბათ ტიბეტელები არიან.

ქალებს ხასხასა ფერის წინსაფრები ამშვენებთ. ტიპიურ მონღოლურ სახეზე რაღაც წაუსვამთ. ლამაზმანები დარწმუნებულები არიან, გარშემო ყველას ვაჯადოებთო და მხიარულად კისკისებენ. ჩემი ამხანაგები მაშინვე ზეზე წამოცვივდნენ.

— რა მშვენიერები არიან! — მიზიარებს შთაბეჭდილებას გაოცებული ტერაი.

— მე მათი ჩექმები უფრო მომწონს, — პრაქტიკულად მსჯელობს ლაშენალი.

მალე ტიბეტელების გარშემო წრე შეიკრა და გაჩაღდა ცეკვა-თამაში.

მოცეკვავენი მკვეთრად გამოირჩევიან თოვლიან მწვერვალთა დიდებულ ფონზე. საუცხოოდ დამუშავებული ბალეტი მწუხარებისა და სიხარულის, სიცოცხლისა და სიკვდილის მარადიულ დუალიზმს გამოსახავს. მისი სილამაზე მკაცრია და პრიმიტიული. ცეკვა მუდამ ხალხის სულის ამსახველია. ეს ცეკვაც უდავოდ საინტერესოა.

უცებ ყველაფერი წყდება.

წრის შუაგულში მიწაზე, ერთ-ერთი ტიბეტელი ქალი ლანგარს დგამს. მოცეკვავეთა მიმიკა მეტად მჭევრმეტყველია. ისინი ხან ჩვენ გვიყურებენ და ხან ლანგარს. ბარა-საჰიბმა მთელი თავისი ღირსების შეგნებით ჯიბეზე გაიკრა ხელი და მოცეკვავეებს რამდენიმე რუპია აჩუქა.

ეს დიდი წარმატებაა! ქალიშვილებმა კიდევ უფრო მეტი გაშმაგებით განაგრძეს ცეკვა.

ისევ შეწყვიტეს. ბარა-საჰიბმა ხელმეორედ საქვეყნოდ დაამტკიცა თავისი გულუხვობა.

---

[1] ჩაი ბარა-საჰიბისათვის?

ყველანი დიდ კარავში ვიკრიბებით მცირე „შოტა-ჰაზრი-სათვის“[1].

იმედი გვაქვს, ტუკუჩაში გამოვძებნით ისეთ თხემს, რომელიც მწვერვალ დჰაულაგირზე ან ანაპურნაზე შედარებით ადვილად და უხიფათოდ ასვლის საშუალებას მოგვცემს. რუკაზე აღნიშნული დჰაულაგირის სამხრეთ-აღმოსავლეთი თხემი, რომელიც ბაგლუნგიდან დავინახეთ, ცოტაოდნად გვამხნევებს, თუმცა სავსებით დაიმედებული არავინაა. ჩრდილოეთი თხემი, მართალია, ყინულოვანია, მაგრამ ნაკლები დაქანება და შედარებით მცირე სიმაღლე, მწვერვალის საერთო აღნაგობის მიხედვით, ასვლის ცდისათვის მეტად ხელსაყრელად გვეჩვენება. შესაძლოა, თუ რამდენიმე ბანაკს გავმართავთ... რაც შეეხება ანაპურნას, რადგანაც ტილიჩოს უღელტეხილისაკენ ბილიკი არსებობს. ეს მწვერვალი ადვილად მისაწვდომია და სწორედ ამიტომ, ჩვენთვის არც თუ ისე დიდი სპორტული ინტერესი აქვს..

მეორე დღეს კუზიმ პანზი გაიყოლა და დაზვერვაზე წავიდა. ის უნდა დაკვირვებოდა ტუკუჩას საპანორამო პუნქტიდან (4000 მეტრი).

11 საათზე რადიოკავშირი დავამყარე კუზისთან.

— ლაპარაკობს კუკუ! მივაღწიე მწვერვალს. ფანტასტიკური ხედია, დჰაულა მთელ მასივს დასცქერის. საშინელია სამხრეთ-აღმოსავლეთი თხემი! ძალიან გრძელია და ყინულის „ყანდარმებითაა“ სავსე. საბანაკო ადგილები მეტად სათუოა.

— კარგად მესმის. ჩრდილოეთი თხემი როგორიღაა?

— მთლიანად ყინულოვანია. საკმაო დაქანებაც აქვს. ტექნიკურად ძალზე ძნელი მისადგომი იქნება. ყველაზე უფრო რთული უბანი შუაშია. თან აქ მეორე დაბრკოლებაცაა — თხემზე გამყვანი მონაკვეთი. ეტყობა, აღმოსავლეთ ყინვარზე[2] გასვლა შეიძლება, მაგრამ აქედან ის წარმოუდგენლად დანაწევრებული ჩანს.

---

[1]. დილით, საუზმის წინ წახემსება.

[2] აღმოსავლეთ ყინვარი, ჩრდილოეთ და ჩრდილო-აღმოსავლეთ თხემებს შორის მდებარეობს. პირველი შეხედვით, ეს საერთო მისასვლელი გზაა ორივე თხემისაკენ.

— ჩრდილოეთ კალთას ხედავ?

— ის ძალიან სახიფათოა, დიდი ყინულოვნი ჩამონასხლეტების გამო. დასაწყისში ფერდობი ციცაბო არაა და იმით ალბათ ჩრდილო-დასავლეთ თხემზე გასვლა შეიძლება, მაგრამ აქედან ცუდად მოჩანს.

— ნილგირზე რას იტყვი?

— ძალზე შვეულია, ამ მხრიდან თითქმის მიუვალია!

— გმადლობ, ძველო, ნახვამდის!

— ჯერჯერობით, მორის! კავშირი წყდება.

პირველი ცნობები რამდენადმე ანელებს ჩვენს ოპტიმიზმს. კუზი რომ დაბრუნდება, მისი ჩანახატების დახმარებით შევუდგებით პირველ ანალიზს. საღამოს დიდ კარავში გაცხარებული კამათია. ჩაის სმის დროს კუზი ადასტურებს იმას, რაც რადიოთი გვაცნობა.

— მწვერვალის პირამიდის ძირამდე უნდა მივაღწიოთ! — იწყებს რებიუფა.

ამაზე ყველა თანახმაა, მაგრამ მისადგომების გარშემო აზრთა სხვადასხვაობაა.

— რა ვქნათ? ვცადოთ ასვლა დჰაულაგირის ასე დანაპრალებული და ნამდვილად საშიში აღმოსავლეთ ყინვარით? შემოვუაროთ ტუკუჩას პიკს, რომლითაც ჩრდილო თხემი ბოლოვდება და რუკაზე ნაჩვენები[1] ყბადაღებული მუხლიანი ხეობით გავიდეთ დჰაულაგირის ჩრდილოეთ ცირკზე?

— უნდა გავგზავნოთ მზვერავები სხვადასხვა მიმართულებით, — ვამბობ მე. — ამისათვის კი, ცხადია, გაყოფა მოგვიხდება. დჰაულაგირისა და ანაპურნის მიდამოების კვლევისას თამამად შეგვიძლია წყვილ-წყვილად ვიმუშაოთ.

— ანაპურნაზე მართლაც შეიძლება რაღაცას მიაღწიო, — აცხადებს შაცი და ოცნებამორეული დასძენს: — ექვსიათასიანი უღელტეხილი, ბილიკი...

— დჰაულა ცუდად გამოიყურება, მეორე უფრო სიმპათიურია, — აღიარებს კუზი.

— მაშ ასე, მეგობრებო! ხვალ საერთო გასვლაა. გასტონ, შენ და ლაშენალი გაემგზავრეთ აღმოსავლეთ ყინვარის დასა-

---

1 იხ. გვ. 52 და 53.

ზვერად. ექიმი და შაცი ცხენებს წაიყვანენ, ავლენ ლეტეს თავზე და ტილიჩოს უღელტეხილსა და ანაპურნას შეათვალიერებენ. მე და მარსელი გავისეირნებთ ზევით მუხლიანი ხეობით, აქ დამბუშ-კჰოლას რომ ეძახიან. იქნებ დჰაულაგირის ჩრდილოეთ კალთის დანახვაც მოვახერხოთ.

— მე? — მეკითხება გულგატეხილი კუზი.

— შენ? დაისვენე ჯერ ბანაკში, ნუ გეშინია, სამუშაო ყელამდეა. დღეს მხოლოდ 23 აპრილია. მუსონამდე კიდევ დიდი დროა![1] ეს შენც გეხება, ლიონელ, ეცადე, არ გაცივდე.

— და... დიეტა არ დაგავიწყდეს, — ურჩევს უდო.

— მე ცოტა უკეთ ვარ, — გვარწმუნებს ტერაი, თუმცა ჯერ კიდევ ვერ არის კარგად. ტერაი ბაგლუნგში გახდა ავად.

— მე რაღას მიბრძანებთ, წყალი ვნაყო? — მეკითხება ნუაელი.

— „თქვენმა ბრწყინვალებამ“ კეთილ ინებოს და ხელი მოჰკიდოს შაე სამუშაოს. შენ და კუკუმ ბანაკის მოწყობა დაამთავრეთ.

5 საათზე ვიღვიძებ.

ლაშენალმა და რებიუფამ გვერდი აგვიარეს. თან ახლავთ ორი შერპი, რომლებსაც თხილამურები და სასიმაღლო კომპლექტი[2] მიაქვთ. დრო რომ ტყუილად არ დაკარგონ ტყე-ღრეებიან ადგილებში, შიკარიც გაიყოლეს.

— ნახვამდის, მორის!

— ნახვამდის! კროკები არ დაგავიწყდეთ!

— ხვალამდის!

უდო და შაცი უკვე ფეხზე არიან. მათ ცხენებს შვიდი საათისათვის მოიყვანენ. იმედი მაქვს, დღის განმავლობაში იმდენად მაღლა ავლენ, რომ შეძლებენ დაინახონ ყბადაღებული ტილიჩოს უღელტეხილი და გახსნან მისი საიდუმლოება.

მე და იშაკსაც გვიხარია, რომ კვლავ მთებში გავდივართ. ვტოვებთ ბანაკს და რამდენიმე წუთის შემდეგ უკვე დამბუშ-

---

1 მუსონი იწყება ივნისის პირველ რიცხვებში.

2 ამ კომპლექტში შედიოდა: ორადგილიანი ნეილონის კარავი, ორი დამთბარი საძილე ტომარა, ორი მოკლე გასაბერი ლეიბი, სპირტის მსუბუქი სამზარეულო, ჰურჰელი — საერთო წონით ათ კილოგრამამდე.

კჰოლასთან ვართ. ამ ხეობის ღრმა და ვიწრო კანიონების შემოვლით გვინდა რაც შეიძლება შორს გავიდეთ.

— ეს ნაკადი მაინცდამაინც წყალუხვი არა ჩანს, — ვამბობ მე.

— არ მინდა თავს მოგახვიო ჩემი აზრი, მორის, მაგრამ თითქმის დარწმუნებული ვარ, დჰაულაგირის ჩრდილოეთი კალთა რომელიღაც სხვა მდინარეს კვებავს. მთის გადაღმა კიდევ უნდა იყოს ხეობა. მაშასადამე, სადღაც თხემია, რომელიც გვყოფს ჩვენ ჩრდილოეთ კალთისაგან.

— კეთილი, ვნახავთ!..

დაბურული ჯუნგლები გვაოცებენ თავისი სიდიადით. გვესალმებიან მზის პირველი სხივები. ამ სისხამ დილით ვარდისფერი ყვავილები ნაზ სურნელებას აფრქვევენ. ახლახან წაქცეული ფიჭვის ხეებიდან კარგად ნაცნობი ფისის სუნი მოგვდის. უკვე ცხელა!..

ქვიდან ქვაზე ვხტებით, მივცოცავთ გზის გადამღობავ კლდეებზე, ვცდილობთ წონასწორობის დაცვას და ყოველ წუთს მდინარეში გადავარდნის საშიშროების მიუხედავად, ვძლევთ დაბრკოლებებს და სწრაფად მივიწევთ მაღლა.

— პირველი თოვლი! — სიხარულით ყვირის იშაკი.

— აბა, რას იტყვი, მარსელ, აქ უკეთ წავა საქმე არა?

— რა კონტრასტებია! ეს შენ ალპები არ გეგონოს! აქ ჯუნგლებიდან თოვლამდე მართლაც ერთი ნაბიჯია.

ავდივართ მარცხენა გვერდითი ხეობით. იმედი გვაქვს, რომ ვიპოვით მთებს შორის გასახედს და იქნებ ჩრდილო კალთაც დავინახოთ. ამ კალთაზე დიდ იმედებს ვამყარებთ, რადგან ვიცით, რომ ჰიმალაიში მეტეოროლოგიური და გეოლოგიური ხასიათის ბევრი მიზეზის გამო, ჩრდილოეთიდან მომავალი გზები ხშირად უფრო დამრეცია და ოოლი. ერთ ხანს კლდოვანი კედლის ძირს მივუყვებით.

— ჰავარნის ცირკსა ჰგავს, მაგრამ ბევრად უფრო დიდია მასზე, — ამბობს იშაკი,

შვიდიათასიანი ტუკუჩას პიკი ფარავს ხედს თავისი დიდებული, მრისხანე კედლებით. ჩვენს ირგვლივ ჩანჩქერები მოჩქეფენ. მთის კალთებს ლილოჭრილო მოსდებია. ზამთარი იწუ-

რება. როგორღა იჩენს თავს ამ ადგილებში გაზაფხულის იდუმალი ძალა? მოკუნტული, დაღრეცილი, მიწაზე გართხმული მცენარეულობა გამოჩანს ალაგ-ალაგ გამლღვალი ან ჩამონაშალი თოვლიდან. ფრინველები და შწერები მაღლა-მაღლა იწევენ — იქ ახლა უკვე შეუძლიათ საზრდოს შოვნა.

კიდევ რამდენიმე კვირა და ზაფხული დადგება!

— ექსპედიცია დროულად ჩამოვიდა, ხომ მართალია?

იშაკი ჭდეებს აკეთებს. სიმაღლის მზომი 3400 მეტრს უჩვენებს.

— ჩრდილოეთ ნილგირი 111°-ია აღმოსავლეთისაკენ. ტუკუჩას პიკი — 270° დასავლეთისაკენ... რუკა აშკარად ტყუის! ყველაფერი ნათელია. დამბუშ-კჰოლას უზარმაზარი ცირკი ჩრდილოეთიდან შემოსაზღვრულია თხემით, რომელიც ტუკუჩის პიკიდან ეშვება! დჰაულაგირის ჩრდილოეთი კალთის ძირში მეორე ცირკი მდებარეობს. ეს არის და ეს. მაგრამ თუ

ჩრდილოეთ კალთის საიერიშოდ ჯერ ამ ცირკში გადასასვლელი თხემის გადაკვეთა გახდა საჭირო, მაშინ წინ კიდევ ერთი წლის სამუშაო გვქონია! უკვე სერიოზულად ვყოყმანობ. დღეისათვის, მგონი საკმარისია.

— აბა, დავეშვათ, თუ გვინდა, ბანაკში ვახშმობამდე ჩავიდეთ! თოვლზე დიდხანს მივსრიალებთ და სწრაფად ვეშვებით. ქვემოთ დროგამოშვებით ვჩერდებით, სურათებს ვიღებთ. გეოლოგებისათვის მინერალების ნიმუშებს ვაგროვებთ. 16 საათსა და 30 წუთზე, გარუჯულები, მაგრამ უსაზღვროდ კმაყოფილნი, ბანაკში საუცხოო რძიან ჩაის შევექცევით.

ამხანაგებს უკვირთ:

— როგორ, დჰაულა არ დაგინახავთ? (ამათ ეგონათ ალბათ, რომ 1:20.000 მასშტაბის ჰორიზონტალებიან ფერად რუკას მოვუტანდით).

— ილუზიებს ნუ იქმნით, დაზვერვა ხშირად ძალიან ცოტას იძლევა. აქ ხომ ყველაფერი ესოდენ გრანდიოზულია! ალბათ რამდენიმე დღით მოგვიხდება წასვლა, რომ თუნდაც შორიდან შევხედოთ ჩრდილოეთის კალთას!

— ფოსტა არ ყოფილა? — კითხულობს იშაკი.

— არა, პასუხობს ნუაელი. — მე ველაპარაკე ჟ. ბ.-ს ის გაარკვევს, რაშია საქმე.

— ანაპურნა როგორიღაა? დაინახეთ? — ვეცი უდოსა და შაცს, რომლებიც ეს-ეს არის დაბრუნდნენ.

— მხოლოდ ზედა ნაწილი...

— ეგეც კარგია!

— ის, რაც ჩვენ ვნახეთ, გვარიანად გამოიყურება, კარგ შთაბეჭდილებას ტოვებს. ხომ მართალია, უდო? აი, მისადგომები კი... მეშინია, ვაითუ თავსატეხი აღმოჩნდნენ! ჩვენ ხომ ყველაფერი ეს შორიდან ვნახეთ.

— მირისტის ვიწრობების თავზე პატარა უნაგირა შევნიშნეთ. ჩვენსკენ დაშვებულ კალთაზე თითქოს შეიძლება გადასვლა. რა ხდება მეორე მხარეს, არ ვიცით. კარგი იქნებოდა, უფრო ახლოს მივსულიყავით.

— შენ მართალი ხარ. ბოლოს და ბოლოს, ყოველივე უნდა

გაირკვეს, — ვეუბნები მარსელს, — როგორც კი დაისვენებთ, ხელახლა გაემგზავრებით, ამჯერად რამდენიმე დღით...

ჯერჯერობით კი ჩვენთვის ყველაფერი საიდუმლოებით არის მოცული. დაუსრულებლად ვმსჯელობთ, მაგრამ იოტისოდენაც ვერაფერი გავარკვიეთ.

— ეი, მორის, უფროსები მოვიდნენ!

გამოცხადდნენ ნუაელი და ჟ. ბ., მათ ახლავს კარგად ჩაცმული ორმოციოდე წლის მამაკაცი. სახეს საუცხოო გადაგრეხილი ულვაში უმშვენებს და მახვილი მზერა აქვს. ეს სუბაა, რაიონის პრეფექტი.

ამას მოსდევს ორივე მხრიდან ინდური მისალმება.

— He is of Thinigaon[1] — გულში ჩამწვდომი ხმით აცხადებს ჩვენი მეგობარი ჟ. ბ. შორიახლო მდგომ ადგილობრივ მკვიდრზე მიგვითითებს და აზუსტებს:

— A friend of the great man![2]

უცნობი შიკარი აღმოჩნდა, რომელიც თითქოს მშვენივრად იცნობს ტილიჩოს უღელტეხილს. მივათრევთ მას რუკასთან და ვაყრით შეკითხვებს:

— ტილიჩოს გადასავალი ანაპურნას ქვემოთაა? არა? მაშ სად არის?

— შეუძლებელია! ნილგირიდან ჩრდილოეთით? თუ სამხრეთით? მირისტის ახლოს, არა?

— ის ალბათ ტილიჩოს უღელტეხილს სხვაში ურევს — თორუნგზეში, მუქთინათის ზემოთ!

— არა, შეხედე, ამბობს „არაო“!

— დაიცათ, ეს ხომ ძალზე მნიშვნელოვანია! თუ ტილიჩოს უღელტეხილი ნილგირიდან ჩრდილოეთითაა, მაშასადამე, ანაპურნასთან გასასვლელად საჭიროა მათი გადაკვეთა. ეს კი შეუძლებელია. ანდა გრძელი გზით უნდა შემოვუაროთ ჩრდილოეთიდან.

— მას შეუძლია, ორ დღეში მიგვიყვანოს ტილიჩოს უღელტეხილზე? ეს სხვა საქმეა, მაშინ გავარკვევთ ყველაფერს.

---

1 ოგი თინიგაონელია.

2 პრეფექტის მეგობარი.



დჰაულაგირის მასივის ოროგრაფია ინდური რუკების მიხედვით

— მართლაც, რუკაზე არის ვარსკვლავი, რომელიც უჩვენებს რაღაც გადასასვლელს ნილგირიდან ჩრდილოეთისაკენ.

— მაგრამ შეხედე, ტილიჩოს უღელტეხილი ხომ მკაფიოდაა ნაჩვენები ნილგირისა და ანაპურნას შორის! იქნებ ტოპოგრაფებმა სახელწოდება აურიეს? მართლაცდა, ხომ უნდა იყოს აქ უღელტეხილი, რომელზეც ეს თინიგაონელი ლაპარაკობს! მაგრამ ეს ანაპურნას გამოკვლევაში შედის და იქ უფრო მოგვიანებით წავალთ. ჯერჯერობით კი დჰაულაგირს მივხედოთ.

მეორე დღეს ბრუნდებიან ენთუზიაზმით აღსავსე ლაშენალი და რებიუფა. მეგზურმა ისინი გაიყვანა დჰაულაგირის აღმოსავლეთ ყინვარის მარჯვენა მხარეს, თითქმის ტუკუჩას პიკის ძირში.

— დიდი ბელადია ეს შიკარი, — ამბობს ლაშენალი, რომელიც კარგად სცნობს ადამიანებს.



დპაულაგირის მასივის ოროგრაფია 1950 წლის საფრანგეთის ექსპედიციის მონაცემების მიხედვით.

— მასთან შედარებით ჩვენ ბიჭუკელებს ვგავართ, — დასძენს რებიუფა.

— რა გაეწყობა. მომავლისთვის გვეცოდინება. ყინვარის შესახებ რაღას იტყვით?

რებიუფა გვიხსნის:

4000 მეტრზე ღამისთევის შემდეგ მონბლანის სიმაღლეზე ავედით. აღმოსავლეთ ყინვარი მთლიანი ყინულვარდნილია. მისი გავლა ალბათ შეიძლება, მაგრამ კარგი ძნელი „სეირნობა“ მოგვიწევს.

ლაშენალი განაგრძობს:

— დავუშვათ თუნდაც, რომ დავძლიეთ ყინულვარდნილი. ამის შემდეგ მაინც არ ჩანს გასასვლელი ჩრდილოეთ თხემზე.

მე მგონი, ამაზე ფიქრიც კი ზედმეტია! ნამდვილი უელკერის წიბოა[1], პლუს ყინულოვანი ჩამონასხლეტები.

— შესაძლოა, ცოტა სამხრეთით არის უფრო ადვილი გასასვლელი თხემზე, ამბობს რებიუფა. — თვითონ თხემი ქვემოდან არც ისე საშიში ჩანს. რა თქმა უნდა, იგი გრძელია, მაგრამ არც თუ ისე ციცაბო. დურბინდით მოჩანს ყინულის კოშკები. საერთოდ, გავლა შეიძლება.

— ასეა თუ ისე, ძალიან ვცდებოდით მასშტაბებში. რამდენად უფრო ზვიადია ყველაფერი, ვიდრე გვეჩვენებოდა. ხომ მართალია, გასტონ?

— ოო, ეს ფაქტია!

— ალპური ტაქტიკა აქ არ გამოდგება. თანამიმდევრული ბანაკების ორგანიზაციის ტაქტიკაზე უნდა გადავიდეთ. პირადმა გმირობამ ადგილი უნდა დაუთმოს კოლექტიურ მოქმედებას. ახლა ყველანი ვუწევთ ანგარიშს თავს, რა არის ჰიმალაის ექსპედიცია. იგი შეიძლება ერთი სიტყვით გამოიხატოს. ესაა ვუნდი!

სანამ მოსულები ხარბად შეექცევიან მოშუშული ხორცის ცხარესაწებელიან კონსერვს, ჩვენ განვაგრძობთ მდგომარეობის განხილვას.

საიმედო ჯერჯერობით ცოტაა, მაგრამ პირველმა დაზვერვამ შესაძლებლობა მოგვცა, შეგვეღწია ჰიმალაის მაღალმთიანეთში და შეგვეცნო ჩვენს წინაშე დასახულ ამოცანათა არსი. ლაპარაკიც ზედმეტია იმაზე, რომ ამ ამოცანებს 48 საათში გადავწყვეტთ. ახლა მხოლოდ ის შეგვიძლია, შევუდგეთ დასახულ ობიექტთა გეგმიან გარემოცვას.

ვიდრე კუზი, უდო და შაკი მირისტი-კჰოლას ხეობით ანაპურნის მისადგომებს გამოიკვლევენ, მე, ტერაი და იშაკი შევისწავლით დჰაულაგირის ჩრდილოეთ კალთას და მისასვლელს დამბუშ-კჰოლას ხეობიდან.

26 აპრილს, განთიადზე, ორივე რაზმი რამდენიმე დღით გადის. ჩვენ თანმხლებ შერპებს თხილამურები და სასიმაღლო კომპლექტები მოაქვთ. პირველ ფირნამდე იმავე შიკარს მივყავართ, რომელიც ადრე ლაშენალსა და რებიუფას ახლდა. უფ-

---

[1] გრანდ-ჟორასის ჩრდილოეთ კედლის წიბო — ალპების ერთ-ერთი უძნელესი მარშრუტი.

რო მაღლა იგი თავის დღეში არ ასულა. მცირე საუზმის შემდეგ მას უკვნვე ვისტუმრებთ.

საშინლად ცხელა. თოვლი რაღაცნაირ ფაფად გადაიქცა. მეტისმეტად რომ არ ჩავეფლოთ ხოლმე, თხილამურებს ვიკეთებთ. ასვლა განსაკუთრებით უმძიმთ შერპებს. ისინი წელამდე თოვლში ფართხალებენ. ხუთი საათია. ყველა შერპი, ანგთარკეს გარდა, ქვევითაა წასასვლელი. ჩვენ კი ბანაკი უნდა გავმართოთ.

მუქი სათვალეების მოხსნა შეუძლებელია, რადგან თოვლის ბრეყვიალი აუტანელია ჩვენი დაღლილი თვალებისათვის. აქვე ტუკუჩას პიკის გრანდიოზული ჩრდილოეთი კედელია აღმართული. იგი ალმასივით ელვარებს და პირდაპირ გვთრგუნავს თავისი მიუდგომლობით. კარვები ძალიან პატარებია. ჩვენ მათ „კუბოები" დავარქვით. თუ შეფორთხდები შიგ, თორემ ისე ვერ შეხვალ. მათი სიკეთე ისაა, რომ ნეილონისა და ალუმინისგანაა დამზადებული, სულ ორ კილოგრამს იწონის და თავისუფლად თავსდება ზურგჩანთის ძირში. მე, იშაკი და ტერაი, საძილე ტომრებში, გასაბერ ლეიბებზე პირქვე ვწევართ და ვახშამს ვამზადებთ. თითოეული სანტიმეტრის გაანგარიშებაა საჭირო, მკვეთრი მოძრაობა დაუშვებელია. მტკიცე ნერვები უნდა გვქონდეს, რომ ესოდენ შეზღუდული სასიცოცხლო სივრცის დამჩაგვრელმა გავლენამ არ გაგტეხოს.

მეორე დღეს ტერაი პირველი ნაბიჯიდანვე ჩქარ ტემპს გვთავაზობს. იქნებ რევანში უნდა აიღოს? ამ ბოლო ხანებში ისე დაასუსტა ავადმყოფობამ, რომ მოძრაობა უჭირდა. ახლა კი ძლივს ვეწევით. ფერდობი ძალზე ციცაბოა და კამოსები[1] ძლივს გვიჭერენ. ხანდახან ჯოხებზე დაყრდნობაც კი გვიხდება. მზე უკვე ზედ ჩვენს თავზეა. რელიეფი რთულდება. თხილამურებს თოვლში ვარჭობთ, რომ დაშვებისას ადვილად ვიპოვოთ.. დაახლოებით მონბლანის სიმაღლეზე ვართ, რაც უკვე იგრძნობა. მიუხედავად იმისა, რომ შიმშილით კუჭი გვეწვის, მაინც განვაგრძობთ აღმა სვლას, ეგებ დამრეც ადგილს მივაღწიოთ.

---

[1] კამოსი — სელაპის ტყავის თასმაა, რომელსაც წამოაცმევენ ხოლმე თხილამურებს უკუსრიალის შესანელებლად. (ავტ.).

ტერაი უკვე დიდი გაჭირვებით მიაბიჯებს. ზედმეტად ხომ არ ენდო იგი თავის ძალებს? არ ვიცი, ყოველ შემთხვევაში, მოედნამდე რომ მივიდეს, იძულებულია მთელი ძალები დახარჯოს. იგი მძიმედ ეშვება თოვლზე და გვეუბნება:

— მეტი აღარ შემიძლია, ასე მგონია, ახლავე სული ამომ-ძვრება.

სიფრთხილისათვის მან ერთი ფინჯანი ცხელი ჩაი უნდა დალიოს და დაეშვას პირველ ბანაკში.

— ეს მთის ავადმყოფობაა, — შენიშნავს იშაკი. — შენ ჯერ კიდევ ვერ მოკეთდი. ქვემოთ ისევ კარგად გახდები. ანგ-თარკე დაგვეხმარება მეორე ბანაკის მოწყობაში და მერე ისიც ქვემოთ ჩამოვა.

ვემშვიდობებით ამხანაგს და ირიბად ვჭრით ვრცელ ფირნის ველებს, რომლებზედაც აღმართულია დიდი ყინულოვანი კედლები. თოვლი, ცოტა არ იყოს, ზვავსაშიშია. შეგნებულად მივდივართ რისკზე. ჩქარა ვაღწევთ ფერდობს, რომელსაც უღელტეხილისაკენ მივყავართ. აქედან იწყება დაუსრულებელი აღმართი. სიმაღლის მოქმედების გამო დიდი გაჭირვებით მივიწევთ. თავს იჩენს აკლიმატიზაციის უკმარობა. უღელტეხილი ჯერ კიდევ შორსაა. გადავწყვიტეთ, ანგ-თარკე ქვემოთ დავაბრუნოთ. ფერდობის შუაში, პატარა კლდოვან კუნძულზე, შეიძლება კარვის დადგმა. ანგ-თარკე იხსნის თავის ტვირთს და სწრაფად ეშვება, რომ დაბინდებამდე მოასწროს ბანაკში ჩასვლა. 5000 მეტრის სიმაღლიდან დაწყებული თავის ტკივილი ჩვეულებრივი მოვლენაა. ჩვენც მალე გვეწყება ძლიერი შეტევები. ასპირინის აბები, რომელიც წინდახედულმა უდომ დაგვირიგა, სწორედ დროზე გამოგვადგა. თუმცა ორივენი ძალზე დავიღალეთ, მაგრამ მაინც მთელი ღამე თვალი არ მოგვიხუჭავს. მზის ამოსვლისას ვტოვებთ კარავს და გზას განვაგრძობთ. გაცილებით უფრო სწრაფად ავდივართ, ვიდრე წინადღით და ერთ საათზე ნაკლები გვჭირდება, რომ უღელტეხილის ძირამდე მივიდეთ. დილის მზე პეიზაჟს არაჩვეულებრივ რელიეფურობას ანიჭებს. ჩვენს უკან დარჩენილი თხემი სრულიად სუფთა ტონებშია აფერადებული.

— ეჰ, მეგობარო, ეს ჯერ კიდევ არ არის ნამდვილი უღელტეხილი, — ძალზე გუნებაწამხდარი ვეუბნები იშაკს.

ხეობის მაგიერ ჩვენს წინ მხოლოდ ცირკია — მთლიანი თოვლის დაფა![1]

— მორის, შეხედე! უღელტეხილი მეორე მხარეზეა, — ორი საათის სავალზე აქედან.

უჩვეულო დაღლილობას ვგრძნობთ. მიუხედავად იმისა, რომ გრძელი გზა გავიარეთ, აშკარაა, წვრთნა და აკლიმატიზაცია გვაკლია.

— აუცილებელია, რომ ყველა (შერპების ჩათვლით) მონაწილეობდეს დაზვერვაში და 5000—6000 მეტრის სიმაღლეზე ათევდეს ღამეს, — ვეუბნები იშაკს. სრულიად ნათელია, რომ წინასწარი აკლიმატიზაციის გარეშე დიდ სიმაღლეებზე ასვლა შეუძლებელია.

უღელტეხილზე ყინულივით ცივი ქარი უბერავს. იძულებული ვართ, ქარისა და თოვლისათვის გაუმტარი ცისფერი ნეილონის საშტორმო კოსტიუმები ჩავიცვათ.

— ესეც ახალი ამბავი! კაი გეშველოს! აქედან იწყება ხეობა!

— რუკაზე აღნიშნული არ არის, — მარწმუნებს იშაკი,— ეტყობა უცნობი ხეობაა.

— იგი ეშვება ჩრდილოეთისაკენ და ორ ვეებერთელა ტოტად იყოფა.

— დჰაულაგირისა კი კვალიც არა ჩანს! თუ არ ჩავთვლით ამ საცოდავ ყალბ იმიტაციას, — მეუბნება მარსელი და მაჩვენებს რომელიღაც შვიდიათასიანს, რომელიც საოცრად ჰგავს დჰაულაგირს.

არც თუ ისე ღრმა „უცნობი ხეობა“, რომელსაც ასე უწოდა სახელების დარქმევის დიდმა მოყვარულმა იშაკმა, დამრეცად ეშვება ჩვენს წინ. იგი საკმაოდ განიერია, ალპური ტიპისა. თოვლისა და გაყვითლებული ბალახის ლაქები ისე ენაცვლება ერთმანეთს, ვეფხის აჭრელებულ ტყავს მოგაგონებს.

— დჰაულას ჩრდილოეთ კალთის დასანახავად მარცხნივ უნდა წავიდეთ, ხეობის მეორე ბოლომდე, იქითა მხრიდან ალბათ გასაოცარი ხედი იშლება.

---

[1] თოვლის დაფა — ქარისა და მზის მოქმედებით გამაგრებული თოვლი.

მაგრამ ჩემ სიტყვებს იშაკი არც ისეთი აღტაცებით ხვდება.

— უკვე ძალიან გვიანაა, — მეუბნება იგი, — და კარავიც არა გვაქვს თან.

მართალი ხარ.

— ჩადი ცოტა ქვემოთ, პანორამას გადავიღებ და დავეშვათ!

ტუკუჩის მეორე მხარეს, ნილგირის მწვერვალებზე უფრო მაღლა, აღმართულია მძლავრი პიკი. იშაკი საზღვრავს: ეს ანაპურნაა. ვიდრე მისკენ მივდივართ, იგი სწრაფად ხატავს კროკებს. გამჭოლი ქარი უბერავს. იგრაგნებიან ღრუბლები. ნაჩქარევად ვყლაპავთ თითო ტუბ შესქელებულ რძეს და უკან ვბრუნდებით...

მივაბიჯებთ მდუმარედ, ავტომატებივით გაშტერებულები. სუნთქვა გვეკვრის. ტკბილ ოცნებაში წასულებს გვახსენდება შამონის ველი, სიამისმომგვრელი, მწვანედ მოშრიალე ტყეები და ჩრდილიანი ბილიკები. ვგრძნობ, ძალა მელევა. უკანასკნელი აღმართი უღელტეხილის წინ მძიმე განსაცდელია. იშაკი მიიკვლევს გზას. ვცდილობ, მეც მივსდიო, მაგრამ ამაოდ. ყოველი ათი ნაბიჯის შემდეგ თოვლზე ვეშვები.

მეტი აღარ შემიძლია!

მარსელი უკანასკნელი სიტყვებით მლანძღავს — ასეთ შემთხვევებში მხოლოდ ეს შველის ხოლმე ადამიანს.

როგორც იქნა, გამოჩნდა თხემი! რა ბედნიერებაა! მაგრამ წინ კიდევ მთელი დაღმართია.

ჩემდა გასაცვიფრებლად, პირველი ნაბიჯებისთანავე ვგრძნობ, თითქოს ფრთები გამომესხა. პირდაპირ კოტრიალ-კოტრიალით ვეშვებით ქვემოთ. რამდენიმე წუთის შემდეგ უკვე ბანაკში ვართ. ერთი რამ აღმოვაჩინე: ასვლის დროს იტანჯები სიმაღლის, ყანგბადის სიმცირისა და ქოშინისაგან, დაშვებისას — მსგავსი არაფერი ხდება, პირიქით, ყველაფერი გიადვილდება.

სანამ ჩაი ადუღდება, იშაკი მიამბობს საინტერესო მოვლენაზე, რომელიც სულ ახლახან შეამჩნია, როდესაც პლატოზე მივდიოდით.

— მივჩანჩალებდი გაშტერებული და სულ მეჩვენებოდა, რომ უკან ვიღაცის ნაბიჯების ხმა ისმოდა. ასე მეგონა, ვიღაც მესამე მოგვდევდა. მინდოდა შენთვის დამეძახნა, მაგრამ ენა არ მემორჩილებოდა. მალულად უკან-უკან ვიხედებოდი, რომ დავმშვიდებულიყავი. მავრამ ეს შეგრძნება ისევ და ისევ მიბრუნდებოდა, როგორც აკვიატებული იდეა. შემდეგ ყველაფერმა გაიარა. სწორედ ამ დროს გქონდა შენ დეპრესიის შეტევა.

— დიახ, ეს ამტკიცებს, რომ დიდ სიმაღლეზე აზროვნების უნარი კატასტროფულად ქვეითდება.

სულ დათეთქვილები ვართ. მუხლები გვიკანკალებს, თავი ტყვიასავით გაგვიხდა. ღრუბლებიდან მზე გამოკრთის.

— ანგ-თარკე მოდის! — ყვირის იშაკი, რომელმაც ძველ ნაკვალევზე ამომავალი პატარა შავი წერტილი შეამჩნია.

— ვაშა! იგი დაგვეხმარება მთელი ამ ხარახურის თრევაში.

ძლიერ აღგზნებულებს გვავიწყდება საძილე ტომრების სიამენი. რის ვაივაგლახით ვიცვამთ გაყინულ ფეხსაცმელებს, ხოლო კარავს სარეკორდო დროში ვხსნით და ვახვევთ. აქლემებივით დატვირთულნი, ფრთხილად ვეშვებით არც თუ ისე საიმედო თოვლზე.

— სალამი, ანგ-თარკე!

— Tired, Sir?[1]

მას უნდა, ყველაფერი თვითონ აიკიდოს! ბეჭები თითქმის გადახერხილი მაქვს ღვედებით და ცთუნების უარყოფა პირდაპირ წამებაა, მაგრამ უფრო კეთილგონივრულია, ტვირთი თანაბრად განაწილდეს.

— წინ!

მივგორავთ ზვავსაშიშ ფერდობებზე, რომლებიც ამჟამად არავითარ ნდობას არ მინერგავენ. აი, თხემიც—ტერაის კოშმარი. თხილამურები ადგილზეა. ანგ-თარკე ფეხდაფეხ ეშვება ბანაკამდე, ჩვენ კი აუჩქარებლად ვაკეთებთ მშვენიერ მოსახვევებს არასაიმედო თოვლზე.

მეორე დღეს ერთი ამბით გვხვდებიან ტუკუჩაში. ტერაი,

---

[1]. დაიღალეთ?

რომელიც წინადღით ჩავიდა, უკეთ გრძნობს თავს, მაგრამ მის დაღლილობას კიდევ არ გაუვლია. ამხანაგები კითხვებს გვაყრიან:

— აბა, რას იტყვით დჰაულაგირზე, როგორი პერსპექტივებია?

— საით ეშვება ეს ჩრდილოეთის კალთა?

— მთვარეზე!..

———-

IV

აღმოსავლეთ ყინვარი

ყველანი შევიკრიბეთ, მხოლოდ კუზი და შაკი გვაკლია. მშვენიერი შემთხვევაა შექმნილი მდგომარეობის განსახილველად.

უდო გვაცნობებს, რომ 27 აპრილს იგი ავიდა თხემის უნაგირაზე, რომელიც ესოდენ საიმედოდ მოგვეჩვენა პირველად, ლეტედან რომ დავინახეთ.[1]

— ძნელია, რა თქმა უნდა, მაგრამ მზიდავები მაინც გაივლიან. იქიდან ანაპურნაც მოჩანს... თუმცა ძალზე შორს!

ზემოთ თხემებია, ბირისტი-კჰოლას ხეობაში წიბო ეშვება. შესაძლოა...

— უღელტეხილი სადღაა?

— არავითარი ტილიჩო არა ჩანს! იმ ადგილას მე ფეხი ავითრიე, სხვები წინ გავუშვი.

— ბოლოს და ბოლოს,—ვამბობ მცირე პაუზის შემდეგ,— ჩვენს წინაშე სამი ამოცანაა. რაც შეეხება დჰაულაგირს, საჭიროა გამოვიკვლიოთ ჩრდილოეთი ნაწილი და მისი მისადგომები. ჩვენმა დაზვერვამ მხოლოდ ოდნავ ასწია ფარდა, მაგრამ საკითხი მთლიანად ჯერ კიდევ არ არის გადაწყვეტილი.

— ეს საკითხი კი არა, საიდუმლოებაა, ამბობს იშაკი. ამაზე მე ცოტა რაღაცეებს ვფიქრობ, მაგრამ. ცხადია, ადგილზე ნახვა ყველაფერს აჯობებს.

— მაშასადამე, ერთი დაზვერვა კიდევ უნდა ჩავატაროთ. ეს შორსაცაა და მაღლაც. კარგი მაგარი დაწოლა მოგვიხდება.

---

[1] შემდგომში ამ უნაგირას დაერქვა „27 აპრილის უღელტეხილი“.

— როგორც კი გამოვჯობინდები, მეც შემიყვანე ჯგუფში, — ამბობს ტერაი. — შომბეზრდა ავადმყოფობა. უკანასკნელად მორისს და იშაკს რომ წავყევი და „დავეშვი“, ახლა რევანში მინდა. ორი დღის შემდეგ სრულ ფორმაში ვიქნები...

— არ მინდა, ძალად აგეკიდო, — ერევა ლაპარაკში უდო, მაგრამ უნდა გამოვტყდე, რომ მეცა მაქვს წამოსვლის სურვილი. აქ მაინც არაფერს ვაკეთებ, გარდა იმისა, რომ წამლებს ვურიგებ ტუკუჩელ „პაციენტებს“.

— პრესტიჟი, ძველო, ჩვენი პრესტიჟი არ დაივიწყო! გარდა ამისა, შენ ხომ ახლახან დაბრუნდი.

— ჩვენი პრესტიჟი იმდენად დიდია, რომ ორ დღეს უჩემოდაც იოლად გავა.

— როგორ, შენ უკვე მოგბეზრდა ნეპალელი ლამაზმანების პასუხები, როცა ეკითხები ხომ არ გაციებთო? — სიცილით ეუბნება ნუაელი.

— იცი რა? ეგზოტიკა თანდათან კარგავს თავის მიმზიდველობას.

— მაშ, თუ აგრეა, ორივენი წავიდეთ, — მტკიცედ ამბობს ტერაი.

— კეთილი!

— ოღონდ გაფრთხილებთ, — ამბობს ტერაი, — მე ბოლომდე წამოვალ!

— შენ იცი!

— რაც არ უნდა შორს დაგვჭირდეს წასვლა, რამდენი უღელტეხილის დაძლევაც არ უნდა მოგვიხდეს, რა სიძნელეებიც არ უნდა შეგვხვდეს, არ შევჩერდები.

— საკმარისია, ისეთ ადგილამდე მივაღწიოთ, საიდანაც დჰაულაგირის მთელი ჩრდილოეთი ნაწილის ჩახატვა იქნება შესაძლებელი, — ვეუბნები მე.

— კეთილი, — მიპასუხებს ტერაი, — ოღონდ სრული აღჭურვილობა უნდა გვქონდეს. მე მჭირდება ორი შერპი, ექვსი მზიდავი, რომელთა დაქირავება აქვე შემიძლია, და რვა დღის საგზალი მაინც...

— ამას ყველაფერს დაწვრილებით განვიხილავთ.

— მეორე ამოცანა? — მეკითხება ლაშენალი. ეტყობა ტერაის აღგზნება მასაც გადაედო.

— მეორე ამოცანა — ანაპურნაა. უნდა გამოირკვეს მისი საკითხი, მაგრამ სანამ ამ საქმეს შევუდგებოდეთ, აუცილებელია კუზისა და შაცის დაბრუნებას დავუცადოთ. რაც შეეხება მესამე ამოცანას...

— აი, ეს კი ჩვენი საქმეა, გასტონ! — მიმართავს ლაშენალი რებიუფას.

— ეს საკითხი ჯერ სრულიად ბუნდოვანია...

— მხოლოდ ცოტა ხნით! — ყვირის ლაშენალი.

— შენ ხომ არც კი იცი, რაზეა ლაპარაკი!

— ვინ მოგახსენათ, რომ არ ვიცი?

— დჰაულას აღმოსავლეთ ყინვარი? — კითხულობს გასტონი.

— დიახ, სწორედ ის! შეიძლება თუ არა მასზე ავიდეთ, მარცხნივ მოვუხვიოთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ ან მარჯვნივ ჩრდილოეთ თხემამდე მივაღწიოთ? ის, რაც შენ და ბისკანტმა ნახეთ, როდი კმარა იმისათვის, რომ ნათელი წარმოდგენა ვიქონიოთ.

— მაგრამ მგონი იმისთვის კი იკმარებს, რომ უიმედობამ მოგვიცვას, — მპასუხობს გასტონი. — მე ვფიქრობ, ყინვარით პირდაპირ ასვლა ძნელი იქნება. იმის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, რაც ჩვენ ვნახეთ, ეს არის სერაკებით[1] სავსე, უთვალავი ნაპრალებით დასერილი ვეება ყინულვარდნილი, ზედიზედ ჩამოდის ზვავები, ყველაფერი ეს არცთუ ისე მიმზიდველია.

— მე თქვენთან წამოვალ, — ვეუბნები ლაშენალსა და რებიუფას. ჩვენ ავალთ ცხენებით, რაც შეიძლება მაღლა, და გავმართავთ პატარა საბაზო ბანაკს ყინვარის ენასთან. ეს კისერი მომჭერით, თუ ამ საიდუმლოების გახსნა ვერ შევძლოთ.

მეორე დღეს მთელი ექსპედიცია ისვენებდა. მე, იშაკმა, ნუაელმა და რებიუფამ დრო ვიხელთეთ და დილაადრიან ტუკუჩას სამხრეთით მდებარე პატარა ბორცვზე ავედით. აქედან მშვენივრად ჩანს დჰაულაგირი. დურბინდით ვათვალიერებთ საშინელი აღმოსავლეთ ყინვარის ყოველ კუნჭულს. თუ მარცხნივ, ე. ი. ოროგრაფიულად მარჯვენა ნაპირით წავალთ, სერაკების უმეტესობას იოლად ავუვლით გვერდს მთელ მანძილზე,

---

[1]. სერაკები — სხვადასხვა ფორმის ყინულის კოშკები.

ყინვარის ზემო ნაწილის გარდა. ძირითადი ამოცანაა — გავიდეთ ერთ-ერთ თხემზე.

აქედან შესანიშნავი ხედი იშლება დჰაულაგირზე; ხეობებში კიდევ მიმოცურავს დილის მშრალი ბურუსი. ყინულისა და თოვლის დამაბრმავებელი ბრჭყვიალი თვალებს გვჭრის. ცის კამარას ნაზი მტრედისფერი გადაჰკვრია. ორასიოდე მეტრის მოშორებით, ციცაბო კლდის წვერზე, ძერა წამოსკუპულა და ზანტად გვადევნებს თვალს.

* * *

აი, უკვე მთელი თვეა აზიაში ვართ!

დილდილობით ყველას მთელ სხეულში გვამტვრევს.

— როდისღა მოვლენ ჩვენი ჯაგლაგები? — ეკითხება ბისკანტი ჟ. ბ.-ს. — ადექი, მორის, ყველაფერი მზადაა!

ვაღიარებ, რომ დღეს მხოლოდ ფიქტიურად ვმონაწილეობ მზადებაში.

ცხენებით გავდივართ ვრცელ, ქვიან განდაკის ვაკეზე. შერპებს მივყავართ ლარჟუნგზე, ალბათ უნდათ, ერთხელ კიდევ დაატრიალონ სამლოცველო წისქვილები. ეს სოფელი, თავისი ვიწრო და გადახურული პატარა ქუჩებით (ზამთრის უხვთოვლიანობისაგან დასაცავად), ძალზე თვალწარმტაცად გამოიყურება. დაახლოებით ერთი კილომეტრის შემდეგ ვტოვებთ ცხენებს. ქარავანი გაიწელა მწვანედ მობიბინე ფერდობებზე. უამრავი იაკი და ძროხა მადიანად ძოვს დაპურებულ ბალახს. მთის ფერდობებზე ათასგვარ სურნელს აკმევენ სხვადასხვა ელფერის მქონე წითელ და ვარდისფერ ყვავილებიანი ხეები. გვიჭირს მოძრაობის გრაფიკის დაცვა ამ მიწიერ სამოთხეში. შერპები გაოცებული არიან, რომ დღეს ასე ხალისით ვასრულებთ მათ სურვილს — სადაც იტყვიან, იქ შევისვენებთ ხოლმე. ვერაფრით ვერ დაგვიჯერებია, რომ გაივლის რამდენიმე საათი და ამ ვეებერთელა ყვავილებისა და მოალერსე სიმწვანის ნაცვლად თავს იმდენად გრანდიოზულ მყინვარებში ამოვყოფთ, რომ ჩვენი გამბედაობისგან კვალიც აღარ დარჩება მთელი დღე მაღლა მივიწევთ.

გავცდით ტყის ზონას. დაბეჩავებული მეჩხერი ბალახი— ერთადერთი მცენარეულია ამ სიმაღლეზე.

ჩვენი ქარავანი მაღლა-მაღლა მიიწევს. სულ უფრო ხშირად გვხვდება ფირნის მონაკვეთები. საღამოთი ვმართავთ ბანაკს მიწის უკანასკნელ ნაგლეჯზე. ვდგამთ რადიოსადგურს, რომელიც საშუალებას გვაძლევს ორმხრივი კავშირი დავამყაროთ ათ კილომეტრზე უფრო შორს.

მალე ტუკუჩას ვესაუბრებით. ბავშვური აღტაცებით ვუსმენ იშაკს, რომელიც გადმომცემს უკანასკნელ ცნობებსა და ქალაქის ჭორებს.

— ალო, მარსელ! კარგად ვიმგზავრეთ. საკმაოდ პირქუში ადგილია ასეთ ამინდში. ყველანი დაწვნენ...

— ნუაელი მოდის ხვალ თქვენსკენ, კუზი და შაცი დაბრუნდნენ.

— ოჰო! რას ამბობენ ანაპურნაზე?

— სამი დღე უვლიათ და მირისტი-კჰოლას სათავეებში შეუღწევიათ.

— ყოჩაღ, ბიჭებო!

— მის ბოლოში წაწყდომიან ანაპურნიდან დაშვებულ წიბოს.

— რომელ წიბოს, უდოსთან რომ ნახეს 27 აპრილს?

— ჰო. ამბობენ, ვეებერთელაა. დასაწყისში თითქოს იმოდენა არა ჩანს, შემდეგ ალბათ მწვერვალის თხემს უერთდება, მაგრამ, ზუსტად რა ადგილას, ქვემოდან არ ჩანს.

— უფრო შორს აღარ წასულან?

— არა! უფიქრიათ, ჩრდილოეთ კალთის დასანახად წიბოს შემოვლა გაგვიჭირდებაო.

— მაშასადამე, მათ არც კი უნახავთ ტილიჩოს უღელტეხილი?!

— არაფერი მსგავსი! თუ მართლა არსებობს ტილიჩოს უღელტეხილი, საიდანაც ანაპურნის ჩრდილოეთ კალთის ძირში გასვლა შეიძლება, მაშინ ის სადღაც სხვა ადგილასაა.

— მაშასადამე, ის თინიგაონელი კაცი მართალი ყოფილა! ძალიან დაღლილან?

— გვარიანად. ახლა ისვენებენ.

— როგორი ამინდია მანდ, თქვენთან?

— ძალიან ცივა. ჩამობუდულია. მოიკითხე ყველანი!

— შენც მოიკითხე... გისურვებთ წარმატებას!

უეცრად მაგონდება ჩვენთან ერთად ამოსული მზიდავები. რა ეშველებათ ამაღამ? ერთი ზედმეტი კარავი გვაქვს. ზოგ მათგანს იქ შეეძლო შეეფარებინა თავი... ჩაის შემდეგ ბანაკის დასათვალიერებლად გავდივარ.

— მისმინე, ანგ-თარკე, რა ვუყოთ მზიდავებს?

— Jes, Sir![1]

— Where?[2]

— Here[3] — ბარა-საჰიბ!

— როგორ, აქ არიან? კარავში? ექვსივენი? — ვათვალიერებ კარავს. სიბნელეში ხელებსა და ფეხებს ვერ ვარჩევ, მაგრამ სუნი... ნეტა როგორ არ იგუდებიან?

უთენია მივემართებით დიდი ყინულვარდნილისაკენ. ახლოდან, განთიადისწინა ბინდში, ძლიერ შთაბეჭდილებას ახდენს. ჯგუფში ჩემი ამხანაგების, ლაშენალისა და რებიუფას გარდა, არიან შერპები: ანგ-თარკე, ფუთარკე, სარკე, რომლებსაც პირველად მოუხდებათ დიდ ტექნიკურ სიძნელეებთან შეხვედრა.

თოვლის ხიდების[4] ძებნაში, მთელი დღე, გიგანტურ ყინულის კედლებს შორის, ან პირღია ნაპრალთა გასწვრივ დავეხეტებით. ძალაუნებურად გვიხდება მოძრაობა უზარმაზარი სერაკების ქვეშ, რომლებიც ყოველ წუთს შეიძლება ჩამოინგრევნ. წრიაპებით აღმა სვლის ან საფეხურების ამოჭრის დროს მღელვარებით ვუთვალთვალებთ წკიპზე შემდგარ ყინულის ვეება ლოდებს.

დაქანება ძლიერ მატულობს. იძულებული ვართ, განუწყვეტლივ ვჭრათ საფეხურები. ოცკილოგრამიანი ზურგჩანთებით დატვირთულ შერპებს ძალიან უჭირთ. ამინდი, 11 საათიდანვე უღიმღამო იყო და ახლა მკვეთრად უარესდება. ბანაკი აუცილებლად ყინულის ზვავებისაგან დაცულ პატარა მოედანზე უნდა გავმართოთ. ახლა 14 საათია, ჩვენ კი ყინულვარდნილის მხოლოდ ნახევარი გავიარეთ.

---

[1] დიახ, სერ!

[2] სად?

[3] აქ.

[4] თოვლის ქვეშ, ყინვარებზე, ყოველთვის შესაძლოა ნაპრალი იმალებოდეს. ეს მუდმივი ხიფათია.

თოვს. დღის მეორე ნახევარი დაკარგულია.

ღამეს მოუსვენრად ვატარებთ: თვალზე რული არ მოგვკარებია.

დილით ძალიან ადრე ვდგებით, რადგან ყოველდღე, ნაშუადღევის ორი საათიდან, ელჭექი იწყება და, როგორც წესი, ჰექა-ქუხილის ექოს საღამომდე განუწყვეტლივ იმეორებენ გარემომცველი მთები.

თენდება. პირველი წყვილი სძლევს ყინულოვან ფერდობს ბანაკის ზემოთ. ზურგჩანთებში „საზეინკლო"[1] ეღარუნობს. მზადა ვართ ყველაფრისათვის. დილით ყინული მაგარია. შერპები, თუმცა ნელა, მაგრამ სწორად ადიან წრიაპებით. როგორც გუშინწინ შევნიშნეთ, დაკვირვების პუნქტიდან, თუ საუკეთესო არა, ერთადერთი შესაძლო გზა ყინვარის მარჯვენა კიდეს გასდევს.

5000 მეტრის სიმაღლეზე ქოშინი გვეწყება. გაჩერებებზე, ორად მოხრილი, წერაყინებზე დაყრდნობილი შერპები, ხმამაღალი სტვენით ისუნთქავენ ჰაერს. ჩვენც ვეჩვევით ამას — ჯერ კიდევ მისასვლელებზე, ზოგიერთი მზიდავი ასე სუნთქავდა.

თუმცა გარკვევით თქმა ძნელია, მაგრამ მგონია, რომ მე იმდენად არ განვიცდი ჟანგბადის ნაკლებობას, როგორც ლაშენალი და რებიუფა. ალბათ იმიტომ, რომ უკანასკნელი ღამეები 5000 მეტრის სიმაღლეზე გავატარე. ეს გარემოება კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ გადამწყვეტი იერიშის წინ მთელი ჩვენი გუნდისათვის აუცილებელია 5000-6000 მეტრის სიმაღლეზე ყოფნა.

უკვე შუადღეა. პლატომდე, სადაც სიძნელეები თავდება, კიდევ 300 მეტრია დარჩენილი.

ყინვარი მდინარეს ემსგავსება: დამრეც მონაკვეთებს, სადაც მისი დინება მშვიდია, თან სდევს დაფლეთილი ყინულვარდნილები. უკანასკნელი 300 მეტრის დაძლევა მეტად სათუოა.

---

[1] ასე ვუწოდებთ ყინულის პალოებს, მათ ჩასარკობ ჩაქუჩებს, ,ქარაბინებს, რომელშიაც თოკი იყრება და სხვა.

— არ მომწონს ეს სურათი, — ამბობს ლაშენალი.

— არასაიმედო ადგილია. გახედე ჩამოვარდნილ ყინულის ლოდებს! — იძახის რებიუფა.

— ყველგან შიშველი ყინულია, — ვეუბნები გულგატეხილი, — მერე როგორი ციცაბო! მართლაც სჯობდა გადაგვეკვეთა მთელი ყინვარი და მარცხენა მხრიდან გვეცადა ბედი.

— ჯერ პირაღმა ასვლაც ვცადოთ და მერე მარცხნივ მოვუხვიოთ, კლდეებისაკენ მიჯრით, — გვირჩევს რებიუფა.

— ადით ორივენი, ნახეთ, იქ რა მდგომარეობაა. მე ძირს დაგიცდით შერპებთან.

თვალისდახამხამებაში სძლევენ ისინი მეტად ციცაბო, მწვანე, მოლიპული ყინულის უახლოეს კალთას.

— ყოჩაღ! აი, ეს არის კლასი! — ვეხმაურები მათ.

მეგობრების ოსტატობა მამხნევებს. შერპები განცვიფრებულნი არიან, რამდენიმე წუთის შემდეგ მესმის ლაშენალის ძახილი:

— ჰეი, მორის, მარცხნივ არ წახვიდე. შეგიძლია ახლავე დაიწყო ამოსვლა. ამ წუთას ვნახავ რა ხდება მარჯვნივ.

— ო, კეი! ფრთხილად იყავით!

მოიღრუბლა. ისევ ცუდი ამინდია.

ამხანაგები ძალიან სახიფათო ადგილზე გადადიან. ყოველ წუთს მოსალოდნელია მომწყდარი სერაკის ქვეშ აღმოჩნდნენ.

— წინ! — ვეუბნები შეშფოთებულ შერპებს.

უამრავი განიერი საფეხურისა და „ჯიბის“ (ხელჩასაჭიდის) ამოჭრა მიხდება მათთვის. ვეებერთელა ზურგჩანთები უკან გვეწევა... ფრიალო კი ისეთია, რომ ზეზე მდგომი ადამიანი ცხვირით ყინულს ებჯინება.

— გასასვლელი არ არის! — მოისმის ზემოდან.

— უზარმაზარი ნაპრალი გვიღობავს მთელ ყინვარს! — აღწევს ყვირილი.

მოისმის ლანძღვა- გინების მთელი სერია. მეგობრები ბრაზობენ წარუმატებლობის გამო.

სერაკის მიღმა ვამჩნევ მათ.

მაშ, არაფერი გამოდის? როგორც ჩანს, ტრავერსირება მოგვიხდება, იქნებ არის გასასვლელი მეორე მხრიდან...

თოვს. ღრუბლები ზედ მიწის პირზე ჩამოწოლილა. განუწყვეტელი ჭექა-ქუხილი გვიფორიაქებს ისედაც დაძაბულ ნერვებს. გატანჯულები ამ მოულოდნელი დაბრკოლებებით, რომლებიც მთამ ჩვენ წინაშე აღმართა, ექვსივენი დავიქსაქსეთ გიგანტურ სერაკებს შორის. საბედისწერო ტკაცანით სკდებიან ჩვენს ქვეშ ყინულის ლოდები. მკრთალი სინათლე ეფინება ყინულოვან კალთებს, რომელთაც მკვდრის ფერი დასდებიათ.

ლაშენალი და რებიუფა ავბედითი გარემოცვის ძლიერი შთაბეჭდილების ქვეშ არიან. მიუხედავად ამისა, ვაქკაცურად მიდიან დაზვერვაზე მითითებული მიმართულებით.

მათ მოლოდინში ყველა დუმს. დროგამოშვებით ყინვარი შიშის მომგვრელად კრთის. რაც არ უნდა მოხდეს, ვაქკაცურად უნდა ავიტანოთ.

მზვერავები დაღვრემილი ბრუნდებიან.

— გაღწევა შეუძლებელია!

— სამწუხაროა, — ვეუბნები საგონებელში ჩავარდნილი,— რა გაეწყობა, რაკი არ შეიძლება!..

— მორის, ჯობია დავეშვათ, — მარწმუნებს რებიუფა. — ვაითუ რამ შეგვემთხვეს.

უეცრად მოისმის ხმამაღალი ხანგრძლივი ტკაცანი. დაძაბულნი სულს ვნაბავთ... ამჯერად ფათერაკი აგვცდა!

— ახლა კი დგება ჩვენი აღსასრული! — ყვირის ლაშენალი. — — იჩქარეთ, ქვემოთ!..

— მივრბივართ! — ყვირის რებიუფა.

განუწყვეტელი მეხის გრიალი აძლიერებს საერთო პანიკას. ეს უკვე უკანდახევა კი არა, ნამდვილი უკუქცევაა მწვერვალიდან, რომელიც დარტყმისათვის ემზადება.

— თუ არ წამოგვაწწრო, ბედი გვქონია! — ასწრებს თქმას ლაშენალი და მიექანება თავდაღმა შერპთან თოკჩაბმული.

— აბა, ჩქარა. — ეეძახი შერპს, რომელიც ჩემი აზრით, მეტისმეტად ზოზინობს.

ერთიმეორის მიყოლებით ვეშვებით ყინულის კედელზე.

ძლიერმა სეტყვამ წამოუშინა. ძალიან დიდი თავშეკავება გვჭირდება, რომ არ ავჩქარდეთ. თითოეული მოძრაობა ზუსტად უნდა იქნეს გაანგარიშებული.

— ყურადღება მიაქციე შერპებს, არ ჩაცვივდნენ! ეეძახი ლაშენალს, როცა წუთით ქარის ზუზუნი წყდება.

— ეს ჩინებული დაშვება იქნებოდა, — მომაძახა მან, ისე რომ არ ფაჩერებულა. სეტყვა კლებულობს. კედლის ძირში უკვე სამშვიდობოსა ვართ.

— ასე ახლოს მიზანთან!

ასეთ შემთხვევაში ჯიუტობა არ შეიძლება.

მე ვფიქრობ, კიდევაც რომ მოგვეხერხებინა იმ პლატოზე გასვლა, უგუნურობა იქნებოდა მთელი ექსპედიციის იქ წაყვანა. ძალზე სარისკოა. ვერავითარი გამარჯვება ვერ გაამართლებდა ადამიანთა სიცოცხლით შეგნებულად თამაშს.

სეტყვას თოვლი სცვლის. ირგვლივ ნისლია. ხუთ მეტრს იქით ვერაფერს ვხედავთ. დროდადრო რაღაც ნაცრისფერი ჩრდილი ჩნდება და მოჩვენებები ქვემოთ, ბანაკისაკენ გორდებიან. ახალ-ახალი თოვლის ზვავები შემაძრწუნებელი ზათქითა და გრიალით ეშვებიან განუწყვეტლივ.

ჯოჯოხეთი თანდათან გვშორდება.

ჩვენ კი ეს კოშმარი არასოდეს დაგვავიწყდება ალბათ. დაახლოებით 17 საათზე ცხელი ჩაით ვტკბებით ბანაკში. იგი მოამზადა ნუაელმა, როცა დაინახა, რომ ვეშვებოდით.

— მაშ შენ ახვედი გუშინ ზევით?

— დიახ, და არც ძალიან გამჭირვებია. ავედი თუ არა, ახალგაზრდა ანგავა უკანვე გავგზავნე ტუკუჩაში. ზედმეტი პირი ვერაფერი სასიამოვნო იქნებოდა... გარდა ამისა, ის ტერაის სჭირდებოდა.

— რა დღეა დღეს? ჩვენ დავკარგეთ დროის ანგარიში!

— ეჰ, ძვირფასო, სამია.

— უკვე სამი მაისია! მუსონამდე მხოლოდ ერთი თვე გვრჩება.

— და დჰაულაგირის შესახებ კი ჯერჯერობით ვერაფერი გავარკვიეთ. ყველა შესაძლებლობა რომ ამოგვეწურა, სამხრეთ-აღმოსავლეთ თხემის წიბოები უნდა გამოგვეკვლია, აი აქ, ჩვენ წინ.

— ჩვენ შეგვეძლო იქ ასვლა! — წამოიძახა ლაშენალმა.

— კარგი, როგორც კი თხილამურები გექნებათ, აირბინეთ თოვლიან მწვერვალზე ხეობის ბოლოში.

— თხილამურებით ლაშქრობა! აი, ეს მესმის!

— მე შევძლებ სამხრეთ კალთის გადაღებას!

— ნუაელი მთხოვს, რადიოთი დავუკავშირდე ტუკუჩას.

— ამ ორი საათის წინ ველაპარაკებოდი იშაკს, მაგრამ ისეთი ტკაცუნი შეიქნა, რომ ვარჩიე, სულ შემეწყვიტა კავშირი.

— შენ, რა თქმა უნდა, რაციისა გეშინოდა! — დამცინის ბისკანტი. რამდენიმე წუთის შემდეგ ტუკუჩასთან კავშირი დამყარდა.

— ლაპარაკობს ერცოგი. რა ამბავია ტუკუჩაში?

— იშაკი ვარ. ბანაკში ყველაფერი რიგზეა. ახალი არაფერია, ლიონელი და უდო დღეს დილით გამოვიდნენ. თქვენ რაღას შვრებით?

— ყინვარის ბოლომდე ვერ მივაღწიეთ, მაგრამ ახლა ისედაც ნათელია ყველაფერი.

— სახელდობრ რა? გზა არის?

— რას ამბობ! ეს მთები... წყეულიმც იყვნენ ისინი. ჩვენ აქ თავის დღეში ვერ გავაღწევთ.

— მაშ რას აპირებთ?

— მე ხვალ ვეშვები. რებიუფა, ნუაელი და ლაშენალი თხილამურებით ავლენ დჰაულაგირის სამხრეთ-აღმოსავლეთ თხემის 5500 მეტრიან თეთრ მწვერვალზე. იქიდან მთელ სამხრეთ კალთას დაათვალიერებენ.

— სჭირდებათ რამე?

— მოაწოდე სურსათი და სამი წყვილი თხილამური.

— ო, კეი! ხვალ თუ ჩამოხვალ, სადილად შემწვარი ტჰარის ხორცი დაგხვდება.

— რისი?

— ტჰარის — ჰიმალაის არჩვისა. ჟ. ბ.-მ და „დიდმა კაცმა" წაინადირეს ჩვენი თოფებით და სამი ტჰარი მოკლეს. ერთი ჩვენ გვერგო...

— მაშ თუ აგრეა, ხვალ მანდა ვარ! ლიონელი?.. მაინც წამოვიდა?

— ნუ სწუხხარ. მან საკმაოდ მოზრდილი ულუფა წამოიღო.

— მაშ, ხვალამდის!

— სალამი ყველას. ვამთავრებ კავშირს.

მეორე დილით, უთენია ვეშვები ქვემოთ. ჩემი ამხანაგები

კი ბანაკთან, პატარა მინდორზე, შერპებს ყინულზე სვლის ტექნიკის საფუძვლებს ასწავლიან.

ტუკუჩაში მარტოკა ვბრუნდები. გზა ზღაპრულად ლამაზია. ვცდილობ, უბრალოდ დრო არ დავკარგო, მაგრამ ყოველი ასეული მეტრის შემდეგ ვჩერდები. გრძნობამორეული შევცქერი წითელყვავილებიან ხეებს. ღიღინით ვეშვები გაზაფხულის ნაირფერი ხალიჩით მოფენილ მწვანე ფერდობებზე. ტყიან გორაკებს შუა, ნაძვებში მორცხვად თავშეფარებული, ანკარა ფირუზისფერი ტბის ზედაპირზე გადასარკულა ნილგირის ლამაზი მწვერვალები. მისი გარემომცველი ფოთლოვანები ნაძვებივით მიუკარებლად როდი გამოიყურებიან. ნაპირები ნაზი ხავსითაა დაფარული...

ქვიანი განდაკის ვაკისაკენ ცუდი ბილიკები გასდევს. წყალს აუწევია. ფონით მომიხდება გასვლა. ვდგავარ ჩაფიქრებული, ვერ გადამიწყვეტია გადაქლეთილ ფეხებზე გაჩენილი ბებერების დასველება.

ჩემს ბედზე ტიბეტელი მიახლოვდება. ის იმ წუთას მიმიხვდა გასაჭირს. ადგილობრივმა ადათმა სწორედ სულზე მომისწრო. ტიბეტელმა ფრთხილად მომიკიდა ზურგზე, შევიდა შიშველი ფეხებით წყალში და, მიუხედავად მდინარის სწრაფი დინებისა და ჩემი წონისა, დაუბრკოლებლად გადამიყვანა ადიდებული განდაკის ტოტებზე და დამსვა ხმელეთზე. როგორ გამოვხატო ჩემი მადლობა? ვაწვდი რუპიას. ის უდიდესი პატივისცემით რამდენჯერმე თავს მიკრავს.

— დაიჭი, აი, კიდევ ერთიც!

ის თავის თვალებს არ უჯერებს. მცირე პაუზის შემდეგ კვლავ მდაბლად მიკრავს თავს. უხერხულობას ვგრძნობ და არ ვიცი, როგორ მოვიქცე. ვცდილობ, ღირსეული და კეთილშობილური იერი მივიღო. მერე ცოტა დარცხვენილი ვშორდები.

13 საათზე უკვე ტუკუჩაში ვარ, სადაც სიხარულით მხვდებიან კუზი და იშაკი.

— ძლივს, ახალი ხორცი! — ვამბობ პირგამოტენილი. ჟ. ბ., გილოცავ წარმატებით ნადირობას!

შესანიშნავ ფორმაში ვარ. მადის მხრივ შემიძლია ტერაის შევეცილო.

— მაშ, აღმოსავლეთ ყინვართან ვერ არის საქმე კარგად?

— ტექნიკურად ეს ალბათ პლანას ჩრდილოეთ კედლის მსგავსია, მაგრამ, რა თქმა უნდა, ბევრად უფრო სახიფათო.

— სწორედ ასეთივე აზრისაა ბისკანტიც. დიდი შიში ვქონდეთ. სულ კოტრიალ-კოტრიალი! დავქანდით თავქვე. შერპებს ხშირად უცდებოდათ ფეხი.

— საძაგლობაა! — შენიშნავს კუზი.

— ჯერჯერობით არაფერი დაგვიკარგავს.

— როგორ თუ არაფერი, დრო? დღეები, რომლებიც ასე გარბიან? დიახ, დჰაულაგირი კარგად იცავს თავს!

— იქნებ ხვალ აღმოვაჩინოთ შესაფერი გზა.

იშაკი გადახედავს კუზის და უპასუხებს:

— ხვალ? ეს გასაოცარი იქნებოდა!

ცხადია, საბოლოოდ გზა უნდა მოინახოს. მაგრამ მე იმას ვწუხვარ, რომ აქამდე ვერც ერთმა ჩვენგანმა იმედის მომცემი გადაწყვეტილების ნიშანსაც კი ვერ მიაგნო. ეტყობა, დაზვერვა კარგახანს გასტანს.

— ხომ არსებობს კიდევ მისასვლელები სამხრეთ-აღმოსავლეთ თხემთან.

გარდა ამისა გუშინ რომ ვერ შევძელით აღმოსავლეთ ყინვარის ზედა ნაწილის გავლა, იქნებ კედლის მარცხნიდან შემოვლით მოხერხდეს.

— იცი რა, მორის, მაპატიე, მაგრამ...

— დიახ, სწორი გითხრა, მე თვითონაც საკმაოდ სკეპტიკურად ვეუყურებ ამ ვარიანტს, — იძულებული ვარ ვაღიარო.

— მე და შაკი შენს განკარგულებაში ვართ, — მეუბნება კუზი.

— ჰო, მართლა, დაისვენეთ?

— მერე როგორ!

— შესანიშნავია. მაშ ჩვენ ერთი გასროლით ორ კურდღელს მოვკლავთ. თქვენ წამოხვალთ აკლიმატიზაციისათვის, როგორც ჩვენ ყველანი, და ამავე დროს საბოლოოდ გამოიკვლევთ აღმოსავლეთ ყინვარის ზემო ნაწილს.

— ხომ არ გგონია, — შენიშნავს იშაკი, რომ ეს ლაშქრობა ლაშენალის, ნუაელიასა და რებიუფას მიერ თეთრ მწვერვალზე ასვლის გამეორება იქნება?

— არა, შეეკვება, რომ სამხრეთ კალთისა და თხემზე გასასვლელის გარდა მათ რაიმე დაინახონ.

—კალთიდან კალთამდე, თხემიდან თხემამდე, ბოლოს და ბოლოს გარს შემოვუვლით დჰაულაგირს, — ასკვნის კუზი. მაშ ასე, ხვალ გავდივართ.

— Congratulations for the thar![1] — ვეუბნები კარავში შემოსულ ჟ. ბ.-ს. (ის ძალიან ამაყობს ზუსტი მსროლელის რეპუტაციით).

ვგრძნობ, დღეს იგი უსაქმობით იტანჯება და ენა ექავება. ძლივს აეწყო საუბარი ნეპალზე, ბურეებზე, ამ მხარეში ყოვლისშემძლე რანას ოჯახზე.

იგი იღებს საფულიდან თავის მანდატს — ერთი თვის დაგვიანებით. განა არ შეეძლო, უფრო ადრე ეჩვენებინა! ბამბუკის ქაღალდის ბრაგნილია, სანსკრიტულ ენაზე დაწერილი და რამდენიმე რთული ბეჭდით დამოწმებული: ჩვენი პირველი მეფეების უძველეს სიგელებსა ჰგავს!

იგი ჩვენგან უამრავ ახალ რამეს გებულობს ყოველდღიურად. ჩვენ მას სავსებით ვენდობით და ამხანაგურად ვეპყრობით.

— ჟ. ბ. rice?[2].

— Thank you, Sir.

უარის თქმას იგი ასაბუთებს რელიგიური მიზეზებით: ნეპალელ ინდოელებს ეკრძალებათ „ურჯულოებთან" ჭამა. ნამდვილი მიზეზი კი ის არის, რომ მას ჩანგალი თავის დღეში არ უხმარია. სხვებივით ისიც მხოლოდ თითებით ჭამს და რცხვენია ჩვენთან.

მეორე დღეს, 5 მაისს, დაახლოებით დილის 8 საათზე, კუზი და შაკი ტოვებენ ბანაკს. დადგა მათი რიგიც, იმტვრიონ კბილები აღმოსავლეთ ყინვარზე! უცებ დამყუდროვდა აქაურობა. მე და იშაკი მარტო დავრჩით ბანაკში.

---

[1]. გილოცავთ ტჰარზე გამარჯვებას.

[2] ჭინდათ ბრინჯი, ჟ. ბ.?

— Soldier for Tansing! Letters?[1]

რა თქმა უნდა, არის, მთელი გროვა! მაგრამ სად ჯანდაბაში დაიკარგა საფრანგეთის ფოსტა? აი, მალე უკვე ხუთი კვირა გახდება, ამაოდ ველით წერილებს.

ე. ბ-ს დახმარებით გურკების ენაზე ვწერთ ბარათს ფოსტის უფროსს, რომ გამოარკვიოს, რაშია საქმე.

კინოკამერის შტატივზე ვამაგრებთ ოცდახუთჯერ გამადიდებელ ჭოგრიტს. მალე თეთრი მწვერვალის ზემო ნაწილში, 5000 მეტრის სიმაღლეზე, ვხედავთ ჩვენს ამხანაგებს.

ისინი დასაშვებად ემზადებიან. მე და იშაკი ხელიდან ვტაცებთ ერთმანეთს ჭოგრიტს.

საფრანგეთის სამთო-სათხილამურო ტექნიკის ბრწყინვალე დემონსტრაციაა. თუმცა, როგორც ჩანს, უხეირო თოვლია. „ხელწერაზე" ვცნობ ლაშენალს, რომელიც თავბრუდამხვევად უხვევს განცვიფრებული შერპების თვალწინ, უკანასკნელნი კი „მეხუთე წერტილზე" დაშვებას ამჯობინებენ.

ნასადილევს თავისებური პროცესიების მოწმენი ვხდებით. სადღესასწაულოდ მორთულ სოფლელ ქალებს მოაქვთ წყლით სავსე დოქები და წუწავენ, ვინც გზაზე შეხვდებათ. ცერემონია, როგორც ჩანს, გამიზნულია იმისათვის, რომ ლოცვებისა და შელოცვების შემწეობით გამოიწვიონ დიდი ხნის ნანატრი წვიმა. მთებში ერთი დღე არ გაივლის უელჭექოდ, ბარში კი ხანგრძლივი გვალვა უდიდეს ზარალს აყენებს მოსავალს.

იშაკი წინ და უკან დარბის კინოაპარატით მთავარ ქუჩაზე და ცდილობს რაც შეიძლება, მეტი გადაიღოს. საპიბობის პრესტიჟი არ გვშველის, უხვად გვწუწავენ და თან ხმამაღალი სიცილ-კისკისი უდგათ.

ჩვენი ღირსება „დასველებულია" და კეთილგონივრულად ვიხევთ უკან ბანაკისაკენ. უფრო სწორად, თავქუდმოგლეჯილები გავრბივართ!

დაბრუნებისას რებიუფა შეშფოთებული გვიამბობს, რა ნახა თეთრი მწვერვალიდან. უამრავ კითხვებს ვაყრით.

— რას წარმოადგენს სამხრეთი კალთა? — ეკითხება იშაკი. პასუხს არ ვუცდი და ვამბობ:

---

[1] თანსინგში ჯარისკაცი მიემგზავრება. არის წერილები?

— როდესაც მას ბაგლუნგიდან შევცქეროდით, შემაძრწუ-ნებლად გამოიყურებოდა.

— ახლო რომ გენახა, შენთვის ყველაფერი ნათელი იქნე-ბოდა. რამდენიმე კილომეტრი სიმაღლის უზარმაზარი კედელი და არც ერთი დამრეცი მონაკვეთი. მატეჰორნის ჩრდილოეთი კედელი ხომ გახსოვს, სამი იმოდენაა! ის კედელი კი, როგორც იცი, არცთუ ისე მიმზიდველია. მე, ბისკანტი და ნუაელი თვა-ლებდაჭყეტილები შევყურებდით ერთმანეთს... არა, უმჯობე-სია, სამხრეთ კალთის იმედი არ ვიქონიოთ.

— გასაგებია. სამხრეთ-აღმოსავლეთ თხემზე რაღას იტყ-ვით? აღმოსავლეთ ყინვარიდან რომ ვუყურებდით, ყველაზე უფრო ოპტიმისტურად შენ იყავი განწყობილი, გახსოვს? შენ არ ამბობდი...

— მე ვცდებოდი. ჯერ ერთი, ის წარმოუდგენლად გრძელია, აზიდულია ძალიან დიდ სიმაღლეზე და, რაც მთავარია, ტექნი-კურად მეტისმეტად რთულია. კედლები, ყინულის კოშკები, კლდეები, დანაწევრებული რელიეფი, უამრავი „ჟანდარმი“, ერთი სიტყვით, რა გინდა სულო და გულო...

— ბანაკისთვის პატარა მოედნები თუ მოიძებნება?

— არც ერთი.

— დიახ. ყველაფერი ეს არცთუ ისე სასიამოვნოა.

— ოჰ, — შესძახა რებიუფამ, — ამ მარშრუტზე ლაპარა-კიც ზედმეტია.

— მე ვფიქრობ, ამბობს იშაკი, — არც ერთი ჩვენგანი გან-საკუთრებულ იმედს არ ამყარებდა არც სამხრეთ-აღმოსავლეთ თხემზე და არც სამხრეთ კალთაზე.

— მაშ რა ვქნათ?

— ორივე ვარიანტს მძიმე ჯვარი დავუსვათ.

უსიამოვნო ცნობებით გულდამძიმებულნი სასადილოდ მივდივართ საერთო კარავში.

მეორე დღეს ბუდისტების ლამა გვეწვია. იმას ჯერ კიდევ ბაგლუნგში შევხვდით. საკმაოდ შელანძღული წითელი ანა-ფორა აცვია. სახე გულკეთილად უღიმის. იშაკი, რომელსაც ძა-ლიან მოსწონს ბუდისტთა ლამების სისადავე და უშუალობა,

უხვად უმასპინძლდება მას. ჩვენი ლამა დიდი ენთუზიაზმით გვიამბობს მუქთინათის შესახებ. ანგ-თარკე გვთარჯიმნობს.

ჩვენი საუბარი დაახლოებით ასეთია:

— თქვენ ახლა იქით მიემართებით? — ვეკითხებით მას.

— ხვალ უკვე იქ ვიქნები, გვიპასუხებს იგი ღიმილით სახეგაბადრული:

— კი, მაგრამ ის ხომ ძალზე შორსაა აქედან!

მართალია, ლამაა და შეჩვეულია სასწაულებს, მაგრამ მაინც არ მჯერა, რომ მას შვიდმილიანი ჩექმები ჰქონდეს.

—იქ უნდა ვიყო, — განაგრძობს იგი, — იქ ყოველდღე სასწაულები ხდება: მიწიდან ალი ამოვარდება ხოლმე, მღვდლები მომავალს წინასწარმეტყველებენ!

—ჩვენც მოვალთ, აუცილებლად, რამდენიმე დღის შემდეგ...

იშაკს გენიალური აზრი მოსდის:

— ავალთ დჰაულაგირზე თუ არა?

აი, შემთხვევა, გვიჩვენოს თავისი იდუმალი ძალა!

ლამა დიდი გულისყურით მარცვლავს კრიალოსანს, ჯერ ცას შეჰყურებს, მერე თავის ხელებს დასცქერის... სცენა ხუთ წუთზე მეტს გრძელდება. ყველანი გაუნძრეველად ვზივართ, ვინ იცის, იქნებ არაჩვეულებრივი გრძნეულების მოწმენი გავხდეთ? ხომ გვეუბნებოდნენ — ლამები ზებუნებრივი არსებანი არიანო.

ლამა თანდათანობით ბრუნდება ცოდვილ მიწაზე, ბოლოს იწყებს ლაპარაკს:

— დჰაულაგირი თქვენთვის არაა ხელსაყრელი, — და დასძენს: გირჩევნიათ იმაზე არც იფიქროთ, და თქვენი ძალები სხვა მხარეს მიმართოთ.

—მაინც რომელ მხარეს? — აინტერესებს იშაკს.

ამას ჩვენთვის არსებითი მნიშვნელობა აქვს.

— მუქთინათისაკენ, — ისე პასუხობს იგი, თითქოს უნდა გვაგრძნობინოს, ეს ხომ ისედაც ნათელიაო.

— ანაპურნა ხომ არა აქვს მხედველობაში? — მომავალი გვიჩვენებს.

მოდის მთლად გარუჯული ლაშენალი. ბოლოს და ბოლოს, გავიგებთ რაღაცას! აი, უკვე რამდენიმე დღეა, რაც მას მკერდზე მუწუკი გაუჩნდა. ლაშენალის უხვმა ბუნებამ ისე კვება იგი,

რომ ვეებერთელა ძირმაგარად გადაქცეულა. იშაკი თავს ვერ იკავებს ცთუნებისაგან — ფერად ფირზე იღებს ამ ფენომენურ მოვლენას.

ლაშენალმა კუზი და შაცი ყინვარზე, ბანაკში დატოვა. რაციები მოიშალა, რამდენიმე დღეს ვერაფერს გავიგებთ.

დაახლოებით ექვსის ნახევარზე ბანაკის თავზე გადმოწოლილი კედლიდან მიწაზე ეშვება (გამოთქმა სრულიადაც არაა გადაჭარბებული) ორი მეგობარი: უდო და ტერაი. ლიონელი ძლიერ აღგზნებულია. წვერი წამოზრდია და პირქუშ შესახედაობას აძლევს.

— მაშ ასე, ძმებო, შეგიძლიათ დჰაულაგირს ჯვარი დაუსვათ!

ტუჩები ჩვეულებრივზე მეტად აქვს წინ წამოწეული, ხმა მკაფიო, თითქმის გაჯავრებული.

— გესმის, მორის, შენი დჰაულაგირი აუტანელი რამაა. სამოთხეში უფრო ადვილად მოხვდება კაცი!

— ჯერ დასხედით და დალიეთ რამე. ორივენი თავითფეხამდე ოფლსა და მტვერში ხართ ამოგანგლული.

იმედი მაქვს, რომ ეს მათ ცოტა დაამშვიდებს.

— არაფერია წასახემსებელი? —მოითხოვს ტერაი.

— ახლავე მოამზადებენ. მერედა რა ნახეთ მაინც?

— აი, როგორ იყო საქმე სულ თავიდან, — მშვიდად გვიამბობს უდო. — სამ მაისს კარვები დავდგით დაახლოებით 4500 მეტრის სიმაღლეზე, თქვენს ორ ბანაკს შორის. მეორე ღამე „უცნობ ხეობაში“ გავატარეთ. უნაგირზე მზიდავები გაჭირვეულდნენ. ეშინოდათ, თურმე თავის დღეში ამ მიჯნას არ გასცილებიან. გუშინ დილით ადრე მე და ლიონელმა იმ უნაგირას მივაღწიეთ, თქვენ რომ შორიდან ნახეთ. იგი დჰაულაგირის ჩრდილოეთ აუზს კეტავს. არა, ძმაო, აქ...

— მე ახლაც ოფლში ვიწურები! — თავშეუკავებლად ღრიალებს ტერაი. თავბრუდამხვევი ვიწრობებია!

— კი, მაგრამ, სად არის, რა ადგილას?

— ჩვენ პირდაპირ დჰაულაგირი იყო, — განაგრძობს უდო, — ნამდვილი დჰაულაგირი. ასვლისას მე ის ცრუ მწვერ-

ვალში ამერია. მის ძირში კი გრანდიოზული მყინვარია, მთლად დაბზარული...

— უფრო საძაგელ ადგილს ვერ წარმოიდგენ, — აწყვეტინებს ლიონელი.

— მთლიანად დანაპრალებულია და მოედინება კანიონში, რამდენიმე კილომეტრი სიმაღლის კლდოვან კედლებს შორის.

— ხედავ, მე მართალი ვიყავი, — თვალთმაქცური მოკრძალებით ურთავს იშაკი, — ყველაფერი მაიანგდი-კჰოლას ხეობით ჩამოედინება!

— და ყველაფერი ეს დიდებულია! — დასძენს ტერაი — ეს მთელი სამყაროა! რაც შეეხება ჩრდილოეთ თხემს, რომელიც ყოფს ამ ყინვარს აღმოსავლეთისაგან, სადაც თქვენ იყავით, ეს ნახევრად კლდოვანი, ნახევრად ყინულოვანი მეტად ციცაბო წიბოა. ხოლო ჩრდილო-დასავლეთი თხემი, რომელიც აქამდე არავის უნახავს, შვეულად ეშვება ვიწრობებში.

ყველაფერი ეს მეტად სამწუხაროა! „ნუთუ ნამდვილად მიუწვდომელია? — ეჩურჩულებ გუნებაში. იშაკი ნახევრად ხუმრობით მეუბნება:

— ლამამ აკი თქვა: „დჰაულაგირი თქვენთვის არახელსაყრელია, მუქთინათისაკენ წადითო!“.. ასე რომ...

— ჰოდა, ჩვენც სწორედ იქითკენ გავემართებით და არა უგვიანეს ხვალ დილისა, — ვასკვნი მტკიცედ.

— საით, ტილიჩოსაკენ? — მეკითხება გასტონი.

— წავალთ იმ ტილიჩოსაკენ, ნილგირიდან ჩრდილოეთით, თინიგაონელი რომ გვეუბნებოდა, და ანაპურნას ზურგიდან შევუტევთ.

— რატომ არ უნდა გამოვიყენოთ, კუზი-უდო-შაცის ჯგუფის მიერ მირისტი-კჰოლაში ჩატარებული დაზვერვა? მათ ხომ ნახეს ანაპურნა!

—კი, მაგრამ მხოლოდ შორიდან. ამას გარდა, მათ არ უნახავთ ჩრდილოეთი კალთა. იქამდე მიღწევა არცთუ ისე იოლია. ამასთან, წიბო მე ნამდვილად არ მომწონს. არც იმათ...

— დახედე რუკას! — მაწყვეტინებს იშაკი, — ტილიჩოზე გავლით ჩვენ დავზოგავთ რამდენიმე დღეს მისასვლელებზე.

— ნახავ! — ვეუბნები მე. — ჩვენ მოვხვდებით პირდაპირ ჩრდილოეთ კალთაზე, ხოლო ჩრდილოეთიდან მომავალი გზები ჰიმალაიში, ხშირად სხვებზე უფრო იოლია. გავივლით იმდენს, რამდენიც საჭირო იქნება, რომ ანაპურნა ვიპოვოთ! თუ დაგვჭირდა, მანანგბოტამდეც კი მივალთ.

— ამასაც მოვესწარით! ანაპურნას ვეძებთ! — კვერს მიკრავს გულგატეხილი იშაკი.

V

ანაპურნას ძებნაში

ღ აიჩქარე, უდო, შიმშილით სული მძვრება!

ლაშენალი და ტერაი ვერ არიან ნასიამოვნები ამ ღილით: უდო ათასნაირად იკვლევს მათ ჯანმრთელობას.

ნივთიერებათა ცვლის შემოწმება, ფლაკის[1] წესით გამოცდა და სხვა პროცედურები საათზე მეტს გრძელდება. ეს გამოკვლევები აუცილებლად უზმოზე უნდა გაკეთდეს, რაც ძნელი ასატანია, რადგან დასვერვიდან დაბრუნებულ ადამიანს პირდაპირ მგლის მადა აქვს.

იმ დროს, როდესაც ტერაი ასეთ სატანჯველშია, ლაშენალი უკვე მორჩა პროცედურას და არხეინად შეექცევა ძეხვის ვეება ნაჭრებს. ტერაი დროგამოშვებით ალმაცერად გადახედავს ხოლმე მას:

— ბისკანტ, რა ღორი ხარ, მოწყდი აქედან შენი ძეხვიანად!

— გაჩუმდი, შედეგებს გააფუჭებ,—შეუბრალებლად ტუქსავს უდო.

ეს გამოკვლევები ძალზე მნიშვნელოვანია.

პირველად ვშიშობდი, რომ უდო უფრო მთამსვლელია, ვიდრე ექიმი. სულაც არა: მასში ბრწყინვალედაა შეხამებული ერთიცა და მეორეც.

უდო განუწყვეტლივ მაწვდის ცნობებს ექსპედიციის წევრ-

---

[1] ამ დიდმა განსაცდელმა მძიმე მოგონებები დაგვიტოვა. ეს გამოცდა მდგომარეობდა იმაში, რომ გამოსაცდელს უნდა ეპერა და შეენარჩუნებინა მილში ვერცხლისწყლის 40-მილიმეტრიანი სვეტის წნევა.

თა ჯანმრთელობის მდგომარეობისა და სიმაღლეზე მათი აკლიმატიზაციის გაუმჯობესების თაობაზე. ნეტავ ყველა მომავალ ექსპედიციას ჰყავდეს ასეთი უდო.

სანამ ტერაი ამ დღეშია, მე, იშაკი და რებიუფა მანანგბოტში წასასვლელად ვემზადებით.

ანაპურნის იერიში მირისტის ხეობიდან მეტად სათუოდ გვეჩვენება. მოსალოდნელია, რომ მანანგბოტის მხრიდან ასვლა უფრო ადვილი იქნეს.

— ალამი ტილმანს, — იცინის ლაშენალი, რომელმაც უკვე მოითავა საუზმე.

ტილმანი ერთი ცნობილი სახელია ჰიმალაიში. სწორედ მან დაიპყრო ადამიანის მიერ დღემდე აღებულ მწვერვალთაგან ყველაზე უმაღლესი 7820 მეტრიანი ნანდა დევი. ჩვენ მას დიდად ვაფასებთ.

აქ წამოსვლამდე გავიგეთ, რომ იგი აპირებს სწორედ ამ რაიონის გამოკვლევას მანანგბოტის ირგვლივ. მისი გუნდის შემადგენლობის მიხედვით, მისი მიზანი, მე ვფიქრობ, მანასლუსა[1] და ანაპურნის მისადგომების დაზვერვა უნდა იყოს. მთამსვლელებს უყვართ ხოლმე თავისი გეგმების საიდუმლოდ შენახვა, მაგრამ უაზრობა იქნებოდა, რომ ორივე ექსპედიცია ერთი და იმავე მწვერვალის საიერიშოდ მიდიოდეს.

ფუთარკე წინდაწინ მიდის თინიგაონში საბანაკო ადგილის მოსამზადებლად. თან მიგვაქვს რვა დღის საგზალი. ჩვენ დაბრუნებამდე უდოსა და ტერაის დრო ექნებათ, აღმოსავლეთ მყინვარზე ავიდნენ იმ შემთხვევაში, თუ კუზი და შაცი წარმატებას ვერ მიაღწევენ.

დასვენების ამ ორმა დღემ სწორედ სულზე მომისწრო: დრო ვიხელთე წერილები გამეგზავნა საფრანგეთში, მომეწესრიგებინა ანგარიშები და თვალყური მედევნებინა ბანაკის ორგანიზაციის შეუფერხებელი მიმდინარეობისათვის. მაგრამ მოსვენებული ცხოვრება არ მიზიდავს და მოხარული ვარ, რომ კვლავ მივემგზავრები.

გზაზე გაჭიმულია მარილითა და ბრინჯით დატვირთული ქარავნები. საზეიმოდ მივაბიჯებთ პატარა ქალაქ მარფას ქუჩებ-

---

[1] ანაპურნიდან აღმოსავლეთით მდებარე მეორე რვაათასიანი (8120 მ).

ში, სადაც სამლოცველო ალმები ფრიალებენ. ირგვლივ მხიარული ბრბო გვარტყია.

აქ კიდევ უფრო მეტია ტიბეტელები, ვიდრე ტუკუჩაში. რაც ტკბილეული გვქონდა, სულ ბავშვებს დავურიგეთ. აქაურებს ჭეშმარიტად სასიამოვნო მოგონებები უნდა დარჩეთ ჩვენზე! მოგვიანებით ჩვენ მოვიმკით ჩვენი გულუხვობის ნაყოფს. რომ გაგვიჭირდება, უამრავი ადგილობრივი მზიდავი შემოგვთავაზებს თავის სამსახურს. ყოველ ნაბიჯზე გვხვდება ქვის ფილებით შემკული სამლოცველო კედლები, რომლებზედაც ვკითხულობთ კლასიკურ წარწერას: „ომ მანე პადმე ომ!“[1] ადგილობრივი რელიგიური ზნე-ჩვეულებანი რომ არ დავარღვიოთ, ამ ძეგლებს მარცხნიდან ვუვლით.

თანდათანობით იცვლება ამ ქვეყნის გარეგნული სახე. იგი იმ რაიონებზე უფრო უღიმღამოა, საიდანაც ეს-ეს არის მოვედით. ჩრდილოეთისაკენ რელიეფი რბილდება, მოწითალო ქვებით დაფარული გორაკები, უჩვეულოდ გამჭვირვალე ჰაერი, ადგილის უდაბურობა, იმის მაჩვენებელია, რომ ტიბეტს ვუახლოვდებით, თუმცა საზღვარი ამ ადგილიდან მთელი დღის სავალზეა.

დაბინდებისას შევდივართ პატარა ღარიბ სოფელ თინიგაონში. ადგილობრივი მკვიდრნი ეჭვიანად გვათვალიერებენ და ერ-

---

[1] „ო, ძვირფასო, ლოტოსის ყვავილო!“

თადერთი ხეირიანი სახლისაკენ მიგვაცილებენ; იქ მომღიმარი ფუთარკე გვხვდება. იგი უკვე თავს შინაურულად გრძნობს და თავისი ჩვეული, რბილი ხმით განკარგულებებს აძლევს მის გარშემო მოფუსფუსე ქალებს. ჩვენ სოფლის თავკაცთან „Great man"-თან ვართ, რომლის სახლიც ქარავანთა გაჩერების ადგილია. ეს არის მოხერხებული კომერსანტი, რომელიც ყველაფერს იშოვის თავის სასარგებლოდ, რაც სოფელს ესაჭიროება.

სახლის პატრონი გვაცნობს ჩვენთვის განკუთვნილ ოთახს. მისი სისუფთავე ფრიად შეფარდებითია, მაგრამ, თუ ცოტა მიალაგ-მოალაგებენ, იქ ღამის გათევა შეიძლება. ოთახში გულისამრევი მჟავე სუნი დგას. იშაკი სასწრაფოდ აღებს ფანჯრებს.

გულდასმით ვათვალიერებ ოთახს: ნელა ხმება შარდით მოთრიმლული ტყავები, კუთხეში აშმორებული ზეთის კასრები დგას.

ვახშმობის დროა, ანგ-თარკეს დიდი მოკრძალებით მოაქვს საჭმელი; ამ მოკრძალებას აღტაცებაში მოჰყავს გარს შემოხვეული ხალხი. მათ აქამდე საჰიბები არ უნახავთ. ეს რაღაა? ჩანგლები? ეს თეთრკანიანები მართლაც უჩვეულო არსებანი არიან!

მეორე დღეს, ჯერ კიდევ ბნელა, როცა ანგ-თარკეს ჩვენთვის საუზმე მოაქვს. მოკრიალებულ ცაზე ვარსკვლავები კაშკაშებენ — კარგი ნიშანია. შორს თვალწარმტაცი სანახაობა იშლება: წყვდიადიდან თანდათან იკვეთება მზის სხივებით გაბრწყინებული დჰაულაგირი. აქედან მისი რელიეფი საოცრად მკაფიოდ ჩანს.

ჩვენი მომავალი წინამძღოლი შიკარი გვიმტკიცებს, ტილიჩოს უღელტეხილს კარგად ვიცნობ, მაგრამ არ ვიცი, რამდენ ხანში მივაღწევთო. ავდივართ მწკრივად, მძიმე ტვირთქვეშ მოხრილნი. ჩვენთან ერთად მოდიან ანგ-თარკე, ფუთარკე, პანზი და რამდენიმე ტიბეტელი მზიდავი.

რომ უფრო სწრაფად იარონ, მათ სამაღალმთო ფეხსაცმელები მივეცით, მაგრამ ენანებათ და მხარზე გადაკიდებული მიაქვთ, სანამ თოვლამდე მივაღწევთ.

რამდენიმე საათის სიარულის შემდეგ, ჩვენს მეგზურს, მგონი თვითონაც აღარ სჯერა, რასაც ადრე ამტკიცებდა: კითხვას კითხვაზე ვაყრით, მაგრამ ჩანს, წარმოდგენა არა აქვს, სად არის ტილიჩოს უღელტეხილი. სინამდვილეში ეს შიკარი ერთი ჩვეულებრივი მწყემსია და მხოლოდ ზემო საძოვრებამდე მისავალი გზები იცის. სიმაღლის ზრდასთან ერთად მისი როლი, როგორც მისი დიდი წარმოდგენა თავის თავზე, თანდათან მცირდება და ბოლოს, მშვიდად მოჩანჩალებს ყველაზე უკან.

ასეგვარად, ჭექა-ქუხილში ჩვენს პატარა კარვებში ღამენათევნი, მეორე დღეს გაჭირვებით ვაღწევთ ყბადაღებულ ტილიჩოს უღელტეხილს.

როგორი სიურპრიზია! რუკის მიხედვით, მანანგბოტის ღრმა ხეობაში უნდა გავსულიყავით. სადღაა ანაპურნის ჩრდილოეთ კალთის შესანიშნავი ხედი, რომელიც მარჯვნივ უნდა გადაშლილიყო?

გაოცებულნი ვუცქერით თოვლისა და ყინულის თვალისმომჭრელ სურათს. უამრავი მწვერვალი ელვარებს მოწმენდილი ცის ფონზე. არის რაღაც ზღაპრული ამ ზამთრის პეიზაჟის ბრწყინვალებასა და სისპეტაკეში.

მარჯვნივ ანაპურნის ნაცვლად, ცად აზიდულა შვიდიათასიანთა გიგანტური კედელი, რომელსაც წამსვე ვარქმევთ „დიდ ბარიერს". ჩვენ წინ ღრმა ხეობა კი არა, ვრცელი პლატო იშლება. მის შუაგულში თოვლით დაფარული დიდი გაყინული ტბაა, რომლის ზომების განსაზღვრა ძალიან ძნელია. მარცხნივ მის თვალუწვდენელ თეთრ წყნარ ზედაპირზე შვეულად ეშვება კლდეები.

— მაგრამ ეს ანაპურნა სადღაა, დალახვროს ეშმაკმა?

— ეჰვი არ არის, მატა, ნამდვილად იმ სამკუთხა ლამაზი პიკის იქითაა, სიღრმეში, მარჯვნივ.

— რაღაც არა მჯერა, — ამბობს იშაკი.

— არც მე, — დასძენს რებიუფა.

— ტილიჩოს უღელტეხილი სადღაა, შენის აზრით? — განაგრძობს იშაკი.

— პლატოს შორეულ ბოლოში, ტბის გადაღმა. იგი უნდა გადმოჰყურებდეს მანანგბოტის ხეობას.

— რა გაეწყობა, ამის შემოწმება მე მომიხდება, თუმცა სულაც არა მჯერა, რომ შენ მართალი ხარ...

ყოველ შემთხვევაში, დიდ, ყინულოვან ტბასთან ჩასვლა არ აგვცდება, ასე დავარქვით მას უკეთესი სახელის უქონლობის გამო.

ერთი საათის შემდეგ უკვე ტბის ნაპირზე ვართ და სანამ პანზი საჭმელს ამზადებს, კამათი გრძელდება:

— ამ ტბის არავითარი ნიშანი არაა რუკაზე! არა და, სულ მცირე, შვიდი კილომეტრი სიგრძისა მაინც იქნება.

— ოჰ, ეს რუკა!.. განა ყველა ეს მწვერვალი აღნიშნულია მასზე?

— როგორ ფიქრობ, სად ჩაედინებიან ეს წყლები?

— ეს ადგილი ნამდვილი ძაბრია.

— მონ-სენისა ჰგავს.

— გეუბნებით, წყალი მანანგბოტისაკენ მიედინება.

ყველას თავისი მოსაზრება აქვს. თითოეული თავის აზრს გამოთქვამს.

ტბის მეორე ნაპირზე უნდა გავიდეთ. ვიკიდებთ ზურგჩანთებს და მივყვებით მარცხენა ნაპირს, მანამ, ვიდრე მოწითალო კლდეები არ გვაიძულებენ გადავიდეთ ყინულზე.

ეს გადაწყვეტილება ჩვენს მზიდავებს მაინცდამაინც არ მოსწონთ. იშაკი მიჭერს ნეილონის თოკით და ორმოცდაათიოდე მეტრით ვშორდები ნაპირს. ვხტუნავ, ვცეკვავ, ვურტყამ წერაყინს, რომ ყინული ჩავამტვრიო და სისქე გავუზომო. შემდეგ გავძახი დანარჩენებს:

— ნამდვილი ბილიარდია! მოდით აქ!

ზედმეტი სიფრთხილე ყოველთვის ჯობია გაუმართლებელ რისკს. ამიტომ ორ დიდ ჯგუფს ვქმნით. მზიდავები და შერპები დაშორებულნი არიან ერთმანეთს, სულ მცირე, რვა მეტრით. მათ არ ესმით, რომ ამას ვაკეთებთ ყველასა და თითოეულის უსაფრთხოებისათვის. ამგვარად ჩაბმულნი ვეღარ შეძლებენ ერთად შეკრებას.

პირველი ჩაბმა ჩემ კვალს მოჰყვება. ფაბრო რკალით შემოვლას ვიწყებ, რომ შვეული კლდეების მეორე მხარეს გავიდეთ. ჩემს უკან, მძიმე ტვირთქვეშ წელში მოხრილი მზიდავები, ერთი მეორის მიყოლებით გაუბედავად უახლოვდებიან ნა-

პირს და, როცა ყინულზე ფეხს დგამენ, ისეთი შესახედაობა აქვთ, გეგონება, წყალში ვარდებიანო. მხურვალე ლოცვების ბუტბუტით ზუსტად ჩემს ნაკვალევს მოჰყვებიან, თან ყინულს არ აშორებენ თვალს. ოპერაცია მშვიდობით მთავრდება. ახლა მზიდავები უკვე აღარ ისურვებენ ჩვენგან დაშორებას. ამისათვის მათ ხელმეორედ მოუხდებოდათ დიდი ყინულოვანი ტბის გადაკვეთა.

გადავედით მეორე მხარეს და შევყევით კალთებს. მალე მივაღწიეთ უღელტეხილს. ეს უღელტეხილი ჩვენ მიერ ამ დილით გავლილი უღელტეხილის სიმეტრიულად მდებარეობს, დაახლოებით 5000 მეტრის სიმაღლეზე. მას „აღმოსავლეთ ტილიჩოს“ ვარქმევთ!..

არავითარი სადინარი, როგორც მე ვვარაუდობდი, აქ არ არის, პირიქით ტბის ბოლო ჩაკეტილია.

ქვემოთ, ჩვენს წინ ღრმა ხეობა იშლება: სწორედ ეს არის მანანგბოტის ხეობა.

აქ კიდევ ვცდები მანძილის შეფასებაში. მართლაც, მე მეგონა, რომ მანანგბოტი უზარმაზარი ცირკის სიღრმეში მდებარეობდა, სინამდვილეში კი რელიეფი გაცილებით უფრო რთულია. იმ ადგილიდან, სადაც ჩვენ ვიმყოფებით, მორენები ციცაბოდ ეშვებიან ქვემოთ, რამდენიმე კილომეტრის მანძილზე. ხეობა გადაღობილია ქვის ნამზღვლევებით. ერთადერთ გასასვლელს აქედან ვიწრობით მივყავართ მშფოთვარე მდინარე მარსიანდი-კჰოლასთან, რომელიც სათავეს იღებს ტილიჩოს უღელტეხილიდან და მიედინება „დიდი ბარიერის“ მახლობლად, სადაც ანაპურნის მიგნების იმედი გვაქვს. ამ დაბრკოლების შემდეგ ვიწრობი თანდათან ფართოვდება და რუხ ქვებსა, ქვანაყარსა და მორენებს შორის, აქა-იქ მწვანე ლაქებივით მოჩანს დამუშავებული მიწის საცოდავი კუნძულები.

„დიდი ბარიერის“ მარჯვნივ აღმართულია სხვა კიდევ უფრო ლამაზი და მოხდენილი მწვერვალები. მარცხნივ, წითელი კლდეების თავზე, მუქთინათის ქედში ცადაზიდულა 6000 მეტრზე უმაღლესი მრავალი მწვერვალი.

ჩვენ უკანაა ტბა, რომელიც ეს-ეს არის გადმოვკვეთეთ, ხო-

ლო შორს — დასავლეთ ტილიჩოს უღელტეხილი, ამ დილით რომ გადმოვიარეთ.

ვიწვევთ სამხედრო თათბირს.

ეშაკი ფიქრობს, რომ რუკა სწორი არ არის და შეიძლება ანაპურნა სულაც არ მდებარეობს დიდ ბარიერზე.

ეს ღრუბლებიც რომ უდროო დროს გამოჩნდნენ: ყველა უმაღლეს მწვერვალს ფარავენ. აბა როგორ ვიმსჯელოთ იმაზე, რასაც ვერ ვხედავთ?

— სულ ახლახან იყო გასახედი, — ვამბობ მე, — რა თქმა უნდა, ვიცი, რომ რუკა ტყუის, მაგრამ მეეჭვება ძალიან დიდი შეცდომა დავუშვათ იმ მწვერვალის მდებარეობის დადგენაში, რომლის სიმაღლე 8000 მეტრს აღემატება.

— მაშასადამე, შენ მიგაჩნია, რომ ანაპურნა დიდ ბარიერზე მდებარეობს?

— დიახ, აი, იმ დიდი სამკუთხა პიკის მიღმა, ჩვენ წინ რომ აღმართულა. თუმცა, რა თქმა უნდა, ეს მხოლოდ ვარაუდია.

— მე კი მზად ვარ, სანაძლეო დავდო, რომ დიდი ბარიერი რუკაზე აღნიშნული არ არის.

— მიუხედავად იმისა, რომ იგი 20 კილომეტრზე მეტ მანძილზეა გადაჭიმული და მის თხემზე თხუთმეტიოდე 7000-იანი მწვერვალია აღმართული, — ვეუბნები სიცილით.

— სადაა თხუთმეტი, — ბუზღუნებს ეშაკი, — იქ სულ რამდენიმე მწვერვალია.

— მოკლედ რომ ვთქვათ, შენი აზრით, აი, ეს გრძელი თხემი და რუკაზე ნაჩვენები ერთი და იგივე არ არის. ამ შემთხვევაში, აქ უნდა ყოფილიყო ორი თხემი, ხომ ასეა?

— დიახ, შესაძლებელია, — ეშაკი იქვე აკეთებს რამდენიმე გამოთვლას იმის დასადასტურებლად, რომ ანაპურნა არ შეიძლება მთავარ ქედში იყოს. მისი არგუმენტები, ცოტა არ იყოს, საგონებელში მაგდებს, მაგრამ ვერ კი მარწმუნებს. მაშ სადღაა ანაპურნა?

— კეთილი, — ვეუბნები ბოლოს! — აქ დავბანაკდეთ.

— შესანიშნავია, — მეთანხმება ეშაკი.

— შენ აქ დარჩები ხვალაც და ზეგაც.

— თუნდაც მომავალ წლამდე!

— შეგიძლია შეამოწმო შენი თვალსაზრისი ყოველგვარი დაკვირვებებით.

— შენ და გასტონი რაღას აპირებთ?

— ჩავალთ მანანგბოტში, ალბათ იქიდან მაინც დავინახავთ ანაპურნას!

— შეიძლება, შეიძლება... არ ვიცი, არგებს თუ არა ეს საქმეს, მაგრამ მე აქ დარჩენას ვამჯობინებდი.

— კარგი! ჩვენ ვისარგებლებთ ამ გასეირნებით, რომ მზიდავებისათვის ქუშელი[1] ვიყიდოთ. ფუთარკე და პანზი ჩვენთან წამოვლენ.

— იქნებ ჩვენ ტილმანი ვნახოთ?

მეორე დილას მე და რებიუფა უთენია ვაღვიძებთ მთელ ბანაკს.

— ნახვამდის, მატა, ჩვენ ზეგ დავბრუნდებით.

— როდის? — შეკითხება ბურანში მყოფი.

— თორმეტში!

— რა გაეწყობა, ნახვამდის, ღმერთმა ხელი მოგიმართოთ!

ცარიელი ზურგჩანთებით მივდივართ, იმედი გვაქვს, სურსათს იქ ვიშოვით. ყურადღებას არ ვაქცევთ ჩვენ მიერ გამოწვეულ ქვათაცვენას და ხევ-ხევ მივექანებით თავქვე.

— როგორ ფიქრობ, გასტონ, შუადღემდე ჩავალთ?

— სწორედ სადილობისას იქ ვიქნებით.

ქვიდან ქვაზე ხტუნვა-ხტუნვით სწრაფად ვეშვებით თავდალმართში. ჩვენი გზა სამკუთხა პიკის ძირში დაკიდული დიდი ყინვარიდან გამომდინარე ბობოქარ მარსიანდი-კჰოლას მიუყვება. რაც უფრო ქვემოთ ვეშვებით, მით უფრო მკაფიოდ მოჩანს, რა მაღალია ხეობის ბოლოში გზის გადამღობი კლდეები.

მალე ვრწმუნდებით, რომ ნაპირი, რომლითაც მივდივართ, ამას იქით გაუვალია და მდინარეზე გადასვლა მოგვიწევს.

— შენ რა გიშავს ასეთ ოჩოფეხებზე, — ვეუბნები გასტონს.

თვალისდახამხამებაში ის უკვე მეორე ნაპირზეა. მე, ცო-

---

[1] ქერის ან სიმინდის მოხალული ფქვილი, ტიბეტელების ჩვეულებრივი საკველია (ავტ).

ტა არ იყოს, ვყოყმანობ. რა იქნება, რომ წერაყინი ფსკერზე ჩავარჭო და ჭოკად გამოვიყენო?.. ერთი ფეხი ამ ქვაზე, თუმცა ვერ არის საიმედო... ერთი, ორი! კუნთები მისუსტდება, წერაყინი სხლტება, ქვა ყირავდება და ყინულივით ცივ მჩქეფარე ნაკადში ვვარდები.

— იფ, რა აბაზანაა! ვაი, რა ცივია!

რებიუფა დამცინის:

— მერე რა გამჭვირვალეა!

— სულელო, ერთი შენ ჩავარდნილიყავი! — ვბურტყუნებ და სველი პუდელივით ვიფერთხები.

შერპებს — პანზისა და ფუთარკეს ბრწყინვალე აზრი მოსდით: აძვრნენ ზედ კლდის თავზე და მშვენივრად მიაბიჯებენ ვიწრო ბილიკზე.

გრძელი ციცაბო ქვანაშალები, ტილიჩოს უღელტეხილიდან რომ შევამჩნიეთ, ახლა გზას გვიღობავენ და არავითარი ბილიკი არა ჩანს. ორივე შერპმა უკვე მიაღწია ფუძეს.

ცოცვით აღმასვლა ძნელია. ციცაბო ფერდობზე ქვებს ძლივს მაგრდება და მცირე მოძრაობას შეუძლია ნამდვილი ზვავი გამოიწვიოს. შორს, ჩვენ უკან, მოჩანს ტილიჩოს უღელტეხილი, რომელიც რამდენიმე საათის წინ დავტოვეთ.

ყველა ქვა ერთი ზომისაა. გეგონება გიგანტურ საცერში გაუცრიათო. ბოლოს, როცა ზევით ავაღწიეთ, გზა გადაგვიღობა გამაგრებული მიწის ციცაბო კალთებიანმა ღრმა ხევმა.

— ეპვი არაა, საფეხურების ჭრა მოგვიხდება. — ვეუბნები ცოტა შეფიქრიანებულ რებიუფას.

— ამას ყინული მერჩია!

მარჯვე შემთხვევა გვეძლევა, ვნახოთ, როგორ მოიქცევიან შერპები. ფუთარკე წინ მიდის, ხელში წერაყინი უჭირავს. იგი მშვენივრად იცავს წონასწორობას და სწრაფად ჭრის საფეხურებს. პანზი კვალდაკვალ მისდევს და სრულიად მტკიცედ გრძნობს თავს. ჩვენ ისღა დაგვრჩენია, მათ კვალს მივყვეთ.

ამ ხევის მიღმა ბალახით დაფარული ფერდობები გვეგონა, მაგრამ ზევით რომ ავედით, წინ მეორე ხევი გამოჩნდა, მეორეს მესამე მოჰყვა და ასე შემდეგ... ამგვარად, სანამ უფრო ადვილად სავალ ბალახიან კალთებზე გავიდოდით, თითქმის

მთელი საათის განმავლობაში საფეხურები ვეერით. მერე თავითფეხამდე მტვერში ამოგანგლულები სრიალით დავეშვით უზარმაზარ ქვანაშალებზე.

შუადღე გადასულია. ხეობის ქვემო ნაწილში ანკარა წყაროსთან ვისვენებთ და სახელდახელოდ ვსაუზმობთ... მდინარის ნაპირის გასწვრივ სიარული გვიჭირს და ზოგჯერ ას-ორას მეტრზე ასვლა გვიხდება, რომ ხშირ ბარდნარში გზა გავიკვლიოთ.

ტუკუჩას ხეობასთან შედარებით ეს სულ სხვა სამყაროა. აქ ბევრად უფრო თბილა, მცენარეულობა გაცილებით მრავალფეროვანია და რელიეფი უფრო მეტად დასერილი. ალაგ-ალაგ გვხვდება აყვავებული ხეები, რაც გარემომცველ პეიზაჟს რბილსა და მიმზიდველ იერს აძლევს.

ადამიანმა უკვე შემოაღწია აქ: ძლივს შესამჩნევი ნაკვალევი ახლა ბილიკს დაემსგავსა.

მანანგბოტი ჯერ კიდევ შორსაა. კარვები თან არა გვაქვს და საგზალიც მიგვიცოტავდა. ამიტომ საღამომდე აუცილებლად უნდა მივაღწიოთ იქამდე.

ბილიკის მოსახვევში მოულოდნელად რამდენიმე სახლი გვხვდება. სოფელ ქანგზარის შესასვლელში სამლოცველო ბაფთებით შემკული ბუდისტური შორტენი[1] დგას.

ბავშვებმა თვალი მოგვკრეს და ჩვენს შესახვედრად გამორბიან. თავის სიცოცხლეში პირველად ხედავენ ისინი თეთრ ადამიანებს და ცნობისმოყვარეობით ათვალიერებენ მთიდან ჩამოსულ მოჩვენებებს. ისინი ვერ ხვდებიან, რომ ჩვენ ქედის გადაღმიდან მოვედით. საერთოდ, არც იციან, არსებობს თუ არა ქედის მეორე მხარე. ერთადერთი გზა, რომელსაც ადგილობრივი მკვიდრნი იცნობენ, მუქთინათში მიმავალ მლოცველთა ბილიკია. ეს ბილიკი თორუნგზეზე გადის.

პანზი მოითხოვს სუბას. ხმაურიანი ბრბო მიგვიძღვის შესახვევებში. სუბა გამოგვეგება. მცირეოდენ გაოცებასაც კი არ ამჟღავნებს: მრავალი საუკუნის განმავლობაში ბუდა ასწავლის გულგრილი შესახედაობის შენარჩუნების ხელოვნებას სრუ-

---

[1] რელიგიური ძეგლი, რომელსაც, ჩვეულებრივ, გადაბრუნებული ზარის ფორმა აქვს.

ლიად უჩვეულო შემთხვევების დროსაც კი. მე ვთხოვ სუბას, მიშოვოს ქუმელი ჩვენი მზიდავებისათვის, რომლებიც მთაში დარჩნენ. სუბა ოხვრითა და გოდებით გვარწმუნებს, რომ ქანგზარი მეტად ღარიბია: არა გვაქვსო, არც ერთი კილოგრამი ზედმეტი ქუმელი, არც ერთი მუჭა ბრინჯი და არც ერთი წიწილა. უმჯობესია მანანგბოტში წახვიდეთ, რომელიც სულ ერთი საათის სავალზეა, და იქ იშოვით ყველაფერს, რაც გესაჭიროებათ.

მანანგბოტი იმ წუთშივე სამოთხედ გვესახება და, მიუხედავად სიცხისა და შიმშილ-წყურვილისა, დაუყოვნებლივ განვაგრძობთ გზას.

სოფლის განაპირას, ბილიკის გარდიგარდმო იაკის სრულიად გამოფიტული ჩონჩხი გდია. არავის აზრად არ მოსდის გადაათრიოს გზიდან ეს საღმრთო ძვლები. უკვე მრავალი თვეა იგი აქ დევს და ასე იდება, ვიდრე მტვრად არ იქცევა. ჩვენც მოკრძალებით ვუვლით მას გვერდს.

კლდეში გამომტვრეულ საფეხურებს და შემდეგ მეტად ციცაბო ფერდობს ისევ ქვემოთ, მდინარესთან მივყავართ. სწრაფად მივყვებით მის ნაპირს.

— აი, მანანგბოტიც! — ამბობს პანზი.

ტიბეტის უძველესი ქალაქების მსგავსად, ეს ქალაქიც შვეულ კლდეებზეა გაშენებული. აქედან მხოლოდ ქალაქის კედლებს ვხედავთ. და ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს ციხესიმაგრეს ვუახლოვდებით. მდინარეზე გადებული ფიცარი გვამცნობს, რომ ახლა ცივილიზებულ ქვეყანაში ვართ. შეკუყვეთ აღმართს.

რამდენიმე ვიწრო შესახვევის შემდეგ შევდივართ ქალაქის ცენტრში, სადაც მოჩანს დაახლოებით 50 მეტრის სიგრძის ვეება სამლოცველო კედელი. მცხოვრებნი ყოველი მხრიდან მოისწრაფვიან და გარს გვეხვევიან: უმეტესად კი ბავშვები. მოხუც ქალს მეტად საინტერესო პორტატული სამლოცველო წისქვილი უჭირავს ხელში და განუწყვეტლივ ატრიალებს. აქვე არიან ძალიან ლამაზი ახალგაზრდები. მათ ტუკუჩელებისაგან განსხვავებული ტიპიური სახეები აქვთ.

ადგილობრივი მცხოვრებლები ბუდისტები არიან. ყველანი რაღაცას გაჰყვირიან, ვერ ვარჩევ, რას, მაგრამ ეს არ მა-

ღელვებს. უკვე დავრწმუნდი, რომ ამ ქვეყანაში უბრალო „გამარჯობაც“ მთელ მოხსენებასავით გაისმის, რომელსაც ხმამაღლა წარმოთქვამენ. თხუთმეტწუთიანი პაექრობის შემდეგ ერთ-ერთი მამაკაცი სუბას საძებრად გაეშურა. ამასობაში პანზიმ უკვე მოგვიძებნა ღამის გასათევი ბინა — სხვენი მეორე სართულზე. ავდივართ თავშესაქცევი კიბით — სქელი ჭდეებიანი ფიცრით, ვიხსნით ზურგჩანთებს და ორივენი — მეც და გასტონიც მოედანზე ვბრუნდებით.

ქალაქის მკვიდრნი ჩვენ გარშემო იკრიბებიან და ხელების მოშველიებით გვესაუბრებიან:

— ამერიკელები ხართ?

— არა, ფრანგები!

— ...?

— დიახ, ფრანგები.

თითქოს ყველაფერი ნათელია, გაგების ნიშნად თავს აქნევენ: „ჰო, ამერიკელები არიან!“

— არა, არიან ამერიკელები და არიან ინგლისელები, მაგრამ ჩვენ ფრანგები ვართ.

— რასაკვირველია, რასაკვირველია, მაგრამ თქვენ მაინც ამერიკელები ხართ.

ვნებდები...

ადგილობრივ მკვიდრთა უმრავლესობას გურკები შეადგენენ, რომელნიც ბრიტანეთის არმიაში მსახურობდნენ. ჩვენ პირველი თეთრები ვართ, რომლებმაც აქ შემოვაღწიეთ:

ანაპურნა? არაფერი იციან.

ანაპურნის ამბავი უკვე უცნაურად მეჩვენება. შეუძლებელია 8000 მეტრიანი სიმაღლის მწვერვალი ვერ შეამჩნიო, თუნდაც იგი ქედის შორეულ ნაწილში მდებარეობდეს. უკიდურეს შემთხვევაში, ადგილობრივ მცხოვრებთ მაინც უნდა სცოდნოდათ მისი არსებობის ამბავი. შესაძლოა, მას აქ სხვა სახელს ეძახიან, რომელიმე სხვა ღვთაების პატივსაცემად?

მზე ჩადის. იგი უკვე მიიმალა მანანგბოტზე აღმართული დიდებული მწვერვალის — სამკუთხა პიკის მიღმა. პანზიმ დაწვრილებით გამოჰკითხა ადგილობრივ მცხოვრებთ ყველაფერი და გვითხრა, რომ ეს მთა თურმე განგაპურნაა.

მარცხნივ ორი სხვა მწვერვალია — ჩონგორი და სეპშია.

ძლივს დაწყნარებული ქალაქის ვიწრო ქუჩებში გასეირნების შემდეგ ვბრუნდებით და გულგატეხილი შერპებისაგან ვგებულობთ, რომ ეს პატარა ქალაქი უაღრესად ღარიბია და სურსათ-სანოვაგის შოვნა მეტისმეტად გაგვიძნელდება.

ამ დროს გამოგვეცხადა სუბა — ძალიან უბრალოდ ჩაცმული, გრძელ წვერა, საკმაოდ ჭკვიანი გამომეტყველების მოხუცი, მას გააცნეს ჩვენი თავი და დავსხედით. საუბარმა მყისვე საქმიანი მიმართულება მიიღო. სუბას შეუძლია მხოლოდ ათ კილოგრამამდე ქუმელი მოგვცეს. თან იმდენნაირი მოსაზრება მოჰყავს, რომ თვითონვე იხლართება მასში. არავითარი ქათმები, მხოლოდ ოთხი თხილისსიმსხო კვერცხი, არც რძე, არც ბრინჯი. ტილიჩოს უღელტეხილზე დარჩენილი ჩვენი მზიდავებისათვის ასე აუცილებელი ქუმელიც კი მეტისმეტად ცოტაა.

ეს მნიშვნელოვანი ახალი ამბები მაიძულებენ, მეორე დილითვე გავგზავნო ფუთარკე უღელტეხილზე. იშაკს ვწერ:

„მანანგბოტი, 11 მაისი, 5 საათი.

— ძვირფასო მატა!

ფუთარკე ახლავე უკან მოემგზავრება თქვენთან, აქ მოსვლას ძალიან დიდი დრო უნდა.

აი რისი გაგება მოვახერხეთ:

დიდი სამკუთხა პიკის — განგაპურნას მილმა მდებარეობს მეორე ყინულოვანი მწვერვალი ჩონგორი, რომლის სიმაღლე 7000 მეტრს აღემატება. შემდეგ ქედი ციოქოს ხეობაში ეშვება, აქედან დაახლოებით ორ კილომეტრზე, მდინარე შუნდი-კიუს შესართავთან, პატარა სოფელ შინდის ახლოს. მდინარე შუნდი-კიუს მარჯვენა ნაპირზე ჩანს კიდევ ერთი დიდი მწვერვალი სეპშია.

მაგრამ სადღაა ანაპურნა? გამოცანაა! აქ მის შესახებ არავინ არაფერი იცის. მოქმედების გეგმა: მე, გასტონ და პანზი გავდივართ „შინდი“-ში, რათა ეს საიდუმლოება გავხსნათ. თუ მიღებული ცნობები შესაძლებლობას მოგვცემს, დავაზუსტოთ ანაპურნის ადგილმდებარეობა, შევისწავლოთ მისასვლელები და შევაფასოთ ასვლის

სიძნელე, დაუყოვნებლივ დავბრუნდებით მუქთინათზე[1] გამოვლით, ხოლო, თუ გამოირკვა, რომ დასახული დაზვერვა დიდი ბარიერის მწვერვალზე უნდა ჩატარდეს, რაც ალბათ რთული არ იქნება, და ჩვენ ერთად მოვახდენთ, მაშინ დავბრუნდებით ბანაკში 12-ში, ე. ი. ხვალ.

თუ ვერ დავბრუნდით, 13-ში დილით, მოხსენითი ბანაკი და გაემგზავრეთ უკანვე ტუკუჩაში. სალამი!

შენი მ ო რ ი ს ი"

* * *

ამასობაში ჩვენი გაცილების შემდეგ, იშაკი იმავე დღეს, დაახლოებით 9 საათზე, ანგ-თარკეესთან ერთად გადის ბანაკიდან აღმოსავლეთ ტილიჩოს უღელტეხილზე. მას განზრახული აქვს, ავიდეს მწვერვალზე, რომელიც ბანაკიდან ჩრდილო-აღმოსავლეთით მდებარეობს[2].

სანამ შესაფერ ადგილას მივიდოდა, დაახლოებით 5500 მეტრის სიმაღლეზე, გადაიღო ფოტოსურათები და ბუსოლით აღნიშნა ადგილები. ვიდრე მარსელი ამ საქმიანობით იყო გართული, ანგ-თარკეემ ააგო ნიში,[3] ორ მეტრ-ნახევარზე უფრო მაღალი ძეგლი. საავდრო ღრუბლები, გათენებისას რომ ფარავდა ზეცას, ახლა ისევ აიშალა და ჯგუფი იძულებული გახდა უკანვე დაბრუნებულიყო.

კარავში პირქვე მწოლარე იშაკს, მთელი სიზუსტით, რის მოხერხებაც კი შესაძლებელია ამ პირობებში, რუკაზე გადაექვს თავისი გაზომვები.

„ესაა და ეს! ახლა ცხადია!"

იშაკის მიერ შეკრებილი მონაცემები ამტკიცებენ, რომ ბანაკიდან სამხრეთით გაჭიმული მთაგრეხილი, რომელსაც ჩვენ დიდ ბარიერს ვუწოდებთ, სინამდვილეში ანაპურნა-ჰიმალს წარმოადგენს. ყბადაღებული კლდოვანი პიკი „შავი კლდე", რომლის საყურადღებო ტოპოგრაფიულ მნიშვნელობას ჩვენ ვხვდებოდით, ანაპურნას შემცველი გვერდითი ქედის დასაწყისია!

---

[1] მუქთინათზე გავლით გზა მოკლდება ერთი დღით.

[2] მუქთინათ-ჰიმალზე, დიდი ბარიერის პირდაპირ.

[3] ქვით ნაშენი პირამიდა.



ანაპურნის მასივის ოროგრაფია ინდური რუკების მიხედვით (წყვეტილით აღნიშნულია ტილიჩოს არარსებული გასასვლელი).

მაშ, ანაპურნა უნდა მდებარეობდეს დიდი ბარიერის მხოლოდ მეორე მხარეს!

ამგვარად, მე და რებიუფა თურმე მწვერვალ-მოჩვენებას დავდევდით. რა სისულელეა. ეს რომ გვცოდნოდა!..

მაგრამ ასეთია ყველა გამოკვლევის ბედი: ჯერ ბევრი მერყეობა, ეჭვები, შეცდომები, შემდეგ სრულიად მოულოდნელად — აღმოჩენა.

ღამით უღელტეხილზე ძალიან ცივა. კარავში მშვენიერი ამინდის მომასწავებელი განთიადი აღწევს. იშაკი სარგებლობს კარგი ხილვადობით, რათა განსაზღვროს ადგილმდებარეობა მანანგბოტის მიღმა ხილული ბუმბერაზი მწვერვალებისა და მათ შორის ნეპალის ერთ-ერთი რვაათასიანის, უზარმაზარი პირამიდის მანასლუსი, რომელიც ზემოდან დასცქერის დანარჩენ მწვერვალებს.



ანაპურნის მასივის ოროგრაფია 1950 წლის საფრანგეთის ექსპედიციის მონაცემების მიხედვით.

ქარი ამოვარდა და ღრუბლები მორეკა. ან კარავში უნდა იჯდე, ან დურბინდით უთვალთვალო, ხომ არ ბრუნდება მანანგბოტში წასული ჯგუფი.

დაახლოებით სამ საათზე ფუთარკე გამოცხადდა იშაკთან და ჩემი ბარათი გადასცა. იშაკმა სწრაფად გადაავლო თვალი. უკვე იცოდა, რომ ის ახალს ვერაფერს აცნობებდა. მას მიაჩნდა, რომ დიდი ბარიერის „ადვილ მწვერვალზე“ ასვლას აზრი არა ჰქონდა. უმჯობესი იყო, სხვა მიმართულებით წასულიყო, რაც შეიძლება მაღლა ასულიყო წინადღით მის მიერ აღმოჩენილ მძლავრ მყინვარზე და იქიდან ეცადა ანაპურნის დანახვა დიდი ბარიერის მიღმა.

12-ში, დილით, შესანიშნავი ამინდი იდგა. იშაკმა აუხსნა ანგ-თარკეს, რომ ისინი ერთად ავიდოდნენ მუქთინათ-ჰიმალის მიმართულებით. 8 საათსა და 30 წუთზე, როდესაც უკვე ილრუბლებოდა, იშაკმა და ანგ-თარკემ ფეხი დაადგეს დამრეც

ყინვარს და დაიწყეს ასვლა. ყინული დაფარული იყო ახალი თოვლით. რაც ანელებდა წინსვლას. ალტიმეტრის ჩვენება თანდათან იზრდებოდა. დაიწყო ნაპრალთა არე.

/ ისინი არ აპირებდნენ დროს დაკარგვას სიძნელეთა დაძლევაზე. მათი ამოცანა იყო უმოკლეს დროში, რაც შეიძლება, მაღლა ასულიყვნენ. მალიმალ უხდებოდათ ყინულში საფეხურების ამოკვრა, მაგრამ ძნელი უბნები არცთუ ისე ბევრი იყო. ბოლოს მიაღწიეს ზედა კალთებს. თხემზე სქელ ნისლში გავიდნენ.

სადაა ანაპურნა? აფსუს! ირგვლივ მცირეოდენი ხილვადობაც არაა. იშაკმა ზუსტად ისიც კი არ იცის, თვითონ სად იმყოფება. იგი ამაოდ უცდის გამოდარებას. უკვე 12 საათი და 30 წუთია. ალტიმეტრი 6200 მეტრს უჩვენებს. სუნთქვა არ უჭირთ. ეს იმას ნიშნავს, რომ ისინი ფორმაში შედიან. ეს ადგილი ექსპედიციის მიერ მიღწეული უმაღლესი ადგილი და ჩვენი პირველი ექვსიათასიანია!

ამინდი არ უმჯობესდება და 13 საათსა და 15 წუთზე ისინი იწყებენ დაშვებას თავის ნაკვალევზე; თოვს, მაგრამ კვალი კიდევ ჩანს.

16 საათსა და 30 წუთზე იშაკი და ანგ-თარკე ბანაკში დაბრუნდნენ. აქ მათ ნახეს ექსპედიციის უფროსი, რომელიც მშვიდად ხვრინავდა თავის საძილე ტომარაში.

ნეტავ რა მოხდა?

* * *

მანანგბოტში, გათენებისას, 11 მაისს, პატარა ჯგუფი ძლივს იღვიძებს.

მცირე საუზმის შემდეგ ფუთარკე ზურგჩანთას იკიდებს და ჩემი წერილი მიაქვს იშაკთან. შემდეგ მე და რებიუფა პანზისთან ერთად მივყვებით ქვემოთ, მარსიანდი-კჰოლას ხეობით, უჩინარი ანაპურნას საძებრად.

შორს, ჩვენ პირდაპირ, მოჩანს პიკი, რომელშიც მანასლუს ვცნობთ.

განზრახული გვაქვს, დიდი ბარიერის გასწვრივ ვიაროთ, სადამდისაც კი შესაძლებელი იქნება. მაგრამ იმავე საღამოს უნდა დავბრუნდეთ მანანგბოტში. დაახლოებით შუადღისას ჩვენ

წინ პატარა სოფელ შინდის ხედი იშლება. მერე ხეობა ვიწროვდება. წინსვლას აზრი არა აქვს. დარწმუნებული ვარ, რომ სწორ გზას არ ვადგივართ — ანაპურნა ამ რაიონში არ არის.

ადგილობრივ მცხოვრებთ და შიკარებს, რომელთაც ვეკითხებით, თავის დღეში არ გაუგონიათ მისი არსებობა. ისინი საკმაოდ ვრცლად გვიხსნიან, რომ ეს სიტყვა „მოსავლის ღმერთს" ნიშნავს.

მანანგბოტში დაბრუნების მეტი აღარაფერი დაგვრჩენია. თანაც მშიერი კუჭით, რადგან საგზალი გაგვითავდა.

ჩონგორსა და სეპშიაზე საავდრო ღრუბლები ჩამოწოლილან, რაც ხელს გვიშლის გადავიღოთ ფოტოსურათები, რომელთა წაღება საბუთად სასურველი იყო. ღრუბლების გაფანტვის იმედით ხანმოკლე შესვენებას ვაწყობთ. თითოეული პოულობს თავისთვის პატარა მყუდრო ადგილს. რებიუფა მყისვე იძინებს წმინდანის ძილით. პანზი თავის უკანასკნელ სიგარეტს ეწევა, მე კი ვდგავარ გუშაგივით, რომ ღრუბლების გაფანტვისთანავე განგაში ავტეხო.

ბოლოს ჩონგორი და სეპშია გამოიკვეთნენ ნისლიდან. რებიუფა იღებს მათ და უკან, მანანგბოტში ვბრუნდებით.

პაპანაქებაა და სიარული მეტად გვიმძიმს. პანზი ყოველ შემხვედრს სურსათის ამბავს ეკითხება, მაგრამ უშედეგოდ. ნაშუადღევს ჩვენს სხვენს მივაღწიეთ.

— ამგვარად, ხელცარიელნი ვბრუნდებით, — ამბობს რებიუფა.

— ყოველ შემთხვევაში, ვიცით მაინც, რომ იგი აქ არ არის.

— დაუყოვნებლივ უნდა დავბრუნდეთ!

— საეჭვოა, რომ აქ ჩვენ რაიმე სანოვაგე ვიშოვნოთ. წაიღეთ რაც გაგვაჩნია და გასწით პანზისთან ერთად მუქთინათში. თორუნგზეზე გავლა საშუალებას მოგცემთ, ტილიჩოს გადასავალზე აუსვლელად, ერთი დღით ადრე დაბრუნდეთ ტუკუჩაში.

— ცარიელი კუჭით ასეთი მგზავრობის შემდეგ დაიღლებით, ამიტომ დარჩენილი რუპიებით შეგიძლიათ დაიქირაოთ პონი.

— მერე შენ?

— ნუ სწუხხარ. ერთი ფილა შოკოლადით მე ტილიჩოს ბანაკამდე მივაღწევ.

— ეს საშინლად გრძელი გზაა!

— მე იქ ხვალ დილით ვიქნები. მინდა იშაკთან ერთად იმ ადვილ მწვერვალზე ავიდე.

ცოტა შევნაყრდით და ჩვენ-ჩვენი გზით გავწიეთ.

მე სულ მარტო დავრჩი.

მხოლოდ ერთი ფილა შოკოლადი გამაჩნია და უნდა ვიჩქარო, რომ 2800 მეტრის სიმაღლიდან 500 მეტრზე მაღლა ავაღწიო.

გადავწყვიტე, რაც შეიძლება ჩქარა ვიარო, კიდევაც ვირბინო, ვირბინო, სანამ ძალა მექნება.

ერთი საათის შემდეგ უკვე ქანგაარში ვარ. ერთ წუთსაც არ ვაყოვნებ და მივყვები ბილიკს, რომელიც მდინარის მარცხენა ნაპირზე იკარგება. მივძვრები კლდეებს შორის, ხან აღმა, ხან დაღმა, რომ დაბრკოლებებს გვერდი ავუარო. დრო სწრაფად მიჰქრის.

ვხვდები ფუთარკეს მიერ კირქვებში გამოკვეთილ საფეხურებს. შემდეგ ვიწყებ ასვლას გრძელ, ციცაბო ქვანაშალზე და ბოლოს ვაღწევ მდინარემდე. გადახტომაზე ფიქრიც კი არ შეიძლება, ვიხდი სამთო ფეხსაცმელს და მხარზე ვიკიდებ. უკვე ბინდდება. ყინულივით ცივ წყალში ჩავარდნა მეტად უსიამოვნო იქნებოდა. ამიტომ, მდინარეში შესვლისას, ფრთხილად ვსინჯავ ფეხით თითოეულ ქვას.

დინება მეტისმეტად ძლიერია. უეცრად ფეხი მისხლტება. ვცდილობ თავის შემაგრებას, მაგრამ უფრო ღრმად ვეშვები წყალში, ბოლოს ვეცემი და მთლად ვილუმპები.

დიდი გაჭირვებით ვაღწევ მეორე ნაპირს და ვიწურავ ტანსაცმელს, ფეხსაცმელებიდანაც ვღვრი წყალს. სიცივისაგან აცახცახებული კბილების კაწკაწით ვიცვამ. სულ მცირე, ოთხი საათი მაინც მჭირდება, რომ ბანაკამდე მივაღწიო. დღის სინათლე კი ერთ საათზე ცოტა მეტს თუღა გასტანს. რის ვაივაგლახით გადავჭერი მკვრივი მიწის გრძელი ციცაბო ფერდობი, ხანდახან ძლივს ვიმაგრებდი თავს, რომ არ დავცემულიყავი.

ხეობიდან გამსჭვალავი ქარი უბერავს და სიცივისაგან კბილს კბილზე მაცემინებს. გზა არ ჩანს. ვეძებ თავშესაფარს, ღამისგასათევად. ბოლოს ერთ ბღუჯა ბალახზე ვეშვები და

კაპიშონს ისე ვიხვევ, რომ მთლიანად მფარავს. ფეხები გამეთოშა, სიცივისაგან მუხლები მიკანკალებს.

კაპიშონქვეშ მობუზული ვფიქრობ: ახლავე შევჭამო შოკოლადის უკანასკნელი ნაჭერი, თუ დილისთვის შევინახო? შეჭამას ვარჩევ, შემდეგ კი უკანასკნელ სიგარეტსაც ვეწევი.

და, აი, ვარ გადაკარგული შიგ მთების გულში, 4500 მეტრის სიმაღლეზე, სულ ერთიანად სველი, დაღლილი და მშიერი. მეყოფა კი ძალა, რომ უკანასკნელ 500 მეტრზე ავიდე?

ვერაგი ქარი ჩემი ტანსაცმლის ყოველ ნაოჭში აღწევს.

თოვას იწყებს.

თვალებს ვხუჭავ, კუნთებს ვაღუნებ და ვცდილობ თავდაკიწყებას მივეცე; ასე ვიქცევი ხოლმე ყოველთვის, მთაში ღამის თევის დროს.

დრო ნელა და ერთფეროვნად მიიზლაზნება. ქვემოთ მთის ნაკადი ჩხრიალებს. დედამიწა ძაგძაგებს და ექო დაუსრულებლად გაისმის ხეობაში. სინესტეა — საშინელი შეგრძნებაა, როცა სიცივე ძვლებში ატანს. მას შეუპოვრად უნდა ვებრძოლო!

რამდენი აზრი მიტრიალებს თავში! რა კარგი იქნებოდა ახლა, სითბოსა და მყუდროებაში ყოფნა! ხანდახან ოდნავ ვახელ ცალ თვალს. ამინდი არ უმჯობესდება. თუ ღრუბლებმა დაიწია, გზას ვეღარ გავიგნებ.

გათოშილი, თითქმის გონმიხდილი სიხარულით ვხვდები განთიადის პირველ ნიშანს. უნდა მოვიცადო, სანამ ცოტა კიდევ განათდება. რა მტანჯველია ეს უკანასკნელი წუთები! ბოლოს ვდგები, ვალაგებ საშტორმო ტანსაცმელს და თუმცა შიმშილით კუჭი მეწვის, კვლავ გზას განვაგრძობ.

ძალიან მცივა, მაგრამ იმედი მაქვს სიარულში გავხურდები.

გამოიდარა. გზის შერჩევის საბაბით ხშირად ვჩერდები. ფეხები მიცახცახებს და აღარ მემორჩილება, მიუხედავად ამისა, მაინც ვახერხებ წინსვლას.

მზე უკვე მანანგბოტს ანათებს, მე კი ისევ ჩრდილში ვარ. ყოველ გაჩერებაზე, ვიდრე ისევ გზას გავუდგებოდე, შორიდანვე ვირჩევ მოხერხებულ ქვას შემდგომი შესვენებისათვის. შესვენებები სულ უფრო ხშირი და ხანგრძლივი ხდება.

ეჭვი მიპყრობს: მივაღწევ კი საერთოდ ბანაკამდე?

როგორც კი ბრტყელ ქვას წავაწყდები, ვჯდები და მაშინვე



ვგრძნობ ცოტაოდენ შემსუბუქებას. რამდენიმე წამით შესვენების შემდეგ ჩემთვის უკვე ცხადია აქ ჯდომის უაზრობა: ნუთუ არ შემიძლია კიდევ რამდენიმე მეტრის გავლა? ვირჩევ მეორე ქვას, გაჭირვებით ვშორდები წინანდელს და რამდენიმე ნაბიჯს ვდგამ. ისეთი შეგრძნება მაქვს, თითქოს მივქრი რაც ძალა და ღონე მაქვს, სინამდვილეში კი ნელა მივჩანჩალებ და ვეცემი სწორედ იმ მომენტში, როცა მორიგ მიზანს ვაღწევ. თითოეულ მეტრობით ვიღებ სიმაღლეს და ბოლოს, ბანაკამდე, რომელსაც ჯერ ვერ ვხედავ, დაახლოებით ორასი მეტრი რჩება.

ვცდილობ დავიყვირო, მაგრამ ხმის ამოღება არ შემიძლია.

მთვრალივით ვბარბაცებ. უფრო უხიფათო და მოხერხებულია ოთხზე ფოფხვა. თავბრუ მესხმის, ძილი მერევა.

უკანასკნელ ძალ-ღონეს ვიკრებ, გაჭირვებით ავდივარ თხემზე და ვეცემი. დრო მიდის... ბოლოს, როდესაც თვალებს ვახელ, მეჩვენება, რომ ასმა წელმა განვლო.

გადავხედე თხემს.

ბანაკი! სულ ოც მეტრზეა.

— ჰეი! ჰეი!

ამაოდ ვცდილობ ვინმეს ყურადღება მივიპყრო. მზიდავები არხეინად საუბრობენ ბრიალა კოცონის გარშემო. ნეტავ შეეძლოთ ჩემი დანახვა! რა იქნება, ერთმა მაინც მოიხედოს! ვისვრი რამდენიმე ქვას, იქნებ ხმაურზე ამოიხედონ-მეთქი, მაგრამ არ ესმით. დაძახებისათვის კი ძალა არ მყოფნის. თავი ტყვიასავით მაქვს დამძიმებული. ყურები მიბჟუის.

ახლა, როცა უკვე მჯერა, რომ მივაღწევ, უბრალოდ, კბილს კბილზე ვაჭერ და ცხოველივით ოთხზე მივფორთხავ.

უეცრად ფუთარკე მობრუნდა:

— ბარა-საჰიბ!

გახევებული მიყურებს, როგორ მოვფორთხავ. თვალისდახამხამებაში ყველანი წამოცვივდნენ და ჩემკენ გამოეშურნენ.

გადავრჩი!

მთელი სხეულით აძაგძაგებულს გასაბერ ლეიბზე მაწვენენ, — ცოტა მომასულიერეს. იშაკი ჯერ არ დაბრუნებულა, მაგრამ სადაცაა გამოჩნდება. ვთხოვ, მომიმზადონ საჭმელი. მზიდავების დახმარებით ფუთარკე ბლომად ხსნის კონსერვებს. ცეცხლი მხიარულად გიზგიზებს. მოზრდილი ქვაბები დუღილს იწყებენ და ისეთ მაცთუნებელ სურნელებას ავრცელებენ, რომ იძულებული ვარ გაუნძრევლად ვიწვე ძილბურანში, რომ როგორმე დავიოკო მოთმინება.

მალე პირდაპირ ქვაბიდან ვიწყებ ჭამას.

ფუთარკე სულაც არ მოელოდა ამას, — საჭმელს იგი მთელი ბანაკისათვის ამზადებდა! საათნახევრის განმავლობაში შეუსვენებლად, გატაცებითა და დაუჯერებელი სისწრაფით ვნთქავ იმდენ საჭმელს, რამდენიც არასდროს მიჭამია ჩემს სიცოცხლეში. მე ვემსგავსები გველს, რომელმაც მსუქანი ცხვარი გადაყლაპა! შვებით ვიზმორები ჩემს საძილე ტომარაში.

— დილამშვიდობისა, მორის!

— მატა!

— ჩვენ ეს-ეს არის ჩამოვედით ექვსი ათას ორასი მეტრის სიმაღლე მწვერვალიდან! ვუზიარებთ ერთმანეთს უკანასკნელ ახალ ამბებს. ყველაფერი ეხამება იშაკის დასკვნებს და ადასტურებს მას. ამგვარად, ანაპურნის მასივის მთელი ჩრდილოეთი ნაწილი გამოკვლეულია.

— ეპვი არ არის, — ვეუბნები იშაკს, — ანაპურნის გასაღები სამხრეთითაა. მირისტის ხეობით უნდა გადავიდეთ „27 აპრილის“ უღელტეხილზე.

— მაშინ ჩვენ აქ მეტი საქმე აღარა გვაქვს, დაუყოვნებლივ უნდა ჩავიდეთ ტუკუჩაში. — ასკვნის იშაკი.

მეორე დღეს ავშალეთ ბანაკი. მზიდავებს უხარიათ აქედან წასვლა. მთელ ქვეყანას მოწყვეტილებს სამი დღე სრულიად უსაქმოდ ყოფნა მობეზრდათ. წაქეზება აღარ სჭირდებათ. რამდენიმე წუთში შეკრეს მთელი ბარგი, გაინაწილეს და სანამ მე და იშაკი ნელი მუსაიფით დავტოვებდით ბანაკს, ანგ-თარკეს მეთაურობით სწრაფად გაუდგნენ გზას. პირდაპირ დიდ ყინულოვან ტბას მიადგნენ და ამჯერად სრულიად არხეინად გადაკვეთეს ყველაზე განიერ ადგილას.

უეცრად იშაკი შეჩერდა და რაღაც ქვებს დაუწყო კირკიტი.

— პოლიგონალური ნიადაგებია, — მაუწყებს იგი, როგორც სენსაციურ ამბავს.

— რა არის ეს?

— შენ მეცნიერი ხარ და არ იცი კრიოპედოლოგია?[1] ეს ხომ უმნიშვნელოვანესი მეცნიერებაა! დახედე ამ ქვებს, ასეთი უამრავი მინახავს გრენლანდიაში. ჰიმალაიში იგი პირველად მხვდება.

— მაგრამ ჩვენს დროში ვინ იცნობს კრიოპედოლოგიას?

— ალბათ სულ ცოტა... ათეულობით ადამიანი!

სინანულით ვეთხოვებით კრიოპედოლოგიას და მთელი ყურადღება გადაგვაქვს თხემზე, რომელსაც დასავლეთ ტილიჩოს უღელტეხილზე მივყავართ.

თოვლი, რომელიც თხემს ფარავდა, ამ სამი დღის მანძილზე გალღვა. უღელტეხილზე ცოტახნით ვჩერდებით, რომ თვალი გადავავლოთ დიდ ყინულოვან ტბას, მის გარემომცველ ვეებვა ამფითეატრს და განსაკუთრებით შესანიშნავ დიდ ბარიერს.

ყველაფერს ამას უკანასკნელად ვხედავთ.

დავეშვით ფერდობებზე და მალე დიდებული კედარის ტყის შუაგულში აღმოვჩნდით.

---

[1] მეცნიერება, რომელიც შეისწავლის გაყინულ ნიადაგებს.

ძლიერი ქარი ამოვარდა, მაგრამ იგი ზურგში გვიბერავს და მალე თინიგაონში ჩავდივართ.

მეორე დილით მშვენიერი ამინდია, ქარი ჩადგა. ჩვენ ისევ მარფაზე გავლა გვიხდება. სიამონებით ვბრუნდებით ამ პატარა თვალწარმტაც სოფელში, სადაც ესოდენ ცნობისმოყვარე და ალერსიანი მცხოვრებლებია.

მოხარულნი ვართ, რომ ექვსი მომქანცველი დღის შემდეგ ხელახლა მოვხვდით ექსპედიციის ძირითად ბაზაში.

ბანაკს რომ მივუახლოვდით, უდო შემოგვეგება.

— სალამი, ექიმო! რა ამბებია?

— ყველანი აქ არიან და მშვენივრად გრძნობენ თავს. თქვენ როგორა ხართ?

— გასტონი ნახე?

— გუშინ დაბრუნდა.

— ძალიან კარგი! დღეს თოთხმეტი მაისია და მოქმედების გეგმა უნდა დავსახოთ. ნასადილევს თათბირი გვექნება.

* * *

რაღა მოხდა დჰაულაგირზე ჩვენი იქ არყოფნის დროს? ორშაბათს საღამოს რვა მაისს ნუაელი სასწრაფოდ დაეშვა აღმოსავლეთ ყინვარზე მდებარე ბანაკიდან. საშინლად აღელვებულმა გვიამბო, მე, კუზი და შაცი ერთად ავედით ყინვარზეო. შემდეგ ისინი წინ წავიდნენ და ორივენი მეტად ციცაბო თოვლიან კულუარში დავინახეო.

ეს გზა საინტერესოა: იგი ალბათ ვეებერთელა და ძალიან საშიში სერაკების შემოვლის საშუალებას მოგვცემს აღმოსავლეთ ყინვარის ზემო ნაწილში. მაგრამ ისევე ძნელი და სახიფათოა, როგორც პირველი გზა, რადგან კულუარში ზვავები იცის ხოლმე.

ზემოთ, ნახევარ კილომეტრზე, ცისფერი ყინულის გიგანტური ჩამონასხლეტები მოჩანს.

სწორედ იმ დროს, როდესაც ნუაელი თვალს ადევნებდა მეორე ჩაბმის მოძრაობას, ყინვარის ზემო ნაწილში ვეებერთელა ყინულის ლოდი მოწყდა და საშინელი გრიალით დაეშვა ფერდობზე, კინაღამ დაეჯახა ჩვენს კავშირგაბმულობის ოფიცერს

და შორს, ქვემოთ, აღმოსავლეთ ყინვარის პლატოზე მტვრად იქცა.

— წარმოგიდგენიათ, ამისთანა დროს აპარატი დატენილი არ მქონდა! — სწუხს ნუაელი.

— სხვათა შორის, — ფილოსოფიურად დასძენს იგი, — უნდა გამოვტყდე და იმ წუთში მე მხოლოდ ჩემს ტყავზე ვფიქრობდი.

კუზი და შაცი უფრო შეუპოვრები არიან. მათ ვერ შეაჩერებს მსგავსი წვრილმანი, მიუხედავად ამისა, კულუარიდან კლდეებზე გასვლის ცდები წარმატებით ვერ დაგვირგვინდა. დიდი გაჭირვებით დაძლიეს რაღაც ათეული მეტრი: კლდეები მოლიპული და სახიფათოა. შაცი თავს იმითღა ინუგეშებს, რომ თავის პირველ პალოს არჭობს ჰიმალაიში 5000 მეტრზე უფრო მაღლა. როცა ყოველგვარი შესაძლებლობა ამოიწურა, მათ ხელი აიღეს ცდაზე და 9 მაისს დაბლა დაეშვნენ.

მეორე დღეს, ახლა უდო და ტერაი მიდიან ზეკით. გზაში უკან დაბრუნებულ შერპებს ხვდებიან, მაგრამ ეს მათ გულს არ უტეხს. ბანაკი გამართეს აღმოსავლეთ ყინვარის მარჯვენა ნაპირზე, დიდ კლდოვან კედელთან 5100 მეტრ სიმაღლეზე. დღისით მათ კარავს ქვა დაეცა და გაგლიჯა. არცთუ მთლად უხიფათო ადგილია!

11-ში ადრე, დილის სამ საათზე, მოხსნეს ბანაკი და ამგვარად, მთელი დღე მათ განკარგულებაშია. იკრავენ წრიაპებს და იწყებენ ასვლას. დიდი გაჭირვებით ძლევენ რამდენიმე მეტრს. ძალიან ცივა. ყინული მაგარია. ძალ-ღონის დიდი დაძაბვის ფასად აღწევენ უზარმაზარი ყინულის კედლის ძირამდე. პირველი მზვერავი ჯგუფები ადიოდნენ მასზე, კუზიმ და შაცმა კი მარჯვნიდან შემოუარეს. იმის მაგივრად, რომ დაეძლიათ ეს კედელი, რომლის უმეტეს ნაწილზე კიდევ იყო შერჩენილი საფეხურები, უდო და ტერაი მიემართებიან ყინვარის მარცხენა ნაპირისაკენ. ჭრიან საფეხურებს ციცაბო ყინულოვან კალთებზე და ნელა მიიწევენ წინ უმაღლეს წერტილამდე, რომელსაც ჯერ კიდევ წინა ჯგუფებმა მიაღწიეს.

მალე მათ წინ იხსნება გზა, რომელიც არ ჩანს იმ ადგილიდან, სადაც მე, ლიონელი და რეპიუფა გავედით: მათ მოახერ-

ხეს უამრავი სერაკების შემოვლა და ცოტაოდენი სიმაღლის აღება, მიუხედავად დიდი საშიშროებისა, მივიდნენ იმ ადგილამდე, საიდანაც მყინვარი უკვე დამრეცად მიემართება.

წინ ნაპრალებისა და თოვლის ველების ლაბირინთი გადაჭიმულა, რომელზედაც სავალი არ ჩანს. ცოტა უფრო შორს, მარჯვნივ, ფერდობი ისევ ციცაბო ხდება და მათ წინ აღმართული, მკაფიოდ მოხაზული და მიუდგომელი დჰაულაგირია ჩრდილოეთ თხემში იკარგება.

უდო და ტერაი სწორ გადაწყვეტილებას იღებენ, ამ ასვლის სიძნელე და საშიშროება მეტისმეტად დიდია. რა აზრი აქვს ამ წამოწყების გაგრძელებას, ცოტა გვიან ხომ მაინც უარი უნდა ვთქვათ? დჰაულაგირისაკენ ამ ყინვარით გზა არ მიდის და თუ სხვა გეზი არ არსებობს, მაშინ ამ მწვერვალს თავის დღეში ვერავინ დაიპყრობს.

უდოსა და ტერაის კარგად ჰქონდათ შეგნებული, თუ რა მწარე იმედგაცრუება იქნებოდა მათი დასკვნა ყველა ჩვენგანისათვის, მაგრამ გუნდის რეალური შესაძლებლობის შეფასების შემდეგ უკანდახევა ამჯობინეს.

დაღლილები იმავე საღამოს დაბრუნდნენ საბაზო ბანაკში. აღმოსავლეთ ყინვარის ძირას, ხოლო მეორე დღეს ტუკუჩაში იყვნენ.

ექსპედიციის მთელი ძალების თავმოყრა დჰაულაგირის იერიშისათვის მოულოდნელობებითა და ხიფათით სავსე უდიდესი რისკი იქნებოდა; ეს ნაბიჯი შეგვიძლია გადავდგათ, თუ ყველაფერს, ავსა და კარგს, გულდასმით ავწონ-დავწონით. საკითხი ფხიზლად და მიუდგომლად უნდა განვიხილოთ.

14 მაისს მთელი ექსპედიცია ტუკუჩის ბანაკის დიდ კარავში შეიკრიბა. წინ დიდი სამხედრო ბჭობა მოგველის.

VI

სამხედრო საბჭო

ენგ-თარკე ბლომად გვისხამს ყავას. სიცხე გვაჭერს. მზე აუტანლად კაშკაშებს. მაგრამ საერთო კარავში, სადაც ჩვენ შევიკრიბეთ, სასიამოვნო მომწვანო სინათლე აღწევს.

ყველას სახეზე დაძაბულობაა აღბეჭდილი. რაც არ უნდა იოხუნჯოს ლაშენალმა, მაინც ვგრძნობ, რომ სიცილი და მხიარულება ნიღბავს სრულიად გასაგებ მღელვარებასა და მოუთმენლობას: ერთი საათის შემდეგ გადაწყვეტილებას მივიღებთ.

შერპები ღელავენ. ისინი რაღაც უჩვეულოს გრძნობენ: ყველა საჰიბი შეიკრიბა.

— სერიოზულად უნდა მოვილაპარაკოთ, — ვიწყებ მე.

უეცრად სიწყნარე მკვიდრდება. ჯიქურ მივდივარ:

— დღეს 14 მაისია, ჩვენ კი 22 აპრილიდან ვერავითარ წარმატებას ვერ მივაღწიეთ. ვერავითარი გზა ვერ ვიპოვეთ. ისიც კი არ ვიცით, რა მიმართულებით წავიდეთ. არავითარი რწმენა ექსპედიციას არ გააჩნია. ისღა დაგვრჩენია, შემთხვევის იმედი ვიქონიოთ. დრო კი აღარ ითმენს. უნდა მივიღოთ საბოლოო გადაწყვეტილება.

ხმას არავინ იღებს.

— რა თქმა უნდა, მთები აქ ძნელი დასაძლევია! ასვლის შესაძლებლობანი ძლიერ შეზღუდულია. მეტისმეტი შეუპოვრობა იქნებოდა, რომ დჰაულაგირზე ასასვლელად გზა დამბუშკჰოლაზე და „უცნობ ხეობაზე“ დაგვესახა. გზა, რომელიც 5000

მეტრის სიმაღლის ორ უღელტეხილზე და გრანდიოზულ, თითქმის კაუკაზულ ყინულკარდნილზე გადის. და ყველაფერი ეს მხოლოდ იმისათვის, რომ მწვერვალის ძირამდე მიგვეღწია.

აღმოსავლეთ ყინვარით გზის გაკვლევა კიდევ უფრო საეჭვოა. მე არ შემიძლია ავიღო პასუხისმგებლობა, ასეთი სახიფათო მარშრუტით, მთელი ექსპედიციის გადასვლაზე. იმდენ-საშიშროება მოგველის ზევით, რომ გზის დასაწყისშივე რისკის გაწევის უფლება არა გვაქვს.

გვრჩება კიდევ ერთი გადაწყვეტილება: ესაა ტუკუჩას პიკი. ის ჯერ კიდევ არა გვაქვს გამოკვლეული. ნუთუ იმისათვის, რომ რვაათასიანი დავიპყროთ, წინასწარ შვიდიათასიანზე უნდა ავიდეთ? ეს სასოწარკვეთილების გზაა, თუ ყველაზე სახიფათო არა, ყველაზე გრძელი მაინც.

ჩემი ფეხი არ დაიდგმება ამ მწვერვალზე, — აცხადებს ტერაი, რომელიც ჯერ კიდევ აღმოსავლეთ ყინვარის უმდგრადი სერაკებისა და არცთუ ისე საიმედო თოვლის ხიდების შთაბეჭდილების ქვეშ იმყოფება.

— დჰაულაგირს თავის დღეში ვერავინ დაიპყრობს, — დასძენს ლიონელი. მე პირადად უარს ვამბობ!

— ძველო, — ურთავს შაკი, აქ საიმედოს ვერაფერს ვხედავ, გამოსავალი არ არის: სამხრეთ-აღმოსავლეთი თხემის შესახებ ლაპარაკიც ზედმეტია, რაც შეეხება ჩრდილოეთ თხემს...

— ჩრდილოეთ თხემს თავის დღეში ვერავინ გაივლის! — წამოიძახა ტერაიმ, — ის მთლიანად ყინულოვანია და ისეთი ციცაბო, რომ ყინულში ხელსაჭიდების ჭრა მოგვიხდებოდა.

კუზი, უდო და შაკი „27 აპრილის“ უღელტეხილის დაზვერვიდან დჰაულაგირის ჩრდილოეთი თხემის შუა ნაწილის კოკებით დაბრუნდნენ. ამ გზას თითქოს არა უშავს. ციცაბო ნაწილი, ვფიქრობ, 400-500 მეტრს არ აღემატება შვეულად. მარცხენა კალთებზე მოჩანს ნაპრალები, სადაც შესაძლოა, ბანაკების გამართვა მოხერხდეს და, ბოლოს, ვინ გვიშლის, რომ თოკის მოაჯირები დავჭიმოთ?

ჩემი სიტყვა, მიუხედავად იმისა, რომ ტექნიკურად დასაბუთებულია, ვერავის ვერ არწმუნებს.

ხანგრძლივ დუმილს რებიუფა არღვევს:

— ყოველ შემთხვევაში, ჯერ უნდა მიაღწიო იმ თხემამდე. ასე რომ!..

რა თქმა უნდა, ყველაფერი ეს არც ისე სასიხარულოა, მაგრამ თავს ისე ვიჭერ, თითქოს ვეთანხმები ამ აშკარად უიმედო წინადადებებს. ვგრძნობ ერთსულოვან და მდუმარე წინააღმდეგობას. არ მინდა, რომ მას შემდეგ, რაც დჰაულაგირს დავტოვებთ, სინანული ვიგრძნოთ, რომ არ გავაკეთეთ ყველაფერი, რაც საკითხს საბოლოოდ ნათელს მოჰფენდა. სანამ ამ გვერდს დავხურავდე, მინდა, დჰაულაგირის პრობლემა ნამდვილად და საბოლოოდ გადაწყდეს.

ისევ პაუზა. ყველა ფიქრობს და ვერ გადაუწყვეტია ლაპარაკის დაწყება. კუზი წინ იხრება, თვალს არ მაშორებს და ბორძიკ-ბორძიკით, თითქოს სიტყვებს ეძებსო, მეუბნება:

— მორის, ისევ ანაპურნაზე... იქ არის მაინც რაღაც შესაძლებლობანი.

დაძაბულობა შენელდა.

ახლა უკვე ენა ამოიდგეს. ყველა კმაყოფილია კუზის გაბედული ინიციატივით. დიახ, რასაკვირველია, ახლა ანაპურნაზე უნდა ვიფიქროთ.

— აი, რა ვიცით ანაპურნის შესახებ, — ვამბობ მე, — ერთადერთი საიერიშო გზა ჩრდილოეთი მხარეა.

მაგრამ იქამდე ჯერ ხომ უნდა მიაღწიო. მირისტი-კჰოლას ხეობის ზედა ცირკებთან მისასვლელი გზა ნაპოვნია. ჩვენ მიერ მიღწეული უკიდურესი წერტილიდან სამი მარშრუტის დასახვა შეიძლებოდა: უწინარეს ყოვლისა, ჩრდილო-დასავლეთი წიბო; ძირითადად, სწორედ მასზე უნდა ჩაგვეტარებინა იერიშის პირველი ცდა. მეორეც, ანაპურნის დასავლეთი ყინვარი, რომლიდანაც თითქოს შესაძლებელია კულუარით ასვლა წიბოსა და მწვერვალის თხემის შეერთების წერტილთან. და ბოლოს, არის კიდევ ყინვარი, რომელიც ჯერ არავის უნახავს. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ის ანაპურნიდან ჩრდილოეთით ჩაედინება.

— გესმის, — მეუბნება ედო, — წიბო ყველაზე მოკლე გზაა. ორ დღეში შეიძლება ალბათ მწვერვალის თხემამდე 6000-6500 მეტრის სიმაღლეზე ასვლა. მართალია, ამ წიბოს ბოლოსა

და მწვერვალ ანაპურნას შორის არის კიდევ უჩინარი მონაკვეთი, მაგრამ თუ გზად ჩანაქცევს წავაწყდით, მაშინ მის შემოვლას შევძლებთ დასავლეთის ყინვარით, წიბოდან მარჯვნივ.

— უეჭველად, — დასძენს კუზი, — მე პირადად ამ გზის მომხრე ვარ. აქ ჩვენ განსაკუთრებულ სიძნელეთა გარეშე მნიშვნელოვანი სიმაღლე უნდა ავიღოთ.

შაცი ასკვნის:

დაბოლოს, ბუნდოვანია მხოლოდ მარშრუტის შუა ნაწილი. ანაპურნის ზედა კალთები არცთუ ისე ძნელი სავალი ჩანს. შეიმჩნევა დამრეცი მონაკვეთები, სადაც თავისუფლად შეიძლება ბანაკების გამართვა. ეს გზა უნდა ავირჩიოთ. სამი დღე და მწვერვალი ჩვენი იქნება!

შაცის აზრი სრულიად ემთხვევა ჩემსას. ამაზე მეტი თანამიმდევრულობა არ შეიძლება.

— შენ რა აზრისა ხარ, მარსელ?

—აბა რა გითხრა მორის, შენც იცი, მე აქ ჩამოვედი, როგორც კინოოპერატორი და არა როგორც ალპინისტი.

— როდესაც დაზვერვაში მონაწილეობდი, ხომ ალპინისტი იყავი! არა, უდო?

— მე მაინც მგონია, რომ დპაულაგირი მეტისმეტად სახიფათოა. ანაპურნას ვუჭერ მხარს.

ნუაელიც აშკარად ამ აზრს უერთდება.

— შენ როგორ ფიქრობ, გასტონ, მიგაჩნია მიზანშეწონილად ახლა ტუკუჩას პიკზე ასვლა?

— მე უკვე გითხარი, მორის, ჩემი აზრით, საჭირო იყო ამ პიკზე ასვლით დაგვეწყო: ის იდეალური პუნქტი უნდა იყოს დაკვირვებისათვის. მაგრამ ახლა ამაზე ლაპარაკი უკვე გვიანაა.

მე მაწევს უდიდესი პასუხისმგებლობა. რა გადაწყვეტილებაც არ უნდა მივიღოთ, ექსპედიციის ყველა მონაწილე, როგორც ერთი, ბრძოლაში ჩაებმება.

ყველამ გამოთქვა თავისი აზრი. გადაწყვეტილება მე უნდა მივიღო.

— ვიდრე მთელი კოლექტივით ანაპურნის იერიშს შევუდგებოდეთ, ასვლის მარშრუტის დასაზუსტებლად ღრმა დაზვერ-

ვას ჩავატარებთ. საგამოკვლევო ჯგუფი წაიღებს [illegible] დღის საგზალს. ძირი მარაგი, მართალია, შეზღუდული რაოდენობით, შეივსება ხოლმე შემდგომი გადაწყვეტილების მიღებამდე.

როგორც კი მოწინავე რაზმი შესაფერ გზას იპოვის, ჩვენ ვერცა ჩემი ბრძანებით საბოლოო იერიშზე გადავა. ლეონგე ამ ვიღებთ ზომებს, რომ ასეთი გადასვლა დროის დაუკარგავად განვახორციელოთ.

— მაშ ასე, რაკი გადაწყვეტილია, დაუყოვნებლივ გავდივართ! — ამბობს შაკი.

ყველანი დგებიან და გასასვლელისაკენ მიდიან.

— დაიცადეთ!

ისევ სიჩუმე ჩამოვარდა.

— გადაწყვეტილების მიღება ჯერ კიდევ არაა ყველაფერი! თითოეულმა უნდა იცოდეს, რა აკეთოს. სამმა ჩვენგანმა იცის გზა „27 აპრილის“ უღელტეხილამდე. ისინი გაჰყვებიან ჩვენს ჯგუფებს ოთხდღიან მისასვლელებზე.

მე, მარსელი და გასტონი ეს-ესაა მანანგბოტიდან დავბრუნდით და ძალზე დაღლილები ვართ. გარდა ამისა, მე უნდა დავათვალიერო ბანაკი, დავწერო წერილები და შევაჯამო ჩვენი ხარჯები, რომ ვიცოდეთ, ხომ არ დაგვჭირდება დამატებითი ფულადი დახმარება უკან დაბრუნებისას.

ლაშენალი და ტერაი, აჯიბას, ანგავასა და დავატონდუპის თანხლებით დღესვე გავლენ. მათ წაიყვანს შაკი.

ერთი დღის შემდეგ გავა მეორე რაზმი, მე და გასტონის ჩათვლით. მეგზური იქნება კუზი. ნუაელი უზრუნველყოფს ორივე ჯგუფის შეუფერხებლად მომარაგებას.

იშაკი და უდო შემოგვიერთდებიან მხოლოდ ჩემი ინსტრუქციის მიღების შემდეგ. რადგან ეს მოხდება არა უადრეს ექვსი დღისა, მათ თამამად შეუძლიათ ამ ხნის განმავლობაში მუქთინათი მოიარონ.

— ანგ-თარკემ რაღა გააკეთოს?

— შეგიძლია თან წაიყვანო. რაც შეეხება ფრანსის დე ნუაელს, ის ჟ. ბ. რანასთან ერთად შედის ჩამკეტ ჯგუფში, რომელიც გზას გაუდგება მხოლოდ ჩემი განკარგულებით.

ნუაელს ვეუბნები:

— უნდა მომზადდეს დაზვერვის, იერიშისა და უკან დაბრუნებისათვის აუცილებელი ტვირთი და დროულად იქნეს უზრუნველყოფილი მზიდავების შეკრება.

— ბარგს რა ვუყოთ? — მეკითხებიან ლაშენალი და ტერაი.

— გაყავით ყველაფერი ოთხ ნაწილად. პირველს თვითონვე წაიღებთ. ეს ტვირთი ძალიან მსუბუქი უნდა იყოს, რომ არ დაიღალოთ. მეორე კომპლექტში შევა ალპინისტური საჭურველი, თბილი ტანსაცმელი, ტუალეტის მოწყობილობა და სხვა... მას წაიღებენ მზიდავები. მესამე კომპლექტში იქნება საერთო იერიშისათვის აუცილებელი ბარგი, ესე იგი, სათადარიგო ტანსაცმელი, სვიტრები, თბილამურები და სხვა ასეთი. ბოლოს, მეოთხე პარტია მხოლოდ იმ ნივთებისაგან შედგება, რომლებიც აუცილებელია უკან დაბრუნებისას. ეს ბარგი იქნება ყუთებში, ზედ თქვენი გვარები ეწერება და დარჩება ტუკუჩაში.

თითოეულმა იცის, რა მოელის და რის გაკეთება მართებს. ვუხმობ ანგ-თარკეს და ვუხსნი მოქმედების გეგმას.

ბანაკში გამოცოცხლებაა. პირველი ჯგუფი გავა დაუყოვნებლივ, როგორც კი მზად იქნება. ტვირთი დიდი არაა, მაგრამ უამრავი სხვადასხვა ნივთისაგან შედგება. ეს იწვევს გაძლიერებულ ზრუნვა-ფუსფუსს, ბევრ ლაპარაკსა და კამათს, კარვიდან კარავში სიარულს...

— უდო, შეადგინე აფთიაქი პირველი ჯგუფისათვის, — სთხოვს შაკი.

ექიმი არჩევს ყველაფერს, რაც აუცილებელია ჯუნგლებში და მაღალმთიანეთში ხანგრძლივი ყოფნისათვის, არა მარტო კარგ ამინდში, არამედ ავდარშიც. შხამსაწინააღმდეგო შრატი. ასპირინი, გლეტჩერის მალამო, მაქსიტონი, ვიტამინი B_2, სოდა და სხვა.

ტერაი გულისყურით ქექავს ბარგს. იგი საღებავით აწერს თავის გვარს ყუთზე, რომელიც ბანაკში რჩება, ხოლო შემდეგ სურსათ-სანოვაგეზე იწყებს ზრუნვას.

ლაშენალი, საჭურვლის სპეციალისტი, არჩევს პალოებს, ზომავს თოკებს...

მარტელ იშაკი დარბის კინოაპარატით ხელში ერთიდან მეორისაკენ და ცდილობს არაფერი გამორჩეს გადაუღებელი.



მოგეპარება სულ რომ არ მოელი, გადაგიღებს სრულიად არა-ხელსაყრელ მდგომარეობაში და აცხადებს: „მზადაა!“

ნუაელი შეწუხებულია: მოლაპარაკება სუბასთან და ჟ. ბ. რანასთან მძიმედ მიმდინარეობს; იგი ამაოდ ცდილობს აუხსნას მათ, რომ ცხენები საჭიროა დაუყოვნებლივ.

ბოლოს ნუაელი აღწევს თავისას, მაგრამ მე მაინცდამაინც არა მაქვს დიდი იმედი ამ საცოდავი ოთხფეხა ცხოველებისა, ერთი ცხენი დაკოჭლებულა, მეორე, როგორც ეტყობა, თავის უკანასკნელ დღეებს ითვლის და მწუხარედ იქნევს თავს... მიაღწევენ კი ისინი სოფლის ბოლომდე?

ზურგჩანთები შეკრულია, ცხენები შეკაზმული (მერე რო-გორი უნაგირებით!). ჩვენი ცხენები არ სცემენ ტორებს მოუთ-მენლობით, მაგრამ ამას არც თუ დიდი მნიშვნელობა აქვს. მთავარია, რომ ისინი ჩვენს ხელთ არიან. თითოეული გულში სინჯავს თავისი ნივთების სიას, იმ იმედით, რომ არაფერი და-ვიწყებია. შერპები თავისი კოლეგების დახმარებით იკიდებენ ზურგზე ტვირთს. ბანაკში დამრჩენები წარმატებას უსურვე-ბენ ამხანაგებს.

ჯგუფი მიდის.

ყურისწამღები ხმაურის შემდეგ ერთბაშად უჩვეულო სიმ-შვიდე მკვიდრდება: ისეთი გრძნობა გვაქვს, თითქოს ერთბა-შად დაცარიელდა გარემო.

დახუთული ჰაერია, ელვა-ქუხილის მოახლოება იგრძნობა. მინდა ადგილობრივი პაკოდა მოვინახულო. ვეხვეჩ ანგ-თარ-კეს და ვუმეღავნებ ჩემს სურვილს.

— Yes. ბარა-საჰიბ! Yes, ბარა-საჰიბ!

სირდარი ყველაფერზე თანახმაა და დაუყოვნებლივ მიჰ-ქრის პაგოდის მიმართულებით.

— ის მეგობრულ ურთიერთობაშია „მნათე ქალთან“, — გადაკვრით ამბობს იშაკი.

ამ ფაღალი ნაცნობობის წყალობით, ჩვენთვის გაიხსნება ტაძრის საიდუმლოება. შესაძლოა, ღვთისმსახურებაზე დასწრებაც კი მოვახერხოთ.

რამდენიმე წუთის შემდეგ ანგ-თარკე მორბის.

— All is ready[1], — გვაცნობს იგი.

მართლაც, პაგოდასთან მისვლისას, ვხედავთ, ეკლესიის დარაჯი ქალი მხიარულად ესაუბრება თავის ჯალაბს. როგორც ირკვევა, ისინი ტაძრის სასამსახურო სადგომებში ცხოვრობენ. ღვთისმსახურება ალბათ მალე დაიწყება. რამდენიმე წუთი უნდა მოვიცადოთ. მართლაც, ბუდისტების ნაწილი უკვე შეიკრიბა.

ანგ-თარკე გვიწვევს შესასვლელად.

ცარიელი, ჩაბნელებული დერეფნის გავლის შემდეგ დიდ დარბაზში შევდივართ. ირგვლივ სრული სიბნელეა. მხოლოდ ბუტბუტით, რომელიც ჩვენამდე აღწევს, ვხვდები, რომ მორწმუნენი აქ არიან.

უეცრად ზანზალაკების ხმა მოისმის, შემდეგ გონგის ცემა. ანგ-თარკეს იმედით ამიერიდან ველარ ვიქნებით, ვგრძნობ, რომ იგი პირქვეა გართხმული, თვალები თანდათან ეჩვევა სიბნელეს. კედელზე ვაყოლებ ხელს, მარჯვნივ მივიწევ და მივდივარ უზარმაზარ სამლოცველო წისქვილთან, იქვე დგას ქალი, რომელიც მზადაა გონგს შემოჰკრას. ფსალმუნის ერთფეროვანი საგალობელი, ნაბიჯების, ზანზალაკებისა და შემდეგ საყვირების ხმა ბოლოს ხმამაღალი, გაძლიერებული გონგის ცემა დაფდაფების თანხლებით და ცერემონია დამთავრებულია. ლამა, რომელიც ჯერ არ მინახავს, მაგრამ ვგრძნობ, რომ აქ არის, თავის თანაშემწეებს ესაუბრება. ჩემამდე აღწევს საკმეველის სუნი. საკურთხეველზე მოჩანს ბუდას ბრინჯაოს ქანდაკება, რომელსაც სუსტად ანათებენ ზეთის პატრუქები. მარცხნივ, სი-

---

[1]. ყველაფერი მზადაა.

ღრმეში, მეორე საკურთხეველი შემკულია სურინჯით შეფერადებული ღვთაებებით. მის ძირში აწყვია ლითონის ლანგრები, ისინი საცეცხლურების მაგივრობას სწევენ.

გარემო უცნაურია და საიდუმლოებით მოცული. თუმცა, არ შეიძლება ითქვას, რომ მორწმუნენი სასოებით აღვსილნი არიან. ღვთისმსახურებას თან ახლავს ხმამაღალი ყაყანი, რაც ხელს უშლის ადამიანს ყურადღების მოკრებას. მოკლედ რომ ვთქვათ, დიდი ღვთისმოსაობა არ იგრძნობა.

ტაძრიდან გამოსვლის შემდეგ ექსპედიცია, ანგ-თარკე'ს რჩევით, გულუხვობას იჩენს „მნათე ქალის" მიმართ.

ბანაკში დაბრუნებისას, სადილის მოლოდინში, ვაწესრიგებ ბუღალტერიას და წერილს ვწერ პარიზში:

„ტუკუჩა, 1950 წელი 15 მაისი.

ძვირფასო დევი!

სულ ახლახანს დაებრუნდით ანაპურნის ჩრდილოეთით ხანგრძლივი და მომქანცველი დაზვერვიდან. მინდა დაუყოვნებლივ გაცნობოთ ახალი ამბები, რომლებსაც, უეჭველია, მოუთმენლად ელით.

უწინარეს ყოვლისა, შეგიძლიათ აცნობოთ ჩვენს ოჯახებს, რომ ექსპედიციის ყველა მონაწილე თავს მშვენივრად გრძნობს, ყველა მათგანი ჩინებულ სპორტულ ფორმაშია, რასაც ადასტურებს ყაკ უდოს გამოკვლევები.

გუნდის სულიერი განწყობილება შესანიშნავია.

დღეს შემიძლია გაცნობოთ, რომ გამოკვლევათა პერიოდი პრაქტიკულად დამთავრდა.

ალპინისტური ნაწილი:

ჩემი დაბრუნების შემდეგ გულმოდგინედ განვიხილეთ დაზვერვის შედეგები: დჰაულაგირზე მიმავალი გზები, არათუ განსაკუთრებით ძნელი, ზოგიერთ უბანზე, მეტისმეტად საშიშიც არის. სამაგიეროდ, ანაპურნაზე არის გარკვეული შესაძლებლობანი...

ამგვარად, მივიღე გადაწყვეტილება, რომ ექსპედიციის მთელი ძალები ამ ობიექტზე მივმართო და დაუყოვნებლივ გავგზავნო ძლიერი დაზვერვა, რომელიც შეძლებს, დროის დაუკარგავად, იერიშზე გადასვლას.

სიმართლე რომ ვთქვათ, თუ დჰაულაგირი შემზარავ პირამიდად გამოიყურება, ანაპურნა გადმოსცქერის მძლავრ მასივს, რომელიც შეიცავს 7000 მეტრზე უმაღლეს ორმოცდა ათამდე მწვერვალს, მაღალ თხემებს და, ალბათ, თითქმის მიუვალ, ზედა ცირკს. ამ ცირკის ერთადერთი სუსტი ადგილია — დადაბლება, საიდანაც ვაპირებთ იერიშის დაწყებას.

მეგობრული სალმით, მ ო რ ი ს ე რ ც ო გ ი".

რატომ მეჩვენება, რომ ჰაერში უჩინარი ნაღველი ჩამოწვა? იმიტომ ხომ არა, რომ ამხანაგების ნაწილი უკვე წავიდა სალაშქროდ? ან იქნებ იმიტომ, რომ აქამდე კიდევ ყველაფერი არ არის ნათელი? ან ბოლოს, უბრალოდ, დავიღალეთ? არ ვიცი...

გვიან ღამით, როცა გასტონი უკვე ტკბილად ხვრინავს თავის საძილე ტომარაში, ვაწარმოებ გაანგარიშებას, ვამოწმებ ჩვენს ბიუჯეტს, ვადგენ სხვადასხვა ჰიპოთეზას. თვალები მელულება.

ძილ-ბურანში ანგ-თარკეს ლოცვები და მისი ამხანაგების ხმადაბალი შესიტყვებანი მესმის. თანდათან სასიამოვნო მოთენთილობა მეუფლება, ყველა კუნთი მოდუნებულია და ტყვიასავით დამძიმებული. განძრევა მეზარება, თუმცა არც აოის აუცილებელი. თითქოს მოვწყდი სამყაროს, მაგრამ აი, კარავში შემოდის შერპი და მხიარულად მიღიმის:

Good morning, Bara Sahib — მეუბნება იგი და მაწვდის ერთ ტოლჩა საუცხოო რძიან ყავას და ერთ თეფშ ქუმელს.

ზმორებით შევექცევით დილის საუზმეს: რძიან ყავას, ქუმელს, ბეკონიან ტაფამწვარს, კარაქიან პურს და მურაბას, ძეხვსა და შოკოლადს.

კარვებიდან მოისმის:

— მარსელ! მშვენიერი ამინდია. ნუ ზოზინობ, ფოტო-მოღვაწევ!

პასუხად მხოლოდ გაურკვეველი ბუზღუნი ისმის.

— უდო, ტესტები!

ისმის ხმა:

— გასინჯვამდე ჭამა აკრძალულია!

— კჰანა! კჰანა, კჰანა!—ხმის ჩახლეჩამდე ყვირის ნუაელი.

ბანაკი თანდათანობით იღვიძებს. ყველანი დგებიან. სამუშაო დღე იწყება.

საქმეს უნდა შევუდგეთ. პირადად მე, პირველ რიგში, რვა დღის მოუპარსავი წვერი უნდა მოვიშორო, რაც ჩემს ნერვებზე მოქმედებს. მერე მე და იშაკი ვაპირებთ წასვლას წყაროზე, რომელიც ჩვენგან ორასიოდე მეტრზე მოწანწკარებს ეულად მდგარი ხის ძირში. სპარტანულ სამოსში, ტიროლურ შარვლებსა და ტენისურებში გამოწყობილები, ტუალეტის მოწყობილობითა და ფოტოაპარატით ხელში, ადგილობრივი „წყლებისაკენ“ მივემართებით.

წყაროსთან ორი ლამაზი, მოხდენილი ქალიშვილი თეთრეულს ავლებს წყალში. აცვიათ სუფთა ბამბის ქსოვილის სარაჯა და თმაც კოხტად აქვთ დავარცხნილი, ვტკბებით მათი მოქნილი და ნარნარი ტანადობის ცქერით.

— რა მომხიბლავები არიან, — ვეუბნები იშაკს.

— მოიცა, — ჩურჩულებს იგი, — ახლავე გადავიღებ.

მაგრამ, უკაცრავად, ერთი წივილ-კივილი ატყდა.

მხოლოდ მას შემდეგ, რაც „უღმერთო“ კამერა მოაშორეს, ქალიშვილები გაორკეცებული ენერგიით იწყებენ ქვებზე დაფენილი თეთრეულის ბეგვას. ასეთია რეცხვის კლასიკური მეთოდი, რომელიც მიღებულია ამ მხარეში. საეჭვოა, რომ თეთრეულმა დიდხანს გაუძლოს ასეთ დამუშავებას. დაუთოვება კი აქ არც გაუგონიათ.

იქვე, წყაროსთან, ბავშვები თამაშობენ. უჯიკაკეებენ, წყალს ასხამენ ერთმანეთს. უმრავლესობა გოგონებია. მიუხედავად მცირე ასაკისა, ისინი უკვე სამკაულებს ატარებენ ყურებზე, ნესტოებზე, შუბლზე, ყელზე, მაჯაზე.

ერთი მომჯადოებელი გოგონა სულ გვიღიმის. ჩვენ მალე ვუმეგობრდებით მას. გადამდებად იცინის, როცა ხედავს, რომ რაღაც უცნაური, ფერადი საგოზავით ვიწმენდ კბილებს და შემდეგ, აშკარად საეჭვო მახვილი „იარაღით“ წვერს ვიპარსავ.

მაგრამ მე ვიცი, რით შეიძლება მისი დაინტერესება. ეს-აა ოდეკოლონი! ვაწვდი სასუნებლად შუშას, ხოლო შემდეგ თმაზე ვასხურებ. გოგონა აღტაცებულია. როგორც ჩანს, სუნამო ამ მხარეში დიდი პოპულარობით სარგებლობს. მორცხვობა

ერთბაშად ქრება. ეს რვა წლის კოპწია გოგონა გრძნობს თავის მიმზიდველობას.

რა იშვიათია ალბათ სიხარულის წუთები სიღარიბეში მყოფი ამ ბავშვისათვის, რომელიც, საბედნიეროდ, სიღატაკეს ვერ გრძნობს.

უეცრად ღიმილი ქრება, მე უკან ვიხედები: იშაკმა იგი გადაიღო! როგორ შეშინდა! კიდევ დიდხანს იცინის გოგონა, ვიდრე მე ნაწნავებს ვუვარცხნი. მაგრამ როგორი გულის ამაჩუყებელი და მიმზიდველიც არ უნდა იყოს ეს სცენა, ჩვენ უნდა წავიდეთ...

თან მიგვაქვს ჩვენი ავლადიდება და ვტოვებთ წყაროს.

ჩემი პატარა ბუდისტი გოგონა გვშორდება. საწყალი კუდრაჭა! ის ძალიან კოპლობს — დამოკლებული ფეხი უმახინჯებს სიარულს. დაღონებული თვალს ვაყოლებ მას.

ბანაკში გაცხარებული საქმიანობაა — ნასადილევს მეორე ჯგუფი მიემგზავრება. სამზარეულოები ბოლავს, კარვებთან შერპები დაფუსფუსებენ.

თანდათანობით იყრიან თავს მზიდავები. მათ ნაბრძანები ჰქონდათ, ნასადილევს მოსულიყვნენ, ისინი კი დილიდანვე მოდიან. არა უშავს, დაიცდიან, თვალს გვადევნებენ...

პანზის, სარკესა და აილას ზურგჩანთებში ჩაურგავთ ცხვირები. იძულებული ვარ, თვალყური ვადევნო მათ, რადგან, გადაჭარბებული წინდახედულობისა თუ უნდობლობის გამო, მზად არიან თან წაიღონ ყველა თავისი პირადი ნივთი. სრულიად ზედმეტად მიმაჩნია სამ-სამი წყვილი ქვედა საცვლის წამოღება, სამაგიეროდ, უყოყმანოდ ვტვირთავ მათ სათადარიგო თოკებით.

საერთო კარვიდან ინდური მუსიკის ხმა მოდის: ფრანსის დე ნუაელი რადიოთი უკანასკნელ ცნობებს იკერს.

გარე სამყაროსთან კავშირი აღდგენილია და ჩვენი აზრები ერთი წამით შორს მიჰქრიან. იციან თუ არა ჩვენი ამბავი საფრანგეთში? აქ არავითარ ცნობებს არ ვღებულობთ, არც ერთ სიტყვას. მიუხედავად ყველა გამოძიებისა, ნეპალის ხელისუფლებთან ჩიკილისა, საგანგებო შიკრიკების გაგზავნისა, ეს საიდუმლოებით მოცული ამბავი დღემდე გაურკვეველია.

სუფრა გაიშალა. პირდაპირ დავაცხრით საჭმელს. უკანასკნელად შევექცევით საკაზმს, ვინეგრეტს, ყველაფერ იმას, რასაც მოკლებულნი ვიქნებით მაღალმთიანეთში.

უდო ადასტურებს, რომ ჩემი ამხანაგების ჯანმრთელობა ჩინებულია. სამ კვირაზე მეტი დაგვჭირდა, რომ თითოეული ჩვენგანი შეგუებოდა ადგილობრივი ჰავის პირობებს და სპორტულ ფორმაში შესულიყო. ლაშენალმა თავი დააღწია ძირმაგარებს. ფეხებზე გადაყვლეფილი ადგილებიც მოუშუშდა.

ახლა მეორე რაზმის გასვლაზე უნდა ვიფიქროთ. გუშინდელი სცენები მეორდება. ბანაკის ატმოსფერო დაძაბულია...

ამჯერად რებიუფა განაგებს პროდუქტებს, კუზი — საჭურველს. მოჰყავთ ცხენები. საბედნიეროდ, მზიდავები ადგილზე არიან.

ყველაფერი მზადაა, გამგზავრება შეიძლება. შუადღე გადასულია, მაგრამ სიცხე არ იკლებს. ეტყობა, ჭექა-ქუხილი ახლოვდება. უკანასკნელად ვეთხოვებით, მხურვალედ ვართმევთ ხელს იშაკს, ნუაელსა და უდოს და მივემართებით.

ჩვენი რიგი დგება...

VII

მირისტი-ქპოლა

ეუჩქარებელი თოხარიკით მივყვებით ტუკუჩის მთავარ ქუჩას. ქუჩის ორივე მხარეს ცნობისმოყვარე ხალხია გამოფენილი. აქ არიან ბავშვები, ჭურჭლის მრუცხავი ქალები და ბერიკაცები, თავიანთი კარიბჭეებიდან გვითვალთვალებენ, ეტყობა, საჰიბებთან რაღაც ამბავიაო...

დამბუშ-ქპოლაზე გადასვლა, საკმაოდ რთული ოპერაციაა. ცხენებზე ჯდომისას ფეხების მაღლა აწევა გვიხდება, რომ სამთო ფეხსაცმელები არ დავისველოთ. ეს ძნელი არ იქნებოდა, მაგრამ აუცილებელია, რაც შეიძლება, ახლო ვიყოთ ცხენის თავთან, რათა გეზი მივცეთ მას მდინარის ბობოქარ მორევში, ამასთან, უნაგირებს ამ მხარეში ისე ადგამენ ცხენებს, რომ სულ ადვილად ტრიალებენ ცხენის ფაშვის ირგვლივ. გარდა ამისა, გაცვეთილი მოსართავი შეიძლება სწორედ შეუფერებელ მომენტში გაწყდეს.

გრძელკანჭა რებიუფა, „გმირულად“ გადადის მდინარეზე ცხენდაცხენ, კოჭებამდე წყალში ფეხებჩაყოფილი.

— ჯობია ფეხები დამისველდეს, — გვეუბნება იგი, ვიდრე მთლიანად ვიბანაო!

ტუკუჩის ვრცელ ვაკეზე ტემპს ვუმატებთ. რებიუფას უნაგირზე მოსართავი უწყდება და სრულიად ჰკარგავს წონასწორობას. გვერდიდან ის შემართული ჩახმახივით გამოიყურება, მაგრამ ამ პოზის კომიკურობა მასზე იოტისოდენა შთაბეჭდილებასაც არ ახდენს. ვეუბნები, ცხენები გავცვალოთ-მეთქი. საბოლოოდ ყველაფერი მოგვარდა — ჭენება განახლდა.

უკან დავტოვეთ ნაცნობი სოფლები, ქანტი და ლარეუნგი; გავიარეთ პატარა სოფელ დუმპუზე, რომლის მკვიდრნი გულთბილობით გამოირჩევიან, ავათავეთ აღმართი და მივაღწიეთ ლეტეს.

ჰორავალასები,[1] ლეტეში გვიცდიან; ისინი ღელავენ: უკვე გვიანაა, როგორღა დააბრუნებენ ცხენებს ტუკუჩაში? მაგრამ, რაკი ჯერ საცხენოსნო გზაა, რატომ არ უნდა გამოვიყენოთ ცხენები უფრო შორსაც? ეს ხომ დროის მოგებაა! და, აი, მეჯინიბეები, რაც ძალი და ღონე აქვთ, მოჰქრიან ჩვენ უკან, მაგრამ მაინც დგება წუთი, როცა უნდა ჩამოვქვეითდეთ. ოფლში გაწურული ჰორავალასები ვერ მალავენ თავიანთ კმაყოფილებას ცხენებით „გასეირნების“ დამთავრების გამო! არც ჩვენ გვწყენია მაინცდამაინც.

მარცხნივ იწყება ოდნავ შესამჩნევი ბილიკი, რომელმაც, კუზის თქმით, პატარა სოფელ ჩოიაში უნდა მიგვიყვანოს. მიეყვებით ბილიკს და მართლაც, მალე ჩნდება სოფელი. პირველსავე სახლში გამოცოცხლებაა. მისადგმელი კიბით ადიან და ჩამოდიან მზიდავები. არის ერთი სიცილი, სიმღერა და მხიარულება. მე ვფქრობ, ამ მხიარულებაში საკმაო წვლილი მიუძღვის ბრინჯის არაყს. ნეპალში ალკოჰოლის გაყიდვა აკრძალულია, მაგრამ ვის შეუძლია აკრძალოს სტუმრების გამასპინძლება?

დავტოვეთ სოფელი. მალე ჩვენი მზიდავების დიდ ჯგუფს წავაწყდით. არხეინად წამოწოლილან რბილ ბალახზე და ბარგი აქეთ-იქით მიმოუფანტავთ მინდორზე. გრძელი გადასასვლელი გავითვალისწინეთ და, სიფრთხილისათვის, ისინი წინდაწინ გამოვამგზავრეთ... ხმამაღალი ყიჟინით მოულოდნელად დავაცხრით თავს. მზიდავებმა თვალისდახამხამებაში აიტაცეს თავთავიანთი ტვირთი და ელვის სისწრაფით მიეფარნენ თვალს.

დაღამდა. რამდენიმე ქარაფს შემოვუარეთ და უფსკრულის კიდეზე მიყუჟულ პატარა მდელოზე გავედით. სარკემ და აილამ სწრაფად დადგეს კარვები, დაანთეს ცეცხლი და ამოიღეს სურსათი. უკვე გვიანაა. მდუმარედ ვივახშმეთ და საძილე ტომრებში შევძვერით.

მეორე დილით გავაღვიძეთ შერპები და მოვხსენით ბანაკი.

---

1 მეჯინიბეები.

ვიწრო ბილიკით ხეობის სიღრმეში შევედით. შემდგომში ამ ადგილებზე მარსელ იშაკი და ქაკ უდო შეხვდნენ მაიმუნთა ჯოგს, რომელიც აღმა მიჰყვებოდა ხეობას. ამის იქით გზა მიდის კლდეებში გამოკვეთილი ბილიკით. ციცაბო დაღმართი მოულოდნელად მთავრდება მდინარე შაძიუ-კჰოლას ნაპირთან. წლის ამ დროს იგი არც თუ ისე წყალუხვია. მდინარეზე გადასვლა სიძნელეს არ წარმოადგენს, მაგრამ მეორე ნაპირზე გამოცდილი კვალმიმგნებიც კი ვერ შეძლებდა ბილიკის რაიმე ნიშანი აღმოეჩინა. გაუვალი ჯუნგლები, როგორც ჩანს, აღმა კალთებზე ვრცელდება. კუზი გვაფრთხილებს, რომ ხვალ საღამომდე წყალი აღარ შეგვხვდება. ამიტომ, რაც კი რამ ჭურჭელი გვქონდა, ყველაფერი ავავსეთ.

აღმართში ასვლას შვეულ კლდოვან ფილაზე ცოცვით ვიწყებთ, ბილიკი უამრავ მარყუჟებად იხვევა ბამბუკის ხლართებში, ჩამოცვენილ ტოტებსა და მიჯრით მდგარ ხეებს შორის. ჰაერი ნოტიო და მძიმეა. მე და კუზიმ ხანგრძლივი საუბარი წამოვიწყეთ. როდესაც ლაპარაკი ბერგსონსა და იუნგერზე ჩამოვარდა, უკვე ენძელებითა და სხვა ყვავილებით აფერადებულ, საოცრად ლამაზ პატარა მდელოზე ვიყავით.

— აქ მე, უდომ და შაცმა, ღამე გავათიეთ 27 აპრილს, — მითხრა კუზიმ.

ალპინისტები კონსერვატიულად განწყობილი ხალხია: გადავწყვიტეთ, ჩვენც აქ გვესაუზმა. დაუყოვნებლივ მოვიხსენით ზურგჩანთები და მიწაზე დავყარეთ. შესქელებული რძის ტუბები ხელიდან ხელში გადადის. დაპრესილ ხილს შეექცევიან ისინი, ვისაც იგი ჯერ არ მობეზრებია. როდესაც ძნელი გზით დაღლილი და გაოფლიანებული უკანასკნელი მზიდავები მინდორზე ამოვიდნენ, ჩვენ უკვე წამოწოლილები სიგარეტებს ვაბოლებდით და კვამლის ნაირფერმის რგოლებს ვუშვებდით ჰაერში.

ჩვენი საუბრის შემდეგ კუზი ფიქრს მიეცა. რებიუფა თავის პატარა დომინიკაზე ფიქრობს, რომლის შესახებ კარგა ხანია აღარაფერი იცის. ცოტა შენჯღრევაა საჭირო. წინ! ბილიკის მოსახვევის მიღმა ჩემთვის უცნობი ხასხასაყვავილებიანი მაღალი ხეების ჭალა იშლება. ამ აყვავებული თაღის ქვეშ გავლის

შემდეგ საუცხოო პატარა მდელოზე გავედით. ირგვლივ ორმოციოდე მეტრის სიმაღლეზე აშოლტილი შემომწვარი დეოდარების ნამდვილი სასაფლაოა. ბილიკის ნაპირებზე უხვადაა გაბნეული გიგანტური როდოდენდრონების ვარდისფერი და წითელი ყვავილები. შერპები რაღაც უცხო ხეებს მისცივდნენ— ეს ხეები წითელი არყის ხეებს მაგონებს. წერაყინით ჭდეები გაუკეთეს, ქვეშ კონსერვის ცარიელი ქილები მიუდგეს და რამდენიმე ყლუპი ცივი წყალი შეაგროვეს.

დიდი გაჭირვებით დავძლიეთ უსასრულოდ გრძელი, მორყეულქვებიანი მეტად ციცაბო კულუარი.

— აქ უამრავი ზაზუნებია, — წამოიძახა რებიუფამ.

აქეთ-იქით ვაცეცებ თვალებს, მაგრამ ერთიც ვერ დავინახე. ზევით ისევ შევჩერდით და მზიდავების მოლოდინში თითო სიგარეტი მოვწიეთ. სიმაღლე, ალბათ, 4000 მეტრამდეა.

მზიდავები გვიახლოვდებიან. აქამდე ისინი ძალიან კარგად მოდიოდნენ, მაგრამ ეტყობა, დაიღალნენ. გზა თანდათან ძნელდება. თავზე ღვედებით დამაგრებული ტვირთი ქვემოთ ეწევა, კლდეების უსწორმასწორო ზედაპირი შიშველ ფეხებს უჭრის, ნორმალური მოძრაობის უნარს ართმევს მათ. შემდეგ დიდი თოვლიანი მონაკვეთის გადაჭრა გვიხდება. ეცდილობთ, განიერი და მოხერხებული საფეხურები ვტკეპნოთ, მაგრამ ტვირთის სიმძიმით წელში მოხრილ მზიდავებს მაინც ძალიან უჭირთ. სადღაც, გულის სიღრმეში, სინდისი მჭენჯნის, როდესაც თვითონ მოხერხებული ფეხსაცმელებით მივაბიჯებ.

დღის ბოლოს ძლივს მივაღწიეთ თხემის უნაგირას, სადაც ნიში დგას. შევიკრიბეთ ყველანი და ერთწუთიანი თათბირის შემდეგ გადავწყვიტეთ, განვაგრძოთ წინსვლა. ამინდი აშკარად უარესდება. ვიწყებთ დაშვებას ალპური საძოვრების დამრეცი კალთებით. განუწყვეტლივ წვიმს. უწესრიგოდ ვდგამთ კარვებს. თითოეული ცდილობს, რაც შეიძლება ჩქარა შეაფაროს თავი.

დღეს თითქმის 2000 მეტრი სიმაღლე ავიღეთ, რათა ამ უნაგირამდე მოგვეღწია, რომელსაც „27 აპრილის უღელტეხილი" დავარქვით. საკვირველია, როგორ მოახერხეს კუზიმ, უდომ და შაცმა, რომლებმაც ეს უღელტეხილი აღმოაჩინეს, მიეკვლიათ

სრულიად უხილავი ბილიკი და ასე გულდაგულ გაევლოთ იგი ბოლომდე.

ბანაკში მალე მყუდროება ჩამოვარდა.

ჭილში რებიუფა შეიშმუშნა და უნებლიეთ გამაღვიძა. მზიდავები გულმოდგინედ და მეთოდურად ამზადებდნენ თავისთვის ქუმელის ბურთულებს. უეცრად კარავში მეტისმეტად აღგზნებული სარკე შემოიჭრა:

— ბარა-საჰიბ, ტჰარი! — ყვირის იგი და მიგვითითებს თხემის შორეულ წერტილზე.

— ტჰარი! შეუძლებელია!

ჩემს სიცოცხლეში კურდღელიც კი არ დამიჭრია, მაგრამ ჩემში ყოველთვის დიდი მონადირის სული ცოცხლობდა. ვეფხვივით ვეცი თოფს, რომელსაც მუდამ სარკეს ვანდობდი ხოლმე, ელვის სისწრაფით გავტენე, სახელდახელოდ დავუბარე, როგორ მომზადებულიყვნენ გასასვლელად და გავყევი შერპს, რომელიც თვალს არ აშორებდა ცხოველს. მე კი დურბინდითაც ვერაფერი დავინახე. არა, აი, ვხედავ! უეცრად ხედვის არეში, ჩვენგან ორიოდე კილომეტრზე ჯეირანის მსგავსი ცხოველი ჩნდება. ვცდილობთ, მივუახლოვდეთ, თან კლდეებს ვეფარებით და სწრაფად მივცოცავთ აღმა...

აფსუს! ტჰარი გაუჩინარდა და აზიაში ჩემი „სანადირო მოღვაწეობაც“ ამით დამთავრდა.

დღეს ნილგირის განტოტებები უნდა გადავკვეთოთ და სულ მირისტი-კჰოლას ზემოთ ვიაროთ. როცა გაუვალ ვიწროებს წავაწყდებით, ჯერ სიმაღლის აღება, ხოლო შემდეგ პირდაპირ მდინარის ნაპირთან დაშვება მოგვიხდება, საიდანაც უკვე შეიძლება ხეობის გავლა. იძულებულნი ვართ, ხანგრძლივი ტრავერსირებით გავიაროთ ციცაბო კალთები, გადავიდეთ ხევებზე, გადავლახოთ სულ უფრო და უფრო წყალუხვი მდინარეები. საბედნიეროდ, გზადაგზა გვხვდება ზეზე დაყუდებული ფილაქვები. ჩვენს წინამორბედთ მოუნიშნავთ ბილიკები. თვალში მხვდება შაცის წარწერა თოვლის ლაქაზე, რომელიც გვაუწყებს, რომელ საათზე გაიარეს მათ ეს ადგილი. დაახლოებით ჩვენც იმავე ტემპით მივდივართ.

ირგვლივ ღრუბლებია> და მოკლებულნი ვართ ფართო ხედ-

ვის არეს. ნაშუადღევს ისეთ ადგილამდე მივდივართ, სადაც გზა აღარ ჩანს. ვუძახით ჩვენს მეგზურს კუზის: ცოტა ფიქრის შემდეგ იგი რამდენიმე ნაბიჯით უკან ბრუნდება და, ბოლოს, გახარებული გვიხმობს: პატარა კლდეზე ვხედავთ ქვებით დამაგრებულ საფრანგეთის ალპინისტური კლუბის ალამს. აქ იწყება დაღმართი მირისტი-კჰოლასაკენ. ვეშვებით მეტად ციცაბო ბალახოვანი ფერდობებით და მზიდავებს ისევ უსხლტებათ ფეხი. მათი სულიერი განწყობილება არცთუ ისე ბრწყინვალეა.

წვიმს, თოვს. გზა დაუსრულებელი გვეჩვენება. უეცრად შეძახილები მესმის. მალე დიდი კოცონი გამოჩნდა. პირველი ჯგუფის მზიდავებს დაულაგებიათ თავიანთი ტვირთი და ხეობაში ბრუნდებიან. გურკალზე ლაპარაკობენ. ერთხელ კიდევ ვრწმუნდები, რომ ეს კილო თავისი წყვეტილი სიტყვებითა და ხორხისმიერი ბგერებით ძნელი გასაგებია.

ბილიკი მიჰყვება ფერდობს, ციცაბო ფილებს შორის, შვეული კლდოვანი კედლის გასწვრივ, რომელშიც უზარმაზარი გამოქვაბულები ჩანან. კუზი გვარწმუნებს, აქ რომ პირველად ვიყავი, ამ გამოქვაბულების შესასვლელთან ტჰარების მთელი ჯოგი ისვენებდა და ჩემს დანახვაზე ფეხიც არ მოუცვლიათო. სამწუხაროდ, დღეს (თოფი ხელთა მაქვს) ამ ცხოველების კვალიც არა ჩანს.

რამდენიმე წუთის შემდეგ ყველანი ვიკრიბებით ამ მჩქეფარე მდინარის მირისტი-კჰოლას ნაპირზე, რომელსაც გამოაქვს ანაპურნის, დიდი ბარიერისა და ნილგირის ზედა ცირკებზე ჩამონადენი ყველა ნალექი.

გზა მეორე ნაპირზე გრძელდება, მაშასადამე, მდინარეზე უნდა გადავიდეთ. ჩვენს ამხანაგებს წინადღით რამდენიმე ხე წაუქცევიათ მდინარეზე გადასასვლელად, მაგრამ მზიდავები უარს ამბობენ ტვირთის გადატანაზე. მე და რებიუფა უყოყმანოდ ვკისრულობთ, თვითონვე გადავიტანოთ ტვირთი.

გასტონი გარდაიქმნა მზიდავად, მოიდო შუბლზე ღვედი, რომელიც იჭერს ტვირთს. თავი, კისერი, მთელი მისი მაღალი ტანი საშიშრად ქანაობს... იგი მიდის წყალთან, კუზის დახმარებით დგება მორებზე და რამდენიმე ნაბიჯს დგამს ბობოქარი

მდინარის თავზე. მე ვდგავარ წყლიდან ამოშვერილ კლდეზე და ვუწვდი ხელს. რომელსაც იგი კანკალით ეპიდება. ახლა უკვე შემიძლია დამშვიდებით ჩამოვართვა ტვირთი.

ეს ოპერაცია რამდენიმეჯერ გავიმეორეთ. მაგრამ ერთი ტვირთი მაფიქრებს, ის ძალიან მძიმეა და, რაც მთავარია, დიდი მოცულობისაა. სხვას ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, მასში არის ორი საბაზო და ერთი სასიმაღლო კომპლექტი. რეგიუფა რამდენიმე ნაბიჯს დგამს, გაუბედავად ჩერდება, წონასწორობას კარგავს და ძლივს იმაგრებს თავს. მერე ისევ ნელა მოიწევს წინ... უეცრად ღვედი უსხლტება შუბლიდან და ტვირთი მდინარეში ვარდება. ჩვენი კარვების დაკარგვა აუნაზღაურებელი დანაკლისია. ამას ვერ დავუშვებთ.

მე და კუზის ერთნაირი რეაქცია გვაქვს: ქვიდან ქვაზე ხტომით მივრბივართ ჩვენ-ჩვენი ნაპირის გასწვრივ. ვცდილობთ დ ა ვ ე წ ი ო თ ტვირთს. ამაოდ. კიდევ რამდენიმე ნახტომი და...

ოჰ, რა ბედნიერებაა! დიდი მორევის წინ ტვირთი წამით ჩერდება და მე ვახერხებ მასზე წერაყინის გამოდებას.

ძალიან ვიმარჯვეთ! ცხელი დღე კი დაგვადგა! რებიუფა სასოწარკვეთილი იყო...

საბოლოოდ მდინარე მშვიდობით გადავლახეთ, მაგრამ ძალიან ბევრი დრო დავკარგეთ და საჭიროა დაბანაკებაზე ვიზრუნოთ. ადგილი სულ მალე შევარჩიეთ. გიზგიზა კოცონი და გემრიელი ვახშამია ჩვენი შრომის ჯილდო. სანამ მზიდავები კოცონთან საუბრობენ და აბოლებენ, საჰიბები სინდისდამშვიდებულნი იძინებენ.

მეორე დღეს დილით ადრე გავედით. ამინდი საკმაოდ გაუმჯობესდა. მე თითქმის ერთი საათით დავწინაურდი და შუადღისას ჩვენ შესახვედრად გამოსულ მარსელ შაცს შევხვდი. გახარებულები მივესალმეთ ერთმანეთს. შაცმა მითხრა, ლუი ლაშენალი და ლიონელ ტერაი ამ დილით ანაპურნის ჩრდილოდასავლეთ წიბოს. დასაზვერავად გავიდნენო.

საბაზო ბანაკის ახლო-მახლო მორენები თანდათან დაბლდება, მირისტის ხეობა განიერდება და მიდამოს საუკეთესო ხედი იშლება. წიბოს ძირამდე რამდენიმე ასეული მეტრია. იგი არც თუ ისე მრისხანე ჩანს. მიუხედავად ამისა, რატომღაც გული არ მიმდის მასზე. დჰაულაგირზე დაშინებული ძალზე ვერიდები თხემზე გამავალ მარშრუტებს. მეშინია, რომ თუნდაც დაუძლეველი დაბრკოლებები არ შეგვხვდეს, წიბოზე გამავალი გზა მეტისმეტად გრძელი იქნება. მე არ შემიძლია დეტალური დაზვერვიდან თვით იერიშზე გადასვლა გადავწყვიტო მანამ, სანამ წიბოს მთლიანად არ გამოვიკვლევთ, სხვანაირად რომ ვთქვათ, სანამ ანაპურნას ზედა პლატოზე არ გავალთ. მე და შაცი საბაზო ბანაკისაკენ წავედით. ბანაკი მორენებშია მიყუჟული. აქა-იქ ქვაბურებში ბრწყინავენ პატარა ლურჯ-მომწვანო ტბები. ირგვლივ ვრცელი ქვიანი უდაბნოა. აქედან რამდენიმე საათის სავალია დიდ ბარიერამდე, რომელიც ფარავს ჰორიზონტს აღმოსავლეთით, ან ნილგირამდე ჩრდილოეთით.

თოვს. კარვებში შევძვერით. დაუსრულებელ ლაპარაკში ნელა გადის დრო.

უეცრად ჩვენამდე აღწევს ქვათაცვენის ხმაური, წერაყინის კლდეზე დარტყმების ხმა და ხმამაღალი წყევლა-კრულვა.

ეს ლაშენალ-ტერაის ჩაბმა უნდა იყოს. კარვის კარი აიწია და ეოგვესმა ხუთსართულიანი გინება. ვცნობ ჩემს ამხანაგებს მუშაობის ქარცეცხლში. ჯერ ერთი სიტყვაც არ უთქვამთ, მაგრამ უკვე ვხვდები, რომ დაღლილნი, მაგრამ სიმტკიცითა და ოპტიმიზმით აღსავსენი არიან.

გაიხადეს შეთოვლილი საშტორმო ტანსაცმელი და, ჩაის სმის დროს, ნელ-ნელა გვიამბეს, თუ რა გააკეთეს დღეს. სახელგანთქმულმა წყვილმა, რომელმაც ალპების ყველაზე უფრო მრისხანე და დიდებული კედლები დაიპყრო, აქაც არ შეირცხვინა თავი.

— არა უშავს რა გასეირნება იყო! — ამბობს ტერაი.

— მაგარი! — დასძენს ლაშენალი, — გვხვდება მეხუთე კატეგორიის[1] სიძნელის მონაკვეთები!

— მეხუთე! — შეევძახე გაოცებულმა. შერპები როგორღა გაივლიან?!

— ეს მხოლოდ ცალკეული უბნებია.

— შეიძლება თოკები ჩავკიდოთ, შერპებს ავიყვანთ, ვუბიძგებთ, ბოლოს და ბოლოს ავზიდავთ!

— კარგი, ვნახოთ. გარდა ამ უბნებისა, როგორ გამოიყურება წიბო?

— რა თქმა უნდა, ძალიან გრძელია, — მიპასუხებს ტერაი, —და რაც უფრო წინ მიდიხარ, მით უფრო ძნელად სავალი ხდება.

— მაშინ იქნებ იმ ადგილის ზევით, სადამდეც თქვენ ახვედით, წიბო საერთოდ გაუვალი აღმოჩნდეს?

---

[1] კლდოვანი უბნების ტექნიკური სირთულე ფასდება ექვსბალიანი სისტემით. ყველაზე ადვილია პირველი კატეგორია. ყველაზე ძნელი, შესაძლებლობის საზღვარზე — მე-6. სულ რამდენიმე უბნები გაიარონ. ალპებში ცნობილი მარშრუტების უმრავლესობა შეფასებულია მე-4 კატეგორიისად. ჰიმალაიში, სადაც ასვლის სიძნელე იმატებს სიმაღლის გამო, ალპინისტები, ჩვეულებრივ, გაურბიან რთულ მარშრუტებს, ან, ყოველ შემთხვევაში, ცდილობენ ირჩიონ მარშრუტები არა უმაღლეს მე-4 კატეგორიის სიძნელისა.

საბჭოთა კავშირში მიღებულია მარშრუტების კლასიფიკაციის ხუთბალიანი სისტემა, ხოლო თითოეული კატეგორია ა და ბ-დ იყოფა.

— არა მგონია! ჩვენ დავიწყეთ ცოცვა განთიადზე და 11 საათზე 5500 მეტრის სიმაღლეზე გავჩერდით. ცოტა ზემოთ წიბო დაფარულია თოვლით და უფრო ციცაბოა. შემდეგ აღარაფერი ჩანს, მაგრამ, ჩემის აზრით, (ბისკანტიც ასე ფიქრობს), რამდენიმე ასეული მეტრით მაღლა წიბო უნდა გადიოდეს ანაპურნას ზედა პლატოზე.

— ჰმ, — ვამბობ სკეპტიკურად.

—ყური მიგდე, მორის,—მთავაზობს ტერაი,—ყველაფერი მარტივად წყდება, საჭიროა მხოლოდ მთელი ძალით მიწოლა. ხვალვე გადავიტანთ საბაზო ბანაკს აი, იმ ბალახიანი ბორცვის მწვერვალზე და შეგვიძლია იერიშზე გადავიდეთ.

— ამ მერყეობაში კიდევ რამდენიმე დღეს დავკარგავთ,— დასძენს ლაშენალი.

— არა, ასე ჩვენ საბოლოოდ დავკარგავთ ყველა შესაძლებლობას. თუ წიბოს იერიში არ მოხერხდა, საბაზო ბანაკის მოხსნა, მისი ხეობაში ჩატანა და სხვა ადგილზე გამართვა მოგვიხდება. ამაზე ლაპარაკიც ზედმეტია. მე არ ვაპირებ ექსპედიციის მთელი ძალების ხიფათში ჩაგდებას, ჩვენთვის ესოდენ უცნობ მარშრუტზე. უმჯობესია, გავაფართოოთ თქვენი დაზვერვა. აკიდეთ ხვალ იმ ადგილამდე, სადამდეც თქვენ ახვედით და განვაგრძოთ ასვლა მანამდე, სანამ არ დავრწმუნდებით, რომ გზა მწვერვალამდე გასაღწევია. მხოლოდ ამის შემდეგ შეგვიძლია მივიღოთ საბოლოო გადაწყვეტილება.

— აი, ჯიუტი გოგრა! — ლაშენალი და ტერაი ცოფებს ყრიან. მათ ჰგონიათ, რომ დაუყოვნებლივ საჭიროა იერიშზე გადასვლა, კვლავ აცხადებენ, რომ ამ გზით შეიძლება მწვერვალის დაპყრობა.

მე კარგად ვიცნობ ჩემს მეგობრებს. დამქანცველი დღის შემდეგ უკიდურესად აღგზნებულნი არიან და მათი მსჯელობის სისაღეში ეჭვი მეპარება. პასუხისმგებლობა მე მაქვს დაკისრებული და ვალდებული ვარ, თვითონვე ეუჩვენებდე კეთილგონიერების მაგალითს. ჩემი გადაწყვეტილება მტკიცეა: ხვალ დილით ყველანი გავალთ წიბოზე, დროებითი ბივუაკების ვარაუდით და დავბრუნდებით მხოლოდ მას შემდეგ, როდესაც ყველაფერი ნათელიგახდება. საბაზო ბანაკი ადგილზე დარჩება.

ჩვენი ვასვლა მხოლოდ გაღრმავებული დაზვერვა იქნება. ვიდრე ამხანაგები ტანსაცმელს იშრობენ, თავის ნივთებს აწესრიგებენ და ხვალინდელი ექსპედიციის ემზადებიან, მე ვწერ პარიზის „არიერგარდისათვის".

„1950 წ. 18 მაისი.

ძვირფასო ნიველ!

მივაღწიე საბაზო ბანაკამდე. ლიონელი და ბისკანტი ესუს არის ჩამოვიდნენ წიბოდან და მომავალს საკმაოდ ოპტიმისტურად უყურებენ. ტაქტიკა წინანდელი რჩება: ვაგრძელებთ გაღრმავებულ დაზვერვას. ახლა ცუდი ამინდია და ამას შეუძლია შეაფერხოს ჩვენი წინსვლა.

პროდუქტები: მეშინია, რომ ცოტა წამოვიღე. გამოგზავნე, გეთაყვა, დაუყოვნებლივ სამი ყუთი „ველი", სამი — „სიმაღლე" და ერთი ყუთი „მაგარი"[1] ქიღლები.

საჭურველი: კლდის პალოები—ათი. ყინულის—ათი. სასიმაღლო კომპლექტი — ორი, ნეილონის რეპშნური 5,5-მილიმეტრიანი — 100 მეტრი, ძირითადი თოკი რვამილიმეტრიანი, სამი ხვევა 15-15 მეტრი.

მზიდავები: პირველი ჯგუფის მზიდავებთან ანკარიშის გასწორების დროს ყველას თანაბარი ბაკშიში მიეცი. მეორე ჯგუფის მზიდავებს გადაუხადეთ ასევე, მხოლოდ ბაკშიში სხვადასხვა. ზოგიერთებმა ძალიან გამოიჩინეს თავი. ისინი წარმოგიდგენენ ჩემს ხელმოწერილ ცნობებს. გადაუხდი მათ სრულ ბაკშიშს, ორ მოხუცს ნახევარ-ნახევარს, დანარჩენებს არავითარი საჩუქარი — ცუდად მოდიოდნენ.

პროდუქტები შემდგომში: შეგიძლია თუ არა გამოგზავნო დამატებით (თუ ჩემგან ბრძანების გაუქმებას არ მიიღებ) სამი ყუთი „ველი" და სამი ყუთი „სიმაღლე"?

იშაკსა და უდოს: ჯერჯერობით გარკვევით არაფრის თქმა შემიძლია. მოღრუბლულობის გამო ანაპურნა ვერ

---

[1] ასე უწოდებდნენ საექსპედიციო ჟარგონით ყველაზე უფრო ნოყიერ კონსერვებს, რაც ძირითად საზრდოს შეადგენდა (ავტ.).

ლავინაზე! როგორც კი შეეძლება, გაცნობებთ ახალ ამბებს.

სალამი ყველასაგან. მ ო ტ ი ს ი“

14 მაისს, სწორედ იმ დღეს, როცა სამხედრო საბჭო შედგა და გადავწყვიტეთ, ექსპედიციის მთელი ძალები ანაპურნისკენ მიგვემართა, იშაკმა მითხრა, მე და უდოს ძალიან გვინდა მუქთინათის მონახულებაო.

15 მაისს, სანამ ტუკუჩიდან ანაპურნის დასაზვერად წავიდოდი, გამოვეთხოვე ამხანაგებს. ისინი მეორე დღეს დილაუთენია უნდა წასულიყვნენ მუქთინათში, სირდარის, ანგ-თარკეს თანხლებით.

მისთვის მუქთინათი წმიდათაწმიდაა! თავგამოდებული მორწმუნეა და წ. ადად ინახავს რელიგიურ წეს-ჩვეულებებს. ეს გამგზავრება ისისთვის სალოცავად წასვლის ბედნიერი შემთხვევაა, რასაც ისი ბევრი თანამემამულე მოკლებულია. გასვლა დანიშნულია დილის ექვსი საათისათვის, მაგრამ გვიანდება, რადგან ცხენების მოყვანას მხოლოდ 7 საათიდან იწყებენ. მათ ნაწილს, მეტისმეტად ჯაგლაგებს, გამოსაცვლელად ვაბრუნებთ, მაგრამ რამდენიმე წუთის შემდეგ უკანვე მოჰყავთ გამარჯვებულის გამომეტყველებით. ეს ხომ იგივე ცხენებია! მაგრამ კამათი უსარგებლოა: პასუხის ნაცვლად მხოლოდ გვიღიმიან... აქ ხომ აღმოსავლეთია!

ძლივს, დაახლოებით 9 საათზე, ჯგუფი მაინც მიემგზავრება. მთელი დღე განდაკის მარჯვენა ნაპირს მისდევენ. საღამოთი შორს დიდი სოფელი გამოჩნდა: თეთრი სახლები, მოწითალო ტაძრები. მათ გადმოსცქერის ტიბეტის ციხესიმაგრის ნანგრევები. მეტისმეტად აღელვებული ანგ-თარკე ყვირის:

— მუქთინათი!

როდესაც უახლოვდები ამ არაჩვეულებრივ ქალაქს, ირკვევა, რომ მისი საუცხოო შენობები ჭუჭყიანი და უღიმღამო შესახედავია. სოფლის ბოლოს აღმართულია რამდენიმე, ჭრელად შეფერადებული ბუდისტური ძეგლი.

სადღაა ტაძრები, მონასტრები და ასეული ლამა?

აღმოსავლეთით მარსელ იშაკი ამჩნევს მოთუთიებული რკინით გადახურულ უფრო გვიანდელ რამდენიმე შენობას. იქაურების გამოკითხვით იგი არკვევს, რომ სწორედ ეს ხუთიექვსი სახლი შეადგენს მუქთინათს, ხოლო სოფელს, სადაც ახლა ქარავანი გაჩერდა, შაჰარი ჰქვია. ჯანდაბას! სალოცავად წასვლა სახვალიოდ გადაიდო. მეგობრები რომელიღაც თავმინებებულ ციხე-დარბაზს აფარებენ თავს, სასწრაფოდ ვახშმობენ და წვებიან დასაძინებლად ორმოცდაათამდე ცნობისმოყვარე მცხოვრებთა თვალწინ.

მეორე დღეს, უთენია მიემართებიან ტაძრისაკენ. ცხენებს პირველი შენობის ჭიშკართან ტოვებენ და გვერდს უვლიან კლდეს, რომელზედაც ფეხის ტერფის გაურკვეველი ნაკვალევის მსგავსი ჩაღრმავების გარჩევა შეიძლება.

— ბუდა, საჰიბ! — შესძახა ანგ-თარკემ და პირქვე დაემხო.

ჩაუარეს პირველ ტაძარს, რომელიც ძალიან ჰგავს ტუკუჩის ტაძარს, და უახლოვდებიან საღმრთო წყაროებს: ნაკადულიდან წყალი ჩაედინება ჰორიზონტალურ არხში, რომელიც ძროხის ან ურჩხულის გამოსახულების 60-მდე წყალსადინარს კვებავს. მართკუთხედის შუა აღმართულია ნეპალის პაგოდა.

მლოცველები მიდიან ჭურჭლებით, ავსებენ და სვამენ. ანგ-თარკე, რომელმაც ექსპედიციის მათარა დაისაკუთრა, რიგრიგობით უვლის ყველა წყაროს: ჩვენი ამხანაგები უკვე ვეღარ გამოიყენებენ მათარას მთელი მოგზაურობის განმავლობაში.

შემდეგ, სამხრეთისაკენ, ჯგუფი ეცნობა მეორე ტაძარს, რომელსაც ფერად კაბებში გამოწყობილი თორმეტი ახალგაზრდა ქალიშვილი იცავს. ქალიშვილებმა ასწიეს ქვის სახურავი და იშაკსა და უდოს უჩვენეს ორი ვიწრო ხვრელი, საიდანაც აღწევს წყაროს ხმაური და ბუნებრივი გაზის მარადიული ცისფერი ალის ციმციმი. „ქურუმი ქალები“ მღერიან და ცეკვავენ. საჰიბებს შეაქვთ თავისი წვლილი, ანგ-თარკე განსაკუთრებით გულუხვია ექსპედიციის ხარჯზე.

ღამეს ათევენ პატარა თავშესაქცევ სოფელ კაგბენში, ხოლო მეორე დღეს „მლოცველები“ ტუკუჩაში ბრუნდებიან. იქ მათ მოუთმენლად ელოდება მუქთინათის ნახვის სურვილით

აღსავსე ნუაელი. ის ხვალ აპირებს იქ წასვლას ჟ. ბ. რანას თან-ხლებით.

უკანასკნელი ორი დღის განმავლობაში, ბანაკში ღირსშე-სანიშნავი არაფერი მომხდარა. საფრანგეთის ფოსტა არა ჩანს. არც ანაპურნიდან ისმის არაფერი.

19 მაისი დასვენების დღეა ჩვენი მეგობრებისათვის. ბანა-კის ცხოვრებაში მცირე ცვლილება შემოაქვს ტუკუჩის მცხოვ-რებთა საზეიმო სვლას. ისინი მარფადან ბრუნდებიან, დაირე-ბის აკომპანემენტით ცეკვავენ და მხიარულობენ.

20 მაისს, 9 საათსა და 30 წუთზე, ანგავამ და დავატონდუპ-მა მოიტანეს ანაპურნის წიბოს ძირში გამართული საბაზო ბა-ნაკიდან ლაშენალ-ტერაის დაზვერვიდან დაბრუნების შემდეგ გამოგზავნილი ბარათი.

VIII

წიბ-ო

19 მაისს, წიბოს ძირში გაშლილი დროებითი საბაზო ბანაკი გარიჟრაჟამდე გამოცოცხლდა.

ყველაზე ადრე ტერაი ამდგარა და ღრიალებს: — ჰეი, თქვე' უქნარებო! სასტუმრო „მაჟესტიკში“ ხომ არ გგონიათ თავი?

ირგვლივ უკუნეთია. შერპებს ვეღარაფერი გაუგიათ ამ მოულოდნელ აურზაურში. სხვა ექსპედიციებში ისინი, ჩვეულებრივ, მხოლოდ მზის ამოსვლის შემდეგ გადიოდნენ.

ნამძინარევნი, მთქნარებით ამზადებენ ისინი ნესტესა და ტონიმალტს[1], ალპინისტები ზურგჩანთებს ალაგებენ.

— რამდენი ყინულის პალო წავიღოთ?

— ვიტამინები ხომ არ დაგავიწყდა?

— რამდენი ჩადის შენს მათარაში?

მთამსვლელები ერთიმეორის მიყოლებით ადიან მორენაზე და ღამის წყვდიადში ინთქმებიან. ძილისაგან თვალები მებლიტება, წამდაუწუმ ფეხს ვკრავ ქვებზე და სიბნელეში გზას ძლივს ვიკვლევ. წერაყინების ღრაჭუნი იმის მაუწყებელია, რომ წინწასული ამხანაგები შორს არ არიან. გადავდივარ უკანასკნელ მორენაზე. მძიმედ ვართ დატვირთულნი, რადგან საკუთარი ზურგით მიგვაქვს რამდენიმე დღის საგზალი და ყველაფერი, რაც აუცილებელია სამი ბანაკისათვის. თან გვახლავან შერპები. ისინი ამოვლენ ჩვენთან ერთად, რაც შეიძლება,

[1] საგანგებოდ მომზადებული მკვებავი სასმელები.

მაღლა, ხოლო შემდეგ სწრაფად დაეშვებიან საბაზო ბანაკში, რომ სამაღალმთო ულუფა არ ხარჯონ.

უკვე თენდებოდა, როცა თოვლამდე მივაღწიეთ. თოვლი ჯერ კიდევ შაგარია და ფეხსაცმლის „ვიბრამის"[1] ლანჩები კარგად გვიმაგრებს. ავდივართ ნელა, მაგრამ შეუჩერებლივ.

ნუთუ კარგი ამინდი იქნება? რაც ტუკუჩიდან წამოვედით, მოწმენდილი ცის მტკაველისოდენა ნაგლეჯიც არ მინახავს. ციცაბო ფირნის კალთაზე მოწყვეტის საშიშროების მიუხედავად, ხშირად მივბრუნდები ხოლმე, რათა დავტკბე გრანდიოზული სანახაობით. დიდი ბარიერი, რომლის საშუალო სიმაღლე თვალზომით 7000 მეტრია, პირდაპირ გვთრგუნავს. მის შუაგულში აზიდულია გიგანტური მიუდგომელი კოშკი. უზარმაზარი გადმოწოლილი კედლები აღმართულია 3000 მეტრზე ბანაკის ზემოთ. გლუვ კედლებზე არც ერთი უსწორმასწორო ადგილი, არავითარი ნაპრალი არ ჩანს, რომელიც ალპინისტის გამოცდილ თვალს შეეძლო შეემჩნია ასვლისათვის ხელსაყრელი გზის ძებნის დროს. ანაპურნა გიგანტური ციხესიმაგრეა და ჯერ მხოლოდ მის დამცველ პირველ სიმაგრეებს ვუახლოვდებით.

ცირკი, სადაც ვიმყოფებით, გვაოცებს თავისი პირველყოფილი ველურობით. ჯერ არც ერთი ადამიანი არ დამტკბარა ჩვენს ირგვლივ შემოჯარული მწვერვალების მზერით. არც ერთ ცხოველს, არც ერთ მცენარეს არა აქვს აქ არსებობის უფლება. დილის ცისკრის სპეტაკ ბრწყინვაში, სიცოცხლის ნიშანწყალის ეს არყოფნა, ბუნების ეს მკაცრი სიძუნწე, მხოლოდ ამაღლებს ჩვენს შინაგან ძალებს. ვის შეუძლია გაიგოს ის აღგზნება, რომელსაც ჩვენ ამ არყოფნაში ვპოვებთ, თუ ადამიანებს ყოველთვის სწორედ უხვი და მდიდარი ბუნება იზიდავს თავისკენ?

ჩვენ დაახლოებით მონბლანის სიმაღლეზე ვართ, ყველას უმძიმს სუნთქვა. თითოეული თავისი ტემპით მიდის. როდესაც ბორცვის მწვერვალს მივაღწიეთ, მზე უკვე საშუადღეოზე იყო. სულ ცოტა ხნის წინ უზარმაზარი, შავი და პირჭუში კედლები ახლა თვალისმომჭრელად ელვარებენ.

---

[1] ფეხსაცმლის მსხვილრელიეფური რეზინის ლანჩა, რომელიც აძლიერებს მოჭიდებას.

წიბოს ძირამდე უნდა მივიდეთ. ტერაი გვიერთდება და მიუხედავად გუშინდელი დაღლილობისა, გვიჩვენებს ალმართის დასაწყისს. ზურგჩანთებიდან თოკებს ვიღებთ და წყვილ-წყვილად ვებმებით. მე წინ გავდივარ, სარკესთან ჩაბმული. წინადღით ამხანაგებს აქ, წინდახედულად, თოკი დაუკიდიათ. ძალიან ცივა. კლდეები კირქვისაა, მაგრამ საკმაოდ მყარი. რებიუფა და აჯიბა კვალდაკვალ მოგვყვებიან, მათ შემდეგ ტერაი და აილა. ყველაზე ბოლოს, ჩამკეტად, შაცი მოდის.

თუ ანაპურნისაკენ სვლა წიბოთი გვიწერია, გვირჩევნია, რაც შეიძლება ჩქარა შევუდგეთ. ამიტომ წიბოს იერიშს „დაფდაფების ცემით" ვაპირებთ. მოქმედების გეგმა ასეთია: როგორც კი შერპებს სიარული მეტისმეტად გაუჭირდებათ, ისინი დატოვებენ ტვირთს და ქვემოთ დაეშვებიან. ოთხი საჰიბი განაგრძობს ასვლას და, რაც შეიძლება, მაღლა გამართავს ბანაკს. მე და რებიუფა აქვე გავათევთ ღამეს, ხოლო შაცი და ტერაი დაეშვებიან „მხარზე". აქ ტერაის უნდა შემოუერთდეს დასვენებული ლაშენალი.

შაცი ჩავა საბაზო ბანაკში, რათა მეორე დღეს ისევ ამოვიდეს კუზისთან ერთად, გამართოს ბანაკი „მხარზე" და მესამე მოიერიშე ჩაბმა შეადგინოს.

დასახული გეგმის პირველი მუხლი მალე სრულდება: ვგზავნით უკან შერპებს, რომლებიც ბევრ დროს კარგავენ ძნელ ცოცვაზე, თუმცა მე შევამჩნიე, რა სიმსუბუქით ეუფლებიან ისინი მათთვის უცხო ალპინისტურ ტექნიკას. კერძოდ სარკე ალბათ უკვე შეძლებდა ჯგუფის წაყვანას ძნელ კლდოვან მარშრუტზე.

შერპების წასვლის შემდეგ სწრაფად ვიღებთ სიმაღლეს. ისეთი შთაბეჭდილებაა, თითქოს თვითმფრინავში ვიყოთ. წიბო, რომლითაც ავდივართ, პირდაპირ ჩვენს წინ პროექტდება და ციცაბო არც თუ ისე დიდი გვეჩვენება. ორივე მხარეს დაკიდული ყინვარები ეშვება. ღრუბლები, როგორც ყოველთვის, ზუსტად მოდიან პაემანზე ჩვენთან და გარემომცველი მწვერვალები ნისლში უჩინარდებიან.

წიბო სულ უფრო ვიწროვდება და გულისთვის საამო „შამონის" ნემსებს გვაგონებს, რომლისაკენაც, ამჟამად, მიპყრობილია ჩვენი ფიქრები. კლდეები მკვიდრია, სიმაღლე და მძიმე



ანაპურნის მთავარი ქედი.

1. ანაპურნის მწვერვალი 8075მ. 2. აღმოსავლეთი მწვერვალისწინა. 3. თეთრი მოედანი. 4. შაეი კლდე. 5. დიდი ბარიერის კონტრფორსები. 6. ანაპურნის ჩრდილო მყინვარი. 7. ჩრდილო-დასავლეთი წიბოთი ასვლის ცდის მარშრუტი. 8. ჩრდილო-დასავლეთის წიბოს მწვერვალისწინა. 9. ჩრდილო-დასავლეთის წიბოს მწვერვალი. 10. „ყვავილოვანი კომბოსტოს" თხემი. 11. პირველი ბანაკის ადგილსამყოფელი, სიმაღლე დაახლ. 5100 მ. 12. მეორე ბანაკის ადგილსამყოფელი, დაახლ. 5900 მ. 13. მესამე ბანაკის ადგილსამყოფელი, დაახლ. 6600 მ. 14. მეოთხე ბანაკის ადგილსამყოფელი, დაახლ. 7150 მ. მეხუთე ბანაკის ადგილსამყოფელი, დაახლ. 7300 მ. სიმაღლეზე.

ზურგჩანთები რომ არა, ცოცვა სრული სიამოვნება იქნებოდა. სიცივე მატულობს. თოვას იწყებს, ჩვენ უკვე ნამდვილად 5500 მეტრზე მაღლა ვართ. ვათვალიერებ წინა საბანაკო ადგილს, მაგრამ არაფერი ჩანს, გარდა იშვიათი უბადრუკი პატარა მოედნებისა. ამინდი გვემუქრება. საჩქაროდ უნდა მივიღოთ გადაწყვეტილება, მით უმეტეს, რომ შაცსა და ტერაის დაშვება უნდათ და აგვიანდებათ. ხელებით დაკიდებულნი უფსკრულის თავზე, ფეხების ქნევით მივიწევთ წინ დანის პირივით ვიწრო კლდოვან თხემზე. მე არ მახსოვს, რომ ალპებში მსგავსი ციცაბოები შემხვედროდეს. თოვლიან კალთაზე აქა-იქ გაბნეული კლდეები ყინულითაა დაფარული. ვერ წარმომიდგენია, როგორ ჩერდება თოვლი ასეთ ციცაბოზე. ყოველ შემთხვევაში, გასაგებია, თუ რატომ იცის აქ ასე ხშირად ზვავები.

ამ რთული ტრავერსის შემდეგ გავდივარ პატარა დათოვლილ მოედანზე. ამინდი მართლა გაფუჭდა და ბევრი ყოყმანის დრო აღარ არის, აქ უნდა დაიდგას კარავი. ერთი წუთის შემდეგ უკვე გადავყარეთ თოვლი წიბოს ორივე მხარეზე, რითაც მძლავრი ზვავები გამოვიწვიეთ. მათ თან გაჰყვა რამდენიმე

შემოდინული ქვა. და მაინც ასეთი მუშაობის შემდეგ ძლივს მოვახერხეთ ორივემ ნამცეცა მოედანზე ჩაჯდომა. რა ვიღონოთ? ვცდილობთ წერაყინის საშუალებით გადმოვაბრუნოთ ჩაყინული ლოდები. თითოეული, შენაცვლებით, ხან რიტმულად ვურტყამთ წერაყინს, ხან ბერკეტივით ვიყენებთ. ლიონელ ტერაი ისე გაშმაგებით ურტყამს ჩემს წერაყინს, ვგრძნობ ქვა ახლავე დაიმსხვრევაო, მაგრამ დახეთ! კლდე კი არა, წერაყინის ნისკარტი პირდაპირ შუაზე გაიღუნა. საბედნიეროდ, ლიონელი ისევ ასწორებს მას. ბოლოს და ბოლოს რაღაც მოედნის ბოლოს მოვაშანდაკეთ და მოგვეცა კარვის გაშლის იმედი. შაცსა და ტერაის შეუძლიათ წავიდნენ. ისინი დროს აღარ ჰკარგავენ და უმალვე იწყებენ დაშვებას, ვერაფრით ვერ ვიშორებ მათზე ფიქრს: ასეთი ფოფხვა ამ სიმაღლეზე, როდესაც ირგვლივ ახალი თოვლია, მეტისმეტად სახიფათოა.

მე და რებიუფა მარტონი დავრჩით. რამდენადაც სუნთქვა გვაძლევს საშუალებას, განვაგრძობთ ჩვენი ბანაკის კეთილმოწყობას. ამოვაბრუნეთ კარგა მოზრდილი ლოდი და მოედნის კიდეზე დავდეთ, რომ ხელოვნურად გაგვედიდებინა სასარგებლო ფართობი. თოვლით ამოვავსეთ უსწორმასწორო ადგილები, დავტკეპნეთ და მოვასწორეთ მოედანი. დაბოლოს, კარვის გაშლას შევუდექით. წინა საჭიმი კლდეში ჩარჭობილ პალოებზე მოვაბით, უკანა—თავამდე თოვლში ჩასობილ წერაყინებზე, ხოლო გვერდის საჭიმები ქვებზე დავამაგრეთ. წესრიგის მოყვარულმა რებიუფამ, ქარისაგან დასაცავად, მოედნის კიდეზე კედელი ააშენა. დაზღვევისათვის საიმედო პალო ჩაარჭო, ღამეს ამ პალოზე მიბმულნი გავათევთ.

გადაუღებლად თოვს. აუტანელი სიცივეა და სიამოვნებით ვძვრებით კარავში, ვცდილობთ, ცოტა მაინც მოვაწესრიგოთ იქაურობა. მეორე ესოდენ „ჰაეროვან“ და დიდი ბრძოლით მოპოებულ ბანაკს ვერ ნახავ. ცხელი ჩაი ხალისიან გუნებაზე გვაყენებს. ჭამის სურვილი არა გვაქვს, მაგრამ პასუხისმგებლობის გრძნობა გვაიძულებს ასკორბინის სიმჟავე და ვიტამინი B_2 ჩავყლაპოთ. ქარის ზუზუნში და კარვის კალთების ფართხუნში ნელ-ნელა ვიძინებთ.

ირიკრაჟა. პირქუში ამინდია. წვრილად თოვს. ხვრიში თოვ-



ლის სქელი ფენა კლდეებზე შემდგომი აღმასვლის ყოველგვარ ნალისს გვიკარგავს. გადავწყვიტეთ, დავუცადოთ გამოდარებას. თუ ამინდი არ გაუმჯობესდა, იერიშის გაანახლებისათვის საჭირო მთელ საჭურველს დავტოვებთ და შუადღისას დავიწყებთ დაშვებას. ყველაზე ძნელი უბანი სწორედ ბანაკის ზემოთ იწყება. ეს არის კლდე, ზემო ნაწილში პატარა ნაპრალი აქვს. როგორ მივაღწიოთ ამ ნაპრალამდე? ყველაფერი თოვლითაა დაფარული. რებიუფას აზრით, ყოველგვარი ცდა ამაოა და მირჩევს, დაუყოვნებლივ დავბრუნდეთ. მაგრამ მე მინდა, ყველა შესაძლებლობა ბოლომდე ამოვწურო, რომ მომავალში სინდისმა არ შემაწუხოს. თუ ამინდი გაუმჯობესდა, თოვლი ჩამოლღვება და როგორმე განვაგრძობთ ასვლას.

— ხომ ვამბობდი, ისინი აქ არიან-მეთქი!

— ნახე, აი წერაყინები!

თხემზე ლაშენალი და ტერაი გამოჩნდნენ.

— სალამი!

— სასწაულია! აქ რას აკეთებთ?

— ეს ბატონები შუბლს იგრილებენ!

— თქვენ რა, ვერა ხედავთ, რა თოვლია?

— ვხედავთ, ვხედავთ, თქვენზე უკეთ ვხედავთ. ჩვენ უკვე ალიონს აქეთ მოვფორთხავდით, რომ აქ ამოგვეღწია.

— ნიკრისიანებო! — ღრიალებს ბრაზმორეული ლაშენალი.

— ამას იქით წასვლა უგუნურებაა, — ამბობს რებიუფა, — მე არავითარი სურვილი არა მაქვს, აქ ჩავყარო ძვლები!

— ახლავე ნახავთ, დავიღუპებით თუ არა, — ზიზღით ესვრის ლაშენალი და დაუყოვნებლივ იწყებს შეტევას.

იგი მიდის ტრავერსით მარცხნივ, ციცაბო ფილაზე დაკრულ, მეტად არასაიმედო თოვლზე. მერე ტკეპნის მას, რითაც აძლიერებს კლდესთან შეჭიდებას. ფილის ბოლოდან ზევით მიდის პატარა ნაპრალი. ლაშენალი ძვრება ნაპრალში და კიდევ სამი მეტრით მიიწევს წინ. ყველა ხელმოსაჭიდი ყინულითაა ამოვსებული. მაგრამ ტერაი საიმედოდ აზღვევს ამხანაგს. ახლა ლაშენალი მიადგა უზარმაზარ შიდა კუთხეს. მის სიღრმეში თოვლის ქვეშ ნაპრალი გამონახა და ცდილობს გამოიყენოს. ფეხი უსხლტება და რაღაც სასწაულით იკავებს თავს. მერე ეშვება ერთ მეტრზე და არჭობს პალოს. პალო შედის რამდენიმე სანტიმეტრზე, ირყევა და ვგრძნობ, რომ მასზე დანდობა არ შეიძლება, მაგრამ ლაშენალი უყოყმანოდ დგება ზედ. როგორ მოიქცეს შემდგომ? იგი არჭობს ნაპრალში წერაყინს და მაგრად არყევს, რათა შეამოწმოს, როგორაა დამაგრებული: წერაყინი ლაყლაყებს, მაგრამ ბოლოს და ბოლოს, როგორღაც იჭედება. ლაშენალს ერთი წამითაც ეპვი არ ეპარება თავისი ნამუშევრის გამძლეობაში და ორივე ხელით ეჭიდება წერაყინს, აშორებს ფეხს პალოს და შეუპოვრად ცდილობს აიწიოს, რომ კიდევ რამდენიმე სანტიმეტრი მოიგოს. ახლა კი ძალიან გავჯავრდი: ასეთი რისკის გაწევა შექმნილ გარემოებაში დაუშვებელია. მივიწევ ტერაისკენ, რომ დავეხმარო, თუ ლაშენალი მოწყდება. სანამ რაიმეს თქმას მოვასწრებ, ლაშენალი უკვე ზემოთაა. უბანი გავლილია ფენომენური ოსტატობით. ტერაი თვალისდახამხამებაში მიჰყვება უკან. არჭობს მეორე პალოს და ჰკიდებს ხუთმილიმეტრიან ნეილონის რეპშნურს.

რამდენიმე წუთის შემდეგ მე და რებიუფა ვხსნით კარავს, ვალაგებთ ზურგჩანთებს და მათ კვალს მივყვებით. ვიკრიბებით ზევით, ბუნებრივი სახურავით დაცულ ვრცელ მოედანზე. აი, სად უნდა დავბანაკებულიყავით! გუშინდელი ამინდი ამორჩევის საშუალებას როდი გვაძლევდა. ახლაც კი ღრუბლები გვარტყია გარს. მიუხედავად ამისა, ღრუბლის ნაფლეთებში მარცხნივ მოჩანს ანაპურნის ჩრდილოეთი ყინვარის ზედა ყი-

ნულვარდნილი, რომლის ჯეროვნად დათვალიერებას აქამდე ვერ ვახერხებდით.

ხანმოკლე თათბირს ვაწყობთ. წიბოთი ასვლის ერთადერთ მომხრედ ლიონელ ტერაი რჩება. ლაშენალს, რომელიც ასე ხმაურობდა ჩვენთან შეხვედრისას, ახლა მიაჩნია, რომ წიბო დაუსრულებელია. რებიუფაც აშკარად პესიმისტურადაა განწყობილი. მე კი ვფიქრობ, წიბო არ უნდა იყოს ანაპურნის გასაღები: თუნდაც მას მიზანთან მივყავდეთ, მთელი ექსპედიციის მარშრუტით წაყვანა მაინც გადაუჭრელ ამოცანად მიმაჩნია. აშკარაა, რომ მუსონის ნაადრევად დადგომის შემთხვევაში, ან დაზარალებულთა დაშვებისას, მდგომარეობა უკიდურესად სახიფათო იქნება.

უფრო ადრე, დჰაულაგირზე, მსგავსმა მსჯელობამ მაიძულა, უკან დავბრუნებულიყავი. ვგონებ, აქაც იგივე განმეორდება. ლიონელ ტერაი სიმტკიცითა და ენთუზიაზმით არის აღსავსე და არავითარი შეგონება მასზე არ მოქმედებს. დასანანია, ასეთი სიმტკიცისა და განსაკუთრებით საქმის დაბოლოებისაკენ მხურვალე სწრაფვის ჩაკვლა, მაგრამ არც ერთი დღით არ მინდა დავაყოვნო შემდგომი ოპერაციები.

როცა ანაპურნის ჩრდილოეთ ყინვარსა და ჩვენ ქვემოთ მდებარე გიგანტურ ყინულვარდნილს კიდევ ერთხელ ვათვალიერებთ, გული მეუბნება, რომ სწორედ აქ ვიპოვით ამოცანის გადაწყვეტას. ჩემს შეგნებაში ისახება გეგმა: ლაშენალი და რებიუფა, რომელთაც არავითარი სურვილი არა აქვთ წიბოთი განაგრძონ ასვლა, რაც შეიძლება ჩქარა დაეშვებიან დროებით საბაზო ბანაკში. აქედან ისინი წაიყვანენ შერპებს და შეეცდებიან გზა გაიკვლიონ ზევით ყინვარზე, აუყვებიან ალბათ მის მარჯვენა ნაპირს, რათა გავიდნენ ჩრდილოეთ კალთის ცირკთან, რომელიც, ეტყობა, ჩამალულია ყინულვარდნილის მიღმა. თუ ისინი ამას შეძლებენ, სასწრაფოდ უნდა მაცნობონ. მე და ტერაი განვაგრძობთ წინსვლას წიბოთი, რათა გავფანტოთ უკანასკნელი ეჭვები ამ გზის შესახებ. ლაშენალი და რებიუფა გვტოვებენ. ჩვენ ვაბარებთ, რომ კუზი და შაკი ამოვიდნენ მეორე დღეს. საჭიროების შემთხვევაში ისინი გააძლიერებენ ჩვენს ჩაბმას, ან დაგვეხმარებიან წიბოდან ბანაკების მოხსნაში.

მე და ტერაი კარავს ედგამთ. მოხარული ვარ, რომ შესაძ-ლებლობა მეძლევა პირველად გავატარო მასთან ღამე მაღალ-მთიანეთში. უღიმღამო ამინდია. მსუყე სადილის შემდეგ ვემზა-დებით ხვალინდელი გასვლისათვის, ჩვენი მიზანია, რაც შეიძ-ლება ჩქარა ვიაროთ მსუბუქი ტვირთით, რათა საბოლოოდ გა-დავწყვიტოთ ეს ბუნდოვანი საკითხი.

ზაზუნებიკით გვძინავს, მაგრამ ტერაის ადგომას ვერავინ მოასწრებს. როგორც ყოველთვის, ალიონზე უკვე გაცხარე-ბულ საქმიანობაშია გართული. ვწევარ თბილ და მოხერხებულ საძილე ტომარაში და უსინდისოდ, ბოროტად ვიყენებ ბარა-საჰიბის უფლებებს: ჩემი ამხანაგი ამზადებს ჩაის, ხსნის კონ-სერვებს და მოაქვს საუზმე პირდაპირ „ლოგინში". როგორც კი საჭმლის გროვას ვათავებთ, ფაცაფუცით ვამზადებთ ყვე-ლაფერს, და რამდენიმე წუთის შემდეგ უკვე ვტკეპნით ახალ თოვლს, რომელიც უხვად მოვიდა უკანასკნელი ორი დღის გან-მავლობაში. სანამ გავხურდებოდეთ, სიმაღლე საგრძნობია და მიუხედავად შემსუბუქებული ზურგჩანთებისა, მაინც მძიმედ მივაბიჯებთ კრიჭაშეკრულები. თითოეული წუთი გაანგარიშე-ბულია. დღეს „კომანდოსის"[1] სტილის რაღაც რეიდისებური გვაქვს.

არც თუ ისე ძნელი ბუხრით[2] აძრომის შემდეგ ისევ თხემზე გავდივართ, რომელიც თანდათანობით დანის პირივით მახვილ-დება. მასზე გავლა ბალანსირებითაც კი შეუძლებელია. კლდის პირზე ხელჩავლებულნი წინ მივიწევთ როგორც უზარმაზარ ღერძზე და ფეხებით ვკაწრავთ ციცაბო კლდოვან კედელს. ჩვენს ქვემოთ 2000 მეტრის სიღრმე უფსკრულს დაუღია ხახა.

თანდათან ვუახლოვდებით ყბადაღებულ თოვლიან თხემს, რომელზეც ლაშენალი და ტერაი მიყვებოდნენ საბაზო ბანაკში. მათი ნათქვამი იმდენად ეწინააღმდეგებოდა ერთმანეთს, მხო-ლოდ ალღოთი თუ მიხვდებოდი, რა მოგველოდა ამ უბანზე. მართლაც, რაც უფრო წინ მივიწევთ, მით უფრო მაღალი და ციცაბოა თხემი. ტერაი უყოყმანოდ მიაბიჯებს, მეც მივდევ ცოტა მოშორებით. ნახევარმთვარის ფორმის პატარა ლამაზი

---

[1] საპარაშუტო-სადესანტო ჯარები.

[2] შვეული ნაპრალი კლდეში(ავტ).

თხემის შემდეგ ციცაბო მატულობს და მალე წრიაპებქვეშ მაგარი ყინული ისინჯება. ვიდრე ლიონელი საფეხურებს ჭრის, მე ყინულის პალოებს ვარჭობ დაზღვევისათვის. საბედნიეროდ, ფირნის თხელი ფენა კარგად გვიჭერს და ღრმა საფეხურების ამოჭრა აღარ გვჭირდება. მარცხნიდან ვუვლით ყინულის შეუულ კედელს. ვუშვებ ტერაის მთელ თოკზე და ყოველი დაშვებისას პალოს ვარჭობ. შემდეგ ვცვლით როლებს, ვაძრობთ პალოებს, რადგან ცოტა გვაქვს და მომჭირნეობა გვმართებს. ალაგ-ალაგ ციცაბო ისეთია, რომ პირდაპირ ცხვირით ეხები ფერდობს. მასზე ხელმოსაჭიდად ხშირად გვიხდება „ჯიბეების“[1] ამოჭრა, ვაღწევთ თხემის პირველ „ეანდარმებამდე“ და წინ ვხედავთ გადმოწოლილ კლდეებს. რა იმედგაცრუებაა!

ლიონელი მარჯვნივ გაბედული ტრავერსირებით მიდის ნაპრალამდე და არჭობს ორ პალოს. ებმება პალოზე და ყინულოვან უფსკრულზე დაკიდებული მაზღვევს. მერე მე ვაზღვევ, ის კი განაგრძობს ტრავერსირებას მარჯვნივ და გარშემო უვლის მთელ კლდოვან მასივს. ჩრდილში ვართ და სიცივე ძვალრბილში ატანს. საშიში ადგილია. სიცივე კიდევ უფრო აძნელებს ცოცვას.

რამდენიმე წუთის შემდეგ ისევ ერთად ვართ, ამჯერად მზეზე. მიუხედავად ამისა, ჩვენი მდგომარეობა მეტად უსიამოვნო და სახიფათოა. მზის სხივებზე მაგარი ფირნი მოღალატე თოვლად იქცევა. ასვლა გრძელდება. ვძლევთ წმინდა ყინულის რამდენიმე ძნელ უბანს და გავდივართ თხემზე, დაახლოებით 6000 მეტრის სიმაღლეზე. გამოიდარა. ვსარგებლობ შემთხვევით და სურათებს ვიღებ. აქედან ანაპურნა ძალიან ახლოს გვეჩვენება.

წიბო, რომელზედაც ვდგევართ, მწვერვალისაკენ მიემართება, თუმცა ყინულოვანი თხემის დაფლეთილი მონაკვეთი, რომელიც ყვავილოვან კომბოსტოს გვაგონებს, ჩვენგან ახლა ისევე შორსაა, როგორც წიბოზე ასვლის დასაწყისში. გვახსენდება, რომ ჰაერის გამჭვირვალობა ძლიერ ამახინჯებს მანძილებს. ვათვალიერებთ თვალმისაწვდომზე ტექნიკურად რთულ

[1] „ჯიბე“ — ციცაბო ფერდობზე ამოკაწრული ჯიბის მსგავსი პატარა ღრმული, რომელშიც ხელის ოთხი თითი ჩაეტევა. (ა. ჯ).

უბნებს და ორივენი იმ დასკვნამდე მივდივართ, რომ ჩვენს მიერ აღებული ტემპითაც კი, წიბოს ბოლომდე მისაღწევად რამდენიმე დღე მოგვიხდებოდა ცოცვა. ბუნება ჩვენზე უფრო ძლიერი აღმოჩნდა. მის მიერ შექმნილი დაბრკოლებები ჩვენს შესაძლებლობებს აღემატება. ვწყვეტთ უსარგებლო მსჯელობას და უკანდახევას ვამჯობინებთ. კიდევაც რომ არ შეგვხვდეს დაუძლეველი დაბრკოლებანი (შესაძლოა თხემში არის ჩანაქცევი, რომელიც აქედან არ მოჩანს), უგუნურება იქნებოდა ამ მარშრუტით ექსპედიციის გაგზავნა. არც ერთი ასვლის დროს ალპებში ამოდენა ტექნიკური სიძნელეები არ შემხვედრია. აქამდე ჰიმალაიში კაციშვილს არ დასჭირვებია მსგავსი აკრობატიკა. გულის სიღრმეში იმაზეღა ვოცნებობ, ანაპურნის ყინვარმა ლაშენალსა და რებიუფას მაინც გაუხსნას თავისი საიდუმლოება. აქედან იგი უფრო ადვილად მისადგომი გვეჩვენება. კარგად ჩანს პლატო, რომელზედაც ისინი უნდა გავიდნენ. თუ მათაც უკანდახევა მოუხდათ, უკანასკნელი იმედი დაიმსხვრევა. ნუთუ მთელი ჩვენი შრომა, ყველა ცდა მხოლოდ მეორეხარისხოვან შედეგამდე მიგვიყვანს? ეს დიდი იმედგაცრუება იქნებოდა ჩვენთვის.

დაუყოვნებლივ ვიწყებთ დაშვებას. მივდივართ რიგრიგობით და გულმოდგინედ ვაზღვევთ ერთმანეთს პალოებზე, რადგან კლდეები გამძლე არაა. მზეზე აუტანელი სიცხეა, ჩრდილში საშინელი სიცივე. ტრავერსის შემდეგ ყინულოვან თხემს მივადექით. თოვლი ლღვება და ფეხს ვეღარ ვიკიდებთ. ყინულით დაშვებას ვამჯობინებთ. წინ ტერაი მიდის, მე ვაზღვევ. მაგრამ პალოები ცოტაა, მეტწილად მათი ამოძრობა მიხდება და იძულებული ვარ დაუზღვეველად დავეშვა. ტერაი გაფაციცებით მადევნებს თვალყურს, კარგად ესმის, თუ მე მოვწყდი, აუცილებლად მასაც გავიყოლებ. ისე ეშვება ფერდობისაკენ ზურგშექცეული და თითოეულ მოძრაობას ზუსტად ანგარიშობს, რათა წონასწორობა დაიცვას; შემდეგ გამომიტყდა, ორჯერ დავცურდი და მხოლოდ სასწაულით შევიმაგრე თავიო. მე სხვა ტექნიკას ვიყენებ: ვეშვები ფერდობისაკენ პირშექცეული, ფეხებსაც ვიყენებ და ხელებსაც. მარჯვენა ფეხით ვპოულობ ყინულზე შესაფერ ფეხსაბჯენს; მარცხენას, მიუხე-

დავად ფხვიერი თოვლისა, წრიაპის ორ პირველ კბილზე ვამაგრებ. მარცხენა ხელით სველ თოვლს ვაკრავ ყინულზე და ზედ ვეყრდნობი, მარჯვენათი — წერაყინის ნისკარტს ვარჭობ ქვასავით მაგარ ყინულში. როცა მარჯვენა ფეხით საყრდენს ვპოულობ, კვლავ ვეუფლები სამ საყრდენ წერტილს (საკმაოდ საეჭვო საყრდენებია), მარცხენა ფეხი, თავის მხრივ, იმეორებს იმავე ოპერაციას; ეს გასაოცარი ცოცვა — მთლიანი ეკვილიბრისტიკაა. ვეშვები ნელა, ფრთხილად, მკვეთრი მოძრაობების გარეშე.

— ე-ეი!.. ე-ეი!

ეს ჩვენს დასახმარებლად მომავალი შაცის ხმაა. ტერაი მასთან უფრო ახლოსაა და ეძახის, რომ ჩვენ ვეშვებით.

— ეი, შაც! ახსენი კარავი, საბაზო ბანაკში მივდივართ.

შაცმა გაიგონა და შორიდან გვიყურებს. ღრუბლებში გავეხვიეთ. ირგვლივ ყველაფერი მთლიან მონაცრისფრო ნისლში ჩაიძირა. ვარჭობთ პალოებს, ვვარაუდობთ გასავლელ მანძილს და ვკიდებთ თოკს. ტერაი ეშვება დიულფერით,[1] მე კი პალოს ვუთვალთვალებ, რომელიც თოკის ყოველ დაჭიმვაზე იღუნება და მერე ისევ უბრუნდება საწყის მდგომარეობას. ყინული იმდენად მაგარია, რომ არავითარ საშიშროებას არ გვიქადის, ყველაფერი რიგზე იქნება. მერე მეც ალპინისტური მეცნიერების ყველა წესის მიხედვით, ვიხვევ თოკს გარშემო და სწრაფად ვეშვები ტერაისთან, რომელსაც უკვე გამოუჭრია პატარა მოედანი ჩემს „დასაფრენად". ცალი ბოლოდან ვეწევი, ვათავისუფლებ თოკს და მალე მივდივართ კლდეებამდე. გახარებულები ვიშორებთ წრიაპებს, რომლებიც თასმებითა ფვაქვს მიმაგრებული ფეხსაცმელებზე და ერთი წამის შემდეგ უკვე მივქრიალართ კლდოვან თხემზე. ისე ძალიან გვინდა, რაც შეიძლება ქვემოთ გავათიოთ ღამე, რომ გზა, რომელსაც დილით ნახევარი საათი მოვუნდით, ახლა რამდენიმე წუთში ჩავირბინეთ.

მივქრიალართ, თითქოს ვლამობთ დროს გავუსწროთ: ნავარ-

---

[1] თავისუფალი დაშვება ორმაგი თოკით, ხოლო შემდეგ, ცალი ბოლოთი მისი გამოძრობა.

დით გადავრბიენართ პატარა-პატარა კლდეებზე, მივსრიალებთ ბუხრებში, კოტრიალ-კოტრიალით ჩავდივართ ქვემოთ. ძალე, მიუხედავად მძაფრი სიცივისა, ოფლში გავიწურეთ. საბოლოო ტემპში ვაღწევთ დილით დატოვებულ ბანაკს და თავს ვაცხრილავთ ნაცხა და სარკეს, რომლებიც კარვებს კვლავ ეკ. სულ მალე ჰამიდურის საწებლიან ძროხის ხორცს შევექცევით. ვაყოლებთ ნეგას, ტერაის მიერ მომზადებულ საუცხოო ჩაის და ვიხილავთ დაზვერვის შედეგებს. ამ აღმოსნებელმა. ენთუზიაზმით აღსავსე დამქანცველმა საათებმა მხოლოდ ერთ ტესტგებლო წიბოზე გამარჯვება მოგვიტანა. მიუხედავად ამისა, როგორც შემდეგ ტერაი ამბობდა, ვერაფერი ვერ შეედრება იმ შეუპოვარ ბრძოლას, რომელშიც ჩაქსოვილი იყო მთელი ჩვენი სიმამაცე, ძალა და ნებისყოფა.

ღრუბლები ლამის ზედ დაგვაწვეს. მაგრამ იმედი გვაქვს, გამოიდარებს. ვაღწევთ იმ მონაკვეთს, სადაც რეპშნური[1] ჰკიდია. ერთიმეორის მიყოლებით ვეშვებით უფსკრულში და ვიკრიბებით ვიწრო მოედანზე, სადაც ორი დღის წინათ მე და რეგბიუფამ ღამე გავათენეთ. ჩვენ მივექანებით ძნელ და საბიფათო ადგილზე და თან მიგვაქვს საბანაკო მოწყობილობის ორი სრული კომპლექტი. სარკეს პირველად აძრწუნებს დაშვების სისწრაფე, მაგრამ მალე ებმება საერთო ფერხულში. წიბო ძალიან დათოვლილია და დიდი სიფრთხილე გვმართებს, მაგრამ როგორც კი რთულ ადგილებს გავცდით, ისევ სირბილით განვაგრძეთ გზა. ყველა აღგზნებულია. თვალდათვალ გვიახლოვდება ჩვენთვის უკვე ნაცნობი ბალახოვანი ბორცვი. უკანასკნელი კლდეები გავიარეთ და, აი, უკვე ახალი თოვლით შეფიფქულ ბალახიან კალთებს მივყვებით. მალე მივაღწიეთ მოწინავე ბანაკს. რომელიც წიბოზე ასასვლელთანაა გამართული. ახლა რამდენიმე საათში გავირბინეთ გზა, რომელსაც ასვლის დროს ორი დღე-ღამე მოვუნდით. აქედან კარგად მოჩანს ხეობის სიღრმეში მორენაზე გამართული საბაზო ბანაკი. კარვები ყვითელი ლაქებივით მოჩანან ქვანაშალთა საერთო რუხ ფონზე. ძლიერი წვიმა, უფრო სწორად, სველი თოვლი, რომელიც რამდენიმე წუთის წინ მოდიოდა, სუსტმა თქორმა შეცვალა. მე

[1] რეპშნური — წვრილი დამხმარე თოკი.

და ტერაი ერთი შეხედვისთანავე ვუგებთ ერთმანეთს, სასწრაფოდ ვიღებთ კარვებიდან საჭურველს, მაგრად ვკეკნით ზურგჩანთებში და თავქვე ვეშვებით. შაკი და სარკე ცდილობენ, არ ჩამოგვრჩენენ, მაგრამ ჩვენ ჭურიკებივით მივჭრიალებთ. მიეხვევიან მძიმე ზურგჩანთებისა, რომლებიც წონასწორობას გვიფრთხილებენ. ეხტივართ ბალახიან კოლბოხებზე. ვიყენებთ ფერდობის სრულიად უმნიშვნელო უსწორმასწორობებს [illegible] მოძრაობის სისწრაფეს. მარცხნივ ტრავერსირებით გავდივართ, კულუარის ფსკერზე ჩამონადენი თოვლის „ენაზე" უყოყმანოდ ვიწყებთ სრიალს და შესანიშნავ ბრუდებს ვწერთ ბოსტვეებში. ასეთი მოხდენილი და სწრაფი ხერხით, რამ ნიმე წუთში ვაღწევთ მორენამდე.

შაკი ალბათ გაოცებულია, რისთვის გვჭირდებოდა ასეთი „მარულა?" სიმართლე რომ ვთქვათ, — არაფრისათვის. იმის მაგიერ, რომ თხუთმეტ წუთში დავშვებულიყავით, ჩვენ შეგვეძლია ეს გზა მშვიდად გაგვევლო ერთ საათში. უბრალოდ. ეზარ ძნელი, მაგრამ მშვენიერი დღე გვედო და ყველანი აღგზნებულნი ვიყავით.

საბაზო ბანაკში სენსაციური ამბავი მოგველის: ლაშენალმა და რებიუფამ გამოგზავნეს თავისი შერპი და გვაცნობეს: ყინვარის მარჯვენა კიდით გავლა შეიძლებაო. თვითონვე კისრულობენ გასვლას დიდ პლატოზე, რომელიც ჯერ არ უნახავთ, მაგრამ ანაპურნის ზედა კალთების დათვალიერება მათ მაინც ვერ მოახერხეს.

წიბოზე ყოფნის დროს მე და ტერაიმ 6000 მეტრის სიმაღლიდან შევათვალიერეთ გზის ეს ნაწილი და დავრწმუნდი, რომ პლატო თითქმის ჰორიზონტალურია და მასზე სიძნელეები არ შეგვხვდება.

ექსპედიციის მთელი დროის განმავლობაში, პირველად გამოჩნდა რაღაც იმედის მომცემი ნიშნები. აგვინაზღაურდება ბოლოს და ბოლოს შეუპოვარი სწრაფვა და გამარჯვების რწმენა? გაგვიხსნის მწვერვალი თავის საიდუმლოებას? მე ვფიქრობ, რომ უახლოეს ხანში გამოვიცნობთ ამას, და რამდენიმე საათის შემდეგ ექსპედიციის ბედი გადაწყდება.

ახლა, უპირველეს ყოვლისა, წვიმის, თოვლისა და ოფლისა-

გან დასველებული ტანსაცმელი უნდა გავიშროთ. მოვიდნენ შაცი და სარკეც. აქვე ვაზუსტებთ გეგმას ხვალისათვის.

— იცი რა, — მეუბნება შაცი, — მე რაღაც მარშრუტის მსგავსი შევადგინე. მომეცი ორი შერპი და...

— ორი შერპი? — აწყვეტინებს ტერაი,— კიდევ რა გინდა?

— ორი სასიმაღლო კომპლექტი და სამი დღის საგზალი!

— შეფს[1] უნდა „თავისი" ექსპედიცია მოაწყოს, — ირონიულად ამბობს კუზი.

— დააცადეთ, თქვას!.. რა მოიფიქრე?

— ერთი ადვილი თხემი შევიგულე, მგონი შევძლებთ ყინვარის გავლას ისე, რომ ყინულვარდნილი მარჯვნივ დარჩეს...

— მართალს ამბობს, — ჩავერიე მე, — ლაშენალსა და რებიუფას რომ იმედი გაუცრუვდეთ, რა ვიღონოთ მაშინ? განაცუდია, თუ სათადარიგო ვარიანტი გვექნება?

გადაწყდა! ხვალ, გარიჟრაჟზე ენთუზიაზმით აღსავსე შაცი, ახალ დაზვერვაზე წავა. მან მოძებნა გზა კუზისთან და უდოსთან ერთად მირისტიზე და ახლა იმედი აქვს საბოლოოდ აღმოაჩინოს ანაპურნის მისადგომები. მე, ტერაი და სარკე, უკანასკნელ დღეებში ძალიან დავიღალეთ და ხვალ დილით დასვენებას ვაპირებთ. ნასადილევს, აჯიბას მეთაურობით, ამხანაგების შესახვედრად გავალთ. ამჯერად იმედი გვაქვს, რომ გაგვიმართლებს და დიდი გაჭირვებით ვაიძულებ თავს, „დავკარგო" ძვირფასი საათები.

— კუზი, შენ მეტად უმადური სამუშაო გელოდება...

— ....

— წიბოზე მოწინავე ბანაკი უნდა მოხსნა, გადაიტანო და გამართო საბაზო ბანაკი ჩემს ნაჩვენებ ადგილზე, ეს იქნება უკიდურესი წერტილი, სადამდეც მზიდავები მიაღწევენ.

— დიახ, არცთუ ძალიან სამხიარულოა, მაგრამ რაკი საჭიროა!..

— რა თქმა უნდა, ეს აუცილებელია, თვითონაც ხომ გესმის. თანაც ერთი შერპის მეტი არ გეყოლება.

---

[1] ასეთია მარსელ შაცის მეტსახელი, რომელიც ალპინისტებმა შეარქვეს ჩაორგანიზაციო საქმეებისადმი ძლიერი მიდრეკილებისათვის.

— ეს ვერ არის კარგი საქმე!

— თვითონვე მოგიხდება თრევა...

ჩვენი მუდამ მოუსვენარი და მოფუსფუსე მეგობარი, გუნდის ყველაზე ახალგაზრდა წევრი, კუზი, იძულებული იქნება რამდენიმე დღის განმავლობაში ქვემოთ დარჩეს, შეტად მნიშვნელოვანი, მაგრამ შეუმჩნეველი სამუშაოს შესასრულებლად. ამ დავალებას იგი უზადოდ შეასრულებს, სიტყვის შეუბრუნებლად, თუმცა საკუთებით შეგნებული აქვს, რომ გადამწყვეტ იერიშის მომენტისათვის იგი ვერ იქნება საკმაოდ აკლიმატიზებული და მწვერვალის დაპყრობის დროს შეიძლება პირველთა რიგში ვერ აღმოჩნდეს — მისი საქციელი თავგანწირვის შესანიშნავი მაგალითია, რომელიც ქმნის კოლექტივის ძალასცუდი ამინდია, მაგრამ საღამოს ყველა მხიარულ გუნებაზეა. აღსავსენი ვართ იმედებით. ყველა ერთმანეთს ესიყვარულება და ეფერება... ახლოვდება დიადი გადაწყვეტილებების ჟამი.

იმ დროს, როცა კოკისპირული წვიმა გამაყრუებლად ურახუნებს კარვებზე, ჩვენ წყნარად და ნეტარებით ვიძინებთ თბილსა და მოხერხებულ საძილე ტომრებში. ძილბუნდში ჩემამდე აღწევს შეძახილები, პალოების ჟღარუნი, პრიმუსის შიშინი, კონსერვის ქილების კაკუნი, ქვათაცვენის ხმაური: შაცი ემზადება გასვლისათვის პანზისა და აილასთან ერთად. ჯერ კიდევ უკუნი ღამეა, როდესაც ის მოდის ჩემს კარავთან:

— მორის, მივდივართ!

— როგორი ამინდია?

— მთელი ცა ვარსკვლავებითაა მოჭედილი.

— მაშ, გისურვებ წარმატებას, მეგობარო!

— ჯერჯერობით, ნახვამდის!

რამდენიმე წუთს ისმის ფეხის ხმა მორენაზე: ამხანაგები მიდიან.

რა კარგია ნებივრობა, როდესაც სხვები შრომობენ! რა საოცარ სიამოვნოა ოცნება ძილ-ღვიძილში, როცა გავიწყდება დროის მიმდინარეობა, როდესაც იცი, რომ რამდენიმე საათის შემდეგ უსაქმობა მძიმე შრომით უნდა შეცვალო.

ექსპედიციის პირველი დღეებიდან ერთი წუთი მოსვენება არ მქონია. დღეს შემიძლია არაფერი ვაკეთო და მთლიანად გა-

შოვიყენო ეს შესაძლებლობა. ვდგები და მივემართები სხვა კარვებისაკენ. ტერაი რაღაცას არჩევს, ახარისხებს, ანაწილებს. მას წესრიგის მანია დაეუფლა. გადამწყვეტი ბრძოლის ზღურბლზე, უნდა, ყველაფერი მზად ჰქონდეს. ვიდრე თვითონაც ასეთ საქმიანობაში ჩავიძირებოდე, თვალს ვავლებ მთებს; მზე უკვე მაღლაა, ჰაერში სითბოა — კარგი დღე იქნება...

მაგრამ ყველაფერს დასასრული აქვს და მათ შორის მშვენიერ წუთებსაც. ერთი მნიშვნელოვანი საკითხი არ მასვენებს: ჰურსათი თითქმის გაგვითავდა, ნარჩენები უნდა აღვწეროთ. ვაგროვებთ ყველაფერს ერთად და კარავში ჩაცუცქული ვახარისხებ, ვთვლი, ვიწერ. ბოლოს ყველაფერი დამთავრდა, გაირკვა, შეჯამდა და სინდისიც დამიმშვიდდა.

ნასადილევს გავდივართ ვეება ზურგჩანთებით. დილით შევძელი დასვენება რვადღიანი განუწყვეტელი მუშაობის შემდეგ და შესანიშნავად ვგრძნობ თავს. ამინდი ისევ კარგია. ერთფეროვანი მორენები კილომეტრების მანძილზე ვრცელდება. დროდადრო ფეხი გვისხლტება ყინულზე მდებარე „ცოცხალ“ ქვებზე.

უეცრად ჩვენკენ მომავალ კაცს ვხედავთ — ეს აჯიბაა: შესანიშნავი ამბავი მოიტანა: ლაშენალი და რებიუფა ყინვარის პლატოზე გასულან. თავის ბარათში რებიუფა დასძენს, გზა მარჯვენა ნაპირის ადვილი კლდეებით მიდისო. ამგვარად, ანაპურნის ჩრდილოეთ ყინვარის დიდი ყინულვარდნილი გავლილია. გულგამხნევებულები ნაბიჯს ვუჩქარებთ.

ტემპერატურა სავსებით ასატანია, გარემომცველი კლდეები სითბოს აასხივებენ. დიდი ბარიერის კედლები, რომლისკენაც მივემართებით, სულ უფრო და უფრო ახლოდება; ისინი სრულიად გლუვი, მიუვალი, გრიფელივით რუხი ფერისანი არიან. როგორც ეს ხშირად ხდება ხოლმე, ყინვარის მარჯვენა ნაპირის მორენა მოხერხებული და ჩქარი მისასვლელი გზაა. ახლა აჯიბას მივყავართ. ნაშუადღევს ვაღწევთ მორენის დამრეც ნაწილს, რომელიც აქ ფართოვდება და დიდ ბარიერს ებჯინება.

შემდეგ საჭიროა ცოცვა მარჯვენა კლდეებით. აქ მზიდავები ვერ შეძლებენ გავლას. სახელდახელოდ ვხაზავ კროკებს, რომ-

ლითაც შემდგომ დავაზუსტებ საბაზო ბანაკის ადგილმდებარეობას. დრო მიჰქრის, დღესვე გვინდა გავიდეთ პლატოზე. ჩქარი ტემპით მივყავართ აჯიბას დიდი ბარიერის კონტრფორსებისაკენ. ხან სპირალური ნაპრალებით, ზოგჯერ ბუხრებითა და თაროებით, ხოლო შემდეგ კულუარებით გავდივართ ანაპურნის ყინულვარდნილის თავზე. სიმაღლე იგრძნობა. დავიღალეთ და ზურგჩანთები უფრო მძიმე გვეჩვენება. ღამდებოდა, როდესაც მივაღწიეთ დიდი ყინულის კედლის ძირამდე. აქ დაახლოებით 5100 მეტრის სიმაღლეზე ჩვენს მეგობრებს თავისი ბანაკი გაუმართავთ — მომავალი პირველი ბანაკი.

ისინი დაუფარავი სიხარულით გვხვდებიან. ახლა ბნელა, არაფერი ჩანს, მაგრამ მათს სიტყვებში სიმტკიცე ჟღერს:

ეჭვი არაა, რომ ანაპურნას დავიპყრობთ!

IX

ანაპურნა

ართლაც, მეორე დღეს განსაცვიფრებელი სანახაობა მომელოდა. თვალი რომ გავახილე, ლაშენალი და რებიუფა უკვე მშრალ კლდეზე ისხდნენ და თვალმოუშორებლივ შესცქეროდნენ ანაპურნას.

უეცარმა ყვირილმა მაიძულა კარვიდან გამოვვარდნილიყავი:

— გზა ვიპოვე, გზა! — ყვირის ლაშენალი.

მივედი მათთან. თოვლიანი კალთები დამაბრმავებლად ბრწყინავს და თვალები მეპუტება. ანაპურნა პირველად ანდობს ადამიანს თავის საიდუმლოებას, მისი უზარმაზარი ჩრდილოეთი კალთა, რომელიც ყინულის მდინარეებითაა დაფარული, ალმასივით ელავს. არასოდეს მინახავს ასეთი გიგანტური მწვერვალი, სრული თავისი სიდიადით. ეს მთელი სამყაროა, თვალისმომჭრელი და მრისხანე, თვალმიუწვდენი თავისი გრანდიოზულობით. მაგრამ ამჯერად ჩვენ წინ არაა შეეული კლდეები, დაღარული თხემები, დაკიდული ყინვარები და სხვა მსგავსი სიამენი, რომლებიც ზოგჯერ უტოპიად აქცევენ ხოლმე ყოველგვარ ფიქრს ასვლის თაობაზე.

— გესმის, — მიხსნის ლაშენალი, — ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ გავიდეთ, აი, იმ ყინვარზე, ნამგალს რომ ჰგავს, ანაპურნის ზედა ნაწილში. მის დასაწყისამდე რომ მივაღწიოთ, სულ მარცხნივ უნდა ვიაროთ, რომ ზვავში არ მოვხვდეთ.

— მაგრამ მაშინ, — აწყვეტინებს რებიუფა, — როგორღა გინდა შენი გზის დასაწყისამდე მიხვიდე? ყინვარი, პლატოს

მეორე მხარეზე, მთლიანად ნაპრალებითაა დასერილი. მასზე გადასვლა შეუძლებელია!

— შეხედე...

რაც ძალი და ღონე მაქვს, ვაჭყეტ თვალებს, მაგრამ უნდა გამოვტყდე, რომ, ენთუზიაზმით მოცულს, არ შემწევს ძალა ამხანაგების ახსნა-განმარტებას თვალყური ვადევნო.

ძლივს! ჩვენი მწვერვალი აქვეა, ჩვენს წინ.

დღეს 23 მაისია, ექსპედიციის ყველაზე შესანიშნავი დღე.

— შეხედე, — დაჟინებით მთხოვს ლაშენალი და გვერდზე იწევს თავის პატარა ნაქსოვ ქუდს. — ნაპრალებს შეიძლება მარცხნიდან მოუარო. შემდეგ საკმარისია ყინულვარდნილი დაძლიო პირაღმა და თანდათანობით მარჯვნივ იარო „ნამგლის“ მიმართულებით.

ჩვენს ყურადღებას წერაყინის წკრიალი იპყრობს. აჯიბა ამტვრევს ყინულს გასალღობად.

— შენი მარშრუტი, ბისკანტ, საკმაოდ პირდაპირი არაა. ნამდვილად წელამდე ჩავეფლობით თოვლში: გზა უნდა იყოს, რაც შეიძლება მოკლე, პირდაპირ მწვერვალისაკენ.

— ზვავები? — მეკამათება რებიუფა. საშიშროება ორივე მხარეს ერთნაირია და ბარემ უკეთესია იქით წახვიდე, საითაც უმოკლესი გზაა.

— კი, მაგრამ, კულუარი? — არ მნებდება ლაშენალი.

— თუ მას უფრო ზემოთ გადავივლით, საშიშროება არცთუ ისე დიდი იქნება. ამასთან, ხედავ შენს გზაზე ზვავების ნაკვალევს?

— დიახ, სწორია, — იძულებულია აღიაროს ლაშენალმა.

— ჰოდა, თუ ასეა, ვინ გვიშლის ავიდეთ პირდაპირ ზევით, მოვუაროთ სერაკებსა და ნაპრალებს, მარცხნივ მოვუხვიოთ და „ნამგალთან“ გავიდეთ, ხოლო იქიდან გეზი პირდაპირ მწვერვალისაკენ ავიღოთ?

ვგრძნობ, რებიუფა არცთუ ისე ოპტიმისტურადაა განწყობილი. თავის ძველ, ვიწრო სვიტერში, რომელსაც ყველა ალპურ ასვლებზე დაათრევდა, იგი ახლა უფრო მეტად, ვიდრე ოდესმე, ამართლებს შერპების მიერ მისთვის შერქმეულ მეტსახელს „ლამბა-საჰიბს“[1].

---

[1] გრძელი კაცი

— მაინც, — ანახლებს კამათს ლაშენალი, — შეიძლებოდა ავსულიყავით პირდაპირ კედლის ძირამდე და მარცხნივ ტრავერსირებით გაგვეღწია იმავე წერტილამდე...

თავიდანვე თუ მარცხნივ ავიღებთ გეზს, უთუოდ შევიმოკლებთ გზას.

— შენ მართალს ამბობ, ეს საესებით შესაძლებელია, — შეთანხმება ლაშენალი და თანდათანობით თმობს თავის პოზიციებს.

რებიუფას წინააღმდეგობაც ნელ-ნელა სუსტდება.

— ეი.... ლიონელ! აბა, მოდი აქ, ერთი წუთით, შეხედე!..

ყუთზე დახრილი ტერაი ჩვეული სერიოზულობით არჩევს პროდუქტებს. წითელი, პატარა სათხილამურო ქუდი და საუცხოო წვერი მეტად კოლორიტულ შესახედაობას აძლევენ მას. ეე პირდაპირ ვეკითხები, როგორია „მისი" მარშრუტი. თურმე მან უკვე დაათვალიერა მწვერვალი და გარკვეული აზრიც შეექმნა მასზე:

— ჩემთვის, მეგობარო, სავსებით ნათელია ყველაფერი! — ამბობს იგი და ქვედა ტუჩს წინ სწევს. დიდი კულუარის ზვავის კონუსის ზემოთ, პირდაპირ მწვერვალის ძირში... — და შემდეგ იწყებს ჩვენს მიერ განხილული გზის აღწერას.

ამგვარად, ყველანი ერთ აზრს ვადგავართ.

— სწორედ იქით უნდა წავიდეთ, — გაუთავებლად იმეორებს აღგზნებული ტერაი.

არანაკლებ აღელვებული ლაშენალი პირდაპირ მიყვირის:

— ასიდან ასი შესაძლებლობაა, რომ გამარჯვება ჩვენ დაგვრჩება!

რებიუფა უფრო თავდაჭერილია:

— თითქოს ეს მართლაც უფრო ადვილი და ყველაზე ლოგიკური მარშრუტია, — აღიარებს იგი.

საუცხოო ამინდია. ჯერ არასოდეს მთები ესოდენ მშვენიერი არ ყოფილა. დიდია ჩვენი ოპტიმიზმი, შესაძლოა, მეტისმეტიც, ვინაიდან კედლის გრანდიოზული მასშტაბები ისეთ რთულ დაბრკოლებებს გვიქმნიან, როგორიც ალპებში არასოდეს შეგვხვედრია. დრო არ ითმენს. თუ გვინდა, წარმატებას მივაღწიოთ, არც ერთი საათი არ უნდა დავკარგოთ. მუსონის დაწ-

ყენა მოსალოდნელია დაახლოებით 5 ივნისს. მაშასადამე, რჩება 10-12 დღე. საკვირაო სიჩქარე და სიჩქარე! ეს აზრი არ მასვენებს. აუცილებელია გავადიოთ მანძილები თანამიმდევრულ ბანაკებს შორის, მოვაწყოთ მაქოსებური ოპერაციების სისტემა, — უმცირესი დროის განმავლობაში, რაც შეიძლება მეტი ტვირთის ასატანად. ვიყოთ კლიმატურ პირობებს შეგუებულნი*, და ბოლოს, ამოვზიდოთ „ხურგი". უკანასკნელი გარემოება განსაკუთრებით მაწუხებს. ჩვენი ჯგუფი მომარაგებული იყო მარტო დაზვერვისათვის. ამჟამად მის განკარგულებაშია სურსათის მხოლოდ ხუთი დღის მარაგი და არცთუ საკმაო რაოდენობით საკურვლის კომპლექტები.

თავში ათასი საკითხი მიტრიალებს. ენთუზიაზმით აღვსილი ჩემი ამხანაგები ხმამაღლა პაექრობენ, მაშინ, როდესაც შერპები, ჩვეულებრივ, მშვიდად მიდი-მოდიან თავიანთი კარვის წინ.

აქ მხოლოდ ორი შერპია და ლაპარაკიც არ შეიძლება იმაზე, რომ ასვლა მათი იმედით დავიწყოთ. რა გაეწყობა. საჰიბები წავლენ მარტო და თვითონვე წაიღებენ ტვირთს. ამგვარად, ხვალვე იქნება შესაძლებელი მეორე ბანაკის გამართვა. ჩემი ამხანაგები ენთუზიაზმით იღებენ ამ წინადადებას, რადგან, სულ ცოტა, ორ დღეს ვიგებთ. ერთი შერპთაგანი, აჯიბა,

---

* იმ მომენტში მე ვთვლიდი:

1. რომ ორგანიზმის შეგუების უნარი და დრო, რომელიც საკვირაო აკლიმატიზაციისათვის, სხვადასხვა ადამიანისთვის სხვადასხვაა.

2. რომ შეგუების უნარი ბევრად არის დამოკიდებული წინასწარ წვრთნაზე.

3. რომ რომელიღაც კრიტიკულ სიმაღლეზე უფრო მაღლა, რომელიც სხვადასხვა ადამიანისათვის განსხვავებულია და შესაძლოა პროგრესულად გადიდებული, ადამიანი კარგავს თავის ძალ-ღონეს და აღადგენს მას ამ სიმაღლიდან დაბლა დაშვებისას.

4. რომ აღნიშნული კრიტიკული სიმაღლე, იმ ტაქტიკის მიხედვით, რომელიც ტარდება ექსპედიციის დაწყებიდან, ამ მომენტში, ჩვენი უმრავლესობისათვის უნდა იყოს 5000-6000 მეტრის სიმაღლეთა შორის.

ამ საკითხზე იხ. დოქტ. უდოს სტატიები ჟურნალ „La presse Medicale"-ში. ა). „ფიზიოლოგიური და კლინიკური დაკვირვებანი მაღალმთიანეთში", № 15, 7 მარტი 1951 წ. გვ. 297-300. ბ). „ჟანგბადის გავლენა მაღალმთიანეთში", № 17, 17 მარტი, 1951 წ. გვ. 326-327.

ჩავა საბაზო ბანაკში და წამოიყვანს იქიდან ჯგუფს პირველ ბანაკამდე, სადაც ამჟამად ვიმყოფებით. ამ ბანაკის გამართვა ხელახლა მოუხდებათ, რადგან აქედან ყველაფერი თან მიგვაქვს.

რაც შეეხება სარკეს, მას საპასუხისმგებლო დავალება ეძლევა: გადასცეს ექსპედიციის ყველა წევრს ჩემი ბრძანება იერიშის შესახებ.

ქაღალდის დიდ ფურცელზე ვწერ შემდეგს:

„სასწრაფოდ, საგანგებო შიკრიკის — სარკეს ხელით, პირველი ბანაკიდან ტუკუჩაში:

23 მაისი, 1950 წელი.

პირველი ბანაკი მოწყობილია ანაპურნის ყინვარზე.

ანაპურნის იერიში გადაწყდა!

ჩვენ გავიმარჯვებთ, თუ არც ერთი ჩვენგანი, არც ერთ დღესა და საათს არ დაკარგავს!

თითოეულს იმ ნაწილში, რომელიც მას ეხება:

კ უ ზ ი ს: რაც შეიძლება ჩქარა გადაიტანე საბაზო ბანაკი და გამართე იგი დაახლოებით ორი საათის სავალზე ძველი ადგილიდან, ფართო და მოხერხებულ მოედანზე, თოვლიანი კონუსის წინ და იქ გადაზიდეთ ყველაფერი. გამოგზავნე პირველ ბანაკში, რაც შეიძლება მეტი სურსათი, რაციები, ჩემი და გასტონის საძილე ტომრები, ლიონელის კედები. მიეცი სარკეს 15 რუპია. ის დევს ჩემ „სპილოს თათში"[1], რაც აგრეთვე უნდა გამომიგზავნო.

შ ა ც ს: თუ მალე დაბრუნდე წიბოდან, მოაწყვე პირველი ბანაკი, რადგან მე, ბისკანტს, ლიონელსა და გასტონს ყველაფერი მეორე ბანაკში გადაგვაქვს. პირველი ბანაკი გამართულია ყინვარის დასაწყისთან, სადაც დიდი ნიში დგას. იქ მოუყარეთ თავი მაქსიმალური რაოდენობის სურსათსა და საჭურველს.

მ ა რ ს ე ლ ს: ამოდი, რაც შეიძლება, ჩქარა. მე თანა მაქვს პატარა აპარატი. ამოიტანე ფირი. საბაზო ბანაკამდე მზიდავები ამოვლენ. შეგიძლია იქ დატოვო ფირის მარაგი.

---

[1] ნეილონის პარკი, რომელშიაც შეიძლება ორივე ფეხის ჩაყოფა — სიცივისაგან დასაცავად.

უ დ ო ს: ამოდი სასწრაფოდ პირველ ბანაკში და ამოიტანე პატარა აფთიაქი. ძირითადი შეიძლება დარჩეს საბაზო ბანაკში (კერძოდ, ქირურგიული მოწყობილობა).

ნ უ ა ე ლ ს: შეტად მნიშვნელოვანია! არც ერთი წუთი არ დაკარგო, გაგზავნე საბაზო ბანაკში ათი სასიმაღლო კონტეინერი, 6 კონტეინერი „ველი", სასიმაღლო ბანაკების ყველა კომპლექტი, უკანასკნელი უმტ[1] რაცია, სპირტის სამზარეულო „ულრიკანი", 10 ლიტრამდე ბენზინი. თოკი რვამილიმეტრიანი, ერთი ხვევა 30 მეტრი, თოკი ცხრამილიმეტრიანი, ორი ხვევა 15-15 მეტრი. რეპშნური ხუთნახევარმილიმეტრიანი 200 მეტრი, 15 ყინულის პალო, 5 კლდის პალო, ათი კარაბინი. ჯიბის ყველა ფარანი, ორი კარვის ფარანი და სათადარიგო ბატარეები.

ავსტრიული საავარიო ზურგჩანთა[2], ერთი წყვილი თხილაშური და ჯოხები, მარხილი, ხაძილე ტომრები ყველა იმათი, ვინც მეორე ეშელონში შედის, ემერსონის დანადგარი გაყვანილობით, 3 წყვილი სათადარიგო პაჭიჭი, 1 ბეწვის შარვალი, 2 დიდი კარავი (სამი იქნება საბაზო ბანაკში და 2 პირველ ბანაკში), 4 წყვილი ფეხსაცმელი: ერთი 41, ორი 42, ერთი კი 43 ზომისა. რამდენადაც ბარის ბანაკების კომპლექტები ცალ-ცალკეა დაქსაქსული (საძილე ტომრები და ლეიბები ტუკუჩაში დარჩა), აუცილებელია ამოიტანოთ ყველაფერი, რაც საჭიროა მათ დასაკომპლექტებლად.

გარდა ამისა, უნდა ამოიტანოთ: ყველა სათადარიგო ხელთათმანი და წინდა, ქუმელი და ბრინჯი შერპებისათვის. დანარჩენი დატოვეთ საიმედო მეთვალყურეობის ქვეშ. მოამზადე ათი სასიმაღლო და 6 „ბარის" კონტეინერი, რომლებიც შემდგომში გამოგვადგება. შემთხვევის დროს მათი გადმოგზავნა ერთ-ერთი შერპის თანხლებით იქნება შესაძლებელი. ამოდი, იქნები საბაზო ბანაკში. ე. ბ.-ს შეუძლია, აკეთოს რაც უნდა.

მ ა რ ს ე ლ ს: გაუგზავნე დეპეშა დევის: „პირველი ბანაკი— 5100 მეტრი. დაზვერვის შემდეგ გადავწყვიტეთ ანაპურნაზე

---

[1] მიმღებ-გადამცემი პორტატული ულტრამოკლეტალღიანი რაცია.

[2] ბრეზენტის ღვედებიანი მოწყობილობა — დაშავებულის ზურგით გადასაყვანად.

იერიში ჩრდილოეთ ყინვარიდან მივიტანოთ. გზა სულ თოვლ-
ყინულიანია. ამინდი ხელსაყრელია. ყველა კარგ ფორმა'შია.

იმედით აღსავსე ვარ. სალმით, ე რ ც ო გ ი".

ღრმა დაზვერვის შემდეგ საბოლოო იერიშზე გადავდი-ვართ. ეს ბრძანება სიხარულით აღავსებს ექსპედიციის ყველა წევრის გულს, მაგრამ მაფიქრებს ის, რომ ტუკუჩამდე მისაღწევად 4 დღეა საჭირო. მე ვუხსნი სარკეს:

— ანაპურნა! (ვუჩვენებ თითით მწვერვალს) Atcha now[1].

— Yes, Sahib.

— All Sahibs go now[2]. (ისევ ვუჩვენებ ანაპურნაზე).

— Yes, Sahib.

— This (მე ისე ვიჭერ თავს, თითქოს მივრბივარ) very quickly to Tukucha for all Sahibs: Couzy Sahib, Doctor Sahib, Noyelle Sahib[3].

სარკეს სერიოზული სახე აქვს. მან ჩემს თვალებში ამოიკითხა. რომ ეს ბრძანება განსხვავდება სხვებისაგან, მან გაიგო, რას მოველი მე მისგან. იცის, რომ აქ ცოტა სურსათი გვაქვს, ცოტა საკურველი და თუ საჰიბებმა მწვერვალზე წასვლა გადაწყვიტეს, მან უნდა უზრუნველყოს დახმარება.

სარკე ყველაზე უფრო ენერგიული და ძლიერია ჩვენი შერპებიდან. მას პირველხარისხოვანი მნიშვნელობის საქმე აქვს დავალებული. ის დგას ჩემს წინ ფართოდ ფეხებგაშლილი. ტიპიურ მონღოლურ სახეს უჩრდილავს თეთრი მატყლის ჩაფხუტი, რომელზეც დამაგრებულია მუქი სათვალეები.

— Go, Sarki! Good lusk It is very importantu... და მაგრად ვართმევ ხელს.

ერთ წამსაც არ კარგავს, ავლებს ხელს ბარგს, თავის ხორხისმიერ კილოზე რაღაცას აჩქარებით ეუბნება აჯიბას... და რამდენიმე წუთის შემდეგ ვხედავთ, თუ როგორ მიდიან ისინი ვეება მოელვარე ყინულის კედლის გასწვრივ და მორენის მიღმა უჩინარდებიან...

---

[21] ანაპურნა ახლა, მორჩა! 2. ყველა საჰიბი წავა ახლა. 3 ეს სასწრაფოდ უნდა წაიღო ტუკუჩაში ყველა საჰიბისათვის. 4 წადი, სარკე! გზა-მშვიდობისა! ეს ძალიან მნიშვნელოვანია...

მორის ერცოგი და სირღარი ანგ-თარკე.

სპზეიმო გასვლა: 15 მაისს ერცოგი, რეგიუფი და კუზი ტუ-კუჩიდან ანაპურნის დასაზვერად მიემგ-ზავრებიან.

ერთადერთი ფოტოსურათი, რომელზედაც ექსპედიციის მთელი შემადგენლობაა. იგი გადაღებულია ტანსინგში 1950 წლის 11 აპრილს. დგანან მარცხნიდან მარჯვნივ: ლუი ლაშენალი, ჟან კუზი, მარსელ შაკი, ექიმი ჟაკ უდო, ლიონელ ტერაი, მორის ერცოგი, ფრანსის დე ნუაელი და შერპები: ანგ-ტზერინგი (პანზი), სარკე, აკიბა, აილა, დავატონდუპი. სხედან: გასტონ რებიუფა, მარსელ იშაკი და შერპები: ფუთარკე, ანგ-თარკე და ანგავა.

მზიდაეები ადიან
კრიშნა-განდაკის ხეობით

ღამე ბანაკში

ანაპურნა—მოსავლის ქალღმერთი

ტილიჩოს ყინულოვანი პლატო



რამდენიმე ხანს თვალს ვაყოლებ მათ, შემდეგ ვბრუნდებ და მზით გაბრწყინებული ანაპურნის უზარმაზარი მთაგრეხილის მზერით ვტკბები. ჩვენს მახლობლად ცოტაა ჩრდილი. რამდენიმე წუთის წინ, სიცივისაგან ვცახცახებდით, ახლა კი, ჯერ ბუმბულის ქურთუკების, შემდეგ სვიტრების და, ბოლოს, პერანგების გახდაც კი გვიხდება.

შორს მოჩანს მთელს გარემოზე გამეფებული დჰაულაგირი, უფრო ახლოს ნილგირი. თავში გამიელვებენ ხოლმე მოგონებები... დამბუშ-კჰოლა, უცნობი ხეობა, დიდი ყინულოვანი ტბა, მანანგბოტი... რა შორსა ვართ ახლა ყველა იმისგან, რაც ჩაფიქრებული გვქონდა: „მსუბუქი ექსპედიცია“ — „ნეილონი“, როგორც ჩვენ მას ვუწოდებდით, „სწრაფი“ ექსპედიცია. ალპური ასვლების გამოცდილების ჰიმალაიში გადატანა — ასეთი იყო პარიზში დასახული ძირითადი ტაქტიკა. „საშიშროება, — ვთვლიდით ჩვენ, — ეს ზვავებია, მაშასადამე უნდა მივყვეთ თხემებს“. „რად უნდა დავამუშავოთ მწვერვალი შერპების გასავლელად? საჰიბები წაიღებენ თავის ზურგით ყველაფერს: რაკი შერპები არ იქნებიან, მაშასადამე, გზის დამუშავებაც აღარ იქნება საჭირო“.

აფსუს როგორი იმედგაცრუებაა! თხემებზე უმჯობესია, არც ვილაპარაკოთ. შერპები? რა კმაყოფილნი ვართ რომ ისინი აქ არიან! სიმსუბუქე? სიჩქარე? სიმაღლეთა ვარდნილობა აქ ისე დიდია, რომ ყოველთვის აუცილებელია მრავალრიცხოვანი შუალედური ბანაკები! და, გარდა ამისა, ჩვენ, ცხადია, სათანადოდ ვერ ვაფასებდით დაზვერვის მნიშვნელობას: მიხვიდე გამოკვლეულ რაიონში, მოუთმენლობით იწვოდე, იერიშზე მიისწრაფვოდე, სად?

ოთხივენი: მე, ლაშენალი, რებიუფა და ტერაი ვკრებთ ჩვენს ბარგს, ვტენით ზურგჩანთებში, რაც შეიძლება მეტ პროდუქტს, საჭურველს, კარვებსა და საძილე ტომრებს. ვტოვებთ მხოლოდ ერთ ყუთს, რომელშიც ისეთი ბარგია, რაც უახლოეს ხანში არ დაგვჭირდება. ვანაწილებთ ტვირთს: როგორც ყოველთვის, ზოგიერთები ამჯობინებენ მძიმე, მაგრამ მცირე მოცულობის ბარგს, სხვები კი პირიქით. ოც-ოცი კილოგრამის ზიდვა მოგვიხდება. ამ სიმაღლეზე, სადაც ძალის მცირეოდენი დაძაბვაც კი ძვირად გვიღირს, მძიმე ზურგჩან-

თების ქვეშ ოთხად მოკაკულები ძლივს მივაბიჯებთ. ღვედები მხრებში გვაჭერს. გვგონია, ხუთ წუთსაც ვერ ვივლით, მაგრამ, ძალუხედავად უზომო ტვირთისა, მაინც წინ მივიწევთ, რადგან დროის მოგების ფიქრი გვამხნევებს.

მწკრივად გაჭიმული, გრძელ თოკში ჩაბმული ოთხი საჰიბი ფრთხილად მიაბიჯებს დიდი პლატოს თოვლზე, ანაპურნის ძირში. ცხელა, მზე პირდაპირ დაგვყურებს და ამ ყინულოვან ცირკში ბრ'ი სხივები მთლიანად ირეკლება გარემომცველი კედლებიდან. მალე მოძრაობა ღონეს გვაცლის. გონებას გვიჩლუნგებს, სული გვეხუთება და ოფლში ვიწურებით. ვჩერდებით. ვიღებთ გლეტჩერის მალამოიან ტუბებს და პასტის სქელი ფენით ვიფარავთ გაოფლიანებულ სახეებს. რებიუფა და ლაშენალი, როგორც ჩანს, უფრო მეტად იტანჯებიან, ვიდრე მე და ტერაი. ისინი იღებენ საძილე ტომრებიდან შალითებს, აკეთებენ მათგან კუკულუქსკლანელთა კაპიშონების მსგავს საბურველებს და გვარწმუნებენ, რომ ასეთი კონსტრუქცია მშვენივრად იცავს გამოსხივებისაგან. მე ეს არა მჯერა, რადგან მათ, როგორც ეტყობა, სული ეხუთებათ, ამიტომ მე და ტერაი მალამოს ვამჯობინებთ.

ამ თაკარებაში ჰაერი თითქოს გაქრა. ოღონდაც მალე მივაღწიოთ პირველ კალთებამდე! ტვირთი კი, რომელიც მიწისაკენ გვღუნავს!.. მთელი ჩვენი ვაკკაცური ძალ-ღონის დაძაბვა გვიხდება, რომ დაღლილობა და ქოშინი ვძლიოთ. ფორთხვით გადავდივართ კლდოვან კუნძულზე, გიგანტური სერაკების ქვეშ. მთელი ტყე სტალაქტიტებისა, რომლებიც მზის სხივებს ფანტასტიკურად გარდატეხენ, შიშისმომგვრელად გადმოწოლილა ჩვენს თავზე. მე და ტერაი რიგრიგობით მივიკვლევთ გზას, დანარჩენი ორი მგონი უკვე „მივიდა". სუნთქვა გახშირებული და არათანაბარი გვაქვს. თავს იჩენს ექსპედიციისათვის რეკორდული 6000 მეტრიანი სიმაღლის გავლენა.

რაღა მოგვივა 7000 მეტრზე მაღლა?.. ეს აზრი მოუშორებლად მიტრიალებს თავში და მალე ვრწმუნდები, რომ ჩემი ამხანაგებიც ამაზე ფიქრობენ.

— ბოლოს და ბოლოს, მზიდავები ხომ არა ვართ? — შესძახებს ლაშენალი.

— იმისთვის კი არ ჩამოვსულვართ ჰიმალაიში, რომ სიმძიმეები ვათრიოთ, — კვერს უკრავს რებიუფა.

ტერაის აკრეფილებს აღშფოთებისაგან:

— მთამსვლელს უნდა შეეძლოს ტვირთის თრევა!

ლაშენალი წერაყინზეა დაყრდნობილი, რებიუფა ეშვება ზურგჩანთაზე. დაწითლებული სახეები ოფლითა აქვთ დაფარული, ყოველგვარ გამომეტყველებას მოკლებულ, უსიცოცხლო თვალებში ერთბაშად მრისხანება ენთება:

— თუ ახლავე ჩავკვდით ამ იდიოტური მუშაობით, რაღა იქნება რამდენიმე დღის შემდეგ? ჩვენ ხომ კიდევ სერაკებზე მოგვიხდება გზის გაკვლევა.

ტერაი აფეთქდა:

— და ესენი კიდევ შამონელ მეგზურებს უწოდებენ თავის თავს! უბედურო ნიკრისიანებო!

— შენ რაც მეტს აგკიდებენ, მით უფრო უკეთ გრძნობ თავს, მოგწონს ასეთი ვირული მუშაობა! — ყვირის ლაშენალი.

— როდესაც საჭიროა, მე ვათრევ ტვირთს!

ვცდილობ დავაშოშმინო ისინი.

— რა თქმა უნდა, მძიმეა, ვიცი, მაგრამ ამით ხომ ჩვენ ორ დღეს მოვიგებთ. თუ ასვლა წარმატებით დასრულდა, ეს შესაძლოა, სწორედ იმის წყალობით მოხდეს, რასაც დღეს ვაკეთებთ.

რებიუფა სიტყვას მიბრუნებს:

— შენ და ტერაის შეგიძლიათ ათრიოთ, ჩვენ კი აღარ შეგვიძლია!

— თქვენ ხომ ზეადამიანები ხართ, — დასძენს ლაშენალი — ჩვენ კი საცოდავი წვრილფეხობა.

ეს გესლიანი შენიშვნა თითქოს შვებას აძლევს მას და წინსვლა გრძელდება. „ზეადამიანები" რიგრიგობით კვალავენ გზას. სულ გამოვტვინდით, მუხლები გვეკვეთება, ნელა და არათანაბრად მივაბიჯებთ, მაგრამ მაინც ბრძოლით ვართმევთ მწვერვალს თითოეულ მეტრს. ავტომატებივით ვმოძრაობთ, მზერა წინმავალის ტერფზეა მიჯაჭვული. ცთუნების აყოლა და გაჩერება ასეთ შემთხვევაში დაუშვებელია. არავითარი დათმობა! დროგამოშვებით, ტერაი, გასამხნევებლად, რჩეული ლანძღვა-გინებით გვიმასპინძლდება. შესაძლოა, ეს გინება

არც ისე აუცილებელია, მაგრამ გულის სიღრმეში თითოეული იძულებულია აღიაროს იგი სამართლიანად.

უკანიდან რაღაც შეძახილები მოისმის. ეს მხოლოდ შაცი შეიძლება იყოს. მისი მარშრუტი აქ ხვდება ჩვენსას. ხომ არ იპოვა მან „იდეალური“ გზა? ყოველ შემთხვევაში, ეს ჩინებული საბაბია ხანგრძლივი გაჩერებისათვის. წერაყინებს თოვლში ვასობთ, მათზე ვაცვამთ ზურგჩანთების ღვედებს და ძოხერხებული დასაჯდომებიც მზადაა. ვხსნით კონსერვებს, ვეწაფებით მათარებს, თუმცა თითოეული ყლუპი აღრიცხვაზეა, რადგან წყლის მარაგი მეტად მცირეა.

შაცი მოდის ორი შერპის თანხლებით.

— აი, ძმებო, მეც „ამოვედი“!

ჩვენს ამხანაგს ძალზე გატანჯული სახე აქვს. ალბათ ჩვენც არანაკლები გადაგვხდა, მაგრამ ის ერთადერთი საჰიბი იყო ჯგუფში.

— აბა, გვიამბე, რა წარმატებები გაქვს?

— ეს გზა არ არის საინტერესო! თუ თქვენი გზით შეიძლება გავლა, ჩემი უნდა დაივიწყოთ.

— როგორ, მეტისმეტად რთულია?

— დიახ. ამასთანავე... ძალიან სახიფათო. იმის მაგივრად, რომ მშვიდად გამომეევლო კონტრფორსის ზედა ნაწილიდან პლატოსაკენ, მე გადავთხარე საშინლად ციცაბო და დიდებული სერაკებიანი ყინვარის გვერდითი შტო! გუშინ ძლივძლივობით მოვახერხეთ კარვის დადგმა ციცქნა მოედანზე. ამ დილით გამოვიარეთ სერაკების კედლის ძირში, რომლებიც ყოველ წუთს შეიძლებოდა თავზე ჩამოგვქცეოდნენ და, ბოლოს, დავძლიეთ საოცრად ციცაბო თოვლიანი კალთა, რომელზე დაშვებითაც არაფრის გულისათვის სიცოცხლეს საფრთხეში არ ჩავიგდებდი.

— შემდეგ რა იყო?

— შენი აზრით, ეს ცოტაა? შემდეგ თქვენ დაგინახეთ და ვიწყე სერაკებს შორის გაძრომ-გამოძრომა, რომ თქვენს ნაკვალევამდე მომეღწია... ახლა გვეყოფა ლაყბობა, მგელივით მშია!

ვიდრე იგი მონდომებით დამზადებულ საუზმეს ნაჩქარევად

ყლაპავს, გარს გვეხვევა ნისლი — ქარიშხლის ჩვეული წინამორბედი. ტერაი გვაჩქარებს:

— წავიდეთ!

ხილვადობა თანდათან მცირდება. ყველაფერი სქელი ნისლით იბურება. გზა, რომელსაც მე და ტერაი ალალბედზე მივიკვლევთ, ალბათ სულაც არაა საუკეთესო, მაგრამ რა გაეწყობა? დღეს სადღაც, შუა პლატოზე, ზვავებიდან მოშორებით მეორე ბანაკი უნდა გავმართოთ. ბარდნას იწყებს. ზურგჩანთებიდან შტორმულებს ვიღებთ. ახლა ტერაი ჩემს უკან მოდის და მასზე ვიღებ ორიენტაციას, რომ სწორი გზით ვიაროთ. სულაც არა მაქვს სურვილი, წრიულად ვიჩანჩალო, როგორც ეს უკვე მემართებოდა მსგავს ვითარებაში. ჩემი ვარაუდით, ახლა დაახლოებით პლატოს ცენტრთან უნდა ვიმყოფებოდეთ. ყოველ შემთხვევაში, ღამეს აქ გავათევთ.

საჰიბები და შერპები ერთიმეორის მიყოლებით მოდიან ჩემთან და იხსნიან ზურგჩანთებს. მცირე ხნით ვთათბირობთ. შერპების მარტო გაშვება პირველ ბანაკში სახიფათოა. ლიონელ ტერაი, რომელიც კარგ სპორტულ ფორმაშია, კისრულობს მათ გაყოლას.

უკვე გვიანაა და კვლავინდებურად უხვად ბარდნის. ტერაი ჩქარობს, რადგან ნაკვალევი უკვე ძლივსღა მოჩანს. ღამეს ის პირველ ბანაკში გაათევს, სარკეს საძილე ტომარაში, ხოლო შერპებს საბაზო ბანაკში გაისტუმრებს, იქით უკვე გზა რთული არ არის. ამგვარად, ჩვენ გვეყოლება ხალხი უახლოესი მაქოსათვის![1]

— არა, ლიონელი აშკარად არანორმალურია, — შენიშნავს ლაშენალი, — მას მოსწონს წამებულად მოგაჩვენოს თავი! გასტონ, განა მოგივა აზრად, რომ საბაზო ბანაკში ჩასვლისა და ღამის კომფორტულად გატარების ნაცვლად იძინო ქვებზე, რომელიც ზურგში გერჭობა... და კიდევაც იტრაბახო ამით?

რებიუფას მიმიკა მეტად მჭევრმეტყველურია, იგი ასეთ თვითგვემას სრულ უაზრობად თვლის. თითოეულ ალპინისტს

---

[1] „მაქოები“ ეწოდება განმეორებით რეისებს ერთი და იგივე მარშრუტით, საშუალედო ბანაკების მოსაწყობად.

თავისებური ხასიათი აქვს. ქვეყანაზე უფრო ჯიუტ ხალხს ვერ ნახავ.

ჩვენი საბრალო მეორე ბანაკი თოვლშია ჩაკარგული. ყურებს გვიქედავს ზვავების განუწყვეტელი გრიალი. არავინ იცის, სად ცვივა ისინი. ჩანს, ამაღამ არცთუ ისე მშვიდი ძილი გვექნება.

თოვლიან გრიგალთან და ქართან ბრძოლაში ვასწორებთ მოედნებს, ვასობთ პალოებს, ვეჭიმავთ კარვებს. ერთი საათის შემდეგ უკვე ყველანი სითბოში ვისვენებთ.

მე და შაცი „საცდელ" კარავში ვთავსდებით, რომელიც დანარჩენი თოთხმეტისათვის პროტოტიპია და ცოტა უფრო დიდია მათზე. შაცი მარწმუნებს, რომ თუ თავს კარვის სიღრმეში ვიზამთ, კომფორტი იდეალური იქნება. დიახ, შესაძლებელია... მაგრამ არც ერთხელ ასე ცუდად ღამე არ გამიტარებია და არასდროს ჩემს სიცოცხლეში აღარ გავიმეორებ ასეთ ცდას, რადგან კინაღამ გავიგუდე. ვამჯობინებ ყოველთვის თავი შესასვლელისკენ ვქნა, აქ სუფთა ჰაერით მაინცა ხარ უზრუნველყოფილი! სხვა მხრივ შაცი იდეალური კომპანიონია! საძილე ტომარაში მწოლარე, თვალს ვადევნებ, როგორ ამზადებს იგი საჭმელს. მსუყე ვახშამი პირდაპირ „ლოგინში" მომდის. მალე ძილისმომგვრელი ფხვნილი თავისას სჩადის, ლაყბობა წყდება და სწრაფად ვიძინებთ.

ვიდრე ჩვენ ამგვარად ვეგუებით გარემოს, ტერაი, რომელიც ღამის გასათევად პირველ ბანაკში ჩავიდა, იძულებულია ძლიერი ქარის გამო ღამის ნაწილი უძილოდ გაატაროს. უხვად ათოვს და მთლიანად ფარავს მას. მიუხედავად გაგუდვის საშიშროებისა, იგი თავიანად ეხვევა შტორმულაში. რამდენიმე საათის შემდეგ, სრულიად გატანჯული, თავქვეშ ქვას იდებს და ღრმა ძილს ეძლევა.

მეორე ბანაკში, 5900 მეტრის სიმაღლეზე, 9 საათზე ვიღვიძებთ. უკვე თბილა და კარვის კედლებში მზის ოქროსფერი სხივები ატანს. მაგრამ რა ძნელია გაყინული ფეხსაცმელების ჩაცმა: — პირდაპირ გახევებულან. ამიერიდან ყოველთვის საძილე ტომარაში ჩავიყოლებ მათ. გარეთ ვყოფ თავს: ცაზე ღრუბლის ნატამალიც არ ჩანს. ზღაპრული სანახაობაა.

ჩვენს ირგვლივ, 7000 მეტრზე უფრო მაღლა, მწვერვალებისა და თხემების ფანტასტიკური მწკრივი იშლება.

გვერდით, პირდაპირ ჩვენს თავზე, შესანიშნავი, დასერილი თხემი მოჩანს. მას „ყვავილოვანი კომბოსტო“ შევარქვით. უფრო ქვევით იგი გადადის სწორედ იმ ჩრდილო-დასავლეთ წიბოში, რომელზეც ამაოდ ვხარჯავდით ჩვენს ძალ-ღონეს. ახლა იგი მთლიანად ჩანს და, ცხადია, ჯერ მისი მეათედი ნაწილიც კი არ გაგვივლია! სიურპრიზია!.. წიბოს შუაგულში — უზარმაზარი, დაუძლეველი ჩანაქცევია. ამგვარად, სინდისი შეიძლება დამშვიდებული გვქონდეს.

სიღრმეში მკაფიოდ ჩნდება კრისტალივით მბრწყინავი დჰაულაგირი. უფრო ახლოს ჩვენთან — მიუდგომელი და დიდებული ნილგირი. მარჯვნივ, ჩვენი ციცქნა ბანაკის თავზე, აღმართულია დიდი ბარიერი, რომლის კედლები შეეულად ეშკება მირისტი-კჰოლას ზედა ცირკში. უფრო მარჯვნივ მოჩანან უზარმაზარი ამობურცული ყინვარი და ლამაზი მწვერვალი, სახელგანთქმული „შავი კლდე!“

შემოვბრუნდი: მზეზე ელვარებს უამრავი სერაკებითა და ნაპრალებით სავსე გრანდიოზული ყინულის კედელი. მას ზემოთ, განუზომელ სიმაღლეზე, ალმასივით მბრწყინავი ანაპურნა მეფობს ყველაფერზე, როგორც ქალღმერთს შეჰფერის. იგი ისეთი მაღალია, რომ დასათვალიერებლად თავის უკან გადაგდება გვიხდება.

მღელვარებით შევცქერი კლდეს, რომელზედაც იერიში უნდა შევიტანოთ. რა ზვიადია ეს ყველაფერი და რა სუსტები ვართ ჩვენ მასთან შედარებით! როგორი ტაქტიკა გამოვიყენოთ? სწორად უნდა შეეაფასო ჩემი ამხანაგების მდგომარეობა, გავითვალისწინო ამჟამად ჩვენს განკარგულებაში მყოფი საკურვლის ნაკლებობა, ტექნიკური სიძნელენი, საშიშროებანი და, რაც მთავარია, მოსალოდნელი შეფერხებანი. რამდენი მოქმედი ფაქტორია! ასეა თუ ისე, მტკიცედ გადავწყვიტე, ამინდის პირობების მიუხედავად, დავაჩქარო ბანაკების მოწყობა, თუ, რა თქმა უნდა, ქარიშხალი არ ატყდა. ყველაფერი მათემატიკურ ფორმულამდე დაიყვანება: ყოველდღიურად შევასრულოთ სამუშაოს კილოგრამომეტრების მაქსიმუმი, რათა გადამწყვეტ იერიშამდე ამსვლელთა სპორტული ფორმის

მაღალი დონე შევინარჩუნოთ. ამ მომენტში ჩვენ, მწვერვალთან ახლო მყოფნი, ვერ შევძლებთ თავიდან ავიცილოთ ორგანიზმის დასუსტება და მაშინ თითოეული ჩვენთაგანის ფიზიკური და მორალური შესაძლებლობანი მთელი თავისი ძალით უნდა გამოვლინდეს. ამასთან უნდა გავითვალისწინოთ რაღაც რეზერვი, რომელიც დაშვებისთვისაა აუცილებელი.

დილით გუშინდელი დაღლილობის კვალიც კი აღარ გვეტყობა. უნდა ვისარგებლოთ კარგი ამინდით და ავიდეთ მესამე ბანაკის მოსაწყობად.

ფეხსაცმელებზე შემსუბუქებულ წრიაპებს ვიკრავთ, რომელთანაც ამიერიდან აღარ მოგვიხდება განშორება. თან მიგვაქვს ერთი კარავი, ხოლო მეორეს მცირეოდენი პროდუქტებით ადგილზეევ ვტოვებთ. თითოეულზე მოდის, დაახლოებით, ათი კილოგრამი ტვირთი. ბანაკის დატოვების წინ კიდევ ერთხელ ვათვალიერებთ ყინულის კედელს. ვცდილობთ, შევარჩიოთ გზა მრავალრიცხოვან სერაკებს შორის, რომლებითაც გაპედილია კალთა, ვინაიდან კედელზე გასვლის შემდეგ უკვე ვეღარ შევძლებთ რაიმეს დანახვას ორმოცდაათ მეტრზე უფრო შორს.

თოკში კარვების მიხედვით ვებმებით: ლაშენალი და რებიუფა წინ მიდიან, ხოლო მე და შაცი მეორე თოკზე ვართ.

თითქმის ათი საათია, დროა გავემგზავროთ! საგულდაგულოდ ვკეცავთ კარავს, ერთადერთს, რაც მეორე ბანაკიდან რჩება და მივემართებით მწვერვალისწინა კალთებიდან ჩამონალექ დიდი ცენტრალური კულუარის ზვავის კონუსისაკენ. მივდივართ პირდაპირ, რადგან გზადაგზა ნაპრალები ცოტაა. თოვლზე ფეხები გვეყინება და მგრძნობიარობას კარგავენ. ამავე დროს ჰაერში ისეთი სითბოა, რომ ბუმბულის ქურთუკებს ვიხდით. შემზარავი ყინულის კედელი სახურავივით სულ უფრო და უფრო დაბლდება ჩვენს თავზე. მარცხნივ —წმინდა ყინულის ტიპიური ჰიმალაური თხემი მანცვიფრებს თავისი ლაჟვარდოვნებით, რასაც კიდევ უფრო ამკვეთრებს გვერდითი განათება. მარჯვნივ თეთრად ქათქათებს „ყვავილოვანი კომბოსტოს“ სპეტაკი არშიისებრი თხემი და თითქოს დაგვცინის: „აბა, სცადეთ ჩემთან მოახლოებაო!“

ციცაბოების ამ არაჩვეულებრივ სამყაროში წონასწორო-

ბის ცნებას განსაკუთრებული აზრი ენიჭება, ამ ქაოსის პერსპექტივა ქმნის ძირშივე მცდარ პირველ შთაბეჭდილებებს.

აი, უკვე მთელი საათია, რაც მოვდივართ და მხოლოდ ახლა შევდგით ფეხი კონუსის კალთებზე! მაღელვებს ფიქრი იმაზე, თუ რა მოგველის შემდგომ: შთაბეჭდილება იქმნება: თითქოს მილიარდი ტონა გიგანტური ნაკადი აუწერელ უწესრიგობაში გაყინულა. რაც უფრო ვუახლოვდებით კედელს, მით უფრო ციცაბოა ფერდობი. ჯოჯოხეთური გრიალით ეშვებიან სერაკები. ვარდნილი ზვავების გუგუნი ნერვებზე მოქმედებს. ჯერჯერობით კულუარი სუფთაა, მაგრამ რამდენიმე წუთის განმავლობაში დიდი საფრთხის წინაშე ვიქნებით, რადგან კულუარის ყელის გადაკვეთა მოგვიხდება. რა თქმა უნდა, ეს მცირე მონაკვეთია, მაგრამ ზედა კალთებიდან ჩამოვარდნილი ყოველი ლოდი უცილობლად აქ ხვდება.

პირველად ლაშენალი გადადის. თითოეული ჩვენგანი რიგრიგობით მიჰყვება მის კვალს, კულუარის კიდეზე მდგომი ამხანაგების დაძაბული ყურადღების ქვეშ. ჩვენს თავზე უზარმაზარი ყინულის სახურავია, რომელიც ახლა, მზის ჩასვლისას, უღიმღამო მწვანე ფერად ელავს. საეჭვო დაცვაა! გაუძლებს კი იგი, ზვავი რომ წამოვიდეს?

ყველაფერი რიგზეა, სახიფათო ადგილი გავიარეთ და აქოშინებულები ვდგავართ კულუარის მეორე მხარეზე. შესვენებისათვის მოუხერხებელი ადგილია, ფერდობი იმდენად ციცაბოა, რომ თოვლი მასზე არ ჩერდება. აქ დაყოვნება არ შეიძლება.

წინა ჩაბმა სწრაფად ჭრის ერთ ბეწო საფეხურებს, რომელიც ძლივს ეყოფა წრიაპის მხოლოდ წინა ორ კბილს. გლუვი, მაგარი, მინის მსგავსი ყინული, წერაყინის დარტყმისას, მშრალი ტკაცანით იფანტება ირგვლივ. ყინულის ნამსხვრევები თავბრუდამხვევი სისწრაფით მიექანებიან უფსკრულში და უჩინარდებიან, თანაც ყოველთვის პატარ-პატარა ზვავებს იწვევენ. განვაგრძობთ გზას მარჯვნივ, სერაკების მფარველობის ქვეშ. არცთუ ისე საიმედო თოვლის ხიდით ვაღწევთ თოვლით დაფარულ პატარა მოედანს, სადაც ბოლოს და ბოლოს დასვენება შეიძლება. ჯერჯერობით კარგი ამინდია, ცაზე რამდე-

ნიმე პატარა უწყინარი ღრუბელი დაცურავს. ყველანი მხნედა ვართ.

ჩვენს ქვემოთ მთელი თავისი სიდიადით იშლება პლატო, რომელზედაც მეორე ბანაკია გამართული. კარავი ოდნავ მოჩანს და მისი მოძებნა შეიძლება მხოლოდ ჩვენი დატოვებული ნაკვალევით. წინ, შემდგომი მარშრუტი ცუდად გამოიყურება. ჩვენ ზემოთ, ორმოცდაათ მეტრზე, უზარმაზარი ყინულის კედელი გვიღობავს გზას. არც მარცხნივ, არც მარჯვნივ შემოსავლელი არა აქვს. ნუთუ თავიდანვე ჩიხში მოვხვდით?..

მე და შაცი ვიწყებთ გადამწყვეტ შეტევას. წელამდე ვეფლობით. თოვლის ქვეშ მაგარი ყინულია და ფეხი გვისხლტის. ორივე ხელს ვიკიდებ მარჯვენა ფეხზე და მარცხენა მუხლზე დაყრდნობილი, ოცდაათი სანტიმეტრით წინ ვიწევ თოვლზე, შემდეგ ვარჭობ წერაყინს, რაც შეიძლება მაღლა ვეჭიდები, ვიწევ ზევით და ვცდილობ გავათავისუფლო უკან დარჩენილი ფეხი, მაგრამ ვცურდები ისევ ძველ ადგილზე. ლამის გული საგულედან ამოვარდეს, ფილტვები სადაცაა დამაწყდება. ბოლოს და ბოლოს, ნამდვილი სანგრის ამოთხრა გვიხდება. მთელი საათი მოვანდომეთ ამ ორმოცდაათ მეტრს.: ახლა ძალიან ახლოს მივედით კედელთან და, მიუხედავად ცხელი დღისა, სიცივისაგან ვცახცახებთ. გულდასმით ვათვალიერებ მტერს; თოვლით ამოვსებული მრუდე ნაპრალი საშუალებას მოგვცემს ვეებერთელა ყინულის ლავგარდანის ქვეშ ავიდეთ. მრავალრიცხოვანი ზვავებით დახვეწილი ამ ამაყი კოლოსის დაძლევა წერაყინის დახმარებით მოგვიხდება. ვიდრე საქმეს შეუდგებოდეთ, მეორე ჩაბმას ვატყობინებ, რომ სახურავზე ასვლისათვის საჭირო იქნება არანაკლებ ორი საათისა. ამ ხნის განმავლობაში, მათ შეუძლიათ გაიარონ კედლის გასწვრივ, უფრო ადვილი გზის მოსაძებნად.

ერთი წუთით ვიხსნი სათვალეს, მაგრამ ვერ ვუძლებ თოვლის დამაბრმავებელ ბრჭყვიალს. შორს, ქვემოთ, მოჩანს მცენარეულობის მწვანე ლაქა, რომელზედაც თვალებს შეუძლიათ ცოტა დაისვენონ. ვწმენდ ცხვირსახოცით თოვლისა და ოფლისაგან დაბურულ სათვალეს, ვამოწმებ კვანძს წელზე, ყინულის პალოების რაოდენობას, ჩაქუჩ-წერაყინს. უკანასკნე-

ლად ვიხედები შაცისაკენ, რათა დავრწმუნდე, რომ ის საიმედოდ დგას.

— მივდივარ! თოკი მოუშვი, გეთაყვა!

— მიდი, — მეუბნება შაცი და ცოტ-ცოტაობით უშვებს თოკს, თოვლში მაგრად ჩასობილი წერაყინის გარშემო.

ვიწყებ ნაპრალის გაწმენდას. თოვლი მკვრივია და მაგარი. ამ სიმაღლეზე ეს მუშაობა აუარებელ ძალას მართმევს. ყოველი დარტყმის შემდეგ გაჭირვებით ვითქვამ სულს. ბოლოს, ვჭრი ოცდაათი სანტიმეტრის სიღრმისა და ერთ მეტრამდე სიგრძის პატარა მოედანს, რომელზეც მოკრუნჩხული და გადმოწოლილ ყინულზე თავმიბჯენილი ძლივს ვთავსდები. საჭიროა კიდევ ჰორიზონტალურად ორიოდე მეტრზე წინ წაწევა. ბრძოლით ვართმევ კედელს თითოეულ სანტიმეტრს, ნაპრალი ვიწროვდება. კედელი უფრო ძლიერად მაწვება და უფსკრულისაკენ მიბიძგებს. გზას ფორთხვით ვამთავრებ. პირქვე ვწევარ და კრუნჩხვით ვეჭიდები წერაყინის ტარს, ჩემს ერთადერთ საყრდენს. ახლა საჭიროა ყინულის ლავგარდანში გაღწევა. ყოველგვარი საყრდენი წერტილების გარეშე, ცალი ხელით, არ შემიძლია მთელი ძალით ვჭრა საფეხურები... ყინულის ნამსხვრევები შაცს ეყრება თავზე, რომელიც მედგრად უძლებს ამ „შხაპს“. ის ფხიზლად ადევნებს თვალს ჩემს მოძრაობას და, მოწყვეტის შემთხვევაში, მზადაა დამაზღვიოს. უწინარეს ყოვლისა, ვამტვრევ ლავგარდანის კიდეს, რომელიც ხელს მიშლის. ყინულში ამოკაწრული რამდენიმე „ჯიბე“ მარცხენა ხელმოსაჭიდის მაგივრობას მიწევს. უფსკრულის თავზე დაკიდებული, გადმოწოლილ ყინულზე მიკრული მარცხენა ხელით მივიწევ ზევით და ნელა, ძალიან ნელა ვსწორდები, ვგრძნობ, რომ შაცი დაძაბული ყურადღებით მიცქერის. ვითავისუფლებ მარჯვენა ხელს, ვტაცებ მას წერაყინს და ლავგარდანზე ვჭრი უფრო საიმედო ხელმოსაკიდს მარცხენასათვის. შემდეგ ვასობ წერაყინს ნისკარტს, ვმაგრდები მასზე მარჯვენა ხელით და თვალის დახამხამებაში ვეჭიდები ამ ხელმოსაკიდს. წარმოუდგენელი გაჭირვებით ვჭრი ლავგარდანზე, რაც შეიძლება მაღლა, ორ საფეხურს, ისინი შესაძლებლობას მომცემენ, ლავგარდანის დაძლევის შემდეგ რამდენიმე წუთით ფეხი მოვიკიდო კედელზე და ზევით ავიდე.

უკან ვეშვები ჩემს ძველ ადგილზე, ნაპრალში. ორთქლმავალივით ვქშინავ, ვარჭობ წერაყინს თავამდე, და ვიდრე მე მასზე ვარ დამაგრებული, შაცი გველივით იკლაკნება და ისე ამოდის ნაპრალში. მალე იგი სულ ახლოსაა ჩემს უკან... როგორც კი ერთ მეტრზე ავალ, ის დაიკავებს ჩემს ადგილს, უზრუნველყოფს დაზღვევას და თავის წერაყინს მე გადმომცემს.

ჩემი რიგი დგება... ვიწევ ზევით და მარჯვენა ფეხს ვდგამ წერაყინზე, რომელიც თანდათან ჩადის თოვლში. მიუხედავად ამისა, მარცხენა ხელით ზედა ხელმოსაჭიდს ვწვდები. სრულიად ვკარგავ წონასწორობას და მხოლოდ სასწაულით ვმაგრდები. უკანა ჯიბიდან ჩაქუჩ-წერაყინს ვიღებ და ვიყენებ მის ნისკარტს, როგორც დამატებით, თუმცა მეტად საეჭვო, საყრდენს. შაცი ასრულებს ჩვენს მიერ ჩანაფიქრ მანევრს: იკავებს ჩემს ადგილს, მაზღვევს და თავის წერაყინს მაწვდის. უკანმიუხედავად ვართმევ და მთელი ძალით ვარჭობ ნახევარი მეტრით მაღლა. წამის დაკარგვა არ შეიძლება. ფეხები სიცარიელეში მაქვს დაკიდებული. მარცხენა ხელმოსაჭიდზე და ყინულში ჩარჭობილ შაცის წერაყინზე მოჭიდებული ვიწევ ზევით... გადის საუკუნე... თითოეული სანტიმეტრი ბრძოლით მეძლევა. მარჯვენა მუხლი ქვედა საფეხურამდე ცოცდება და იქ იჭედება. ესეც რაღაცას ნიშნავს! ენერგია მემატება: ფეხსაცმელი დგება საფეხურზე, სადაც ეს ეს არის მუხლი იყო. შევძლებ კი, საკმაოდ მაღლა ავწიო ფეხი? თითქმის. კიდევ ცოტა! წრიაპი ნელა მიცოცავს, ერთი კბილი, მეორე, კიდევ დაძაბვა, რომ საფეხურზე დავდგე... არის!

წონასწორობის დაცვის ცდითა და გულმოდგინედ გაანგარიშებული მოძრაობით მივიწევ ზევით წერაყინის დახმარებით, ხოლო მის ტარს ფერდობზე ვაჭერ, რომ ნისკარტი ყინულიდან არ ამოვარდეს. მარცხენა ფეხით ვაგნებ საყრდენს. ერთი ნაბიჯიც... კიდევ ძალის დაძაბვა და წინდახედულად მომზადებულ ორივე საფეხურს ვიკავებ.

— უჰ, მორჩა!.. ეს ოხერი!

შაცს, რომელიც საშინელი მღელვარებით მიცდის ქვემოთ, გულიდან ლოდი ეხსნება.

— ყოჩაღ, მორის!

— არ გაინძრე! მეტრი მოუშვი!

ძალიან უხერხულად ვდგავარ, ამიტომ წამსაც არ ვკარგავ და დიდ საფეხურებს ვჭრი მაგარ თოვლში. აქედან ორ მეტრზე დაქანება მცირდება და თოვლი ჩნდება. მოხერხებულ ვარცლისებურ[1] საფეხურს ვჭრი და შაცს ვეძახი.

— ცოტა კიდევ დაიცადე! სამი მეტრი მოუშვი! ახლავე ჩავარჭობ პალოს! ქარს ჩემამდე მოაქვს ოდნავ გასაგონი პასუხი: „ო, კეი!“

საშინელი გულის ფრიალი მაქვს, სუნთქვა — არათანაბარი. სახეზე წურწურით ჩამომდის ოფლი. ვიდრე ადგილიდან დავიძროდე, წერაყინს ვეყრდნობი და ერთი წუთით თვალებს ვხუჭავ... მერე ხელახლა ვიწყებ საფეხურების ამოჭრას. ახლა ყინული ხვრიშია, უფრო ადვილად იჭრება. ლავგარდანი უკვე ჩემს ქვემოთაა. კიდევ მეტრი და მოხერხებულ ადგილზე ვარ. ყინულის ფერდობზე პატარა მოედანს ვჭრი პალოს ჩასარჭობად. ყინულის ნამსხვრევები ქვემოთ მიქრიან. საინტერესოა, რაზე ფიქრობს ახლა ნაპრალში პირქვე გართხმული შაცი?

კიდევ, სულ ოდნავ!

წელზე მაქვს რაღაც გიგანტური ანკესის მსგავსი — 30 სანტიმეტრიანი მახვილი. ჩაქუჩ-წერაყინის გააფთრებული დარტყმებით ვასობ ამ პალოს. ფირნი აქ არცთუ ისე მაგარია და რამდენიმე დარტყმის შემდეგ პალო ადგილზეა. დამაგრდება თუ არა? იმედი მაქვს, ყინვა მას ჩაამაგრებს. ახლა ჯერი თოკზეა. ეს სრულიად ახალი, სუფთა, მშრალი, მშვენიერი ნეილონის თოკია. ვიძრობ ჯიბიდან დანას, ვჭრი ორ მეტრს. ეს საკმარისია პალოზე მისამაგრებელ რგოლად. რგოლში გაყრილი ოცმეტრიანი თოკი ეშვება ფერდობზე და ლავგარდანიდან ეკიდება. რამდენჯერმე ვჭიმავ და ვამოწმებ თოკის გამძლეობას. ყველაფერი რიგზეა!

პირველი გამოცდის პატივი შემოქმედს ეკუთვნის. ვავლებ ხელს თოკს და ვეშვები ჩემს დიდსა და მოხერხებულ საფეხურზე.

---

[1] დიდი საფეხური, რომელშიც ორივე ფეხი თავსდება.

— ალო, შაც! შეგიძლია წამოხვიდე!

— კარგი! დაგიძახებ, როცა წამოვალ.

მარსელი ემზადება. იკიდებს ზურგჩანთას, რომელიც ლავგარდანის ქვეშ ჰქონდა შეტენილი და წერაყინს იმაგრებს სპეციალური ზონრით, რისთვისაც ასე დასცინოდნენ ამხანაგები. ღსმის ხმამაღალი შეძახილი: „მოვდივარ!" მას დაჭიმული თოკით ვიცავ.

შაცი თოკს მოეჭიდა. გაისმა წყევლა-კრულვა და ლავგარდანის თავზე გამოჩნდა გაპოხილი კეპი, ხოლო შემდეგ გაშავებული, მანჭვით დამახინჯებული სახე. არა, ამ წუთში იგი აშკარად არ ბრწყინავს სილამაზით! შაცი წრიაპზე დაეყრდნო, წერაყინი მოიქნია, თოკი აიკრიფა, ამოიწია ზევით და უკვე ჩემს გვერდითაა. დაბრკოლება დაძლეულია!

უკვე აცივდა, მოიღრუბლა. ვიცვამთ საშტორმო ტანსაცმელს. მაგრამ რას აკეთებენ ჩვენი მეგობრები? ვეძახით...

— აქა ვართ! — გვიპასუხებენ ისეთი ტონით, თითქოს მნიშვნელოვან საქმეს მოსწყვიტესო...

ორივე კომფორტულად მოწყობილა ქვემო კალთაზე. მათი დაზვერვა ფუჭი აღმოჩნდა. არც მარჯვნივ, არც მარცხნივ, კედლის მოვლა არ შეიძლება. ჩვენი გზა ერთადერთია. ამაში რომ დარწმუნდნენ, ლაშენალი და რებიუფა ფილოსოფიური სიმშვიდით ელოდნენ შემდგომ ამბებს. თხუთმეტ წუთში ისინიც ჩვენთან ამოვიდნენ.

განვაგრძობთ ძნელ ასვლას ყინულთა ქაოსში — ხვეულებით. დრო სწრაფად გადის. თითოეული ნაბიჯი, თითოეული მეტრი წარმოუდგენელ ჯაფას გვაყენებს და ძალ-ღონეს გვაცლის. ამჯერად სერიოზულად ვარ შეშფოთებული: თუ აქ დიდხანს მოგვიხდა ფართხალი, თავის დღეში ვერ მივაღწევთ ბოლომდე. ჩემი ამხანაგები არანაკლებ პესიმისტურად არიან განწყობილნი.

ოღონდაც ეს გადაუღებელი ძლიერი თოვა შეწყდეს! ერთ დღეში თოვლი ჩაჯდებოდა, ღამით ყინვა მოუჭერდა და წინსვლა გაადვილდებოდა. მაგრამ ყოველ ნაშუადღევს, გამუდმებული ქარბუქის შედეგად ახალი თოვლის სისქე ოცდაათიორმოცი სანტიმეტრია. ამგვარად, ყოველდღე ხელახლა გვიხ-

დება ერთიდაიგივე სამუშაოს შესრულება. იმედი გვაქვს, რომ ჩვენი ნაკვალევის ქვეშ მაინც იქნება ცოტა უფრო მკვრივი თოვლი, რაც გაგვიადვილებს შემდგომ „მაქოებს“! ნუთუ ეს სუსტი იმედიც არ გაგვიმართლდება?

თოვლის ფიფქების ფარდაში შაცის რუხ ლანდს ვარჩევ. იგი ახლა წინმავალია და ფხვიერ თოვლს ებრძვის. ქარი კვლავინდებურად მძვინვარებს. ხილვადობა თხუთმეტ მეტრს არ აღემატება. ფერდობი სულ ისეთივე ციცაბოა. კარვის დასადგმელი ადგილი არსადაა. გარდა ამისა, უმჯობესი იქნებოდა მესამე ბანაკი უფრო მაღლა მოგვეწყო: ალტიმეტრი 6600 მეტრს გვიჩვენებს, თუმცა მოგვიანებით დავრწმუნდით, რომ სიმაღლე აქ მხოლოდ 6400 მეტრია! გვეჩვენება, რომ წარმოუდგენლად მაღლა ავედით!

განუწყვეტლივ თოვს და საფეხურების ტკეპნა მომქანცველია, მაგრამ მაინც წინ მივიწევთ; უდიდესი სიხარულით აღვნიშნავ, რომ სიმაღლეს ვიღებთ.

საკმარისია! ნახევარმთვარის მსგავსი სერაკის ძირში ვალაგებთ კარავს, სურსათსა და საჭურველს. საწყობის ადგილის მოსანიშნავად მათთვის, ვინც აქ ჩვენზე უფრო გვიან მოვა, კედელში ვთხრით პატარა ღრმულს და ვამაგრებთ შიგ წითელ მათარას.

— წითელი შორიდანვე გამოჩნდება, — ვეუბნები შაცს. იგი მეთანხმება.

კიდევ ერთხელ ვრწმუნდები, რომ დაშვება ბევრად უფრო ადვილია, ვიდრე ასვლა. ახლა ლაშენალი და რებიუფა მიდიან წინ. ისინი უკვე გაუჩინარდნენ ნისლში. თოვა ძლიერდება. მე შაცის წინ მივდივარ. გადავწყვიტე დაევშვა ყინულის კედლიდან უბრალოდ... გადავხტე ქვევით.

— ვაი! მე დამავიწყდა, რომ შაცთან ჩაბმული ვიყავი. მკვეთრი გამოკვრისას შაცი მოწყდა ადგილს და ყვირილით ჩამიქროლა გვერდით, ფერდობზე. საბედნიეროდ, ღრმა თოვლი, რომელსაც ასე ვკრულავდით, არბილებს დაცემას და ამუხრუჭებს ვარდნას. შაცი გაჭირვებით დგება ფეხზე და მოდის ჩემთან. იგი მეტისმეტად დაინჯღრა და მთვრალივით ბარბაცებს, თუმცა არაფერი არ უტკენია. ახლა მას ეკუთვნის წინ წასვლა. მე ვაზღვევ მას მოკლე თოკით. ქარიშხალი მძვინვა-

რებს და გაჭირვებით ვპოულობთ საკუთარ ნაკვალევს. რებიუფა და ლაშენალი კულუარის წინ გველოდებიან. მათ აწუხებთ შაცის მდგომარეობა და ამის შემდეგ მჭიდრო ჯგუფად მივდივართ, მაქსიმალური სიფრთხილის დაცვით. ხელახლა, ყოველგვარი შემთხვევის გარეშე, ვკვეთთ დიდი კულუარის ზვავის კონუსს. შემდგომ დღეებში, მრავალრიცხოვანმა მემაქოე ჯგუფებმა შეძლეს ამ სახიფათო უბანზე, ასევე ბედნიერად, ზვავების თავიდან აცილება.

ტემპერატურა რამდენადმე მატულობს და კვლავინდებურად ღრმად ვეფლობით თოვლში. მეორე ბანაკი დაფარულია ღრუბლებით და მისი პოვნა შეუძლებელია. მივდივართ ალალბედზე. დროდადრო ვხვდებით ჩვენი ასვლის ოდნავ შესამჩნევ ნაკვალევს. ქარი ქრის, თოვლი სახეში გვცემს, სათვალეს ეკვრის. უფრო მჭიდროდ ვიკრავთ საშტორმო ქურთუკების კაპიშონებს. ორად მოხრილნი მივდივართ. მცირე ხანს მივსრიალებთ. მოჩანს რაღაც ნაკვალევი და დიდი ნაპრალი. ბანაკი სადღაც აქვე უნდა იყოს! ვუხვევ მარჯვნივ და რამდენიმე ნაბიჯზე ვამჩნევ თოვლით დაფარულ კარავს — მოჩანს მხოლოდ ტორსული კედლის მცირე ნაწილი. როგორ მოვიქცეთ? აქ ღამის გათევა შეუძლებელია. ყველანი ვერ დავეტევით. ამასთან, თუ დავეშვებით, კიდევ ერთი მაქოს შესრულებას შევძლებთ... გადაწყვეტილება მიღებულია!.. მსუბუქი საუზმის შემდეგ განვაგრძობთ დაშვებას. უკვე გვიანაა. პლატოსთან მიახლოებისას ხილვადობა თანდათან კლებულობს, ირგვლივ სქელი ნისლია. მაგრამ ჩვენ მწკრივად მივდივართ და ამიტომ, დაახლოებით, წინანდელ მიმართულებას ვინარჩუნებთ. პირველ ბანაკთან, ნაპრალთა ზონაზე გავლა მოგვიხდება. იქ სულ ერთი გასასვლელია, სადაც ნიშნები დგას. პირველი ნიშნის პოვნა შეუძლებელია.

რებიუფას აზრით, გეზი მარცხნისკენ უნდა ავიღოთ. ლაშენალი გვარწმუნებს, უფრო მარჯვნივ წავიდეთო. მე კი ვფიქრობ, რომ სწორად მივდივართ. ყოველ შემთხვევაში, ახლა ჯგუფის გაყოფა არ შეიძლება.

ბოლოს რებიუფას წინადადებას ვღებულობთ, თუმცა მან საბოლოოდ ვერ დაგვარწმუნა. მართლაც, თუ მარცხნივ ვივ-

ლით, წავაწყდებით სერაკების მძლავრ მწკრივებს, რომლებმაც, წესით, პირველ ბანაკთან უნდა მიგვიყვანონ.

ნისლი სულ უფრო და უფრო სქელდება. მივდივართ ორ ნაპრალს შუა, რომლებიც უეცრად ერთდებიან. წინ ერთი ნაბიჯის გადადგმაც კი არ შეიძლება. უნდა დავბრუნდეთ და მრავალრიცხოვანი ხვეულებით შემოვუაროთ ნაპრალთა მთელ ზონას. ერთბაშად დაღლილობა გვეუფლება. ეს უმნიშვნელო დაბრკოლება უკანასკნელ ძალ-ღონეს გვართმევს. ვიცით, რომ ბანაკიდან არც ისე შორს უნდა ვიყოთ და ვყვირით:

— ე, ჰეი! ე, ჰეი!

რამდენიმე წამის შემდეგ მარჯვნიდან ჩვენამდე აღწევს სუსტი პასუხი:

-- აქეთ! აქეთ!

— ხომ ვამბობდი! — ყვირის ლაშენალი. — მარჯვნივ უნდა მოგვეხვია!

მალე მკაფიოდ ჩნდება რაღაც ლანდი. ეს ტერაია. გვითხრა, ბანაკში ძალიან ცოტა საპურველია და ყველას ადგილი არ გვეყოფაო. რაც შეეხება სურსათს, იგი გულმოდგინედ უნდა ვზოგოთ ზედა ბანაკებისთ-

ვისო. თავისთავად გამომდინარეობს დასკვნა: მე, ლაშენალი და რებიუფა უკანასკნელ ნათელ საათებს გამოვიყენებთ და საბაზო ბანაკში დავეშვებით, ხოლო შაკი, რომელიც ჯერ კიდევ ვერ გამოკეთდა ჩამოვარდნის შემდეგ, შეეცდება აქვე აღიდგინოს ძალ-ღონე. ჩვენი წასვლის წინ ტერაი, ლაშენალის მხრივ, აშკარა გაკიცხვის მიუხედავად, მოგვითხრობს თავისი ლამისთვის ამბავს... ჩვენც ვუამბობთ მას, თუ რა გავაკეთეთ და აღვწერთ ადგილს, სადაც საწყობია დატოვებული.

— მე გავალ ხვალ დილით ადრე პანზისა და აილასთან ერთად, — ამბობს იგი. — ამ დროს აჯიბა შეასრულებს მაქოს საბაზო ბანაკსა და პირველ ბანაკს შორის.

აჯიბა, განსაკუთრებით გამძლე შერპი, ამ საქმეში კარგად დახელოვნდა. დღეში ორჯერ ასრულებს ასეთ „მაქოს“ და უკვე ასეული კილოგრამი ამოზიდა პირველ ბანაკში. იგი ასრულებს უმადურ და შეუმჩნეველ, მაგრამ მეტად საჭირო სამუშაოს. თითოეული ჩვენგანის სწორედ ასეთი მიდგომა თავისი მოვალეობისადმი უზრუნველყოფს ექსპედიციის წარმატებას.

ვტოვებთ შაკს, ტერაის, პანზისა და აილას, ხოლო ჩვენ, აჯიბას თანხლებით მივექანებით ქვემოთ, ფერდობზე, რაც შეგვიძლია ნელა მივსრიალებთ ქვანაშალებზე, მოსახვევებს ნავარდით ვძლევთ; რამდენიმე წუთში ვკარგავთ ასეულ მეტრობით სიმაღლეს, ვაღწევთ ფირნამდე და საბაზო ბანაკის ადგილზე ვხედავთ არა ერთს, არამედ რამდენიმე კარავს.

ეს-ეს არის ამოვიდნენ იშაკი და უდო, შერპებისა და მრავალრიცხოვანი მზიდავების თანხლებით. ყველასათვის ამოიტანეს ბუმბულის ტანსაცმელი და აუარებელი სურსათ-სანოვაგე. ამოტანილია აგრეთვე დიდი მწვანე კარავი, რომელიც განსაკუთრებით ესიამოვნებათ მზიდავებს, რადგან თოვა არ წყდება.

წინ გამარჯვებაა! ზურგი და ავანგარდი შეერთდნენ.

X

ნამგალი

ეხლა 24 მაისის საღამოა — მოგაგონებთ, რომ 23-ს დილით სარკე გაემგზავრა აქედან უსტარით ტუკუჩაში.

იშაკი გვიამბობს, რომ ამოსვლისას ის შეხვდა ჩვენს მეკავშირეს, რომელიც მირისტი-კპოლას კულუარებით მიჰქროდა.

პირდაპირ ვცურავ სიმშვიდის ატმოსფეროში და აღსავსე ვარ ოპტიმიზმით. როცა გაიგეს, რომ ჩვენ სარეკორდო დროში გავიკვლიეთ გზა თითქმის 6600 მეტრის[1] სიმაღლემდე, იშაკი და უდო აღტაცებაში მოვიდნენ. ამ საღამოს საბაზო ბანაკში მხიარული, ხალისიანი განწყობილებაა.

დიდებული ვახშამი გვაქვს: ქათმის ლაბა, ერთი ბოთლი რომი (შემდეგ ტერაიმ ერთი ამბავი დაგვაწია, რატომ არ მოშიკადეთ, თუ ასეთ ნადიმს აპირებდითო?), მაგრამ მეტისმეტად დაღლილი ვარ და სანამ სხვები დაწვებოდნენ, მე უკვე ჩემს საძილე ტომარაში ვნეტარებ, თვალები მელულება. იშაკი ვაქცაცურად ებრძვის ძილს და მიკითხავს ადგილებს თავისი დღიურიდან, რომელიც მოგვითხრობს „უცნაური“ მონასტრების ქალაქის მუქთინათის ექსკურსიის ამბავს.

მეორე დილით გვიან ვდგებით, მძიმე მუშაობის შემდეგ ჟველას წელი გვტკივა. მზე გვათბობს და ბანაკში უმიზნოდ დავეხეტებით. პირის დაბანასა და გაპარსვასაც კი ვბედავ. რა სასიამოვნოა, როცა სუფთა ხარ და მოხერხებული კედებით

[1] ასეთი იყო ჩვენი ალტიმეტრების ჩვენება.

დასეირნობ. თავში გადამწყვეტი იერიშის გეგმები მიტრიალებს. ამაზე ფიქრობენ სხვებიც. საკმარისია შეხედოთ ამხანაგებს, რომლებსაც დურბინდები უჭირავთ ხელში და ასვლის მარშრუტებზე მსჯელობენ. მე კი უკვე მივიღე გადაწყვეტილება, თუმცა ერთი საკითხი კიდევ გაურკვეველია — პროდუქტებით მომარაგება, თუმცა მჯერა ნუაელისა, რომელმაც დროზე იზრუნა და ყველაფერი მოამზადა ტუკუჩაში. გულდასმით გაანგარიშების შემდეგ ვმშვიდდები. სანოვაგეზე წუხილი ზედმეტია: უკვე შეიძლება მთელი ძალებით წინ დავიძრათ. ამიტომ გადავწყვიტე, დღესვე, ნასადილევს, მე, ლაშენალი და რებიუფა გავიდეთ პირველი ბანაკისაკენ. დიდი ტვირთით. მტკიცედ მაქვს განზრახული, გამარჯვებულები დავბრუნდეთ. უკანასკნელად ვწერ ლუსიენ დევის:

„საბაზო ბანაკი, 1950 წლის 25 მაისი.

ძვირფასო დევი!

ეს უკანასკნელი წერილია იერიშის წინ. ყველაფერი კარგად ეწყობა, საბაზო ბანაკი სამი-ოთხი დღის სავალზეა ტუკუჩიდან და ეს, რა თქმა უნდა, საკმაოდ უხერხულია. დაზვერვიდან იერიშზე გადასვლის დროს, ასეთი სიშორის გამო, შესაძლოა დიდ სიძნელეებს წავაწყდეთ. გუშინ 6600 მეტრამდე ავედი. გზა მთლიანად ყინულოვანია. ობიექტური საშიშროება შედარებით მცირეა. ბანაკების განლაგება ასეთია: საბაზო ბანაკი ანაპურნის ჩრდილოეთ ყინვარის მარჯვენა ნაპირზეა, 4400 მეტრზე, პირველი ბანაკიც მარჯვენა ნაპირზეა, 5 100 მეტრის სიმაღლეზე, ვრცელი პლატოს კიდეზე, რომელიც დარჟანტიერის ზედა პლატოსა ჰგავს. მეორე ბანაკი — პირდაპირ ანაპურნიდან ჩამომდინარე ყინვარის პატარა პლატოზე, თითქმის 5 900 მეტრზეა. ვფიქრობთ, მესამე ბანაკი დაახლოებით 6 800 მეტრის სიმაღლეზე, ე. წ. „ნამგალა“ ყინვარზე გავმართოთ. (კროკები[1] და მარსელის სქემატური რუკა დაგეხმარებათ, რომ სწრაფად გაერკვეთ). შესაძლოა V ბანაკის გამართვაც მოგვიხდეს. ყველაფერი რელიეფზეა დამოკიდებული.

---

[1] ადგილის სახელდახელოდ გაკეთებული შავი ჩანახატი.

დილით, ჩვეულებრივ, კარგი ამინდია, საღამოთი —ცუდიუხვად თოვს ხოლმე და ეს ძალიან გვაფერხებს, რადგან საშინლად ვეფლობით. ყველა საუცხოო ფორმაშია. რამდენიმე წუთის შემდეგ გავდივარ პირველი ბანაკისაკენ. უახლოეს. დღეებში შევეცდებით გადამწყვეტი იერიში მივიტანოთ. ყველა აღსავსეა იმედით. სიმაღლეზე მეტად მძიმე პირობებია, მაგრამ თუ ბრძოლა მოვიგეთ, მაშინ ყოველგვარი გასაჭირი დავიწყებას მიეცემა. უფრო დაწვრილებით წერისათვის დრო. არა მაქვს, რადგან უამრავი საქმეა. მატა დაწვრილებით აგიხსნით ვითარებას. ოპტიმიზმით ვარ აღსავსე!

მეგობრული სალმით მ ო რ ი ს ი".

ვიდრე ამ უსტარს ვწერ, შერპები და მზიდავები კუზის ხელმძღვანელობით ბანაკის მოხსნას ამთავრებენ. ნასადილევს ამინდი ფუჭდება. 15 საათსა და 30 წუთზე უკვე თოვს. მაგონდება ტერაი, რომელიც დღეს დილით ადრე გავიდა პირველი ბანაკიდან, ორი სასიმაღლო კომპლექტითა და ათი კილოგრამი სანოვაგით დატვირთული. იგი აპირებდა მეორე ბანაკში ასვლას და იქ ღამის გათევას.

გავდივართ დაახლოებით 5 საათზე. ბარდნის. მიუხედავად ამისა, საკმაოდ სწრაფად ავდივართ და დაღამებამდე პირველ ბანაკს ვაღწევთ. დაუყოვნებლივ ვდგამთ „ბარის" კარავს, რომელშიც სამივე ვთავსდებით. რებიუფა ისევ უჩივის მზისაგან დამწვრობას და ტუჩების შეშუპებას.

6 საათსა და 30 წუთზე უნდა ავდგეთ.

— შერპებო! შერპებო!

მაგრამ შერპები არ ჩქარობენ და გასვლისათვის მზადება ყოვნდება. მწვერვალის კალთაზე დურბინდით შეიძლება გაარჩიოთ სამი შავი წერტილი, ჩვენს მიერ მიღწეული ადგილის ცოტა ზევით და მარცხნივ. „ალბათ მესამე ბანაკია", — ვასკვნით ჩვენ. პლატოზე ჯოჯოხეთური სიცხეა. რებიუფა ჩაბმულია დავატონდუპთან[1], რომელიც მარსელ იშაკმა საგანგებო გაფრთხილებით ჩაგვაბარა, ხოლო ლაშენალი და ანგავა — ჩემთან.

---

1 ეს შერპი ტუკუჩიდან საბაზო ბანაკამდე მგზავრობისას „ჩანგის" სმისადმი უზომო მიდრეკილებას ამეღავნებდა.

ლაშენალი საშინლად იტანჯება სიცხისაგან. იგი ავტომატიზით მოძრაობს და ოფლად იღვრება. თუ გამოელაპარაკე, მდუმარედ გაპყრობს ტანჯვით სავსე თვალებს. სულ უმნიშვნელო საბაბით სარგებლობს და მყისვე მიწაზე ეცემა. რებიუფას კუჭის ტკივილები იმდენად უძლიერდება, რომ რიგრიგობით გვიხდება მისი ზურგჩანთის წაღება. გაჭირვებით მივდივართ. ლაშენალი უთანაბროდ მოძრაობს. უკანასკნელი ასი მეტრი ბანაკამდე მისთვის განსაკუთრებით მტანჯველია. ტუჩები ძლიერ მომწვარი აქვს. დაიკრა ზედ სალბუნის პატარა ნაპერი, რომელიც ოდნავ იცავს მზისაგან. ეს ერთადერთი ნათელი ლაქა მის გაშაუებულ სახეზე უცნაურ შთაბეჭდილებას ახდენს.

მეორე ბანაკში ვხვდებით ახლახან დაბრუნებულ ტერაის, პანზისა და აილას. ტერაი ძალზე აღგზნებულია.

— დროს ნუ დავკარგავთ, — ამბობს იგი. გუშინ ავედი 6 700 მეტრამდე. თქვენს მიერ დატოვებული საჭურველი ვერ ვიპოვეთ. ალბათ იგი თოვლქვეშ მოყვა. ახლომახლო არც ერთი მოხერხებული ადგილი არ იყო კარვისათვის. მე, პანზიმ და აილამ პირდაპირ ციცაბო ფერდობზე ამოვჭერით მოედანი წერაყინით. პატარა კარავში, ზვავთა გრიალში გავატარეთ ღამე სამივემ.

თავისი ნაამბობის საილუსტრაციოდ, ტერაიმ ვითომ იმ ზვავივით დაიგრიალა, რომელმაც ჩაუქროლა მათ რამდენიმე მეტრზე და სანტიმეტრზედაც კი. შემდეგ სიცილით განაგრძო:

— შერპები ძალზე დაფრთხნენ და მეც კარგი შიში ვეცამე. იმ ღამის შემდეგ მხოლოდ დაშვების უნარი გაგვაჩნდა და, აი, აქ ვართ. ახლა მინდა პირველ ბანაკამდე ჩავიდე და რიგიანად დავისვენო.

— მართლაც, — ვეთანხმები მე, — ეს გონივრულია. კუზი და შაცი იშაკთან და უდოსთან ერთად ამოვლენ პირველ ბანაკში და იქ შეძლებ დასვენებას. გარდა ამისა, შენ შეგიძლია დამატებითი ტვირთი წამოიღო... ოჰ, ეს დაწყეველილი ტვირთი!

— ჩვენ ბარგი დავტოვეთ 6 700 მეტრის სიმაღლეზე, როგორც ჩანს, თქვენი საწყობის მარცხნივ. ეს ადგილი პირდაპირ კალთაზეა, სერაკების მწკრივიდან 50 მეტრით მარჯვნივ.

იგი კრავს ზურგჩანთას და ესვრის თითოეულ შერპს თოკის ნაჭერს. მერე ხმამაღლა გვეძახის „ნახვამდის!“ და უჩინარდება.

ჩვენ მეორე ბანაკში ვრჩებით. ჩემი ამხანაგები უგუნებოდ არიან, რადგან მათი ჯანმრთელობა არცთუ ისე სრულყოფილია. ამასთან, ტერაის შენიშვნა იმის შესახებ, რომ სიმაღლეზე ღრმა თოვლია, სრულიადაც ვერ მატებთ მათ სიმხნეევს. უკვე იციან, რა შეიძლება მოჰყვეს ამას. თუ მინდა, შემდგომში მათი იმედი ვიქონიო, ხვალ ზედმეტად არ უნდა დავტვირთო. ჩემს განკარგულებაშია ორი შერპი, აგრეთვე საჭურველი და სურსათი. რატომ არ უნდა შევასრულო კიდევ ერთი მაქო, არ მოვაწყო მესამე ბანაკი და შესაძლოა მეოთხეც, ვიდრე ორივე ჩემი ამხანაგი არ დაისვენებს? თუ მე ზევით ერთ დღეღამეზე მეტს დავყოფ, იმ დროისათვის კუზი და შაცი ამოვლენ, მაშინ ლაშენალი და რებიუფა შეძლებენ მათთან ერთად ბარგს თან გამოჰყვნენ ზედა ბანაკებში. დღეს უკვე 26 მაისია. ამიტომ აუცილებელია ოთხი საჰიბი ავიდეს მეორე ბანაკიდან მესამეში და უკვე ძირს დაუშვებლად, ნელა, მაგრამ განუწყვეტლად განაგრძოს აღმა სვლა, ბანაკიდან ბანაკამდე, სულ ბოლომდე. ამ დროისათვის ტერაი ისევ ჩადგება ფორმაში, ხოლო მე კიდევ ერთ მაქოს შესრულებას შევძლებ და ამგვარად ბანაკები უმოკლეს დროში გაიმართება.

საღამოს, როგორც გამონაკლისი, კარგი ამინდია. სანამ ჩემს ამხანაგებს სძინავთ, მე ვსინჯავ საჭურველს და ვამზადებ ყველაფერს ხვალინდელი გასვლისათვის.

განთიადისას ვაღვიძებ დავატონდუპსა და ანგავას. ღამით თოვლი შეიყინა და რომ გამოვიყენოთ ეს გარემოება, ადრიანად უნდა გავიდეთ. ბანაკი ისევ ჩრდილშია, როცა მას ეტოვებთ. მივყვებით ლიონელ ტერაის დაშვების კვალს, კულუარის ზვავის კონუსის მიმართულებით. დღეს კინოკამერა თანა მაქვს და ვიმედოვნებ, ცოტა რამ გადავიღო. კულუარში წინ ვუშვებ დავატონდუპს, რათა ვნახო, როგორ ახერხებს საფეხურების ჭრას, მაგრამ როდესაც ლავგარდანამდე ვაღწევთ,

ხადაც რეპშნური ჰკიდია, ვითარება იცვლება, წინ უნდა წავიდეს საჰიბი. ეს მაგონებს ტერაის გუშინდელ ნაამბობს, სწორედ ამ ადგილამდე ამოვიდა იგი პანზისა და აილასთან თოკით ჩაბმული. პანზი წინ მიდიოდა. კედელთან მისვლისას, დაშინებულმა პანზიმ მტკიცედ ჩაარჭო თავისი წერაყინი თოვლში. ტერაიმ, — ღონიერმა კაცმა, — როგორც მას შერპები უწოდებენ, — წაულაპარაკა:

— მოდი, პანზი, აცოცდი!

პანზიმ მომხიბლავი ღიმილით უპასუხა.

— No, thank you, for Sahib only![1]

დაჟინებით მოთხოვნა უსარგებლოა,—გადაწყვიტა ტერაიმ.

დავატონდუპსაც იგივე რეაქცია აქვს, როგორც პანზის, მაგრამ დღეს მინდა რამდენიმე კადრი გადავიღო და მოვითხოვ, რომ ანგავა პირველი აცოცდეს. შიშისაგან ათრთოლებული გადის იგი წინ და შაინტ მიცოცავს, რადგან ასე გადაწყვიტა ბარა-საჰიბმა. გულმოდგინედ ვაზღვევ მას. ვიდრე ის ლავგარდანზე ვადაძრომას ცდილობს, მე უხერხულ პოზაში ვწევარ, ყინულის ნაპრალში გართხმული. კლდოვანი ფარდული ხელს მიშლის, რომ თავი ავწიო, მაგრამ მაინც ვცდი, რამდენიმე ფოტოსურათი გადავიღო. მგონი ანგავას ძალ-ღონის დაძაბულობამ ზღვარს მიაღწია; თუმცა დაზღვევა საიმედოა, მაგრამ არ მყოფნის სისასტიკე, მისგან მეტი მოვითხოვო, და თვითონ მივცოცავ. დაჟიმული რეპშნური მნიშვნელოვნად მიადვილებს ამ უბნის გავლას და რამდენიმე წამში უკვე 8 მეტრით მაღლა მდებარე პატარა ბაქანზე ვარ. ვამაგრებ თოკს და ამყავს დავატონდუპი, რომელიც, ცოტა არ იყოს, გაჭირვებით სძლევს ლავგარდანს. ყინულზე ცოცვა? ასეთი აზრი თავის დღეში არ მოსვლიათ თავში. მე მგონია, რომ საჰიბთა პრესტიჟი ამ წუთში საფუვრიანი ცომივით მაღლა იწევს. დაღლილობისაგან საზემოღრეცილი დავატონდუპი სელაპივით ქშინავს და ისე მიახლოვდება. ვასწავლი, როგორ დააზღვიოს ანგავა, სანამ მე ამოსვლას გადავიღებდე. ყველაფერი მშვიდობით მთავრდება.

ვაწესრიგებთ ბარგს და განვაგრძობთ წინსვლას, მაგრამ

---

[1] არა, გმადლობთ, ეს მხოლოდ საჰიბისთვისაა.

ვიდრე ლავგარდანის დაძლევაზე ვწვალობდით, საკმაო დრო გავიდა. ახლა მზე პირდაპირ ზენიტშია და ისე ენერგიულად აცხუნებს, რომ თოვლის ფაფაში ვფართხალებთ. დამქანცველი შრომაა. ტერაის ნაკვალევი ძლივსღა ჩანს. ამასთან, ის მარცხნივ მიდის. მე კი პირველი ამოსვლის დროს დატოვებული საჭურვლის თან წაღება მინდა. ამიტომ პირდაპირ ზევით განვაგრძობთ სვლას. მალე ვცნობ ნახევარმთვარის ფორმის დამახასიათებელ სერაკს. წერაყინით ვიწყებ მოსინჯვას და ბოლოს, რაღაც მაგარს ვაწყდები. საწყობი აქაა. თოვლისაგან გაწმენდის შემდეგ მართლაც ვპოულობთ კარავს, საჭურველსა და პროდუქტებს, რაც სამი დღის წინათ ამოვიტანეთ მე, ლაშენალმ და რებიუფამ. ვიკიდებთ ყველაფერს ზურგზე, ვუხვევთ მარცხნივ და ვცდილობთ, გავიდეთ ტერაის ნაკვალევზე. ის სულ ორმოცდაათ მეტრზეა ჩვენგან, მაგრამ იქამდე მისვლას თითქმის ერთ საათს ვუნდებით, რადგან წელამდე ვეფლობით და ნამდვილი სანგრის ამოთხრა გვიხდება. როგორც იქნა, გავდივართ ნაკვალევზე პრიალა ყინულის კედლის ძირში: შერპებს რომ ასვლა გაუადვილდეთ, იძულებული ვარ, ხელახლა ამოვჭრა რამდენიმე საფეხური, ჩავასო ზემოთ ყინულის პალო და ჩამოვკიდო გრძელი რეპშნური. შემდეგ ვდგები დაზღვევაზე ჩემი შერპები რიგრიგობით საუცხოო ქანქარას[1] ასრულებენ. შეშინებულები ყვირილით ეშვებიან მეხუთე წერტილზე და ბოლოს გულიანად ხარხარებენ.

უკან ვტოვებთ ყინულოვანი კედლების მთელ ზონას, რომლებსაც ალაგ-ალაგ თოვლიანი უბნები ენაცვლება. ჩემს ზემოთ ვხედავ ერთგვაროვან თოვლიან კალთას, რომელზეც ჩემი წინამორბედის ნაკვალევი ამჩნევია. მარცხნივ მეტად ციცაბო ცენტრალური კულუარია. შთაბეჭდილება ისეთია, თითქოს იგი მზადაა ჩაყლაპოს ყველაფერი, რაც კი ზემო კალთებიდან ცვივა. ჰაერი გამჭვირვალეა, კაშკაშა სინათლეს თბილი სილაჟვარდე არბილებს. კულუარის მეორე მხარეს წმინდა ყინულის წიბოები გიგანტური პრიზმებივით შლიან სინათლეს და ჰაერში ნაირფერ სხივებს აფრქვევენ.

კვლავ მშვენიერი ამინდია, ცაზე ღრუბლის ნატამალიც არა

---

[1] დაღარულ ფერდობებზე თოკით დაშვების ერთ-ერთი წესი.

ჩანს, ჰაერი მშრალია. მე საუცხოო ფორმაში, იდეალური წონასწორობის მდგომარეობაში ვარ. ამაში ხომ არ არის ბედნიერება?

მაგრამ გზა უნდა განვაგრძოთ. მივცოცავთ და მივცოცავთ ჭიანჭველებივით, რომლებიც გიგანტურ დაბრკოლებებს ძლევენ, შედეგი კი თითქოს არა ჩანს. თითოეულ ნაბიჯს გაჭირვებით ვძლევთ. ფერდობი განსაკუთრებით ციცაბოა და, გარდა ამისა, თოვლი იწყებს ყინულზე მიკვრას, რაც მაიძულებს დიდი ყურადღებით ვადევნო თვალი შერპების მოძრაობას. ყოველი ორი მეტრის შემდეგ ვჩერდები, რომ სუნთქვა აღვიდგინო, ვგრძნობ, რომ ჩემს უკან მომავალი შერპებიც ასევე იტანჯებიან. დროდადრო ზემოთ შევავლებ ხოლმე თვალს, რომ დარჩენილი მანძილი შევაფასო. უეცრად შორს ვამჩნევ პატარა მოოქროსფრო ლაქას: ეს უეჭველად ტერაის კარავია. თითქოს მთელი საუკუნე გადის, ვიდრე ძალ-ღონის შეუპოვარი დაძაბვის შემდეგ, ბოლოს, ლიონელის საწყობს ვუახლოვდებით. საპერველი და სანოვაგე თოვლითაა დაფარული, მაგრამ წინდახედულად გარსაცმშია შენახული. კარგია, რომ აქამდე ამოვაღწიეთ. მაგრამ საწყობის ადგილმდებარეობა მაფიქრებს. პირდაპირ ფერდობზე ხომ არ შეიძლება ბანაკის გამართვა. მარჯვნივ ხრამია. მარცხნივ — სერაკების გროვა, რომლის მიღმა ცენტრალური კულუარი ეშვება, ჩვენს ზემოთ, ორმოცდაათ მეტრზე, განსაკუთრებით დასერილი უბანი იწყება. ვათვალიერებ მარცხნივ აღმართულ სერაკებს და ვხედავ, რომ მათი გამყოფი ნაპრალები ამოვსებულია ახალი თოვლით. რატომაც არა?.. მომდის აზრად: რა გვიშლის ხელს, ბანაკი პირდაპირ ნაპრალის თავზე გავმართოთ? თუ მხედველობაში მივიღებთ რელიეფსა და სიმაღლეს, უნდა ვიფიქროთ, რომ ნაპრალები მთლიანად გაჭედილია. მეორე მხრივ, გარემომცველი სერაკები ზვავებისაგან საიმედოდ დაგვიცავენ. და, აი, „რატომაც არა?“-ს „მოდი, ვცადოთ!“ ცვლის.

ორივე შერპის თანხლებით, ტრავერსირებით მივიწევ ფერდობზე ჰორიზონტალურად. ვაღწევ ტერასის კიდემდე და საიმედო დაზღვევით რისკზე მივდივარ. პირველი ნაბიჯები ფრთხილია. ვარჯობ წერაყინს სულ თავამდე და ვრწმუნდები, რომ თოვლი მთლიანად ერთგვარია. ახლა უკვე უფრო თამამად

ვმოძრაობ, ვტკეპნი პატარა მოედანს, დავდიოვარ წინ და უკან. შემდეგ ვცეკვავ და, ბოლოს, რაც შემიძლია, ვხტუნაობ. თოკი მიძლებს. თუ აქა-იქ ყინულს მოვჭრით და ნაპრალის ზედაპირს კარგად გადავასწორებთ, ჩინებული ადგილი იქნება. აქ თავისუფლად მოთავსდება ორი კარავი, ერთმანეთის პირდაპირ შესასვლელით. შერპები დროს არ კარგავენ, კარვებს დგამენ და ჩაის ამზადებენ. სადღეისო ამოცანა შესრულდა: მიზანი მიღწეულია: მესამე ბანაკი საბოლოოდ გამართულია, ქვემოდან იგი არა ჩანს, და ჩემს ამხანაგებს თავის მტვრევა მოუხდებათ იმის მისახვედრად, თუ რა შეგვემთხვა.

ვიდრე შერპები ბანაკის მოწყობაზე ფუსფუსებენ, მე პატარა დაზვერვას ვატარებ ცენტრალური კულუარისაკენ, რომელიც იქვე, ჩვენი ნაპრალის მიღმაა; სწორედ აქ გაივლის ჩვენი ხვალინდელი გზა, რადგან მტკიცედ გადავწყვიტე, ხვალ შეოთხე ბანაკი გავმართო. თავისუფალ დროს ვიყენებ და ვათვალიერებ გარემომცველ მწვერვალებს, ესოდენ უჩვეულო გარშემოწერილობის მქონე „ყვავილოვანი კომბინატის“ ყბადაღებულ თხემს, ვტკბები შორეული დჰაულაგირის ცქერით. ჩემი მზერა და ფიქრები დასტრიალებენ აქედან რამდენიმე ათეულ კილომეტრზე გაშლილ ტიბეტის უდაბნოს ტრამალებს.

მკვეთრი, ცივი ქარი ამოვარდა, მაგრამ საეჭვო ღრუბლები არ ჩანს. ხვალ უეჭველად კარგი ამინდი იქნება! ოპტიმიზმით აღსავსე ვძვრები ჩემს კარავში, მხოლოდ ჩემთვის განკუთვნილ საუცხოო კარავში, სადაც ორი გასაბერი ლეიბი და ორი საძილე ტომარაა! შერპები მიმასპინძლდებიან ჩაით, ხოლო მე ვურიგებ ასპირინს, ძილის მომგვრელ ფხვნილს და უდოს მიერ გამოწერილ შინაური წამლების მთელ კოლექციას. კიდევ რამდენიმე კარგ სიგარეტს და მშვიდად ვიძინებ.

დღეს ისევ ზევით უნდა გავუდგეთ გზას. ვხსნი კარავს, ვიღებ თან წასაღებად, რაც შეიძლება მეტ სანოვაგეს, ვანაწილებ ტვირთს, სახელდახელოდ ვსაუზმობთ და მივდივართ. მე წინმავალი ვარ ჩაბმაში. ვიწყებ ტრავერსირებას მარცხნივ, ცენტრალური კულუარის მიმართულებით. გავდივართ ჩვენი ბანაკის დამცველი სერაკის გასწვრივ და ვძლევთ ყინულის ლავგარდანს, რომელიც შერპებზე ცუდ შთაბეჭდილებას ახდენს. შემდგომი წინსვლა შეუძლებელია. საჭიროა კულუარის გადაკვე-

თა. ზემო ნაწილში იგი საკმაოდ ვიწროა, თითქოს ორივე მხრიდან სერაკების რიგებითაა მიჭეჭყილი. ამ მონაკვეთის სიგანე 60 მეტრს არ აღემატება. თუ სწრაფად და თითო-თითოდ გადავივლით, დანარჩენების ფხიზელი მეთვალყურეობის ქვეშ, შაშინ ზვავში მოხვედრის საშიშროება, ჩემის აზრით, არცთუ ისე დიდია. ვტოვებ დავატონდუპს მარცხენა კიდეზე და ვიწყებ ტრავერსირებას. განსაკუთრებით ციცაბო ფერდობი გარბის ფეხქვეშ. ფეხსაცმელები ცუდად გვიმაგრებს მრავალრიცხოვანი ზვავებით დატკეპნილ თოვლზე და წერაყინის ნიჩბით მიხდება პატარ-პატარა საფეხურების ამოკრა წრიაპების კბილებისათვის. ვარჭობ ჩემს ზემოთ წერაყინის ნისკარტს და ვეყრდნობი



მას ორივე ხელით ჩაჭიდებული. რაც შემიძლია, ვჩქარობ. დროგამოშვებით, თუნდაც სიმხნევისათვის, სასარგებლოა ზევით ახედვა, ქვემოთ ჩახედვა კი, პირიქით, არ შეიძლება, რადგან ეს საშინელი უფსკრულები ძალზე გულად ადამიანსაც კი შეაშინებს. სწრაფად ვამთავრებ ტრავერსს და რამდენიმე წუთით ვისვენებ, ვიდრე შერპები გადმოსვლას დაიწყებენ.

— დავატონდუპ!

— Yes, Sir, — შპასუხობს იგი უჩვეულო გამომეტყველებით.

ეშმაკი მელაა, გრძნობს საშიშროებას! წამსაც არ კარგავს, მძიმე ტვირთის მიუხედავად, ტყვიასავით ჰკვეთს კულუარს და თავს აფარებს უხიფათო ადგილს. ანგავაც მას მოჰყვება, მაგრამ, როგორც უფრო ახალგაზრდა და ნაკლებ გამოცდილი, იგი გაცილებით მეტ დროს ხარჯავს გადმოსვლაზე. უჰ! ძლივს მშვიდობით და უვნებლად გადმოვიდნენ ორივენი. მრისხანე კულუარი უკან რჩება. აქედან კარგად ჩანს, რა საფრთხეშიც ვიყავით. კულუარი ამართულია 300-400 მეტრზე, ხოლო იქით, ხშირ ზვავთა წყაროში — თოვლიან ციცაბო კალთაში იკარგება. კიდევ უფრო მაღლა, კლდოვანი კედელია და ბოლოს „ნამგალა“ ყინვარი, საიდანაც წამდაუწუმ ათეულობით ტონა ყინულის ლოდები წყდებიან.

კრიტიკული მდგომარეობაა. ჩემს წინ მეტისმეტად ციცაბო და დასერილი კალთაა. როგორც პირველ ბანაკში ვვარაუდობდით, აქედან გზა უნდა აჰყოლოდა ირიბად, მარცხნივ და ზევით, ხოლო შემდეგ ისევ მარჯვნივ, კულუარის დასაწყისისაკენ, სადაც მთისძირა ნაპრალი, რომელიც ჰყოფს კულუარს კალთიდან, თოვლით არის ამოვსებული და, ალბათ, ადვილად დასაძლევია. მაგრამ წინ მხოლოდ ქაოსურად ჩახერგილი უზარმაზარი სერაკებია დაგროვილი, თუ ცოტაზე დავეშვებით, მათი შემოვლა მარცხნიდან შეიძლება, შეიძლება აგრეთვე კულუარის, ოროგრაფიულად, მარჯვენა ნაპირით, პირაღმა ასვლა, ზედა კალთებამდე. მე მეორე ვარიანტს ვამჯობინებ, რადგან ამ დილის საათებში ზვავის საშიშროება უფრო მცირეა. ამასთანავე, კულუარის კიდეზე სწრაფი გავლით ვიგებთ ჩვენთვის მნიშვნელოვან 100 მეტრს. ახლა მარცხნით ვუხვევთ და, აი, ისევ ღრმა თოვლში ვფართხალებთ — ვაი, რომ ჩვენთვის ესოდენ ნაცნობი სურათია! ყოველ შემთხვევაში, აქ სამშვიდობოსა ვართ.

რამდენიმე წუთს ვისვენებთ და კვლავ მივდივართ! ახლა საჭიროა ტრავერსირება მარცხნივ და სიმაღლის აღების ცდა, მაგრამ ფერდობი არაჩვეულებრივად ციცაბოა, მე კი არცთუ ისე ძალიან ვენდობი შერპების მიერ წონასწორობის დაცვის უნარიანობას. ისინი არ არიან შეჩვეულნი ასეთ რთულ რელი-

ეფს. ერთ მათგანს რომ ფეხი დაუსხლტეს, სამივენი მოვწყდებით. ამიტომ გულდასმით ვაკვირდები მათ. პირველი ტრავერსები წარმატებით მიმდინარეობს. ვცდილობ ყოველ ნაბიჯზე გულმოდგინედ დავტკეპნო თოვლი, ვაკეთო საიმედო და მოხერხებული საფეხურები. წმინდა ყინულის მონაკვეთია და გაორკეცებულ ყურადღებას მოითხოვს. ორი-სამი დარტყმა წერაყინით და ყინულის ნამსხვრევები აქეთ-იქით იფანტება. წრიაპების წინა კბილებისათვის ეს საკმარისია და განვაგრძობ გზას. მაგრამ დავატონდუპი სულ სხვაგვარად უყურებს ამას. მომდევს უკან და აუტანელი ზოზინით ჭრის საფეხურებს. ბოლოს აღწევს ჩემამდე. მისი თოკით ანგავას ვაზღვევ. იგი მეტისმეტად გაუბედავად მოდის. სწევს ზევით მარცხენა ფეხს. ფეხსაცმლის წვერი კაწრავს ყინულს, მუხლი ეჯახება ფერდობს, იგი კარგავს წონასწორობას და კოტრიალით მიჰქრის ქვემოთ. საბედნიეროდ, მის ყოველ მოძრაობას თვალს ვადევნებდი. მარყუჟი ცურავს წერაყინის ტარის გარშემო, თოკი იჭიმება და ანგავა უვნებელი რჩება. კარგი შიში ჭამა, მაგრამ ამიერიდან ირწმუნა დაზღვევის საიმედობა! განვაგრძობთ წინსვლას მაგარ ყინულზე მდებარე არასაიმედო თოვლზე. ჩვენს ირგვლივ ზლაპრული დეკორაციებია: ცაზე ღრუბლის ნატამალიც არა ჩანს. ჩვენი ლანდებიც კი სავსეა გამჭვირვალე სილაჟვარდით. მარცხნივ „ნამგლის" თხემი ისე ახლოსაა, გგონია ხელით მიწვდები. იგი ათასფერად ბრწყინავს მზის სხივებზე. ნამდვილი ალმასის მწვერვალია.

ორივე შერპი დაიღალა და დავატონდუპს ალბათ უკვე აღარ ახარებს მის მიერ დამყარებული რეკორდი: ესოდენ მნიშვნელოვანი სიმაღლის აღება ასეთ მოკლე დროში.[1] გაჭირვებით დავძლიე მეტად რთული სერაკი და, როცა სამი კარგი საფეხური და მარცხენა ხელმოსაჭიდი, ანუ „ჯიბე" ამოვჭერი, უეცრად ყრუ ხმაური მომესმა: ისე გაიტაცუნა ყინულმა, თითქოს მთელი სერაკი იმსხვრევაო. ძალიან შევშინდი. სულგანაბული გავირინდე, მაგრამ არაფერი მოხდა: ცხადია, სადღაც სიღრმე-

---

[1] დაწყებული ჩოიადან, რომელიც დაახლოებით 2500 მეტრის სიმაღლეზე მდებარეობს, იგი ისე ავიდა 7000 მეტრის სიმაღლეზე, რომ ერთი დღეც არ შეუსვენია.

ში, ყინული ჩაწვა. შემიძლია განვაგრძო ჭრა. ნახევარი საათის შემდეგ გავდივარ ზედა კალთებზე და ნათლად ვხედავ დიდ მთისძირა ნაპრალს, რომელიც ჰორიზონტალურად უვლის მთელ პლატოს: შემიძლია დავტკბე „ნამგლის“ გიგანტური კედლის მზერით.

— შენი რიგია, დავატონდუპ!

ვუჩვენებ მას შემდგომ გზას, იგი გაცილებით უფრო მარტივია: არცთუ ისე ციცაბო თოვლიანი კალთა, შემდეგ ასი მეტრი საკმაოდ ციცაბო ყინული, რომელშიც საფეხურების ჭრა შოგვიხდება, შემდეგ ისევ თოვლიანი კალთა და ბოლოს, მთისძირა ნაპრალი.

ამჯერად ვისვენებ, დაე დავატონდუპმა წაგვიყვანოს, მე კი ჩამკეტად დავრჩები. მაგრამ შერპები ზანტები არიან და ჯერ კიდევ არა აქვთ სავსებით ათვისებული საწერაყინო ტექნიკა: დავატონდუპი ჭრის ძალიან ხშირსა და ამავე დროს, მეტისმეტად დიდ საფეხურებს. და მაინც ავდივართ. მალე წინ პირღია, ღრმა ნაპრალი გვეღობება. ის იმდენად გრძელია, რომ სიღრმე არც იგრძნობა. დაახლოებით ერთ კილომეტრზე არც ერთი გადასასვლელი არაა, გარდა ხიდისა, რომელიც ზვავის კონუსითაა წარმოშობილი. აშკარად არასაიმედო ადგილია და აქ გადასვლა „იძულებითია“.

მე კვლავ წამყვანი ვხდები. ვძლევ წიბოს, რომელსაც კონუსთან მივყავართ და პირაღმა ავდივარ. დავატონდუპი ქვემოდან მაზღვევს, სიფრთხილე სულაც არაა ზედმეტი, ვინაიდან, როგორც კი ორ ნაბიჯს ვდგამ, წამის შემდეგ იმდენითვე ქვემოთ ვცურდები. თოვლი მეტად ფხვიერია და მეშინია, თოვლის ხიდი არ ჩაინგრეს. როცა კონუსის მწვერვალს მივაღწიეთ, რაც კი შემეძლო ზევით ავწიე და დავკარი წერაყინი. გაისმა წკრიალი. ყინული ყოფილა. მაშინ მთელი ძალით დავარტყი და ნისკარტი ჩაიჭედა: გადავრჩი! ვაგრძელებ გზას — დიდი გაჭირვებით მივიწევ ზევით; თოვლი ვერ მიჭერს და ფეხებქვეშ მიედინება; როგორღაც ვახერხებ წრიალის კბილებით ფერდობზე შოჭიდებას, სწრაფად ვჭრი რამდენიმე საფეხურს და ზედა პლატოს ვაღწევ. ახლა შერპების რიგია: ისინი საიმედოდ მიჭირავს. აქ უკვე პრინციპებზე ლაპარაკი ზედმეტია: მათ არაფერი უშლის ხელს, რომ თოკს ამოჰყვნენ. მართლაც, ისე ხალი-

სით სარგებლობენ ამ შესაძლებლობით, რომ ლამის ხელი მომგლიჯონ. ამგვარად, ჩვენი პატარა ჯგუფი ზედა პლატოზე აღმოჩნდა. მე ენთუზიაზმის ტალღამ მომიცვა: მგონია, ყველა ტექნიკური სიძნელე უკანაა. რა მოგველის ზევით? ალბათ კარგი თოვლის ან ყინულის კალთა... მაგრამ, უეჭველია, უკვე აღარ შეგვხვდება არც კედლები და არც კულუარები.

— წინ! ყოჩაღად!

ვიკიდებთ ზურგჩანთებს და მივემართებით მარცხნივ „ნამგლისაკენ". აქედან იგი კარგად ჩანს. მოწითალო კლდეების მეტად ზვიადი შესახედაობის შვეულ კედლად ეშვება ყინვარი, რომლის სიმაღლე თითქმის 200 მეტრია. საბედნიეროდ, „ნამგლის" ტარი უფრო მისაწვდომია; ჩვენი გზა სწორედ მასზე გადის. ისევ წელამდე თოვლში ვფართხალებთ. ყოველ ნაბიჯზე ვჩერდებით სულის მოსათქმელად და მაინც წინ მივიწევთ. ერთი საათის მომქანცველი მუშაობის შემდეგ კედლის ძირამდე მივედით. მე მგონია, ბევრი გავიარეთ. მიზანშეწონილია თუ არა, კიდევ გავადიდოთ მანძილი მესამე და მეოთხე ბანაკებს შორის? საეჭვოა! თითოეულ ჩვენგანს ხომ უნდა შეეძლოს ამ მონაკვეთის თავისუფლად გავლა ერთ დღეში. ამიტომ გადავწყვიტე, ბანაკი აქვე გავმართოთ. შესაფერი ადგილი არ ჩანს. მთელი კალთა ზვავებითაა დავარცხნილი. ბოლოს, მომცრო სერაკის ძირში, ვპოულობთ პატარა უხიფათო მოედანს. სერაკი დიდებულად გვიფარავს ქარისაგან, ხოლო კარვები დაცული იქნება ზვავებისაგან. გაორკეცებული ენერგიით ვიწყებთ შესაფერი მოედნის ამოჭრას. ვასწორებთ მას, მალე კარვებს ვდგამთ, პროდუქტებს ვალაგებთ და ბანაკი მზადაა. შეგვიძლია რიგიანად დავისვენოთ.

შერპებს აუტანელი თავის ტკივილი აწუხებთ. ვსინჯავ ალტიმეტრს: 7 500 მეტრს უჩვენებს. „ტყუის" — ვფიქრობ მეცნობილია, რომ სიმაღლის ჩვენება ჩვეულებრივ, აწეულია ხოლმე. თუ მხედველობაში მივიღებთ გარემომცველი მწვერვალებისა და ქვედა ბანაკების მდებარეობას, მე ვფიქრობ, რომ დაახლოებით 7 150 მეტრის სიმაღლეზე ვიმყოფებით.[1] დავა-

[1] ნამდვილად კი, როგორც შემდეგ დადგინდა, ჩვენ ვიმყოფებოდით 6850 მეტრის სიმაღლეზე.

შესვენება ტილიჩოს უღელტეხილზე, დიდი ბარიერის მწვერვალების ქვეშ.

მწვერვალზე

მორის ერცოგი

10 ივნისს, მუსონური წვიმების პერიოდში, მზიდავების ზურგზე დაკრული ავადმყოფები ტოვებენ საბაზო ბანაკს.

სრულიად დაბრმავებული, მთლიანად ანგ-თარკეზე დანდობილი ტერაი უახლოვდება ბანაკს.

გადასელა მთის მდინარეზე



მორის ერცოგი

დეკემბრის ცე
მონიის შემდეგ
პალის მაპარაჯ -
ლდოვებს მორის
ცოვს ორდე
„გურკების გმირ=
მარჯვენა".

ტონდუპსა და ანგავას ვაძლევ ასპირინსა და ვთხოვ წაიხემსონ. ისინი უარს ამბობენ და იძულებული ვარ მარტოკა გავუსწორდე ერთ ჭილა თინუსის კონსერვს, რომლის შეხედვაც კი გულს ურევს მათ. გარემომცველი ვითარება სასიხარულო აღგზნებას იწვევს ჩემში და გამარჯვების ურყევ რწმენას მინერგავს. ახლა თითქმის დიდი ბარიერის სიმაღლეზე ვართ. უფრო ქვევით მოჩანს „ყვავილოვანი კომბოსტოს“ თხემი, რომელიც ასე დიდხანს „დაგვცინოდა“. შორს, ქვემოთ, სიღრმეში, პლატო იშლება, სადაც მეორე ბანაკი მდებარეობს და, სადაც ადამიანები შავი წერტილებივითაც კი არ ჩანან.

— წავედით!

შერპებს ხვეწნა არ სჭირდებათ, ისინი იმ წუთშივე მზად არიან. გულმოდგინედ ვკეტავთ კარავს, იმ იმედით, რომ, მიუხედავად ზვავებისა, იგი მთელი და უვნებელი დაგვხვდება, და ვეშვებით თავქვე. დაშვება ყოველგვარი უსიამოვნების გარეშე და გაცილებით დიდი სისწრაფით მიმდინარეობს. ვიდრე ასვლა. ვეშვებით კეფლებზე, პირით ფერდობისაკენ. შერპები, რომელთაც მე ვაზღვევ, მშვენივრად სძლევენ ყველა ძნელ უბანს. დაახლოებით საათნახევარში მივაღწიეთ მესამე ბანაკს.

— აქ ხალხია!

ბედნიერი ვარ, ვაცნობო ჩემს ამხანაგებს, რომ ანაპურნა ახლა ვითომ ჯიბეში გვედოს! სწრაფმა დაშვებამ ცოტაოდენ გამამხნევა და აღსავსე ვარ ენთუზიაზმით. რაც შეეხება ჩემს ამხანაგებს, ისინი გაშოტილან კარვებში და გაპირვებით დგებიან ჩვენი მისვლისას. აქ რა ხდება?

კუზიმ და შაცმა, რომლებიც წინადღით ამოვიდნენ პირველი ბანაკიდან, თან წამოიყვანეს გზიდან ლაშენალი და რებიუფა. გაათიეს ღამე მეორე ბანაკში და დილით ოთხივე აქეთ გამოვიდა. ჩვეულებრივ, თოვლზე მეტად მძიმე სავალი იყო. არასაკმაო აკლიმატიზაციის გამო კუზის ამჟამად ძლიერ სტკივა თავი, შაცი ცუდ გუნებაზეა, რებიუფას უფრო შორს წასვლა აღარ შეუძლია, ლაშენალს მადა დაკარგვია. ამაოდ ვცდილობ, გავამხნევო ისინი, ამაოდ ვარწმუნებ, რომ ამიერიდან საქმე კარგად წარიმართება. არაფერი გამოდის. აშკარაა, ისინი ჯერ კიდევ ვერ არიან ფორმაში. მაგრამ იმედი მაქვს, რომ დასვენების

შემდეგ, დილით, უკეთესად იგრძნობენ თავს. ჩემს აქ დაყოვნებას აზრი არა აქვს. ადგილი არ არის და, ამასთან, კიდევ ერთი რეისია გასაკეთებელი. ვფიქრობ, ტერაის ჯგუფი რომ ბარგს აიტანს, ჩვენ საკმარისი საჭურველი და სურსათი გვექნება. წინ გამარჯვებაა!

მაგრამ დრო არ ითმენს... შეძრწუნებით ვითვლი განვლილ დღეებს: უკვე 28 მაისია, ხოლო უკანასკნელი ცნობებით, მუსონი ჩვენამდე მოაღწევს დაახლოებით 5 ივნისამდე. ამგვარად, ჩვენს განკარგულებაშია მხოლოდ ერთი კვირა.

შერპები ამჯერად გაცილებით უფრო ჩქარა მიდიან, უკანასკნელი დღეების გაკვეთილებმა მათ დიდი სარგებლობა მოუტანა, ტექნიკა გაუუმჯობესდათ: ლავგარდანიდან ჩამოსვლის დროს ისინი უყოყმანოდ ავლებენ თოკს ხელს, სწრაფად სრიალდებიან მასზე და ძირს დაშვებისას მხნედ მიქნევენ ხელს, რითაც მანიშნებენ, რომ გზა თავისუფალია. ამის წყალობით გაცილებით ნაკლებ დროს ვხარჯავთ და დიდი კმაყოფილებით ვხედავ, რა სწრაფად ვუახლოვდებით მეორე ბანაკს.

მაგრამ უკანასკნელ ხანებში დავატონდუპი უცნაურ ტკივილს უჩივის, სახელდობრ სად — ძნელი გამოსარკვევია. იგი გვიჩვენებს ხელით გულმკერდიდან ბარძაყამდე. რა არის ეს — სპირტის ჭარბად ხმარება, სიმაღლის გავლენა, თუ უბრალოდ, თავის დაძვრენის სურვილი მომავალი მუშაობიდან, რომელიც ეტყობა, განსაკუთრებით მძიმე იქნება! რა უდევს გუნებაში ამ ეშმაკისფეხს? განუწყვეტლივ კვნესის და ანგავა იძულებულია მხარში ამოუდგეს. როდესაც ბანაკს ვუახლოვდებით, თოვას იწყებს. ტერაი მხიარული ყიჟინით გვხვდება.

XI

მეორე ბანაკი

ერთი წუთის შემდეგ ტერაი ცხელ ჩაის მასმევს. სიტყვის თქმასაც არ მაცლის და მაიძულებს ვჭამო, დაახლოებით იმავე მეთოდით, რომელსაც ბატების გასუქების დროს იყენებენ.

მეორე კარავში შერპები დავატონდუპს დაჰფუსფუსებენ, რომელიც სულ უფრო შედის მძიმე ავადმყოფის როლში.

ესოდენ მსუყე სადილის შემდეგ სრულიად არ მაწუხებს დაღლილობა, რომელიც სავსებით ბუნებრივია ძალ-ღონის ასეთი დახარჯვის შემდეგ. ბოლოს, ტერაი მაძლევს ლაპარაკის ნებას. მე ვაცნობ მას ბანაკების განლაგებას.

— ახლა, — ვეუბნები, — საჭურვლის უმეტესი ნაწილი მომზადებულია იერიშისათვის. გვრჩება გასაკეთებელი კიდევ ერთი მაქო, რომ მეხუთე ბანაკი გავმართოთ, საიდანაც გადამწყვეტი იერიში დაიწყება. ჩვენ სწორ გზას ვადგავართ. ამჯერად შეიძლება წარმატების იმედი ვიქონიოთ!

ტერაიმ, როგორც ჩანს, მთლიანად აღიდგინა ძალ-ღონე პირველ ბანაკში, საიდანაც იგი ახლახან ამოვიდა, მაგრამ კვლავინდებურად შეფიქრიანებულია.

— რა თქმა უნდა, ყველაფერი რიგზე იქნება, თუ კარგი ამინდი გასტანს. ქვემოთ რადიოთი მიღებულია მეტად ამაღელვებელი მეტეოცნობები. მუსონნი უკვე მოაღწია კალკუტამდე, რამდენიმე დღის შემდეგ აქ იქნება...

ყოველ შემთხვევაში, მე ჩინებულ ფორმაში ვარ. იმდენად კარგად ვგრძნობ თავს 7 000 მეტრის სიმაღლეზე, რომ სრუ-

ლიად დარწმუნებული ვარ, 8 000 მეტრის სიმაღლეზეც ყველაფერი შეუფერხებლივ ჩაივლის უყანგბადოდაც.

ტერაი ანელებს ჩემს ენთუზიაზმს:

— თუ იმდენივე შრომა მოგვიხდა, რამდენიც აქამდე, მაშინ ეს გიგანტური სამუშაოა და ბოლოს და ბოლოს, ჩვენ ალბათ ვერ გავუძლებთ.

მას აინტერესებს, როგორი შთაბეჭდილება მოახდინეს ჩემზე მესამე ბანაკში მყოფმა ამხანაგებმა. იძულებული ვარ, ვაღიარო, რომ ისინი ვერ გამოიყურებიან კარგად.

მართლაც, მე მეჩვენებოდა, რომ ჩემს მიერ მესამე ბანაკში დატოვებული ოთხი მეგობარი, ძალიან გატეხილა, როგორც ფიზიკურად ისე მორალურად.

— სამაგიეროდ, ძველო, მე და შენზე სრულიად არ ვწუხვარ. ამასთან, გზა ყინვარამდე გაკვალულია. ამ ოთხი შერპის თანხლებით შეგვიძლია მწვერვალამდე ვიაროთ.

— მაგარი მიწოლა კი მოგვიხდება, — შემეკამათა ტერაი ისეთი გამომეტყველებით, თითქოს შეტევისათვის ემზადებაო.

— ყური მიგდე, სავსებით დარწმუნებული ვარ, თუ რაიმე გაუთვალისწინებელი კატასტროფა არ მოხდა, აუცილებლად გავიმარჯვებთ, თუნდაც ის ოთხნი მესამე ბანაკში ვერ მომჯობინდნენ (რაც ნაკლებსავარაუდოა, განსაკუთრებით იმათთვის, ვისაც კარგი აკლიმატიზაცია აქვს), ჩვენ მაინც უნდა გავიმარჯვოთ. ჩემი წინადადებაა, მთელი ხვალინდელი დღე აქ გავატაროთ: ეს მოგვცემს ჩვენთვის აუცილებელი დასვენების შესაძლებლობას. დამშვიდებით მოვემზადებით გასვლისათვის და ზეგ, გარიყრაუზე შევუდგებით აღმასვლას, ბანაკიდან ბანაკამდე. როდესაც ისინი ხვალ აქ ჩამოვლენ, შევარჩევთ ორს, ყველაზე ძლიერს და ეს ჩაბმა წამოვა ერთი დღით გვიან ჩვენს შემდეგ, დამხმარე ჯგუფის სახით. რაც შეეხება მეორე ჩაბმას, ის დაისვენებს კიდევ ერთ დღეს და შეძლებს თან გაჰყვეს პირველს ერთი დღის სავალ მანძილზე. ორივე სამარქაფო ჯგუფი წამოიღებს დამატებით საჭურველს და დაეხმარება მოიერიშე წყვილს დაშვებისას.

— დრო არ ითმენს, — ჯიუტად იმეორებს ტერაი, — შენი გეგმა დიდებულია, მეგობარო, მაგრამ მე არ მინდა დრო ტყუ-

ილ-უბრალოდ დავკარგო. რა უნდა ვაკეთო აქ ხვალ მთელი დღე? უკვე დავისვენე! უმჯობესია ზევით წავიდე. ჩვენ ამით ერთ მაქოს მოვიგებთ და შესაძლოა ამას გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდეს...

—მე არ გედავები, მაგრამ შენ რომ ხვალ გახვიდე, ჩვენ უკვე ერთად აღარ ვიქნებით. ამ მომენტში კი მხოლოდ მე და შენ ვართ კარგ ფორმაში: 7000 მეტრზე უფრო მაღლა ადამიანი მარტოკა ვერ წავა. დარწმუნებული ვარ, რომ მე და შენ ერთად აუცილებლად მივაღწევთ მწვერვალს.

— მოდი, პრაქტიკულად შევხედოთ ყველაფერს, მორის. ერთ დღეს ჩვენ მაინც დავკარგავთ. ჯანდაბას, თუ პირველ მოიერიშე ჩაბმაში ვერ მოვხვდები, მეორეში ვიქნები და მორჩა! მაგრამ თუ ერთ წყვილს მაინც უწერია მწვერვალამდე მისვლა, მაშინ, შესაძლოა, ეს მოხდეს მხოლოდ იმის წყალობით, რომ ბარგს ზევით ავიტან.

ცოტა არ იყოს, საგონებელში ვვარდები. მეგობრის კეთილშობილება არ მაკვირვებს. მე ის უკვე დიდი ხანია შევაფასე. მაგრამ ამ წუთში ასეთი მსხვერპლი უაზრობად მეჩვენება. ტერაი თვლის, რომ იგი თავის ვალს იხდის. რაც შემეხება მე, ეგოისტური განზრახვით ხომ არ მსურს იგი პარტნიორად მყავდეს ჩაბმაში? ეს აზრი უბერხულობაში მაგდებს და ვყოყმანობ.

— რა გაეწყობა, თუ ასეა, თანახმა ვარ, — ვეუბნები დანანებით, — ერთი შეხედვით მეჩვენება, რომ შენ მართალი ხარ, მაგრამ, ვფიქრობ, ასეთი შემთხვევა მეტად აღარ მოგვეცემა.

ტერაი ჩაფიქრდა. უცებ ჩინებული აზრი მომივიდა და ტერაის ვუთხარი:

— თუ შენ აუცილებლად ხვალ გინდა წასვლა, ლიონელ, რატომ არ უნდა ახვიდე მხოლოდ მესამე ბანაკამდე და თან წაიღო ერთი სასიმაღლო კომპლექტი, რომელსაც მერე სხვები წაიღებენ. იმავე დღეს მოასწრებ დაბრუნებას. ჩვენ დავრჩებით აქ კიდევ ერთ დღეს, რომ დაისვენო და ამის შემდეგ ორივენი გავალთ. შერპებს მსუბუქი ტვირთი ექნებათ და გზის გაკვალვის დროს მალმალე შეენაცვლებიან ერთმანეთს. ავხსნით ბა-

ნაკს და, თუ საჭიროება მოითხოვს, მეხუთე ბანაკს გავმართავთ. მერე კი გავუტევთ თვით მწვერვალამდე.

მე მომწონს ეს გადაწყვეტილება და წინასწარ მჯერა, რომ ტერაი დამეთანხმება. მისი მთავარი საზრუნავი „მაქოების“ შეუფერხებელი მოძრაობაა.

— რაკი ასე გსურს, კეთილი, — მეუბნება იგი. მისი პასუხით ძალიან კმაყოფილი დავრჩი.

საღამო მხიარულად გავატარეთ. ნათლად მაქვს წარმოდგენილი მეორე ბანაკის არაჩვეულებრივი კომფორტი: დიდი კარვები, ელექტრო-განათება, მოხერხებული კედლები, საკმარისი წყალი და ა. შ.

მას შემდეგ, რაც ზვავმა ერთხელ კარვები წალეკა, ტერაიმ მთლიანად აღადგინა ბანაკი. ახლა ის კარგადაა დაცული, მას იცავს ისეთი უზარმაზარი, ისეთი განიერი ნაპრალი, რომელიც უცილობლად ჩაყლაპავს ყველაზე მძლავრ ზვავებს.

საძილე ტომრებში თბილა და მყუდროებაა. გარეთ კი ქარბუქი მძვინვარებს.

— როგორ... შენ ეწევი?

ღირსშესანიშნავი დღეა! ლიონელ ტერაი მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში ეწევა ხოლმე.

ჩვენ ისევ და ისევ ვუბრუნდებით ძირითად თემას.

— როგორ ფიქრობ, დანარჩენები შეძლებენ პირდაპირ გზიდანვე ასვლის გაგრძელებას, აქ შეუჩერებლად?

და მცირე პაუზის შემდეგ:

— აჰ, მუსონი რომ დაგვაცლიდეს!

ფარნის მკრთალ შუქზე ძლივს ვხედავ ჩვენი სიგარეტებიდან ამავალი ბოლის რგოლებს. ტერაის სახე სიბნელეში ინთქმება.

ნეტავი მალე ამოიტანს ნუაელი საჭურვლის და პროდუქტების ძირითად ტვირთს ტუკუჩიდან?

მაგრამ დაღლილობას თავისი გააქვს. ტერაი, როგორც ყოველთვის მომჭირნე, სინათლეს აქრობს. რამდენიმე წუთის შემდეგ ბურანში ვიძირებით...

ღამით რაღაც ბიძგებს ვგრძნობ. ისმის ხანგრძლივი ბუზღუნი. სახეზე ვიღაცის ხელი მხვდება. სინათლე ინთება.

— რაშია საქმე?

— არაფერი, ჩემი წასვლის დროა!

— როგორ, უკვე?

ტერაი ნაჩქარევად იცვამს ფეხსაცმელს, გადის კარვიდან და აღვიძებს შერპებს. ექსპედიციის მსვლელობის მთელ მანძილზე იგი უცვლელად ერთგულია თავისი ადრეული გასვლების ტაქტიკისა. რა თქმა უნდა, ტერაი მართალია, ვინაიდან თოვლი განთიადისას ბევრად უკეთესია, მაგრამ რა მხნეობაა საჭირო! ეს მხოლოდ ტერაის ახასიათებს. თვალდახუჭული კმაყოფილი ვფიქრობ იმაზე, რომ, ვიდრე დანარჩენები ოფლში იწურებიან, მე შემიძლია სითბოში ვინებივრო, შერპები კი ყოველნაირად მომემსახურებიან! გარიჟრაჟზე მესმის ხმამაღალი:

— ნახვამდის, მორის!

— ხვალამდის! გისურვებ წარმატებას!

ტერაი გულდასმით კრავს ღილებით კარავს. უბადლო ტერაი! მე არ ვიცნობ მთელს საფრანგეთში არავის, ვინც უფრო უახლოვდებოდეს იდეალური ამხანაგის ტიპს ექსპედიციაში.

გადის საათები, მზე ანათებს და ათბობს კარავს. ბანაკში სრული სიწყნარეა. ჩემი ორი შერპიც ისვენებს... მაგრამ უკვე გვიანაა. საძილე ტომრიდან ვიწყებ ხმამაღლა ძახილს:

— ანგავა! კჰანა! კჰანა!

ისმის ყრუ ხმები, შემდეგ:

— Yes, Sir, — იწყება რაღაც ფუსფუსი.

ნელა ვძვრები საძილე ტომრიდან. ფეხსაცმელები გაყინულა და, ვიდრე ჩავიცვამ, დიდხანს მიხდება მათი ბეგვა. ვიცვამ ბუმბულის ქურთუკს, ვიხურავ ქუდს და ვიკეთებ სათვალეს: ახლა შეიძლება ცხვირი გამოვყო გარეთ. შესანიშნავი ამინდია. მაგრამ მთელი ხეობა ღრუბელთა ზღვაშია ჩაძირული, თუმცა ჩვენს თავზე, ცა მოწმენდილია. ღამით დიდი თოვლი დადო და ტერაიზე ვღელავ, რომელიც ახლა გზას მიიკვლევს. დურბინდით შეიძლება დავინახო მისი ნაკვალევი. მართლაც მალე ვარჩევ ჩაბმას, სწორედ პირველი კედლის ქვემოთ. იგი ეჩხუბება თავის შერპებს და ალბათ უყვირის ხმის ჩახლეჩამდე. ვათვალიერებ მესამე ბანაკის მიდამოებს და უეცრად ვხედავ ქვემოთ მომავალ ორ შავ წერტილს.

ხომ ოთხივე მეოთხე ბანაკისაკენ უნდა ადიოდნენ; ცხადია, ცუდმა ფიზიკურმა მდგომარეობამ ძლიერ შეარყია ჩემი ამხანაგების მორალური სიმტკიცე.

მირისტი-კჰოლას ხეობაში მძიმე ღრუბლები ჩამოწოლილა. მათი უჩვეულო სიმუქე შიშს გვინერგავს. ნაღვლიანი წინათგრძნობა მიპყრობს. ყველაფერი ეს მუსონის დაწყებას ხომ არ მოასწავებს?

დავატონდუპი სულ უფრო და უფრო უარესად ხდება. პირველ ჯგუფთან ერთად გავისტუმრებ მას პირველ ბანაკში. ახლა წევს თავის საძილე ტომარაში და მუცელზე ხელებმიჭერილი კვნესის.

ისევ თოვს. კარავში ვძვრები, გასაბერ ლეიბზე ვწვები და თვლემას ვიწყებ. მალე ყვირილი გაისმის. ეს ნამდვილად ლაშენალია. მეც ვყვირი საპასუხოდ. ახლა, მრავალრიცხოვანი რეისების შემდეგ, ნაკვალევები პლატოზე ისე ჩახლართულა, რომ ხმოვანი სიგნალები სწორედ დროული იქნება. რამდენიმე წუთის შემდეგ მოვიდნენ ლაშენალი და კუზი.

— გზის გაგრძელებას აზრი არა აქვს, — ამბობს ლაშენალი. — მე დედის რძე აღარ შემარჩინა!

— მე კი საშინლად მტკიოდა თავი, — დასძენს კუზი, ასპირინისა და დასაძინებელი ფხვნილის მიღების შემდეგაც კი თვალი არ მომიხუჭავს.

— შენ რომ მაგისთვის მოგესმინა, — კვერს უკრავს ლაშენალი, — მთელი ღამე ჩიოდა, თავის ქალა მისკდებაო.

— სიმაღლის გავლენაა, — ვეუბნები მე. — თქვენ სწორად მოქცეულხართ, რომ დაეშვით. სხვები როგორ არიან? წავლენ ზევით ლიონელთან ერთად?

— იცი, — მიხსნის ლაშენალი. — ყველანი ცუდად ვგრძნობდით თავს, განსაკუთრებით მას შემდეგ, მთელი ღამე რომ თოვდა. ვერ გეტყვი, შეძლებენ თუ არა. ვფიქრობ, ლიონელს ელოდებიან, რომ მასთან ერთად გადაწყვიტონ.

შევდივართ კარავში. ლაშენალი აშკარად ტკბება კომფორტით. კუზის თავის ტკივილმა გაუარა — ნაცნობი მოვლენაა. როგორც კი ასეულ მეტრ სიმაღლეს დაჰკარგავ, მთის ავადმყოფობის ყველა ნიშანი უკვალოდ ქრება. სანამ ამხანაგები იცვა-

მენ და შრეგიან, მე მივდივარ ანგავასთან და საუზმის ამბავს ვაგვარებ. აქ უკვე ძუნწობა აღარ გვჭირდება, ყველა რეზერვი უნდა გამოვიყენოთ, რომ ჩვენი ამხანაგები ფეხზე დავაყენოთ. ასეთი მძიმე მუშაობის დროს მათ გუშინწინდელს აქეთ ხემსი არ უნახავთ.

ძალზე მესიამოვნა, რომ ნოყიერმა საუზმემ ამხანაგებზე კარგად იმოქმედა. მალე ლეიბებზე გავიშოტეთ და საუბარმა უფრო ოპტიმისტური ხასიათი მიიღო.

უეცრად კარვის კარი გაიღო და ანგავას აღელვებული სახე გამოჩნდა:

— ბარა საჰიბ, სხვა საჰიბები მოდიან!

ხოლო პაუზის შემდეგ:

— ბარა-საჰიბ, ყური დაუგდე!

მართლაც ჩვენამდე რაღაც ყვირილი აღწევს.

რადგან განუწყვეტლივ ბარდნის, სასწრაფოდ ვიცვამ პაჭიკებს, საშტორმო ტანსაცმელს და გავდივარ. ათ მეტრზე არაფერი ჩანს, დროდადრო გარკვევით მესმის ყვირილი. ეს უეჭველად საჰიბია, რადგან შერპებს ძალიან შორ მანძილზე ესმით ერთმანეთისა. ხმა აღწევს არა მესამე ბანაკის მხრიდან, არამედ გაცილებით უფრო ახლოს „ყვავილოვანი კომბოსტოს“ თხემთან. ორი შესაძლებლობაა: ან მესამე ბანაკიდან გადაუხვია ვინმემ დაშვების დროს მარცხნივ და ნაპრალთა ზონაში მოხვდა, ანდა პირველი ბანაკიდანაა ვინმე და მეტისმეტად მაღლა ასულა. ყოველ შემთხვევაში, ცხადია, რომ საშიშროება არ ემუქრება. რადგან მთებში ყოველთვის შეიძლება უბედურების სიგნალის გარჩევა. ვეხმიანები როგორც შემიძლია, მიუხედავად სიშორისა, უცნობმა ჩემი ხმა გაიგონა. მგონი გამიგო და გეზი მარცხნივ აიღო. მისი ხმა ახლოვდება და უკვე შემიძლია ახსნა-განმარტება ვაძლიო:

— მარცხნივ, სულ მარცხნივ, დიდი ნაპრალის გასწვრივ...

— ვიმეორებდი, ვიდრე პასუხად არ მომესმა „გასაგებია!“

15 წუთის შემდეგ ბარბაცით მოგვიახლოვდა თეთრი მოჩვენება. გაჭირვებით ვიცანი შაკი.

— რებიუფა სადღაა?

— მე მარტო დავეშვი!

— როგორ თუ მარტო? შენ რა, შეიშალე? ასეთ ამინდში და ასეთ ვითარებაში! ეს უკვე ეშმაკმა იცის, რა არის!

ვგრძნობ, სიბრაზისაგან წამოვეპარხლდი.

— ჯერ მომისმინე, მეგობარო, — იმართლებს თავს შაკი, — მე არ შემეძლო სხვანაირად მოვქცეულიყავი, კინალამ დავიხრჩვი მესამე ბანაკში და არათუ ვერ დავეხმარებოდი ხვალ ლიონელს, არამედ ზედმეტი მეამელი ვიქნებოდი იქ. სწორედ ამიტომ გადავწყვიტე დაშვება.

ამდენი ხნის მანძილზე პირველად გამოვდივარ მოთმინებიდან:

— ეშმაკმა დალახვროს! ჯერ ისედაც ცუდად ხარ და ცეცხლს ეთამაშები, თან სრულიად უსარგებლოდ! წარმოიდგინე, ამასწინანდელივით რომ დაცემულიყავი ან ანგავას არ გაეგო შენი ყვირილი... რა მოგელოდა!

რა გაეწყობა, რაც .იყო, იყო; ახლა საჭიროა, რომ ჩვენი ამხანაგი გონს მოვიდეს განცდილი მღელვარების შემდეგ. ცხელ ჩაისა და ნოყიერ საჭმელს ფერზე მოჰყავს იგი. ისიც თავის მხრივ, ბანაკში დამკვიდრებული ოპტიმიზმით იმსჭვალება და მომავალს უფრო იმედიანად უყურებს.

— ლიონელმა ამოაღწია მესამე ბანაკამდე? — ვეკითხები.

;— მას ძალიან შეაგვიანდა დიდი თოვლის გამო. დაშვებისას მე და გასტონი წავაწყდით ნისლში. იგი ისეთ ხალისიან გუნებაზე იყო, რომ ყველანი ერთად უკანვე დავბრუნდით.

— როგორ მოხდა, რომ გასტონმა მარტო გამოგიშვა?

— ახლავე აგიხსნი: ჩვენ პატარა სამხედრო თათბირი გავმართეთ: ლიონელმა თქვა, რომ მეოთხე ბანაკი იმათ უნდა მოაწყონ, ვინც ღამე ათია მესამე ბანაკშიო, ე. ი. მე, კუზიმ, ლაშენალმა და გასტონმა, თუმცა ორი დაეშვა, მაგრამ დავალების შესრულება მაინც აუცილებელიაო.

— მაშასადამე, თქვენ გადაწყვიტეთ მასთან ერთად უკანვე ასვლა?

— საკვლებით სწორია.

ტერაი ყოველთვის საქმეს აყენებს პირველ რიგში. მას მიაჩნია, რომ სწორედ ასე მოიხდის თავის ვალს!.. მაგრამ შაცი განაგრძობს:

—მე საშინლად დავიღალე და ლიონელს ვუთხარი, უგუნურება იქნება, ხვალ რომ ფერდობზე ჩავიკეცო-მეთქი, ჯობია დავეშვა დასასვენებლად, მერე კი მე და კუზი ისევ შევადგენთ ჩაბმას.

— მაშასადამე, ხვალ ლიონელი და გასტონი ზევით მიდიან?

— დიახ, თუ ხელსაყრელი ამინდი იქნა.

— შეძლებენ კი გზის გაგრძელებას? ვინ იცის? იქნებ სწორედ მათ გაუღიმოს ბედმა?!

გარედან რაღაც ხმაური მოდის. შერპები გაცხოველებით ელაპარაკებიან ერთმანეთს. კიდევ ახალია რამე? ვყოფ თავს კარვიდან და ვხედავ აჯიბას, რომელიც პირველი ბანაკიდან ამოსულა რამდენიმე შერპის თანხლებით. მის უკან დგას ახალგაზრდა მზიდავი პანდი. ტექნიკური სიძნელეების მიუხედავად, იგი მშვენივრად ამოვიდა მეორე ბანაკამდე. ახლა ის თითქმის შერპია. წოდების ამაღლების აღსანიშნავად ნეილონის საუცხოო ჟილეტით ვასაჩუქრებთ, რომელსაც იგი იქვე ამაყად იცვამს. აჯიბა მაწვდის ორ ფურცელს. ხმამაღლა ვკითხულობ:

„პირველი ბანაკი, 1950 წლის 28 მაისი.

მორის ერცოგს მარსელ იშაკისაგან!

ანგ-თარკე მოვიდა 12 საათსა და ათ წუთზე. საბაზო ბანაკში მზადაა 22 მზიდავის ტვირთი.

მაქოებისათვის საბაზო ბანაკსა და პირველ ბანაკს

შორის შეიძლება ჭაბუკის გამოყენება, რომელიც აქ ანგ-თარკემ მოიყვანა. თვითონ ანგ-თარკე ახლავე ეშვება საბაზო ბანაკში ნუაელისა და მისი 15 მზიდავის შესახვედრად. იგი შეეცდება, ზოგი მათგანი მაქოებისათვის შეარჩიოს.

რაც შეიძლება ჩქარა გამოგზავნეთ აჯიბა და გამოატანეთ აუცილებლად საჭირო ნივთების სია (სასიმაღლო კარვები?)

არის თუ არა საჭირო, რომ ჩვენ ვახლდეთ შერპებს მეორე და მესამე ბანაკებს შორის და სახელდობრ, როდის?

მარსელ ი შ ა კ ი".

— რა სასიამოვნო ამბავია!

მაშ ასე, ნუაელი გვიახლოვდება! ახლა ჩვენ მივიღებთ სურსათ-სანოვაგის სრულ მარაგს და დარწმუნებულნი ვართ, აღარაფერი მოგვაკლდება. ბანაკში სამხიარულო გამოცოცხლებაა.

მეორე ბარათი ნუაელისაგანაა. იგი მაცნობებს, რომ ჩემი ბრძანება მიიღო და მალე ამოვა. ეს წერილი გამოგზავნილია ტუკუჩიდან 25-ში, სარკეს ჩასვლის მეორე დღეს. აი, ყოჩაღ! მან 36 საათში გაიარა გზა, რომელიც ჩვეულებრივ 4-5 დღეს მოითხოვს. კარგად იმუშავა მან ექსპედიციისათვის და მისი უფროსი ალბათ მადლობასაც გადაუხდის, როცა ამის შესაძლებლობა იქნება.

ამ ბედნიერი ამბების აღსანიშნავად ვხსნით ერთ ბოთლ რომს... მაგრამ დროის დაკარგვა არ შეიძლება. აჯიბა დაუყოვნებლივ უნდა დაეშვას, რათა განაგრძოს თავისი მაქოსებური რეისები. ამიტომ აქვე ვწერ ქვედა ბანაკების საჰიბებს შემდეგ ბარათს:

„მეორე ბანაკი, 1950 წლის 29 მაისი.

ნუაელს, მარსელსა და ყველა საჰიბს ერცოგისაგან!

მადლობას ვუხდი ნუაელს „ზურგის" სასწრაფოდ ამოგზავნისათვის. ეს დიდ იმედს გვინერგავს. გუშინ გავმართეთ მეოთხე ბანაკი „ნამგლის" ტარის ზედა ნაწილში.

ამჟამად მესამე ბანაკში (6600 მეტრზე) არიან: ტერაი, რეგბიუფა და ორი შერპი.

უახლოესი მიზანია: გავმართოთ მეხუთე ბანაკი გადამწყვეტი იერიშის წინ, რაც განხორციელდება თანმიმდევრული წყვილ-წყვილი ჩაბმების მიერ.

მარსელს — მეტად სასწრაფოდ: სარკე, აჯიბა, ფუთარკე და პანდი, რაც შეიძლება ადრე უნდა ამოვიდნენ ხვალ, თან წამოიღონ: ორი დიდი კარავი, ორი საძილე კომპლექტი (ტომრები და ლეიბები), ერთი დიდი პრიმუსი („კოლმანი") და ორი ლიტრი ბენზინი, კინოაპარატის კასეტები (ვიგზავნი გადაღებულებს), აფთიაქი (ძილისმომგვრელი აბები, ათი ტუბი ასპირინი, რვა ქილა მოყინვის საწინააღმდეგო მალამო, ხუთი ტუბი გლეტჩერის მალამო), ოთხი წყვილი პაჭიჭი და დამატებითი სასიმაღლო კომპლექტი.

დანარჩენი პროდუქტები დაუმატეთ (არ დაგავიწყდეთ ძეხვი და ერთი ბოთლი კონიაკი).

ამოიღეთ ლაშენალის ზურგჩანთიდან მაღალყელიანი წინდები, სამი წყვილი დაბალი წინდა, კედები, პერანგი და ქვედა საცვალი. კავშირი უმტ-რაციით[1] დღეს, 20 საათზე, კუზი და შაცი ხვალ დაეშვებიან და მოგცემენ დამატებით მითითებებს.

მნიშვნელოვანია: ყველაფერი ეს უნდა გამოგზავნოთ ძალიან ადრე, რადგან მე და ლაშენალი აქ ვიცდით, რათა მესამე ბანაკისაკენ წავიდეთ სარკესა და ფუთარკესთან ერთად.

თუ კარგი ამინდი დაგვიდგა, იმედი გვაქვს წარმატებისა!

მორის ერცოგი".

აჯიბამ და პანდიმ ამოიტანეს სასიმაღლო კომპლექტი, სურსათი და ერთი უმტ. რაცია. დღეს საღამოს, 20 საათზე, როგორც დათქმულია, ვცდით კავშირის დამყარებას. როგორც იქ-

[1] ულტრამოკლეტალღიანი რადიოსადგური.

ნა! ურთიერთობა „ზურგთან“ ახლა მნიშვნელოვნად გაადვილდება.

ძალიან კმაყოფილი ვარ ნუაელის მუშაობით: მან გვიჩვენა, რა შეუძლია მას. ის რომ არა, გამარჯვება მუსონის დაწყებამდე შეუძლებელი იქნებოდა. მივდივარ, რათა თავალი შევავლო დავატონდუპს, რაც შეიძლება ჩქარა მინდა გავისტუმრო ქვეყით. იგი მომაკვდავსა ჰგავს და, რასაკვირველია, მისი დაშვება ახლა ასეთ ქარბუქში, შეუძლებელია. გადავდებთ ამას ხვალისათვის. აჯიბა ტყუილ-უბრალოდ დროს არ კარგავს და მიდის უბარგოდ თავისი ფართო და მოუქნელი ნაბიჯით. მას უკან მიჰყვება პანდი. რამდენიმე წუთის შემდეგ ისინი ნისლში უჩინარდებიან.

ვდგამ რადიოსადგურს. დროგამოშვებით ვაჭერ პედალს:

— ალო, ლაპარაკობს ერიოგი. მატა, გესმით ჩემი ხმა?

პასუხად — მხოლოდ ტკაცუნი. მალე ვიჭერ ინდურ მუსიკას, რომელიც მძაფრი ტემპით სრულდება. ცოტა კიდევ და ცეკვას დავიწყებ აქ, ჰიმალაის გულში, 600 მეტრის სიმაღლეზე!

— ალო, ლაპარაკობს ერიოგი. მატა, გესმის ჩემი ხმა?

.ისევ დუმილი.

ოც საათსა და თხუთმეტ წუთზე, როგორც დათქმულია, კავშირი წყდება. რადიო მართლაც სუსტი ადგილია ექსპედიციებში. ეს, ალბათ, ჩვენი ერთადერთი დაუდევრობაა, მაგრამ ამას, შესაძლოა, დიდი შედეგები მოჰყვეს. წარუმატებლობით ცოტა გულნატკენი კარავში ვბრუნდები. ჩემი ამხანაგები თითქმის მძინარენი მხვდებიან.

გათენდა დილა. კარგი ამინდია: ჰაერი არაჩვეულებრივად გამჭვირვალეა, მზე უკვე ანათებს კარავს. ღამე კარგად დავისვენე და ახლა დაუყოვნებლივ გამოვდივარ გარეთ. თოვლის ნამცეცა კრისტალები მზეზე ალმასივით ბრწყინავენ: ჩანს, ღამით ყინავდა. გეგმა ნათელია; უნდა დავუცადოთ პირველი ბანაკის მაქოს (იმედი მაქვს, რომ იგი არ დაიგვიანებს) და მაშინვე გავიდეთ მესამე ბანაკისაკენ. კუზი და შაკი ჯერ არცთუ ისე კარგად გრძნობენ თავს. კუზი აქ ფიქრობს დასვენებას, ხოლო შაკს უფრო ქვევით, პირველ ბანაკში დაშვება სურს. ის თან

გაჰყვება დავატონდუპს, რომლის მდგომარეობა უკანასკნელი სამი დღის განმავლობაში უცვლელია. ლაშენალს აშკარა ცვლილებას ვამჩნევ, მისი მოძრაობა გაცილებით მკვირცხლია: ამოძვრა საძილე ტომრიდან, შეამოწმა, რას აკეთებენ შერპები, ეძებს, სად არის ტერაი...

მისი სულიერი განწყობილება აშკარად გაუმჯობესდა. შესაძლოა იგი ახლა ისევ კარგ ფორმაშია? მაშინ, ჩვენ შეგვეძლო პირველ ჩაბმად გავსულიყავით.

— რას აკეთებს ამდენ ხანს აჯიბა? — ვკითხულობ მოუთმენლად. მე ხომ გარკვევით ვუბრძანე, რაც შეიძლება ადრე გამოსულიყო პირველი ბანაკიდან. ჩვენ თვითონაც ხომ უნდა წავიდეთ დღეს!

რიგრიგობით ვათვალიერებთ დურბინდით:

— შეხედე, ბისკანტ, კარგად ჩანს, როგორ ადიან რებიუფა და ტერაი შერპებთან ერთად.

— ძალიან ნელა მიიწევენ წინ, — მიპასუხებს იგი.

— ძალზე ღრმა თოვლია და უმძიმთ წინსვლა.

კარგი ამინდის წინამორბედი მოცისფრო ბურუსი ამოდის მირისტი-კჰოლას ხეობის სიღრმიდან და მზის სხივებში ინთქმება. ვიღებთ გარემომცველი მწვერვალებისა და ბანაკის რამდენიმე ფოტოსურათს.

— უკვე შუადღეა, აჯიბა კი არა ჩანს და არა!

სადილზე გრძელი დისკუსია იმართება შამონელ მეგზურებზე. ლაშენალი გამოთქვამს აზრს თავის პროფესიაზე. გადის საათები. შაცი აპირებს დაშვებას დავატონდუპთან ერთად და ჩემთვის ნათელი ხდება, რომ დღეს მესამე ბანაკში უკვე ვეღარ წავალ.

— სალამი, ბარა-საჰიბ!

— სალამი!

უკვე თვრამეტი საათია; ჩემდა სასიხარულოდ, როგორც იქნა, მოგვეევლინენ ანგ-თარკე, ფუთარკე და სარკე. მათ მძიმე ტვირთი მოაქვთ: საჭურველი, პროდუქტები და, კერძოდ, მეორე დიდი კარავი მეორე ბანაკისათვის. დაბინდებისას უკანასკნელად ვუცქერით დურბინდით მეოთხე ბანაკს. არავითარი მოძრაობა არა ჩანს. ალბათ ჩვენი მეგობრები მოეწყვნენ ღა-

მისთვისათვის. ეს კარგი ნიშანია. ხვალ ისინი განაგრძობენ ასვლას მეხუთე ბანაკის მოსაწყობად.

ანგ-თარკეს სახე კმაყოფილებას გამოხატავს, მასაც თითქოს უხარია ჩვენი ნახვა. ექსკურსია მუქთინათში მისთვის დიდი ჯილდო იყო და ხალისი აქამდე გამოჰყვა. ანგ-თარკეს აქ ყოფნა მრავალი საზრუნავისაგან მათავისუფლებს: ჰიმალაის მთებში დიდი გამოცდილება აქვს მიღებული და იცის, რა უნდა გააკეთოს და რის გაკეთება არ შეიძლება. არ ეშინია თოსნობისა. მისი გავლენა სხვა შერპებზე ბევრად მიადვილებს ამოცანას. ახლა ის ხსნის ბარგს და მაწვდის ნუაელის, იშაკისა და უდოსაგან გამოგზავნილ ბარათს.

„1950 წლის 30 მაისი.

1. დილიდანვე შერპების გამოგზავნა შეუძლებელი იყო, ვინაიდან შენი უსტარი გუშინ მეტისმეტად გვიან მოვიდა, შერპები საჭურვლიანად საბაზო ბანაკში იყვნენ.

2. ვგზავნით შენთან ანგ-თარკეს, სარკესა და ფუთარკეს. ისინი მოგიტანენ ყველაფერს, რასაც გვთხოვდი; რაც შეეხება საძილე ტომრებს და ლეიბებს, მოეწყვეთ შერპებთან, როგორც გინდათ.

3. ხვალ გამოვგზავნით კიდევ ერთ ჯგუფს მეორე ბანაკში, შესაძლოა, რომელიმე ჩვენგანის თანხლებით.

4. თუ რაიმე გჭირდებათ, დატოვეთ ბარათი მეორე ბანაკში.

5. გვაცნობეთ, საჭიროა თუ არა, რომ ვინმე ჩვენთაგანი ახლდეს შერპებს მესამე ბანაკში?

6. რადიოკავშირი: ვერაფერი გავიგონეთ. გაიმეორეთ დღეს 17, 19 და 20 საათზე. ახლა მძლავრი მიმღები გვაქვს.

7. აქ მუსონისწინა, დროებითი უამინდობაა. ნამდვილი მუსონი, მგონი ცოტა ნაადრევად უახლოვდება კალკუტას.

8. ჟ. ბ. დაბრუნდა საბაზო ბანაკში. ველოდებით ცნობებს შენგან. აქედან ხვალ წავა შიკრიკი. ჟ. ბ. ტუკუჩაში მიემგზავრება.

9. რას ფიქრობ უკან დაბრუნებაზე? მზიდავების მხრივ მეტად მძიმე მდგომარეობა გვექნება: მათი გამოთხოვის მომენტიდან რვა დღე გავა, სანამ ისინი ჩვენამდე მოაღწევენ. თანაც ერთდროულად გვეყოლება არაუმეტეს ოცი მზიდავისა.

ღმერთმა ხელი მოგიმართოთ!

ნ უ ა ე ლ ი, ი შ ა კ ი, უ დ ო.

P. S. იშაკისაგან. ფერადი კინოფირისათვის: სრული განათების დროს, შეგიძლია დიაფრაგმა 11-მდე დააყენო.“

პირველ კავშირზე მე უკვე დავიგვიანე, ვცდი 19 საათზე. ამჯერად დიდი წარმატების იმედი მაქვს! ცნობა მუსონის შესახებ ძალიან მაღელვებს. ამჟამად თვით მიზანთან ვართ და საშინელება იქნება უკანდახევა უეცარი უამინდობის გამო. თუ მუსონმა უკვე მოაღწია კალკუტას, იგი რამდენიმე დღეში აქ იქნება... ამაოდ ვცდილობ გამოვიძახო რადიოთი პირველი ბანაკი.

ამხანაგებმა რომ ქვემოთ სულ ახალი ცნობები მიიღონ, მათ ბარათზე უკანასკნელ მომენტში, ე. ი. ხვალ დილით ვუპასუხებ.

დაისი აღმაფრთოვანებელია. ნილგირისა და ანაპურნის კედლები ოქროსფრად ბრწყინავენ. თანდათანობით ეს ფერი ნარინჯისფერში გადადის და ბოლოს, მეწამულში; ცა მოკრიალებულია. ძალიან ცივა: ყველაფერი ეს საიმედო ნიშნებია. იქნებ კარგი ამინდის ეს უკანასკნელი დღეები ერთადერთი შესაძლებლობაა ჩვენთვის? ნილგირი ჩრდილითაა დაბურული, ანაპურნის ზედა კლდეები მუქი ვარდისფერია, შემდეგ მთელი მასივი წყვდიადში იძირება და მხოლოდ მწვერვალია კიდევ რამდენიმე წამს განათებული.

ღამე იწურება ყოველგვარი შემთხვევების გარეშე; ზვავები ცოტაა, რადგან გუშინ არ უთოვია. ექვს საათზე ვძვრებით საძილე ტომრებიდან. საუცხოო ამინდია. ლაშენალი კარგ შთაბეჭდილებას ახდენს ჩემზე. ვფიქრობ, ცუდი დღეები გათავდა მისთვის და ახლა ბრწყინვალე ფორმაში ბრუნდება ზევით.

— ჰო, მართლა, მოგიტანეს შენი წინდები და პერანგი? — ვეკითხები, როცა ის ზურგჩანთას ალაგებს.

ამ პატარა დამატებითმა კომფორტმა იგი კარგ გუნებაზე დააყენა. ორთავენი დარწმუნებულნი ვართ, რომ ამჯერად წარმატებას მივაღწევთ.

ვიდრე შერპები ტვირთს ალაგებენ, მე სწრაფად ვწერ პირველი ბანაკისათვის შემდეგ ბარათს:

„1950 წლის 31 მაისი.

ყველა საჰიბს!

მე და ბისკანტი გავდივართ მესამე ბანაკში, თუ ამინდმა გვაცალა, თვით მწვერვალამდე ვაპირებთ ასვლას. შაკი და კუზი მესამე ეშელონს ქმნიან. მარსელს ვთხოვ, გაუგზავნოს ლუსიენ დევის შემდეგი შინაარსის დეპეშა:

„ვიწყებთ ანაპურნის იერიშს წრტ ძნელი ყინულოვანი მარშრუტი სიმაღლის აღების შესაძლებლობას არ გვაძლევს წრტ ობიექტური საშიშროებანი ზვავები ყინულოვანი ჩამოქცევები ნაკლებსავარაუდოა წრტ ბანაკები I—5100 II—5900 III—6600 IV—7150 გამართულია წრტ იმედი გვაქვს გამარჯვებისა წრტ თავს ყველანი ჩინებულად ვგრძნობთ.

მორის ერცოგი.

პროდუქტები: ცოტა მივიღეთ. მეორე ბანაკში კუზი მოგცემთ ინსტრუქციას მისი შემდგომი ამოტანის შესახებ მესამე ბანაკში.

რადიო: ძალიან ცუდად გვესმოდა. შაცმა შეამოწმოს, რისი ბრალია?

მუსონი: გამუდმებით მომაწოდეთ ხოლმე ცნობები.

უკან გამგზავრება: გამოვგზავნით ტუკუჩაში მოწინავე ჯგუფს, რომელიც შეუდგება მზიდავების შეკრებას.

კინო: გავაკეთებ ყველაფერს, რაც შესაძლებელი იქნება, რათა კამერები მწვერვალამდე ავიტანო.

მორის ერცოგი“.

ყველანი ოპტიმისტურად ვართ განწყობილნი და ეს მზადებაში ვლინდება. ვამჩნევ, რომ თითოეული ჩვენგანი განსაკუთრებული გულმოდგინებით ავსებს ინდივიდუალურ აფთიაქს, არჩევს ფირებს, ფოტო და კინოაპარატებისათვის. მე მალულად ვინახავ ზურგჩანთაში შაცის მიერ საგანგებოდ მომზადებულ საფრანგეთის პატარა ალამს და აგრეთვე ვიმპელებს, რომელთა მწვერვალზე ატანის ესოდენ დიდი სურვილი მაქვს.

-ჩვენ მზადა ვართ!

ვტოვებთ ბანაკს. დიდი ნაპრალის შემოვლის შემდეგ მივემართებით ზვავის კონუსისაკენ. თოვლზე ფეხს კარგად ვიკიდებთ. მშვენიერი ამინდია—არც ძალიან ცხელა, არც ძალიან ცივა. სულ უფრო და უფრო კარგ გუნებაზე ვდგებით.

— მორის, რა ხდება ზემოთ?

— მგონი ეშვებიან!

— რას ამბობ!

მეტისმეტად გულვატეხილნი ვხედავთ, რომ ნაკვალევზე ოთხი შავი წერტილი ეშვება ჩვენკენ.

XII

ᲘᲔᲠᲘᲨᲘ

რატომ დაბრუნდნენ? გაუგებარია.

რამდენიმე წუთის შემდეგ შევხვდებით და ალბათ ყველაფერი ნათელი გახდება. ლაშენალი საკმაოდ სწრაფად მოდის და, როგორც ჩანს, გაცილებით უკეთ გრძნობს თავს, ვიდრე წინა დღეებში.

იგი პირველი ადის კონუსზე, ჰკვეთს კულუარს, მარშრუტს კარგად ვიცნობ, უკვე მესამედ მიხდება მისი გავლა, მაგრამ ახლაც კი ძნელად და სახიფათოდ ვთვლი. როცა დიდი კედლის ძირთან, პატარა მოედნამდე ვაღწევთ, სადაც თოკები ჰკიდია, რებიუფასა და ტერაის ვხვდებით.

— სალამი ყველას!

—რა მოხდა? — ვეკითხები ტერაის.

— ასვლის გაგრძელება უგუნურება იქნებოდა, — მიპასუხა მან დარცხვენილმა და საქციელწამხდარმა.

— ამ ქარისა და წყეული თოვლის გამო ჩვენ 7 საათზე მეტი დაგვჭირდა, რომ მესამე ბანაკიდან მეოთხემდე მიგვეღწია.

— კარავი იპოვეთ?

— ვიპოვეთ, მაგრამ ხელახლა მოგვიხდა მისი დადგმა, რადგან საყრდენები მოღუნული იყო ზვავებისაგან. გავმართეთ მეორეც. ქარი მთელი ძალით ბობოქრობდა. გასტონს ფეხები ეყინებოდა.

— მე უკვე ვფიქრობდი, ჩემი წირვა გამოსულია-მეთქი, — აღასტურებს გასტონი. — საბედნიეროდ, ლიონელმა დამიზილა თოკის ნაჭრით და როგორც იქნა, სისხლის მიმოქცევა აღდგა.

— ამ დილით, — განაგრძობს ლიონელი, — უფრო მეტად

ყინავდა, ვიდრე კანადაში, ხოლო ქარი გუშინდელზე უფრო ძლიერი იყო. ვიფიქრე, თუ გუშინ მშვენიერ ფორმაში მყოფებმა შვიდ საათში სამას ორმოცდაათი მეტრი ძლივს გავიარეთ, ასეთ პირობებში ვერასოდეს ვერ შევძლებთ უკანასკნელი 1200 მეტრის გავლას-მეთქი. მესმის, უნდა ცადოთ ყველაფერი, რაც შეგვიძლია, მაგრამ უკვე ეპვი მეპარება წარმატებაში.

მე და ლაშენალი ენერგიულ პროტესტს ვაცხადებთ, მაგრამ, ჩანს, ჩვენი ენთუზიაზმი დიდად არ მოქმედებს ამხანაგებზე. მიუხედავად თავისი ძალ-ღონისა, ტერაიმ დიდი გაჭირვებით გაართვა თავი ამ თოვლს, რომელიც ყოველდღიურად ნამქერით ავსებს ნაკვალევს, ამ ციცაბო კალთებს, რომელთა დაძლევა თითო მეტრობით გვიხდება, ამ სიმაღლეს, რომელიც გართმევს ფიზიკურ ძალასა და მორალურ სიმტკიცეს, მაგრამ ვერ ბედავს დაწვრილებით ილაპარაკოს ამ დაბრკოლებებზე, არ უნდა, შეარყიოს ჩვენი შემართება.

— ჩვენ მივდივართ ზევით, — ვამბობ მტკიცედ. — თუ დავბრუნდით, ეს იმას ნიშნავს, რომ მწვერვალი ავიღეთ. ან გამარჯვება — ან სიკვდილი!

ვგრძნობ, ლაშენალიც ჩემსავით იმედითაა გამსჭვალული.

მეგობრები წარმატებას გვისურვებენ, მაგრამ მათ გამოხედვაში ეპვის ლანდს ვამჩნევ.

ახლა საქმე ჩვენზეა.

ვუტევთ ფერდობს. საბედნიეროდ, რებიუფამ და ტერაიმ ჩამოსვლისას უკვე გაკვალეს გზა. მე ანგ-თარკეს, სარკესა და ლაშენალს რიგრიგობით მიგვყავს ჯგუფი და ვაუმჯობესებთ ნაკვალევს. არცთუ ისე დამქანცველი სამუშაოა. თუმცა ანგ-თარკე განცვიფრებულია მარშრუტის ტექნიკური სირთულით. პანზი უკვე ელაპარაკა მას, რომ არასოდეს, არც ევერესტზე, არც კანჩენჯანღაზე, მსგავსი უბნები არ შეხვედრია. შერპებს პირველად უხდებათ ყინულზე რთული ცოცვა და შვეული კედლების დაძლევა. მიუხედავად ამისა, ყველაფერი კარგად მიდის. განვაგრძობთ ჩვენს რთულ გზას და გაცილებით ნაკლებ ძალ-ღონეს ვხარჯავთ. ვიდრე წინა დღეებში. ეს კიდევ ერთხელ ცხადყოფს, რომ ჰიმალაის ასვლების დროს აკლიმატიზაციას

გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. აუტანელი სიცხეა და, როდესაც მესამე ბანაკს ვაღწევთ, ოფლი ღვარად ჩამოგვდის.

რა საუცხოოა მაღლა მთებში ახალი თოვლით ამოვსებულ პატარა ნაპრალში მიკარგული ეს ბანაკი! რა მყუდრო და მოხერხებული!

ძალ-ღონეს უნდა გავუფრთხილდეთ. დღეს უფრო შორს აღარ წავალთ, დღის დანარჩენ ნაწილს საძილე ტომრებში გავატარებთ, ხოლო ვახშამს შერპები მოგვიტანენ კარვიდან კარავში.

თითქოს დამკვიდრდა კარგი ამინდი. ამჯერად ბედი გვწყალობს. ჩვენ ბოლომდე ვიცლით!

შერპები აუარებელ დროს ხარჯავენ ჩაის მომზადებაზე, რადგან ამ სიმაღლეზე პრიმუსების ეფექტიანობა მკვეთრად ეცემა. სიგარეტები მოვწიეთ. შერპები და საჰიბები ყლაპავენ ექიმის გამოწერილ აბებს და უკვე დაბინდებისას ბანაკი ძილს ეძლევა.

დილით მშვიდად ვუცდით მზის ამოსვლას, რადგან გეგმით დღეს მხოლოდ მეოთხე ბანაკამდე უნდა ავიდეთ. საეჭვოა, რომ ამან ოთხ საათზე მეტი წაიღოს. თუმცა მოგვიხდება ამ ბანაკის ცოტა უფრო ზევით გადატანა და მისი უშუალოდ „ნამგლის“ თხემზე დადგმა.

თითოეული თავისი საქმითაა გართული. მე რამდენიმე კინოკადრს ვიღებ. შორს, ქვემოთ, პლატოზე მოჩანს მეორე ბანაკი, რომელიც ახლა უკვე ნამდვილ ახალშენს გვაგონებს. სასიმაღლო „კუბოების“ გვერდით დიდი საერთო კარვები დგას. იქაურობა მთლად საბაზო ბანაკივით გამოიყურება.

— ლიონელი და გასტონი ალბათ ისვენებენ, — შენიშნა ლაშენალმა.

მალე გავდივართ, რათა გამოვიყენოთ შედარებით კარგი საავალი თოვლი. ეს საშუალებას მოგვცემს, მეოთხე ბანაკს უფრო ჩქარა მივაღწიოთ, ვიდრე ვვარაუდობდით.

გზადაგზა ვიღებთ რამდენიმე ფოტოსურათს, კერძოდ, მთისძირა ნაპრალზე გადასვლას პლატოს წინ, სადაც მეოთხე ბანაკი მდებარეობს. კვლავ კარგი ამინდია. აგნ-თარკე და სარ-



1. IV ბანაკი. 2. IV ბანაკი (ზემო). 3. V ბანაკი. 4. აღმოსავლეთი მწვერვალისწინა. 5. მწვერვალი 8075 მეტრი.+ნაპრალის ადგისამყოფელი

კე მშვენიერად მოდიან, პირველი ლაშენალთანაა თოკით ჩაბმული, მეორე — ჩემთან.

ჯერ კიდევ ადრეა და მე მგონი, მოვასწრებთ ბანაკის გადატანას „ნამგლის" თხემზე. უკეთეს გუნებაზე ვდგებით, რადგან წინ არავითარი ტექნიკური სიძნელეები არაა მოსალოდნელი.

სწრაფად ვხსნით ერთ-ერთ კარავს, თან მიგვაქვს აგრეთვე საგზალი და საჭურველი.

— ყინულის კალთა, რომელსაც „ნამგლის" თხემზე გავყავართ, საკმაოდ მოკლეა, — ვეუბნები ლაშენალს, — ჩვენ იგი ერთ საათში უნდა გავიაროთ.

ანგ-თარკე და სარკე უკანვე დაეშვებიან და ღამეს გაათევენ ძველ ადგილზე, სადაც ჩვენ ერთ კარავს ვტოვებთ. ხვალ დილით ადრე ისინი მოხსნიან მას და ამოიტანენ ზევით. აქედან გავუდგებით გზას მომავალი მეხუთე ბანაკისაკენ.

ვიწყებთ ფერდობის იერიშს სახედრებივით დატვირთულნი, წელამდე ვეფლობით ახალ თოვლში. მაგრამ მისი სისქე სწრაფად კლებულობს: მალე მხოლოდ ყინულზე მიკრული თხელი „დამპალი" ფენა რჩება- დაქანება ისეთივეა, როგორც ყველაზე უფრო რთულ ყინულოვან ალპურ მარშრუტებზე.

წრიაპებით სვლა ასეთ სიმაღლეზე ადვილი როდია და ორთქლმავალივით ვქშინავთ, დროგამოშვებით ვჭრით საფეხურებს, მაგრამ უფრო ხშირად უამისოდაც იოლად გავდივართ.

შერპები ფრთხილად მოცოცავენ. ყინულზე ისინი ვირტუოზები არ არიან, მაგრამ რომ არ ჩამორჩნენ, მთელი ძალ-ღონით „აწვებიან“.

ორასმეტრიანი ძნელი და სახიფათო აღმართის ავლის შემდეგ გავდივართ თხემის კიდეზე. ვიდრე მე განვლილ გზას თვალს ვადევნებ, წინმავალი ლაშენალი მიდამოებს ათვალიერებს. მოედანს ბანაკისათვის იქვე ვარჩევთ, სადაც თხემზე გამოვედით, კოხტა სერაკის ძირში. სწორედ შესაფერი ადგილია, ქარისაგან დაცული, როგორც თვითონ სერაკით, ისე პატარა ყინულოვანი თხემით, რომელიც ბუნებრივ საფარს წარმოადგენს.

ლაშენალი აღფრთოვანებულია:

— როცა ყველაფერს მოვაწყობთ, აქ ისეთივე საამო სიმყუდროვე იქნება, როგორიც ჩემს პატარა სახლში — შამონში!

დაუყოვნებლივ ვიწყებთ საქმიანობას. მალე კარავიც გავმართეთ. შუადღე უკვე გადასულია და ანგ-თარკეესა და სარკეს ვგზავნი მეოთხე ბანაკში. ისინი ცოტა არ იყოს, შეშფოთებულნი მიდიან, რადგან ძნელი დაშვება მოელით. დარწმუნებული ვარ, რომ ანგ-თარკე არ დაიზარებს, გზადაგზა დამატებითი საფეხურები ამოჭრას და საჭიროების შემთხვევაში ნამდვილი კიბე გამართოს.

— Good night Sir!

მხურვალე გამოთხოვების შემდეგ, ჩვენი შერპები თვალს ეფარებიან. უკვე ვემზადებით ღამისთევისათვის. თანდათან ინისლება, ყინულივით ცივი ქარი უბერავს და თვალებში გვაყრის სუსხიან თოვლის ფიფქებს.

მადა არა გვაქვს არც მე, არც ლაშენალს. მიუხედავად ამისა, თავს ძალას ვატანთ და ჩაის ვამზადებთ. ერთდროულად მწკრივად ვალაგებთ აბებისა და ფხვნილების მთელ კოლექციას, რომელთა მიღება უდომ მეტისმეტად მკაცრად გვიბრძანა.

მიუხედავად ლაშენალის წინასწარმეტყველებისა, კომფორტი არცთუ ისე სრულყოფილია. სასწრაფოდ ვძვრებით საძილე ტომრებში, არ გვავიწყდება იქვე ჩავჩურთოთ ფეხსაცმელები, რომ არ გაიყინონ. ღამისთევამ ჩინებულად ჩაიარა. ალი-

ონზე მღელვარებით ვიხედებით კარვიდან. მზე ამოდის, ცა მოწმენდილა, ძალიან ცივა.

დღეს მუსონმა მგონი კიდევ მოიღო მოწყალება. ერთბაშად ეს კარგ გუნებაზე გვაყენებს, რადგან უკანასკნელი ცნობებით ძლიერ შეშინებულები ვიყავით. ახლა ვცდილობთ დროს გავუსწროთ.

ანგ-თარკესა და სარკეს მოსვლისთანავე ხელახლა ვანაწილებთ ბარგს და ვალაგებთ ზურგჩანთებში. შორს ამ სერაკიდან, სადაც ასე ცივა! გასვლისას, ვტოვებთ აქ ერთ კარავს. ხოლო მეორე მეხუთე ბანაკისათვის მიგვაქვს.

გრძელი ტრავერსი მარცხნივ „ნამგლის" ყინვარით საშუალებას გვაძლევს გვერდი ავუაროთ დაფლეთილი სერაკების ზონას. ამგვარად, ჩვენ ციცაბო თოვლიან ველებს შორის მდებარე ხევის მეტად განიერ ფსკერზე მოვხვდით, სადაც დაბრკოლებანი არცთუ ისე ბევრია.

მივდივართ ჩუმად, მთლად დაძაბულნი. ტვირთი მიწისაკენ გვეწევა, თითოეული ფიქრობს იმაზე, თუ რა მოგველის უახლოეს დღეებში. მე ყველაფერზე უფრო მუსონი მაფიქრებს; დღეს ორი ივნისია, საეჭვოა, კარგმა ამინდმა ოთხ დღეზე მეტს გასტანოს.

ოთხ დღეში ყველაფერი შეიძლება გაკეთდეს. მაგრამ ერთი წუთიც კი არ უნდა დავკარგოთ. ახლა მნიშვნელოვანი კოზირი გვაქვს ხელში: ამ დიდ თოვლიან ველზე ტექნიკური სიძნელენი აღარ შეგვხვდება. ეს ურყევ სიმტკიცეს გვინერგავს.

არც ლაშენალსა და არც მე ერთი წუთითაც კი არ გვეპარება ეჭვი გამარჯვებაში.

ხშირად ვჩერდებით, რომ კამფეტი ან მუდმივმაცდუნებელი ნუგის ნაჭერი ამოვიღოთ. უკან მიბრუნებისას ჩვენს თვალწინ თავბრუდამხვევი სანახაობა იშლება. მეორე ბანაკის პლატო ცხვირსახოცივით გამოიყურება. ანაპურნის დიდი ყინვარი, რომლის გადაკვეთა ერთ საათზე მეტს მოითხოვს, აქედან პაწაწინა ყინულის ზოლად მოჩანს. შორს, დიდი ბარიერის მიღმა მკაფიოდ ჩანს ტიბეტი, მარცხნივ დჰაულაგირი ნაწილობრივ დაფარულია ანაპურნის უზარმაზარი კლდოვანი კედლით. ჩვენი ნაკვალევის ხვეულები მარშრუტის მთელ მანძილზე მოჩანს.

დაფლეთილი ყინულოვანი თხემი ზედ მწვერვალის ქვემოთ უცნაურ შთაბეჭდილებას ახდენს, იგი თითქოს ვარცხნის ქარის მიერ აწეწილ თოვლის გრიგალთა სქელ ხუჭუჭა თმას. ჩვენს ზემოთ ნისლის ნაფლეთები მიმოქრიან. პირდაპირ ჩვენს თავზე ცად აზიდულა მოვარდისფრო კლდე, რომელსაც ფრინველის ნისკარტის ფორმა აქვს. ამ „ფრინველის ნისკარტისაკენ“[1] მიდის დანის პირივით მახვილი კლდოვანი წიბო.

— გამოვძებნით როგორმე ამ წიბოზე პატარა ადგილს, რომ ჩვენი „კუბო“ დავდგათ? — ვეუბნები ლაშენალს გაჩერების დროს.

— რა თქმა უნდა, — მეთანხმება იგი, — იქ სამშვიდობოს ვიქნებით, რადგან შეგვეძლება იმდენი პალო ჩავარჭოთ, რამდენიც გვინდა. გარდა ამისა, იქ სიმშრალეა.

მე და ლაშენალი რიგრიგობით დაუღალავად ვკვალავთ გზას. ორივე შერპი მძიმედ სუნთქავს, ჩვენც ხშირად გვჭირდება დასვენება სუნთქვის აღსადგენად. ორჯერ თუ სამჯერ იძულებულნი გავხდით, შორი გზით მოგვევლო, რათა სერაკებისა და უზარმაზარი ნაპრალისათვის გვერდი აგვეხვია. ღრმად ვეფლობით თოვლში და თითოეული ნაბიჯი ძალიან დიდი ძალ-ღონის დახარჯვის ფასად გვიჯდება. თუმცა კი ვიღებთ სიმაღლეს, მაგრამ გვეჩვენება, რომ წიბო არ გვიახლოვდება.

— ეშმაკმა წაიღოს. ამას შეუძლია ბოლო მოუღოს ყველას! — ჩივის ლაშენალი.

ასვლა თანდათანობით გვიადვილდება. თოვლი ახლა უფრო მკვრივია და ისე ღრმად აღარ ვეფლობით.

ისეთი შთაბეჭდილება მაქვს, თითქოს გიგანტურ სახურავზე მივცოცავ. ფერდობის დაქანება დაახლოებით 40°-ია, მაგრამ ცოტად თუ ბევრად თანაბარი. წრიაპებით სვლა შეიძლება. ყოველ ათ მეტრზე ვჩერდებით. ძალიან ცივა და ფეხის თითებმა უკვე დაკარგეს მგრძნობიარობა. არავითარი ზედმეტი შესვენება: „წინ, მეხუთე ბანაკისაკენ!“ ასეთია ძირითადი მიზანი.

აღმასვლა თანდათან გვაუძლურებს: წრიაპების კბილებქვეშ ლიპი ტყდება და ისევ ვეფლობით.

---

[1] იგი ძალიან ჰგავს მონბლანის მასივში მდებარე გრეპონის „ფრინველის ნისკარტს“.

— წყეული ქერქი! — იგინება ლაშენალი.

უკანასკნელ ძალ-ღონეს ვიკრებთ და წიბოს ქვედა კლდეებამდე ავდივართ.

— ეშმაკმა დალახვროს!

მწარე იმედგაცრუებაა! თვალისათვის ესოდენ მაცდუნებელი ეს ნათელი კლდეები ყინულითაა მოლიპული... არავითარი მოედანი, არავითარი ხელმოსაჭიდი არა ჩანს.

კარვის დადგმა პირდაპირ ფერდობზე მოგვიხდება!

შერპები მოდიან. ახლა 7500 მეტრის სიმაღლეზე ვიმყოფებით და ამ სიმაღლემ საბოლოოდ გამოიყვანა ისინი წყობიდან. ხმის ამოღებაც კი არ ძალუძთ. ხელების მოძრაობით თავის ტკივილს უჩივიან. ყველანი სამუშაოზე!

წერაყინით ვასწორებთ მოედანს. ფერდობი იმდენად ციცაბოა, რომ თოვლის ვეება მასის გადაყრა გვიხდება. იძულებული ვართ, ყოველ 30 წამში შევისვენოთ. ფილტვები უარს ამბობენ მუშაობაზე, სული მეხუთება, გული ჩაქუჩივით მიცემს. შერპები თუმცა ჩვენზე უარეს დღეში არიან, მაინც ახვრხებენ ხუთ-ხუთი წუთი შეუსვენებლივ იმუშაონ. ერთი საათის შემდეგ მოედანი მზადაა. კარავი მჭიდროდაა კლდეზე მიკრული და მისი მიბმა შეიძლება ლაშენალის მიერ დარჭობილ ორ პალოზე.

დამტვრეულ ინგლისურ ენაზე ვიწყებ ანგ-თარკესთან ასეთ საუბარს:

– Tomorrow morning Lachenal Sahib and Bara-Sahib go to the summit of Annapurna.

– Yes, Sir.

– Yov are the sirdar and the most experimented of all sherpas. I will be very glad that you come with us.

– Thank you, Sir.

– We must have together the victory

---

1. — ხვალ დილით ლაშენალ-საჰიბი და ბარა-საჰიბი ანაპურნის მწვერვალზე წავლენ.

— დიახ, სერ!

— შენ სირდარი ხარ და შერპებიდან ყველაზე უფრო გამოცდილი. მოხარული ვიქნებოდი, რომ ჩვენთან ერთად წამოსულიყავი.

— გმადლობთ, სერ!

— ჩვენ ერთად უნდა მოვიპოვოთ გამარჯვება!

Will you come with us?[1]

ამ წუთში მე ვთვლი, რომ ჩემი ვალია, დავაკმაყოფილო ამ ადამიანთა კანონიერი სურვილები. მცირე დუმილის შემდეგ, ანგ-თარკე, რომელიც მადლიერია, არჩევანის თავისუფლება რომ მივეცი, თავშეკავებულად მიპასუხებს:

— Thank you very well, Bara-Sahib! But my feet begin to freere...

— Yes.

— ...And. I prefer go down to the camp. IV... if it is possible.

— Of course, Ang-Tharkey. As yov like it... In this case go down at once because it is late.

— Thank you, Sir

შერპები უცებ ალაგებენ თავიანთ ზურგჩანთებს. უკანასკნელ მომენტში ჩვენკენ იხედებიან, ეტყობა, სწუხან, რომ მარტო გვტოვებენ:

— Salam, Sir... good luek!

— Salam, and pay attention![3]

რამდენიმე წუთის შემდეგ, ორი შავი წერტილი დაეშვა ფერდობზე. უცნაური ფსიქოლოგია აქვთ ამ ადამიანებს, რომელთა პირდაპირობა და თავდადებულობა საყოველთაოდ ცნობილია. უეჭველია მათ უყვართ თავისი მთები, და, მიუხედავად ამისა, იმ მომენტში, როდესაც შეიძლება ბოლოს და ბოლოს ხანგრძლივი კვლევისა და ცდის ნაყოფი მოიმკო, ისინი სიფრთხილისათვის თავის შეკავებას ამჯობინებენ. თუმცა მათ ჩვენი ფსიქოლოგია, ალბათ, კიდევ უფრო უცნაურად ეჩვენებათ.

ორივენი ვდუმვართ. ამჯერად უკან აღარ დავიხევთ.

---

1 გინდა ჩვენთან წამოსვლა?

2 — დიდად გმადლობთ, ბარა-საჰიბ, მაგრამ ფეხები მეყინება.

— ჰოო...

— მეოთხე ბანაკში დაბრუნება მირჩევნია... თუ შეიძლება.

— რა თქმა უნდა, ანგ-თარკე. როგორც გინდა... თუ ასეა, დაუყოვნებლივ დაეშვი, რადგან უკვე გვიანაა.

— გმადლობთ, სერ!

3 — ნახვამდის, სერ... გისურვებთ წარმატებას!

— ნახვამდის! ფრთხილად იყავით!

მძიმე ღამე მოგველის!

უხერხული და არცთუ ისე საიმედო ადგილია. ქარი ხვეტს კალთებიდან თოვლს, რომელიც ჩვენს კარავთან გროვდება... ოღონდაც სახურავი არ დაიტვირთოს მეტისმეტად!

კირქვებში ჩაჭედილ პალოებს, თოვლში ჩარჭობილ წერაყინებს, მგონი მხოლოდ მორალური მნიშვნელობა აქვთ. ძალიან დიდი იმედი არა გვაქვს მათი. გულის სიღრმეში ორივე ძალიან ვშიშობთ, რომ მოედნის კიდე ჩაიშლება და თან გაიტაცებს კარავს უფსკრულში.

ცნობიერებას ბინდი გადაეკრა. ძლივს ვახერხებ რაიმეზე ყურადღების გამახვილებას. არაფერი არ მაინტერესებს. საუბარს ვერ ვაბამთ. ნებისყოფის დიდი დაძაბვის, გამხნევებისა და შენჯღრევის წყალობით ვახერხებთ ცოტა ჩაის გათბობას. წმინდა სამხედრო დისციპლინით ვყლაპავთ სავალდებულო ფხვნილებს. ყელში არაფერი გადადის.

უკანასკნელი ღამეა იერიშის წინ!

უეცრად მძაფრი ქარი ამოვარდა, ნეილონის კარვის კალთები გამაყრუებლად აფათქუნდნენ. სადაცაა კარავს მოჰგლეჯს. ქარის ყოველ დაქროლაზე ვეჭიდებით მის საყრდენებს, როგორც წყალწაღებული ხავსს. თოვა იწყება. ქარიშხალი კვნესის და ღრიალებს განუწყვეტლივ. პირქეში გარემო ნერვებზე მოქმედებს.

ყოველი მოძრაობა ნებისყოფის უდიდეს დაძაბვას მოითხოვს.

ტანსაცმლის გახდაზე ლაპარაკიც ზედმეტია.

ფეხსაცმელებს ვიხდით, საძილე ტომარაში ვინახავთ და ვჩქარობთ თვითონაც შიგ შევძვრეთ. აი, სად ვლოცავთ პიერ ალენს! ფიქრებით ერთგულ მეგობართან ვართ, რომელმაც ასეთი საუცხოო საჭურველი გაგვიმზადა.

— დალახვროს ეშმაკმა, როგორი ქარია!

ლაშენალი ეწყობა კარვის გარეთა კიდესთან, მე კი ფერდობს ვეკრობი. არცთუ ისე საამურად ვატარებთ ღამეს: ლაშენალს წამდაუწუმ ეჩვენება, რომ უფსკრულში ვარდება. მე კი ვიგუდები თოვლქვეშ, რადგან თოვლი განუწყვეტლივ გროვდება კარავზე.

— საბედნიეროდ, ნეილონი მოქნილია, — ვეუბნები ლაშე-

ნალს, — თორემ კარავი დაიგლიჯებოდა. ეშმაკმა წაიღოს! ჩემი აპარატი! როგორ დამავიწყდა მისი ჩადება საძილე ტომარაში!

გაწვდილი ხელის ცეცებით ვპოულობ ძვირფას აპარატს და საძილე ტომრის ძირში ვდებ ფეხსაცმელების გვერდით.

რა კოშმარული ღამეა!

ლაშენალი სულ უფრო მეტად მიჩოჩავს გარეთ, მე კი უფრო და უფრო მეხუთება სული. მოუთშენლად ვითვლით დარჩენილ საათებს. საშიში მდგომარეობა იქმნება: სუნთქვა აღარ შეიძლება. თოვლის მასა პირდაპირ მშეჭყავს. ვიჭერ ხელს მკერდზე, როგორც მოკრივე საბრძოლო დგომის დროს. ახლა უკეთ ვსუნთქავ.

ქარი საშინლად ზუზუნებს, ყურებს მიყრუებს. ყოველ დაქროლას თან ახლავს გამაყრუებელი სტვენა. ორივე საყრდენი საშიშრად იღუნება. სასოწარკვეთილების ძალით ვცდილობთ დავამაგროთ ისინი. გაუგებარია, როგორ უძლებს კარავი. ყველაზე უარესი ღამის სათევი ვერ შეედრება ამ უთანასწორო, დამაუძლურებელ ბრძოლას.

მეტისმეტი დაღლილობისაგან გონება სრულიად დაგვიჩლუნგდა. მაგრამ ქარიშხალი არ გვაძლევს წაძინების საშუალებას.

* * *

ჩვენი ცდის წარმატებაში დაეჭვებულნი, რებიუფა და ტერაი განაგრძობენ დაშვებას მეორე ბანაკისაკენ. აქ ისინი ხვდებიან კუზის და შაცს და იგებენ მათგან უკანასკნელ ახალ ამბებს. რებიუფა და ტერაი ძალზე დაიღალნენ. ალბათ პანზი და აილაც, რადგან მთელი დღე შერპების კარვიდან აღარ გამოსულან. კუზი და შაცი, პირიქით, შესანიშნავად გრძნობენ თავს და ძალიან მოხარულნი არიან, რომ შემთხვევა მიეცათ, კვლავ წავიდნენ ერთად თოკჩაბმულნი.

მეორე დღეს, დილით ადრე, ისინი ტოვებენ მეორე ბანაკს. როგორც გადაწყვეტილი იყო, მათი ჩაბმა მოგვყვება ერთი გადასასვლელის დაშორებით.

ტერაი თანდათანობით მოდის გონს. იგი გრძნობს, რომ გა-

დამწყვეტი იერიში ახლოვდება და ჩვეული გულმოდგინებით ემზადება გასასვლელად. რებიუფა რაღაცას წერს.

ნასადილევს ხოშკაკალა წამოუშინა.

— სალამი ყველას!

თეთრი მოჩვენება, რომელიც კარავში შემოდის, იშაკის საზით ევლინებათ.

— დანარჩენები უკან მოდიან.

შემოდიან ნუაელი და უდო. სიცივიდან კარავში შემომძვრალ ადამიანთა ჩვეული მოურიდებლობით, ისინი იქვე იბერტყავენ თოვლს.

17 საათი და 30 წუთია.

— როგორ? — ეს თქვენა ხართ? — უკვირს იშაკს. ჩვენ კუზისა და შაცს მოველოდით.

— დიახ! ეს მხოლოდ და მხოლოდ ჩვენა ვართ!

ტერაი უხსნის, რომ წინა დღით მათ მოუხდათ დაბრუნება მეხუთე ბანაკის გაუმართავად, ვინაიდან რებიუფას თითქმის მოეყინა ფეხები.

— ჩვენ ხვალ კვლავ გავალთ, — დასძენს იგი.

გარეთ ხოშკაკალა თოვლმა შეცვალა. უდო ჩქარობს შეამოწმოს ჟანგბადის მოქმედება, სარგებლობს თავისი ავტორიტეტით და აიძულებს ჩვენი კავშირის ოფიცერს, გაისეირნოს ნიღბით. ნუაელის სახე ნადირის დინგს დაემსგავსა, რომელიც მოქნილი შლანგით შეერთებულია დიურალის ბალონთან. ზუსტად პირველი ადამიანია მთვარეზე! საბრალო ნუაელი თავისი არაჩვეულებრივი ქუდით, რომელიც ცხვირსა და ყურებზე აქვს წამოწეული, ნამდვილად კომიკურ შთაბეჭდილებას ახდენს, რომელსაც მარტო თვითონ ვერ აფასებს.

შემოწმების შემდეგ ყველანი კარავში იკრიბებიან. იშაკი მაგნიუმის გამოყენებით რამდენიმე სურათს იღებს.

— იცით, მინდა მაგნიუმის გამოყენების სიმაღლოვანი რეკორდი დავამყარო!

მართლაც ბანაკი მდებარეობს 6 000 მეტრის სიმაღლეზე და, ადვილი შესაძლებელია, ჰიმალაის ექსპედიციებში ასეთი გადაღებები არც თუ ისე ხშირად უწარმოებიათ.

ნავახშმევს ცა მოიწმინდა, ვარსკვლავები აციაფდნენ. დიდი ბარიერი მთვარით განათებულ თეთრ საბურველში გაეხვია.

უკანასკნელი რადიო-ცნობები მეტად ამაღელვებელია: მუსონმა უკვე მოაღწია ბენგალიის ჩრდილოეთ ნაწილს და, გარდა ამისა, დასავლეთიდან ძლიერი ატმოსფერული ტალღები გვიახლოვდება.

მეორე დილით, 2 ივნისს, ცაზე ღრუბლის ნასახიც არა ჩანს. კარგი დღე იქნება. ტერაი, ჩვეულებრივ, ჯერ კიდევ ღამით დგება. 6 საათზე ის და რებიუფა ორი შერპის თანხლებით გადიან ბანაკიდან. მზე ჯერ არ ამოსულა. მეოთხე ბანაკში ჩვენ კიდევ გულის ძილში ვართ. სანამ ტერაი ზვავის კონუსს სძლევს, მარსელ იშაკი ტელეობიექტივს იყენებს და კინოგადაღებას აწარმოებს.

ანაპურნა თანდათანობით ცოცხლდება. დამკვირვებელს შეეძლო აქ განსაცვიფრებელი სანახაობით დამტკბარიყო. მეორე ბანაკში, კარვებიანი პატარა ქალაქის ირგვლივ ხალხია თავმოყრილი. ცოტა ზევით, რებიუფა და ტერაი, შერპების — პანზისა და აილას თანხლებით, ისევ კვალავენ გზას ქვედა კალთებზე. მესამე ბანაკის ზემოთ კუზი და შაცი, ანგავასა და ფუთარკესთან ერთად, დიდი კულუარის გადაკვეთას აპირებენ. და ბოლოს, „ნამგლის“ ყინვარის კალთაზე, მე და ლაშენალი, ანგთარკე და სარკე ხელახლა ვტპეკნით თოვლს.

ნასადილევს მირისტი-კჰოლას ხეობას ღრუბლები მოედო და მეორე ბანაკამდე გავრცელდა. გამონაშუქში იშაკი ამჩნევს ახალ შავ ლაქას მახვილი წიბოს ძირში. ალბათ ეს მეხუთე ბანაკია.

შეეცდებიან თუ არა ისინი ხვალ დილით გადამწყვეტი იერიშის მიტანას მწვერვალზე? ყველაფერი ამინდზეა დამოკიდებული.

ნისლი უფრო სქელდება. ისმის ყვირილი. იშაკი და ნუაელი წინ გადიან და ამჩნევენ ნისლში მოხეტიალე ანგავასა და ფუთარკეს. კუზი და შაცი იძულებულნი გახდნენ გამოესტუმრებინათ ისინი მეოთხე ბანაკიდან ქვემოთ, რადგან იქ დარჩენილი იყო მხოლოდ ერთი კარავი (მეორე კი მეხუთე ბანაკში).

დამატებით საჭურველს მოგვაწვდის რებიუფა-ტერაის ჯგუფი, რომელიც გადმოიტანს აქ მესამე ბანაკს, თავის მხრივ მესამე ბანაკს კვლავ გამართავს მეორე ბანაკიდან გამოსული ჯგუფი.

მეოთხე ბანაკში სიმხნევე სუფევს. ეს-ეს არის ამოვიდნენ რებიუფა და ტერაი. ყველანი კარგ ფორმაში არიან. ტერაი ფიქრობს ჰიმალაის პირობების იდუმალ თავისებურებაზე: ოთხი დღის წინათ ის და რებიუფა გაჭირვებით ამოფოფხდნენ აქ მესამე ბანაკიდან შვიდ საათში. ამჯერად მათ მოახერხეს მეტად გაბედული გეგმის განხორციელება, რომლის მსგავსი არა მგონია მოინახოს ჰიმალაის ექსპედიციების ისტორიაში: მეორე ბანაკიდან გარიჟრაჟზე გამოსულნი ღილის 11 საათისათვის უკვე მესამე ბანაკში იყვნენ, მთლიანად მოხსნეს იგი, ამოიღეს მეოთხე ბანაკამდე და, ამგვარად ერთი ძვირფასი დღე მოიგეს... ამასთანავე მათ ოთხივეს მოჰქონდათ ორი სასიმაღლო კომპლექტი და ათ კილოგრამზე მეტი სურსათი. ლაშენალის მსგავსად რებიუფაც ჩინებულად შედის ფორმაში.

კუზი და შაკი აღფრთოვანებით ხვდებიან მათ, რადგან მეორე დღეს თვითონ მოუხდებოდათ ბანაკის გადმოტანა, ყოველგვარი დახმარების გარეშე და ეს, ბუნებრივია, მათ არ ხიბლავდა.

ასპირანი, ძილის მომგვრელი და სხვა წამლები, აგრეთვე სამხიარულო აღგზნების მდგომარეობა, რაც გამოწვეულია კარგი სპორტული ფორმით და წარმატების იმედით, თავის საქმეს აკეთებენ: ღამე ყველასათვის შესანიშნავად გადის.

XIII

3 ᲘᲕᲜᲘᲡᲘ. 1950 Წ.

ᲯᲘᲕᲜᲘᲡᲘ. განთიადის პირველი გამოკრთომა კარვის საყრდენებზე ხელჩაჭიდებულთ გვისწრებს მეხუთე ბანაკში. ქარი ნელ-ნელა სუსტდება. გათენებისას სიწყნარემ დაისადგურა. ყოველი მოძრაობა უდიდეს დაძაბვას მოითხოვს. შეუპოვრად ვცდილობ თავიდან მოვიშორო ცივი, რბილი მთა, რომელიც სულს მიხუთავს. გონება დაგვეხშო. რაიმე აზრის გამოსათქმელად თავს ძალას ვატანთ, მაგრამ სიტყვის ამოთქმაც კი არ ძალგვიძს...

რა საძაგელი ადგილია! იგი მუდამ ყველაზე უარეს მოგონებად დარჩება ჩემს ცხოვრებაში.

მხოლოდ ერთი საზრუნავი გვაქვს, ჩქარა გავშორდეთ აქაურობას. მაგრამ ჯერ გასვლა არ შეიძლება. უნდა ვუცადოთ მზის პირველ სხივებს.

5 საათი და 30 წუთია. ამ ჯოჯოხეთში მეტ ხანს ყოფნა შეუძლებელია.

— წავიდეთ, ბისკანტ! წუთითაც კი აღარ შემიძლია აქ დარჩენა.

— წავიდეთ!

რომელ ჩვენგანს ეყოფა ვაჟკაცობა, რომ ჩაი გააცხელოს? თუმცა გონება შებოჭილია, მაგრამ, მაინც წარმოდგენილი გვაქვს, რამდენი შრომა დაგვჭირდება ამაზე. არც ერთს არ შეგვიძლია. ჯანდაბას! გადავივლით უჩაიოდ.

ისედაც რამდენ ძალას მოითხოვს თუნდაც საძილე ტომრი-

დან გამოძრომა და იქიდან ფეხსაცმელების ამოღება. ისინი სიცივისაგან გახევებულან. მხოლოდ დიდი გაჭირვებით ვახერხებთ მათ ჩაცმას. ყოველი მოძრაობა ქოშინს იწვევს. სული გვეხუთება. პაპიჭებიც გაყინულა. მე ვახერხებ მათ შეკვრას ზონრით, ლაშენალი ვერა. ახლა ჯერი ზურგჩანთებზეა.

— ბისკანტ, თოკი არ მიგვაქვს?

— არაა საჭირო, — ნაწყვეტ-ნაწყვეტად მიპასუხებს ლაშენალი.

ერთი კილოგრამის ეკონომიას გავწევთ.

ზურგჩანთაში ვდებ ერთ ტუბ შესქელებულ რძეს, ნუგის რამდენიმე ნაჭერს, ერთ წყვილ წინდას... ვინ იცის, იქნებ დაგვჭირდეს! ჩაფხუტის ქვეშ შეიძლება მისი გამოყენება. ვალაგებ აფთიაქს. ფოტოაპარტი დატენილია ჩვეულებრივი ფირით, მაგრამ ფერად ფირიანი სათადარიგო კასეტიც მაქვს. საძილე ტომრის სიღრმიდან ვაძრობ კინოკამერას. ვმართავ ზამბარას და ვამოწმებ. ჩხაკ... კამერა არ მუშაობს.

— აი, ბედი არ გინდა!.. ღირდი ამისი აქ თრევა! — წუხს ლაშენალი.

წუხელ მეტისმეტად ძლიერი ყინვა იყო და აპარატი საძილე ტომარაშიც კი გაყინულა, მიუხედავად იმისა, რომ იშაკმა წინდახედულად სპეციალური საცხი გამოიყენა. გულისტკივილით ვტოვებ აპარატს ბანაკში. როგორ მინდოდა, ამეტანა იგი მწვერვალამდე! რა გაეწყობა, კინო-გადაღება 7 500 მეტრის სიმაღლემდე მაინც მოვახერხეთ.

ვძვრებით კარვიდან და ვიკრავთ წრიაპებს, რომელთა მოხსნა საღამომდე უკვე აღარ მოგვიხდება. ყველაფერი, რის ჩაცმაც კი შეიძლება, ზედ გვაცვია და ამიტომ ზურგჩანთები შეგვიმსუბუქდა.

6 საათზე გავდივართ და გვიხარია, რომ კოშმარი უკან გვრჩება. მშვენიერი ამინდია, მაგრამ ძალიან ცივა. შემსუბუქებული წრიაპების კბილები ღრმად ერჭობა ციცაბო ყინულისა და ფირნის კალთაზე.

დაქანება თანდათანობით კლებულობს და კალთა უფრო დამრეცი ხდება. ფირნზე კარგად ვიკიდებთ ფეხს, მაგრამ ზოგჯერ ქერქი ტყდება და რბილ ფხვიერ თოვლში ვფართხალებთ, რაც მეტად გვიძნელებს მოძრაობას. ხშირად შეუთანხმებლად

ვჩერდებით. კვალი რიგრიგობით გაგვყავს. თითოეული ჩვენგანი ახლა თავის საკუთარ, განცალკევებულ სამყაროში ცხოვრობს. მე მაშინებს ჩემი აზროვნება. ცნობიერება ძალზე გაბუნდოვანებული მაქვს, მშვენივრად მესმის, რამდენად არასრულფასოვანია ახლა ჩემი გონება. უფრო მარტივია და სწორი, მივსდიო რაიმე აკვიატებულ იდეას. ტემპერატურა ძალიან დაბალია. სიცივე ძვალ-რბილში ატანს და, მიუხედავად ბუმბულის ტანსაცმლისა, ისეთი გრძნობა მეუფლება, თითქოს შიშველი მივდივარ. შესვენების დროს გააფთრებით ვაბაკუნებთ ფეხებს. ლაშენალი კიდევაც იხდის ვიწრო ფეხსაცმელს: მას მოსვენებას არ აძლევს ფიქრი, რომ შესაძლოა, ფეხები მოეყინოს.

— მე არ მინდა ლამბერს[1] დავემსგავსო, — ამბობს იგი.

ვიდრე ის ენერგიულად იზელს ტერფს, მე გარემომცველ მწვერვალებს ვათვალიერებ. ახლა ისინი, შორეული დჰაულაგირის გარდა, ყველანი ჩვენს ქვემოთ არიან. მრავალრიცხოვანი და მძიმე დაზვერვის შემდეგ ჩვენთვის ესოდენ ნაცნობი, ამ მთების რთული და დასერილი რელიეფი, ახლა ისე მოჩანს, როგორც ხელისგულზე.

მეტად დამქანცველია აღმართი. ყოველი ნაბიჯი ნებისყოფისა და გონების გამარჯვებაა. მზე გვეწევა. ვესალმებით მის ამოსვლას და კვლავ ვჩერდებით. ლაშენალი სულ უფრო ხშირად უჩივის ფეხებს.

— ვეღარაფერსა ვგრძნობ, — კვნესის იგი, —ფეხები მეყინება.

ხელახლა იხდის ფეხსაცმელს.

შიში მეუფლება.

კარგად მესმის, რა საშიშროების წინაშე ვდგავართ, და საკუთარი გამოცდილებითაც ვიცი, თუ რა მზაკვრულად და სწრაფად გეპარება მოყინვა, თუ სიფხიზლე შეასუსტე. ლაშენალმა ეს ჩემზე ნაკლებად როდი იცის:

---

[1] რაიმონ ლამბერი — ექვსეველი მეგზური. ტრაგიკული ასვლის შემდეგ, რომლის დროსაც ძლიერ მოიყინა, მას მოჰკვეთეს ორივე ფეხის თითები.

— ჩვენ უფეხებოდ დარჩენის საშიშროების წინაშე ვართ!.. ღირს განა, თავი ხიფათში ჩავიგდოთ?

შიშმა შემიპყრო, პასუხისმგებლობა მე მაკისრია. ყოველივე უნდა ავწონ-დავწონო და ყველაფერი გავითვალისწინო. ეჭვს გარეშეა, რომ საშიშროება სავსებით რეალურია. ამართლებს თუ არა ანაპურნის დაპყრობა ამგვარ თავგანწირვას? ეს საკითხი მაფორიაქებს.

ლაშენალმა შეიკრა ზონრით ფეხსაცმელები და კვლავ ვებრძვით დამქანცველ თოვლს. სინათლით აელვარებულ „ნამგლის“ ყინვარს ახლა მთლიანად ვხედავთ.

ტრავერსს დასასრული არ უჩანს... ზემოთ კი კლდოვანი კედელია... ვიპოვით კი გამოსავალს?

ეც ისევე მეყინება ფეხები, როგორც ლაშენალს. განუწყვეტლივ ვამოძრავებ თითებს. მათ უკვე დაკარგეს მგრძნობელობა, მაგრამ მთებში ეს არცთუ ისე იშვიათად მემართებოდა: საჭიროა მხოლოდ შეუპოვრად განვაგრძო თითების მოძრაობა და სისხლის მიმოქცევა აღმიდგება.

ლაშენალი რაღაც აჩრდილად შეჩვენება, ის თავისი ცხოვრებით ცხოვრობს, მე ჩემით. უცნაური მოვლენაა — სვლა რატომღაც აქ უფრო ადვილია, ვიდრე ქვემოთ. იქნებ იმედი გვასხამს ფრთებს? თოვლის ბრეკვიალი მუქ სათვალეშიც კი გვაბრმავებს, მზის სხივები პირდაპირ ყინულს ეცემა. ჩვენს ქვემოთ უფსკრულში ეშვებიან თავბრუდამხვევი წიბოები.

შორს, ქვემოთ, ყინვარები ისე პაწაწინებად გამოიყურებიან, გაგეცინება. ნაცნობი მწვერვალები ისარივით აწვდილან მაღლა.

უეცრად ლაშენალმა ხელში ხელი მტაცა.

— მე რომ დავბრუნდე, შენ რას იზამ?

ნათელ მოგონებათა მთელმა სამყარომ გამიელვა თავში: ძრავალდღიანი გადასვლები მცხუნვარე მზის ქვეშ, ურთულესი ცოცვა, მწვერვალის გარემოცვაზე გაწეული უდიდესი ენერგია, ჩემი ამხანაგების ყოველდღიური გმირობა ბარგის აზიდვისა და ბანაკების მოწყობისას... ახლა ჩვენ მიზანთანა ვართ! ერთი, ან შესაძლოა, ორი საათის შემდეგ... ბრძოლა მოგებული იქნება! ნუთუ უარი უნდა ვთქვათ?

შეუძლებელია!

მთელი ჩემი არსებით პროტესტს ვაცხადებ. მე გადავწყვიტე! საბოლოოდ გადავწყვიტე!

დღეს ჩვენ იდეალისთვის ვიბრძვით, ყოველი მსხვერპლი გამართლებულია.

პასუხი ნათელია:

— მაშინ მარტოკა წავალ!

დიახ, მე მარტოკა წავალ! თუ მას დაბრუნება სურს, მე არ შემიძლია იგი დავაკავო. მას არჩევანის სრული თავისუფლება აქვს.

ლაშენალს მხოლოდ მორალური მხარდაჭერა უნდოდა. იგი სრულიადაც არაა საქციელწამხდარი. მისი სიტყვები ნაკარნახევი იყო მხოლოდ სიფრთხილითა და თავგანწირვის შეგნებით. იგი უყოყმანოდ ამბობს:

— მაშინ მეც მოვდივარ შენთან!

გადაწყდა ბედი.

შიში გაიფანტა, მე ჩემს თავზე ავიღე პასუხისმგებლობა. ახლა უკვე ვეღარაფერი შეგვიშლის ხელს, რომ ბოლომდე ვიაროთ.

ლაშენალთან მოკლე ლაპარაკმა ფსიქოლოგიური ვითარება შეცვალა.

ახლა ჩვენ ძმები ვართ!

მე ვგრძნობ ჩემს ირგვლივ რაღაც ახალს, უჩვეულო ატმოსფეროს. ყველა შეგრძნება სრულიად ნათელია, უცნაურია, რომლის განცდა მთაში არასდროს შემხვედრია.

არის რაღაც არარეალური ჩემ მიერ გარემომცველი სამყაროს აღქმაში... თითქოს შორიდან ვაკვირდები, როგორ ვაკეთებ ერთსა და იმავე მოძრაობებს და მეღიმება, როცა ჩვენი დაძაბული შრომის უმნიშვნელო შედეგებს ვხედავ. მაგრამ დაძაბულობა გაქრა, თითქოს სიმძიმის ძალაც გაქრა. ეს გამჭვირვალე მოჩვენება, ეს ფასდაუდებელი ჯილდო ჩემი მწვერვალი კი არა, ჩემი ოცნების მწვერვალია.

კლდეებზე შეფიფქული თოვლი ბრწყინავს და პეიზაჟის გასხივოსნებული სილამაზე სულს სწვდება. ჰაერი განსაცვიფრებლად გამჭვირვალეა. მე ვცხოვრობ ბროლის სამყაროში. ბგერები მიყრუებულია, თითქოს ყურები ბამბით მქონდეს დაცული.

ბუნდოვანი, აუხსნელი სიხარული მეუფლება. იმდენად უჩვეულო, იმდენად ახალია ყველაფერი.

ყოველივე ეს ისე არ ჰგავს ალპებში ასვლას, როდესაც იმედს გინერგავს ადამიანთა სიახლოვის განუწყვეტელი ბუნდოვანი შეგნება, როდესაც უკან მიხედვისას, შორს, ქვემოთ, ხედავ სახლებს, გზებს, ცივილიზაციას.

აქ ყველაფერი სხვანაირადაა.

მე მოწყვეტილი ვარ მთელს ქვეყნიერებას. სხვა სამყაროში, მკაცრ, უდაბურ, უსიცოცხლო სამყაროში ვცხოვრობ. ეს ფანტასტიკური სამყაროა, სადაც ადამიანის ყოფნა არაა გათვალისწინებული და, შესაძლოა, არც სასურველი. ჩვენ ვარღვევთ აკრძალულს, ვლახავთ საზღვარს და უშიშრად განვაგრძობთ სვლას. გული მეკუმშება გრძნობათა მოზღვავებისაგან.

ნეტავ ლაშენალიც თუ იზიარებს ამ მღელვარებას?

მწვერვალის თხემი ახლოვდება. ჩვენ მივდივართ უკანასკნელი დიდი კედლის ძირას. იგი ძალიან ციცაბოა. თოვლიანი კალთა გადაკვეთილია კლდეებით.

— კულუარი!

ყველაფერი უსიტყვოდაც გასაგებია. აქ არის კედლის გასაღები — უკანასკნელი ბასტიონი!

— რა წარმატებაა!

კულუარი, რომელიც კედელს ჰკვეთს, მეტად დაქანებულია, მაგრამ მასზე მაინც შეიძლება ასვლა.

— წავედით!

ლაშენალი ხელის აქნევით თანხმობას მანიშნებს. უკვე გვიანაა, ალბათ 12 საათზე მეტი იქნება. დროის ყოველგვარი შეგრძნება დაკარგე: მეჩვენება, თითქოს რამდენიმე წუთის წინ გამოვედით.

ცა კვლავინდებურად საფირონისფერია. დიდი გაჭირვებით გავდივართ მარჯვნივ, რომ კლდეებს შემოვუაროთ. რადგან წრიაპებით მივდივართ, რამდენადაც შესაძლებელია, თოვლიან მონაკვეთებს ვარჩევთ. მალე კულუარში შევდივართ. რა ციცაბოა!.. წუთით ვყოყმანობთ.

გვეყოფა კი ძალა, რომ ეს უკანასკნელი დაბრკოლება დავძლიოთ?

საბედნიეროდ, თოვლი მაგარია.

ფეხით ვაკეთებთ საფეხურებს და საკმაოდ საიმედოდ ვმაგრდებით წრიაპებზე. არასწორი მოძრაობა დამღუპველი იქნებოდა. ხელმოსაჭიდები შეგვიძლია არა ვჭრათ: წერაყინის ჩასობილი ნისკარტი გვიწევს საყრდენობას.

ლაშენალი ჩინებულად მოდის. რა კონტრასტია პირველ დღეებთან შედარებით! მძიმე სავალია, მაგრამ იგი ურყევად მიიწევს წინ. დროდადრო თავს ავწევთ და ვხედავთ კულუარის ზედა ნაწილს, რომელიც არ ვიცით, სად გადის, ალბათ თხემზე.

მაგრამ მწვერვალი სადღაა? მარცხნივ თუ მარჯვნივ?

ერთიმეორეს მივყვებით და ყოველ ნაბიჯზე ეჩერდებით. წერაყინზე დამხობილნი ვცდილობთ აღვიდგინოთ სუნთქვა და მძაფრი გულისცემა დავიოკოთ.

ახლა ვგრძნობთ, რომ მიზანი ახლოსაა. ჩვენი შეჩერება არავითარ სიძნელეებს არ შეუძლია. ზედმეტია შეკითხვა: ამხანაგის თვალებში მხოლოდ მტკიცე გადაწყვეტილებას ამოიკითხავ. არცთუ ისე დიდი შემოსაღელელი მარცხნივ, კიდევ რამდენიმე ნაბიჯი... მწვერვალის თხემი შეუმჩნეველად გვიახლოვდება. გვერდი ავუარეთ კიდევ რამდენიმე კლდეს. ავაღწიეთ უკანასკნელი ძალ-ღონით! შეუძლებელია!

დიახ! მკვეთრი ქარი სახეს გვწვავს.

ჩვენ ანაპურნაზე ვართ!

8075 მეტრზე!

გული უსაზღვრო სიხარულითაა აღსავსე.

— ოჰ, დანარჩენებმა რომ იცოდნენ! რომ ყველამ იცოდეს!

მწვერვალი წარმოადგენს ლავგარდანებიან ყინულის თხემს. მეორე მხრიდან შემაძრწუნებელი უძირო უფსკრულია. კედელი შვეულად წყდება ჩვენს ფეხქვეშ. ალბათ მსგავს სანახაობას ვერცერთ მწვერვალზე ვერ შეხვდებით.

ქვემოთ ღრუბლები დაცურავენ. მათ ქვეშ, 7 000 მეტრით დაბლა ნაზი, ნაოფიერი პოკჰარის ველი იმალება. ღრუბლების ზემოთ აღარაფერია!

მიზანი მიღწეულია, მაგრამ ამავე დროს დაგვირგვინებულია რაღაც გაცილებით უფრო დიადი. რა მშვენიერი იქნება

ამიერიდან სიცოცხლე! გასაოცარი შეგრძნებაა — უეცრად შეიცნო შენი იდეალი და საკუთარი თავი.

მღელვარება მახრჩობს. არასოდეს არ განმიცდია ესოდენ ძლიერი და წრფელი სიხარული.

ეს მუქი ქვა, ყველაზე მაღალი, ეს ყინულის თხემი... ნუთუ ეს არის მთელი ცხოვრების მიზანი? ან იქნებ ეს ადამიანთა ოცნების ზღვარია?

— აბა, ვეშვებით? — მიბიძგებს ლაშენალი. რას გრძნობს იგი? არ ვიცი. ხომ არ ჰგონია, რომ უბრალოდ, ავიდა, როგორც ალპებში. ნუთუ ის ფიქრობს, რომ აქედან ასე უბრალოდ შეიძლება წასვლა?

—ერთი წუთით, ფოტოსურათები მაინც გადავიღო.

— ცოტა დაუჩქარე!

გამალებით ვაქექავ ზურგჩანთას და ვიღებ ფოტოაპარატს. საფრანგეთის დროშასა და ალმებს. რა თქმა უნდა, ესარეკლო ჟესტია. მაგრამ ეს მეტია ვიდრე სიმბოლო: ეს ადამიანური აზრების დადასტურებაა. მე ვაბამ წერაყინის ტარზე, ოფლით გაჟღენთილ, ზურგჩანთაში პროდუქტების გვერდით დიდბანს ყოფნის გამო გაქონილ ქსოვილის ნაჭრებს. შემდეგ ვაყენებ ფოკუსს ლაშენალზე:

— აბა, ჰა, შეგიძლია გადამიღო?

— აბა, აბა, ჩქარა, — ამბობს ლაშენალი.

იგი იღებს რამდენიმე სურათს, შემდეგ მაძლევს აპარატს. მე ვდებ შიგ ფერადფირიან კასეტს და ყველაფერს თავიდან ვიმეორებთ, რათა თან წავიღოთ სამახსოვრო ფოტო-სურათები, რომელიც ოდესღაც ჩვენთვის ძალზე ძვირფასი იქნება!

— შენ ჭკუაზე შეიშალე, — მეუბნება ლაშენალი. ერთი წუთის დაკარგვაც არ შეიძლება, დაუყოვნებლივ უნდა დავეშვათ!

მართლაც, საკმარისია თვალის ერთი მოვლება ირგვლივ: ამინდი ფუჭდება.

ლაშენალი მაჩქარებს:

— უნდა დავეშვათ!

იგი მართალს ამბობს. მისი პირით ლაპარაკობს მთის მცხოვრები, რომელიც კარგად იცნობს მთას.

და მაინც არ შემიძლია შევეჩვიო იმ აზრს, რომ ჩვენ გავიმარჯვეთ. დაუჯერებლად მეჩვენება, რომ მე ამ თოვლს ვტკეპნი.

აქ ნიშის დადგმა შეუძლებელია: ქვები არ არის, ყველაფერი ყინულითაა დაფარული.

ლაშენალი ფეხებს აბაკუნებს: გრძნობს, რომ ეყინება. მეც აგრეთვე! მაგრამ არ ვაქცევ ამას ყურადღებას. ყველაზე მაღალი დაპყრობილ მწვერვალთაგან! ის ჩვენს ფერხთქვეშაა!

გონებაში სათითაოდ ვიხსენებ ჩემ წინამორბედთ ამ მაღალ მთებში: მემერი, მელორი და ირვინი, ბაუერი, ველცენბახი, ტილმანი, შიპტონი... რამდენი მათგანი უკვე აღარაა ცოცხალი. რამდენმა ჰპოვა ამ მთებში თავისი სამარე, უმშვენიერესი მათთვის!

ჩემს სიხარულს ამხანაგებით სიამაყის გრძნობა ერევა. დღეს ანაპურნაზე ავიდა არა მხოლოდ ერთი ჩაბმა, ავიდა მთელი გუნდი. ჩემი აზრი მიმართულია ამხანაგებისაკენ, რომელნიც ახლა გაფანტულნი არიან მთის კალთებზე მიკრულ ბანაკებში ჩვენს ქვემოთ, და მე ვიცი, რომ მხოლოდ მათი დაძაბული შრომის და მათ მიერ მიტანილი მსხვერპლის წყალობით გავიმარჯვეთ დღეს. არის წუთები, როდესაც ურთულესი მოქმედება უეცრად კონკრეტულ გამოსახულებას ღებულობს და

თქვენს წინაშე გასხივოსნებული აღიმართება. ასეთია ის დაუძლეველი სწრაფვა, რომელმაც მოიყვანა აქ ჩვენი გუნდი.

დიდი ხნის დავიწყებული სურათები ცოცხლდებიან ცნობიერებაში.

შამონის ველი, სადაც ჩემი ახალგაზრდობის უმშვენიერესი დღეები გავატარე, მონბლანი, რომელიც ასე ძლიერ შთაბეჭდილებას ახდენდა ჩემზე! მახსოვს, როდესაც ჯერ კიდევ ბავშვი ვიყავი, მეჩვენებოდა, რომ ამ „მონბლანიდან დაბრუნებულთ“ რაღაც უჩვეულო შესახედაობა ჰქონდათ ყოველთვის თვალებში უცნაური ცეცხლი ენთოთ.

— ჩქარა, ჩქარა, პირდაპირ ქვევით! — მიყვირის ლაშენალი.

მან უკვე მოიკიდა ზურგჩანთა და იწყებს დაშვებას. ვიღებ ჯიბის ალტიმეტრს: 8 500 მეტრი. უნებურად ვიღიმები... ვყლაპავ ცოტა შესქელებულ რძეს და ვტოვებ აქ ტუბს — მწვერვალზე ჩვენი ყოფნის ამ ერთადერთ საბუთს. ვკრავ ზურგჩანთას, ვიცვამ ხელთათმანებს, ვიკეთებ სათვალეს, ვიღებ ხელში წერაყინს, კიდევ ერთხელ ვავლებ თვალს ირგვლივ... და მეც მივეშურები ქვემოთ, ფერდობზე. სანამ კულუარში ჩავცურდები, გამოსათხოვარ მზერას მივაპყრობ ამ მწვერვალს, რომელსაც ბედად უწერია, ერთადერთი სიხარული და ნუგეში გახდეს ჩვენთვის.

ლაშენალმა უკვე ბევრად გამისწრო, მან კულუარის ძირამდე მიაღწია.

მე მივჭრი მის კვალდაკვალ.

მთელი ძალ-ღონით მივისწრაფვი, თუმცა ფერდობი ძალიან სახიფათოა: ყოველი საფეხური შეიძლება ჩაინგრეს ტანის სიმძიმით. ლაშენალი უკვე დიდ დიაგონალზეა. არ მეგონა, თუ მას ასეთი სწრაფი სიარული შეეძლო. გადავკვეთეთ თოვლისა და კლდეების შერეული უბანი. ბოლოს მივაღწიეთ კედლის ფუძეს! ისე ჩქარა ვეშვებოდი, ქოშინი ამივარდა. გავჩერდი, გავხსენი ზურგჩანთა, რისთვის? თვითონაც არ ვიცი...

— ვაი, ჩემი ხელთათმანები!

ვერც კი ვასწრებ დაღუნვას და ვხედავ, როგორ მიჰქრიან, მისრიალებენ ისინი პირდაპირ ქვევით, ფერდობზე... ვდგავარ შეწუხებული, როდესაც ვუყურებ, რომ ნელა, შეუჩერებლივ მშორდებიან ისინი. მათ მოძრაობას ისე აღვიქვამ, როგორც

რაღაც გარდაუვალს, საბოლოოს, რომლის წინაშე უძლური ვარ! შესაძლოა ამას მეტად სერიოზული შედეგი მოჰყვეს. რა გაეწყობა!

რაც შეიძლება ჩქარა, მეხუთე ბანაკისაკენ!

რებიუფა და ტერაი იქ უნდა იყვნენ. ჩემი მღელვარება ერთბაშად ქრება. ვუბრუნდები აკვიატებულ იდეას: ჩქარა ბანაკში! ერთი წამით არ მომდის აზრად, რომ სათადარიგო წინდები მაქვს ზურგჩანთაში, თუმცა სწორედ ასეთი შემთხვევისთვის მიმაქვს ხოლმე იგი თან ყოველთვის. მივექანები ქვემოთ და ვცდილობ ლაშენალს დავეწიო. მწვერვალზე ვიყავით ორ საათზე. ბანაკიდან გამოვედით ექვსზე. უნდა შევურიგდე სიცხადეს: დავკარგე დროის ყოველგვარი გრძნობა. მე მგონია, რომ მივრბივარ, ნამდვილად კი ნორმალურად მივდივარ და შესაძლოა. ჩვეულებრივზე უფრო ნელაც. იძულებული ვარ, წამდაუწუმ ვავჩერდე, რათა სუნთქვა აღვიდგინო. მთელი ცა ღრუბლებით დაიფარა. ირგვლივ ყველაფერი მოჭუჭყიანონაცრისფერია. გამყინავი ქარი უბერავს, რომელიც კარგს არაფერს მოასწავებს. წინ! მაგრამ სადღაა ლაშენალი? მე კი ვფიქრობდი, რომ ის კიდევ არაა სავსებით ფორმაში. აი, სულ ცოტა, ორას მეტრზეა ჩემს ქვემოთ, მირბის გაუჩერებლივ.

ღრუბლები სქელდება, უფრო ქვემოთ ვრცელდება: ქარი ძლიერდება, მაგრამ სიცივე არ იგრძნობა. იქნებ დაშვების სისწრაფემ გააძლიერა სისხლის მიმოქცევა?

ვიპოვით კი კარვებს ნისლში?

დროდადრო თვალს ვავლებ ფრინველის ნისკარტისმაგვარ პიკიან წიბოს, რომელიც აღმართულია ბანაკის ზემოთ. თანდათანობით იგი ღრუბლებში უჩინარდება, მაგრამ, საბედნიეროდ, ქვემოთ მოჩანს კონტრფორსის მახვილი პირი. თუ ნისლი კიდევ უფრო გასქელდა, მე პირდაპირ წიბოსაკენ წავალ, დავეშვები მის გასწვრივ და აუცილებლად კარავს წავაწყდები.

დროგამოშვებით ლაშენალი უჩინარდება. შემდეგ ნისლი იმდენად სქელდება, რომ საბოლოოდ ვკარგავ მას მხედველობიდან. ბეც ჩქარა მივდივარ, რამდენადაც სუნთქვა ნებას მაძლევს.

ფერდობი უფრო ციცაბო ხდება. თოვლი ენაცვლება წმინდა ყინულის უბნებს. კარგი ნიშანია! ვუახლოვდები ბანაკს. რა

ძნელია ნისლით დაბურულ გარემოში გაგნება! ვცდილობ შეინარჩუნო სწორი მიმართულება, რისთვისაც თვალს არ ვაშორებ მთავარ კალთას. რელიეფი დასერილია, წრიაპებით ვეშვები ყინულის კედელზე.

რაღაც ლაქები გამოჩნდა... კიდევ რამდენიმე ნაბიჯი... ეს მართლაც ბანაკია, მაგრამ აქ რომ ორი კარავია!

მაშასადმე, რებიუფა და ტერაი ამოსულან. რა ბედნიერებაა! ახლავე გაიგებენ ისინი, რომ ჩვენ გავიმარჯვეთ, რომ ჩვენ მწვერვალიდან დავბრუნდით. როგორ გაეხარდებათ!

აი, ყველაფერი! ეუახლოვღები ზემოდან. კარვები დადგმულია შესასვლელით ერთიმეორისაკენ. მოედანი გაგრძელებულია, კარვები ცოტა გვერდზეა გაწეული. წავაწყდი პირველი კარვის საპიმს. შიგნით ამოძრავდნენ, .ჩემი ხმა გაიგონეს. აი, რებიუფა. შემდეგ გამოჩნდა ტერაის თავი.

მორჩა! ვბრუნდებით ანაპურნიდან!

XIV

ნაპრალი

ლირსშესანიშნავ ახალ ამბავს ენთუზიაზმით ხვდებიან.

— მოიცა, — უკვირს ტერაის. — ბისკანტი სადღაა?

მის ხმაში შეშფოთება იგრძნობა.

— ახლავე მოვა, ის ჩემზე ცოტა წინ იყო. რა დღეა! დილით ექვს საათზე გავედით, შეუსვენებლივ მივდიოდით... ბოლოს მივაღწიეთ!

სიტყვები არ მყოფნის, იმდენი მაქვს სათქმელი!..

ვუყურებ მეგობრულ სახეებს და უცნაური შეგრძნება, რომელიც დილიდან დამეუფლა, ერთბაშად ქრება, კვლავ ალპინისტური ოჯახის წევრად ვგრძნობ თავს.

აღტაცებული ტერაი მაგრად მართმევს ხელს და... ღიმილი ქრება მის სახეზე:

— მორის! შენი ხელები!..

ავისმომასწავებელი დუმილი ჩამოწვა.

მე უკვე დამავიწყდა, რომ ხელთათმანები არ მქონდა: ჩემს თითებს მკვდრისფერი დასდებია და მთლად გაშეშებულან. სასოწარკვეთილი დაჰყურებენ მათ ჩემი მეგობრები, რადგან ხედავენ, რა მძიმე მდგომარეობაში ვარ.

მე ვცურავ სამხიარულო აღგზნების შეუცნობელ ატმოსფეროში. ვიხრები ტერაისკენ და ჩავჩურჩულებ:

— შენ ხომ მშვენიერ ფორმაში იყავი! იმდენი ძალ-ღონე დახარჯე ამ მწვერვალისათვის! როგორ მწყინს, რომ შენც ჩვენთან არ იყავი ზევით!

— ყველაფერს, რასაც მე ვაკეთებდი, მეგობარო, ექსპედი-

ციისათვის ვაკეთებდი და, რაკი შენ ახვედი, მაშასადამე, გამარჯვა მთელმა გუნდმა!

განუზომელი სიხარული მეუფლება ამის გამგონეს. როგორ შემიძლია, გამოვთქვა, რას ნიშნავს ჩემთვის ეს პასუხი? გამარჯვებულის სიხარული, შესაძლოა, ეგოისტური ყოფილიყო. იგი გარდაქმნის მას სპეტაკ შეუბღალავ ბედნიერებად, მის პასუხს ჩემს თვალში ყოვლისმომცველი მნიშვნელობა ენიჭება. ეს ამტკიცებს, რომ მწვერვალზე გამარჯვება არ წარმოადგენს მხოლოდ პირად საგმირო საქმეს და პირადი სიამაყის საგანს; არა, ტერაიმ პირველმა შეიგნო, რომ ეს გამარჯვება ჩვენია, ყველასია, მთელი კოლექტივის გამარჯვებაა.

— ჰეი! ჰეი! მიშველეთ!

— ბისკანტ! — ეხმაურებიან რებიუფა და ტერაი.

გამარჯვებით მთვრალსა და რეალობის გრძნობას მოკლებულს, არაფერი მესმის.

ტერაის გული ეკუმშება: ეს მისი ჩაბმის ამხანაგია, რომელთან ერთადაც მან ესოდენ ბევრი განიცადა, რომელთან ერთად მისი სიცოცხლე ხშირად ბეწვზე ეკიდა ხოლმე და მრავალი ბრწყინვალე გამარჯვება მოუპოვებია! მან გაყო თავი კარვიდან და ფერდობზე, ასიოდე მეტრის ქვემოთ ლაშენალი დაინახა. ტერაიმ სასწრაფოდ ჩაიცვა ტანსაცმელი და ფეხსაცმელი.

— ჩქარა, ქვევით!

მაგრამ ფერდობზე უკვე აღარავინაა. ლაშენალი გაუჩინარდა! უსაზღვროდ თავზარდაცემული ტერაი გაბმულად ყვირის. შემაძრწუნებელი წამია, როდესაც თვალწინ გიქრება ამხანაგი, რომელთან ერთად შენი ცხოვრების საუკეთესო დღეები გაგიტარებია!

ფერდობზე საშინელი სისწრაფით მიჰქრის ქარის მიერ მორეკილი ნისლი. მღელვარებაში ტერაიმ ვერ მოისაზრა, რომ ნისლში მანძილი მაცთუნებელია.

— ბისკანტ! — ბისკანტ!

როგორც იქნა, შენიშნა იგი და თავდავიწყებით მორთო ყვირილი. ღრუბელთა გამონაშუქში ლიონელმა დაინახა თავისი მეგობარი, რომელიც იწვა ფერდობზე გაცილებით უფრო ქვემოთ, ვიდრე პირველად მოეჩვენა.

ტერაი გიჟივით გაექანა ქვევით და უყოყმანოდ, მთელი სისწრაფით ჩასრიალდა. რით გათავდება ეს სრიალი? განა შეძლებს დამუხრუჭებას ამ მაგარ თოვლზე? მაგრამ ტერაი ტყუილად კი არ არის პირველხარისხოვანი მოთხილამურე. მან მკვეთრად მოუხვია და გაჩერდა. ხანგრძლივი ვარდნის გამო ლაშენალს შოკი მოსვლია. იგი უძრავად წევს, უაზრო გამომეტყველებით, უწერაყინოდ, უჩაფხუტოდ, უხელთათმანოდ, ცალწრიალიანი.

— ფეხები მაქვს მოყინული! წამიყვანე ქვემოთ... ჩქარა ქვევით. უდო გადამარჩენს!

— შეუძლებელია, — სასოწარკვეთით უპასუხებს ტერაი. — ხომ ხედავ, რომ ირგვლივ ქარიშხალია, ღამდება.

მაგრამ ლაშენალს მოსვენებას არ აძლევს ფიქრი მოსალოდნელი ამპუტაციის საშიშროებაზე.

სასოწარკვეთილებით მოცული გლეჯს ხელიდან ტერაის წერაყინს და ცდილობს წასვლას, მაგრამ უმალვე რწმუნდება, რომ არაფერი გამოუვა და თანხმდება ასვლაზე. ტერაი გაუჩერებლივ ჭრის საფეხურებს. გატანჯული, გამოფიტული ლაშენალი ოთხით მიფორთხავს...

ამ დროს მე რებიუფას კარავში ვწევარ. მას გული ეკუმშება ჩემი თითების შემხედვარეს. მზრუნველობით მივლის. ნაწყვეტ-ნაწყვეტად ვუყვები დღევანდელი დღის ამბავს. იგი კარგად ხედავს საქმის ჰეშმარიტ ვითარებას და განუწყვეტლივ მირტყამს თოკის ბოლოს თითებზე. ფეხსაცმელსაც დიდი გაჭირვებით ვიხდი, რადგან ფეხები შეშუპებული მაქვს. რებიუფა მიზელს ფეხის თითებს, თოკით სცემს მათაც. მესმის, მეზობელ კარავში ტერაი ამასვე უკეთებს ლაშენალს.

ტრაგიკული წუთებია.

დიახ, ანაპურნა დაპყრობილია, პირველი რვაათასიანი აღებულია. თითოეული ჩვენგანი მზად იყო, ყველაფერი შეეწირა ამ გამარჯვებისათვის. და მაინც რას ფიქრობენ ახლა ამხანაგები ჩვენი ხელ-ფეხის დანახვისას?

ქარვის კედლებს გარეთ ქარიშხალი მძვინვარებს, სქელი ნისლია. სწრაფად ბნელდება. თოვს. როგორც წინა ღამით, ახ-

ლაც გვიხდება საყრდენების დამაგრება, რომ კარვები არ გაიტაცოს.

ჩვენ მხოლოდ ორი გასაბერი ლეიბი გვაქვს. გამყინავი თოვლისაგან თავდასაცავად რებიუფა და ტერაი სხდებიან ზურგჩანთებზე. თოკებზე. სანოვაგეზე, ისინი დაუღალავად გვზელენ, გვირტყამენ, გვშოლტავენ. ზოგჯერ თოკი ცოცხალ ადგილს ხვდება და ორივე კარავში გოდება გაისმის. რებიუფა დაყინებით მიზელს ხელ-ფეხს. რა მტანჯველი ტკივილია! მაგრამ აუცილებელია განაგრძოს. თანდათანობით ხელ-ფეხი ცოცხლდება, რაც სისხლის მიმოქცევის აღდგენის მაუწყებელია. ამავე მდგომარეობაშია ლაშენალიც.

ტერაის ყოფნის მხნეობა იმისათვის, რომ ცხელი სასმელი მოამზადოს. ის ეძახის რებიუფას, რომ ახლავე გადმოსცემს მას ტოლჩას. კარვების შესასვლელებიდან ორი ხელი იწვდება ერთმანეთის შესასვედრად. რომელნიც სწრაფად იფარებიან თოვლით. მდუღარე სითხის ტემპერატურა 60°-ს არ აღემატება და ხარბად ვყლაპავ მას. ერთბაშად უკეთეს გუნებაზე ვდგები.

კოშმარული ღამეა! ქარის მძაფრი ქროლვა არ წყდება. განუწყვეტლივ თოვს და აზვავებს თოვლს კარვებზე.

დროდადრო მეზობელი კარვიდან შეძახილები მოისმის: ტერაი გასაოცარი დაყინებით განაგრძობს ამხანაგის ზელას და ჩერდება მხოლოდ იმისათვის, რომ ადუღებული წყალი დაალევინოს. რებიუფა სრულიად ღონემიხდილია, მაგრამ კმაყოფილია, რომ ჩემს თითებს სითბო დაუბრუნდა.

ბურანში წასული ვერა ვგრძნობ დროის მსვლელობას. ზოგჯერ ჩემს შეგნებამდე აღწევს, რომ ჩვენი მდგომარეობა ჭეშმარიტად დრამატულია, მაგრამ მეტწილად გაბრუებული ვარ და ასვლის შედეგებზე არ ვფიქრობ.

რაც დრო გადის, მდგომარეობა მით უფრო უარესდება. თოვლის სიმძიმის გამო კვლავ იზნიქება კარავი, კვლავ ნელი, უხმო სულისხუთვის საშინელი შეგრძნება მეწყება. ზოგჯერ სიბრაზე მეუფლება და მთელი ძალ-ღონით ვცდილობ, ხელებით ავწიო ჩამოწოლილი მასა. მძაფრი დაძაბულობისაგან სული მეხუთება, მაგრამ ყველაფერი წინანდებურად რჩება. თოვლი კიდევ უფრო მეტი სიმძიმით გვაწვება, ვიდრე წინაღამეს.

— გასტონ! გასტონ!

ეს ტერაია.

— დროა წავიდეთ!

სიტყვები მესმის, მაგრამ ჩემამდე ცუდად აღწევს მათი აზრი. განა უკვე განთიადია?

სრულიადაც არ მიკვირს, რომ ჩემი ამხანაგები უარს ამბობენ ასვლაზე. მე არა მაქვს შეგნებული მათი მსხვერპლის მთელი სიდიადე.

ქარიშხალი გაორკეცებული სიმძაფრით მძვინვარებს. კარავი ძაგძაგებს, მისი კალთები შიშისმომგვრელად ფათქუნობენ. დილით უკეთესი ამინდი იყო. ვაითუ ეს უკვე მუსონია? ჩვენ ვიცოდით, რომ იგი გვიახლოვდებოდა. შესაძლოა, ეს მისი პირველი შემოტევაა?

— გასტონ, რას აკეთებთ, მანდ, მზადა ხართ? — გვაჩქარებს ტერაი.

— ერთი წუთით, — უპასუხებს რებიუფა.

ადვილი საქმე როდია, ტანსაცმელი და ფეხსაცმელი უნდა ჩამაცვან. ბავშვივით უმწეო ვარ. მეზობელ კარავში ტერაი ამთავრებს ლაშენალის ჩაცმევას. შეშუპებული ფეხები ფეხსაცმელებში არ ჩასდის. ტერაი აძლევს მას თავისას, ცოტა უფრო დიდებს. ლაშენალის ფეხსაცმელები რომ ჩაიცვას, ტერაი მათ რამდენიმე ადგილას ჭრის.სიფრთხილისათვის ალაგებს ზურგჩანთაში საძილე ტომარას, ცოტა საგზალს და გვეძახის, რომ ჩვენც მის მაგალითს მივბაძოთ. ნუთუ ეს სიტყვები ქარის ზუზუნში დაიკარგა? თუ, ამ ჯოჯოხეთის დატოვების მოუთმენლობაში, ჩვენ ანგარიში ვერ გავუწიეთ ამ რჩევას?

ლაშენალი და ტერაი უკვე გარეთ არიან. გვესმის მათი „მივდივართ!“

ჩვენი რიგი დგება. ოთხ კაცზე მხოლოდ ორი წერაქვინი გვაქვს. ისინი, ბუნებრივია, თან მიაქვთ რებიუფასა და ტერაის. რებიუფა მიბამს თავის თოკზე.

კარვებს ვტოვებთ. უკანასკნელ მომენტში უცნაური აზრი მომდის: მენანება კარგი საჭურველის დატოვება!

პირველი ჩაბმა მგონი უკვე შორსაა ქვემოთ. თოვლიანი გრიგალი გვაბრმავებს. ერთ მეტრზე უკვე არაფერი გვესმის ერთმანეთის. საშტორმო ტანსაცმელი გვაცვია, მაგრამ მაინც

ძალიან გვცივა. ხშირად ვცურდები თოვლში და თოკი სწორედ სულზე მისწრებს.

პირველი ჩაბმა დროს არ კარგავს. წინმავალი ლაშენალი, რომელსაც ტერაი აზღვევს, ჩქარობს. მას მოთმინება არ ჰყოფნის, სანამ ჩავიდოდეს. ნაკვალევი აღარა ჩანს, მაგრამ ყველას მკაფიოდ ახსოვს გზა: საჭიროა დაშვება კალთით 400 მეტრზე, შემდეგ 150-200 მეტრზე ტრავერსირება მარცხნივ და მივაღწევთ მეოთხე ბანაკს, სადაც ახლა კუზი და შაკი უნდა იყვნენ.[1]

თოვა შესუსტდა, ქარიც ცოტა ჩადგა, ნუთუ იმედის ნაპერწკალია? არ გვჯერა.

წინ მკაფიოდ ჩნდება სერაკების კედელი.

— მარცხნივ, — ვამბობ მე, — მშვენივრად მახსოვს!

დანარჩენების აზრით მარჯვნიდან უნდა შემოვუაროთ. დაშვება გრძელდება. ქარი ჩადგა, მაგრამ ისევ ბარდნის. სქელი ნისლია, არაფერი ჩანს. რომ არ დავკარგოთ ერთმანეთი, მწკრივად მივიწევთ. მე მესამე ვარ მწკრივში და ძლივს ვხედავ წინ მიმავალ ლაშენალს. მეტად ძნელი საცნობია ადგილი. თითოეულ ჩვენთაგანს ასვლების მდიდარი გამოცდილება აქვს და კარგად ვიცით, რომ ასეთ ამინდში ნაცნობ მარშრუტებზედაც კი ადვილია გზის დაბნევა. მანძილები დამახინჯებულია, მოხაზულობა ცვალებადი: ჩვენ ვბორძიკობთ ბორცვებზე, რომლებიც ღრმულებად გვეჩვენება. ნისლი, ფერდობი, თოვლის ფიფქები — ყველაფერი ერთფეროვან მოთეთრო ხალიჩად ერთიანდება. სერაკების მაღალი სილუეტები ფანტასტიკურ მოხაზულობას ღებულობენ. მეჩვენება, რომ ისინი ნელა მოძრაობენ ჩვენს ირგვლივ.

სასოწარკვეთა ადრეა, ჯერ გზა არ აგვრეია! საჭიროა მხოლოდ ცოტა ქვემოთ დავეშვათ: იქ დავიწყებთ ტრავერსს მარცხნივ, მე კარგად მახსოვს სერაკი, რომელიც გარემოში გაგნებისათვის გამოგვადგება... თოვლი გვიფარავს ტანსაცმელს. თეთრ ფონზე მდუმარე მოსრიალე თეთრ მოჩვენებებს ვგავართ, ღრმად ვეფლობით თოვლში. რაღა უნდა იყოს ამაზე უფრო მძიმე უკვე ღონემიხდილი ადამიანებისთვის?

---

[1] ზედა ბანაკები დაუკავებელი არ უნდა დარჩენილიყვნენ.

სადა ვართ? მეტისმეტად მაღლა თუ მეტისმეტად დაბლა? არავინ უწყის. მარცხნივ ვიაროთ!

ეს არასაიმედო თოვლი ძალზე საშიშია, მაგრამ ჩვენ არა გვაქვს ეს შეგნებული. იძულებულნი ვართ შევურიგდეთ სინამდვილეს: მცდარი გზით წამოვსულვართ. ახლა უკანვე უნდა ავიდეთ და შემოვუაროთ ჩვენს ზემოთ ამართულ სერაკს: ალბათ იქ ვიპოვით სწორ გზას. ხელახლა გავდივართ რებიუფას კვალდაკვალ ასეთი გაჭირვებით უკვე გავლილ უბანს. კრუნჩხვით მივაბიჯებ და მტკიცედ მაქვს გადაწყვეტილი —ბოლომდე ვიარო. მაგრამ თუ რებიუფა მოწყდა. მე ვერ შეეძლებ მის შეჩერებას.

დაუსრულებლად გადავდივართ ერთი სერაკიდან მეორემდე. ყოველთვის გვგონია, რომ სწორი გზა ვიპოვეთ და ყოველთვის იმედი გვიცრუვდება. ოღონდაც ეს ნისლი გაიფანტოს, ოღონდაც ცოტა ხნით ეს თოვა შეწყდეს! თოვლის სისქე მთის კალთებზე საშინელი სისწრაფით იზრდება... მხოლოდ რებიუფასა და ტერაის შეუძლიათ გზის გაკვალვა. ისინი თანაბარ შუალედებში უყოყმანოდ, უსიტყვოდ ენაცვლებიან ერთმანეთს.

აღფრთოვანებული ვარ რებიუფას შეუპოვრობით, რომლის წყალობითაც მან ასეთი სახელი მოიხვეჭა. წარმოუდგენელი გააფთრებითა და თავგანწირული დაძაბულობით მიიწევს წინ. ასეთი ნელი სვლა, ვისაც გინდა გულს გაუტეხდა, მაგრამ ის განაგრძობს ბრძოლას და მწვერვალი. ბოლოს და ბოლოს, ემორჩილება ხოლმე მის შეუდრეკლობას.

ტერაი პირიქით, ჯიქურ მიიწევს, ცოფიანივით. მას სტიქიის მსგავსად სურს, რადაც უნდა დაუჯდეს, დაამსხვრიოს საპატიმროს კედლები, სადაც დამწყვდეულნი ვართ. მისი ძალა განსაკუთრებულია, ნებისყოფა არანაკლებ შესანიშნავი.

ლაშენალი მას ბევრ საზრუნავს უჩენს. იქნებ მისი გონება არცაა სრულ წესრიგში? ახლა იგი ამტკიცებს, რომ არა აქვს აზრი შემდგომ დაშვებას, რომ საჭიროა ამოვთხაროთ თოვლში ორმო და გამოდარებას ვუცადოთ. იგი შეურაცხყოფას აყენებს ტერაის, გიჟი ხარო. მაგრამ სხვას ვის შეეძლო ასე ეზრუნა მასზე? ვისა აქვს უნარი, გამოიხსნას იგი აქედან, თუ არა

ტერაის? ლიონელი ეწყენა თოკს და ლაშენალი იძულებულია მიჰყვეს მას.

ამჯერად ჩვენ მართლაც დაგვებნა გზა.

ამინდი არ უმჯობესდება. რამდენიმე წუთის წინ ჩვენ კიდევ გვქონდა რაღაც ბუნდოვანი მოსაზრებანი ამა თუ იმ გზის შერჩევაზე. ახლა სულ ერთია, მარჯვნივ წავალთ თუ მარცხნივ. მივდივართ ალალბედზე, სასწაულის იმედით, რაც სულ უფრო ნაკლებმოსალოდნელია.

თავდაცვის ინსტინქტი, რომელიც კიდევ გააჩნდათ ლაშენალსა და გასტონს, თანდათან სასოწარკვეთილებითა და სრული გულგრილობით იცვლება. ისინი რიგრიგობით სჩადიან უგუნურებას: ტერაი ცალ ფეხზე წრიალმოშვებული ჰკვეთს ცოცხალ და ზვავსაშიშ ფერდობებს. მიუხედავად ამისა, ორივენი სასწაულებს ხდენენ: დაშვებისას ერთხელაც არ მომწყდარან და არც დაცურებულან.

ჩვენ კარგად ვიცით, რომ მეოთხე ბანაკი „ნამგლის“ კიდეზე მდებარეობს. ამაზე ყველა თანახმაა. მაგრამ მისი პოვნა მეტად ძნელია. ყინულის კედელი, რომელიც მას ასე კარგად იცავს, ჩვენთვის ახლა საბედისწერო გახდა. ის ფარავს ჩვენგან ბანაკს. ამ ნისლში პატარა კარვებს ზედ თუ არ გადაეწყდი, ისე ვერ შენიშნავ.

იქნებ ხმა მივაწვდინოთ? ლაშენალი ცდილობს იყვიროს, მაგრამ ხმა თოვლში ინთქმება.

მერე ერთად ვყვირით:

— ერთი... ორი... სამი... გვიშველეთ!

ჩვენ გვგონია, რომ ეს ყვირილი შორს უნდა ისმოდეს. ვიმეორებთ:

— ერთი... ორი... სამი... გვიშველეთ!

დ უ მ ი ლ ი ა.

დროგამოშვებით ტერაი ფეხსაცმელს იხდის და იზელს გაშშებულ ფეხებს. ჩვენმა სავალალო მაგალითმა შეაგნებინა მას მდგომარეობის მთელი საშიშროება და ენერგიულად იბრძვის. ლაშენალივით მასაც არ ასვენებს ამპუტაციაზე ფიქრი. ჩემთვის კი — უკვე მეტისმეტად გვიანაა! ვგრძნობ, რომ კიდურები, რომელიც ესოდენ ძლიერად დამიზიანდა გუშინ, ახლა კვლავ მეყინება.

გუშინდელს აქეთ არაფერი გვიჭამია, თუმცა განუწყვეტლივ ვშრომობდით. სიკვდილის პირისპირ ადამიანის ძალ-ღონე განუზომლად იზრდება. გგონია, რომ ყველაფერი გათავდა, მაგრამ არა! არის თურმე კიდევ მარაგი, საჭიროა, მხოლოდ საკმაო ნებისყოფა გქონდეს, რომ გამოიყენო!

დრო შეუმჩნევლად გადის, ღამე ახლოვდება. შეძრწუნებულნი ვართ, თუმცა არავინ ამჟღავნებს. მე და რებიუფა გასასვლელს წავაწყდით. იგი მეცნაურება, მაგრამ გავჩერდით, რადგან ფერდობი მეტისმეტად დაქანებულია. ნისლში ის შვეულ კედლად გვეჩვენება. მეორე დღეს ნათელი გახდა, რომ სულ ოცდაათ მეტრზე ვიყავით ბანაკიდან, და სწორედ ამ კედლის ძირში იდგა კარვები, რომელთაც შეეძლო ჩვენი შველა.

— ნაპრალი უნდა მოვნახოთ!

— აქ ხომ არ ვიქნებით ატუზული მთელი ღამე!

— ყველანი აქ ჩავიხოცებით!

—ერთადერთი ხსნა ორმოს ამოთხრაა!

ღამე უეცრად წამოგვეპარა. აუცილებელია ერთი წუთიც არ დავკარგოთ და რაღაც ვიღონოთ. თუ ფერდობზე დავრჩით, დილამდე ვერ მივატანთ. უნდა მოვაწყოთ ღამის სათევი. წარმოგვიდგენია, როგორ პირობებში. თითეულ ჩვენგანს ესმის, თუ რა არის ცივი ღამისთევა 7 000 მეტრ სიმაღლეზე...

ტერაი იწყებს წერაყინით ორმოს თხრას. მისგან რამდენიმე მეტრის დაშორებით ლაშენალი დადის თოვლით ამოვსებულ ნაპრალზე. უეცრად იგი ყვირილით შიგ ვარდება. უმწეოდ ვდგავართ: გვეყოფა კი ჩვენ, უფრო სწორად, ჩემს ორ ამხანაგს, ძალა, რომ ის იქიდან ამოიყვანონ? ნაპრალი მთლიანად დაფარულია თოვლით და მხოლოდ პატარა პირღია ხვრელი ჩანს ჩავარდნის ადგილას.

ტერაი ყვირის:

— ე-ჰეი! ე-ჰეი! ლაშენალ!

ჩვენამდე აღწევს თოვლისა და ყინულის სქელი ფენით დახშული ხმა. სიტყვების გარჩევა შეუძლებელია.

— ე-ჰეი! ლაშენალ!

ტერაი მკვეთრად ეწევა თოკს. ამჯერად გვესმის:

— აქა ვარ!

— ხომ არაფერი იტკინე?

— არა! აქ შეიძლება ღამის გათევა! შამოეშვით!

სასწაული მოხდა! არასოდეს არ გვეყოფოდა ძალა, რომ ყინულში ამოგვეჭრა ქარისაგან დაცული თავშესაფარი. ტერაი უყოყმანოდ ხტება ნაპრალში. ხმამაღალი „ჩამოდით!“ გვაუწყებს მის მშვიდობით დაშვებას.

ჩემი რიგიც დგება. ვცურდები ქვევით — ნამდვილი ბობსლეია! მივქრი ათი მეტრის სიგრძის გვირაბში, დიდი სისწრაფით ვეშვები ქვაბულში და ვებერტყები მის ფსკერზე, თოკის გამოკვრით ვანიშნებ რებიუფას, რომ შეუძლია დაეშვას.

ქვაბულში საშინლად ცივა. იგი ნესტიანია, კედლები იცრემლებიან. ერთიმეორეს მიკრულნი, გაპირვებით ვთავსდებით ახალ თოვლზე, რომლითაც დაფარულია ფსკერი. ჭერზე ლოლუები ჰკიდია. ვტეხთ რამდენიმეს და ამით მცირეოდნად ვადიდებთ თავისუფალ სივრცეს თავზემოთ. ვწოვთ ყინულის ნატეხებს: დიდი ხანია, აღარაფერი დაგვილევია.

ასეთია ჩვენი ამაღამდელი თავშესაფარი.

ყოველ შემთხვევაში, აქ ქარი ვერ მოგვიდგება და ტემპერატურაც ბევრად არ დაიწევს. განსაკუთრებით სინესტე გვაწუხებს. რამდენადაც შესაძლებელია, ვეწყობით სიბნელეში. როგორც ყოველ ღამის სათევზე, ფეხთ ვიხდით: ასე რომ არ მოვიქცეთ, ერთმანეთზე მიჭყლეტილი თითები, უმალვე მოგვეყინება. ტერაი შლის საძილე ტომარას და შედარებით მოხერხებულად ეწყობა. ჩვენ კი ტანთ ვიცვამთ, რაც კი რამ თბილი გაგვაჩნია. თოვლს რომ არ შევეხო, კინოაპარატზე ვჯდები.

ვეკრობით ერთმანეთს და ვცდილობთ, გამოვნახოთ ისეთი მდგომარეობა, რომ ჩვენი სხეულების სითბო უდანაკლისოდ შევინარჩუნოთ. მაინც განუწყვეტლივ ვმოძრაობთ.

ვსხედვართ ხმაამოუღებლივ. გულჩათხრობილნი. მოძრაობა უფრო ნაკლებ ძალას მოითხოვს. ვიდრე ლაპარაკი. ტერაი ლაშენალს ფეხებს უზელს. რებიუფა გრძნობს, რომ მასაც ეყინება ფეხები, მაგრამ იმდენი ძალა შესწევს, რომ თვითონვე დაიზილოს. მე ვზივარ, უძრავად, გაჩინდებული. ხელ-ფეხი კვლავ მეყინება, მაგრამ რა ვიღონო? მორგვივით დახვეული, ვცდილობ არ ვიფიქრო ტკივილზე, არ ვიფიქრო დროის სვლაზე, მინდა დავივიწყო სიცივე, რომელიც მუხანათურად აღწევს სხეულის თითოეულ უჯრედში და შეგრძნების უნარს უკარგავს მას.

ტერაი უზიარებს ლაშენალს თავის საძილე ტომარას. იგი ღარავს მეგობრის ტერფებსა და ხელის მტევნებს ძვირფას ბუმბულში და თან არ წყვეტს ზელას.

„ყოველ შემთხვევაში, ამაზე უფრო მაინც აღარ მოეყინება“, — ფიქრობს იგი.

ერთის ოდნავი მოძრაობა აწუხებს ყველა დანარჩენს, გაჭირვებით მიგნებული მდგომარეობა გამუდმებით იცვლება. ისევ თავიდან უნდა დავიწყოთ. ყველაფერი ეს როგორღაც გვიფანტავს მძიმე ფიქრებს. რებიუფა ფეხებს უჩივის და დაჟინებით განაგრძობს მათ ზელას. ისიც ტერაისავით ფიქრობს:

„როგორმე ხვალამდე გავძლოთ და ყველაფერი გაირკვევა!“

მაგრამ მან მშვენივრად იცის, რომ ეს „გაირკვევა“ დიდი კითხვის ნიშნის ქვეშაა.

ამაღელვებელი მზრუნველობით ცდილობს ტერაი, მეც გამიზიაროს საძილე ტომრის ნაწილი. იგი ხედავს ჩემს მძიმე მდგომარეობას და ხვდება, თუ რატომ ვზივარ ასე მშვიდად და მდუმარედ. მას ესმის, რომ მე უკვე დავყარე ფარ-ხმალი. ლიონელი მთელი ორი საათია, მიზელს ფეხებს, თუმცა მას ამ დროს თვითონაც ემუქრება მოყინვა, მაგრამ იგი ამაზე არ ფიქრობს. მისი კეთილშობილებით აღფრთოვანება სიმამაცეს მანიჭებს. ის იმდენს აკეთებს ჩემთვის სიცოცხლის შესანარჩუნებლად, რომ ბრძოლაზე ხელის აღება, ჩემი მხრივ, უმადურობა იქნებოდა.

ასე მგონია, გულიც კი ყინულად მექცა, მიკვირს, რომ ტკივილს არა ვგრძნობ. ჩემში თითქოს ატროფირებულია ყველაფერი ნივთიერი. ცნობიერება ნათელია და, ამავე დროს, რაღაც ბედნიერი სიმშვიდის მდგომარეობაში ვიმყოფები. ჩემში კიდევ ბეუტავს სიცოცხლის ნაპერწკალი, მაგრამ სულ უფრო და უფრო მკრთალად. უკვე აღარ ვაქცევ ყურადღებას ტერაის თავდაუზოგავ მზრუნველობას. მგონია, რომ მალე დადგება ჩემი აღსასრული. განა ეს ქვაბული ყველაზე უმშვენიერესი აკლდამა არაა? სიკვდილი არ მაშინებს, არ იწვევს ჩემში არავითარ სინანულს. მე ვუღიმი მას. ასე გარინდებული ვართ მრავალი საათის განმავლობაში.

— გათენდა, — ჩაიბუტბუტა ვიღაცამ.

ამ ახალმა ამბავმა ჩემი ამხანაგები ოდნავ გამოაცოცხლა.

"მიკვირს, არ მეგონა, რომ დღის სინათლე ასეთ სიღრმეზე ჩამოაღწევდა."

— გასვლისთვის ძალიან ადრეა! — შენიშნა რებიუფამ.

ქვაბულში ავისმომასწავებელი ბინდია ჩამოწოლილი. ბუნდოვნად შეგიძლიათ გაარჩიოთ თავების მოხაზულობა.

ჩვენამდე აღწევს ხანგრძლივი, შიშინის მსგავსი, უცნაური, შორეული ხმა. იგი სულ ძლიერდება, ახლოვდება... უეცრად თავზე გვეყრება, მაბრმავებს ახალი თოვლის ზვავი. იგი ავსებს ქვაბულს, აღწევს ტანსაცმელში. თავს მუხლებში ვმალავ და ხელებს ვიფარებ. თოვლი სულ მოდის და მოდის... სამარისებური სიჩუმე სუფევს.

მთლიანად ქვეშ ვერ მოგვიყოლა, მაგრამ მთელი ჩვენი ბარგი დაფარა თოვლმა. ვდგებით, ვცდილობთ თავით ყინულის პერს არ მივეჯახოთ და ვიბერტყებით. თითქმის ფეხშიშველა ვდგავართ თოვლში. უპირველეს ყოვლისა, ტანსაცმელი უნდა მოვძებნოთ.

რებიუფა და ტერაი იწყებენ ძებნას და ირკვევა, რომ ორივე დაბრმავებულა. გუშინ, დაშვებისას, მათ სათვალეები მოიხსნეს, შედეგებს დღეს იმკიან.

ლაშენალი ყველაზე უმალ წააწყდა წყვილ ფეხსაცმელს. სცადა მათი ჩაცმა. ეს რებიუფას ფეხსაცმელებია. რებიუფა ამ დროს ცდილობს ციცაბო გვირაბით ზევით აძვრომას.

— ჰეი, გასტონ! როგორი ამინდია? — უყვირის ტერაი.

— ვერაფერს ვხედავ. ძლიერი ქარია!..

ტერაიმ იპოვა თავისი ფეხსაცმელები და ხელის ცეცებითა და ლაშენალის დახმარებით იცვამს. ბისკანტი ნერვიული აღგზნებისას განსაცვიფრებელ მოუთმენლობას იჩენს, რაც მკვეთრ კონტრასტს წარმოადგენს ჩემს უმოძრაობასთან.

ტერაი თავის მხრივ ყინულის გვირაბში მიცოცავს ქშენითა და გინებით. ბოლოს აძვრა ზედაპირზე. სადაც მძაფრი ქარი შეეგება სისინით. ქარი ძვალ-რბილში ატანს და სახეს უშოლტავს.

„ცუდი ამინდია, — გამიელვა თავში, — ეს უკვე აღსასრულია, დავიღუპებით... აქედან ველარ გავაღწევთ!"

ქვაბულის სიღრმეში ორნი განვაგრძობთ ფეხსაცმელების ძებნას. ლაშენალი გააფთრებით ჩიჩქნის წერაყინით. მე გაცი-

ლებით უფრო მშვიდად ვარ და ვცდილობ მეთოდურად ვიმოქმედო. ნელნელა ვპოულობთ თოვლში წრიაპს, წერაყინს, მაგრამ ფეხსაცმელები არ არის და არა!

მაშ ასე, ეს ქვაბული ჩვენთვის უკანასკნელი თავშესაფარი იქნება!

ადგილი არ გვყოფნის. ოთხად მოკაკულნი ერთმანეთს ფეხებში ვედებით. ბოლოს ლაშენალმა გადაწყვიტა ფეხშიშველა აძვრეს. ის საშინელი ყვირილით მიჰყვება თოკს. ცდილობს როგორმე მოედვას, გაიჭედოს და ფეხის თითებით თოვლიან კედელს ფხაჭნის. ზემოდან ტერაი ეწევა მთელი ძალით: მე ვხედავ, როგორ ადის ლაშენალი და ბოლოს უჩინარდება. როცა იგი ზედაპირზე აცოცდა, თვალწინ მოწმენდილი ცა გადაეშალა. გიჟივით წინ და უკან დარბოდა გახარებული და ყვიროდა:

— კარგი ამინდია, კარგი ამინდია!

მე ხელახლა ვქექავ ქვაბულს, რადაც უნდა დამიჯდეს, უნდა ვიპოვო ფეხსაცმელები, სხვანაირად მე და ლაშენალი განწირულები ვართ. ვეცემი ოთხზე, ვქექავ თოვლს. შიშველი ხელებითა და ფეხებით ვურევ მას ყველა მიმართულებით, იმ იმედით, რომ რაიმე მაგარს წავაწყდები. სხვაზე აღარაფერზე ვფიქრობ. ახლა მე მხოლოდ ცხოველი ვარ, რომელიც სიცოცხლისათვის იბრძვის.

ვიპოვე ცალი ფეხსაცმელი! მეორე მასზე მიბმული უნდა იყოს, წყვილია, ძლივს!

დაჟინებით, ჯიუტად განვაგრძობ ძებნას და ბოლოს მთელი ქვაბული რომ გადავქექე, უკანასკნელი წყვილიც ვიპოვე. ფოტოაპარატი კი ვერა და ვერ აღმოვაჩინე და მძიმე გულისტკივილით შევწყვიტე ძებნა. ფეხსაცმელების ჩაცმაზე ლაპარაკიც ზედმეტია: ხელის მტევნები თითქოს ხისაა, თითები არ მემორჩილება. ფეხები ძალზე შეშუპებული მაქვს, მათზე ფეხსაცმელი არ ჩაიცმება! ძლივს ვაბამ თოკზე ფეხსაცმელებს და ვყვირი:

— ლიონელ!.. ფეხსაცმელები!

პასუხი არ ისმის, თუმცა, ცხადია, გაიგონეს, რადგან ფეხსაცმელები ზევით მიცურავენ. მალე თოკი უკანვე ეშვება: ახლა ჩემი რიგია. რის ვაივაგლახით ვიხვევ მას გარშემო და რა-

დგანაც საიმედო კვანძის შეკვრა არ შემიძლია, უამრავ პატარ-პატარა კვანძებს ვკრავ. იმედი მაქვს, ეს საკმარისი იქნება, ჩემს წონას გაუძლოს. დაყვირებისათვის ძალა აღარ მეყო, თოკს გამოვკარი და ტერაიმ გამიგო.

პირველი ნაბიჯისთანავე ფეხით მიხდება საფეხურის გამოკვეთა თითებისათვის. უფრო ზევით ალბათ შესაძლებელი იქნება გაჭედვა და ასვლა უფრო გამიადვილდება. რამდენიმე მეტრს რომ ავცდი, ვცადე კედელში ჩამერჭო გაქვავებული ხელის მტევნები და ტერფები. არც ხელები იხრება, არც ფეხები, ეს კი ძალიან მიშლის ასვლას.

ძლივს ვახერხებ გაჭედვას. ტერაი ისეთი ძალით მეწევა, რომ შეიძლება გავიგუდო. რამდენჯერმე ვწყდები: ვებღაუჭები, ვიჭედები და ყოველთვის როგორღაც ვახერხებ თავის შემაგრებას. გული ლამის ამოვარდეს საგულედან და იძულებული ვარ, გაჩერდე. ენერგიის ახალი შემატება საშუალებას მაძლევს ფოფხვით ავაღწიო ზევით, ფეხებზე ვეჭიდები გაწამებულ ტერაის და ვძვრები გარეთ. ტერაი ჩემს გვერდითაა. ჩაჩურჩულებ:

— ლიონელ! ვკვდები!..

იგი ხელს მაშველებს და მეხმარება ნაპრალიდან ამოძრომაში. ახლა ლაშენალსა და რებიუფასთან უნდა მივიდე, რომლებიც სხედან თოვლზე ჩვენგან რამდენიმე ნაბიჯის დაშორებით. როგორც კი ლიონელი ხელს მიშვებს, ვეცემი თოვლზე და ოთხზე მივფორთხავ.

საუცხოო ამინდია. გუშინ დიდი თოვლი მოვიდა და მწვერვალი გაბრწყინებულია. ესოდენ ლამაზი იგი არასდროს ყოფილა! ჩვენი უკანასკნელი დღე შესანიშნავი იქნება!

რებიუფა და ტერაი სრულიად დაბრმავდნენ. ტერაი წამდაუწუმ ბორძიკობს და მე მიხდება მისი წაყვანა. არც რებიუფას შეუშლია დამოუკიდებლად თუნდაც ერთი ნაბიჯის გადადგმა. საშინელია სიბრმავე, ხიფათი ყოველ ნაბიჯზე გიდარაჯებს. ლაშენალს მოყინული აქვს ფეხები და თავს ვერ ეუფლება. მისი ქცევა შიშს გვინერგავს, მას უეცრად ისეთი აზრები მოსდის თავში, გეგონება ბოდავსო:

— მე შენ გეუბნები, უნდა დავეშვათ!.. აქეთ, ქვემოთ...

— შენ ხომ ფეხშიშველი ხარ!

— ნუ სწუხხარ!

— ხომ არ შეიშალე?.. აქეთ-კი არა... მარცხნივ!

იგი უკვე ადგა და სურს დაეშვას ფერდობზე პირდაპირ ქვევით. ტერაი აჩერებს მას და ხელის ცეცებით ფეხსაცმელების ჩაცმას შველის.

მე თითქოს სიზმარში ვარ. ვგრძნობ, სიკვდილი ახლოსაა. რა მშვენიერი სიკვდილია მთამსვლელისათვის! როგორ ესადაგება იგი ჩვენი სულების მფლობელ კეთილშობილურ გატაცებას! მე მადლობელი ვარ მწვერვალისა იმისათვის, რომ ის დღეს ასე მშვენიერია. მისი მდუმარება ტაძრის სიდიადეს მაგონებს. სრულიადაც არ ვიტანჯები და არცა ვღელავ. საშინელია ჩემი სიმშვიდე. ტერაი ბარბაცით მიახლოვდება. მე ვეუბნები:

— ჩემთვის ყველაფერი გათავებულია! წადით, თქვენ კიდევ გაქვთ შესაძლებლობა, უნდა გამოიყენოთ იგი... იარეთ მარცხნივ. გზა იქით არის!

ამ სიტყვების შემდეგ უკეთ ვგრძნობ თავს. მე კარგად ვარ, მაგრამ ტერაი ასე არ ფიქრობს.

— ჩვენ დაგეხმარებით... თუ აქედან გავაღწიეთ, მაშასადამე, შენც გადარჩები!

ამ დროს ლაშენალის ყვირილი მოისმის:

— გვიშველეთ!.. გვიშველეთ!

მას აშკარად აღარ ესმის, რას აკეთებს. იქნებ კიდევაც ესმის? მხოლოდ იმასღა შეუძლია ახლა მეორე ბანაკის დანახვა, ხომ შეიძლება გაიგონონ მისი ყვირილი.

ეს სასოწარკვეთილების ყვირილია. ის ტრაგიკულად მაგონებს მონბლანის მასივზე მთამსვლელთა მიერ მოცემულ უბედურების სიგნალებს, რომელთა შველას მე ვლამობდი ოდესღაც. ახლა ჩვენი რიგია... მე ამას მეტად მწვავედ განვიცდი: დიახ, ჩვენ ჭეშმარიტად უბედურებაში ჩავცვივდით!

მე ვუერთებ ჩემს ხმას:

— ერთი... ორი... სამი... გვიშველეთ!

— ერთი... ორი... სამი... გვიშველეთ!

ვცდილობთ ვიყვიროთ ერთად, მაგრამ ამაოდ. საეჭვოა, რომ ჩვენი ხმა რამდენიმე მეტრს იქით მიდიოდეს, მე უფრო ვჩურჩულებ, ვიდრე ვყვირი.

ტერაი მეუბნება ფეხსაცმელები ჩაიცვიო. ხელები გაქვავებული მაქვს, ვერ შევძლებ. რებიუფა და ტერაი ვერაფერს ხედავენ; არა მგონია, მათ შეძლონ ჩემი დახმარება.

— მომეშველე, ფეხსაცმელები ჩავიცვა, — ვეუბნები ლაშენალს.

— შენ რა, ჭკუაზე შეიშალე? უნდა დავეშვათ!..

იგი არასწორი გზით პირდაპირ ქვევით მიექანება. სრულებით არა მწყენია — მომხდარმა ამბებმა და სიმაღლემ ძლიერ იმოქმედეს მის გონებაზე.

ტერაიმ ხელი სტაცა დანას. თავისი გაქვავებული თითებით მოსინჯა ფეხსაცმელი და ყელი ჩაუჭრა. ახლა შეიძლება მისი ჩაცმა. რამდენიმე უნაყოფო ცდის ჩატარება მიხდება, რადგან ამოცანა არცთუ ისე ადვილია. მალე სევდა მეუფლება. რად უნდა ვიტანჯო, როცა, სულ ერთია, აქ დარჩენა მიწერია? მაგრამ ტერაი მთელი ძალით ეწევა. ბოლოს რამდენიმე კავის გამოტოვებით კრავს ზონრით ამ ვეებერთელა ფეხსაცმელებს. მე მზადა ვარ, მაგრამ როგორ შევძლებ სიარულს, როცა არც ფეხები იღუნება და არც ხელები?

— მარცხნივ, ლიონელ!

— სისულელეს ნუ როშავ, მორის, — მეუბნება ლაშენალი, — უნდა წავიდეთ მარჯვნივ და პირდაპირ ქვევით!

ტერაი შეფიქრიანებულია ამ ერთიმეორის საწინააღმდეგო მითითებებით. იგი ჩემსავით ქედს არ იხრის და განაგრძობს ბრძოლას, მაგრამ რის გაკეთება შეიძლება ამ წუთში? სამი ამხანაგი დაობს სწორი გზის შერჩევაზე.

თოვლზე ვზიავარ. გონება თანდათანობით მებინდება. რად შევებრძოლო? მოხდეს, რაც მოსახდენია! ტვინში ზმანებასავით წარმოისახა: დაჩრდილული ფერდობები, მშვიდი ბილიკები... ფისის სურნელება... რა კარგია! მე ვკვდები ჩემს მთებში... მე არაფერს ვგრძნობ, ყველაფერი გაიყინა ჩემში...

— ა-ა!.. ა-ა!..

ეს რა არის? სიკვდილისწინა ხრიალი? თუ მოწოდება?

მთელ ძალას ვიკრებ, რომ დავიყვირო: „აქეთ მოდიან!“

ამხანაგებმა გაიგონეს ჩემი ხმა, ისინი სიხარულისაგან ყვირიან.

ზღაპრული მოვლენაა! შაცი!.. ეს ხომ შაცია!...

ჩვენგან ორასიოდე მეტრზე, წელამდე ახალ თოვლში ჩაფლული, ფერდობზე გემივით მოცურავს მარსელ შაკი.

უცილობლად ღონიერი და მძლავრი მხსნელის მოჩვენებაა! მე მისგან ყოველივეს მოველი. უღრმესი შეძრწუნება გადავიტანე. უკვე სიკვდილის კლანჭებში ვიყავი და მივენდე მას. ახლა სიცოცხლეს ვუბრუნდები, მინდა ვიცოცხლო! ჩემში მკვეთრი გარდატეხა ხდება... არა, ჯერ კიდევ არ არის ყველაფერი დაკარგული!

იგი გვიახლოვდება... თვალს ვერ ვაშორებ... ოცი მეტრი... ათი... იგი მოდის ჩემთან... რატომ? ის ჩუმად იხრება, მკერდში მიხუტებს. მკოცნის!.. მისი ცხელი სუნთქვა სიცოცხლეს მიბრუნებს...

თითის განძრევაც კი არ შემიძლია, მარმარილოსავით ვარ გაქვავებული. მღელვარებისაგან გული ლამის არის ბუდიდან ამომიფრინდეს. თვალები კი მშრალია.

— თქვენ შესანიშნავი გამარჯვება მოიპოვეთ! — მეუბნება შაკი.

XV

ᲧᲕᲐᲕᲘ

ხან გონს მოვდივარ, ხან ისევ ვკარგავ ცნობიერებას. უცნაური შეგრძნება მაქვს, თითქოს თვალები მინისა გამიხდა. დედობრივი მზრუნველობით მიბამს შაცი თავის თოკზე. ჩემი ამხანაგები სიხარულისაგან ყვირიან. მოწმენდილი ცა დიდი სიმაღლეებისათვის დამახასიათებელი მუქი ლურჯი ფერისაა, ისე მუქი, რომ თითქმის ვარსკვლავები ჩანან. ჩვენ ვბანაობთ მზის მცხუნვარე სხივებში. შაცი მეუბნება:

— მორის, გეთაყვა, ვიაროთ ნელ-ნელა!

მისი ხმა სინაზითაა გამსჭვალული. მადლიერების გრძნობით ვემორჩილები. მისივე დახმარებით ვახერხებ ადგომას და როგორღაც, წონასწორობის შენარჩუნებას. შაცი ნელა მეწევა თავისკენ. და ასე მივიწევთ წინ. ისეთი გრძნობა მაქვს, თითქოს თოვლს ოჩოფეხებივით სწორი და მაგარი ორი უცხო საგნის მეშვეობით ვეხები: ესენი ჩემი ფეხებია...

სხვებს უკვე ვეღარ ვხედავ. მობრუნებისა მეშინია, რომ წონასწორობა არ დავკარგო.

თოვლის ბრჭყვიალი მაბრმავებს. ორასი მეტრიც არ გაგვივლია, რომ ყინულის კედლის შემოვლის შემდეგ კარავს წავაწყდით. თურმე ღამე ბანაკიდან ორას მეტრზე გვითევია!

დაგვინახა თუ არა, კუზი ადგა, გულითადად მომეხვია და დამკოცნა. ტერაი გაეშურა კარავში ფეხსაცმელების გასახდელად. მასაც ფეხის თითები აქვს წაყინული. უწყალოდ იზელს და ურტყამს მათ.

ჩემში კვლავ იფეთქა სიცოცხლის წყურვილმა. ვცდილობ, ფხიზლად შევაფასო მდგომარეობა. მცირეოდენი რესურსები გაგვაჩნია, უნდა შევძლოთ მისი გამოყენება. ერთადერთი მხსნელი უდოა. მხოლოდ მას ძალუძს ჩვენი ხელ-ფეხის გადარჩენა. მე აღფრთოვანებით ვღებულობ შაცის წინადადებას: დაუყოვნებლივ დავეშვათ შერპების მიერ ახლად გამართულ ქვეღა მეოთხე ბანაკში.

ტერაის კარავში დარჩენა უნდა. სასოწარკვეთით ირტყამს ტერფებზე და ყვირის:

— ხვალ ამოდით ჩემს წასაყვანად. სიკვდილი მირჩევნია ჯანმრთელობის დაკარგვას!

რებიუფასაკ დამზრალი აქვს ფეხები, მაგრამ ის ამჯობინებს დაუყოვნებლივ დაეშვას და, რაც შეიძლება ჩქარა მიაღწიოს უღომდე. იგი იწყებს დაშვებას კუზისა და ლაშენალთან ერთად. შაცი კვლავ განაგრძობს ჩემზე მზრუნველობას, რისთვისაც უსაზღვროდ მადლობელი ვარ მისი. იგი იღებს თოკს ხელში და მეგობრულად წინ მიბიძგებს.

ერთბაშად ძალიან ციცაბო კალთა დაიწყო. თოვლის თხელი ფენა ყინულზე ნახევრად გაძლღვალა და ფეხს ვეღარ ვიკიდებ. ხშირად ვწყდები, მაგრამ, შაცი ყოველთვის მაჩერებს დაკიმულ თოკზე.

უფრო ქვევით, ფერდობზე განიერი ნაკვალევი მოჩანს. ეტყობა აქედან ჩვენი ამხანაგები პირდაპირ ჩასრიალდნენ მეოთხე ბანაკისაკენ და ზვავი გამოიწვიეს, რომელმაც ჩაწმიხდა კალთა. ამან გაარღვია უიმისოდაც საკმაოდ ძნელი დაშვება. ბანაკში უმალვე მომცვივდნენ შერპები, რომლებიც ზვავით დაფარული კარვების ამოთხრით იყვნენ გართულნი. ძათ შემოხედვაში იმდენი სიკეთე და თანაგრძნობაა, რომ პირველად ახლა შევიგნე, რამდენად საეალალო იყო ჩემი მდგომარეობა. კუთხეში ლაშენალი იზელს ფეხებს, ხოლო პანზი დროდადრო ამხნევებს მას და არწმუნებს, რომ დოქტორი-საჰიბი აუცილებლად მოარჩენს.

მე ვაჩქარებ ხალხს, მთავარი მიზანია — სასწრაფოდ დავეშვათ. ჯანდაბას საკურველი! უნდა დავტოვოთ მწვერვალი მუსონის შემდგომ შემოტევამდე.

დაშავებულთა ბედს ორიოდე საათი წყვეტს. მე, ლაშენა-

ლსა და რებიუფას აუცილებლად ვინმე უნდა გაგვყვეს. ვირჩევ აილასა და სარკეს. ვცდილობ, ავუხსნა შერპებს, რომ მათ ძალიან მოკლე თოკით უნდა დამაზღვიონ. ლაშენალსა და რებიუფას, არ ვიცი რატომ, თოკში ჩაბმა არ სურთ.

ვიდრე ჩვენ ვეშვებით, შაცი, ანგ-თარკე და პანზი ზევით მიდიან, ტერაის ჩამოსაყვანად. შაცი ყოჩაღია, სხვებს მცირეოდენი ინიციატივის გამომჟღავნების უნარიც არა აქვთ.

ძნელი აღმართის ავლის შემდეგ მან მიაღწია ტერაიმდე:

— შეგიძლია, მოემზადო, მალე წავალთ, — ეუბნება იგი.

— ფეხები მირჩება, — უპასუხებს ტერაი, რომელიც ახლა უფრო დამშვიდებულია.

— მე ნაპრალისაკენ გავივლი... მორისმა აპარატი ვერ ნახა. იქ კი ყველა ზემოთ გადაღებული ფოტოფირებია!

ტერაი არაფერს ამბობს, აზროვნება დაქვეითებული აქვს. მხოლოდ რამდენიმე დღის შემდეგ შევაფასებთ ჩვენ შაცის გმირობას. მან დიდხანს ქექა თოვლი ქვაბულის ფსკერზე. ტერაი ღელავს... ბოლოს შაცი დაბრუნდა და თან მოიტანა ფოტოაპარატი, რომელშიც მწვერვალზე გადაღებული ფირებია. მან იპოვა აგრეთვე ჩემი წერაყინი და სხვა ნივთები. მაგრამ კინო-აპარატი მაინც ვერ ამოთხარა. ამგვარად ფილმი თავდება 7 000 მეტრის სიმაღლეზე გადაღებული კადრებით.

დავიწყეთ დაშვება. ანგ-თარკეს გასაოცრად უჭირავს თავი. იგი მიდის წინ და ჭრის მოხერხებულ საფეხურებს ტერაისათვის. შაცი ყველაზე ბოლოს ეშვება და საიმედოდ აზღვევს მთელ ჯგუფს.

პირველი ჯგუფი, რომელშიც მე ვარ, მეტისმეტად ნელა ეშვება. თოვლი რბილია და მუხლებამდე ვეფლობით. ლაშენალი სულ უფრო უარესად ხდება. იგი ხშირად ჩერდება, ფეხებს უჩივის. რებიუფა რამდენიმე მეტრზე მომყვება.

უჩვეულო სიცხე გვაშინებს. მეშინია, სწორედ აქ არ დამთავრდეს ანაპურნის ისტორია. ამბობენ, მთამსვლელები მეექვსე გრძნობას ფლობენ, რომელიც წინასწარ აცნობებს მათ საშიშროების მოახლოებასო. ახლა მე მთელი ჩემი ძარსებით ვგრძნობ ამ საშიშროებას. თითქოს რაღაც უჩვეულო რამ ხდება ატმოსფეროში. წინადღით ძლიერ თოვდა, ახლა კი სიცხე ალღობს ამ კოლოსალურ თოვლის მასას, რო-

შელიც მზადაა ჩამოზვავდეს. ევროპაში არაფერს არ შეუძლია წარმოდგენა მოგვცეს ასეთი ზვავების სიმძლავრეზე. მათ არაფერი არა აქვთ საერთო ალპების ზვავებთან. ესენი მოდიან რამდენიმე კილომეტრიანი ფრონტით, ხოლო წინ მოუძღვის ყველაღრის აღმგველი დამკვრელი ტალღა.

თოვლის ანარეკლი სხივები ისე ძლიერია, რომ უსათვალოდ თვალის გახელა შეუძლებელია. მწვერვალი ესოდენ დიადი ჯერ არასოდეს ყოფილა როგორც ამ უკიდურესი საფრთხის წუთებში. საბედნიეროდ, ჩვენ საკმაოდ შორსა ვართ ერთმანეთისაგან: საფრთხეც რამდენადმე ნაკლებია.

შერპებს გზა დავიწყებიათ, წამდაუწუმ გავდივარ წინ დიდი გაჭირვებით და ვეშვები თოკის მთელ სიგრძეზე მოხერხებულ ადგილამდე. წრიაპები არა მაქვს. წერაყინის ხელში დაჭერა არ ძალმიძს. როგორც მე მეჩვენება, მეტისმეტად ნელა ვეშვებით. ნერვები მეშლება, რომ შერპები ასეთი ზოზინები, ზედმეტად ფრთხილნი და, ამავე დროს, ესოდენ მერყევნი არიან. ნამდვილად კი მშვენივრად მოდიან, მაგრამ მე მოუთმენლობით ვიწვი და არ შემიძლია მიუდგომლად შეეფასო მათი შესაძლებლობანი.

ლაშენალი ძალიან ჩამორჩა. ყოველთვის, როდესაც უკან ვიხედები, მას ფერდობზე მჯდომს ვხედავ. თუმცა ისე ძლიერად არა, როგორც რებიუფამ და ტერაიმ, მაგრამ მანაც დაიწვა თვალები და ეს ხელს უშლის უყოყმანოდ შეარჩიოს გზა. რებიუფა ალალბედზე მოძრაობს. სახეზე ტანჯვა აქვს აღბეჭდილი. მიუხედავად ამისა, იგი ჯიუტად მიიწევს წინ. კულუარი ყოველგვარი შემთხვევების გარეშე გავიარეთ და მიხარია, რომ ეს საშიში უბანი უკან დარჩა.

მზე ზენიტშია. საუცხოო ამინდია, ფერები — გასაოცარი.

უეცრად შერპების ფეხქვეშ ნაპრალი გაჩნდა, გამოიყო კალთის კოლოსალური მონაკვეთი, ნაპრალი კიდევ უფრო გაგრძელდა და გაგანიერდა. თავში უცნაურმა აზრმა გამიელვა: გავიქცე აღმა ფერდობზე, მივაღწიო საიმედო თოვლამდე... უცებ რაღაც არაადამიანურმა ძალამ ამიტაცა. შერპები გაქრნენ მხედველობიდან. თავდაყირა მივექანები... ვერაფერს ვხედავ... ვეჯახები თავით ყინულს... ყოველი ღონით ვცდილობ, მაგრამ სუნთქვა არ ძალმიძს. მკვეთრი დარტყმა მარცხენა

ბარძაყზე მწვავე ტკივილს მაყენებს. მუყაოს ჯამბაზივით ყირაზე გადავდივარ... თვალწინ, მოკიაფე თოვლში, ელვასავით დამაბრმავებლად ბრწყინავს მზე... თოკი, რომელიც მაერთებს სარკესა და აილასთან, კისერზე მიჭერს. სადაცაა დამახრჩობენ შერპები, რომელნიც უფრო ქვემოთ მიგორავენ, კალთაზე. ტკივილის ატანა აღარ შემიძლია.. სული მეხუთება! განუწყვეტლივ ვეჯახები ყინულს, რომელიც ერთი სერაკიდან ძეორისაკენ მისვრის... თოვლი მახრჩობს... უეცრად თოკი მკვეთრად დაიჭიმა და შევჩერდი. საბ-ოლოდ ჯერ გონს ვერ მოვსულვარ და ვიწყებ უნებლიეთ შარდვას.

ვახელ თვალებს. თავდაყირა ვკიდივარ. თოკი მოდებული მაქვს კისერზე და მარცხენა ფეხზე. დაკიდებული ვარ უფსკრულის თავზე, რომელიღაც ყინულის ხვრელში. განზე ვწევ იდაყვებს, ვცდილობ შევწყვიტო აუტანელი ქანაობა, რომელიც ერთი კედლიდან მეორისაკენ მისვრის. ჩემს ქვემოთ კულუარის ქვედა კალთა მოჩანს. სუნთქვა აღმიდგა, რა ბედნიერებაა, რომ თოკმა გამიძლო!

აუცილებლად უნდა გავაღწიო აქედან. ხელ-ფეხს ვეღარა ვგრძნობ, მაგრამ შეიძლება კედლის მცირეოდენ უსწორმასწორობათა გამოყენება, სადაც ლანჩის კიდე მოთავსდება. რამდენიმე მკვეთრი გაკვრით ვითავისუფლებ მარცხენა ფეხს თოკისაგან. დიდი გაჭირვებით ვახერხებ შებრუნებას და ავდივარ რამდენიმე მეტრზე. არაქათგამოლეული ყოველი მოძრაობის შემდეგ ვჩერდები. ერთი წუთის შემდეგ შესაძლოა სულ მოვწყდე და ყველაფერი გათავდება.

კიდევ ერთი შეუპოვარი შეტევა: კიდევ რამდენიმე სანტიმეტრი! ვეწევი თოკს... ვგრძნობ მეორე ბოლოში რაღაც რბილს, ალბათ შერპების სხეულებია. ვყვირი... მაგრამ ძალზე სუსტად...

პასუხად სამარისებური სიჩუმეა.

გასტონი სადღაა?

რაღაც ჩრდილი დამეცა, თითქოს ღრუბელმა გადაიარაო. ინსტინქტურად ავიხედე ზევით... სასწაულია!

ორი შეშინებული შავი სახე მკაფიოდ გამოიკვეთა მტრედისფერი ცის ფონზე: აილა და სარკე!

შერპები ჯანსაღი და უვნებელნი არიან, ჩემ შველას აპირებენ. მე მცირეოდენი რჩევის მიცემაც არ ძალმიძს მათთვის. აილა უჩინარდება, სარკე რჩება ხვრელის თავზე. ძალიან ფრთხილად ეწევიან თოკს, რომ არაფერი მატკინონ. მათი სიმტკიცე და ძალა მეც მამხნევებს. ბოლოს ამოვძვერი ხვრელიდან და დავეცი თოვლზე.

საბედნიეროდ, ვარდნის დროს თურმე მე და შერპებმა გავაწონასწორეთ ერთმანეთი. თოკი გაიჭედა ყინულის პატარა თხემზე და ჩვენ მის ორივე მხარეს დავეკიდეთ. შემთხვევა რომ არა, კიდევ ხუთას მეტრზე ვიფრენდით. ჩვენს ირგვლივ ყველაფერი გადაუბრუნებია ზვავს. სად არის რებიუფა? საზარელმა შიშმა შემიპყრო. იგი ჩაბმული არ იყო... თავი ავწიე და ჩვენგან ასიოდე მეტრზე რებიუფა დავინახე.

— ყველაფერი რიგზეა! — ყვირის იგი.

გულზე მომეშვა, მაგრამ პასუხის მიცემა არ ძალმიძს. ვწევარ თოვლზე ნახევრად უგონოდ და უაზროდ შევცქერი გარემომცველ ქაოსს.

ჩვენ ას ორმოცდაათ მეტრზე მეტი გვიფრენია. აქ დარჩენა ძალზე სახიფათოა! მეორე ზვავი რომ წამოვიდეს? შერპებს ვეუბნები:

– Now... Doctor Sahib... Quick, very quick![1]

ვცდილობ ხელის მოძრაობით ავუხსნა, ვუჩვენო, რომ ძა-

---

[1] ახლა... დოქტორ-საჰიბი... ჩქარა, ძალიან ჩქარა!

ლიან საიმედოდ უნდა დამიჭირონ. ვიგრძენი, რომ მარცხენა ხელი დამიზიანებია, ვერ ვანძრევ, ვერც ვხრი იდაყვში. მოტეხილობაა? შესაძლოა, მოგვიანებით გამოჩნდება! ახლა კი ჩქარა უდოსაკენ!

რებიუფა იწყებს დაშვებას. იგი მიაბიჯებს ხელის ცეცებით და ძალიან ნელა. მის შეხედვაზე გული მეკუმშება. ისიც ზვავთან ერთად მიჰქროდა და ალბათ სახით ყინულს მიეჯახა, ტუჩები დასისხლიანებული აქვს. სათვალე დაუკარგავს. მეც დაშეკარგა სათვალე და იძულებულნი ვართ თვალდახუჭულებმა ვიაროთ. აილას აღმოაჩნდა წყვილი სათადარიგო სათვალე, რომელიც სწორედ საუკეთესოდ მომერგო. სარკემ უყოყმანოდ მისცა თავისი სათვალე რებიუფას.

ერთი წამის დაკარგვაც არ შეიძლება. სასწრაფოდ ქვევით! შერპები მეხმარებიან წამოდგომაში. გაჭირვებით მივიწევ და ძლივს ვინარჩუნებ წონასწორობას. ბოლოს შერპები ხვდებიან, რომ უნდა დამაზღვიონ. გვერდს ვუვლით უბანს, სადაც ზვავმა ჩაიარა. მალე ისევ ჩნდება ნაკვალევი.

ჩვენ წინ პირველი კედელია. როგორ დავეშვათ მასზე? ხელმეორედ ვთხოვ შერპებს, რაც შეიძლება კარგად დამაზღვიონ:

– Take me up strongly because...[1].

– Yes, Sir, —ბეჯითი მოწაფეებივით მიპასუხებენ ისინი.

მივდივარ პალომდე. აქედან კედლის გასწვრივ დაკიდებულია თოკი. მას უნდა მოვეჭიდო, სხვა გამოსავალი არაა. მძიმე განსაცდელია! გახევებული თითებით ვკაწრავ ყინულის კედელს. დაბუჟებული ხელებით წვრილი თოკის დაჭერა არ ძალმიძს. ვცდილობ მოვიხვიო იგი ხელის მტევნებზე. მაგრამ ორივე დასიებულია, რამდენიმე ადგილას კანი დამსკდარა. ტყავის ვეებერთელა ნაფლეთები მძვრება და თოკს ეკრობა. ხორცი შიშვლდება. მაინც უნდა განვაგრძოთ. შუა გზაზე ხომ ვერ გავჩერდებით!

– Aila! Pay Attention!.. Pay Attention!..[2]

ხელის მტევნების გასათავისუფლებლად თოკს ვუშვებ წინამხარზე და ამგვარად ხტომა-ხტომით ვეშვები. ბოლოს ვხტე-

---

[1] დამიჭირეთ უფრო მაგრად, თორემ...

[2] აილა! ყურადღება! ყურადღება!

ბი, დაახლოებით ერთი მეტრის სიმაღლიდან. თოკი მიგრეხს წინა მხარსა და მაჯას. მკვეთრი დახტომა გავლენას ახდენს ბარძაყებზე. უცნაური ტკაცანი მაიძულებს ვიფიქრო, რომ რაღაც მოვიტეხე. ალბათ მოყინულობის გამო ვერა ვგრძნობ ტკივილს.

უკან რებიუფა და შერპები მომყვებიან და განვაგრძობთ დაშვებას. გზა დაუსრულებლად, ხოლო პლატო და მეორე ბანაკი წარმოუდგენლად შორს მეჩვენებიან. ჩემი ძალები ამოიწურა, ყოველ წუთს მზადა ვარ დავნებდე, რისთვისღა ვიბრძოლო? ახლა ჩემთვის ყველაფერი გათავებულია. სინდისი დამშვიდებული მაქვს, ყველანი გადარჩნენ. უჩემოდაც ჩავლენ... ვხედავ შორს... შორს, ქვემოთ, კარვებია... ვიკრებ უკანასკნელ ძალ-ღონეს. კიდევ საათი, მხოლოდ ერთი საათი! ვაძლევ ჩემს თავს ამ ვადას, ხოლო შემდეგ, სადაც არ უნდა ვიყო, დავწვები თოვლზე ბედნიერი, ყველა საზრუნავისაგან თავისუფალი და მშვიდად მივიძინებ.

ეს გადაწყვეტილება მამხნევებს. შეუჩერებლივ მივსრიალებ. ასეთ ფერდობზე შერპები გაპირვებით მამაგრებენ. ეს სასწაული ყოველ წამს მეორდება. ნაკვალევი უფსკრულის თავზე წყდება... მეორე ყველაზე დიდ კედელზე თოკია დაკიდებული. ვცდილობ შევურიგდე გარდაუვალს, მაგრამ წარმოდგენაც კი არ შემიძლია, როგორ დავეშვები. ვიხდი ხელთათმანს ცალ ხელზე და წითელი აბრეშუმის შარფს მეორეზე. ამჯერად ყველაფერს ჩავდივარ ფსონში — მით უარესი თითებისათვის!

ვტოვებ სარკესა და აილას იმ ადგილზე, საიდანაც, ჩვეულებრივ, მე ვაზღვევდი მათ. ორივეს ერთად, ერთიმეორეზე მიბჯენილებს უპირავს დამზღვევი თოკი. ვცდილობ ხელი ჩავავლო დაკიდებულ თოკს. არავითარი დაზოგვა! ვათავსებ მას ცერსა და საჩვენებელ თითს შორის... ორივე ხელიდან სისხლი მდის. ვიწყებ დაშვებას. მაშინვე მტანჯველი ალტერნატივა წარმოიშვება: თუ თოკი გავუშვი, ყველანი ქვევით ჩავცვივდებით, თუ დავიჭირე, რაღა დარჩება ჩემი ხელებიდან? მაინც ვიჭერ!

თითოეული სანტიმეტრი აუტანელ ტკივილს მაყენებს, მაგრამ მტკიცედ გადავწყვიტე, ანგარიში არ გავუწიო. ჩემი ხელე-

გის შესახედაობა გონებას მიმღვრევს. გაშიშვლებული ხორცი ღია წითელი ფერისაა, თოკი სულ მთლად გასისხლიანებულია. ვცდილობ, მთლიანად არ მოვგლიჯო კანის ნაფლეთები: წარსულში მომხდარმა უბედურმა შემთხვევებმა მასწავლა, რომ საჭიროა ამ ნაფლეთების გულმოდგინედ მოფრთხილება, ჭრილობა უფრო ჩქარა შუშდება. ვცდილობ, შეძლებისდაგვარად, დავიცვა ხელები, რისთვისაც თავს ვიმუხრუჭებ მუცლით, მხრებით, ყველა შესაძლებელი საყრდენი წერტილებით. როდისღა მოეღება ბოლო ამ წამებას?

ვაღწევ ყინულის ლავგარდანამდე, რომლის კიდე მე თვითონ მოვჩეხე წერაყინით, ასვლის დროს. ვაქნევ ფეხებს და ვცდილობ მოვსინჯო მოედანი. აფსუს! ირგვლივ ყინულია. თოვლის ფიფქიც არსადა ჩანს. ჯერ ვერ მივწვდი მოედანს. სასოწარკვეთილი ხმამაღლა ვეძახი შერპებს:

– Quick... Aila... Sarki!..

დამზღვევი თოკი უფრო ჩქარა ეშვება და ხახუნი ძლიერდება.

ხელები საშინელ მდგომარეობაში მაქვს. მგონია, რომ ხორცი მთლად ამძვრალია. ბოლოს ფეხით რაღაც დაბრკოლებას წავაწყდი: ეს ნაპრალია! აჰა, მაინც ჩამოვაღწიე! ახლა კვლავ დამზღვევ თოკზე უნდა ჩავცოცდე, სულ სამი მეტრია, მაგრამ რა ძნელი!.. ახლა კი მორჩა!.. წელამდე თოვლში ჩაფლული ვწევარ გაწამებული და არ ვფიქრობ დროის სვლაზე.

რებიუფა და შერპები უკვე მოვიდნენ ჩემთან. ოდნავ ავწიე ქუთუთოები და მეორე ბანაკის კარვებთან მოძრავი შავი წერტილები დავლანდე. სარკემ ორი შერპი დამანახა, რომლებიც ჩვენს შესახვედრად ამოდიან: თუმცა ჯერ შორს არიან, მაგრამ მათი დანახვა მაინც მამხნევებს.

დროდადრო ადგომა და თოვლის დაბერტყვა მიხდება. მოძრაობა სულ უფრო და უფრო მტანჯველია, მგონია, რომ მოყინულობამ უკვე იდაყვებსა და კანჭებს მიაღწია. თუმცა მოღრუბლული ამინდია, მაგრამ სარკე სათვალეს მიკეთებს და მარჯვენა ხელზე ხელთათმანს მაცმევს. მარცხენა ხელი ისე დამახინჯებული მაქვს, რომ მის დანახვაზე სარკე ცუდად ხდება და ჩქარობს შემოახვიოს ჩემი წითელი აბრეშუმის შარფი.

განვაგრძობთ ,ოშმარულ დაშვებას. ყოველი ნაბიჯი უკა-

ნასკნელი მგონია. ჩვენს გვერდით ნისლი მიჰქრის. დროდადრო მის სარკმლებში ქვემოდან მომავალი შერპების სილუეტები მოჩანან. აი, მათ მიაღწიეს ზვავის კონუსის ძირამდე, მაგრამ რატომ გაჩერდნენ? მე ხელახლა ვვარდები სასოწარკვეთილებაში.

ისევ თოვს. წინ კიდევ გრძელი სავალი გვაქვს ძნელი კალთით, არცთუ ისე საიმედოდ დაზღვეულთ. კონუსი ორმოცდაათ მეტრზეა. შერპები სწრაფად გვიახლოვდებიან. უკვე ვცნობ ფუთარკესა და ანგავას. მათ ეშინიათ, რაიმე სამწუხარო ამბები არ გაიგონონ. ანგავა ალბათ თავის ძმებზე — აილასა და პანზიზე ღელავდა. აილა ჩვენთანაა. მას შეუძლია თავისი თვალით იხილოს იგი საღ-სალამათი. პანზი სადღაა?

შორიდანვე შევეხმიანეთ ერთმანეთს და როცა მოვიდნენ, მათ თითქმის უკვე ყველაფერი იცოდნენ. შვებით ამოვისუნთქე, განუზომელი სიმძიმე მომეხსნა, ისეთი სიმძიმე, რომელიც ასე მეგონა, სადაცაა გამსრესს-მეთქი. ფუთარკე ჩემ გვერდითაა. სინაზითა და თანაგრძნობით სავსე ღიმილით შემომცქერის. ვინ უწოდა მათ „პრიმიტიული ადამიანები?“ ვინა თქვა, რომ ცხოვრების მძიმე პირობებმა სიბრალულის გრძნობა ჩაუკლაო მათ? შერპები მორბიან ჩემთან, იხსნიან ზურგჩანთებს, ხსნიან მათარებს...

თუნდაც ორი ყლუპი, მეტი არა! რამდენი ხანია, ამაზე ვოცნებობდი!

ფუთარკე თვალს ავლებს ჩემს ხელებს და დაბნეულად არიდებს მზერას. უსაზღვროდ დანაღვლიანებული ჩურჩულებს:

— საბრალო ბარა-საჰიბი!

შერპების მოსვლა მხნეობას მმატებს.

ახლა მეორე ბანაკი უკვე შორს აღარაა. ფუთარკე ხელს წამაშველებს, ხოლო ანგავა ორივეს დაგვაზღვევს.

ფუთარკე ჩემზე დაბალია, ვხვევ კისერზე ხელს და მის მხრებზე დაყრდნობილი მაგრად ვეკრობი. მისი სიახლოვე შვებას მგვრის, მისი სხეულის სითბო ძალას მმატებს.

მოძრაობის კოორდინაცია დარღვეულია, მივდივარ არათანაბარი ნაბიჯით და სულ უფრო და უფრო ვაწვები ფუთარკეს. მეყოფა კი ძალა, თუნდაც მისი დახმარებით ბოლომდე მი-

ვაღწიო? ვიკრებ ნებისყოფის უკანასკნელ ნაშთებს. ვემუდარები ფუთარკეს, დამეხმაროს. ის მხსნის სათვალეს: ახლა უკეთ ვხედავ. კიდევ რამდენიმე ნაბიჯი... უკანასკნელი...

* * *

მარსელ იშაკმა, რომელიც ორი დღის განმავლობაში დურბინდით თვალს გვადევნებდა მეორე ბანაკიდან, გულმოდგინედ ჩაიწერა თავისი დაკვირვებანი. აი, რამდენიმე ამონაწერი მისი დღიურიდან:

შაბათი, 8 ივნისი[1]—მეორე ბანაკი: უდო და ნუაელი გადიან 9 საათზე;[2] 10 საათსა და 30 წუთზე ნუაელი უკან ბრუნდება. შესაძლოა, ჟანგბადის გამოყენებამ ვერ გაამართლა მოლოდინი? ნაკლები ხომ არაა მიწოდება ნიღაბში? უდო და სამი შერპი ძალიან ნელა ადიან კონუსზე.

ამ დროს მე დამალობანას ვეთამაშები ღრუბლებს: ვაკვირდები მათ თეოდოლიტით და დურბინდით, თვალს ვადევნებ „ნამგლის" სერაკების ზემოთ მყოფ წყვილებს. ესენია ლიონელი და რებიუფა, შემდეგ კი კუზი და შაკი.

მორისი არ ჩანს. ის ალბათ სადმე მწვერვალისწინა კალთებზეა. ისინი უფრო დამრეცია და აქედან არ ჩანს. ძლიერი მიწისპირა ქარია. მაგრამ ამჟამად მორისი უკვე ახლო უნდა იყოს მწვერვალთან. შესაძლოა კიდევაც...

კვირა, 4 ივნისი. მოღრუბლულია. შუაღამისას ხოშკაკალა წამოუშინა, მერე თოვა დაიწყო. ჩრდილოეთის ძლიერმა ქარმა დაუბერა. ანაპურნა ნისლში გაუჩინარდა. დავიღალე. შიშმა შემიპყრო, ნეტავ რა შეემთხვათ ჩვენებს?

შუადღემდე უკვე ოცი სანტიმეტრი ახალი თოვლი დადო. წამდაუწუმ ზვავები მოდის. ირგვლივ არაფერი ჩანს.

---

[1] ამ დილით მე და ლაშენალი მეხუთე ბანაკიდან მწვერვალ ანაპურნას შიმართულებით გავდიოდით.

[2] უდოსა და ნუაელს განზრახული ჰქონდათ ასულიყვნენ მესამე ბანაკში და იქ, გასტონისა და ლიონელის მიერ წაღებულის ნაცვლად, კარვები გაემართათ. უდოსათვის ეს ასვლა იყო ჟანგბადის გამოყენების ეფექტიანობის მნიშვნელოვანი გამოცდა.

16 საათზე შემოგვესმა ხმები. ასიოდე მეტრზე ბანაკის ქვემოთ გამოჩნდა ოთხი სილუეტი: უდო და სამი შერპი. ალბათ ისინი წელამდე ეფლობიან თოვლში. რა შეგვიძლია გავაკეთოთ მათთვის? წყალი მაინც უნდა გავუთბოთ.

მესამე ბანაკს მათ მიაღწიეს გუშინ 19 საათზე. დღეს უდო მთელი დილა კარავში იჯდა. 13 საათისათვის ამინდი გაუარესდა. აჯიბამ უთხრა უდოს:

— ეს მუსონია, თუ აქ დავრჩით, სიკვდილი მოგველის!

ორშაბათი, 5 ივნისი. ნეტავი იმაზე უკეთ დამთავრდება თუ არა ეს დღე, ვიდრე დაიწყო? რამდენი მღელვარება განვიცადეთ!... იყო წუთი, როდესაც მეჩვენებოდა, რომ რვა კაციდან, რომლებმაც 30 მარტს ლე-ბურჟე დავტოვეთ, მხოლოდ მე და უდო დავრჩებოდით ცოცხალი!

6 საათზე მომესმა ყვირილი და კარვიდან გამოვედი: მრისხანე ღრუბელთა შორის მზე ამოდის. არაფერი ჩანს. ვუბრუნდები ჩემს საძილე ტომარას, მაგრამ იმწამსვე მკაფიოდ მესმის ორი მოწოდება: დურბინდით ყინულოვან კალთაზე ორი კაცი მოჩანს. ისინი მეოთხე ბანაკის სიმაღლეზე არიან, მაგრამ გაცილებით უფრო მარცხნივ. თითქმის განუწყვეტლივ ყვირიან და ხელებს იქნევენ. ვინ არიან? უდო ამბობს, რომ კუზი და შაცი არიან. მათი უძრაობა, განსაკუთრებით ერთი მათგანისა, გვაშფოთებს. ალბათ ფეხები აქვთ მოყინული. რისიღა იმედი აქვთ?.. ჩვეულებრივ პირობებში, კარგ ამინდში, მათთან მისაღწევად საჭიროა არანაკლებ ათი საათისა. ახლა კი მუსონი განუწყვეტლივ გვიტევს... ღრმა თოვლია... ყვირილი არ წყდება, საქმე ცუდადაა. სადღაა დანარჩენი რვა? უფრო ახლოს მწვერვალთან? მეოთხე ბანაკში ახლა ალბათ ყველაფერი რიგზე არ არის, მაგრამ რატომ არ ეშვებიან მესამე ბანაკში?

8 საათი: უდო მაშველ რაზმს ამზადებს. ყინულის პალოები და სხვა საჭურველი არა გვაქვს საკმარისი. ნუაელი და აჯიბა მიდიან პირველ ბანაკში (საჭურველის შესავსებად და დავატონდუპისათვის). შერპები ძალიან ღელავენ: სამნი ერთი ოჯახიდან არიან: პანზი, აილა და ანგავა.

8 საათი და 30 წუთი: ყვირილი გრძელდება. ყოველშემ-

თხვევისათვის თოვლზე ვწერ ასოებს „Vu“[1]. რამდენიმე წუთის შემდეგ ერთი კაცი სწრაფად მიდის სერაკებისაკენ, რომლების ქვემოთ მეოთხე ბანაკი უნდა იმყოფებოდეს. ჰორიზონტალით სამას მეტრზე მიახლოებისას იგი ჩერდება, აძლევს სიგნალებს და უკანვე ბრუნდება. დანარჩენები თითქოს განსაკუთრებული სიძნელის გარეშე, დგებიან და მიდიან მეოთხე ბანაკზე გავლით. ახლა ისინი ორნი კი არა, ოთხნი არიან.

ამრიგად, იქ სულ ოთხნი არიან,მეხუთე კი ისაა, ვინც გამოეგება, ამას მიუმატეთ ამ უკანასკნელის ამხანაგი, თუ ამხანაგები! მეოთხე ბანაკის ადგილმდებარეობა „ნამგლის“ ძაბრთან უკეთესადაა დაცული და აქედან სწრაფად შეიძლება დაშვება მესამე ან მეორე ბანაკში. ზვავებიც სწორედ ახლა შეწყდა.

9 საათი და 30 წუთი: მოჩანს ნუაელი, მან მიაღწია პირველ ბანაკს.

10 საათი: ბოლოს „ნამგლის“ ძაბრში გამოჩნდა სამი კაცი, ისინი მესამე ბანაკისაკენ ეშვებიან (ერთი საჰიბი და ორი შერპია?) დასავლეთის ქარია. რაღაც სასწაულით კიდევ გრძელდება კარგი ამინდი. ანაპურნამ ჩამოიბერტყა ღრუბლები. ოღონდაც ასეთი ამინდი იქნებოდეს!

11 საათი: გამოჩნდა ორი კაცი, რომლებიც სწრაფად ეშვებიან პირველი ჯგუფის ნაკვალევზე. ჩაუბმელნი არიან, ალბათ საჰიბებია. თუ ასეთი სიჩქარით იარეს, საღამომდე აქ იქნებიან. ბოლოს და ბოლოს ყველაფერს გავიგებ!..

11 საათი და 15 წუთი: ვიღაც გამოჩნდა სწორედ იმ ადგილას, სადაც დილით დავინახეთ მეხუთე ბანაკისაკენ მიმავალი კაცი. იგი გაჩერდა და აშკარად ზევით იყურება. ეს რამდენადმე კარგი ნიშანია, რადგან ცხადია, ეს კაცი მეოთხე ბანაკში მარტოკა არ არის. ამგვარად, ის და მისი (ნავარაუდევი) ამხანაგი ეს უკვე ორია. სამი და ორი — ხუთი კაცი ეშვება, სულ კი შვიდია. ათიდან — შვიდი. თითქოს საღღაც უფრო მაღლა კიდევ ერთი ჩაბმა უნდა იყოს.

12 საათი და 20 წუთი: თვალს ვადევნებ ოთხკაციან ჯგუფს, რომელიც ტრავერსით გადადის მეტად ციცაბო კალთაზე მესამე ბანაკის ზემოთ. ერთი ჩამორჩენილი მარტოკა მისდევს მათ.

---

[1] დაგინახეთ.

შემდეგ ძალიან მაღლა, კიდევ ერთი, რომელიც ეს-ეს არის გამოვიდა. მეოთხე ბანაკიდან და ძალიან ჩქარა ეშვება: იქნებ ეს ერთი იმათგანია, ვისაც მე ცოტა ხნის წინ ვხედავდი? უეცრად, მათ ფეხებქვეშ, ვინც მესამე ბანაკს უახლოვდებოდა, ვულკანის ამოხეთქვის მსგავსად თოვლის ღრუბელი ჩაიქცა. ადამიანები უწესრიგოდ, ყირამალა გადადიან და მიჰქრიან ფერდობზე. ზოგი ქვემოთ მიექანება: თოვლზე უძრავად წევს სამი კაცი, ის, ვინც ყველაზე ქვემოთაა (ორმოც მეტრზე ჩაიქროლა[1]), ადგა და აღმა გაემართა ფერდობზე, შემდეგ გამოჩნდა კიდევ ორი, როცა მათ ასვლა დაიწყეს, უკან მეოთხეც გამოჩნდა... მადლობა ღმერთს, ყველა ცოცხალია!

ჩვენი შერპები მიხვდნენ, რაც მოხდა. ანგავა და ფუთარკე გადიან შესახვედრად, რათა სათადარიგო წერაყინები და სათვალეები მიაშველონ მათ — ვარდნის დროს დაკარგულების ნაცვლად. დაზარალებულნი განაგრძობენ დაშვებას, 15 საათზე ზვავის კონუსის ზედა ნაწილში ისინი ხედებიან ორ შერპს. ძლივს! მალე ყველაფერს გავიგებთ!

* * *

მეორე ბანაკის კარვები სულ ახლოსაა... იშაკი, ნუაელი და უდო ჩვენკენ მოეშურებიან. მოთმინება არ მყოფნის, სანამ ვაუწყებდე მათ სასიხარულო ამბავს. აღელვებით ვუყვირი:

— ანაპურნიდან ვბრუნდებით... გუშინწინ მე და ლაშენალი მწვერვალზე ვიყავით!

და მცირე პაუზის შემდეგ:

— ხელ-ფეხი მაქვს მოყინული!..

ყველანი მეხმარებიან, იშაკი რაღაცას მაწვდის, ნუაელი ხელს მკიდებს, უდო უკვე მსინჯავს...

---

[1] სინამდვილეში — ას ორმოცდაათი მეტრი.

ჩემი როლი დამთავრდა, ჩვენ მიეაღწიეთ წარმატებას და ვიცი, რომ ყველა ამხანაგი მალე აქ იქნება.

გადავრჩით! ანაპურნა დავიპყარით და დავეშვით. ახლა ინიციატივა თავის თავზე უნდა აიღონ ჩემმა ამხანაგებმა და პირველ რიგში, უდომ, რომელზეც ვამყარებთ მთელ იმედებს. მთლიანად მათ ხელთა ვარ. ვენდობი მეგობრების ერთგულებას. ჩემთვის ახლა მნიშვნელობა აქვს მხოლოდ ჩვენს მიერ მოპოვებულ გამარჯვებას, რომელიც სამუდამოდ დარჩება ჩვენს გულებში, როგორც გაცისკროვნებული სიხარული და უზომო ნუგეში.

ახლა სხვებმა უნდა ითავონ შინდაბრუნების ორგანიზება და ჩაგვიყვანონ საფრანგეთის მიწაზე.

ამხანაგები ფუსფუსებენ ჩემს ირგვლივ. მხდიან ხელთათმანებს, საშტორმო ტანსაცმელს, მაწვენენ ჩემთვის მომზადებულ კარავში. ყველაფერი ეს საკვებით მაკმაყოფილებს. ასეთი ცხოვრება ხანგრძლივი არ იქნება, მაგრამ ამჟამად იგი სასიამოვნო და მოხერხებულია. მიუხედავად ამინდის გაუარესებისა, მალე გამოჩნდნენ დანარჩენებიც. ჯერ მოდის რებიუფა. მას მოყინული აქვს ფეხის თითები და ძალიან უჭირს მოძრაობა. მისი დასისხლიანებული ტუჩები და გაწამებული სახე მძიმე შთაბეჭდილებას ახდენს. ჩემსავით მასაც სასწრაფოდ ხდიან და პირველი დახმარების აღმოჩენამდე კარავში აწვენენ.

ლაშენალი ჯერ კიდევ შორსაა. როგორ შეძლო გატანჯულმა, დაბრმავებულმა, მოყინული ფეხებით მძიმე და სახიფათო გზის გამოვლა? დაშვებისას მას დაეწია კუზი, რომელიც წაეხმარა სიარულში, ლაშენალი დაჯდა და სრიალით გადადიოდა პატარა ნაპრალებზე. კუზი, თვითონ საშინლად დაქანცული, მაინც დიდ დახმარებას უწევდა მას.

მათ სულ ახლოს მოჰყვება ლიონელი. ტერაი ჩაბმულია ჯერ კიდევ ძალიან ღონიერ შაცთან. პატარა ჯგუფი ბანაკს უახლოვდება. წინ ლიონელია.

მარსელ იშაკი მიდის მის შესახვედრად დიდი კონუსისაკენ. ტერაის გამოჩენა დრამატიზმითაა აღსავსე. სრულიად დაბრმავებული, მთლიანად ანგ-თარკეზე დანდობილი მოდის. გრძელწვერმოშვებული სახე ტკივილისაგან დამანჭვია და დამახინჯე-

ბია. ეს ძლიერი ადამიანი, ეს ვაჟკაცი ძლივს ადგამს ფეხს და ჩაძახის:

— მაგრამ მე კიდევ ბევრი ძალა მაქვს. რომ ვხედავდე, თვითონ ჩამოვიდოდი.

ნუაელი და უდო შეძრწუნებულნი არიან მისი შესახედაობით. ყოველთვის ესოდენ ძლიერი, როგორი გატანჯული და უმწეოა იგი ახლა! ეს საშინელი სანახაობა სულს უფორიაქებს მათ.

ტერაის მოსვლისთანავე ერთიმეორის მიყოლებით მოდიან შაცი, კუზი და, ბოლოს, ლაშენალი. უკანასკნელი თითქმის მოაქვს ორ შერპს. იგი უწესრიგოდ ისვრის წინ ფეხებს და შორიდან ისეთ შთაბეჭდილებას ქმნის, გეგონება სიცარიელეში პედლებს ატრიალებსო. უკან გადაგდებული თავი შეხვეული აქვს. არაადამიანური ტანჯვისა და უსაზღვრო დაღლილობისაგან სახე დამახინჯებია. საეჭვოა, რომ მას კიდევ ერთ საათზე მეტი გაეძლო. მანაც ჩემსავით თავის თავს მოკლე ვადა დაუნიშნა და ეს დაეხმარა მას მიზნამდე მიეღწია. მიუხედავად ყველაფრისა, ჩვენი ბისკანტი პოულობს ძალას, რომ უთხრას იშაკს:

— გსურს იხილო, როგორ ჩამოდის ჰიმალაიდან შამონელი მეგზური?

პასუხის ნაცვლად მარსელ იშაკი აწვდის მას ადრენალინით გაჟღენთილ შაქრის ნატეხს. ტერაი ეძებს კარავს ცხვირწინ, ოც სანტიმეტრზე. გული გტკივა, როცა უყურებ, როგორ იწვდის იგი ხელებს დაბრკოლებათა მოსასინჯად. მას ეხმარებიან, აწვენენ, ლაშენალიც იშოტება გასაბერ ლეიბზე.

XVI

უკან გამგზავრება

ახლა უკვე ყველანი ჩამოვიდნენ და მეორე ბანაკში შეიკრიბნენ. მაგრამ, რა მდგომარეობაში! ინიციატივა ახლა უდოს ეკუთვნის. იგი სახელდახელოდ გვსინჯავს. იმ საშინელების ხილვით, რასაც ჩვენ წარმოვადგენთ, მის სახეზე ხან მეგობრის სასოწარკვეთილება ისახება, ხან კი უწყალო გულგრილობა ქირურგისა.

პირველად მე მსინჯავს. ხელებსა და ფეხებს, მაჯებსა და მუხლებს ზემოთაც კი ველარაფერს ვგრძნობ. ჩემი ხელები საშინელი შესახედავია: კანი თითქმის აღარ შემრჩენია, ხოლო, რაც დარჩენილა, ისიც შავ ნაფლეთებად ჰკიდია. თითები დასიებული და დაღრეცილია. არც ფეხები მაქვს უკეთეს დღეში. ფეხისგულები მოყავისფრო-იისფერია და სრულიად გახეებული. მე მეშინოდა, რომ ხელი, რომელიც ასე ძალიან მტკიოდა, მოტეხილი მექნებოდა, მაგრამ მგონი სერიოზული არაფერია. კისერიც მთელი მიჩანს.

მღელვარებით ველოდები უდოს პირველ შთაბეჭდილებას.

— რას იტყვი, უდო? — ვეკითხები მას და მზადა ვარ ყველაზე ცუდი ამბის მოსასმენად.

— მეტად სერიოზულადაა საქმე. ხელ-ფეხზე ალბათ ზოგი რამის ამპუტაცია მოგვიხდება. ჯერჯერობით უფრო გარკვეულად ვერაფერს გეტყვი.

— გაქვს იმედი, რომ რაიმეს გადამირჩენ?

— დარწმუნებული ვარ, მოვახერხებ რამეს. ყველაფერს გავაკეთებ, რაც კი შესაძლებელია.

ეს არცთუ ისე მამხნევებს. აღარ მეეჭვება, რომ ხელ-ფეხის ამპუტაცია დამჭირდება.

უდო სისხლის წნევას მიზომავს. მგონია, ცოტა შეშფოთებულია. არც მარჯვენა ხელში, არც მარცხენაში წნევა არ იზომება. ისრის ოდნავი რხევა გვიჩვენებს, რომ ფეხებში სისხლის სუსტი მიმოქცევა შემორჩენილა.

ოფთალმიის ასაცილებლად უდო თვალებს მიხვევს და მეუბნება:

— ლაშენალი უნდა გავსინჯო. ახლავე დავბრუნდები და ნემსებს გაგიკეთებ. ომის დროს მე მიხდებოდა ამისი კეთება ეს ერთადერთი საშუალებაა, რომელიც მოყინულობას შველის.

ლაშენალი ცოტა უკეთეს მდგომარეობაშია. ხელები არ დაზიანებია, ფეხებზე კი მხოლოდ თითები აქვს გაშავებული, თუმცა ავბედითი ლაქები ქუსლებზედაც გაუჩნდა. მოსალოდნელია, რომ იგი ცერებს დაკარგავს, მაგრამ ეს არ შეუშლის ხელს ალპინიზმს მისდიოს და კვლავაც იმეგზუროს.

რებიუფა ყველაზე კარგად არის. მისი ფეხები ჩვეულებრივი ფერისაა. თითებზე ორი პატარა ნაცრისფერი ლაქა აქვს მხოლოდ. მთელი საათის განმავლობაში იშაკი უზელს ფეხებს და რებიუფაც უკეთ ხდება. თვალები კიდევ სტკივა, მაგრამ ორიოდე დღეში გაუვლის.

ტერაის არაფერი დაშავებია, მაგრამ რებიუფასავით მასაც ოფთალმია აწუხებს — ხანმოკლე, მაგრამ მეტად მტკივნეული ავადმყოფობა. კუზი ძალიან სუსტადაა და, ცხადია, ვერ შეძლებს დახმარებას.

ასეთია საქმის ვითარება.

ნელ-ნელა ღამდება. უდომ მოამზადა თავისი იარაღები, სანიტრებად იშაკი და შაკი მოიწვია და მეორე ბანაკი ჰოსპიტლად გადაიქცა. სიცივეში, ყოვლად შეუფერებელ პირობებში, ზვავთა განუწყვეტელ გრიალში, ეს ადამიანები გვიან ღამემდე იბრძვიან თავიანთი მეგობრების გადასარჩენად. პატარა ნათურებით შეიარაღებულნი გადადიან კარავიდან კარავში და პირველ დახმარებას უწევენ მათ. 6 000 მეტრის სიმაღლეზე მიკ-

რული ჩვენი ბანაკი მხოლოდ პატარა წერტილია, რომელიც მსოფლიოს ერთ-ერთი უმაღლესი მწვერვალის კალთებზეა მიკარგული.

უდო უკვე მზადაა არტერიული გადასხმების ჩასატარებლად. რთული ოპერაციაა. ლამპის სუსტ შუქზე, ნახევრად სიბნელეში, იშაკი ცდილობს, რამდენადაც ეს შესაძლებელია, შპრიცების გასტერილებას ეთერის საშუალებით. ვიდრე საქმეს შეუდგებოდეს, უდო მიხსნის:

— ბარძაყისა და მხრის არტერიებში ნოვოკაინი უნდა შეგიყვანო.

თვალებახვეული ვერაფერს ვხედავ, ამიტომ უდო თითით ეხება იმ ადგილებს, სადაც ნემსი უნდა შეიყვანოს: საზარდულის მიდამოსა და იდაყვის მოსახრელში.

— ეცოდე, გეტკინება. იქნებ ერთბაშად ვერ მოვხვდე საჭირო ადგილზე, მაგრამ არავითარ შემთხვევაში არ უნდა გაინძრე, განსაკუთრებით მაშინ, როცა არტერიაში მოვხვდები.

ეს სამზადისი სრულიადაც არ მამშვიდებს. ნემსებისა ყოველთვის მეშინოდა ხოლმე. მიუხედავად ამისა, ვიცი, მისი გაკეთება აუცილებელია, რადგან ეს ერთადერთი გამოსავალია.

— კეთილი, ვეუბნები უდოს, — მხოლოდ წინასწარ გამაფრთხილე, როცა ჩხვლეტას დამიპირებ.

შესაძლოა, ჩემს ახლანდელ მდგომარეობაში, ვერც კი ვიგრძნო განსაკუთრებული ტკივილი. მესმის ჩურჩული, უდოს აინტერესებს გაიგოს ყველაფერი მზადაა თუ არა. იშაკი უპასუხებს:

— ყველაფერი რიგზეა, მოგაწოდო?

უდო თითებს აყოლებს ჩემს კანზე. მწვავე ტკივილს ვგრძნობ. საზარდული და ფეხები მიცახცახებს. რაც შემიძლია, ვცდილობ თავის შეკავებას. უდო ხელახლა იწყებს ცდას, რადგან არტერია სხლტება ნემსიდან. კიდევ მჩხვლეტს და მთელი ტანით ვიკრუნჩხები. დაძაბული ვარ, თუმცა მოდუნებაა საჭირო და ვგრძნობ, რომ ნერვები მღალატობენ.

— ცოტა ფრთხილად! — ვეღარ ვიკავებ თავს.

უდო თავიდან იწყებს: სისხლი მეტისმეტად სქელია და ნემსში დედდება.

— ბადაგივით შავი სისხლი გაქვს, — განცვიფრებით ამბობს იგი.

ძლივს! ამჯერად ცდა წარმატებით დაგვირგვინდა, მიუხედავად ჩემი გოდებისა, რაც, კარგად მესმის, კიდევ უფრო ართულებდა პროცედურას.

ახლა ნემსი საჭირო ადგილზეა:

— ნუ ინძრევი! — მიყვირის უდო და იშაკს ეუბნება:

— მოიტა!

იშაკი აწვდის შპრიცს. ვგრძნობ, როგორ მოძრაობს ნემსი ჩემს სხეულში და სითხე არტერიაში შედის.

ჩემს სიცოცხლეში ვერასოდეს წარმოვიდგენდი, რომ ასეთი უზომო ტკივილის ატანა შეიძლებოდა. მთელი ძალ-ღონით ვცდილობ, თრთოლვისაგან თავი შევიკავო, რადგან ეს აუცილებელია, ოპერაციის წარმატებით ჩატარებისათვის. სითხე კვლავ მიედინება სხეულში.

— გრძნობ სითბოს? — ნაწყვეტ-ნაწყვეტად მეკითხება უდო შპრიცის გამოცვლისას.

კვლავ ისმენება სითხე. კბილს კბილზე ვაჭერ.

— გრძნობ სითბოს? — დაჟინებით იმეორებს უდო. — როგორც ჩანს, ამ გარემოებას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს, მე კი მაინც ვერაფერს ვგრძნობ. რამდენჯერმე ცარიელდება შპრიცი, ივსება და ისევ იცლება.

— აბა, ახლა გრძნობ რაიმეს?

— თითქოს ცოტა დამთბა, მაგრამ სულ ოდნავ.

იქნებ ეს თვითშთაგონებაა?

ნემსს მკვეთრად მაძრობენ. იშაკი ასტერილებს ინსტრუმენტებს, მე ვსარგებლობ მოკლე შესვენებით.

— საშინლად მტკივნეულია, — ვეუბნები უდოს, თითქოს თვითონ არ იცოდეს.

— ვიცი, მაგრამ უნდა განვაგრძოთ.

მთელი პროცედურა მეორდება ახლა მეორე ფეხზე. ნერვები მთლად აწეწილი მაქვს. ეს წარმოუდგენელი დაძაბულობა მაუძლურებს. კვლავ ნემსს მიკეთებენ, ვყვირი და ვტირი. ამაოდ ვცდილობ, არ ვიმოძრაო.

თვალები ახვეული მაქვს, ვერაფერს ვხედავ. ჩემს ახლოს

რომ მეგობრების სახეებს ვხედავდე, იქნებ ტკივილი შემიმსუბუქდებოდა. მაგრამ სიბნელეში, საშინელ წყვდიადში ვარ ჩაფლული და თუ არ ჩემშივე, ნუგეშის ძებნა არსაით შეიძლება.

უკვე გვიანაა. ყველა დაიქანცა.

დღეისათვის საკმარისია. სასწრაფო დახმარების რაზმი ლაშენალის კარვისაკენ გაემართა. შესაძლოა, მან უფრო ვაკაცურად გადაიტანოს ეს ტკივილი.

ბოლოს, გაურკვეველ ხმაურზე ვხვდები, რომ პროცედურა დამთავრდა. ლაშენალს, მგონი, ოგი უფრო ჩქარა ჩაუტარეს. ტერაის ლაშენალის კარავში ძინავს, ხოლო კუზისა და შაცს — რებიუფასთან, რომელიც მთელი ღამე კვნესის და ბოდავს:

— ფეხები!.. ჩემი ფეხები!..

უდო ჩემ გვერდით წვება. თუ რაიმე მოხდა, ის აქვე იქნება...

მეორე დღეს საბოლოოდ ვიღებთ მთელი ბანაკის ევაკუაციის გეგმას: სამ ავადმყოფს მარხილით წაიყვანენ, ორს — სხვისი დახმარებით შეუძლია სიარული, ხოლო ოთხი საკვებით ჯანსაღია. ჩვენ მოგვიხდება ყინვარზე კილომეტრების გავლა, კლდოვანი კედლებიდან დაშვება, დაუსრულებელი მორენებისა და ქვანაშალების შემოვლა ან გადაკვეთა, მდინარეზე გადასვლა და 4000 მეტრიანი უღელტეხილის გადალახვა — და ყველაფერი ეს მუსონის დროს!

დღეს 6 ივნისია და იშაკი შეფიქრიანებულია: მას მოაგონდა ტილმანის ექსპედიცია ნანდა-დევიზე, რომელიც სამი კვირით დაყოვნდა მძაფრი მუსონური თავსხმების შედეგად მდინარეთა ადიდების გამო. მივასწრებთ კი განდაკის ველამდე, სადაც უფრო ნაკლები დაბრკოლებები გადაგვეღობება? ერთ კვირაში მაღალმთიანეთიდან უნდა გავაღწიოთ. კუზი მალე საბოლოოდ გამოკეთდება, ტერაი ოფთალმიისაგან განიკურნება და რებიუფა თვითონ შეძლებს სიარულს. მაგრამ არის ორი სერიოზული ავადმყოფი, რომელთა წაყვანა მზიდავებს საკუთარი ზურგით მოუხდებათ მთავარ ველამდე, ძალზე მძიმე პირობებში.

— თვალებს არ ვუჯერებ, — ამბობს იშაკი, — მაგრამ დღეს ჭეშმარიტად მშვენიერი ამინდია.

პირველი ბანაკიდან მივიღეთ წამლები, რომელსაც მოუთმენლად ელოდა უდო. იგი პირველად მე მსინჯავს. კარგი შედეგია: გადასხმებმა თავისი საქმე გააკეთა და კიდურებში სითბო დამიბრუნდა. უდო მიხვევს ხელებს, თუმცა ნამდვილ ტკივილს არ ვგრძნობ, მაგრამ თითებს მცირეოდენი მგრძნობელობა მაინც დაუბრუნდა. სულ ერთსა და იგივეს ვეკითხები უდოს:

— რა შემრჩება?

— გარკვევით თქმა არ შეიძლება, მდგომარეობა ჯერ საკმაოდ ნათელი არ არის, მაგრამ იმედი მაქვს, მოვახერხებ რამდენიმე სანტიმეტრის მოგებას. ვფიქრობ, რომ ხელების ხმარებას შეძლებ. რა თქმა უნდა, — იგი წამით მერყეობს, — მომიხდება თითოეული თითის ერთი ან ორი ფალანგის წართმევა, მაგრამ, ცერების ნაწილის შენარჩუნება თუ მაინც მოხერხდა, საგნების ხელის მოჭერას შეძლებ. ეს კი მთავარია.

ვერაფერი ნუგეშია, თუმცა ჯერ კიდევ გუშინ გაცილებით უარეს შედეგს მოველოდი. ჩემთვის ეს მოასწავებს მრავალი გეგმის დამსხვრევას, ახალ ცხოვრებას, შესაძლოა, ახალ შეხედულებებს სამყაროზე... ყველაფერი იცვლება და მე არ მყოფნის არც ძალა, არც ნებისყოფა, მომავალზე ვიფიქრო.

დიდად ვაფასებ უდოს ვაქცინაციას და მადლიერი ვარ იმისათვის, რომ იგი დაუფარავად მელაპარაკება ამპუტაციაზე, მეპყრობა, როგორც ადამიანსა და მეგობარს. არასოდეს დავიწყებ მის გამბედაობასა და პირდაპირობას.

გადასხმები, რომელმაც ამდენი სარგებლობა მომიტანა, აუცილებლად უნდა განმეორდეს. ვიცი, ამჯერად პროცედურა უფრო მტანჯველი იქნება და ეს აზრი მაძრწუნებს. მრცხვენია, რომ ვამბობ, მაგრამ მეშინია, თუმცა რამდენი ადამიანისათვის გაუკეთებიათ ასეთი ნემსები. ამჯერად ნოვოკაინი კი არა, აცეტილპოლინი უნდა შემიყვანონ, რომლის რამდენიმე ამპულა პირველი ბანაკიდან ამოიტანეს. ტერაი შემოდის კარავში და ჩემ გვერდით დგება. ვერც ის მხედავს — თვალახვეულია და ხელმოუკიდებლად სიარული არ შეუძლია.

ვიდრე იშაკი და უდო ნემსებს, ეთერსა და ამპულებს ამზადებენ, მე ვცდილობ, გონებით წარმოვიდგინო ტერაის სახის ნაკვთები, ხელს ვუსვამ სახეზე და ჩავჩურჩულებ:

— როგორი წამებაა! —და ვეეედრები:

— დარჩი ჩემთან.

— ნუ სწუხხარ, — მეუბნება იგი.

;— ნემსის გაკეთების წინ უდო გამაფრთხილებს... ამის შემდეგ ჩემი განძრევა არ შეიძლება, რაც შეიძლება მაგრად უნდა დამიჭირო.

იმედი მაქვს, ტერაის სიახლოვე ძალას მომცემს, რომ ეს მძიმე წუთები გადავიტანო. უდო ფეხებიდან იწყებს. გუშინდელივით აუტანელი ტკივილები მაქვს. ვყვირი და ვტირი ტერაის ხელში. იგი მთელი ძალ-ღონით მაკავებს. მეჩვენება, თითქოს ფეხზე ცეცხლი მიკიდია. ან უეცრად მდუღარე ერბოში ჩამაყოფინეს. უდო აღფრთოვანებისაგან ცას ეწევა. და მის სიხარულს სხვებიც იზიარებენ. მართალია, ვიტანჯები, მაგრამ ეს ხომ იმას მოასწავებს, რომ მკურნალობა წარმატებით მიმდინარეობს. ეს მეც მამხნევებს და, ბოლოს, მეოთხე ნემსის შემდეგ აუცილებელი 100 კუბ. სანტიმეტრი შეყვანილია.

— ახლა ხელები, — მიცხადებს უდო.

პროცედურას დასასრული არ უჩანს. მე მთლად გაწამებული ვარ, მაგრამ, სამაგიეროდ, მარჯვენა ხელის მგრძნობიარობა გარკვეულად გაუმჯობესდა. უდო ბობოჭრობს: ნემსები ან ძალიან მსხვილია, ან მეტისმეტად მოკლე, მეტისმეტად წვრილი ან მეტისმეტად გრძელი. არც ერთი არ უდგება და ეს ყოველთვის ახალ ჩხვლეტას მოითხოვს. ისევ ვღმუი ძალლივით, რომელიც სიკვდილის მოახლოებას გრძნობს.

— უფრო მაგრად დამიჭირე, — ქვითინით ვემუდარები ტერაის, რომელიც უამისოდაც მთლად დაძაბულია. რაც შეიძლება, თავს ძალას ვატან, რომ არ ვითრთოლო, მაგრამ უდო მიინც უკმაყოფილოა:

— ნუ ინძრევი, ეშმაკმა წაგიღოს! იმდენს გჩხვლეტ, რამდენიც საჭიროა, ვიდრე არ მოვხვდები.

;— მაპატიე, ყველაფერს გავაკეთებ, რაც შემიძლია, ნუ გეშინია, ავიტან.

ვაწვდი ხელს ახალი ცდისათვის. როცა ნემსი არტერიაში ხვდება, იგი ეცობა, შიგ სქელი სისხლი დედდება. იდაყვის მოსახრელიდან დაწყებული უდო თანდათან ზევით და ზევით, მხრისაკენ იწევს, რომ სულ ერთსა და იმავე ადგილზე არ უჩხვლიტოს. ორჯერ ნემსი ნერვში მოხვდა: უკვე ტირილიც აღარ შემიძლია და მხოლოდ გულამოსკვნით ვსლუკუნებ. რა არაადამიანური წამებაა! ვეღარაფერს ვუხერხებ ჩემს თავს. ერთი წამით უდო ჩერდება.

— ყველაფერი რიგზე იქნება, — მეუბნება იშაკი.

— მოითმინე, მორის, — ჩამჩურჩულებს ტერაი, — მალე ყველაფერი დამთავრდება. ვიცი, ეს საშინელებაა, მაგრამ მე აქა ვარ, შენ გვერდით!

დიახ, იგი ჩემ გვერდითაა. ის რომ არა, ნამდვილად ვერ გავუძლებდი ყოველივე ამას. ადამიანი, რომელსაც, ჩვეულებრივ, პირქუშად ვთვლიდით, მხოლოდ იმიტომ, რომ ძლიერი იყო, რომლის სული მოჩვენებითი უხეშობის ნიღაბქვეშ იფარებოდა, ისეთი სიყვარულითა და სინაზით მეპყრობა, მსგავსი არასოდეს შემხვედრია. მე ვეხუტები მას სახით. იგი მეხვევა კისერზე.

— განაგრძე, აბა დაიწყე, რა!

— ძალიან მოკლეა და წვრილი! — ყვირის უდო.

მას მოთმინება ეკარგება. ინსტრუმენტებთან დაკავშირებულ მთელ ამ დავიდარაბას ლონემიხდილობამდე მიეყავარ. ნეტავი ვიცოდე, შეძლებდნენ თუ არა კლინიკაში ასეთივე ნემსის პირველი ცდისთანავე გაკეთებას?

რამდენიმე საათის შემდეგ, ოცდამეთხუთმეტე ცდაზე, პროცედურა წარმატებით დამთავრდა. მიუხედავად საშინელი ტკივილისა, არ გავნძრეულვარ, ვიდრე შპრიცი არ დაცარიელდა. უდო ოსტატურად ცვლის შპრიცს არტერიიდან ნემსის გამოუღებლად. მეორე შპრიცის დაცლის შემდეგ მე ვგრძნობ, როგორ ვრცელდება სხეულში სითბო. უდო ზეიმობს. მაგრამ მალე ეს შეგრძნება აუტანელი ხდება. უფრო მეტად მტკივნეულია, ვიდრე ფეხებში ნემსის გაკეთების დროს. მე ვყვირი და სასოწარკვეთილი ვეკრობი ტერაის, თუმცა ხელი კვლავინდებურად სწორად მიჭირავს და ვცდილობ ადგილიდან არ დავი-

ძრა. ვგრძნობ, როგორ მაძრობენ ნემსს და ხელზე ბამბას მადებენ.

— მარჯვენა ხელს მოვრჩით. ახლა მარცხენა!

უდომ არტერია ვერ მონახა. ამან საგონებელში ჩააგდო. ვუხსნი, რომ ახალგაზრდობაში სერიოზულად დაციზიანე ეს ხელი. ახლა ყველაფერი გასაგებია: აი, რატომ ვერ შეძლო მან სისხლის წნევის გაზომვა და პულსის პოვნა. არტერია გადაადგილებულია, ამიტომ იდაყვში ნემსის შეყვანა შეუძლებელია, მოგვიხდება მისი გაკეთება მხარში, ეს კი გაცილებით უფრო რთულია. სიმწრით ვიგონებ იმას, რაც მარჯვენა ხელს გადახდა! ეეხუთე თუ მეექვსე ცდისას უდომ უეცრად დაიყვირა:

—ვიპოვე!

სრულიად უძრავად ვწევარ. მას შპრიცი შპრიცზე შეპყავს.

შემდეგ უდომ ამიხსნა, რომ იგი ნერვულ კვანძში ნოვოკაინის შეყვანას აპირებს, ამისათვის აუცილებელია გრძელი ნემსი, რომელიც პლევრის არეში კისრიდან უნდა შეიყვანოს. ცუდად ვხდები! ეს უკვე მეტისმეტია. საათობით ვიტანდი ამ წამებას და მეტისათვის უკვე ძალა აღარ შემწევს. მაგრამ უდო დროს არ კარგავს. ნემსი მზადა აქვს და კისერს მისინჯავს.

— იცი, ეს საკმაოდ რთული საქმეა: ნემსი უნდა შეიყვანო გარკვეული მიმართულებით, შემდეგ, როცა დაბრკოლებას წააწყდები, გასწიო იგი მარცხნივ და შეგიძლია დარწმუნებული იყო, რომ საჭირო ადგილზე მოხვდი.

— როცა ჩხვლეტას დამიპირებ, გამაფრთხილე!

წუთიერი დუმილის შემდეგ მესმის, რაღაცას ანძრევენ!

— ვიწყებ! — აცხადებს უდო.

რაც შემიძლია, ვიკავებ თავს. გადაწყვეტილი მაქვს — უძრავად ვიწვე. ნემსი შედის სხეულში. ჩანს, ძალიან გრძელია. იგი ეხება მგრძნობიარე ადგილს და ტკივილისაგან ვყვირი. ტერაი კვლავ მაკავებს. ახლა უდო ცდილობს ნერვულ კვანძში მოხვდეს. ვგრძნობ, როგორ შედის ნემსი კიდევ უფრო ღრმად. მოხვდა! პირველი ცდისთანავე! ალბათ სითხე უკვე შედის, მაგრამ მე ვერაფერს ვგრძნობ.

— კიდევ დიდხანს გაგრძელდება? — ვეკითხები უდოს ოდნავ გასაგონად.

— თითქმის მთავრდება, — მიპასუხებს ივი ჩახლეჩილი ხმით. ოცი კუბურია დარჩენილი.

ვგრძნობ, როგორ მაძრობენ ამ საშინელ ნემსს. ყველაფერი დამთავრდა და შემიძლია დავისვენო. უდო ძალზე კმაყოფილია. თითქმის მთელი დღე იმუშავა, სამაგიეროდ, მან გააკეთა ყველაფერი, რაც უნდოდა. ჩემს სიცოცხლეში არასდროს განმიცდია ასეთი ტანჯვა, მაგრამ, თუ ხელ-ფეხი გადამირჩა, ეს უდოს შეუპოვრობის წყალობით მოხდება. იშაკი ეხმარება მას იარაღების შეგროვებაში, რათა ლაშენალის კარავში წაიღონ. ამ მომენტში უდო კმაყოფილია ჩემი საერთო მდგომარეობით, მაგრამ როგორ გადაიტანს ჩემი ორგანიზმი საერთო მოყინულობას?

ბანაკი სულ უფრო და უფრო ემსგავსება ჰოსპიტალს: თითოეულის ფიქრი და მოქმედება ავადმყოფთა მდგომარეობით განისაზღვრება. ყველას თვალები უდოსკენაა მიპყრობილი. ახლა იგი ჩვენთვის თითქმის ღმერთია.

ამავე დღეს დაიწყო წარმოუდგენლად ძნელი მუშაობა ავადმყოფთა გადასაყვანად, რომელიც დამთავრდება მხოლოდ ექვსი კვირის განმავლობაში, კოკისპირულ წვიმაში, ციცაბო და სახიფათო ფერდობებით ხანგრძლივი და მტანჯველი უკანდახევის შემდეგ. ეს გადასვლა, რომლის დროს ავადმყოფები უბრუნდებიან სიცოცხლეს, სამუდამოდ დარჩება უდიდესი გმირობის მაგალითად, რომელიც პატივს სცემს ექსპედიციის ყველა წევრს.

ჩვენს განკარგულებაშია ორ თხილამურზე დამაგრებული ზემსუბუქი მარხილი. შერპები, ბუნებრივია, არ იცნობენ ამ მოწყობილობას, ამიტომ უდომ და იშაკმა გადაწყვიტეს, რებიუფათი დაიწყონ, რომელიც დანარჩენებზე უკეთ გრძნობს თავს.

ხელმძღვანელობა შაკმა იკისრა, მან მოათავსა ოთხი შერპი მარხილის გარშემო ასო V-ის მაგვარად და ორ საათსა და 30 წუთზე პროცესია დაიძრა. რებიუფა კარგად არის შეფუთნული, იგი მაგრად მიაბეს მარხილზე. თუ ვინიცობაა, გადაბრუნდა, არ გადმოვარდება.

საღამოს შერპები დაბრუნდნენ და მოგვიტანეს შაცის ბარათი.

იგი გვირჩევს, რომ დაშვებაზე ექვსი კაცი გამოვიყენოთ.

ამასობაში უდომ ყველა თავის პაციენტს ნემსი გაუკეთა და მთელი საღამო შეხვევებს მოანდომა. შუაღამემდე ამინდი გაუარესდა. ისევ ბარდნა დაიწყო. ჩემი ამხანაგები შეშფოთდნენ და გადაწყვიტეს, დანარჩენი დაშავებულები დაუშვან, რომ შემდეგ მეტისმეტად გვიან არ იქნეს.

საბედნიეროდ, დილით ისევ გამოიდარა. პირველად მე მიწევს დაშვება. გასვლის წინ უდო მისინჯავს ხელ-ფეხს და სახვევებს მიცვლის. ძალიან კმაყოფილია „გასაოცარი გაუმჯობესებით“. მე მაცმევენ, მაწვენენ საძილე ტომარაში და მდებენ მარხილზე. სახვევი ხედვას მიშლის. ვგრძნობ კი, რომ თბილა, ჩანს კარგი ამინდია. მაინც არასასიამოვნოა დაშვება, როცა არ იცი, რა ხდება შენს ირგვლივ.

ანგ-თარკე მეთაურობს შერპებს. მიხარია, რომ იშაკი მომყვება. თუ რაიმე დამჭირდა, მარტო არ ვიქნები. გულის სიღრმეში მეშინია ამ დაშვებისა, განსაკუთრებით კი კლდეებზე გადასვლისა. რით გათავდება ყველაფერი? მაგრამ შერპები — ჭკვიანი ბიჭები არიან, მათ არ სჭირდებათ რისამე ორჯერ ახსნა. უფრო გვიან, უკვე ბანაკში, იშაკმა გამოთქვა თავისი აღფრთოვანება:

— საფრანგეთშიც კი ძნელი იქნებოდა ასეთი გუნდის გამონახვა, — ამბობს იგი, — ყველანი ეწყობოდნენ, როგორც შეეძლოთ და ყოველი მოძრაობა ურთიერთ შეთანხმებული ჰქონდათ.

რამდენიმე გაკვრის შემდეგ მარხილი დაიძრა. ძალზე სუსტადა ვარ და ცოტა ყურს დამაკლდა, მაგრამ ვცნობ უდოს ხმას, რომელიც ალპინისტთა ტრადიციის თანახმად გზას გვილოცავს.

— მშვიდობით დაშვებას გისურვებთ!

ის, რა თქმა უნდა, ახლა ხელს გვიქნევს; რაც კი რამ ტანსაცმელი მქონდა, ზედ მაცვია და მთლად ოფლში ვცურავ, ალბათ მზე აცხუნებს. ზოგჯერ ზურგით თოვლს ვეხები. იშაკი წამდაუწუმ მიახლოვდება და გამომელაპარაკება ხოლმე. მსიამოვ-

ნებს მისი ხმის გაგონება და სიახლოვე. ფერდობი უეცრად უფრო ციცაბო ხდება და, მიუხედავად იმისა, რომ თოკებით მიცავენ, მაინც მივსრიალებ. სრიალის დასამუხრუჭებლად შერპები გადაბრუნებული ასო V-ის მაგვარად ეწყობიან. დიდ კლდოვან უბანთან მივედით. რამდენადაც მახსოვს, აქ დიდი დაქანებაა. იშაკმა წერაყინი ჩაარჭო ჩემს შესაკავებლად.

ისმის ყრუ ექო — ეს სერაკებია; უნდა ვიჩქაროთ, რადგან ყოველ წუთს მოსალოდნელია მათი ჩამონგრევა. ვაღწევთ კლდეებამდე. როგორ ახერხებენ შერპები აქ მოძრაობას, ჩემთვის სამარადისო ამოცანად დარჩება. კედელი ძალზე დაქანებულია, მაგრამ მე პირდაპირ მარხილით მივყავარ მათ. შემდეგ იშაკი მეუბნებოდა, — შენ რომ დანახვა შეგძლებოდა, ვერ აიტანდი ამ სანახაობასო: თითქმის აკრობატული ნომრები, წარმოუდგენლად ძნელი ცოცვა. მესმის, თუ რა შვებით ამოისუნთქეს.—როგორც იქნა! ალბათ ყინვარამდე მივაღწიეთ. მარხილი უბრუნდება ჰორიზონტალურ მდგომარეობას; რამდენიმე წუთს ვისვენებთ. შემდეგ როგორც მეჩვენება, ჩქარი ტემპით განვაგრძობთ გზას. წარმოდგენილი მაქვს, როგორ მიქრიან შერპები თოვლზე, დაჭიმულ თოკში ჩაბმულნი, თუმცა, რა თქმა უნდა, ეს მხოლოდ ფანტაზიაა. შემდეგ სიჩქარე ნელდება — პირველი ბანაკის მორეულასთან მივედით.

მცირე ხნით მარტო ვრჩები. შერპები დგამენ დიდ კარავს, სადაც რამდენიმე წუთის შემდეგ უნდა გადამიყვანონ. იშაკი ჩემს გვერდით თავსდება. ამიერიდან დღისით და ღამით განუყრელნი ვართ: იგი ჩემთან ერთად ცხოვრობს კარავში და ძმასავით მივლის. დაშვებას 2 საათი და 20 წუთი დასჭირდა. შერპებმა სასწაულები გვიჩვენეს. რა გვეშველებოდა უიმათოდ?

იშაკი მოკლედ მიამბობს, რა ხდება ირგვლივ. რა საშინელებაა სიბრმავე. რაღაც ნივთივით ვგრძნობ თავს. ვიცი, რომ ოფთალმია მე უფრო მსუბუქად მაქვს, ვიდრე სხვებს და წამდაუწუმ ვთხოვ მომხსნან სახვევი, მაგრამ მე მხოლოდ ნივთი ვარ და ხმის უფლება არა მაქვს. თუმცა ღრუბლიანი ამინდია და ხოშკაკალა მოდის, — შერპები შაცთან და ნუაელთან ერთად მეორე ბანაკში ბრუნდებიან ლაშენალის წამოსაყვანად. დაახლოებით სამ საათზე თოვას იწყებს. კარავში მარტოკა დავრჩი ჩემს ფიქრებთან და მოვიწყინე. დროდადრო ყინულის

მტვრევის მეახე ხმაური არღვევს მყუდროებას. ეს ხმაური ერთგვარ შიშსა მგვრის — ნეტავი სად დადგეს კარავი? ერთბაშად რომ ნაპრალი გაიხსნას? მერე თვითონვე მრცხვენია ამ ბავშვური შიშისა — მრავალი წლის გამოცდილების მქონე მთამსველელმა ხომ მშვენივრად უნდა იცოდეს, რომ ნაპრალი ერთ წამში არ იხსნება!

ერთადერთი ჯანსაღი საჰიბი, იშაკი თვალყურს ადევნებს პირველი ბანაკის მოწყობას. მას ძლიერ გაუკვირდა, როცა დღის ბოლოს, დაახლოებით 5 საათზე, ნისლიდან გამოჩნდნენ ნუაელი და შერპები, რომლებსაც ლაშენალი მოჰყავდათ. ყველანი თოვლით არიან შეფიფქულნი. ამჯერად შერპებმა დაშვებას მხოლოდ 1 საათი და 45 წუთი მოანდომეს — მათ ძნელი დღე ჰქონდათ და ძალზე მოქანცულნი არიან. წუწუნებენ: საჭმელი საკმარისი არაა, საჭურვლის ნაწილი მესამე და მეოთხე ბანაკებში დარჩა. ეს განსაკუთრებით აწუხებთ მათ, რადგან ჰიმალაის ექსპედიციებში, საერთოდ, მიღებულია, რომ შერპების პირადი საჭურველი მათვე რჩებათ ჯილდოს სახით. ისინი მწარედ ნანობენ მთელი ამ ქონების დაკარგვას, და ანგ-თარკე არ მალავს თავის განზრახვას, უნდა ხელახლა ავიდეს მესამე ბანაკში.

ვუხმობ ანგ-თარკეს და ვაფრთხილებ, რომ ყველას ეკრძალება ვინც არ უნდა იყოს, მეორე ბანაკის ზევით ასვლა. ამავე დროს ვეუბნები, რომ ძალიან კმაყოფილი ვარ მისი ხელქვეითი შერპების მუშაობით. დაე, ტანსაცმელზე ნუ იდარდებენ — ყველა მათგანი უხვ გასამრჯელოს მიიღებს. ანგ-თარკე კმაყოფილი მშორდება და მიდის, რათა დანარჩენებსაც აუწყოს ეს სასიამოვნო ამბავი.

ბანაკში გაცხოველებული საქმიანობაა; ლაშენალს, რაც შეიძლება, მოხერხებულად ათავსებენ. კარვები თითქოს ჯადოქრულად მრავლდებიან. ბანაკი, რომელიც პატარა სოფელს გვაგონებს, ყინულის მაღალი კედლის ფუძესთან მოთავსდა.

მეორე დილით მოიწმინდა, მაგრამ 11 საათისათვის ისევ აირია ღრუბლები და მალე თოვაც დაიწყო. უდო ჯერ არ ჩამოსულა მეორე ბანაკიდან. ზვავების გრიალი უფრო ხშირად მესმის, ვიდრე ოდესმე: ეს შემაძრწუნებელი კონცერტი ნერვებზე მოქმედებს. იშაკი ოხუნჯობს:

— აჰა, აი, საბარგოც 3 საათსა და 37 წუთზე. აი, კიდევ 4 საათის ექსპრესი.

მან შესძლო გაეღიმებინე.

ბოლოს, დაახლოებით შუადღისას, იშაკმა ჭოგრიტით დაინახა, რომ მეორე ბანაკში უკანასკნელი კარვები მოხსნეს და ნაშუადღევს ჩვენი ექიმი გამოჩნდა, დატვირთული შერპების თანხლებით. ჯერ ზურგჩანთა არც კი მოეხსნა, რომ დაშავებულთა ამბავი იკითხა — რა ცვლილება მოხდა გუშინდელს აქეთ?

გარკვეულად უკეთესი მდგომარეობაა. რებიუფას უკვე შეუძლია სიარული, ოფთალმიამაც თითქმის გაუარა. რაც შეეხება ლაშენალს, მას ალუდგა სიცხლის მიმოქცევა ფეხებში. მგრძნობიარობა ყველგან დაუბრუნდა, გარდა თითებისა. შავი ლაქე-

ბისაგან ტერფებზე ალბათ ნაწიბურები დარჩება. ჩემი მდგომარეობაც შესამჩნევად გაუმჯობესდა და უდო არ მალავს თავის კმაყოფილებას, თუმცა იგი ჩემთან გულახდილად ლაპარაკობს. ვერასოდეს წარმოიდგენს, როგორ ამიჩუყა გული მისმა გულახდილობამ.

.— მე ვფიქრობ, მარცხენა ხელის მტევნის ნახევრად ამპუტაცია მოგვიხდება, მაგრამ, იმედი მაქვს მარჯვენაზე უკანასკნელი ფალანგების გადარჩენა მოხერხდება. თუ ყველაფერმა კარგად ჩაიარა, შენ არც თუ ისე ცუდი ხელები გექნება. ფეხებზე კი, სამწუხაროდ, შესაძლოა ყველა თითის მოკვეთა მოგვიხდეს, მაგრამ ეს ხელს არ შეგიშლის სიარულში. რასაკვირველია პირველ ხანებში ცოტა გაგიჭირდება, მაგრამ შეეჩვევი, აი ნახავ...

მე მზარავს ფიქრი იმაზე, თუ რა მომივიდოდა, რომ უდოს ასე სწრაფად და ენერგიულად არ გაეკეთებინა ჩემთვის ნეტსები. შესაძლოა, მათი ეფექტი ჯერ კიდევ არაა მთლიანად გამოვლენილი. საჭირო იქნება ჯერ კიდევ რამდენიმე სეანსი: აბ ვიცი, ავიტან კი ამასთან დაკავშირებულ კოლოსალურ დაძაბულობას? ყოველ შემთხვევაში, მე მინდა მთლიანად გამოვიყენო ეს შესვენება და საზეიმოდ ვიდღესასწაულოთ ჩვენი წარმატება... გამარჯვების შემდეგ ექსპედიციის წევრებმა პირველად მოვიყარეთ თავი და ავადმყოფთა მდგომარეობა შესაძლებლობას გვაძლევს პატარა დღესასწაული მოვაწყოთ. ვიკრიბებით ქათმის ჟელეს ერთადერთი ქილის ირგვლივ და ვხსნით სანუკვარი შამპანურის ბოთლს. მშობლიური საფრანგეთის ღვინოების მირთმევის მსურველნი ისედაც საკმაოდ არიან, მაგრამ მე მინდა, რომ შერპებმაც ასე თუ ისე მონაწილეობა მიიღონ საერთო სიხარულში. ვიწვევ ანგ-თარკეს და მასთან ერთად გამარჯვების საღღეგრძელოს ვსვამთ. იშაკი გამოთქვამს ჩვენს აზრებს:

— მძიმედ დაზარალდით, მაგრამ გამარჯვება თქვენ დაგრჩებათ!

ყოველივე ამის მიუხედავად, კარავში მხიარული განწყობილებაა. ვწერთ დეპეშას, რომელიც გაეგზავნება დევის შემდეგ ფოსტასთან ერთად: „საფრანგეთის 1950 წლის ექსპედი-

ციამ ჰიმალაიში, გაიმარჯვა წრტ ანაპურნა დაპყრობილია 1950 წლის 3 ივნისს. წრტ.

ერ ცო გი"

ზეიმის დამთავრებისთანავე უდო ნემსების კეთებას მიწყებს. ფეხებზე სწრაფად ახერხებს ამას, შემდეგ იწყებს ხელებზე; მე უკვე ვიცი, რომ ეს ყველაზე უფრო აუტანელი იქნება. მთელი საათის განმავლობაში — ყველა ცდამ უშედეგოდ ჩაიარა. დღე ილევა და უდო უკიდურესად გაღიზიანებულია.

— ნუ ინძრევი! — მისაყვედურებს იგი.

— ნუ აქცევ ყურადღებას ჩემს ყვირილს... განაგრძე... აკეთე, რაც საჭიროა.

ტერაი მოდის ჩემთან. ვიკრუნჩხები ტკივილისაგან, მაგრამ იგი მაინც მიჭერს.

—მოითმინე! ნუ ინძრევი, ნუ ინძრევი, მორის!

— ეს შეუძლებელია! — ყვირის უდო, — საკმარისია მოვსინჯო არტერია, რომ სისხლი დედდება. არაფერი გამოვა!

მისი სიტყვები სასოწარკვეთილებამ გამოიწვია. ნამდვილად კი ერთი წუთითაც არ უფიქრია ცდების შეწყვეტა,—ისევე, როგორც მე. მიუხედავად აუტანელი ტკივილისა, ყვირილი, რომელიც უდოს სამოქმედო კარვიდან აღწევს, ყველას აძრწუნებს. შერპები დუმან. იქნებ ისინი თავიანთი ბარა-საჰიბისათვის ლოცულობენ? მე ისე გულამოსკვნით ვქვითინებ, რომ არ შემიძლია შეჩერება. განუწყვეტლივ კრუნჩხვები მომდის.

ბოლოს, ხანმოკლე შესვენების შემდეგ, გვიან საღამოთი, დაახლოებით ათ საათზე, პროცედურა წარმატებით დამთავრდა. უკვე ბნელოდა, როცა იშაკმა უდოს შპრიცები გადასცა მთელი კარავი სისხლითაა მოთხვრილი, იშაკი და უდო გადიან. ტერაი უსაზღვრო სინაზით მანუგეშებს, მაგრამ არასოდეს ჩემს სიცოცხლეში ასე უბედურად არ მიგრძვნია თავი. გატანჯულ და გაწამებულ ჩემს ორგანიზმს, წინააღმდეგობის გაწევის უნარი აღარ გააჩნია. ტერაი ისევ მეხვევა:

— აი, ნახავ, ყველაფერი კარგად იქნება.

— ოჰ, მეგობარო, ჩემთვის ყველაფერი გათავებულია. მეტის ატანა აღარ შემიძლია!

— სიცოცხლე არ არის გათავებული, — დაჟინებით ამბობს იგი, — შენ კვლავ იხილავ საფრანგეთს, შამონს...

— დიახ, შესაძლოა, მაგრამ მთებში ველარ ვივლი.

გულში ჩამარხული აზრი წამომცდა. ტერაიმ გამიგო და მეც გზა მივეცი ჩემს სასოწარკვეთილებას:

— არა, ამიერიდან ვერასოდეს შევძლებ ცოცვას, — ახლა უკვე ველარ ავალ ეიგერზე,[1] ლიონელ, მე კი როგორ ვოცნებობდი!

ქვითინი მახრჩობს. ჩვენი სახეები ერთმანეთს ეხება, მე ვგრძნობ მის ცრემლებს — ისიც ტირის. იგი ერთადერთია, ვისაც შეუძლია მთელი სიღრმით გაიგოს, თუ რა ტრაგედიაა ეს ჩემთვის, ვხედავ, რომ ეს მასაც უმიზეზოდ მიაჩნია.

— რა თქმა უნდა, ეიგერი... მაგრამ მე დარწმუნებული ვარ, რომ შენ ისევ შესძლებ მთებში დაბრუნებას... და ძალიან გაუბედავად დასძენს:

— არა წინანდებურად, რა თქმა უნდა...

— წინანდელი არასოდეს დაბრუნდება. ხომ ხედავ, ლიონელ, ისე სიარულს რასაკვირველია ვერ შევძლებ, როგორც წინათ, მაგრამ, თუ მე საერთოდ შევძლებ ცოცვას, — ეს უკვე ბევრს ნიშნავს. მთები ჩემთვის ყველაფერია — მე იქ ჩემი ცხოვრების საუკეთესო დღეები გავატარე... დაე, ვერ შევძლო ეფექტური, სახელგანთქმული ასვლები, მე მინდა თუნდაც სულ ჩვეულებრივ მარშრუტებზე დავტკბე მთებით.

— შენ დაბრუნდები, აი ნახავ, კარგად მესმის შენი...

— მაგრამ მთები კიდევ არ არის ყველაფერი, ცხოვრებაში კიდევ ბევრი რამ არის საინტერესო. — ნეტავ რა მომელის?

— გარწმუნებ, შეეგუები...

ცოტა დუმილის შემდეგ მეუბნება:

— ახლა გირჩევნია წამოწვე.

ტერაი ისეთი ნაზი მზრუნველობით მაწვენს, რომ სასწაულს ახერხებს: მე თავს ვინუგეშებ და ვმშვიდდები.

უკანასკნელად მაკვირდება, რათა დარწმუნდეს, რომ კარგად ვარ და ნელ-ნელა მიდის. როგორი მეგობარი შევიძინე!

---

1 მწვერვალ ეიგერის ჩრდილოეთ კედლით ასვლა კლასიკური და მეტად რთული ასვლაა ალპებში.

მეორე დილით უდო, თვალებზე სახვევებს მხსნის. რა კარგია კვლავ იხილო გარემო, ვრწმუნდები, რომ მშვენიერი ამინდია. ვკითხულობ დღეს რა რიცხვია-მეთქი. — რამდენიმე გავლილი დღე ერთ გრძელ ღამესავით გაჭიანურდა.

— პარასკევი, 9 ივნისი, — ამბობს იშაკი.

ლაშენალს საბაზო ბანაკში დასაშვებად ამზადებენ. მას წაიყვანენ „კაკოლეთი" — უხეში, პრიმიტიული მოწყობილობით, რომელსაც დიდად არასდროს ვენდობოდი. ლაშენალს, პირიქით, არაფერი აქვს გადაყვანის ასეთი საშუალების საწინააღმდეგო. იგი შეჩვეულია ამ მოწყობილობას: მისი შემწეობით თვითონაც არაერთხელ გადაუყვანია დაშავებული. თუმცა მოგვიანებით მისი ენთუზიაზმი, რამდენადმე შენელდა. მალე იგი თავისი შერპებიანად, კუზისა და ნუაელის თანხლებით, მიემგზავრება. ფეხები გადმოკიდებული აქვს და ტკივილებისაგან კვნესის. შუადღისას შერპები, კუზისთან ერთად, უკანვე ბრუნდებიან: დაშვებამ ორი საათი წაიღო. რებიუფამ და ლაშენალმა მგზავრობა მშვიდობით გადაიტანეს.

სანამ მე ვისვენებ, სხვები ბარგს ფუთავენ. მეორე დღეს გასვლის წინ უდო მსინჯავს. კარგი შთაბეჭდილება დადასტურდა: აცეტილპოლინის ინექციებმა, რომლებიც ესოდენ აუტანელ ტკივილს მაყენებდნენ, ორივე ხელ-ფეხის ნაწილი მაინც გადამირჩინეს. აჯიბა, სარკე, ფუთარკე და პანდი აპირებენ რიგრიგობით მატარონ „კაკოლეთი".

გზა კარგად არის მონიშნული, ქვები არაა და მივდივართ, როგორც ბილიკზე. მე მზიდავზე ვარ მიწოლილი, საშინლად ვინჯღრევი ყოველ ნაბიჯზე. მოკრუნჩხული ორივე ხელით ვებღაუჭები მზიდავს კისერზე, რომ არ ჩავვარდე და ამავე დროს ვცდილობ, ხელი არ შევუშალო მას. მკაფიოდ ვგრძნობ მის თითოეულ გაუბედავ ნაბიჯს. აჯიბასა და პანდისაც რამდენჯერმე დაუსხლტათ ფეხი და მეც ინსტინქტურად გავიწოდე ხელი, დამავიწყდა, რომ არ შემეძლო მისი მოხმარება. კულუარებში უფრო მშვიდად ვგრძნობ თავს, ვიდრე ციცაბო კლდოვან ფილებზე, სადაც მზიდავი შესაძლოა ჩავარდეს; ყოველ წამს მეშინია ხელებით ან ფეხებით კლდეს არ მივედო.

— სარკე! ფრთხილად!.. ფრთხილად! — ასჯერ ვიმეორებ ამ სიტყვას, რომელიც მუდარაში გადადის.

ძნელ ადგილებზე შერპები ერთობლივად მოქმედებენ: ერთი თვალს ადევნებს, რომ მზიდავი სწორად ადგამდეს ფეხს, ხოლო მეორე, ხელს ჰკიდებს მას და ეხმარება წონასწორობის დაცვაში. უამრავი დაბრკოლება გადავლახეთ და, ბოლოს, კლდეები უკან მოვიტოვეთ. წინ საბაზო ბანაკი გამოჩნდა.

ასე მგონია, დაშვება დაუსრულებლად გრძელდებოდა, ნამდვილად კი მას მხოლოდ ორსაათნახევარი დასჭირდა და ყოველგვარი ხიფათის გარეშე ჩაიარა. ახლა უკვე საბაზო ბანაკში, წინათ არნახული საქმიანობა გაჩაღდა.

უეცრად, კარავში, სადაც მე ეს-ეს არის მომათავსეს, იშაკი შემოვარდა ყვირილით:

— მზიდავები! მზიდავები მოვიდნენ!

XVII

ლეტეს ტყეებში

ადგილობრივი მცხოვრებნი, რომელთა უმრავლესობას ჩვენ უკვე ვიცნობთ, პატარ-პატარა ჯგუფებად მოდიან. რაღაც სასწაულით ისინი დანიშნულ ვადაზე მოვიდნენ, რომელზეც ორი კვირის წინათ შევთანხმდით.

იშაკი არ ფარავს თავის სიხარულს.

იგი სწრაფად ამყარებს კავშირს — ახლოვდება მეტეოცნობების გადმოცემის დრო.

ბიულეტენი, რომელსაც საგანგებოდ ჩვენთვის გადმოსცემენ, გვაფრთხილებს, რომ მუსონი გვიახლოვდება:

„ლაპარაკობს დელი 60,48 მ ტალღაზე. გადმოგცემთ ამინდის სპეციალურ ცნობებს საფრანგეთის ექსპედიციისათვის ნეპალში. მუსონი, რომელიც გავრცელდა ჰიმალაის მთელ აღმოსავლეთ ნაწილში, თქვენს რაიონს 10 ივნისისათვის მოაღწევს. წნევა გორაკპურში 960 მილიბარია. ვიმეორებ: თქვენ ეს-ეს არის მოისმინეთ სპეციალური ცნობები...“

მაშასადამე, უკანასკნელი დღეების განმავლობაში მძვინვარე ქარიშხალი, რომელმაც ესოდენ გაართულა ექსპედიციის მდგომარეობა, სხვა არაფერი ყოფილა, თუ არა წინამორბედი იმ გიგანტური ტალღისა, ყოველწლიურად ამ დროს, მთელ აზიას რომ მოიცავს ხოლმე. კოკისპირული წვიმები, მთებში რამდენიმე საათის განმავლობაში ნამდვილ წარღვნად იქცევა ხოლმე და წალეკვას უქადის მთელ ინდოეთს. ხვალ ცა პირს

წაიხსნის, მაგრამ ახლა, როცა უკვე გამოვაღწიეთ მთებიდან, ამ ცნობას საკმაოდ მშვიდად ვხვდებით.

მზიდავი გვაწვდის კარავში ქალალდის ნაჭერს — ეს შაცის ბარათია. ის დაწინაურდა, მირისტი-კპოლაზე უფრო მოხერხებული გადასასვლელის მოსაძებნად. შაცი გვწერს, მხოლოდ ნახევარ დღეში წყალმა ერთიორად მოიმატაო.

რაც შეიძლება, ჩქარა უნდა დავტოვოთ ეს ხეობა, თორემ შესაძლოა ვეებერთელა ხაფანგში აღმოვჩნდეთ.

თუმცა ყველა დუმს, მაგრამ თითოეული ჩვენგანი ნანდა დევიზე მომხდარ ამბავს იგონებს.

მეორე დილით, როგორც ვვარაუდობდით, მართლაც გაავდარდა. გადაუღებელი თავსხმაა. შერპები ფაცაფუცით ხსნიან ბანაკს. გასვლის წინ განკარგულებას ვაძლევთ, რომ მთელი სურსათ-სანოვაგე, რომლის წაღებაც არ შეგვიძლია, მზიდავებს დაურიგონ. ისინი სიხარულით მისცვივდნენ სარკესა და ანგ-თარკეს მიერ გადმოსროლილ კონსერვის ქილებს. მართლაცდა მოულოდნელი ბაკშიშია! უდო კი, პირიქით, აუცილებელი მასალების ნაკლებობას განიცდის. ამასთან ერთად ბედი არ გვწყალობს: ნემსები იკარგება, შპრიცები ტყდება. უდო კი განაგრძობს ბრძოლას ჩემს უჩინარ არტერიებთან.

სერიოზული მდგომარეობაა: აცეტილპოლინის სულ ორი ამპულაა დარჩენილი. უდო მე და ლაშენალს გვიკეთებს თითო ნემსს ხელებში და მარჯვენა ფეხში... უნდა შევწყვიტოთ! ამ ცნობას, რომელმაც ესოდენ შეაშფოთა ყველა, მე გულგრილად შევხვდი. ვწევარ მომაკვდავივით, უკიდურესად აღგზნებული და მხოლოდ იმაზე ვფიქრობ, რომ ეს პროცედურები ჩემთვის წარმოუდგენელი წამება იყო.

სანამ ანგ-თარკეს ხელმძღვანელობით ბანაკიდან უკანასკნელი ბარგი იგზავნება, ლაშენალის დაშვებასაც იწყებენ. რამდენიმე მეტრის გავლის შემდეგ მზიდავებმა სცადეს საკაცის მაგიერ მარხილის გამოყენება, მაგრამ ამაოდ.

უდო გზავნის კაცს კაკოლეს მოსატანად.

— უნდა გავაღწიოთ აქედან, რადაც არ უნდა დაგვიჯდეს, მტკიცედ ამბობს იგი.

გასტუმრების წინ უდო ლაშენალს მორფს უკეთებს.

ჩემთვის პოულობენ მოწნულ კალათას. შერპები ფეხებით მჩრიან საძილე ტომარაში, რომელშიც ჩაფენილია „სპილოს ფეხი“.

ყველაფერი ერთიანად დასველდა. გარემომცველი კედლებიდან ზვავების გუგუნი მოისმის, რომელიც უერთდება წვიმის მიერ წამოლეკილ ქვათაცვენის განუწყვეტელ გრიალს. მზიდავები შიშველი ფეხებით ტალახში ეფლობიან. ირგვლივ კლდეები ინგრევა. სწორედ ასე მქონდა წარმოდგენილი კატასტროფის შემდეგ ზოგიერთ გადარჩენილთა უკანდახევა: უწესრიგო, პანიკური უკუქცევა.

უდოს, ტერაის, კუზის, იშაკის, სარკეს, ორი დაშავებულისა და რვა მზიდავისაგან შემდგარი ჯგუფი მეტისმეტად ნელა მიიწევს წინ. შეშფოთებულნი ვართ: მივაღწევთ თუ არა საღამომდე დანიშნულ ადგილს? იმის მიხედვით, თუ რამდენი დრო მოვანდომეთ აქ ამოსვლას, ეს სავსებით შესაძლებელია და ადვილიც კი, მაგრამ ამაში უკვე ეჭვი გვეპარება როცა ვხედავთ, თუ როგორ წელში წყდებიან მზიდავები ავადმყოფთა სიმძიმითა და წამდაუწუმ ფეხი უსხლტებათ მორენაზე, სადაც თითოეული ნაბიჯის გადადგმა პრობლემაა.

დრო მიდის, ღრუბლები მიმოიფანტა, წვიმაც შეწყდა მცირე ხნით. არ გვყოფნის ელექტრო-ფარნები და სურსათი: ანგთარკემ არ იცოდა ჩვენი გასაჭირი და არ უზრუნველჰყო ზურგში არავითარი მარაგი. ამიტომ სარკეს ვგზავნით წინდაწინ და ბარათს ვატანთ.

ჩვენ მიკარგულნი ვართ ამ უხალისო, უფერულ და უკიდეგანო ადგილას. მორენის ქვები ეკლიანი მცენარეულობით გარშემორტყმულმა უზარმაზარმა ლოდებმა შეცვალა. ეს კიდევ უფრო აძნელებს წინსვლას. მზიდავები განსაკუთრებულ სიმამაცეს იჩენენ. არავინ არ წუწუნებს. დაბნელდა. სამი პატარა ფარანი, რომელიც ბარგში აღმოჩნდა, ძალიან გამოგვადგა. საჰიბებს მიჰყავთ მზიდავები ნისლსა და წვიმაში, რომელიც კიდევ უფრო მეტი ძალით განახლდა. უკვე მეცხრე საათზე ყველანი გაწამებულები და სრულიად იმედდაკარგულები, მოლიპული ბუხრით აკრობატული დაშვების შემდეგ რომელიც სასწაულით გავიარეთ, დასასვენებლად შევჩერდით.

მე და ლაშენალი კლდოვანი ფარდულის ქვეშ მოგვათავესეს. ამხანაგების გადაწყვეტილებით, ამ საღამოს ჩვენ უფრო შორს ვეღარ წავალთ. ტერაი ჩვენთან რჩება, ხოლო კუზი, იშაკი და უდო სასწრაფოდ მიდიან ბანაკში. მკირეოდენი მანძილის გავლის შემდეგ ისინი შეხვდნენ ქვემოდან მომავალ სარკესა და ფუთარკეს, რომლებსაც ერთი, ერთადერთი ყავიანი მათარა მოჰქონდათ. სარკე ჩვენთან გამოგზავნეს, ხოლო ფუთარკე თან გაიყოლეს და ერთი საათის შემდეგ მიაღწიეს ბანაკს. მათ აცნობეს შაცსა და ნუაელს, რომ ღამით ორი ავადმყოფის ზიდვა, ესოდენ საშიშ ადგილებში შეუძლებელია, ჩვენი საცოდავი ღამის სათევიც აუწერეს. შაცმა უყოყმანოდ გადაწყვიტა, დაუყოვნებლივ ამოეტანა ჩვენთვის სურსათი და საჭურველი. მას თან გამოჰყვა დავატონდუპიც. მიუხედავად იმისა, რომ ტერაი ყოველი ღონით ცდილობს გაგვამხნეოს, ჩვენს ფარდულში მაინც უღიმღამო ატმოსფეროა. ლაშენალი ჯერ კიდევ მორფის გავლენას განიცდის, მაგრამ მე გაშმაგებული ვარ, როჟ ორ ნაბიჯზე მდებარე ბანაკამდე ვერ მივაღწიეთ.

როცა უკვე აღარავის ველოდით, შაცი წამოგვადგა თავს. სახეზე წურწურით ჩამოსდის წყალი და ღიმილით აცხადებს, საძილე ტომრები, ბუმბულის ქურთუკები, თბილი ტანსაცმელი და სურსათი მოგიტანეთო. მეტი რაღა გინდა! მალე პრიმუსის სასიამოვნო გუგუნი გაისმა. არც ერთს დილიდან პირში ხემსი არ ჩაგვსვლია და გახსნილი კონსერვების სუნზე ტერაის ნერწყვი მოსდის. ამასობაში დავატონდუპმა ლეიბები გაბერა და, რადგან საჭმელი არ მიზიდავდა, ნეტარებით გავიშოტე.

მთელი ღამე კოკისპირულად წვიმდა, ვერ დავიძინე. საშინლად მციოდა, სულ კბილს კბილზე მაცემინებდა. ვიტანჯებოდი და, უნდა გამოვტყდე, მეშინოდა კიდეც, ძალიან მეშინოდა.

დილით თითქოს გაუმჯობესდა ამინდი. ღრუბლები შეთხელდა: ნაფლეთები კედლების გასწვრივ მიემართებიან და მაღლა-მაღლა იწევენ. შამონში ეს კარგი ამინდის მომასწავებელი იქნებოდა.

მოწნულ კალათში უკანვე ჩაძვრომა არცთუ ისე სასიამოვნოა. ლაშენალსაც არაფრად ეპიტნავა ისევ კაკოლეში დაბრუ-

ნება. გვეჩქარება ბანაკამდე მისვლა და წამდაუწუმ ერთსა და იმავეს ვკითხულობ:

— კიდევ ვერ მივედით?

პატარა ბავშვივით მამშვიდებენ:

— კიდევ ხუთი წუთი მოითმინე და...

ბოლოს პატარა მოედანი დავინახეთ. გამოჩნდა ყვითლად მოკიაფე კარვების სახურავები.

როცა ბანაკამდე მივაღწიეთ, სადაც იშაკი, ნუაელი და უდო დაგვხვდნენ, ცა მოიწმინდა.

მაგრამ უსიამოვნებანი ჯერ არ დამთავრებულა: შაცის აგებული ხიდი ამ საღამომდე თუ გაძლებს. იგი წყლის ზედაპირიდან მხოლოდ ოცდაათ სანტიმეტრზეა, და ყოველი შემთხვევისათვის, აუცილებელია მისი გამაგრება, სანამ ბარგის გადატანასა და დაშავებულთა გადაყვანას შეუდგებიან.

არც ერთ მზიდავს არ უნდა ჩვენი გადაყვანის გულისთვის ხიფათში თავის ჩაგდება, შერპებსაც კი ეშინიათ და ცხარედ კამათობენ. ბოლოს, აჯიბა ბედავს, ხოლო დანარჩენები ხიდის ორივე მხარეზე დგებიან მის დასახმარებლად. კარავში ვწევარ და მესმის, როგორ გადაჰყავთ ლაშენალი. შემდეგ აჯიბა დაბრუნდა, შემისვა ზურგზე და მტკიცე ნაბიჯით გაემართა ხიდისაკენ. ხიდი ლიანებით შეკრული ექვსიოდე მორისაგან შედგება და ძლივძლივობითაა მიმაგრებული ნაპირებზე. ბობოქარი წყალი ხიდს დროდადრო თავზე ეცლება. მდინარის ზედაპირთან წვრილი შხეფების ნისლი დგას. მზიდავებს ფეხები დაუსველდათ. სულ ადვილად შეიძლება დაცურდნენ. იმდენად უმწეოდ ვგრძნობ თავს, რომ მინდა თვალები დავხუჭო, მაგრამ ეს ჩემს ძალ-ღონეს აღემატება: ვხედავ, რომ აჯიბას ძალიან ფრთხილად მიეყავარ და მაინც ჩავჩურჩულებ ყურში:

– Slowly, Adjiba![1]

შეძლებს თუ არა იგი წონასწორობის შენარჩუნებას ამ მორყეულ, მოლიპულ ბოძირზე? უდო თვალყურს გვადევნებს და ცდილობს მღელვარება დამალოს. სურს გაგვამხნეოს, მაგრამ ღიმილი ნაძალადევი გამოუდის. როგორც კი ფეხი შევდგით ხიდზე, ჩემთვის იმწამსვე ნათელი გახდა ჩვენი მდგომარე-

[1] ნუ ჩქარობ, აჯიბა!

ობის მთელი უსუსურობა. აჯიბა ყოველ მოძრაობას ანგარიშობს და ძალზე ფრთხილად მიაბიჯებს.

– Slowly, Adjiba!

წყალი გაშმაგებით მიქუხს და ისეთ მორევებს ქმნის, მარტო შეხედვაზეც თავბრუ მეხვევა. გალმა გასული შერპები უკვე შორს აღარ არიან. მეშინია, მეორე ნაპირთან მიახლოებისას აჯიბამ ნაბიჯს არ აუჩქაროს და ისევ უგონოდ ჩაჩურჩულებ:

– Slowly, Adjiba!

კიდევ რამდენიმე სანტიმეტრიც და ხელს გვიწვდიან, გვეხმარებიან, გადავყავართ... გათავდა!.. შვებით ამოვისუნთქე, მაგრამ ამავე დროს გაჭირვებით ვიკავებ თავს, რომ არ ავქვითინდე — უცილობელი ნერვული რეაქციაა ასეთი განსაცდელის შემდეგ.

აჯიბამ მაშინვე წამიყვანა და კარავში დამაბინავა, სანამ დანარჩენები აჩქარებით გადმოდიან მდინარეზე, რომელშიც წყალი თვალდათვალ მატულობს. მზიდავები რიგში ჩამწკრივდნენ გადმოსასვლელთან. ორი საათის შემდეგ ყველაფერი დამთავრდა. ახლა ექსპედიცია აღარ აღმოჩნდება ანაპურნის მასივის ხაფანგში... ხვალ დილამდე ხიდს მოგლეჯს ბობოქარი ნაკადი.

უდო სასწრაფოდ გვსინჯავს. იგი შიშობს, რომ წინა ღამის სიცივე და სინესტე ზიანს მოგვაყენებდა. მართლაც, ლაშენალ ფეხები ძალიან დაუსივდა. მისი მდგომარეობა გაუარესდა, ხოლო მე, ჩვენი უხერხული ღამისთევისას, უფრო მეტად მარჯვენა ხელი დამიზიანდა. ცოტა ადრე უდო მიმტკიცებდა, თითების მხოლოდ ბოლო ფალანგების ამპუტაცია მოგვიხდებაო, ახლა კი ამბობს, რომ ორი ფალანგის მოკვეთა მაინც იქნებაო საჭირო. ყოველივე ეს ძალზე მაღონებს.

ყველანი დიდ კარავში შევიკრიბეთ სასაუზმოდ. შაცი, რომელიც გუშინ მირისტის ხეობის დაზვერვაზე იყო წასული, ამბობს, ამ ხეობით ბაგლუნგამდე და განდაკის ხეობამდე ვერაფრით ვერ გავალთო.

ეს გზა გრძელ შემოსავლელს აგვაცილებდა, მაგრამ იგი გაუვალია: რამდენიმე კილომეტრის მანძილზე გიგანტური კედლები შეეუღად ეშვებიან მდინარეში და, ამგვარად, ჩვენ ერთბაშად მოგვიხდებოდა აცოცება ერთ-ერთ თხემზე, ესე ეგი

იმ გზის გავლა, რომელიც გაიარეს ჩვენმა ამხანაგებმა 27 აპრილს.

გადავწყვიტეთ, საგანგებოდ გავგზავნოთ პანზი ნიუ-დელიში, რამდენიმე დღის წინათ დაწერილი დეპეშების გასაგზავნად.

ლაპარაკში თითქმის არ ვღებულობ მონაწილეობას. როცა ჩემგან ყურადღებას არ მოითხოვენ, ვთვლემ და აწმყოზე არ ვფიქრობ. სულ უფრო და უფრო ვსუსტდები და მაშინებს შემდგომი გზა.

ახალი გასინჯვის შემდეგ უდო ალიარებს, რომ დიდი არეა დაზიანებული და ძნელია წინასწარ განსაზღვრა, როგორ წარიმართება საქმე. ნახევრად თვალებდახუჭული ვუსმენ, იშაკს რომ უხსნის, როგორ ხდება მშრალი განგრენის აიროვანში გადასვლა, რომელიც მოითხოვს სასწრაფო და მნიშვნელოვან ამპუტაციას. იშაკს ჟრუანტელი უვლის ტანში იმის გაგონებაზე, რომ ტოქსინებს, რომლებიც აღწევენ სხეულის დაზიანებული ნაწილიდან ცოცხალ ქსოვილში, შეუძლიათ გავრცელდნენ მთელ ორგანიზმში და სისხლის საერთო მოწამვლა გამოიწვიონ. ზოგჯერ ისინი თავს იყრიან რომელიმე ერთ ორგანოში, მაგალითად, ღვიძლში: უფრო ხშირად ეს ხდება ანტიბიოტიკების, ვთქვათ, პენიცილინის შეყვანის შემდეგ.

ამასობაში ტერაი თვითონვე ამზადებს ოსტატურად ისეთ კავისებურ დასაჯდომს, როგორსაც ხმარობენ ხოლმე ალპებში დაშავებულთა გადასაყვანად. მას აკეთებენ ერთიმეორეზე მავთულით გადაბმული ჯოხებისაგან, ამგვარად, ავადმყოფის ფეხები მთელი ტანის დონეზე რჩება და ძირითადი უხერხულობა, რომელიც დაშავებულს ტკივილს აყენებს, აცილებულია. შერპები აკეთებენ ზუსტად ასეთსავე მოწყობილობას ჩემთვის. წვიმა საშინლად უბრახუნებს კარვებზე. ნეტავ როდემდე გაუძლებენ ისინი ასეთ „დაბომბვას?“

მძიმე ღამის შემდეგ, ნელ-ნელა გონს მოვდივარ. ამინდი გაუმჯობესებულა. ნეტავი საღამომდე მაინც გასტანდეს ასე! დღეს 3700 მეტრიდან 4600 მეტრის სიმაღლემდე უნდა ავიდეთ მეტისმეტად ციცაბო კალთებით. ამასთან, ვიცით, რომ „27

აპრილის უღელტეხილამდე“ ვერ ვიპოვით ღამის გასათევ ადგილს.

ყოველ შემთხვევაში, ჩვენ არც თუ ისე ცუდი საკარძლები გვაქვს. ტერაის გამომგონებლობის წყალობით, მე და ლაშენალს უკვე აღარ გვაშინებს მომავალ მგზავრობაზე ფიქრი.

მზიდავები თანაბარზომიერად ილებენ სიმაღლეს, თუმცა ბილიკი არა ჩანს. ზოგჯერ კალთა იმდენად ციცაბოა, რომ საჭირო ხდება მიწაში საფეხურების ამოჭრა. ისინი ისწრაფვიან დაღამებამდე მიაღწიონ დანიშნულ ადგილს და გმირულად მიიკვლევენ გზას სქელ ნისლში, რაც არარეალურ, ფანტასტიკურ სანახაობას წარმოადგენს. ჩრდილები ჩნდებიან და უჩინარდებიან... სილუეტები ნისლში ინთქმებიან. ნჯღრევა რომ არა, რომელიც უსაზღვრო ტკივილს იწვევს მთელს სხეულში, ეს მოგზაურობა, შესაძლოა სიზმარი მგონებოდა, ადამიანები მოჩვენებები. მთელი ძალ-ღონით ვცდილობ უგონოდ გარინდულა დავრჩე. ლაშენალს მზიდავის ზურგზე სძინავს. შევნატრი, ნეტავი როგორ ახერხებს ამას?

შუადღემდე რაზმის ძირითადი ნაწილი ბალახოვანი კულუარებით ადის და აღწევს იმ ადგილს, სადაც ასვლის დროს შაცმა საფრანგეთის ალპინისტური კლუბის ალამი დატოვა. მზიდავებს აქ უნდათ ღამის გათევა და გვარწმუნებენ, რომ უფრო ზევით, ღამისთევისათვის შესაფერი მოედანი არ იქნება. იშაკსა და უდოს თავი ისე უჭირავთ, თითქოს არ ესმით. ისინი დაშავებულთ წინ გზავნიან, თვითონ კი შერპებთან ერთად მიდიან... მზიდავები იძულებულნი არიან, გაჰყვნენ მათ. იწყება უსასრულოდ გრძელი ტრავერსი „27 აპრილის უღელტეხილისაკენ“.

ათი მეტრის მიღმა აღარაფერი ჩანს. მზიდავები მწკრივად მიდიან. სანამ ბარგაკიდებულნი მოძრაობენ, მათ არ სცივათ, გაჩერდებიან თუ არა, კბილებს აკაწკაწებენ: მათი ერთადერთი ტანსაცმელი პატარა საბანია. ვცდილობ შევეგუო ჩემი მზიდავის რიტმს. მაგრამ იგი წამდაუწუმ არღვევს ჩემს გაანგარიშებებს, რადგან ძნელსავალ ადგილებზე ხან უკლებს ნაბიჯს, ხან უმატებს. უნებურად ვიწვდი ხელებს, თითქოს ვცდილობ დაეხმარო, ან თავი დავიფარო ბიძგებისაგან. შორს, ქვემოთ, ამ ჯოჯოხეთური ხეობის სიღრმეში, მირისტი ღრიალებს.

დღის ბოლოს მივაღწიეთ მწყემსების ლამის სათევ პატარა მოედანს, რომელიც ერთადერთი სწორი ადგილია „27 აპრილის უღელტეხილამდე". ამ საღამოსვე უღელტეხილამდე მისვლაზე ლაპარაკიც ზედმეტია. კანონიერება მოითხოვს, რომ ამაღამ აქ დავრჩეთ. ჩემი თხოვნაა, მომათავსონ კარავში, სადაც უძრავად წოლა შემეძლება.

პირქუში განთიადია. გავდივართ კოკისპირულ წვიმაში. ოციოდე მეტრის იქით აღარაფერი ჩანს. დღეს უნდა განვაგრძოთ ტრავერსი, რაც უამრავი ნაკადის გადაკვეთას მოითხოვს. ეს ადვილი როდი იქნება.

მძიმე დღე მომელის. ნათლად ვგრძნობ, რომ ჩემი მდგომარეობა უარესდება. აღარაფრის ძალა აღარ შემწევს, სრულიად მოქანცული ვარ.

შაცი ცდილობს გამამხნეოს და მარწმუნებს, რომ თხემი უკვე ახლოსაა. შემდეგ მოისმის საზეიმო შეძახილი. ეს იშაკია. მისი ხმა ძლივს მესმის, თუმცა ჩემგან სულ რამდენიმე მეტრზეა.

— მორის, შენ უკვე კრიშნას მხარეზე ხარ!

მე არა ვგრძნობ განსაკუთრებულ სიხარულს, თუმცა მნიშვნელოვანი მომენტია. იშაკთან ახლოს ვავლისას ვხედავ, რომ ის კინოაპარატს ატრიალებს. ეს საქმიანობა მე უაზრობად მეჩვენება, — ალბათ არაფერი გამოვა, ფერადი ფილმისთვის, როგორც არაერთხელ უთქვამს იშაკს, სინათლეა აუცილებელი, აქ კი საკმარისი სინათლე არ არის.

უღელტეხილისაკენ ვიწყებთ დაშვებას. მზიდავებს ყოველ ნაბიჯზე უსხლტებათ ფეხი. ფერდობზე მკვეთრი ნჯღრევა აუტანელ ტკივილებს მაყენებს. ძნელი დასაჯერებელია, მაგრამ წვიმა სულ უფრო ძლიერდება. ნისლში ვცდილობთ ვიპოვოთ სწორი ადგილი ბანაკისათვის. ვიდრე ჩემი ამხანაგები მოედანს ეძებენ, მზიდავები განაგრძობენ დაშვებას თხემის უნაგირასაკენ, სადაც ნიში დგას.

არაფერი მესმის: აკი გადავწყვიტეთ, უღელტეხილზე გავჩერებულიყავით. წინმავლებმა, ცხადია, ივარაუდეს, რომ ტყის კიდემდე მივაღწევდით. იქამდე ორი საათის სავალია. მათ დააკვიწყდათ დანარჩენები. მე პროტესტს ვაცხადებ. წინსვლა უგუ-

ნურებაა. გარდა ამისა, ვგრძნობ, რომ ორი საათი ვეღარ გაეუძლებ ამ წამებას. ძალა ალარა მაქვს, ასე მგონია, სადაცაა მოვკვდები. ნეტა დამდონ სადმე, რომ არ გავინძრე.

ვემუდარები იშაკს, შეაჩეროს რაზმი და დააბრუნოს პატარა მოედანზე, რომელიც ეს-ეს არის გამოვიარეთ. ძალიან უხალისოდ ბრუნდება ავანგარდი. ამასობაში შერპები სველ მიწაზე კარვებს დგამენ.

წინ გვაქვს უკანასკნელი ძნელი დღე: შაძიუ-კჰოლასთან 2000 მეტრზე უნდა დავეშვათ და მწყემსების ბანაკამდე მივაღწიოთ. ნეტავ თუ გავლენ ამ წარმოუდგენლად ციცაბო კალთებზე მზიდავები, განსაკუთრებით ისინი, ვინც დაშავებულებს წაიყვანს? სწორედ გზის დასაწყისშივე, თხემის უნაგირას მიღმა, ნიშთან, ერთ მზიდავთაგანს ფეხი დაუსხლტა: იგი ორმოცდაათ მეტრზე ჩაკოტრიალდა, სადაცაა კილომეტრზე ქვეეით დაეშვება, პირდაპირ მდინარეში... არა! იგი რაღაცას ჩაებღაუჭა, იქვე გაიშოტა. ტვირთი, რომელიც მას მიჰქონდა, ჩაგორდა ფერდობზე, როგორც კონტეინერი. აი, ის ახტა, შემოსწერა განიერი რკალი და უფსკრულში გაუჩინარდა. მზიდავი იოლად გადარჩა. იგი ადგა და მოვიდა ჩვენთან. ეს ტუკუჩიდან გამოსული ტიბეტელია.

უეცრად საშინელი ყვირილი მოისმა. არ დამინახავს, რა მოხდა, მაგრამ შეძახილებით მივხვდი, რომ ვეებერთელა ქვა მოწყდა კულუარში, ლაშენალის ზემოთ, იქვე მდგომმა ტერაიმ მოახერხა ხელი ეკრა მისთვის, მაგრამ ქვა ცხვირში მოხვდა ლაშენალის მზიდავს. იგი დაეცა და ვერ შეძლო სახის დაცვა, რადგან ხელები საშტორმო ქურთუკის ჯიბეებში ჰქონდა ჩაყოფილი. სახეზე დიდი ნაჭდევი დააჩნდა და მთლად სისხლშია მოთხვრილი. არცთუ ისე გამამხნევებელი დასაწყისია.

იშაკი, რებიუფა და შაკი დიდი ბალახოვანი კულუარით ეშვებიან. ეს ზაზუნების სამყოფელია, რომელიც რებიუფამ აღმოაჩინა ასულის დროს. ისინი ჩერდებიან პირველ ხეებთან, ხოლო დანარჩენები ფრთხილად მიჰყვებიან მათ ნაკვალევს. იმის გამოსარკვევად, თუ ვისი იყო შაძიუ-კჰოლაში ჩავარდნილი ტვირთი, გადაწყვიტეს, მზიდავები რომ მოვლენ, ბარგი თანმიმდევრობით შეამოწმონ.

— ჩემი უნდა იყოს, —ამბობს შაკი, — მე კი, ჩემს სიცოცხლეში პირველად განზრახ ჩავჩხირე შიგ საფულე და ავტოკალამი.

შაკი აცქერდება ერთ მზიდავთაგანს... იგი იღებს ზედა ტვირთს და გახარებული პოულობს მის ქვეშ თავის ზურგჩანთას.

— ეჭვი არ არის, — ამბობს იშაკი, რომელიც გამორიცხვის მეთოდით ხელმძღვანელობს, — რა თქმა უნდა, გასტონის ზურგჩანთაა.

რებიუფა ენთუზიაზმის გარეშე აღიქვამს ამ ახალ ამბავს. უკან გამომგზავრებაც ტანჯვაა მისთვის: მოყინული ფეხები ჯერ კიდევ ახსენებენ თავს. მე ვხედავ, რა ნაღვლიანად ზის იგი და ცდილობს გაიხსენოს, რა დაჰკარგა. უეცრად იშაკს გონება გაუნათდა:

— გასტონ, ნახე, რაზე ზიხარ!

იგი თვალისდახამხამებაში წამოხტა და წაიკითხა ზურგჩანთაზე: „გ. რებიუფა“.

ყველაფერი ისე დამთავრდა, როგორც ზღაპარშია ხოლმე: ჩავარდნილი ზურგჩანთა ერთადერთია, რომელსაც მფლობელი არ ჰყავდა, მასში იყო სათადარიგო ტანსაცმელი...

შევდივართ არაჩვეულებრივად ხშირ, გაუვალ ტყეში. მივჩანჩალებთ წყალქვეშა სამეფოში, ნესტიან, არაჯანსაღ ჯუნგლებში, სადაც ყოველ წუთს უნდა ელოდე საზიზღარი ურჩხულების გამოჩენას. ასვლის დროს სწორად აქ ვნახეთ ისეთი საუცხოო წითელი ფერის გიგანტური დეკა.

შევდივართ ყვავილების ბუნებრივი თაღის, სახელგანთქმული „ტრიუმფალური თაღის“ ქვეშ.

წინმავალი მზიდავები შეჩერდნენ. რატომაც არა? საერთო შესვენება და მალე კოცონებიც აგიზგიზდნენ.

უდოს აზრით, გზის უძნელესი უბანი წინ არის. ამიტომ მას სურს, რადაც არ უნდა დაგვიჯდეს, წინსვლა განვაგრძოთ. იგი მორფისა და სპარტო-ქაფურის ახალ ნემსებს მიკეთებს. იმდენად გამხდარი ვარ, რომ ნემსების გაკეთება მწვავე ტკივილს მაყენებს, რომელიღაც წამში გონებას ვკარგავ. შერპები და მზიდავები ყველანი მე შემომცქერიან, ალბათ რა სანახავი ვარ! მათ თვალებში სულ სხვანაირი გამომეტყველებაა, რომელიც წინათ არ მინახავს. სიბრალულია ეს, სევდა თუ თანაგრძნობით აღსავსე გულგრილობა? გასვლის წინ შერპებმა მუხლებზე დამიდეს ულამაზესი ყვავილების წნული. ამ ყურადღებამ ძალზე ამიჩუყა გული. ამიერიდან მთელი ამ გრძელი გზის მანძილზე, მცირეოდენი შესაძლებლობისასაც კი, შერპებს არ ავიწყდებათ ჩემთვის ყვავილების მოტანა.

ვიწყებთ დაშვებას მკვდარ ჯუნგლებში. შერპები წინ მიდიან. თავისი კუკრების[1] ძლიერი მოქნევით ჭრიან ბამბუკის ღეროებსა და ტოტებს, რომლებიც გზას გვიღობავენ. მიწა სველია, ფეხი უსხლტებათ — არა მგონია ერთი მაინც დარჩენილიყოს ამ დღეს, რომ არ დაცემულიყოს; კუზი, იშაკი, უდო, შაცი და ტერაი წინ მიდიან დაზვერვაზე. ნუაელი გეგმის თანახმად, ერთი დღის სავალით ყოველთვის წინაა, ხოლო რებიუფა ჩემთან და ლაშენალთან რჩება. უდოს ნემსები ფრიად ეფექტური აღმოჩნდა: ძალზე გაწამებული ვარ, მაგრამ უკვე აღარ ვგრძნობ ისეთ ტკივილს და ნახევრად თვალდახუჭული მეტწილად ვთვლემ. ლაშენალი კვალდაკვალ მომყვება. უკანასკნელი მონაკვეთი მდინარემდე განსაკუთრებით ციცაბოა. ჩემი ფიქ-

---

1 მოღუნული ხანჯალი, ნეპალის ეროვნული იარაღია.

რით, ათასიდან მხოლოდ ერთი შესაძლებლობა მაქვს, რომ ცოცხალმა ჩავაღწიო. ფაქტიურად თითქმის შვეული ფერდობია, ხოლო ვიწრო ბილიკი კუთხით ჰკვეთს მას. მზიდავები ბილიკის გასწვრივ წამოზრდილ ხეებს ეჭიდებიან.

ჩემმა მზიდავმა აღარ იცის, რა ქნას: ველარც წინ მიდის და ველარც უკან. ბოლოს იგი მუცლით ეკვრის კედელს და გვერდულად მიიწევს წინ. ჩემი ჩასაჯდომი პირდაპირ უფსკრულის თავზე ჰკიდია. შერპები წამდაუწუმ არჭობენ წერაყინებს სველ მიწაში და შეუპოვრად აწვებიან, რომ დაეხმარონ ჩემს მზიდავს. სულ უმნიშვნელო შენჯღრევასაც კი მწვავედ ვგრძნობ. შეძრწუნებული ვუყურებ ჩემს ქვემოთ მჩქეფარე შაძიუ-კჰოლას, რომელშიც ყოველ წუთს შეიძლება ჩავვარდე, თუ მზიდავს ფეხი დაუცდა, ველარაფერი გვიშველის. იქნებ მზიდავმა კიდევ მოახერხოს შეჩერება, მაგრამ რა მიხსნის მე? უკვე აღარ შემწევს ძალა შიშთან საბრძოლველად. ახლა უკვე ვიცი, რა არის ნამდვილი შიში. ლაშენალიც ასევეა დაშინებული. საბედნიეროდ, მას ხელები თავისუფალი აქვს და დროდადრო შეუძლია მოიხმაროს. თითოეული ნაბიჯი მიზანს გვაახლოებს და შვებას გვანიჭებს. მაგრამ დასასრულის წინ თურმე უკანასკნელი განსაცდელი მოგველოდა. ისედაც ძლივს შესამჩნევი ბილიკი ექვსიოდე მეტრის მანძილზე სრულიად აღარა ჩანს. კლდის გასწვრივ პატარა ნაპრალი იხვევა, რომელშიც ზოგჯერ ხერხდება ფეხის შეყოფა. ჩემი მზიდავი უდიდეს სიმამაცეს ამჟღავნებს და განაგრძობს წინსვლას. ვერაფრით ვერ გამომიქვამს ჩემი აღფრთოვანება ამ ადამიანებით, რომლებიც უდრტვინველად ასრულებენ ესოდენ სახიფათო სამუშაოს. უმნიშვნელო ოღროჩოღროებზე ხელჩავლებული იგი მიდის წინ გვერდულად, სხვები კი ეხმარებიან, რომ ფეხი საიმედოდ დაადგას.

როგორც იქნა, მივაღწიეთ შაძიუ-კჰოლას. ფონით გადასვლა მოგვიხდება ამ ნაკადზე, რომელიც მუსონური წვიმების შედეგად ადიდებულა. ჩემს შემდეგ ლაშენალმა გამოიარა სახიფათო მონაკვეთი. მიუხედავად იმისა, რომ ძალიან ეშინოდა, მგონია, მოერია თავისთავს, მაშინ, როდესაც მე საცოდავი დავრდომილი ვარ და მეტი არაფერი. ერთმანეთის მხარდამხარ მდგომი

და ხელიხელჩაკიდებული მზიდავები წარმატებით ებრძვიან ნაკადის ძალას. ავდივართ ასიოდე მეტრზე. ბარდნარი საამო სურნელებას აფრქვევს. იქ, მოშორებით, მწყემსების ღამის სათევი ადგილი მოჩანს.

სანამ უკანასკნელ ძალას მოიკრეფდნენ, მზიდავები შეჩერდნენ, მაგრამ რამდენიმე წუთის შემდეგ ვთხოვე ჩემს მზიდავს. რაც შეიძლება ჩქარა მივეყვანე ბანაკამდე. მგონია, როდ კლდოვანი კედლის ძირთან მან სწორი მიმართულება ვერ აირჩია— აქეთკენ გადმოსვლისას ეს კალთა ტრავერსით გავიარეთ — თუმცა ჩვენი შერპები მტკიცედ მიაბიჯებენ. ისეთ ციცაბო ბალახოვან ფერდობზე გავედით, რომ იძულებული ვართ ყინულზე სვლის ტექნიკა გამოვიყენოთ. შერპები არ დრკებიან, განვაგრძობთ გზას და ნამდვილ ცოცვაზე გადავდივართ. ამას კი ვეღარ ვუძლებ და იშაკს ვეძახი, მოგვეშველოს, თორემ მოვწყდებით. მაგრამ მზიდავები ჯიუტობენ. ახლა ჩვენ ვერტიკალური კედლის თავზე გადმოკიდებული ლავგარდანის ქვეშა ვართ. კლდეები დაშლილია. კლდიდან ერთ მეტრზე დაშორებული მზიდავის ზურგზე ვზივარ და ვხედავ ჩემს ქვემოთ ხეობის მთელ სიღრმეს. შერპები ღელავენ. მეუბნებიან, რომ მზიდავს არ შეუძლია უკან მობრუნება. იგი წინ უნდა მიდიოდეს. მეტის ატანა არ ძალმიძს და შველას ვითხოვ... მაგრამ მე უკვე დიდი ხანია ბედი მწყალობს.

რამდენიმე ნაბიჯის შემდეგ სიარული გვიადვილდება, ისევ ბალახზე ვავდივართ და ვპოულობთ ბილიკს, რომლითაც თავიდანვე უნდა გვეველო. ლაშენალი ითვალისწინებს ჩემს გამოცდილებას და ამ გზას ირჩევს. ბანაკში სწორედ იმ დროს მივედით, როცა წვიმამ გადაიღო.

კარავში რაკი მოვხვდი, აღარაფერი აღარ მინდა, გარდა სიმშვიდისა და მოსვენებისა... ლაპარაკისათვის ძლივს მყოფნის ძალა, მაგრამ მაინც ჩავჩურჩულებ უდოს, რომ მთავარი სიძნელე უკანაა დარჩენილი — ლეტემდე კარგი ბილიკია. მახსენდება ფოთლოვანი ტყეები სოფლის ახლოს და გრანიტის ლოდებით მოფენილი ლამაზი მდელოები, რომლებიც შამონის ველს მაგონებდნენ. უკან გამობრუნებისას ეს ჭალა მთელ მანძილზე სტუმართმოყვარედ და პოეზიით აღსავსე თავშესაფრად მეჩვე-

ნებოდა! ოჰ, რა კარგი იქნებოდა, აქ რომ მეტხანს დარჩენა შეგვძლებოდა! ამხანაგები მეთანხმებიან. ბოლოს და ბოლოს უაზრობაა ყველანი ტუკუჩაში წავიდეთ, რაკი მაინც ლეტეზე დაბრუნება მოგვიხდება. ამ ტყეებში რეორგანიზაციას გავუკეთებთ მთელს ექსპედიციას, ვიდრე ინდოეთის საზღვრისაკენ ნეპალის ველებზე ხანგრძლივ მოგზაურობას შევუდგებოდეთ.

— სად არის ჩემი წერაყინი? — ვეკითხები შაცს.

ჩემთვის ამას დიდი მნიშვნელობა აქვს. ვინაიდან ლაშენალმა დაკარგა თავისი, ჩემი წერაყინი ერთადერთია, რომელმაც ანაპურნის მწვერვალი მოიარა. იგი არავის უნახავს საბაზო ბანაკიდან. შაცი ათვალიერებს შერპების ყველა წერაყინს, მაგრამ ჩემსას ვერ პოულობს. მე ღრმად განვიცდი ამ დანაკარგს. თავისთავად წერაყინი დიდ ღირებულებას არ წარმოადგენს, მაგრამ განზრახული მქონდა, რომ დაბრუნებისას იგი საფრანგეთის ალპინისტური კლუბისათვის გადამეცა.[1]

დღეს მოკლე სავალი გვაქვს: უდოს მიაჩნია, რომ ლეტეს ჭალას შუადღემდე მივაღწევთ. აჩქარება არ არის აუცილებელი და შეგვიძლია დავტკბეთ მზის სხივებით, რომელიც თითქოს სასწაულით მოგვევლინა. მზიდავები მიდიან, შემდეგ კი ჩვენც ვტოვებთ მწყემსების ბანაკს.

ყველანი ერთად მივდივართ ჩოიაში, სადაც აღფრთოვანებით გვხვდებიან. ადგილობრივი მკვიდრნი თავჭუდმოგლეჯილნი მორბიან ჩვენთან და ცნობისმოყვარედ შესცქერიან დაშავებულთ. დავატონდუპს აქ განცდილი სიამოვნების მარტო მოგონებითაც კი ალბათ ნერწყვი უშრება... ანგ-თარკე ვრცლად უხსნის იშაკსა და უდოს, თუ რა დიდებული იქნება ეს ადგილი ბანაკისათვის. აქ არის წყალიც, ტყეც და საჭმელიც...

— Good place![2] — დაყინებით იმეორებს ჩვენი სირდარი.

ჩოიაში ჩანგიც არ არის ცუდი...

მაგრამ საჰიბებს თითქოს არ ესმით. წინ!

რაზმი უხალისოდ დაიძრა და მალე კრიშნა-განდაკის ნაპირებთან მივედით. მისი გამჭვირვალე სუფთა წყალი ამღვრეულა და გაჭუჭყიანებულა. იგი საშინელი ხმაურით ბობოქრობს

---

[1] წერაყინი იპოვეს ორი დღის შემდეგ.

[2] კარგი ადგილია!

და ქაფდება. გავედით ხიდზე ყოველგვარი შემთხვევების გარეშე და ერთი საათის სიარულის შემდეგ, როგორც იქნა, მივაღწიეთ შესვენების ადგილს, რომელზედაც დიდხანს ვოცნებობდი.

შევარჩიეთ გრანიტის სამი უზარმაზარი ლოდით შემოფარგლული მწვანით მოსილი დიდი მოედანი. გარს გვარტყია ნაზი მწვანე რბილწიწვიანი ხეები. გრილი და მშვიდი ადგილია! ქარი აქანავებს ხეთა ტოტებს და თვალებს რომ ვხუჭავ, მგონია ისევ შამონში ვარ.

შერპები, სადაც მოსწონთ, იქ დგამენ კარვებს. მზე აცხუნებს და უდო პირდაპირ ღია ცისქვეშ გვსინჯავს. მე ფეხის დაჩირქება დამეწყო და ხელებიც საშინელ მდგომარეობაში მაქვს. ჰაერში მეტად საზიზღარი, გულისამრევი სუნი დგას. ყველა სახვევი ჩირქითაა გაჟღენთილი. უდო იყენებს ბანდების უკანასკნელ მარაგს—მან იცის, რომ ტუკუჩიდან ახალი პარტია მოვა. მთელი ამ ხნის განმავლობაში იგი პირველად იღებს ხელში მაკრატელს და იწყებს „კანის მოცლას", ე. ი. მკვდარი ქსოვილის მოცილებას. ფეხებში არ ვგრძნობ განსაკუთრებულ ტკივილს, მაგრამ ხელები იმდენად მგრძნობიარეა, რომ ოდნავ შეხებაზეც კი უნებლიეთ ვყვირი. ვეღარ ვუძლებ, აღარ შემიძლია მეტი ბრძოლა. უდო თავს მანებებს და ჭრილობებს ქრომისმჟავა სინდიყს უსვამს.

— იწექი აქ, ვიდრე მე ლაშენალს მოვუვლი, — მეუბნება იგი.

ლაშენალი უკეთესადაა. მან კარგად აიტანა ეს მტანჯველი მგზავრობა და ახლა, ბარში, იგი მშვენიერ გუნებაზეა. შესანიშნავი მადაც არ ღალატობს.

შუადღისას იშაკი, უდო და შაკი ტუკუჩაში წავიდნენ, სადაც მათ სიხარულით შეხვდნენ ნუაელი და ჟ. ბ. რანა. განლაგდნენ იქ შემორჩენილ მცირეოდენ კარვებში და სალამოთი კარგა ხანს ისაუბრეს. საუბარი არც თუ ისე ხალისიანი იყო, ვინაიდან იგი უმთავრესად ავადმყოფთა მდგომარეობას შეეხებოდა. უდოს მიაჩნია, რომ მე უეჭველად უნდა გამიკეთდეს ოპერაცია ინდოეთის საზღვართან მისვლამდე (ე. ი. ივლისის პირველ ნახევრამდე).

მეორე დღეს ბანაკი საბოლოოდ მოიხსნა. ირგვლივ მზიდავები და ბავშვები გვახვევია. მთელი საათობით ჩაცუცქულნი უთვალთვალებენ კონსერვის ქილებსა და რძის ძველ ტუბებს. ნუაელი თვალყურს ადევნებს მზიდავებთან ანგარიშსწორებას: უხვად არიგებენ რუპიებს. საღამომდე უდო ამთავრებს მზადებას და მიემგზავრება უკანვე ლეტეში თავის პაციენტებთან.

24 საათში ყველაფერი მზადაა. ჩემს ამხანაგებს შეუძლიათ დატოვონ სოფელი, სადაც ესოდენ გულთბილად მიგვიღეს და გვმასპინძლობდნენ თითქმის ორი თვის განმავლობაში. მზიდავები და ადგილობრივი მცხოვრებნი საჰიბებს ხანგრძლივი შეძახილებით აცილებენ. ეს გამოთხოვებაა! 4 საათისათვის ყველანი ლეტეში დაბრუნდნენ.

ავადმყოფების მდგომარეობა, განსაკუთრებით ჩემი, საფრთხეშია. წინადღით დაბრუნებული უდოც აღიარებს, რომ მდგომარეობა კრიტიკულია.

დილიდანვე იგი ოპერაციებს აკეთებს. განაახლა მტანჯველი ნემსების კეთება. მე სულ უფრო საცოდავი სანახავი ვარ. ოცი კილოგრამის დაკარგვის შემდეგ მეტისმეტად გავხდი. ციებ-ცხელებამაც დამრია ხელი. ამ საღამოს 40,9°C სიცხე მაქვს!

— 39°C, — თვალისდაუხამხამებლად აცხადებს იშაკი.

ჩემზე აღარაფერი მოქმედებს და მეტწილად უგრძნობ, კომატოზურ მდგომარეობაში ვარ.

— პენიცილინის გაძლიერებული დოზები! — გაისმის უდოს ბრძანება.

თვალები თავისით მეხუჭება... ნისლიდან ლანდები გამოდიან... ისინი სულ უფრო მიახლოვდებიან... იხრებიან ჩემს თავთან... უხმაუროდ უჩინარდებიან.

სიჩუმე ლოდივით მაწვება.

ტკივილი მიყუჩდა. მეგობრები მდუმარედ მივლიან. მუშაობა დამთავრდა. გონება გამინათდა. დარჩენილ ძალ-ღონეს ვიკრებ და ჩემს უკანასკნელ გრძელ ლოცვაში, სიკვდილს ვემუდარები, ჩქარა მომხედოს.

სიცოცხლისათვის ბრძოლის სურვილი დაკარგე.

დავნებდი — ეს მდგომარეობა უკიდურესი დამცირებაა

ადამიანისათვის, რომლის მამოძრავებელი ძალა ყოველთვის სიამაყე იყო.

ახლაც არც კითხვებისა და არც საყვედურების დრო არ არის.

სიკვდილი! მე პირდაპირ თვალებში ვუცქერ მას!

სასოწარკვეთით ვუხმობ მოვიდეს!

უეცრად თვალწინ წარმომიდგება ადამიანთა ცხოვრება. ის, ვინც სამუდამოდ მიდის, მარტო არ არის. მე მთები მიცავს. მე არნახული ჰორიზონტები მეხსნება. იქ ჩემს ფერხთა ქვეშ, ამ ვრცელ ველებზე, მილიონობით ადამიანი მიჰყვება ბედს.

მომაკვდავნი ზებუნებრივ ძალას ფლობენ. არაჩვეულებრივი ინტუიცია პიროვნებას მთელ სამყაროსთან აიგივებს. მწვეერვალი ესაუბრება თხემზე მოსისინე ან ფოთლებთან მოთამაშე ქარს.

ყველაფერი კარგად იქნება. მე აქ დავრჩები სამუდამოდ, რამდენიმე ქვა და ჯვარი დაამშვენებს ჩემს საფლავს.

ჩემი წერაყინი მომცეს.

ნიავის მსუბუქი ქროლა ნაზია და სურნელოვანი.

ჩემი მეგობრები მიდიან. მათ იციან, რომ ახლა სამშვიდობოსა ვარ.

გავყურებ, როგორ მშორდებიან ისინი ნელი, სევდიანი ნაბიჯებით.

პროცესია ვიწრო ბილიკზე გაიჭიმა. ისინი ბარისაკენ და მშვენიერი ჰორიზონტებისაკენ მიდიან.

დუმილია...

XVIII

ბრინჯის ყანებზე

ე სუბუქი ტკივილის დროსაც კი ვყვირი: იშაკმა ეს-ეს არის გამიკეთა თავისი პირველი ნემსი და საშინლად აღელვებულია. გადაუღებლად წვიმს... ნაღვლიანი გარემოა გასვლისათვის.

ვიდრე გასვლის ბრძანებას გასცემდა, უდო მერყეობდა, მაგრამ დღეს უკვე 19 ივნისია და დროა გავემგზავროთ.

მე და ლაშენალი ჟ. ბ. რანას გაკეთებულ საკაცეებზე ვწევართ. სანამ ისევ გავირინდებოდე, გრძნობამორეული, უკანასკნელად ვავლებ თვალს ჭალას.

რაზმი დაიძრა. რებიუფას ცხენი უშოვია და დანავარდობს ჩვენს გარშემო. ფონით გავდივართ დჰაულაგირიდან მოვარდნილ ნაკადში.

მზიდავები მხარდამხარ დგებიან, რათა ებრძოლონ დინებას, ტრუსებისამარა დარჩენილი იშაკი და უდო, მედიდურად მიაბიჯებენ. ამ უკანასკნელი ამბების შემდეგ ისინი ჩამოთხელდნენ და ახლა მოხდენილი ტანადობის ჭაბუკებად გამოიყურებიან.

დანაში რომ მივედით, პირველად ვიგრძენით, რომ მაღალი მთები უკან დარჩა: სიმინდის ყანები, ბანანები, სიცხე — ეს უკვე ბარისაკენ დაბრუნებაა.

მიუხედავად იმისა, რაც თავს გადაგვხდა, მაინც გული გვწყდება, რომ სამუდამოდ ვტოვებთ ამ მხარეს, სადაც ესოდენ მღელვარე დღეები გადავიტანეთ.

მზიდავები თანდათანობით გვტოვებენ. მიუხედავად ხვეწნისა, პანდიც კი უარს აცხადებს უფრო შორს წამოსვლაზე.

მას არ მოსწონს ბარის ჰავა. ტანზე ღვარღვარით ჩამოსდის ოფლი.

20 ივნისს, ნაშუადღევს კარგ ბილიკს დავადექით. მზე, დიდი ხანია არ გამოჩენილა, ახლა კი რამდენიმე წუთით გამობრწყინდა. სასაუზმოდ უზარმაზარი ბანანების ქვეშ გავჩერდით. ჩემთვის ეს წამებაა: ჭამაზე ფიქრიც კი ზიზღსა მგვრის. უდო ჯალათი გახდა — იგი მაიძულებს ვჭამო და სხვებიც ცდილობენ რაიმე გადამაყლაპონ.

იშაკი და უდო ყოველნაირ ხერხს მიმართავენ: ხან მარწმუნებენ, ხან მეხვეწებიან, ბოლოს მოთმინებიდან გამოსულნი, მუქარაზე გადადიან:

— ასეთი რეჟიმით რამდენიმე დღესაც კი ვერ გაატან.

მათ არ იციან, რომ მე სულაც არ მაღელვებს ეს მათი დასაბუთება! როდესაც ისინი თავს ანებებენ ამაო რწმუნებას, უდო მიახლოვდება და მოურიდებლად, უბრალოდ, მიბრძანებს შევჭამო, რასაც მაძლევენ.

აუცილებლად უნდა მოუთავო ხელი ამ თირკმლებს. ერთი წუთის შემდეგ დავბრუნდები და ვნახავ, შეჭამე თუ არა. ხომ არ გინდა, რომ ძალით გადაგაყლაპონ!

სარკე ჭრის საზიზღარი შესახედაობის თირკმლებს და დანის წვერით მაწოდებს. გაუთავებლად ვღეჭავ ბავშვივით... გადაყლაპვა შეუძლებელია! არა და სადაცაა დაბრუნდება! ყველაზე მეტად იმისი მეშინია. ძლივს გადავყლაპე ნაჭერი, ზედ ყელზე მადგას და ასე მგონია ამწუთას ამომაღებინებს. დასწყევლოს ეშმაკმა, კიდევ რამდენი უნდა გადავყლაპო! უდო მკაცრი გამომეტყველებით დაბრუნდა.

— არასერიოზულად იქცევი, მორის!

მერე მიუბრუნდა სარკეს და უბრძანა — განაგრძეო.

და ასე ყოველთვის.

ბანანების ქვეშ გრილა. მიმზიდველი, მსუქანი ვარიები უშიშრად დანავარდობენ ჩვენს ახლოს. რომ შეიძლებოდეს ერთი მათგანის შეჭმა, ეს ბევრად უფრო სასიამოვნო იქნებოდა, ვიდრე მაგარი ცხვრის ხორცი, რომლის სუნიც კი გულს შირევს. გლეხი მზადაა მოგვყიდოს ერთი, იმ პირობით, თუ ჩვენ თვითონ დავიჭერთ. ძლივს ასწრებს დასტურის მოცემას, რომ ჟ. ბ. რანა იღებს თოფს და ესვრის. შუაზე გაგლეჯილი წი-

წილა, თავის სიცოცხლეს ქვაბში ამთავრებს. ანგ-თარკეს ტრიუმფით მოაქვს იგი ჩემთან: ძლივს რაღაცის ჭამა მოვისურვე!

ჩემი დანელი მზიდავები ზებუნებრივი ოსტატები არიან. ოთხ კაცს ბუმბულივით მსუბუქად მივყავარ. ერთი მათგანი, ორმოცდაათიოდე წლის ცალთვალა მზიდავი მეტად გულისამაჩუყებელ მზრუნველობას იჩენს ჩემდამი. ყოველ შესვენებაზე მამშვიდებს, რომ გზა მათ კარგად იციან და სავალიც ცოტაღაა დარჩენილი.

მათი ძალ-ღონისა და სიმარდის რწმენა მამხნევებს: ერთმა მზიდავმაც რომ წაიბორძიკოს, ან მე ან ლაშენალი შეიძლება ასეულ მეტრზე გადავიჩეხოთ. ზოგჯერ საკაცე გვერდზე იხრება და, რომ არ გადმოვცურდე, სასოწარკვეთილი ვებჯინები მას მუხლებითა და იდაყვებით. როცა ამას ვერ ვახერხებ, მშველელს ვუხმობ. მოირბენს ხოლმე ერთ-ერთი შერპი და ხელს შემაშველებს.

ეს მღელვარება ძალიან მოქმედებს ჩემზე და ვთხოვ, ერთერთი შერპი მუდმივ თან მახლდეს. ეს დაავალეს სარკეს, რომელიც ბოლომდე ჩემთან დარჩა. ის მაწოდებს ხოლმე ცივ წყალსა და ბანანებს, მეხმარება ჭამის დროს და ყოველი შესვენებისას ლეიბს მიბერავს, რომ ქვებმა არ შემაწუხონ. ისე გამხდარი ვარ, რომ მცირეოდენი უსწორმასწორობაც ტკივილს მაყენებს.

ერთი ღამე ბანდუნგთან გავათიეთ, უზარმაზარი ჩანჩქერის ახლოს. კოკისპირულად წვიმდა. ჩემს კარავში მწოლარე, ძლივს ვგრძნობდი მუსონის შეტევას და ვცდილობდი დამეძინა. მაგონდებოდა ჩვენი კოშმარული დაშვება. მე ვფიქრობ შეუძლებელია ესოდენ ხანგრძლივი გოლგოთის ატანა. ჩემი სახვევების სუნი ალბათ ყველას ზიზღსა ჰგვრიდა, მაგრამ არავის დაუჩივლია. თვითონ კი ხშირად თითქმის გონებას ვკარგავდი.

იშაკს ჩემ გვერდით ეძინა. ბოლოს მეც ჩამთვლიმა. შუაღამისას უეცრად გამეღვიძა. წყვდიადია. ზებუნებრივი ძალა მაიძულებს წამოვიწიო. მძიმე სევდა გულს მიკუმშავს. „არყოფნის“ გრძნობა მიპყრობს, მეჩვენება, რომ ამწუთას მოვკვდები. ყურებში გამაყრუებელი რეკვა მესმის განუწყვეტლივ.

ჩემდაუნებურად დავიყვირე: „სადა ვარ?“ სინათლე აანთეს. შვებით ამოვისუნთქე თავი რომ კარავში ვიგრძენი დამომაგონდა, ექსპედიციის წევრი ვარ. იშაკი შეშფოთდა:

— ეშმაკმა დალახვროს, რა მოხდა?

ვცადე ამეხსნა ჩემს მიერ ახლახან განცდილი „არყოფნის“ საშინელი შეგრძნება.

— ალბათ კოშმარი იყო, — მითხრა მან.

სინათლე აღარ ჩააქრო და ალერსიანად მელაპარაკა, ვიდრე სრულიად არ დავმშვიდდი.

მეორე დილით, უპირველეს ყოვლისა, უდოს ვუამბე ამის შესახებ. მან ამიხსნა, რომ მორფი ზოგჯერ იწვევს ასეთ რეაქციას. ამიერიდან უკვე ვეღარ გავბედავ მის მიღებას. მირჩევნია, ყველაზე საშინელი ტკივილი ავიტანო, ვიდრე ასეთ ფასად შემიმსუბუქდეს.

ბენის მახლობლად გავიგეთ, რომ იქ ქოლერა მძვინვარებდა. იძულებული ვართ, სოფელს გვერდი ავუაროთ და გავიდეთ ბობოქარ, აულაგმავ მდინარე განდაკის ხიდზე. ეს ხიდიკი, რომლის სიგრძე 60 მეტრს აღემატება და მდინარის დონიდან 15 მეტრის სიმაღლეზეა გაბმული, ძალიან გვაღელვებს: იგი გაკეთებულია ორი გრძელი ჯაჭვისა და დაჟანგული, გამრუდებული რკინის წნელებისაგან, რომელიც ამაგრებს ძველ, დამპალ ფიცრებს. ხიდი მთლიანად ირყევა, რაც, შესაძლოა, საბედისწერო გახდეს ჩვენთვის. კაკოლეს გამოყენება დაგვჭირდება! პირველად გადადის ლაშენალი. იგი რამდენიმე მეტრის გავლასაც ვერ ასწრებს, რომ საშინელ ყვირილს იწყებს. შერპები ეხმარებიან აჯიბას, რომელსაც ლაშენალი გადაჰყავს, წნელებს განზე სწევენ, რომ დაშავებულის ფეხები არ წამოედოს. როდესაც ჩემი რიგი დგება, ვცდილობ ვაკაცურად ავიტანო ეს განსაცდელი, მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ შერპები წნელებს მარიდებენ და აჯიბაც, რაც შეუძლია, ფრთხილად მიდის, ქანაობა მაინც გულს მირევს. მეორე ნაპირზე ვუერთდები ლაშენალს და ორივენი ვტირით, გაცეცებული მზიდავების თვალწინ.

ჟ. ბ. რანა ფიქრობს თავისი ცხენი ცურვით გაუშვას. აბამენ ერთმანეთზე რამდენიმე ნეილონის თოკს და მეორე ნაპირიდან ყველა მას ეწევა. უბედური ცხოველი გრძნობს საში-

შროებას და გმირულად უძალიანდება, მაგრამ მალე მდინარეში აღმოჩნდა და მაშინვე გაუჩინარდა ტალღებში. თოკს მთელი ძალით ექაჩებიან. დროდადრო მოჩანს ყურები, ფეხი ან გვერდი... მგონია, სადაცაა ლეშს გამოათრევენ. სრულიადაც არა! ნაპირიდან რამდენიმე მეტრზე თავი გამოჩნდა, ძერე ცხენი ნელა ამოვიდა ნაპირზე და ოლიმპიური სიმშვიდით გამოეშართა ჩვენკენ.

უკვე გვიანაა. ბანაკს მდინარის ახლოს ვშლით. მაგრამ ამ მხარეზეც ქოლერა მძვინვარებს და მეორე დილით, მორიგი „კანის მოცლის" მტანჯველი პროცედურის შემდეგ სასწრაფოდ ვტოვებთ ამ არაჯანსაღ რაიონს.

ყოველდღე თავსხმაა და საღამოობით, როდესაც თავშესაფრის ძებნა გვიხდება, ვწყევლით და ვკრულავთ ყველაფერს ქვეყანაზე. ჩვენ გვესაჭიროება სახლი, სადაც ყველას ერთად შეგვეძლება ყოფნა, სადაც საკმარისი ადგილი გვექნება ბარგის გადასარჩევად და საბოლოოდ დავაღწევთ თავს კოკისპირული წვიმის გამაღიზიანებელ ხმაურსა და კარვებზე რახარუხს. პატარა სოფელ კუსმაში მისვლისას დიდ გასაჭირში ჩავცვივდით. აქ არც ერთი შესაფერისი სახლი არ აღმოჩნდა. მივმართეთ „ხელისუფალთ" და წაგვიყვანეს... პაგოდაში! თავისუფლად მოვეწყვეთ და მალე ამ წმინდა ადგილიდან, რომელსაც ცხადია უკვე აღარაფრისთვის იყენებენ, ისეთი სიმღერების საშინელი კაკოფონია მოისმა, ქალიშვილების ყურებს არ გაეგონებოდა.

ექსპედიციის წევრთა ერთი ნაწილი ანგარიშს უსწორებს იმ მზიდავებს, რომლებიც დანაში ბრუნდებიან. თანსინგში გადასასვლელად კი ახალ მზიდავებს კრებენ. შაცი აგროვებს საჭურველს და ამოწმებს ტვირთს. კუზი, რომელიც ერთსულოვნად აირჩიეს მზარეულად, ყველა ღია კონტეინერში ყოფს ცხვირს.

ყველაფერი გაურკვეველია, არც კი ვიცით, ვიშოვით თუ არა იმდენ მზიდავს, რომ მეორე დღეს გავიდეთ. გვითხრეს. ხუთი დღის სავალიაო დარჩენილი, სინამდვილეში კი ათ დღეზე მეტი დაგვჭირდა.

ტერაი, რომელსაც ჩვეულებრივ, ფუსფუსი უყვარს, გაკ-

რეკას მიპირებს. ის იყო დამიწყო, რომ იქვე, სულ ახლოდან ხმამაღალი ყვირილი მოისმა:

— შეხედეთ, შეხედეთ! — იძახის აღგზნებული კუზი, — რამოდენა ობობაა.

— ასეთი გიგანტი ჩემს დღეში არ მინახავს!

— ფრთხილად!

კუზი, რომელსაც გუშინწინ მორიელმა უკბინა, წინდახედულად უკან იხევს.

— საოცარია, — ამბობს იშაკი, — აუცილებლად უნდა დავიჭიროთ და შევინახოთ. მომავალ ჰიმალაელებს ვაჩვენებთ...

— ერთი წუთით, — ამბობს უდო და ხელის ფათურით ეძებს ქლორეთილის ამპულას, რომელსაც იგი ცხენის საანესთეზიოდ იყენებდა ხოლმე.

— აჰა, დაიჭირე! ამის დახმარებით შეგიძლია ადვილად და უმტკივნეულოდ გაისტუმრო იგი საიქიოს! იშაკი ამპულის ქნევით მისდევს ობობას, რომელიც ვეება, ოცდაათსანტიმეტრიან ნახტომებს აკეთებს და, ბოლოს, სადღაც ხვრელში იმალება. სწორედ იმ დროს, როცა მისი მდევარი უკვე მზად იყო ხელი აეღო თავის განზრახვაზე, ობობა ისევ გამოჩნდა ბალახში.

— ახლა კი ვეღარსად წამიხვალ!

გადაასხეს თუ არა ქლორეთილი, ობობა გაქვავდა. რამდენიმე წუთის შემდეგ კი ქინძისთავებზე ჯვარცმული ობობა, უკვე კოლოფში იდო. მისი ტანის დიამეტრი 25 მილიმეტრია, ხოლო გაშლილი თათების სიგანე ათ სანტიმეტრს აღემატება.

მეორე დღეს თითქმის ორმოცდაათი პაციენტი ელოდება „დოქტორ საჰიბს". მათ სხვადასხვანაირი ავადმყოფობა — ძირითადად ფლეგმონები და გამოუცნობი ციებ-ცხელებები აქვთ. ყველა პაციენტის გასინჯვა ბევრ დროს მოითხოვს, ბევრ მედიკამენტს და, რაც მთავარია, უსაზღვრო მოთმინებას უდოს მხრივ.

მან შეადგინა სტანდარტული კითხვების სია:

1. რამდენი წლისა ხართ?
2. კარგად გძინავთ თუ არა ღამღამობით?
3. როგორი მადა გაქვთ?

4. სად გტკივათ?

5. ხომ არ გახველებთ?

ეს კითხვები ჩაიბარა ნუაელმა, რომელმაც რამდენიმე ჰინდური სიტყვის დახმარებით თარგმნა იგი ინგლისურად ჟ. ბ. რანასათვის, ხოლო ჟ. ბ. რანა თავის მხრივ თარგმნის გურკალზე. პასუხები ამავე გზით უბრუნდებათ უკანვე და ამდენი შუალედური ინსტანციის შემდეგ, ცოტა არ იყოს, უცნაურ სახეს ღებულობენ. შერპები სიცილით იხოცებიან. მათ ესმით ლაპარაკის მხოლოდ ნაწილი — უკანასკნელი ნაწყვეტი, რომელიც იწყება ჰინდურზე, გრძელდება გურკალზე და შემდეგ ისევ ჰინდურზე გადადის. ამასობაში აზრი სრულიად იცვლება.

უდო უდიდესი პრესტიჟით სარგებლობს. ხალხი შორიდან მოდის მასთან, რადგან იგი თითქმის ღმერთკაცად ჰყავთ მიჩნეული. ჩვენ გვხიბლავს საოცარი გულუბრყვილობა ამ ადამიანებისა, რომლებიც თავის ჯანმრთელობას და ზოგჯერ სიცოცხლესაც კი ანდობენ სრულიად უცნობ ადამიანს. თავის სიცოცხლეში მათ პირველად სინჯავს ნამდვილი ექიმი. ჩვეულებრივ, როცა ავად ხდებიან, მათ მკურნალობს სოფლის ექიმბაში ანუ ე. წ. „განმკურნავი“.

რელიგიური ადათ-წესებით შებოჭილი პაციენტები, ყოველთვის როდი არიან დამყოლნი. როცა უდო მათ ხელს ახლებს, ისინი იკრუნჩხებიან, სახეს მანჭავენ. ყველაზე ძნელია ქალების გასინჯვა. ისინი მეტისმეტად მორცხვები არიან, არაფრის გულისთვის ხელის შეხების ნებას არ იძლევიან და მით უმეტეს გახდაზე არ თანხმდებიან უდოს. ერთხელ უდომ მოახერხა ნეპალელი ქალიშვილისათვის ძონძების გახდა. როცა ის ნახევრად გახდილი იყო, სარკე, რომელიც ეხმარებოდა უდოს, მორიდებით გავიდა კარვიდან. თვითონ ქალიშვილი მეტზე არ დათანხმდა. ყველას წამლები უნდა მისცეს. როცა ეს შესაძლებელია, უდო აკმაყოფილებს მათ. სხვა შემთხვევაში იგი არიგებს უვნებელ აბებს, რომლებიც უმთავრესად ფსიქოლოგიურ ზემოქმედებას ახდენენ. მაგრამ როგორ ხმარობენ ისინი წამლებს? თვალისდაუხამხამებლად ყლაპავენ დამწვრობისაგან დასაცავ კრემს და მეგობრულად უცვლიან ერთმანეთს წამლებს, რომლებიც განკუთვნლია სრულიად სხვადასხვა დაავადებისათვის. ყოველ შემთხვევაში, ისინი ვაქკაცურად იტანენ რაგინდარა ქირურგიულ ოპერაციას.

ერთხელ მოვიდა უბედური ახალგაზრდა, რომელსაც მაჯის ორმაგი ღია მოტეხილობა ჰქონდა. ჩირქის მასიდან ძვალი გამოსჩროდა, მკლავი გასივებოდა, ხელის მტევანი კი უზომოდ შეშუპებოდა. ძალიან ცუდად ჰქონდა საქმე. თარგმნის იმავე რთული პროცესის საშუალებით, უდომ გაარკვია, რომ უბედურება ორი კვირის წინათ მომხდარა.

იგი უხსნის მშობლებს, რომ მათი შვილის გადარჩენის ერთადერთი გზა ხელის მოკვეთაა. ისინი უარს ამბობენ და თხოვენ, რომ მათ მხოლოდ შეხვევა სურთ. რა გაეწყობა. უდო უკეთებს პაციენტს მორფს, შემდეგ ცდილობს ძვლების ჩაგდებას თავ-თავის ადგილზე: ძლივძლივობით ახერხებს ამას და ბოლოს თაბაშირში უდებს ხელს.

— მერე რაღა ეშველება? — მღელვარებით ვეკითხები უდოს. სახვევებს ვერავინ გამოუცვლის, რამდენიმე დღის შემდეგ კი ისევ დაუჩირქდება.

— რა გაეწყობა. ალბათ ორი კვირის შემდეგ იგი მოკვდება. მის სიტყვებში ისეთი ფატალიზმი ჟღერს, რომ ჟრუანტელი მივლის ტანში. უდო მაინც მართალია, ჩვენ არ შეგვიძლია

ეიმსჯელოთ აქ ისე, როგორც ევროპაში — ჩვენს ირგვლივ ჯერ კიდევ შუა საუკუნეებია. მე ვფიქრობ ამ უბედურ ადამიანებზე, რომელთაც არ ძალუძთ ეპიდემიისაგან თავის დახსნა: აქ არც ექიმებია, არც ვაქცინები. ასეთ ქვეყნებში სიკვდილი ადვილად იკვლევს გზას. სიკვდილიანობაც მაღალია... ჩვენი ხანგრძლივი მგზავრობის განმავლობაში ხშირად შეგვხვედრია სამგლოვიარო პროცესიები. მე და ლაშენალს არცთუ ისე დიდ სიამოვნებას გვანიჭებდა დამკრძალავი საკაცეების მზერა. რომლებიც ძალიან ჰგვანან ჩვენს საკაცეებს. მიცვალებულები გახვეულნი არიან უცნაური ფერის სუდარებში. წინ მიუძღვიან საყვირით, რომლის ექო დიდხანს გაისმის მთებში. გარდაცვალებულთა ნათესავები და მეგობრები მდუმარედ მიდიან, მაგრამ განსაკუთრებულ მწუხარებას არ ამჟღავნებენ. სიკვდილი მათთვის მხოლოდ და მხოლოდ გარდამავალი ეტაპია. მასში არაფერია სამწუხარო: ადამიანი ხომ ისევ აღდგება სხვა უფრო სრულყოფილ ფორმებში. გვამებს კრიშნა-განდაკის ნაპირებზე მარხავენ და მუსონური ნიაღვრები მიაქანებენ მათ ქვევით, წმინდა განგისაკენ.

უდო ყოველდღე უვლის ექსპედიციის ავადმყოფ წევრებს. იგი გამუდმებით დარბის თავის წამლებიანი ყუთისათვის. ეს ყუთი ან ძალიან წინაა და უნდა დავეწიოთ, ან შორსაა ზურგში და იძულებულნი ვართ, დიდხანს ვუცადოთ. მაგრამ არც მე, არც ლაშენალი, ჩვეულებრივ, არ ვჩქარობთ ხოლმე ჩვენი მეგობრის ნახვას მუშაობის დროს. თანდათანობით შესამჩნევი ხდება პენიცილინის დიდი დოზების გავლენა: ცივ-ცხელება სუსტდება და სისხლის საერთო მოწამვლის აჩრდილი უკან იხევს. მე უკვე ვლაპარაკობ და გარესამყაროთი დაინტერესებას ვამჟღავნებ.

ერთხელ, პატარა მწვანე მინდორზე პუტლიკეტეში, უდომ, როგორც ყოველთვის, ჩემგან დაიწყო:

— ნუ ყვირი ასე, — მთხოვს იგი.

— უდო, გეთაყვა, ფრთხილად!

— რაც შემიძლია, ვფრთხილობ. მოამზადეთ! აბა, გეტკინა?

კბილს კბილზე ვაჭერ, მთელ ნებისყოფას ვძაბავ, რომ ტკივილი ავიტანო:

— ყველაფერი რიგზეა, არც კი მიგრძვნია.

— ჩინებულია, — ამბობს უდო. — მაკრატელი.

— ა-ა... ა!..

ტკივილი მთელ ტანში მივლის. უდო აცხადებს:

— პირველი ამპუტაცია! ნეკი!

შევკრთი. ნეკი არცთუ ისე აუცილებელია, მაგრამ მაინც შენანება! პირველი ამპუტაცია! თვალებზე ცრემლები მადგება. უდო მაწვდის მოჭრილ თითს.

— იქნებ გინდა სახსოვრად წაიღო?

— ....!

— იცი, მისი შენახვა შეიძლება! მაგრამ რაღაც შენ არ ამქღავნებ განსაკუთრებულ ენთუზიაზმს!

— რა ოხრად მინდა შევინახო შავი, სრულიად დამპალი ნეკი... არავითარი აზრი არა აქვს!

უდო დაუდევრად ისვრის „სუვენირს“ კონტეინერის საბურავზე და მეუბნება:

— კარგია, სანტიმენტალური არა ხარ!

საზღვარი ცოცხალ და მკვდარ ქსოვილთა შორის ახლა მკაფიოდ ჩანს. უდოს უჭირავს რასპატორი[1] და ყოველდღიურად ერთ-ორ ფალანგს ვკარგავ ხელ-ფეხზე. ყველაფერი ეს უნარკოზოდ კეთდება, ღია ცის ქვეშ, როცა ხერხდება და როგორც ხერხდება.

უდო ზოგჯერ ოპერაციებს ადგილობრივ საცხოვრებელ ბინაში აკეთებს, ხან გზის პირას, მტვერში. ზოგჯერ იგი მუშაობს ბრინჯის ჭაობების გვერდით, მიუხედავად სინესტისა და წურბელებისა, შუა მინდორში, წვიმაში, ქოლგის ქვეშ თავშეფარებული, რომელიც აკანკალებული ხელით უჭირავს ჟ. ბ. რანას.

უდო სულმოუთქმელად წმენდს, ჭრის, გვიხვევს. ოპერაციის დროს, როდესაც ჩვენ ამ სატანჯველს ვითმენთ, როცა ირგვლივ გულისამრევი სუნი დგას, ბანდებში გამონაყონ ნაყონ ჩირქს, სისხლსა და ჭრილობებს უამრავი ბუზი ეხვევა, უცნაურია, მაგრამ ხშირად თავშესაქცევი ინციდენტების მოწმენი ვხდებით.

[1] საფხეკისმაგვარი ქირურგიული იარაღი, რომელსაც ხმარობენ ძელების საფხეკად და ცოცხალი ქსოვილის მკვდრისაგან მოსაშორებლად.

ახლა, პირველი მუსონური წვიმების შემდეგ, ბრინჯის გადარგვის დროა. ყველა, ვისაც კი მუშაობა შეუძლია, ბრინჯის ყანებშია გასული. ექსპედიციისათვის მზიდავების შოვნა შეუძლებელი ხდება. ჩემი ამხანაგები ძალზე შეშფოთებულნი არიან: რადაც არ უნდა დაგვიჯდეს, უნდა გავაღწიოთ აქედან. უდო სთხოვს ჟ. ბ. რანას, ისარგებლოს თავისი ავტორიტეტით და გამოიყენოს უკიდურესი ზომები მზიდავების შესაკრებად. აგონებს აგრეთვე, რომ ჩვენ მაჰარაჯა გვიწევს მფარველობას, რომელიც არ დაუშვებს ჩვენს დაყოვნებას ამ ქვეყნის დატოვების მომენტში. ჟ. ბ. ყველაფერს აკეთებს, რაც კი შეუძლია, მაგრამ უშედეგოდ.

ჩვენ თანდათანობით გავგულქვავდით. უმაღლეს გასამრჯელოსაც აღარ ვიშურებთ, მაგრამ მალე ნათელი ხდება, რომ, რაც უფრო შორს შევდივართ ინტენსიური მიწათმოქმედების რაიონში, მით უფრო გასაჭირში ვცვივდებით, ვიდრე საბოლოოდ ჩიხში არ ვემწყვდევით.

მიუხედავად იმისა, რომ არ გვსურს უხეშ ზომებს მივმართოთ, ჩემი მეგობრები იძულებულნი არიან, გამოიყენონ „ნებაყოფლობითი შეკრების“ სისტემა. მეთოდი მარტივია: უნდა „აიყვანო“ ადამიანი იქ, სადაც წააწყდები. სტაცო ხელი და ნაზად წამოჰკიდო ზურგზე ტვირთი ან საკაცე ჩააბარო. რამდენიმე წუთს მზიდავები უარობენ, მაგრამ მერე ყველაფერი ღიმილით თავდება. ისინი იღებენ საკმაო რუპიებს, იმისათვის, რომ გაუქარწყლოს ზოგს სინანული, ხოლო სხვებს—სინდისის ქენჯნა. შერპებმა სრულყოფილად აითვისეს ეს ოპერაცია და მე ვფიქრობ, ჩვენი ექსპედიცია პირველი არაა ჰიმალაიში, რომელმაც ეს მეთოდი გამოიყენა. ისინი მიამიტურად დასეირნობენ სოფელ-სოფელ ცხვირაწეული და მზად არიან ბარგის ზიდვის შემძლე პირველსავე შემხვედრზე მიიტანონ იერიში.

სოფელ გარომბორეს ცენტრში, პატარა სახლის ფარდულში ვწევარ ქირურგიული პროცედურებისაგან ღონემიხდილი. უკვე რამდენიმე ამპუტაცია გადავიტანე. გულგრილად ვუცქერ გამოცოცხლებულ ცენტრალურ ქვით მოკირწყლულ ქუჩას. შერპები „სანადიროდ“ გავიდნენ... მათ წაჰყვა მზიდავი, რომელიც ტუკუჩის სუბამ დაგვითმო. წინადღით მან მომიტანა

საუცხოოდ მოკედილი ვერცხლის ხმალი. მიიღო მონაწილეობა „ნადირობაში“. მას მკვეარე ხმა აქვს და ყველაზე ხმამაღლა ყვირის.

უეცრად მეზობელი შესახვევიდან გამოჩნდნენ: სარკე, ანგ-თარკე და აჯიბა, თან კინწისკვრით მოჰყავთ ოთხი გლეხი. მათ არაფერი ესმით. თვალისდახამხამებაში ჩამოვართვით ყველა იარაღი და ცოტაოდენი „მეგობრული“ შთაგონების შემდეგ ისინი მზიდავებად გარდაიქმნენ.

ერთიმეორის მიყოლებით მოდიან „მოხალისეები“ ბრძოლის ველზე. თავგამეტებით ვაგროვებთ მზიდავებს.

წვიმაში მივდივართ მწკრივად გაჭიმული... უცებ შერპებმა მეთევზე დაინახეს. დღე იწურება. ირგვლივ უჩვეულო სიმშვიდე და სიწყნარეა. მეთევზე შინ ბრუნდება და ნელა მიაბიჯებს ჩვენ წინ, თან სავსე ბადე მიაქვს. აჯიბამ იდაყვით უბიძგა ფუთარკესა და სარკეს და ფეხაკრეფით მიეპარა მას. ხანმოკლე შეტაკების დროს ბადე, ანკესი და სხვა მოწყობილობა აქეთ-იქით მიმოიფანტა. რამდენიმე წამის შემდეგ „პატიმარს“ უკვე უჭირავს ჩემი საკაცის ტარი და მიაბიჯებს თავის ახალ კოლეგებთან ფეხაწყობილი. საბრალო მეთევზე! შერპები ალერსიანად უხსნიან, რომ მას თანსინგამდე მოუხდება ჩასვლა და რომ კომპენსაციის სახით საკმაო რუპიებს მიიღებს. მეთევზე ტირის, გვემუდარება... მაგრამ, რადგან სხვა გზა არა აქვს, ყველაფერი ღიმილით თავდება. „მაინც რა მოხერხებული ოინი მიყვეს!“ — ფიქრობს ალბათ გუნებაში.

მსგავსი სცენები თითქმის ყოველდღიურად მეორდება, რადგან ყოველღამ ბევრი მზიდავი უარს აცხადებს გამომუშავებულ რუპიებზე და გარბის.

კრიტიკული მდგომარეობა შეიქმნა. ექსპედიცია მიმოფანტულია რამდენიმე სოფელში და ზოგჯერ მოწინავე რაზმი და ზურგი ორი დღის სავალზეა დაშორებული ერთმანეთისაგან. ზოგიერთი ჯგუფი უკაცრიელ ადგილებში გაიჩხირა, სადაც მზიდავთა კვალსაც ვერ იპოვნი.

29 ივნისს დარჯილინგში შემოწმებისას აღმოჩნდა, რომ 25 მზიდავი გვაკლდა. საშინელი ამინდია. აი, უკვე ორი თუ სამი დღეა, რომ ვიღაც გურკი, ყოფილი უნტერ-ოფიცერი, რომელიც საუცხოო ქუდით კოპწიაობს, უმიზნოდ დაეხეტება

ექსპედიციის ირგვლივ. მის საუბრებს მზიდავებთან ყოველთვის დეზერტირობა მოსდევს... იგი შეოთს თესავს. იშაკი და უდო მოვიდნენ ჩვენთან:

— თუ ის ჭაბუკი ასეთ ცუდ გავლენას ახდენს მზიდავებზე, ალბათ რაიმე ავტორიტეტით სარგებლობს.

— შესაძლებელია, მაგრამ თუ მან ასე განაგრძო, ჩვენ ხარერივით[1] დაგვემართება, — უპასუხებს უდო.

— იქნებ მოველაპარაკოთ და მისი გავლენით ვისარგებლოთ? — წინადადება შემოაქვს იშაკს. რატომ არ უნდა დავიქირაოთ იგი და გამოვიყენოთ მზიდავების მოსაგროვებლად?

ამგვარად, ვქირაობთ მას ათ რუპიად დღეში. მაგრამ ჩვენი „შენაძენი" არცთუ ისე სრულყოფილია. მას მეზობელ სუბებზე გავლენის მოხდენით მართლაც შეუძლია მზიდავების შეკრება, მაგრამ, სამაგიეროდ, უზომო მიდრეკილება აქვს ჩანგისა და ნეპალელი ლამაზმანებისადმი. საღამოობით მისი თაოსნობით გატაცებით ასრულებენ ველურ ცეკვებს, რაც გვიან ღამემდე გრძელდება. დილით კი ჩვენი სერჟანტი — შემკრები თვალებამღვრეული, მოქანცული ავადმყოფივით ცხადდება.

მიუხედავად ამისა, იგი თავს იკავებს და მალე მოხალისე-მზიდავების საძებრად მიეშურება.

მრავალი დღე მოვანდომეთ ამ განსაცვიფრებელი ქვეყნის გავლას, ნეპალის მაღალმთიანეთის ხეობებიდან ბარად ჩამოსვლამდე. მთელი კვირის მანძილზე კრიშნა-განდაკის გასწვრივ მივდიოდით კუსმამდე, მერე კი იძულებული გავხდით, შეგვეცვალა ჩვენს მიერ არჩეული გზა. ეს ვეება მდინარე ისე ადიდებულა, რომ მისი გადალახვა ძალზე საშიშია, თუ საერთოდ შევძელით. ამიტომ კუსმაში ვტოვებთ განდაკს და ვკვეთთ მაღალ ბორცვებს, რათა გავიდეთ ანდი-კჰოლას აუზში, რომელიც განდაკის პარალელურად მიედინება. მის ნაპირებზე ჯერ კიდევ შეიძლება გავლა. თანსინგში ისევ ძველ გზას დავუბრუნდებით.

ექსპედიცია უგზო-უკვლოდ, უხალისოდ მოხეტიალე ღონემიხდილი ხალხის გროვად იქცა. ერთადერთი სურვილი გვასულდგმულებს: რაც შეიძლება ჩქარა მივაღწიოთ ინდოეთს.

1.ხარერი იყო გერმანიის ექსპედიციის მონაწილე.

დაუსრულებელი დაშვება რამდენიმე ხეობით უწყვეტ წვიმაში, ან მუსონურ ნესტიან სიცხეში, დამღუპველ გავლენას ახდენს ყველაზე. ჩემს ამხანაგებს ძალა გამოეცალათ. ისინი საცოდავად მიჩანჩალებენ ბრინჯის ყანების დაბალი ღობეების გასწვრივ, ხმაამოუღებლად მოძრაობენ, უაზროდ გამოიყურებიან და აღარაფერი არ აინტერესებთ.

კუზი და ტერაი ყველაზე ბოლოს მოდიან. ნუაელი წინ არის. როცა საზღვართან მივალთ, იგი გორაკპურში წავა, რათა უზრუნველყოს ინდოეთის რკინიგზით ჩვენი უკან გამგზავრება. რაზმის ცენტრში ვართ: მე, უდო, იშაკი, ლაშენალი, რებიუფა და შაკი. ლაშენალი დღითიდღე სულ უფრო ნერვიულობს. ოდნავ შეფერხებას მოთმინებიდან გამოჰყავს და კრულავს მზიდავებს.

გაჩერებების დროს ზოგჯერ მე მის გვერდით მოვხვდები ხოლმე. იგი კითხულობს ექსპედიციის ერთადერთ დეტექტივს. კითხულობს პატარ-პატარა ნაწილებად, რათა სიამოვნება გაიხანგრძლივოს. რამდენადაც ვხვდები, ეს არის მოთხრობა ვიღაც უთავო კაცზე. მხოლოდ ამას მოვკარი ყური.

— ეშმაკმა იცის, რამდენ ღროს ვკარგავთ ტყუილუბრალოდ!

— ცოტა მოთმინება იქონიე, ბისკანტ. ეს ყველაფერი არცთუ ისე მარტივია. გაიხსენე „ნებაყოფლობითი შეგროვების“ პრინციპი!

— აი, ჟ. ბ.! არ გეჩვენება, რომ მას შეეძლო ცოტა მეტი სიმკვირცხლე გამოეჩინა?

— ანეთი მძიმე გადასვლის შემდეგ ეს პაპანაქება ყველაზე მოქმედებს, რა გგონია!

— ოჰ, ეშმაკმა დალახვროს! — აფეთქდა ლაშენალი, — მე უბრალოდ შეხედეაც აღარ შემიძლია ამ ახალგაზრდებისა, მუდამდღე ჩვენს ირგვლივ რომ დახეტიალებენ, ხელებს აქნევენ და რაღაც გაუგებარს ყვირიან, თან ერთ დაწყევლილ სიტყვასაც ვერ გაარჩევ მათ ლაპარაკში. ხელს რომ დაუქნევ აქ მოდიო, ბარგს მიწაზე აგდებენ! წყალს თხოვ და ბანანები მოაქვთ. ოჰ, ჩემო შამონის სახლო, ჩემო ცოლ-შვილო!

არცთუ ისე დიდი მანძილი დაგვრჩა გასავლელი. თანსინგის შემდეგ სულ ორი დღის სავალია ინდოეთამდე. ახლა

უკვე დღეები კი არა, საათები შეგვიძლია ვითვალოთ. ერთადერთი, რაზედაც მე ვოცნებობ, ეს არის კარგი საავადმყოფო, თანამედროვე საოპერაციოთი, უამრავი მედიკამენტითა და ბანდებით, რომ გაჰუდმეპით მიცვალონ... რაც მთავარია — ბევრი ბამბა!

საქმე ისაა, რომ უკანასკნელ ხანებში ძალიან ცოტა ბამბა შემოგვრჩა, მიუხედავად იმისა, რომ უდო ყველა ოდნავ გამოსადეგ ნაფლეთს იყენებს. სამედიცინო სპირტი გათავდა და ნემსების სადეზინფექციოდ ჩემს ოდეკოლონს ხმარობს.

მადლობა ღმერთს, რომ ჩვენი ესკულაპი ჩვენთანაა, — მადლიერებით ამბობს ლაშენალი, — მე უბრალოდ, ვერ წარმომიდგენია, რა უნდა გვექნა უიმისოდ!

— შენ კი უეჭველად ამქვეყნად აღარ იქნებოდი! მაგრამ ხომ არ გგონია, რომ მას შეეძლო ოდნავ... უფრო რბილი ყოფილიყო? ეშმაკმა წაიღოს, რა ჯოჯოხეთურ ტკივილებს მაყენებს ზოგჯერ! იცი რა, ამ ქირურგებს ფეხებზე ჰკიდიათ, ნარკოზის გავლენის ქვეშაა ავადმყოფი თუ არა, არხეინად ჭრიან, ჩხვლეტენ, კუწავენ. ვაი ჩვენი ბრალი!

რა დუეტი ავაწყვეთ! მაინც რა სასიამოვნოა ხანდახან ჩიკილი!

XIX

ბორაკაშრი

ექსპედიცია თანდათანობით ეჩვევა ამ მოხეტიალე ცხოვრებას, რომელსაც ვეწევით მრავალი კვირის განმავლობაში. ზოგჯერ გავდივართ ბრინჯის ყანების გამყოფი დაბალი მოლიპული კედლებით, მაგრამ საკაცეები მეტისმეტად განიერია და პირდაპირ ყანებზე უხდებათ მათი ტარება. მაგონდება, როგორ მყავდნენ წარმოდგენილნი ბავშვობაში საშუალო საუკუნეების ფეოდალები, რომლებიც პირადი სიამოვნებისათვის მომწიფებულ ყანებს ფეხით თელავდნენ. ბილიკებზე ჩამწკრივებულნი უცნაურად აშოლტილ სიმინდის ყანებს შუა მივდივართ. მცენარეები ერთი მეტრით უფრო მაღალია ჩვენზე.

შესვენების დროს მზიდავები ჩვენს ირგვლივ ჩაცუცქდებიან ხოლმე და რიგრიგობით ეწევიან ერთსა და იმავე სიგარეტს. რელიგია უკრძალავს მათ ტუჩები შეახონ სხვის მოწეულ სიგარეტს, მაგრამ ისინი ახერხებენ ამ დაბრკოლების დაძლევას: სიგარეტის ბოლოს მჭიდროდ იჭერენ ცერსა და საჩვენებელ თითს შუა. ამ მილის მსგავს ნახვრეტზე მიჭერილი ტუჩებით შეისუნთქავენ კვამლს და ამგვარად, ქაღალდის შეუხებლად ღებულობენ უწყინარ სიამოვნებას.

თანსინგთან მიახლოებისას ამინდი გაუმჯობესდა. ახლა უწყალოდ გვაცხუნებს მზე. ბუზები გუნდ-გუნდად ირევიან ჩემს ჩირქით გაჟღენთილ სახვევებზე და ვერაფერს ვუხერხებ მათ.

ვიღაც ბრამინი მომიახლოვდა და რაღაც გრძელი თხოვნით მომმართა. დაუფიქრებლად ვუპასუხე: „Atcha! Atcha!“ რამდენადაც გავიგე, იგი თავისთავს მზის თაყვანისმცემელს უწოდებს — არც თუ ისე შესაფერი მომენტია ასეთი აღიარებისათვის: გუნებაში ვფიქრობ, ჯანდაბას იქით წასულხართ შენც და შენი მზეც-მეთქი!

მაგრამ იგი განუწყვეტლივ ხელებს იქნევს და განაგრძობს რატრატს. მე ეს მღლის და დაბნეულად ვუმზერ განახლებულ, წვიმით განბანილ ცას. უეცრად ჩემი ყურადღება მიიპყრო ერთმა საგანმა. თუ არა ვცდები, ეს ქოლგაა, რომელიც იღლიაში ამოუჩრია ბრამინს...

ახლა კი დავინტერესდი მისი ლაპარაკით და რამდენიმე წამში გავაგებინე, რომ ქოლგა ძალზე სასარგებლო იქნებოდა ჩემთვის. საუბარს სასიამოვნო ჩრდილში განვაგრძობთ: მან გაშალა ქოლგა, მომიჩრდილა და მსუბუქი ჩორთით გამოჰყვა საკაცეებს

ორ საათში მივედით ადგილზე. იმ დროს, როცა სარკე მაიძულებს, ბანანები შევჭამო, ჩვენამდე აღწევს საპროტესტო ხმები — ეს ანგ-თარკეა, რომელიც მოურიდებლად აძევებს ბრამინს.

ვეკითხები ჩვენს სირდარს:

— რა მოხდა?

იგი მიხსნის, როგორც შეუძლია:

— ბარა-საჰიბ, ის ამბობს, რომ ბევრი იმუშავა და ძალიან რომ ოთხი რუპია გადაუხადონ დღეში. აბა, სად არის მისი ტვირთი, რა გააკეთა?

როცა დაინახა, რომ მე ჩავერიე საქმეში, ბრამინი მომიახლოვდა და რაღაც გაუგებარი ბუტბუტი დაიწყო. ანგ-თარკე განაგრძობს:

— ბარა-საჰიბ, ამბობს, რომ ბევრი იმუშავა და ძალიან დაიღალა, ამიტომ გასამრჯელო უნდა გადავუხადოთ.

— Give him two rupus![1]

მწარე იმედგაცრუებაა!

---

[1]. მიეცი მას ორი რუპია.

ვუახლოვდებით თანსინგს და შეიძლება იმედი ვიქონიოთ, რომ მზიდავები აღარ გაიქცევიან. ყველა მათგანი ოცნებობს „დიდ ქალაქამდე“ მივიდეს და მხნედ მიაბიჯებს.

— პანზი?!

— შეუძლებელია!

პანზი, რომელსაც დიდი ხანია დავშორდით და, რომელზედაც უკვე ვწუხდით, გვიახლოვდება. მშვიდად, ჩვეული სასიამოვნო ღიმილით, თითქოს ეს-ესაა წავიდა და ახლა უკან ბრუნდებაო.

ყველანი სიხარულით ხვდებიან და ესალმებიან ამ შესანიშნავ შერპს, რომელმაც ცხრამეტი დღე იარა და მხოლოდ ერთხელ, 48 საათით გაჩერდა დელიში.

— ფოსტა! — ერთხმად იძახიან ყველანი.

— ფოსტა?!

ეს წარმოუდგენელია. მთელი ამ ხნის მანძილზე ჩვენ პირველად მივიღებთ ახალ ცნობებს საფრანგეთიდან! წერილები ჩამოარიგეს და ყველამ ცხვირი ქაღალდებში ჩარგო.

— ჩემი მეუღლე მთლად ჯანსაღად ვერ უნდა იყოს, — გამანდო იშაკმა. უკანასკნელი წერილი დიდი ხნის წინათაა დაწერილი. ნეტავი როგორ არის ახლა?

— ჰეი, მისმინეთ! ერთი ექსპედიცია კიდევ ეწყობა ჰიმალაიში! ახალი ამბავი გაკვირვებას იწვევს.

— აი, ეს მესმის!

— ბევრნი არიან?

— მერე საით აპირებენ?

გაჩაღდა კითხვა-პასუხების ჯვარედინი ცეცხლი. ყველამ ვერ მიიღო კარგი ცნობები. ექსპედიციის ზოგიერთი მონაწილე შეფიქრიანებულია და შეწუხებული.

შორს მწვანე გორაკი გამოჩნდა. სარკე თითით გვიჩვენებს:

— ტანსინგია, ბარა-საჰიბ, ტანსინგი!

ნუთუ დასასრულია?

მეორე დღეს, ძლიერი კოკისპირული წვიმის შემდეგ, საშინლად ატალახებული, დახრამული ბილიკის მიუხედავად, მზიდავები კი არ მიდიან, თითქოს მიფრინავენ. ტანსინგი სულ რაზდენიმე ასეულ მეტრზეა, ჩვენ უკვე გარეუბანში ვართ. ისევ პატარა სახლები, ჭრელი და ცნობისმოყვარე ხალხი. გავ-

ცდით ქალაქს და ბოლოს გავედით ვრცელ ვაკე მოედანზე და დავბანაკდით. ტერაი აღფრთოვანებით ეზიდება ბარგს და ხმამაღლა, გაბმით ღიღინებს (კარგი ნიშანია) მისთვის ცნობილ ერთადერთ სიმღერას:

«— Au son joyeux des balalaikas...»[1]

ყველანი გულარხეინად არიან.

კონტრასტისათვის, უდო ნასადილევს აკეთებს ოპერაციას. ამასთან ერთად მე ვკარგავ უკანასკნელ ცერს ფეხებზე და ბარჯვენა ხელის ცერს.

ისევ წვიმას იწყებს. კარავში მაწვენენ. ერთ საათზე მეტია შეძრწუნებული ვისმენ ლაშენალის ყვირილს, რომელსაც პირველ ამპუტაციებს უკეთებენ. მისი ტანჯვა საშინლად მოქმედებს ჩემზე, განსაკუთრებით, როდესაც მესმის მისი საპროტესტო „არა! არა!", თითქოს ვერ ურიგდება იმის დაკარგვას, რაც მისთვის ესოდენ ძვირფასია.

მეორე დღეს ბანაკში მოვიდნენ „ხელისუფალნი". გუბერნატორი, რომელმაც ჩემზე საუკეთესო შთაბეჭდილება მოახდინა, მგონია, რომ კარგი თვალით გვიყურებს. რატომ არ უნდა დაგვახმაროს მზიდავები? იგი გვპირდება, რომ დაუყოვნებლივ მოაგვარებს ყველაფერს. დღეს 4 ივლისის დილაა: რამდენიმე საათის შემდეგ მზიდავები ჩვენს განკარგულებაში იქნებიან — რა შვებაა!

ჟ. ბ.-ს მისია ზეგ თავდება ბუტვალში. მაგრამ მე მინდა, რომ იგი კატმანდუმდე გაგვყვეს. უეჭველად ჩვენც გამოგვადგება, მაგრამ, რაც მთავარია, ეს იქნება მისთვის დამსახურებული ჯილდო. ჟ. ბ. დასთანხმდა ჩვენს წინადადებას და დაგვპირდა, მაჰარაჯას ახლავე მოველაპარაკებიო. რამდენიმე საათის შემდეგ იგი სახეგაბრწყინებული შემოიჭრა კარავში და მოგვახარა, რომ მაჰარაჯამ ნება დართო, დედაქალაქში გამოგვყოლოდა.

ჩვენი მოგზაურობის საბოლოო ეტაპის წინ, სანამ ბუტვალისაკენ გასამგზავრებლად ვემზადებით, მინდა ცოტათი მაინც მოვიწესრიგო თავი. ვთხოვ, დალაქი მიშოვონ, ვინაიდან წვერი ძველი წინასწარმეტყველივით მომეზარდა. ჟ. ბ.-ს შიკრიკი

1. „ბალალაიკების მხიარულ ხმებზე..."

ბულ ციხესიმაგრეში. ნეპალელები, როგორც ჩანს, ძალიან თავისთავზე ღებულობს ყველაფრის მოგვარებას. მალე მან ერთი ნეპალელი კაცი მოიყვანა. შიშით ვადევნებ თვალს მის მოახლოებას, ამავე დროს, აღფრთოვანებული წინასწარ ვტკბები, როგორი სინაზით დაიწყებს სამართებელი ჩემს კანზე სრიალს. მოაქვთ წყალი და დალაქი იწყებს ჩემს გასაპვნას. იგი უცნაურ რაღაცას მისვამს სახეზე, არც საპნავს და არც ქაფდება. მერე ენერგიულად მიზელს სახეს. საკმაოდ მტკივნეული მასაჟია!

— ბეშთარი, ბეშთარი![1] — ვემედარები.

მაგრამ იგი კვლავ გულმოდგინედ განაგრძობს თავის საქმეს, მალე ყველაფერი მზადაა გაპარსვისათვის. დალაქმა ამოქექა თავისი ყუთი და იქიდან რაღაც საეჭვო შესახედაობის იარაღი ამოიღო. ეს არის ბამბუკის ორ წნელს შუა გაჭედილი ძალიან მოკლე, პატარა ფოლადის პირი. არ მომწონს, მაგრამ რაღა დროს! დალაქი იწყებს „პარსვას“. მაგრამ სამართებლის პირი მხოლოდ სწევს ბალანს, დალაქი კი გულმოდგინედ, ღერა-ღერა თითებით აძრობს მათ. ჩემი ყვირილი ცას სწვდება... ის კი ბუზღუნებს და ჩემს პროტესტს არავითარ ყურადღებას არ აქცევს.

უდო თავს ყოფს კარავში. სახეზე თითქმის საზეიმო გამომეტყველება ასახვია.

— მირჩევნია, კიდევ ერთი ამპუტაცია გადავიტანო, ვყვირი მე, — ვიდრე ამ „დალაქმა“ მომკლას!

ერთი საათის ბრძოლის შემდეგ ჩემი ლოყები და ნიკაპი ასე თუ ისე ნორმალურ იერს ღებულობს. ახლა — ულვაშები! განსაკუთრებით ვზრუნავ მის ფორმაზე. იგი შეუდგა საქმეს და ამჯერად, ვგრძნობ, რომ სამართებლის პირი ნამდვილად ჭრის.

---

[1] ფრთხილად!



ვკუმავ ტუჩებს — ულვაშების კვალიც აღარ დამრჩა! პროცედურა დამთავრებულია.

ლაშენალს პირველ ჯგუფთან ერთად ისტუმრებენ ბუტვალში. ჯგუფს რებიუფა ხელმძღვანელობს. მეორეს მივყვები. ჩვენს ირგვლივ ისეთი სიმწვანეა, ვეღარც კი ვცნობ გზას, რომელიც სამი თვის წინათ გამოვიარეთ. საღამოთი რომელიღაც ბორცვის მწვერვალს მივაღწიეთ. იშაკი ჩემ გვერდითაა.

— შეხედე, მორის! — მეუბნება იგი და შერპებს სთხოვს ისე მოაბრუნონ ჩემი საკაცე, რომ შემეძლოს ვუმზირო ქვეყანას, რომელსაც ვტოვებთ. ამ წუთში ყველაფერი რაღაც ბუნდოვანი სევდით სუნთქავს. საიდან წარმოიშვა ეს გრძნობა: მაღალმთიანი ველების, ჰორიზონტზე ხილული გრანდიოზული მწვერვალების ნახვით, თუ ჩვენი, თითქმის დაუჯერებელი, ბრძოლის მოგონებით? თუ ეს იმიტომ ხდება, რომ რეალობა შეუმჩნევლად გადადის ოცნებაში? მე და იშაკი ვდუმვართ.

რამდენიმე წუთის შემდეგ ისევ გარესამყაროს დავუბრუნდებით.

ამაღელვებელი ეპოპეა, რომელმაც ამ მთებთან დაგვაკავშირა, მალე წარსულს ჩაბარდება. მზიდავები ემზადებიან

ჩემს ასაწევად: გრძელმა პროცესიამ გზა უნდა განაგრძოს. ვცდილობ იდაყვებით შევეხო სახეს. მეჩვენება, რომ იგი სულ დანაოჭებული მაქვს. ალბათ სრულიად გავჭაღარავდი... გული საგულეში აღარ მეტევა და პირს ვიბრუნებ. მდუმარედ მივემართებით ღამის გასათევი ადგილის საძებრად.

მეორე დღეს, ბუტვალში მისვლის წინ, გორაკპურიდან დაბრუნებული ნუაელი მოვიდა.

— ჰელოუ, ყმაწვილებო! — შორიდანვე შეგვეხმაურა იგი და მალე შემოგვიერთდა.

— როგორა ხარ? რა ამბავია ინდოეთში, ცხელა?

— გული შეგიღონდება, ნამდვილი აბანოა!

ნუაელმა გვაცნობა, რომ ვაგონები იქნება ნაუტანვას სადგურზე 6 ივლისს, ესე იგი ხვალ. წუთის დაკარგვაც კი არ შეიძლება. ძლიერ ელვა-ქუხილსა და კოკისპირულ წვიმაში მივაღწიეთ ჩვენს ძველ ბანაკს ბუტვალში, სადაც მივუსწარით ლაშენალს. მხოლოდ იმას, ვინც თვით იტანჯება, შეუძლია გაიგოს სხვისი ტანჯვა. აი, უკვე რამდენიმე დღეა ლაშენალი დიდი მოთმინებითა და განსაცვიფრებელი ხელოვნებით მიცვლის ჩირქით გაჟღენთილ სახვევებს. დღის ბოლო განკუთვნილია ოპერაციებისათვის. რამდენჯერმე თითქმის ვკარგავთ გრძნობას.

მთელი ბარგი შეკრულია, მაგრამ საქმე ისაა, ვიშოვით თუ არა ხვალისათვის სატვირთო მანქანებს, რომ ინდოეთის რკინიგზის ხაზამდე მიგვიყვანოს დილის ათი საათისათვის. ვთხოვ ჟ. ბ-ს გააკეთოს ყველაფერი, რაც კი შეუძლია. იგი დაუყოვნებლივ გაემგზავრა. შუაღამისას ულრან, ნესტიან ჯუნგლებზე უნდა გაიაროს, რათა ბეტსარამდე მიაღწიოს. 6 ივნისს, დილით, საბარგო მანქანები მოვიდნენ. ეს ჟ.ბ.-ს ტრიუმფია და მხურვალედ ვულოცავ მას. მზიდავებს ანგარიში გავუსწორეთ და ნაუტანვისაკენ გავემგზავრეთ. ჯუნგლები სავსეა მაიმუნებით. ჩვენი გამოჩენა მათ სულაც არ ეუცხოებათ. ერთ სატვირთო მანქანას კამერა უსკდება, ჩვენსას კი ბენზინი გაუთავდა. მაგრამ ყველაფერი რიგზეა: წყობილებიდან გამოსული ორი მანქანიდან შეიძლება გაკეთდეს ერთი მოქმედი.

ბოლოს, მივედით ნაუტანვაში და მოვთავსდით ორ ვაგონ-

ში, რომლებიც ნამდვილ სასახლეებად მოგვეჩვენა. ნაშუადღევს მთელი ბარგი დატვირთეს და მატარებელი გორაკპურისაკენ გაემართა. ნაირ-ნაირი გეგმები გვესახება. ყველა ოცნებობს, რაც შეიძლება ჩქარა დაბრუნდეს საფრანგეთში. ექსპედიციის წევრები, რომლებიც სამი თვის მანძილზე გახსაკუთრებულ ვაჟკაცობასა და მოთმინებას ამჟღავნებდნენ, ახლა ყველაფრისათვის მზად არიან, ოღონდ ერთი დღე-ღამე მოიგონ. მაგრამ ძნელია სრულიად სხვადასხვა სურვილების შეთავსება. მე განზრახული მაქვს, რადაც არ უნდა დამიჯდეს, შევასრულო ის დაპირება, რომელიც მივეცი ექსპედიციის დაწყების წინ და ვეწვიო ნეპალის მაჰარაჯას. კატმანდუში უდო გამომყვება. ჩვენთან ერთად წამოვლენ აგრეთვე იშაკი და ნუაელი. დანარჩენები გაემგზავრებიან დელიში და რამდენიმე დღე დაგვიცდებიან. ლაშენალი კი, პაპანაქებისაგან თავისდასაღწევად ერთეოთ მაღალმთიან კურორტზე, მაგალითად, მუსორში წავა.

სანამ ამ გეგმებს იხილავენ, უდო თავისი ჩვეული საქმიანობითაა დატვირთული. მაკრატლით ხელში, იგი „წმენდს“ ხელებს და ფეხებს, მიუხედავად იმისა, რომ ჩრდილში 45°C სიცხეა და ქინქლის ურდოები მოსვენებას არ გვაძლევენ. ვუახლოვდებით გორაკპურს. ახლა ლაშენალის რიგია.

ორი საათის შემდეგ ექსპედიცია გაიყოფა და იგი თითქმის მთელი კვირა მოკლებული იქნება ჩვენი ექიმის ზრუნველობას.

აუტანლად ვინჯღრევით. რა ძნელია უდოსათვის ოპერაციების კეთება: ამპუტაციისათვის იგი გაჩერებებით სარგებლობს. გადასარბენზე კი საოპერაციო ინსტრუმენტებს ამზადებენ: ხსნიან ბანდებს, ალაგებენ ყველა აუცილებელ ნივთს, ამზადებენ წამლებს, მაკრატლებიც მზად უჭირავთ, რომ უდომ მატარებლის გაჩერებისთანავე შეძლოს მუშაობის დაწყება.

— აბა, ბისკანტ, შენი რიგია! — აჩქარებს უდო. — სარკე!

ლაშენალმა წინდახედულად თვითონვე მოიხსნა ბანდები და სამსხვერპლოდ გამზადებული აწვდის „ჯალათს“ ფეხს. გორაკპურის წინა სადგურზე მან დაკარგა მარჯვენა ფეხის ორი თითი. დანარჩენ სამს ბოლო მოეღება თვით გორაკპურში.

— ფრთხილად, უდო, გეთაყვა, უფრო ფრთხილად!

— გეფიცები, ბისკანტ, ყველაფერს ვაკეთებ, რაც კი შემიძლია. თავს ზევით ძალა არ ადის!

— აბა, ჩქარა!

ლაშენალს ფეხი ორივე ხელით უჭირავს. თვალები თითქმის გადმოცვენაზე აქვს. იგი ემუდარება უდოს, შემიბრალეო.

— გორაკპურია, — ამბობს შაცი, — ჩამოვედით!

მატარებელი ანელებს სვლას. კუზი, რებიუფა, შაცი და რამდენიმე შერპი ემზადებიან საბარგო ვაგონებში შესახტომად. საჭიროა, მთელი საჭურველი სასწრაფოდ გადაიტვირთოს იმ ვაგონებში, რომლებიც მიბმულია ლაკნაუსაკენ გამსვლელ მატარებელზე, და ერთ საათში დაიძვრის.

უდო ოფლად იღვრება. იგი განუწყვეტლივ ჭრის და ჭრის. ბისკანტის გოდებას ყურადღებას არ აქცევს — ნახევარი საათიღაა დარჩენილი, ერთი თითი კი ისევ მოსაკვეთია. ამჯერად მაკრატელი მეტისმეტად დიდია.

— ჩქარა, მატა, პატარა მაკრატელი! — ამ დროს მატარებელი უეცრად გაჩერდა. დალახვროს ეშმაკმა, მაკრატელი კარის ღრიჭოში ჩავარდა. უდო მოთმინებიდან გამოვიდა.

— მე ჯერ ამითი განვაგრძობ, შენ კი სცადე, იქნებ ამოიღო.

— არაფერი გამოვა, უზარმაზარ კარს ერთ წუთში როგორ მოხსნი ანჯამებიდან!

— ჯანდაბას! ამითი განვაგრძობ!

ეს სულაც არ მოსწონს ლაშენალს, მაგრამ, მეტი გზა არაა, ცერს ბოლო უნდა მოეღოს...

— არ მინდა! ფრთხილად, ფრთხილად! — ქვითინებს იგი.

კარებს ადგილობრივი მკვიდრნი მოუახლოვდნენ.

— გასწით აქედან! — ღრიალებს უდო. მათ სიტყვები არ ესმით, მაგრამ ემორჩილებიან და ეს კი მთავარია.

— ნუ, უდო, ნუ, გეთაყვა, — ამჯერად უდოს მოთმინება ეკარგება. იგი ჩერდება და უცქერის ლაშენალს.

— ბოლოს და ბოლოს, ეს უკვე მეტისმეტია! შენ შეგეძლო, უფრო დამყოლი ყოფილიყავი.

ლაშენალი კარგავს მჭევრმეტყველების უნარს. „უფრო დამყოლი რომ ვყოფილიყავი, — ფიქრობს იგი გუნებაში, — უდო ალბათ ორივე ხელ-ფეხს მომკვეთდა“.

ბაქანზე ისეთი ჯგლეთაა, ვერ გაივლი.

— სარკე! — ეძახის უდო და გაურკვევლად აქნევს ხელს, რითაც ანიშნებს „აქაურობა მიალაგეო“.

საზიზღარი სუნი ადგილობრივ მკვიდრთაც კი აფრთხობს. სარკე და ფუთარკე შეუდგნენ საქმეს: ფართოდ აღებენ კარებს და სახელდახელოდ გაკეთებული ცოცხით ჰგვიან ყველაფერს, რაც იატაკზე ყრია. ნაგავში ბლომად გამოჩანს სხვადასხვა ზომის თითები, რომლებიც ზედ ბაქანზე ცვივა განცვიფრებულ ადგილობრივთა ფეხქვეშ. რამდენიმე წამის შემდეგ მატარებელი გადის.

როგორც კი შეხვევა დამთავრდა, ტერაიმ სტაცა ხელი ლაშენალს და წაიყვანა.

ძლიეს მოვასწარით გამომშვიდობება:

— ნახვამდის, ბისკანტ, ყოჩაღად იყავი! დელიმდე!

გაისმა სტვენა. მატარებელმა გაიწია და ხმაურში დაიძრა. მივცურავთ აუარება ხალხის გვერდით. ძლივს მოვკარი თვალი ტერაის, რომელიც გამოთხოვებისას წყვილ სამთო ფეხსაცმელს გვიქნევდა.

ბორბლების რიტმული მღერა ძილს მგვრის. ვოცნებობ ამ შორეულ დედაქალაქზე, ქალაქზე „ათას ერთი ღამიდან“, საითკენაც ახლა მივემგზავრებით.

———— —

XX

არის სხვა ანაპურნებიც

ინდოეთის O. T. P. კომპანიის მატარებელი მთელი სისწრაფით მიჰქრის. მე იშაკი, ნუაელი და უდო ხმაამოუღებლივ ვწევართ კუპეს გრძელ საწოლებზე. ჩვენამდე აღწევს ვენტილატორიდან მონადენი და გამაგრილებელი ჰაერის ნაკადი. აზრები მიფრინავენ. ღამდება.

განგის ვაკეებზე ოცდაოთხსაათიანი კომფორტული მგზავრობის შემდეგ ჩავდივართ რაქსაულში. აქ გადის ინდოეთისა და ნეპალის საზღვარი. სარკე და პანზი კატმანდუმდე მოგვყვებიან. მათი ხელმძღვანელობით ჩვენი ბარგი სწრაფად გადაიტვირთა ნეპალის ვაგზალზე. ანაპურნის შემდეგ სარკე ერთი ნაბიჯითაც არ მომშორებია. სამუშაო თავსაყრელად ჰქონდა. მე ხშირად ვიგონებ მის უმაგალითო, ოცდათექვსმეტსაათიან გადასვლას. სწორედ ამან გადაწყვიტა ექსპედიციის ბედი. კატმანდუ ეს მისი ოცნების ქალაქია, ზღაპრული მოჩვენებაა, რომლის შესახებ იგი ოცნებასაც ვერ ბედავდა. მან ნამდვილად დაიმსახურა ეს ჯილდო ისევე, როგორც ჰიმალაის დიდი ექსპედიციების ვეტერანმა პანზიმ, რომლის თავდადება და გულკეთილობა ესოდენ მიმზიდველია. სირდარმა ანგ-თარკემ ვერ შეძლო ჩვენთან შემოერთება: მის სამშობლოში დიდი წყალდიდობა მოხდა და ძალიან წუხდა თავის მრავალრიცხოვან ოჯახზე, მთხოვა გამეშვა და პირდაპირ დარჯილინგში გაემგზავრა. გორაკპურში გამომშვიდობება განსაკუთრებით გულისამაჩუყებელი იყო. გამომუშავებული თანხის გარდა შერპებმა მიიღეს უხვი ბაკშიში და მთელი პირადი საკუთრული, რო-

მელიც მათთვის დიდ ღირებულებას წარმოადგენდა. ასეთი საჭურველი ევროპაშიც კი ულტრათანამედროვედ ითვლება. შერპები რიგრიგობით მოდიოდნენ ჩემთან გამოსამშვიდობებლად და ინდოელთა ჩვეულების მიხედვით, ხელებს ერთმანეთზე ატყუპებდნენ. ზოგი, მაგალითად ფუთარკე, ნელა მესალმებოდა, პატივისცემის ნიშნად, შემდეგ ხელით შემეხებოდა და შუბლს ტანსაცმელზე მომადებდა. თუმცა კი კმაყოფილნი იყვნენ, რომ ექსპედიციიდან გათავისუფლდნენ, რომელიც დიდხანს ემახსოვრებათ, მაგრამ სახეებზე წრფელი სევდა ჰქონდათ აღბეჭდილი.

მაჰარაჯას მიერ გამოგზავნილ ოფიცერს დავალებული აქვს, თვალყური ადევნოს, რომ ჩვენ უზრუნველყოფილნი ვიქნეთ ყველაფრით, რაც აუცილებელია და დაგვეხმაროს კატმანდუმდე მისვლაში. არასიასამოვნო ამბავია: მატარებელი ხვალამდე არ გავა. იმედი გაგვიცრუვდა, მაგრამ სრულიადაც არ გაგვკვირვებია: ნეპალში სულ სამი ორთქლმავალია! საბედნიეროდ, სამი მოკავშირე ოფიცრის, ნუაელის, ე. ბ. რანასი და ნეპალელი ოფიცრის მონდომების წყალობით მოლოდინის ვადა შემცირდა და დღეს, ღამის სამ საათზე გავა საბარგო მატარებელი. მას მიაბამენ საგანგებოდ ჩვენთვის ვაგონ-ლუქსს. საგარეო საქმეთა მინისტრი და მაჰარაჯას ღვიძლი შვილი გენერალი ბიჟაია აგზავნის ტელეგრაფით მიწერილობას, რომ ეს ვაგონი ჩვენს განკარგულებაში გადმოგვცენ.

ღამით, ჭრიჭინებისა და სხვა მწერების მომაბეზრებელი აკომპანემენტის ქვეშ საუცხოო კუპეში ვთავსდებით. ამხანაგებს უკვე მაგრად სძინავთ, როდესაც მატარებელი ნელა გადის სადგურიდან. ისე საშინლად ინჯღრევა, რომ მეშინია ლოგინიდან არ გადმოვვარდე. ლიანდაგის სიგანე სულ 60 სანტიმეტრია! ნამცეცა ვაგონი წონასწორობის სასწაულებს გვიჩვენებს. გასწვრივი და გარდიგარდმო რხევისაგან გული მერევა. მთელი ღამე თვალი არ მომიხუჭავს. ჩვენ მივდივართ უღრან, ნესტიან ჯუნგლებზე.

დილით მივაღწიეთ ბოლო სადგურს. მაჰარაჯას ოფიცერი უხვი საუზმით გაგვიმასპინძლდა. ვაგზლის ახლოს მანქანები გვიცდიან: ჩვენთვის ავტობუსი, ხოლო საჭურველისათვის საბარგო შევროლე. მე წინა ადგილზე მსვამენ. ერთ თვეზე მე-

ტია, არ ვყოფილვარ ამ მდგომარეობაში, მაგრამ იმდენად გავხდი, რომ ჩემთვის დათმობილი კომფორტის ჯეროვნად შეფასების თავიც აღარა მაქვს. ოცდაათი კილომეტრი ბიმპედამდე შეიძლებოდა დაგვეფარა რამდენიმე წუთში. ჩვენ კი ამ გზას ორ საათზე მეტი მოვანდომეთ. თუმცა ვიწრო, მაგრამ საკმაოდ კარგი გზაა. მრავალრიცხოვან მთის მდინარეებზე გადებულია სტანდარტული მზა ხიდები. ეს გზა ერთადერთია ნეპალში. იქაური მკვიდრნი ძალიან ამაყობენ ამ გზით. იგი კატმანდუში მიმავალ მნიშვნელოვან სასიცოცხლო მაგისტრალს წარმოადგენს.

თანდათანობით ვიღებთ სიმაღლეს. დროდადრო გვხვდება სერპანტინები. საბარგო მანქანა კვალდაკვალ მოგვყვება. მასზე მოკალათებული შერპები აღტაცებულნი არიან. ადგილობრივი სახლების უმეტესობა გადახურულია ტალღოვანი თუნუქით. ეს მართლაც რომ ყველაზე უფრო უმსგავსო საჩუქართაგანია დასავლეთის ცივილიზაციისა ადგილობრივი მოსახლეობისათვის. 11 საათზე ჩავდივართ ბიმპედში, სადაც უნდა დაგვხვდეს ცხენები და „დენდი“.[1] გზა აქ თავდება და კატმანდუმდე მისვლა, სადაც საღამომდე უნდა ვიყოთ, ავტომანქანისათვის გაუვალი მთის ბილიკით მოგვიხდება.

ჩვენს მოვლაში უდოს მტკივნეული ძირმაგარები გაუჩნდა და, ჩემსავით ისიც „დენდის“ ირჩევს თავისთვის. ბილიკი ხვეულებად მიჰყვება ზევით ციცაბო კალთას.

საოცრად მარჯვე მზიდავები სიარულის დროს ტემპის შეუნელებლად ენაცვლებიან ერთმანეთს და სრულიად არ მანჯღრევენ. მგზავრობა მთელ დღეს გრძელდება. „დენდი“ ჩემთვის მეტისმეტად პატარაა. იძულებული ვარ თითქმის ორად მოვიკაკვო და ყოველნაირად გავუღრეჩილდე ჩემს სახვევებს. დიდხაან ასე ღარჩენა შეუძლებელია. „გასაჭნევებლად“ უდო მიკეთებს სოლიუქაფურის ნემსებს. გზის გასწვრივ მიმოფანტულია „რესტპაუზები“, მაჰარაჯას მიერ მოწვეული სტუმრების დასასვენებლად განკუთვნილი შენობები. დღის პირველ საათზე ავდივართ გურკების შენაერთის მიერ დაკავე-

---

[1] დენდი — დასაჯდომი საკაცე, რომლითაც დამავებული გადაჰყავთ.

ამაყობენ ვობანის[1] სტილით ნაგები სიმაგრით. სიმაგრის ზემოთ რესტ-ჰაუზში მსუბუქი საუზმის შემდეგ ჩვენ ისევ გზას გავუდექით, რადგან, კატმანდუმდე კიდევ შორსაა და ორი უღელტეხილი გვაქვს გადასავლელი.

ჩემი მდგომარეობა აუტანელი ხდება. არის მხოლოდ ერთი გამოსავალი, რომელიც ლეტეს შავბნელ დღეებში ვცადე — გავირინდო, გავშეშდე, აწმყოზე არ ვიფიქრო. დავივიწყო ტანჯვა და ტკივილი. თითქოს უკვე გვიანდება. 2000 მეტრიანი უღელტეხილიდან ჰორიზონტი იშლება. ვხედავ აუარება ტროსს, რომლებიც ჰკვეთენ ხეობას. საბაგირო გზაა? შეუძლებელია! დიახ, ეს თურმე მსოფლიოში უგრძესი საბაგირო გზაა: მისი სიგრძე 30 კილომეტრს აღემატება და მომსახურებას უწევს კატმანდუსა და მის გარეუბნებს, ესე იგი, 150 ათასზე მეტ მცხოვრებს.

ჩემი ამხანაგები მარდი ცხენებით წინ წავიდნენ. დაგვპირდნენ სამანქანო გზის დასაწყისთან დაგიცდითო. საიდან არის აქ სამანქანო გზა?! გაოცებული დავრჩი, როცა გავიგე, რომ კატმანდუმდე მანქანით ვიმგზავრებთ. როგორ შეიძლებოდა აქ ავტომანქანა მოხვედრილიყო? რა თქმა უნდა, ამ ვიწრო ბილიკზე ვერ აიყვანდნენ, ჩვენც გაჭირვებით მივდივართ!

ნაწყვეტ-ნაწყვეტ ვახერხებ მცირეოდენი ცნობების მიღებას.

— მზიდავებმა ამოიტანეს?

და უდოსკენ მივბრუნდი:

— მაშასადამე, მანქანას ამ ბილიკზე მიაგორებდნენ? სისულელეა, შეხედე, როგორი ციცაბოა! ზოგ ადგილას ორი კაციც ვერ გაივლის ერთად. აი, თუნდაც ახლა! ჩვენ ეს-ეს არის გამოვედით ლითონის პატარა ხიდზე, რომლის სიგანე მეტრნახევარს არ აღემატება.

— მანქანას ისინი კი არ აწვებიან... მათ იგი ხელით მოაქვთ ხოლმე.

— დაუჯერებელია! ამბობენ, სატვირთო მანქანებიც კი არისო. მაგრამ ორი 2000 მეტრიანი უღელტეხილი?

---

[1] ვობანი — სახელოვანი ფრანგი სამხედრო ინჟინერი.

ჩემმა თანამოსაუბრეებმა ამიხსნეს:

— თვლებმოხსნილ მანქანას დგამენ დიდ სადგარზე, რომელიც 50-70 კაცს მიაქვს. ბილიკის დიდი ნაწილი მდინარეთა კალაპოტებზე გადის, სადაც მზიდავები ფეხშიშველა მიდიან, ორ უღელტეხილზე გადასვლის თავიდან აცილება შეუძლებელია, ამიტომ იმ ადგილებში ბილიკი გააფართოეს და მოსახვევები ისე ციცაბო აღარ არის. ამ მძიმე შრომის გასაადვილებლად მზიდავები მღერიან ხოლმე რიტმულ სიმღერებს. ამგვარად შეძლეს კატმანდუში თითქმის ოცი კილომეტრის მანძილზე კარგი გზების გაყვანა, რომელზეც ახლა ასეული მანქანა დაქრის.

ღამდება. მზიდავები მთელი დღე შეუსვენებლად ძოდიოდნენ და ახლა გაჭირვებით ადიან უღელტეხილზე. ამბობენ, რომ აქედან მოჩანს ჰიმალაის მთაგრეხილის უდიდესი ნაწილი. ხოლო ქვემოთ, ცნობილი ნეპალის ველის შესართავის მიღმა, კატმანდუს ვაკეზე, გაშლილია ამ ქვეყნის ისტორიული ციხესიმაგრე, რომელიც ასეულ პაგოდას, ტაძარსა და სასახლეს შეიცავს. ეს ალბათ გასაოცარი სანახაობაა. სამწუხაროდ, როცა უღელტეხილს ვაღწევთ, ირგვლივ უკუნეთი სუფევს, ამასთან ცა მოღრუბლულია. საკვირველია, როგორ ახერხებენ მზიდავები ასეთ სიბნელეში გზის გაგნებას! გაჩერებაზე ლაპარაკიც ზედმეტია, თუმცა ისე დავიღალე, რომ მზადა ვარ სული ღმერთს მივაბარო. ჩემი პოზა კაცს წარმოუდგენს ლუდოვიკო XI-ის დროინდელ რკინის გალიებს.

შორს ელექტრონათურები კიაფობენ! მეორე დღეს გავიგე, რომ მდინარე ბრაგმატზე აგებულია ელექტროსადგური. დრო გადის, სინათლეები მეტისმეტად ნელა გვიახლოვდებიან. გვიან ღამით მძინარე სოფლებზე მივდივართ. როდისღა გათავდება ყოველივე ეს? მე უკვე კვნესის ძალაც აღარა მაქვს.

დაახლოებით შუაღამისას ერთ პატარა სოფელს მივაღწიეთ. ირგვლივ უხმაუროდ მოძრაობენ რაღაც ჩრდილები: ვგრძნობ, ეს გზის დასასრულია, მართლაც შორიახლოს გვიცდის ადამისდროინდელი ამერიკული ავტომანქანა. უნდა გავუსწოროთ ანგარიში მზიდავებს და გადავტვირთოთ საჭურველი სატვირთო მანქანაზე.

მე და უდო ჩავსხედით მანქანაში. იქვე გამოირკვა, რომ

ერთი კამერა გამსკდარა. თხუთმეტი წუთი საბურავის გამოცვლას სჭირდება. ამასობაში გაავდარდა. წავედით. წვიმა საშინელმა ელვა-ქუხილმა შეცვალა. ძარაზე ისეთი რახარუხი გაქვს კოკისპირულ წვიმას, გეგონება დოლზე უბრახუნებენო. ცუდი გზაა. რესორიც გატეხილია.

ღამის პირველ საათზე შევდივართ მაჰარაჯას „რესტჰაუზში". შესასვლელთან, ხეივანზე, სალუტს გვაძლევს შეიარაღებული გურკი. ისმის შეძახილები...ჩვენ გველოდებიან. იშაკი, ნუაელი და ჟ. ბ. შემოგვეგებნენ. დიდად გამახარა აგრეთვე ჩვენი წარმომადგენლობის მრჩევლის კრისტიან ბელის ნახვამ, რომელიც ამჟამად საფრანგეთის საქმეების რწმუნებულის მოვალეობას ასრულებს ინდოეთსა და ნეპალში. ჩვენი ელჩი მ. დანიელ ლევი ამჟამად საფრანგეთშია და მისი აქ არყოფნის დროს კრისტიან ბელი ჩამოვიდა, რათა პირადად წარუდგინოს მაჰარაჯას ექსპედიციის წევრები. ეს კარგი მეგობარი ყველა ჩვენს საქმიანობაში გარკვეულია, მაგრამ ჩემმა მდგომარეობამ მაინც ძალზე ააღელვა.

ძლივს, მრავალი თვის მანძილზე, პირველად დავისვენებ... აქ არის ავეჯი! მაგიდა, მაცივარი... ჩვენს განკარგულებაშია აბაზანა!.. მაგრამ ყოველივე ეს არაფერია იმასთან შედარებით, რაც მაგიდაზე გველოდება: ერთი ბოთლი ელზასის ღვინო! თავბრუ მეხვევა და უკვე მზადა ვარ, ბოროტად გამოვიყენო ეს ზღაპრული შესაძლებლობა; ამ დროს თავმომწონე დოლბანდიანი მეტრდოტელები ისეთი ცერემონიით მისხამენ ძვირფას სითხეს, რომ მე ძალაუნებურად ვუბრუნდები კარგი ტონის წესებს. სასიამოვნო სიურპრიზია: ნამდვილ ლოგინში ჩავწვები. აქ დარჩენას 11 ივლისის ჩათვლით ვაპირებთ. ჩემთვის ეს ნიშნავს სამი დღის სრულ დასვენებას და კარგ კვებას, ჩემი ამხანაგებისათვის — სამ დღეს ამ ზღაპრული სატახტო ქალაქის დასათვალიერებლად.

კატმანდუ — მთელი ნეპალის სიცოცხლის ცენტრია, ამ ქვეყნის აკვანია. ჩემი ამხანაგები ქალაქში წასასვლელად ემზადებიან. წასვლის წინ უდო „კანს მაცლის" ოთხივე ჭრილობიდან და მთხოვს, რამდენიმე საათს შეუხვევლად მქონდეს. მაგრამ ეს ადვილი როდია! ვერაფერს მივეკარები, ხელფეხაწეული უნდა ვიწვე და გულმოდგინედ ვიგერიო ბუზები და კო-

ღოები. ასეთ ვითარებაში დრო ნელა გადის და გარდა ამისა, ძალიან მეშინია ამ მწერების, რომლებიც ყოველგვარი სენის მატარებლები არიან. ვეება, წითელღიპიანი ბუზები წებოვანი სალბუნივით ეკრობიან იარებზე და მათი გარეკვა ყოველ ღონეს აღემატება. ჩემი შიში გამართლდა: დელიში, სახვევის გამოცვლის დროს უდომ აღმოაჩინა, რომ ფეხის ჭრილობაში მატლები დაფუთფუთებდნენ. როგორც კი მათ ქირურგის პინცეტს მიუახლოებდა, ისინი მაშინვე უჩინარდებოდნენ სიღრმეში. სანამ პარიზამდე ჩავიდოდით, წინდის საქსოვი ჩხირისოდენები გახდნენ, წონით არანაკლები 200 გრამისა. შევძრწუნდი! იმაზე ფიქრმა, რომ არაფერმა დამინდო, სასოწარკვეთილებამში ჩამაგდო. ეს საშინელი სანახაობა სამუდამოდ შეიჭრა ჩემს მეხსიერებაში, მიუხედავად უდოს მანუგეშებელი მტკიცებისა, რომ მატლები ყველა თანამედროვე წამალზე უკეთესად წმენდენ იარებს. ამბობენ, ზოგჯერ საგანგებოდ ასენიანებენ ჭრილობებს მატლებითო.

ჩემი ამხანაგები მოხიბლულნი არიან თავისი ექსკურსიით. მოასწრეს დაეთვალიერებინათ ხეზე ამოკვეთილი ჩუქურთმებით შემკული უამრავი პაგოდა, განსაკუთრებით ორიგინალური პატარა ქანდაკებები, რომლებიც გვაუწყებენ, რომ ნეპალს ხელოვნების აყვავება განუცდია.

მეორე დღეს დიდი დურბარისათვის[1] ვემზადებით. ნუაელი გვიხსნის ცერემონიის წესრიგს, რომელიც დღის ბოლოს სასახლეში შედგება. ჯერ იქნება ოფიციალური ნაწილი, შემდეგ კი მიღება უფრო ინტიმურ ვითარებაში მოხდება. ყველანი ვღელავთ. ამ დიდ დურბარზე ლაპარაკით უკვე დიდი ხანია გამოგვიჭედეს ყურები. უპირველეს ყოვლისა, აუცილებელია პუნქტუალური იყო. ერთი წუთით არც ადრე, არც გვიან. ეთიკეტი მკაცრად უნდა დავიცვათ. ქრისტიან ბელის გარდა, რომელიც წარმომადგენლობის მრჩევლის მუნდირში იქნება გამოწყობილი, ყველანი უბადაღებულ თეთრ სმოკინგებში უნდა შევიმოსოთ, რომლებსაც პარიზიდან მოვათრევთ. მთამსვლელ მოგზაურებიდან, რამდენიმე წუთში უნდა გარდავიქმნათ მაღა-

[1]. ნეპალში საზეიმო აუდიენცია მეფესთან.

ლი საზოგადოების ადამიანებად, კიდევ მეტი — სამეფო კარის ადამიანებად.

— ჩემი შარვალი დაჭმუჭნულია, — ჩივის უდო.

— გააუთოებინე, — ეუბნება იშაკი. — ოჰ, დასწყევლოს ეშმაკმა, ჩემს სიცოცხლეში ვერ შევიკრავ ამ საკინძებს.

— მე მზადა ვარ! — ყვირის ჩვენი დიპლომატი ნუაელი.

ჩემს ირგვლივ პარიკმახერი ფუსფუსებს, ამჯერად უფრო თავაზიანი ვიდრე თანსინგში. იგი ახერხებს ჩემს გაპარსვას უვნებლად — როგორც ჩანს, უდიდესი ოსტატია, ვინაიდან ჩემი სახიდან მხოლოდ ძვალი და ტყავია დარჩენილი.

დანიშნულ საათზე ორი ვეებერთელა მანქანით შევდივართ სასახლის გალავანში. ცხაურიან ალაყაფთან სალუტს გვაძლევენ გურკები. ფრანგული სტილის საუცხოო ხეივნის მიღმა ტბაა. ნელა ვუვლით გარშემო.

ჭენებით გვიახლოვდება ცხენოსანთა რაზმის მთელი შენაერთი. წითელ ტანსაცმელში გამოწყობილი გრძელულვაშებიანი მხედრები შუბებით არიან შეიარაღებულნი. შევედით მოცემენტებულ მოედანზე და მაჰარაჯის სასახლის წინ გავჩერდით. ჩემი მეგობრები სწრაფად გადმოვიდნენ მანქანიდან და განკარგულება გასცეს, რომ საკაცე მოიტანონ ჩემთვის. ჯარისკაცები მორბიან და ეხმარებიან ჩემს გადმოყვანაში. ავდივართ კიბეზე. თეთრ მუნდირში გამოწყობილი უამრავი არაჩვეულებრივი ორდენებითა და უიშვიათესი ძვირფასეულობით შემკული მისი უმაღლესობა მაჰარაჯა ნეპალისა, მოდის ჩვენს შესახვედრად. მის თავსამკაულს ამშვენებენ მომსხო ძვირფასი თვლები, რომელთა შორის გამოირჩევა ფენომენური ბრილიანტი. მისი დიამეტრი ათიოდე სანტიმეტრია. იმპერატორ ფრანც-იოსების სტილზე დაყენებული ულვაშები მაჰარაჯას გარეგნობას კიდევ უფრო მეტ სიდიადეს ანიჭებს.

იგი მოდის ჩემთან კეთილი გამომეტყველებით. მის გამოხედვაში მამობრივი გულთბილობა გამოკრთის. მოწიწებით ვესალმები მას ინდური მანერით — ერთმანეთზე ვადებ ჩემს შეხვეულ ხელებს. იგი გვეუბნება, რომ მოხარულია მიგვიღოს სასახლეში, ბედნიერია, — მოგვილოცოს მე და ჩემს ამხანაგებს. მასთან ერთად ავიარეთ კიბე და შევედით ვეებერთელა გაჩირაღდნებულ დარბაზში. ირგვლივ მეფის დიდებულები

ტრიალებენ, ხალხი გზას გვაძლევს გასავლელად. მაჰარაჯამ გასცა ბრძანება, ჩემი საკაცე იმგვარად დადგან, რომ კარგად ვხედავდე მთელ ცერემონიას. გაკვირვებით ვუმზერ ირგვლივ მყოფთ, ყველას ისეთივე თეთრი მუნდირი აცვია, როგორიც მაჰარაჯას, თუმცა ნაკლებ მდიდრული. თვალისმომჭრელად ელვარებენ ზურმუხტები, ბრილიანტები, ლალები. რაღაც უცნაურია, რომ ჩვენს საუკუნეში კიდევ არსებობს ასეთი საარაკო განძეულობა.

რადგან დანიშნულ დროზე რამდენიმე წუთით ადრე მივედით, მე მოვასწრებ უფროს-უმცროსობის მიხედვით რიგზე ჩამწკრივებული ტახტის მემკვიდრე უფლისწულების კარგად შეთვალიერებას. ისინი დაახლოებით თხუთმეტნი არიან. სხედან მდუმარედ, გაუნძრევლად.

მაჰარაჯას ოფიციალური პოსტი — პრემიერ-მინისტრის თანამდებობა გადაეცემა მის ძმებს ან შვილებს მემკვიდრეობით, მეტად მკაცრი წესების შესაბამისად. ნეპალის მეფე თითქმის არასოდეს ეჩვენება თავის ქვეშევრდომთ. იგი ახორციელებს სულიერ ძალაუფლებას. მარჯვნივ, რანგის მკაცრი დაცვით სხედან ისეთივე ბრჭყვიალა მუნდირებში გამოწყობილი უფლისწულები, შემდეგ მინისტრები, არმიის უმაღლესი ოფიცრები — ერთი სიტყვით, ნეპალის ყველა დიდგვაროვანი და წარჩინებული პირები.

ჩემს გვერდით იშაკი ზის. იგი ჩამჩურჩულებს:

— თავბრუდამხვევია! შენ როგორ გრძნობ თავს?

— საშინლად... მე მგონია, დიდხანს ვერ გავუძლებ.

მართლაც, საკმარისი იყო მიმეღო ვერტიკალური მდგომარეობა, რომ სახვევებში ჩირქმა იწყო გამოჟონვა. იშაკიც გაჭირვებულ მდგომარეობაშია: ეთიკეტი აქ მეტად მკაცრია, — მგონი ყველაზე მკაცრი მსოფლიოში, და პიროვნება, რომელიც სასახლეში მიღების ღირსადაა მიჩნეული, არ შეიძლება ფოტოგრაფის მოვალეობას ასრულებდეს, მაგრამ ამ ქვეყანაში ფოტოგრაფია უდიდესი პოპულარობით სარგებლობს და დამსწრენი ეთიკეტის დარღვევას თვალს არიდებენ. დროგამოშვებით მაგნიუმი ინთება: იშაკი ნელ-ნელა იღებს სურათებს. შემდეგ იგი ისევ „მოწვეული“ ხდება. სასახლის ოფიციალური ფოტოგრაფები ვეება შტატივებიან აპარატებთან ცოდვილობენ,

რომლებსაც ისე გულმოდგინედ აყენებენ, თითქოს ეშინიათ, რომ წარუმატებლობის შემთხვევაში თავებს მოჰკვეთენ.

იშაკს ქედმაღლურად უყურებენ. „ვიღაც მოყვარულია... — ფიქრობენ ისინი, — ხომ არ შეიძლება სურათი ფრენისას გადაიღო!"

ქრისტიან ბელი დგება და ინგლისურ ენაზე სიტყვით მიმართავს მაჰარაჯას, საფრანგეთის სახელით მადლობას უხდის მას, რომ ნება დაგვრთო ნეპალის ნახვისა.

— ადამიანის მიერ დაპყრობილი უმაღლესი მწვერვალი ნეპალში მდებარეობს, — ამბობს იგი...

მერე მადლობის ნიშნად, პრეზიდენტის სახელით, მაჰარაჯას უძღვნის თანამედროვე სტილით ნაქარგ ობიუსონის ნახელავ კედლის ხალს, მაგრამ ნეპალში გამოყენებითი ხელოვნების ეს სახე ცნობილი არაა და როცა ქრისტიან ბელი უხსნის, რომ ეს ხალიჩა იატაკზე დასაფენი კი არა ნაქარგის სახეა, რომელსაც სურათის მსგავსად კედლების შესამკობად იყენებენ, ყველა გაკვირვებულია. დუმილს აღფრთოვანების ჩურჩული არღვევს.

კვლავ სიჩუმე დამკვიდრდა. შემდეგ მაჰარაჯა ადგა და ჩვენი ელჩის საპასუხოდ აღნიშნა, რომ მოხარული იყო, მოეცა ნებართვა, რომელიც ჩვენ საუკეთესოდ გამოვიყენეთ. ეს აქტი, რომელიც ჭეშმარიტად განსაკუთრებულ ხასიათს ატარებს, გვიჩვენებს, თუ როგორ მიისწრაფვის მაჰარაჯა, ხელი შეუწყოს საფრანგეთისა და ნეპალის მეგობრული ურთიერთობის განმტკიცებას, რომელიც დამყარდა ოდესღაც მამამისისა და სანსკრიტის სპეციალისტის, საფრანგეთის უდიდესი მეცნიერის სილვენ ლევის დიდი მეცადინეობის შედეგად.

სანამ ის ლაპარაკობდა, მემკვიდრე უფლისწულები ერთმანეთს გადახედავდნენ ხოლმე და შეუმჩნევლად საათზე იყურებოდნენ. სულ რამდენიმე წამიღა დარჩა: ნუთუ ეთიკეტი დაირღვევა? არა! მაჰარაჯა ამთავრებს. კიდევ რამდენიმე თავაზიანი სიტყვა და ცერემონია დამთავრებულია. დიდებულები, თითქოს ჯადოსნურმა ქარმა წამოუქროლაო, ერთბაშად გაუჩინარდნენ.

რამდენიმე წუთის შემდეგ დაიწყება მიღების ნახევრადოფიციალური ნაწილი. ზოგი უკვე ჩვეულებრივ ფორმაში

დაბრუნდა: შავი მუნდირით, გაკრეჭილი ბეწვის ქუდით, ხოლო ორდენების მაგიერ მხოლოდ გურკების ნიშანი უკეთიათ: ორი გადაჯვარედინებული ოქროს ხმალი. ხელახლა გამოჩნდა მაჰარაჯაც. ამჯერად მას მკერდზე მხოლოდ ერთი — საპატიო ლეგიონის ჯვრის ორდენი აქვს. საერთო საუბრის ტონიც შეიცვალა: ჩემი ამხანაგები ესაუბრებიან მინისტრებსა და უფლისწულებს, რომლებიც ტკბებიან დიდ მაგიდაზე გადაფენილი ნაქარგით. მაჰარაჯა მოდის ჩემთან და რემდენიმე წუთის განმავლობაში მეგობრულად ვსაუბრობთ.

ვეუბნები მას, თუ როგორი სიმპათიითა ვარ განწყობილი მისი სამშობლოსადმი, რომელიც არცთუ ისე ცნობილია დასავლეთში, იმ საუკეთესო შთაბეჭდილებაზე, რომელიც დასტოვა ჩვენზე, თანმხლებმა ოფიცერმა ჟ. ბ. რანამ. ჟ. ბ.-ს დაუყოვნებლივ მიანიჭეს ლეიტენანტობა, ჯამაგირი კი გაუორკეცეს! იგი მეტად აღელვებული, კარგა დიდი მანძილიდან უხდის მადლობას და ორად მოხრილი ჩვენთვის უკვე ცნობილი უცნაური თავის დაკვრით მძიმედ ესალმება მაჰარაჯას.

როგორც ისტორია გვიჩვენებს, ამ მკაცრ მეომრებს ნაზი გრძნობებისადმი მიდრეკილება თითქოს არ უნდა ჰქონდეთ, ამიტომ განცვიფრებული ვარ, რომ ასეთ ყურადღებას, ამდენ გულკეთილობას იჩენენ ჩემს მიმართ. უეცრად დუმილი ჩამოვარდა: შემოდიან ვიღაც უცხო პირები, რომლებსაც მოწიწებით მოაქვთ რაღაც კოლოფები. რაშია საქმე? მაჰარაჯა დგება. მე გადამიყვანეს უზარმაზარი დარბაზის შუაგულში. გარს გვარტყია სამეფოს კარი. აქვე ესწრებიან ინგლისისა და ინდოეთის ახლახან ჩამოსული ელჩებიც თავიანთი ატაშეებით.

მაჰარაჯა საზეიმოდ ხსნის კოლოფებს და განმარტავს, რომ მეფე შეუძლოდაა, ამიტომ მას ღაიეალა გადმომცეს ნეპალის უმაღლესი ორდენი, სახელდობრ, „გურკების გმირული მარჯვენა“, რომლითაც აჯილდოვებს ომში გამოჩენილი სიმამაცისათვის მხოლოდ ნეპალის არმიის ჯარისკაცებსა და ოფიცრებს.

დიდი მღელვარებით წარმოთქვა მან უბრალო სიტყვები:

— თქვენ განსაკუთრებული ვაჟკაცობა გამოიჩინეთ და მოგესალმებით როგორც მამაც ადამიანს.

ვერავითარი ჯილდო ვერ ამაღელვებდა ამაზე მეტად — მამაცი გურკი მებრძოლებისათვის გამიზნულ ორდენზე მეტად. თითქმის გულწასული ვზივარ ჩემს საკაცეზე და ვცდილობ შევაკოწიწო რამდენიმე სიტყვა საპასუხოდ. მადლობას ვწირავ ამ მოულოდნელი ჯილდოსათვის და დავსძენ, რომ ჩემი სახით დაჯილდოებულია მთელი ექსპედიცია. მაჰარაჯა მილოცავს. შემდეგ გვერდით ჩამიარეს მემკვიდრე უფლისწულებმა, მინისტრებმა, დიპლომატებმა. განუწყვეტლივ ისმის: „Congratulations!"[1]

თანდათან მთელი საზოგადოება პატარ-პატარა ჯგუფებად დაიყო. დროდადრო ჩემთან მოდიან მაჰარაჯა და მისი ვაჟი გენერალი ბიჟაია, რომ გაიგონ, თუ როგორ გუნებაზე ვარ. მეკითხებიან მარადთოვლიან სამყაროზე. მათ აინტერესებთ და აღელვებთ ანაპურნის ისტორია. ამიერიდან იმედი მექნება, თუ რაიმე უბედურება მოხდა, ჩვენ, საღმრთო კანონების დამრღვევთ, დანაშაულად არ ჩაგვითვლიან.

წასვლის დროა. სრულიად ღონემიხდილი ვარ... ვალი ბოლომდეა მოხდილი. ჩემს ამხანაგებს ეს კარგად ესმით და ვეთხოვებით მასპინძლებს. მისი უმაღლესობა თავისი შვილისა და სხვა დიდებულების თანხლებით ზეიმით გვაცილებს გრანდიოზულ კიბემდე. მოთმინება არ მყოფნის, ვიდრე დავწვებოდე, მაგრამ საფუხურებზე დაშვება რომ დავიწყეთ, უეცრად ნაწყვეტ-ნაწყვეტი ბრძანება გაისმა: ნელა მომავალი მანქანები გაჩერდნენ.

მოისმის მუსიკის ხმა. ყველა „სმენაზე" დგება. უკანასკნელი აკორდისთანავე მივუბრუნდი საგარეო საქმეთა მინისტრს და მინდა ვუთხრა, რომ ვასიამოვნო: „რა თავაზიანობაა თქვენის მხრივ ამ მელოდიის ჩვენთვის შესრულება!" კიდევ კარგი, რომ პირის გაღებასაც ვერ ვასწრებ. მინისტრი იხრება ჩემკენ და მეკითხება:

— როგორ მოგეწონათ ჩვენი ნაციონალური ჰიმნი?

— დიდებულია! და განსაკუთრებით გულში ჩამწვდომია ჩვენთვის, ფრანგებისათვის...

ამ დროს მოისმის მარსელიოზა, განცვიფრებულნი და აღელვებულნი ვართ ჩვენი სამშობლოდან ესოდენ დაშორე-

[1]. გილოცავთ!

ბულ ქვეყანაში მშობლიური ჰიმნის გაგონებით. ცხადია, რომ მის შესრულებას ხანგრძლივი მზადება დასჭირდა.

დუმილი ჩამოვარდა. მაჰარაჯა გვემშვიდობება. მოწიწებით ვუხრით თავს და ვსხდებით მანქანებში. კვლავ გაისმის წყვეტილი ბრძანება და ისევ მარსელიოზას ხმები იღვრება. მანქანები ნელა დაიძრნენ.

საღამოს ჩემი ამხანაგები ინგლისის საელჩოში ვახშმობენ და უგზავნიან უსტარს ტილმანს, რომელიც ამჟამად მანანგბოტის რაიონშია. მეორე დღეს დამსახურებული დასვენების შემდეგ მივემგზავრებით ერთ-ერთი ყოფილი დედაქალაქის ბაგდაონის დასათვალიერებლად, სადაც ვნახულობთ ინდუსურ პაგოდებს, რომლებიც გვაოცებს თავისი მდიდრულობით.

კატმანდუს ცენტრში, მოედანზე, ტაძრის ახლოს, ვტკბებით ქალ-ღმერთ კალის ქანდაკებით. ჩემი ამხანაგები მიდიან სვაიამბბუნატას განთქმული ბუდისტური „სტუპი"-ს[1] დასათვალიერებლად, რომლის თავზე ამართულია ლითონის კონცენტრული სალტეებისაგან გაკეთებული კოშკი.

მეორე დღეს, 12 ივლისს, ყველანი მივემგზავრებით. ტრადიციის თანახმად, თითოეულ ჩვენგანს კისერზე ჰკიდებენ სურნელოვანი ყვავილების გვირგვინს.

ვტოვებთ რესტჰაუზს. მაჰარაჯამ იზრუნა იმაზე, რომ უკან დაბრუნება გამიადვილოს. მაწვენენ მოხერხებულ საკაცეზე, რომელიც მიაქვს რვა კაცს. მალე იწყება უკვე ჩვევად ქცეული ნჯღრევა; ბილიკი მიემართება უღელტეხილისაკენ.

ე. ბ. მოგვყვება პირველ სერპანტინამდე. იგი პატიოსნად გვემსახურებოდა და პირადი მადლიერების ნიშნად ვუძღვნი მას ჩემს რევოლვერს, რომელიც არ მომიშორებია ომიანობის წლებში. ამ ქვეყანაში ამ იარაღს არ იცნობენ და ე. ბ. ძალიან გულაჩვილებულია საჩუქრით, რომელიც მუდამ მოაგონებს ჩვენს თავგადასავალს.

მას უმძიმს ჩვენთან განშორება. მღელვარებით მემშვიდობება. რამდენიმე ხანს მოჰყვება საკაცეებს და მერე თანდა-

---

[1] საფლავის მონუმენტი, რომელშიც ინახება ბუდას ნეშტი, ან რელიქვიები, ან უბრალოდ ძეგლი.

თანობით უკან რჩება. ბილიკი ბორცვზე ადის. მალე იგი ჯუნგლებში დაიკარგება... ყვავილწნულები საამურ სურნელებას აფრქვევენ... ჟ. ბ.-ს სახეზე უსაზღვრო სევდაა აღბეჭდილი და მზით დამწვარ ლოყებზე ცრემლები ჩამოსდის.

მზერა შორეულ მოცისფრო მწვერვალებისაკენ გადამაქვს: აქ თავი მოუყრია მსოფლიოს ყველა ბუმბერაზს. თავისი ბრჭყვიალა მწვერვალები ცისკენ მიუპყრიათ, თითქოს გაყინულანო სასოწარკვეთილი ვედრებისას.

ამხანაგებმა შორს გაგვისწრეს. საკაცის თანაბარი რხევა მწყვეტს ზღაპრულ სანახაობას, რომელიც მალე მხოლოდ მოგონებად დაგვრჩება.

საამოდ ვთვლემ და ვცდილობ ოცნებით წარმოვიდგინო პირველი შეხვედრა თვითმფრინავში ცივილიზებულ საძყაროსთან, ნათესავებთან და მეგობრებთან, ორლის აეროდრომზე რომ გველოდებიან...

თუმცა კი შეუძლებელია წარმოდგენა იმ საშინელი მღელვარებისა, რომლის განცდა სინამდვილეში მომელის, იმ ძლიერი ნერვიული აფორიაქებისა, რომელსაც ბედი მიმზადებს. ამ ოპერაციებმა ღია ცის ქვეშ, ამ გულისამრევმა სასაკლაომ, თანდათან დააჩლუნგეს ჩვენი გრძნობები. მთლიანად უკვე ვეღარ შევიგრძნობთ მთელ საშინელებას: უსარგებლო ხარახურასავით გადაყრილი მოკვეთილი თითები, იარებიდან მომდინარე სისხლი, ჩირქის აუტანელი სუნი — ყოველივე ეს უკვე არავითარ შთაბეჭდილებას აღარ ახდენს ჩვენზე.

დაფრენის წინ, რა თქმა უნდა, მე და ლაშენალი „ჩამოსვლის“ აღსანიშნავად ლამაზ სახვევებს გავიკეთებთ, მაგრამ პირველ წამებშივე ყველა ეს მეგობრული, სიბრალულით აღსავსე მზერა თვალისდახამხამებაში ჩამოგლეჯს გულმოდგინედ მომზადებულ ნიღაბს.

ჩვენ შესაბრალისი არაფერი გვაქვს... და მაინც ეს ცრემლიანი თვალები, ეს დაბნეული გამოხედვა, უხეშად, სასტიკად გამახსენებენ სინამდვილეს. უცნაური ნუგეშისცემაა, რომელიც თვალს აგიხელს მწუხარებაზე...

საკაცე მარწევს, მე კი ვფიქრობ ჩვენი ეპოპეის დაგვირგვინებაზე, ჩვენს მოულოდნელ გამარჯვებაზე. იდეალზე ლაპარაკობენ ყოველთვის, როგორც მიზანზე, რომლისკენაც

ადამიანი მარად ისწრაფვის და რომელსაც ვერასდროს აღწევს.

თითოეული ჩვენთაგანისათვის ანაპურნა — ეს მიღწეული იდეალია. ჭაბუკობისას ჩვენ არ გვაღელვებდა არც ფანტასტიკური მოთხრობები, არც თანამედროვე ომების სისხლისმღვრელი ბრძოლები, რომლებიც ასაზრდოებენ ბავშვის ფანტაზიას. მთები იყო ჩვენი ბუნებრივი ასპარეზი, სადაც სიკეთლსიცოცხლის საზღვარზე მოვიპოვეთ თავისუფლება, რომლისკენაც შეუგნებლად მივილტვოდით, და რომელიც ლუკმაპურივით გვესაჭიროებოდა.

მთები უხვად გვასაჩუქრებდნენ თავისი მშვენებით. ჩვენ ბავშვური გულუბრყვილობით ვიხიბლებოდით მათით და თაყვანს ვცემდით მათ.

ანაპურნა საუნჯესავით დარჩება ჩვენს მოგონებებში მთელი ცხოვრების მანძილზე. ამ აზრით ვშლით ახალ ფურცელს... იწყება ახალი ცხოვრება!

სხვა ანაპურნებიც ბევრია ადამიანის ცხოვრებაში!..

ბუნებაზე ადამიანის ბრწყინვალე გამარჯვების დამადასტურებელი დრამატიზმით აღსავსე ფურცლები გვაიძულებენ ვიხაროთ და ვიტანჯოთ ამ განსაცვიფრებელი მოთხრობის გმირებთან ერთად.

ამ წიგნს წაიკითხავენ საბჭოთა მკითხველების ფართო წრეები, რომლებიც, შესაძლოა, არ იცნობენ ალპინიზმს, სპორტის ამ ვაჟკაცურ და კეთილშობილურ სახეს, როდესაც ადამიანი თამამად ებმება უთანასწორო ბრძოლაში ყოვლისშემძლე და მკაცრ ბუნებასთან გრანდიოზულ არენაზე, უმაღლეს მწვერვალთა შორის, თოვლისა და ყინულის სამეფოში. ამ წიგნს სარბად წაიკითხავენ ჩვენი სამშობლოს მრავალრიცხოვანი მთამსვლელებიც, გამბედავი ახალგაზრდობა, უკვე დაავადებული „მთის ავადმყოფობით", რომელმაც შეიყვარა „მამაცთა სპორტი" და გატაცებით იპყრობს მრისხანე მწვერვალებს.

თითოეული ჩვენგანი ჯეროვნად აფასებს ფრანგი ალპინისტების ვაჟკაცობასა და გმირობას. ამავე დროს, ამ წიგნის წაკითხვისას საბჭოთა ალპინისტი ვერ შეძლებს თავი დააღწიოს გულნაკლულობის ბუნდოვან გრძნობას. აქ რაღაც სხვა ამბავია! რაღაც არ ეთანხმება იმ პრინციპებსა და მიზანდასახულობას, იმ წესებს, რომლებიც განაგებენ საბჭოთა ალპინიზმის განვითარებას და რომლითაც ხელმძღვანელობს ჩვენი ახალგაზრდა მთამსვლელი, თავისი პირველი ნაბიჯებიდანვე მთაში.

თუ თავს დავაღწევთ წიგნის გმირებისადმი სავსებით გასაგები მღელვარებისა და სიმპათიის გრძნობას და ობიექტურად გავაანალიზებთ საფრანგეთის 1950 წლის ექსპედიციის მომზადებასა და ჩატარებას, უთუოდ ყურადღებას მიიქცევს ზოგიერთი მომენტი, რომელიც არ შეიძლება შეფასდეს სხვანაირად, თუ არა, როგორც ორგანიზაციული და ტაქტიკური შეცდომები.

პირველ ყოვლისა, შეცდომას წარმოადგენდა თვით მწვერვალის არჩევა ასვლის ობიექტად. დჰაულაგირისა

და ანაპურნის რაიონი იმ დროისათვის სრულიად გამოუკვლეველი იყო. მისასვლელებსაც კი არ იცნობდნენ ხოლო მწვერვალზე ასავლელ გზებსა და ბოსალოდნელ დაბრკოლებებზე ლაპარაკიც ზედმეტია.

ექსპედიციას მიზნად ჰქონდა დასახული რვაათასიანის დაპყრობა, თუ დჰაულაგირის არა, ანაპურნისა მაინც, მაშინ, როდესაც პირველი ექსპედიცია ასეთ გამოუკვლეველ რაიონში მხოლოდ სადაზვერვო ხასიათისა უნდა იყოს. მართლაც, დროის უმეტესი ნაწილი დაიხარჯა მისასვლელების ძებნაზე, მრავალრიცხოვან დაზვერვებზე. თვით ასვლისათვის კი ორიოდე დღეღა დარჩა. სწორედ ამ გარემოებამ თავისი დაღი დაასვა ექსპედიციის მთელ მსვლელობას. „ჩქარა, ჩქარა, უფრო ჩქარა! მუსონი გვიახლოვდება!" ამის შედეგად — არავითარი კარგად მოწყობილი შუალედური ბანაკები არ იმართება. ერთი-ორი კარავი, ისიც უსურსათოდ, არასაკმარისი საჭურველი — ეს ხომ ნამდვილი ჰიმალაური ბანაკი არაა!

გადამწყვეტი იერიშისათვის თითქმის ყველა მთამსვლელი გადაიღალა და მწყობრიდან გამოვიდა .მხოლოდ ერცოგსა და ლაშენალს შეეძლოთ მოიერიშე წყვილის შედგენა. საიერიშო ბანაკი მოწყობილი იყო ძალიან დაბლა, ხოლო კიდევ ერთი ბანაკის მოსაწყობად დრო აღარ დარჩა.

საჭურვლის ხარისხს უდიდესი ყურადღება ჰქონდა დათმობილი, მიუხედავად ამისა, ფრანგების ფეხსაცმელი ასეთ სიმაღლეებზე ასვლისათვის შეუფერებელი აღმოჩნდა. „ვიბრამის" ძირებიანი, ჩვეულებრივი სამთო ფეხსაცმელი, მხოლოდ ფეტრით ოდნავ დამთბარი, ბუნებრივია, ამ შემთხვევაში გამოუსადეგარი იყო. არა თუ მძიმედ დაშავებულთ — ერცოგსა და ლაშენალს, არამედ ექსპედიციის დანარჩენ წევრებსაც (ტერაის, რებიუფას, შაცს, კუზის), სციოდათ ფეხებზე და ეშინოდათ მოყინვისა.

შედარებისათვის მოგაგონებთ, რომ ინგლისის 1953 წ. ევერესტის ექსპედიციის მზადების დროს, სამაღალმთო

ფეხსაცმელის დამზადებაზე მუშაობდა ოცდაათზე მეტი სხვადასხვა ფირმა და სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორია. ამის შედეგად, 1953 წელს, ინგლისელ ალპინისტთაგან არავინ არ უჩიოდა სიცივეს, თუმცა ჰაერის ტემპერატურა გაცილებით უფრო დაბალი იყო, ვიდრე 1950 წელს ანაპურნაზე.

საფრანგეთის ექსპედიციის ნაკლს წარმოადგენდა, აგრეთვე ბანაკთა შორის რადიოკავშირის უქონლობა. ულტრამოკლეტალღიანი რადიოსადგურები, რომლის შესახებ ერცოგი თავის მოთხრობის პირველ თავებში წერს, შემდგომში ან წყობიდან გამოვიდნენ ან უბრალოდ არ მიჰქონდათ მწვერვალზე სიმძიმის გამო. და რომ ტერაი და რებიუფა საკუთარი ინიციატივით არ ასულიყვნენ 3 ივნისს V ბანაკში, ყოველ იმ ჯერს გარეშეა, ერცოგი და ლაშენალი, მეორე დღეს უკვე აღარ იქნებოდნენ ცოცხალი. მაშინ, როდესაც ორმხრივი რადიოკავშირის არსებობის შემთხვევაში (რაც ადვილად დამყარდებოდა, რადგან ყველა ბანაკი პირდაპირი ხედვის არეში იყო) დახმარება გაცილებით უფრო ადრე მოუწერებდათ და ყველაფერი, ალბათ, მშვიდობით დამთავრდებოდა.

თუმცა უნდა ითქვას, რომ რადიოკავშირის უგულებელყოფა ზედა ბანაკებში — საერთო მოვლენაა ყველა საზღვარგარეთელი ექსპედიციებისათვის. ეს მით უმეტეს ძნელი ასახსნელია, რომ უკვე დიდი ხანია არსებობს ნახევარგამტარებიანი ჩინებული ულტრამოკლეტალღიანი სადგურები, რომელთა წონა ბატარეებიანად, 300-400 გრამს არ აღემატება.

აუცილებელია შევჩერდეთ ასვლის ზოგიერთ ტექნიკურ მომენტებზე, რომლებსაც შეუძლიათ გაოცება გამოიწვიონ საბჭოთა მთამსვლელებში. თოკი — ხიაფთის თავიდან აცილების მძლავრი საშუალებაა ასვლების დროს. სწორად ორგანიზებული დაზღვევის დროს, მოწყვეტის შესაძლებლობა პრაქტიკულად შეიძლება გამოირიცხოს. მაგრამ ჩვენ ვხედავთ, რომ მწვერვალის გადამწყვეტი იერიშის დროს ერცოგი და ლაშენალი უთოკოდ წავიდნენ, თუმცა გზა მარტივი არ იყო და ჩა-

სავარდნი ადგილებიც სვდებოდათ. ურთიერთ ჩაუბმელი ამსვლელები კი უკვე აღარ წარმოადგენდნენ ერთიან ჯგუფს, ამიტომ დაშვების დროს ერთმანეთი დაჰკარგეს და ლაშენალის დაცურება ფერდობზე მხოლოდ შემთხვევის წყალობით არ დამთავრდა კატასტროფით. დაზღვევის შეუფასებლობის მსგავსი შემთხვევები მოხდა აგრეთვე, ექსპედიციის უფრო ადრეულ ეტაპებზე, მაგალითად, დჰაულაგირის აღმოსავლეთ ყინვარზე, ანაპურნის ჩრდილო-დასავლეთ წიბოზე და სხვ.

საჭიროა აგრეთვე მოვიხსენიოთ საბჭოთა მკითხველისათვის უცხო ტონი, რომელიც თითქოს შეუმჩნეველია, მაგრამ მაინც გამოსჭვივის მოთხრობიდან, როცა ლაპარაკია ნეპალის ან ინდოეთის მკვიდრთა შესახებ. ერცოგი, როგორც სხვა ევროპელი ალპინისტები, ღირსეულად აფასებს შერპების მაღალ მორალურ და ფიზიკურ თვისებებს, საქვეყნოდ აცხადებს მათ ასვლის დროს თანასწორუფლებიან ამხანაგებად. და მაინც შერპი მისთვის, პირველ ყოვლისა მსახურია, რომელიც ჯამაგირს იღებს და მოვალეა ემსახუროს თავის საჭიბებს.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ 1950 წ. ექსპედიციის ორგანიზაციისა და ჩატარებისადმი გონივრული კრიტიკული მიდგომით, სრულიადაც არ ვამცირებთ ფრანგი მთამსვლელების ბრწყინვალე გამარჯვებას, მათ განსაკუთრებულ ვაჟკაცობას, მაღალ ოსტატობას, ერთსულოვნებას და ამხანაგობის გრძნობას.

ამავე დროს ვიმედოვნებთ, რომ ასეთი კრიტიკა დაგვეხმარება ვუპასუხოთ ზოგიერთ კითხვაზე, რომელიც, შესაძლოა, წამოეჭრას მკითხველს, და გავუფანტოთ ეჭვები ახალგაზრდა მთამსვლელებს, რომლებიც წაიკითხავენ ამ წარმტაც მოთხრობას.

სსრკ სპორტის ოსტატი ალპინიზმში

ბ. ბ ა რ ფ ი

Морис Эрцог
Аннапурна
(На грузинском языке)
Детгиздат Грузинской ССР
«Н а к а д у л и», Тбилиси, 1974

რედაქტორი მ. ა ბ უ ლ ა ძ ე

გამომცემლობის რედაქტორი ნ. ქართველიშვილი, მხატვარი ლ. ფალინი, მხატვრული რედაქტორი გ. ღლონტი, ტექნიკური რედაქტორი ლ. ქვარცხავა, კონტროლიორ-კორექტორი დ. კალანდარიშვილი, კორექტორი მ. ლაღაძე, გამომშვები თ. ბუღაძე.

გადაეცა ასაწყობად 23/IV-73 წ.; ხელმოწერილია დასაბეჭდად 22/III-74 წ.; ანაწყობის ზომა $5^1/_2 \times 9^1/_4$; ქაღალდის ზომა $84 \times 108^1/_{32}$; ნაბეჭდი თაბახი 9,24; სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 16,67; ტირაჟი 20.000; შეკვ. № 2371; ფასი 94 კაპ.

გამომცემლობა „ნაკადული“, მარჯანიშვილის ქ. № 5.
Изд-во «Накадули», ул. Марджанишвили № 5.

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. 14
Типография издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, ул. Ленина, 14.